



mastsavlebeli.ge

14

მასწავლებლის წიგნი

ახალი
მასწავლებლის
წიგნი

გიორგი კეკელიძე
დავით გორგილაძე
ელიზბარ ელიზბარაშვილი
დიანა ანფიმიადი
ნასტასია არაბული
სალთო ბენიძე
გვიად კვარაცხელია
ალექსანდრე ლორთქიფანიძე
ირმა ტაბელიძე
ლევან ლორთქიფანიძე
გურამ მევრელიშვილი



მასშტაბებისა
პროგრესული
განვითარების
ერთგვარი
ცენტრი

მასწავლებლის წიგნი

ვწერ
მასწავლებლისთვის

გიორგი კეკელიძე
დავით გორგილაძე
ელიზბარ ელიზბარაშვილი
დიანა ანფიმიადი
ნასტასია არაბული
სალომე ბენიძე
ზვიად კვარაცხელია
ალექსანდრე ლორთქიფანიძე
ირმა თაველიძე
ლევან ლორთქიფანიძე
გურამ მემრელიშვილი

მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრი

2020

რედაქტორები:

ნათო ინგოროყვა

მანანა ბოჭორიშვილი

სტილის რედაქტორი:

ნანა მატაგარიანი

დიზაინერი:

ბესიკ დანელია

შესავალი

მასწავლებლის პროფესიაში ხშირია დილემების წინაშე დგომა. ხშირია გზა-ვარდინები.

თითოეულ ჩვენგანს ჩვენი სკოლა და მასწავლებელი გვახსოვს. გვახსოვს ყველა სიხარული და წყენა, ყველა შიში. ჩვენ დღესაც ვსწავლობთ. ვსწავლობთ ჩვენი და სხვების გამოცდილებით.

ეს წიგნიც მასწავლებლისთვის დაიწერა. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ის მხოლოდ მათი საკითხავი ან დამხმარე ლიტერატურაა.

მეტი დამაჯერებლობისთვის შევეცდები ავხსნა:

სკოლის გზის საიდუმლოება; ჰოდა, ჩვენი ქვეყანა ეს არის; ენა და ჩვენა, ანუ ჩვენ და ენა; დამოუკიდებლობა და თავისუფლება; რა აინტერესებს მას, ვისაც არაფერი აინტერესებს; გზაზე ერთი ბიჭი მიდიოდა; სად არიან შვილები, შვილები სად არიან?; სკოლის სევდა; მკვდარი პოეტების საზოგადოება; ახლომხედველის მესხიერება; მამის ლოცვები; პატრიოტიზმი და პროფესიული ეთიკა; იტირე? მადლი გიქნია; „ყველასაც თურმე ენა აქვს“, ანუ როგორ საუბრობენ მოლექულები; მასწავლებლის სევდა; სად მთავრდება სწავლა და სად იწყება სწავლება; ორიენტირი; ცრუპენტელა აღმზრდელი;

მხოლოდ საკუთარ შეცდომებზე რომ სწავლობდა; მასწავლებელი; „თუ სიყვარული არ შეგიძლია, ნუ ასწავლი ბავშვებს“; ახლომხედველი ბავშვი სკოლაში; განსაზღვრება, ადამიანები; მშობლები, შვილები, მასწავლებლები; ნიჭიერები, მაგრამ ბარმაცები;

რა უნდა იცოდეს მასწავლებელმა; არასწორი ვალდებულებები გოგონებისთვის;

უკან, სკოლაში; რისგან უნდა დავიცვათ ბავშვი; როგორი მომავალი გვინდა; რას ველი მასწავლებლისგან; მეგობრობა, როგორც პასუხისმგებლობა; ბავშვების მოწყვნილობის მიზეზები; კითხვები მასწავლებლებისთვის; გოგონების ვალდებულებები – გამეორება, შეცდომების გასწორება; თეთრი საყელო, ანუ რამდენიმე ეპიზოდი მოსწავლე გოგონას ცხოვრებიდან; ომის ბავშვები; შიშების დაძლევის შესახებ; ნდობა და სხვა წამლები; განსხვავებულობის შესახებ; ჩვენი წილი პასუხისმგებლობა; დევნილობის ამბები; მასწავლებლის შვილი; მასწავლებელი სოფლის სკოლისა; ვის ეძღვნება ილია ჭავჭავაძე?; ძმები ერთ კლასში; რატომ გვჭირდება პოლემიკა; ნორმალური მოსწავლეები, ნორმალური მასწავლებლები და ჰოგვორტსი; როგორ მოვატყუოთ მასწავლებლები; სიკეთის წილი საწერი; შვლის ნუკრებისთვის ადგილი აქ არ არის; ქორწილამდე მოგირჩება; ვინ გინდა გამოხვიდე?; აუცილებლად წასაკითხი წიგნების შესახებ; სასკოლო ზეიმების სევდა; შეცდომების მდინარე; სხვების ბავშვობა; ამტანობის შესამოწმებელი ტესტები; „ბავშვების საათი“: მორალური და ამორალური; განათლების სისტემის ოქროს რგოლი; მასწავლებელი ქალები დამფუძნებელ კრებაში; მასწავლებელი სამოქალაქო პოზიციით; მასწავლებლობიდან მსოფლიოს ლიდერობამდე; სიტყვის თავისუფლების დილემა; მასწავლებელი როგორც მსხვერპლი; უკანა მერხის ბავშვები; სხვისი შრომა, ანუ ირიბად მასწავლებლებზე; როცა კლასში დაუმორჩილებელი მოსწავლე ზის; კვითხულობთ მხოლოდ მასწავლებლები; ვის ელაპარაკებიან ჩვენი შვილები?; უმამოდ გაზრდილი გოგონების ამბავი; სად არიან ის ძლიერი გოგონები ჩვენი ბავშვობიდან?; მასწავლებლის ცხოვრება და შეცდომები...

ეს სხვადასხვა ავტორის წერილების სათაურების ნაწილია, რომელიც ამ წიგნმა გააერთიანა. სათაურებიც ამბობენ, თუ რამდენი დილემაა ჩვენ წინაშე და რომლის გადალახვაში შემოგვეშველება ეს წიგნი.

ბიოგრაფიული კვლევა

1	სკოლის გზის საიდუმლოება	9
2	ჰოდა, ჩვენი ქვეყანა ეს არის	11
3	ენა და ჩვენა, ანუ ჩვენ და ენა	14
4	დამოუკიდებლობა და თავისუფლება	16
5	ჩვენი დუმილი – მოსწავლეების ტრაგედიაზე, ანუ „ორი თავი“	18
6	არ წაიკითხოთ წიგნები	19
7	ძალადობის ძალა	21
8	საგზის საქმე	23
9	მე, სკოლა, ვამპირები და მანიაკები	25
10	სახეში გალაწუნების საქმე	27
11	ქალების განდევნა	29

სკოლის გზის საიდუმლოება

გურიაში, ბავშვობაში, როცა საქმე და დარდი ნაკლები იყო – ბებიჩემების (ხან ერთ, ხან მეორე სოფელში) ხმა იყო ჩემი მალვიდარა, ქათმებს რომ უხმობდნენ: მოჭიის, ჭის, ჭიის. მე მგონი, ყველაზე უფრო, დრო მალვიდარებს ცვლის. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მალვიდარების ცვლილება მიანიშნებს სხვა დანარჩენს.

მოგესალმებით. მე გიორგი კეკელიძე ვარ. ვსწავლობდი ქალაქ ოზურგეთში. როგორც კი სწავლა დავიწყე – მალვიდარაც შეიცვალა. ეს დედაჩემი იყო. დილაობით ელ-ენერგია იმ დროს დიდი იშვიათობაა და თუ კი – ქვევით ტელევიზორში, რომელსაც ჩემსავით თავში წამორტყმით ვაღვიძებდით ხოლმე – გადიოდა პროგრამა ალიონი, ენთო ლუმელი (ზამთარ-ზაფხულ), პური-ყველი-ჩაი, წინა ღამით ჩალაგებული ჩანთა. თავიდან დავდიოდი მშობლებთან ერთად (მონაცვლეობით), მერე მეზობლების ბავშვებთან და ბოლოს მასწავლეს, ერთ მოსახვევში დიდი შავი ძაღლი ება ჭიშკართან. ბინძური, წირპლიანი თვალები ჰქონდა. იქ უნდა მიმეხვია და პირდაპირ წავსულიყავი. მერე აღმართი იყო და ბოლოს სკოლა.

ქალაქ ოზურგეთის ეგნატე ნინოშვილის სახელობის N1 საშუალო სკოლა. ეს ეგნატე სულ ჩიოდა თურმე, კარგი მასწავლებელი არ მყავდაო, თორემ რუს „პისაწელებს“ ნიჭით როდი ჩამოვუვარდებოდიო და სხვანი. ჩემს სკოლაში კარგი მასწავლებლები იყვნენ – ნაწილი მათგან გარდაიცვალა. იმის თქმა მინდა, რომ უმეტესი ცოცხალია და დღესაც ასწავლის. მომჭერით თავი პათეტიკისთვის და მერე კიდევ მეორედ მომკალით, თუ ასე არ იყოს – სკოლაში რომ ავედი, წლები გასულიყო – ცარიელში, არდადეგებისას. ისეთი საქმე დამემართა – სადმე დაშორებულ შეყვარებულს რომ დაინახავ – კისერში ბურთი და ... ბურთს იქაც ვთამაშობდით, ნაძვნარში. და სხვა ამებიც ბუნებრივია – ვირობანა, შატალო და ასეთიც: დავალება სახლში დამრჩა მეთქი და წადი მოიტანეო. წავედი და გზაზე დავწერე, მთელი კილომეტრნახევარი კი უნდა მევლო. ჰოდა, გზებს მივუბრუნდეთ. რადგან სკოლაზე და მასწავლებლებზე

წერა დავიწყე, ეს ამბავი არანაკლებ საყურადღებოა – მთელი თავისი გამოგონილი, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი საკრალურობებით. ერთ ქუჩაზე იყო მონაკვეთი, უსახლო – მხოლოდ ჩაის ბუჩქები. ყველაზე უფრო იმ ნაწილის გავლა მეზარებოდა. შეიძლება მეშინოდა კიდეც. მსოფლიოში უგრძეს მანძილად მეჩვენებოდა. თავის დასაძვრენად მოვიგონე. სკოლის მასწავლებლებს სახელ-გვარებს ვუნაცვლებდი. მაგალითად: ქეთევან კილურაძე, ლუბა ჩუბინიძე (ანუ რეალურად ქეთევანი გახლდათ ჩუბინიძე). ეს იყო ჩემი იმ მონაკვეთისეული ამოცანა. პირველი ლექსებიც იმ „გზაზე“ დავწერე. მიჩხუბია კიდეც და წავქცეულვარ და საათობითაც გავჩერებულვართ ფეხბურთზე საუბრისას, გადმოცემებით რომ ვყვებოდით მატჩის პერიპეტიებს. ამით იმას გიამბობთ, რომ სანამ სკოლაზე და მასწავლებელზე მოგიყვებით, ეს გზაც მნიშვნელოვანია, იქ რომ მიმიყვანა.

ძალღი, რომელიც „გზამკვლევი“ იყო, ცხადია და სამწუხარო – ორ-სამ წელიწადში გაქრა. მაგრამ მე უკვე ვიცოდი მიგნება. და ერთიც – იმ ძალღის სიკვდილის შემდეგ მივხვდი – გზა, რომელიც ავირჩიეთ, არ იცვლება. იცვლება ნიშნები, რომელიც ამ გზაზე გვაყენებს და ან გვაშორებს.

მალვიძარებიც იცვლებიან.

ჰოდა, ჩვენი ქვეყანა ეს არის

რალაც ამრით, ძალიან ჩვეულებრივი დღე იყო, შეჩვეული სცენარით და გამეორებული პერსონაჟებით:

დილით, აუზზე, ორი კაცი წყალში იდგა, ცურვა ეზარებოდათ და მანტრასავით უმეორებდნენ ერთმანეთს, „რუსეთი ოკუპანტია, მაგრამ“-ს; შუადღისას, გორში, სოფელ კარბში ვიყავით, ოკუპაციის ხაზთან მცხოვრებ ბავშვებს ბიბლიოთეკა მოვუწყვეთ და იქაურების თვალებმა იოლად წაშალეს დილის „მაგრამების“ ექო; ნაშუადღევს ბიბლიოთეკაში დავბრუნდი, სამუშაოს დასასრულისას, ერთი მონათესავე ადამიანი მესტუმრა (ასმერვედ ან ასმეცხრედ), მიმტკიცებდა, რომ მის გვარს თავის დღეში არ უმუშავია, მაგრამ მაინც სულ კარგად ცხოვრობდნენ და ბოლოს ძალიან დაინტერესდა, ხუთი ლარი ხომ არ მქონდა; სახლისკენ ტაქსით წამოვედი, სატესთან გოგონა იჯდა, მაინც ცოტა გვიკვირს ხოლმე და მეც შემეტყო: იოლი ხალისით მითხრა, დღე სხვაგან ვმუშაობ, არ მყოფნის და სალამოთი ახლა ეს საქმე წამოვიწყეო. რატომღაც ძალიან გამიხარდა – შეიძლება იმიტომ, რომ იმ „მაგრამით“ ის მონათესავე კაცი წაშალა უცებ ამ გოგომ. ჰოდა, ჩვენი ქვეყანა ეს არის. ხშირად, როცა მეკითხებიან, რატომ არ მინდა სადმე სხვაგან გადავბარგდე, პასუხად ჩემი დღეები მაქვს, ამგვარი დღეები, ეს უცნაური და ძალიან საინტერესო დღეები, გაჩვეულებრივებული დღეები. ეს მარადიული ტურბულენტობა უიმედობასა და იმედს, უმადურობასა და თანადგომას შორის. არავის წასულთაგანს არ ვაძაგებ, ადამიანი მოკლე დროით მცხოვრებია და არჩევანი გასაგები. უბრალოდ, მე იმდენად მიზიდავს ჩემი ცოტა სახიფათო, ხან ერთმანეთის გაუტანლობის სპორტში სწორუპოვარი ჩემპიონი და ხან მოულოდნელად ერთიანი, ასე მგონია სხვაგან ვერ გავძლებ. აქ შენება და ბეწვის ხიდზე სიარული მიყვარს – ვიცი, რომ ქვევით ბამბა არ მელის, ფეხი თუ დამიცდა, გულშემატკივრების ლეგიონებიც კი იმ უფსკრულში დამელოდებით და ნაფლეთებად მაქცევთ. გმირი არ ვარ, არც მგონია, რომ უნდა ვიყო – უბრალოდ, მიყვარს ამ ბეწვის ხიდზე სიარული და მგონია, რომ რალაც მნიშვნელოვანს ვაშენებ. და თქვენთან ერთად ვარ ამ ომში.

ოთხი წლის წინ ამ ეზოში მამაჩემი თხილის მოსავალს იღებდა, ცუდად გახდა და ეს ცუდად გახდომა საბედისწერო გამოდგა. ამაზე ბევრი დავწერე და ბევრ-მაც იცის. ჰოდა, შეიძლება სხვა საქმეში სუსტი არ მეთქმის, მაგრამ აქ ოთხი წელია, ძალა ვერ ვიპოვე – სურებში სამჯერ ჩავედი და სახლთან მიახლოებაც კი მიჭირდა. ვერ ვახერხებდი ის ოთახები მენახა, ბუხარი, მაგიდა, ჭურჭელი, საპარსი, გაზეთი ჭადრაკის ამოცანებით, რომელიც მამაჩემმა დატოვა და არც უფიქრია, რომ ვეღარ ნახავდა. დღეს ავედი. გამიჭირდა, მაგრამ მაინც. ვცდილობდი, რომ თვალისთვის საქმიანობა დამეძალებინა – სამომავლო გეგმები, გიორგი! ვეუბნებოდი თავს. აივანზე ფეხი შევდგი და ყველაფერი აიძვრა მაინც – კედლები ხმამაღლა ყვიროდნენ ბავშვობას, ხმამაღლა და განწირულად. ზღაპრებს, თამაშებს, ციციანთელებს, რძეს და მჭადს, ნიავს, სუფსის ხმას, ლამფას, ნარდს, ირისის კანფეტს, ნათესავებს, მკვდრებს, ცოცხლებს, ბებიას, ბაბუას, მამიდაშვილებს, რობერტ ბერნსის ლექსებს, გუაკანაგალოს, რიკი-ტიკი-ტავის, თეფშით ბაბუა იორდანეს სულის გამოძახებას, თეფშზე კაცისთავა მსხალს, ოცნებებს, ნაღრძობ ფეხს, ღამეებს, ჭრიჭინებს, მამაჩემს, მამაჩემს, მამაჩემს. ეს სახლი ძველია. ძნელად ეშველება. მაგრამ მე აუცილებლად გავაკეთებ ზუსტად ასეთივე სახლს და ზაფხულში აუცილებლად ვიცხოვრებ იმ სახლში. დავწვები აივანზე, დავხუტავ თვალს და ყველაფერს დავინახავ, რასაც ეს ბებერი კედლები მიყვიროდნენ.

„ლობიეს ელვა“ – ამბობდა მამაჩემი და ცას ახედავდა. აგვისტოში ხშირი იყო. ლობიოს ელვა ნიშნავდა მოწმენდილი ცის შენათებას საიდანღაც. მამა ამბობდა, რომ ლობიოს ზრდიდა ასეთი ელვა სწრაფად. არ ვიცი – ან კი, ან არა. ზოგჯერ მოგონებები ამ ნათებასავით გაკრთება და ქრება, გაუგებრად და უმიზეზოდ. ჩვენც ამ ნათებების ქვეშ ვიზრდებით. თუმცა ან კი, ან არა.

აი, ასე იყო. ზუსტად ასე და ასეთი ქართულით უფრო უხდება: დუხოვ-კაში ეწყო შეშები. სველი. სობელი. გამომშრალი. ორთქლი ასდიოდა. უნდა გამოგეშრო შესანთებად. ლამფასთან ვიჯექი და ზოოლოგიის წიგნს ვკითხულობდი. დედაჩემი თეფშებს რეცხავდა. საინებს. ჩაინიკიდან ამატებდა ცხელ წყალს. ჩაინიკი იდგა ფეხზე. მამაჩემი იჯდა ტახტზე. დაღლილი და ძილთან ახლოს. ამ დროს ვინცხამ დეიძახა. რა დროის მოსლა იყო ახლა. სტუმარი ამბობს: „აფერი არ მინდა ტყულარომა, აგერ ვიყაი და რომ არ შემემეცლო, არ გამევიდოდა“. „ოოოჰ, მობძანდი გულივერა“ ვეუბნებით ჩვენ ძალიან, ძალიან გულსგარეთ, მაგრამ გარდაუვალი ღიმილით.

თებერვალია, წვიმს, გვიჭირს. „ამდამე ვერ წავალ ჩოხატოურში, მარა აფერი არ მინდა, აგერ დავწოები, კუშეტკაზე“ ჩვენ ვამბობთ: „მეიცა, კაცო, რაცხას ვი-

ზამთ, რაფერ ხარ? დედაშენი რაფერაა?“ გულივერა მამაჩემის კლასელია. ჩო-
ხატაურიდან. ჩვენ ოზურგეთში ვცხოვრობთ. შეწუხება: ბადრიჭნის მუავე. იგივე
პატრიქნის. კამპოტის ამოტანა კიბისქვეშადან. ადესა. ყველი. შეშა არ დეიწვას
დუხოვკაში. „გუშმარჯოს. გუშმარჯოს. გახსოვს, ჯონდოიე რაფერ ჯდებოდა
ცხენზე? რაფერარმახსოვს! ამბალანაზესამეცადინოქონდა? აგერ, ფეჩთანდაჯ-
დება, მიორე ლამპას ავანთებთ. ჩვენ კლასი რამდენი ხანია დავამათავრეთ?!“
ძნელია ასეთი ღამეების განცდა, თუ არ გიცხოვრია. მე ასეთ ღამეებში გავი-
ზარდე.

არის ერთი მოთხრობა – ათიათასჯერ წამიკითხავს და არ მბეზრდება.
უფრო დილაობით. ახლაც, როცა სახლში ჩავდივარ ხოლმე, ვიმეორებ და
ვასხვაფერებ. თანაც ასოების ცოდნა არ სჭირდება – ახედეთ ტერს და უამრავ
სცენას დაინახავთ, თუ ოდესმე თქვენი სახურავიდან წვიმა უვლიდა.

ენა და ჩვენა, ანუ ჩვენ და ენა

უცნობი ამბავი როდია, ხანდახან ენა აქეთ რომ გვსწავლობს და გვიგები-რებს. გამოთქმებად გვმარცვლავს. დროს, ეპოქას, კონტექსტს. სხვა დროში იგივე წინადადება შეიძლება გაუგებარი ოქსიმორონი ან სულაც საექებარი სიტყვა გამომდგარიყო, მაგრამ რას გავუგებთ ჩვენს უცნაურ, მრავალტანჯულ თავს. აი, ზოგიც დილის ულუფად:

„ერთი საწყალი, პატიოსანი კაცია“ – დანანებით ნათქვამი. ჩემი დახმარება არ გჭირდებათ უფრო ღრმა განმარტებისას, ზედაპირულად კი ასეთი ფორ-მულაა – პატიოსანი = საწყალს, ანუ უფულოს, უუნაროს, უგავლენოს და ყო-ველგვარ უ-გვანს.

„მაგას აზრები აწუხებს“ – ნიშნავს განსხვავებული აზრის გამომთქმელ კაცს ან მოფიქრალს. გამოთქმის ცინიკური ინტონაციით და სიტყვა „აწუხებს“ იოლად მიგანიშნებთ, რომ პრობლემა იმ აზრებიანს აქვს და არა შენ – უაზ-როს.

„ტვინიკოსია“ – განსაკუთრებით საშიში დაავადება, თანდაყოლილის მსგავსი და ცოტა ქრონიკულიც. შეიძლება წარმოიშვას „აზრებით შეწუხების“ შემთხვევაში, თუ არ იმკურნალებთ. სიმპტომები ღიად გამოვლინდება კარ-გად სწავლისას, საქმის უკეთ გაკეთების დროს ან სწორი რჩევის მიწოდების წუთებში. ეს დაავადება არ გკლავს, ანუ ბოლომდე არ გრიყავს, მაგრამ მაინც თანაგრძნობის შემაწუხებელი ღიმილით გიყურებენ და სჯობს აიცრა – ქუჩა-ში დადგე, შორს გადააფურთხო, თავი ჩაქინდრო, მზეს ნაკლებად უმზირო და მზესუმზირა ხშირად ჭამო – კაი გრძელი აცრაა, მაგრამ ნაკლებად მტკივნე-ული.

„ადგილს აფუჭებს“ – ამ საშინელი ბრალდებით ერთი-ორჯერ ჩემთვისაც მოუმართავთ. იგულისხმება ადამიანი, რომელიც ხელს უშლის მეორე ადა-მიანს. ეს მეორე ადამიანი სულ მზად არის რალაცის მისათვისებლად, მოსა-პარად ან ნათესავების დასაწინაურებლად, მაგრამ არ გაუმართლა და ახლა ელის დროს, რომ რაც შეიძლება მალე ჩაანაცვლოს ადგილის გამფუჭებელი და სამშობლო გადაარჩინოს.

„მაგარი უბედური სულია“ – არავითარი კავშირი სვე-ილბლის არქონასთან ამ ფრაზას არ აქვს. პირიქით – წარმატებული, საქმის მარიფათიანად მქმნელი და მისაბაძი კაცის სინონიმი გახლავთ.

კი, ენამ ის ამოგვძახა, რაც ჩვენი ქცევით ჩავძახეთ, ამიტომაც სხვა რა დაგვრჩენია, უნდა ვუპასუხოთ – მოვიშოროთ აზრები და პატიოსნება, ტვინიც და ვიყოთ ასე უბედურები. უბედური სულები.

დამოუკიდებლობა და თავისუფლება

თუ არქივებს მოურიდებელი თვალით გადავფურცლავთ, აღმოვაჩენთ, რომ 25 თებერვალი მრავალმხრივ მნიშვნელოვანი თარიღია – დიდი გმირობის, რომელმაც მომავლის იმედი შეგვინარჩუნა; დიდი მარცხის, სისხლისა და იმედგაცრუების, რომელსაც ახლაც ვგლოვობთ; და კიდევ დიდი ღალატის დღეც, რომელსაც ყველაზე ნაკლებად ვიხსენებთ – იმ ჯარს არათუ მოუძღოდა ქართველი, ეგებებოდა კიდევ.

ამიტომაც, 25 თებერვალი მხოლოდ პოეტისა და საინტერესო კაცის კარგი ლექსის ერთი სტრიქონის ერთჯერადად გახსენების დღე არ უნდა იყოს. და ეგებ, მხოლოდ სიმბოლურ კი არა, პრაქტიკულ, აუცილებელ შეხსენების დღედ ვაქციოთ: რადგან დამოუკიდებლობა ადამიანისა და სახელმწიფოს უმთავრესი ნიშანია. იქნებ, დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა, ის, რის გამოც ჩვენმა წინაპრებმა თავი გასწირეს, ყოველდღიურ ჩვევად გავიხადოთ. რადგან დამოუკიდებლობა ბადებს თავისუფლებისკენ სწრაფვის შესაძლებლობას – ადამიანად ყოფნის უმთავრეს ნიშანს.

თავისუფლება მხოლოდ განცდა როდია, ის ყოველდღიურ მუშაობას მოითხოვს, დაკვირვებას, გააზრებასა და გათავისებას. კომუნისტურმა ეპოქამ უამრავი სისხლის კვალად, ამ გრძნობის მხოლოდ წართმევა კი არა, გადასხვაფერებაც მოახერხა – ჯერ კიდევ შემორჩა ხალხი, იმდროინდელ დედაქალაქში გადაფრენა და სხვა მისი მომყოლი საქმეები რომ მიაჩნია თავისუფლებად; და შემორჩა ფრაზაც – „კაციშვილი ხმას არ მიწევდა მოსკოვში, აქეთ მცემდნენ პატივს, მეფესავით მექცეოდნენ“. ამ, ვითომ მეფესავით ყოფნაში ნელ–ნელა ყველაფერს გვართმევდნენ ნებელობის თამადაობით.

ჩვენ ეს ინერცია უნდა დავძლიოთ ჩვენში. თავის მოტყუების ინერცია. ოდნავ ან ოდნავ მეტადაც შეგვცვივდება, მაგრამ თუ გარეთ არ გამოვედით ამ ცრუ კომფორტის ველიდან, თბილ სახლს ვერ ავაშენებთ; თავისუფლების, დამოუკიდებლობის სახლს.

მახსოვს ოთხმოციანების ბოლოს და ოთხმოცდაათიანების აღტკინება და მაშინებს ახლანდელი ნიჭილიზმი. მესმის, რომ დავიღალეთ – რთულია, შე-

ჭირვებულ ყოფაში საკუთარი თავისთვის გამოგონილ საბჭოთა ლეგენდებს შეებრძოლო. ძნელია. მაგრამ თავისუფლება, უკვე გითხარით – ძნელად მოსაპოვებელი რამ არის. მე თქვენი იმედი მაქვს – მოსწავლეებისა და მასწავლებლების. თქვენ ახლა უნდა ასწავლოთ ერთმანეთს ამ სიკეთის არსი. მერე, გავიმარჯვებთ!

ჩვენი ღუმილი – მოსწავლეების ტრაგედიაზე, ანუ „ორი თავი“

სიკვდილზე ბევრი დამიწერია. ახლა აღარ, ანუ უფრო ზუსტად, ვეღარ დავ-
წერ. არის სიკვდილები, რომელიც ისე მტკივნეულია, ფიქრს არიდებ. თან უამ-
რავი სიტყვა დაიხარჯა უკვე.

სხვა რამის თქმა მინდა. ესეც ითქვა, ოღონდ ცოტა ვრცლად ვეცდები:

ხშირად მოგიკრავთ ხოლმე ყური, როცა ვინმე დაშავდება ან მოკლავენ,
მივლენ, იქვე შემსწრეს კითხავენ რამეს და ის პასუხობს: არ ვიცი, არაფერი
არ ვიცი. და მერე სახლში შესული ალბათ იტყვის – ორი თავი ხომ არ მაქვს,
თან ამით არაფერი ეშველებათ იმ საწყლებს.

მე კიდევ მგონია, რომ ჩვენი – ჩემი და თქვენი მთავარი პრობლემა სწო-
რედ ის არის, რომ არაფერი არ ვიცით ან უფრო ზუსტად ვიცით და თავს ვიტ-
ყუებთ. ვიცით, მკვლელობამდეც, მკვლელობისას და მკვლელობის შემდეგ.
ვიცით, რომ ძალადობის პრიმიტიული რომანტიზაციის ინერცია, რამაც თა-
ობები შეჭამა, ჯერ არსად გამქრალა და მას ყოველდღე უნდა ვებრძოლოთ,
მაგრამ ვდუმვართ. ვდუმვართ ასე, სანამ სხვისი სისხლი ჩვენად არ იქცევა.

აბა, ორი თავი ხომ არ გვაქვს? არადა – დიახ! ორი თავი უნდა გვქონდეს,
ორი და ხუთიც და ათასი თვალი, რომ ერთმანეთი და ეს ქვეყანა ამ ბეწვის
ხიდზე გადავატაროთ. ორი თავია საჭირო. აქ და ახლა. სხვების, გადარჩენი-
ლების სიცოცხლისთვის!

ამ გულგრილობამ ქვეყანაში თაობები გამოტოვა. ამ ცხოველურმა თვით-
გადარჩენის ინსტიქტმა – ყველაზე მშიშარა ხალხის საქმემ. იყო დრო, როცა
სიკვდილმა ლამის ტრაგიკულობა დაკარგა, იმდენად საბითუმო გახდა. სა-
ბითუმო კი არა, ლამის საბუთი გახდა – ციხეში შემავალ კარში კაი ტიპობის
დამადასტურებელი.

ჩვენ ახალი დროის ადამიანები გვქვია და თუ მართლა გვქვია, ეს მოჯადო-
ებული წრე უნდა დავძლიოთ.

მაინც თქვენი იმედი მაქვს – იმ ხალხის, რომელთა სახელიც ამ გამოცემას
ჰქვია. ვცადოთ.

არ წაიკითხოთ წიგნები

შემოდგომის სცენის გამნათებელი ყველაზე შემოქმედებითი კაცი უნდა იყოს დანარჩენ ოთხთა შორის, მზის ნათურას სასწაულს აკეთებინებს. მთავარია, ქარი ქროდეს. პარტერიდან და ლოჟიდანაც სასიამოვნო სამზერელია.

ამ დროს ხალხი მუშაობას იწყებს და ძნელად თუ ტკბება. ზაფხული გაგლილია, ზურგს უკან დგას და მის სუნთქვას კი გრძნობ ყურთან, მაგრამ ნელ-ნელა სუსტდება. ზოგჯერ ამინდია – კოჰაბიტაცია ამას ჰქვია – მზე და თოვლი ერთმანეთში ირევა. მოკლედ – მაგარი დროა შემოდგომა. განსაკუთრებით საღამოები. წიგნის კითხვის დრო. ან ტელევიზორთან მისხდომის დრო, ან ინტერნეტთან.

ჩემი რჩევა, როგორც ბიბლიოთეკის დირექტორის, ყველას მოლოდინით, მარტივი უნდა იყოს – იკითხეთ წიგნები, ყველგან და ყოველთვის. მაგრამ არის ხოლმე, მოწოდება გაუგებრად რჩება. განსაკუთრებით სტუდენტებისთვის და მათი თაობისთვის – ხალხისთვის, რომელსაც ინფორმაცია შეუძლია რომელიმე ვიკისაიტზე ამოიკითხონ, ხოლო სიამოვნება თუ კათარზისი პლესთიკიშენის თამაშითაც მიიღონ. მე თუ მკითხავთ, წიგნის კითხვა აუცილებელი მართლაც არ არის. წიგნს, ანუ ამ შემთხვევაში ცხადია, გველისხმობ მხატვრულ ლიტერატურას ყველა არ უნდა კითხულობდეს. მისი დაძალება დანაშაულიც კია. ლიტერატურის ვინმესთვის შეყვარება წარმოუდგენელი ამბავია, თანდაყოლილი საქმე მგონია ეს. ავადმყოფობა – გნებავთ. აი, როგორც სცენის მტვერი და ამგვარი ამბები. იწამლები და მათით ცხოვრობ. ასე გრძელდება სულ – ციხეშიც და საავადმყოფოშიც მათ გვერდით გინდა – ვერც შენ შორდები და თითქოს, რაღაც ძალით, არც ისინი გიშორებენ.

ასე რომ, ნუ ვიქნებით მიაშიტები. არ წაიკითხოთ წიგნები, თუ:

- თუ ტომ და პასუხი არ არის, თქვენთვის ყველაზე დიდი პასუხი არ არის.
- თუ სხვების ცხოვრებით ცხოვრება გაფრთხობთ, მეტიც – სხვისი სიკვდილით სიკვდილი გაშინებთ, ანუ სიკვდილამდე ბევრჯერ სიკვდილი.
- თუ ლუარსაბობა და ტარიელობა ვერ შეძელით. აი, ასე – ერთად ვერ შეძელით. პირველი გაგიტყდათ და მეორე – გეძნელათ.

- თუ რომელიმე ტანკა ან ჰაიკუ დაიწყეთ და ბოლომდე ვერ წაიკითხეთ.
- თუ ალუდა ქეთელაური მხოლოდ თემთან დაპირისპირებული და მეტიც – გამარჯვებული გმირი გგონიათ.
- თუ ხანდახან პეპისავით არ ფიქრობთ: „ვფიცავ, არასდროს გავიზარდო იმაზე მეტი, რომ წვიმაში ყვავილების მორწყვის შემრცხვეს!“
- თუ სიცრუის გეშინიათ. რომ დაგამშვიდოთ – სიცრუის სიბრძნის.

ცოტა პათეტიკურია არა? ასეა. მაგრამ მაშინაც ნუ წაიკითხავთ წიგნებს, თუ მანერულობა გაშინებთ.

ხოლო სხვა შემთხვევაში მათი წაკითხვა ჯანმრთელობას არ ავნებს, მხოლოდ მცირე უკუჩვენებები აქვს. ჩემი საშემოდგომო რჩევებიც ეს არის.

ძალადობის ძალა

ეს ამბები განსაკუთრებით მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა უნდა იცოდნენ. უნდა იცოდნენ, თუნდაც იმიტომ, რომ ნებისმიერ ძალდატანებას მერე სხვა პასუხი მოსდევს. და ამ პასუხის პასუხში მივდივართ და ქვეყანა დგას.

ახლა ბოლშევიკებზე მოგახსენებთ: ადგნენ და მოვიდნენ. როგორც ერთ ამერიკულ რომანშია. აქაოდა, პროგრესის ძალაო, განათლებაო, ოპიუმო, დარვინო, „ღმერთი მოკვდაო“. სიცოცხლისას რაც იყო, იმაზე მარქსს ჰკითხეთო. მაგრამ უღმერთოდ მაინც ვერ გაძლეს. ისე არ გამოდიოდა.

ჰოდა, ახლის შენება დაიწყო. მრავალღმერთიანობას მიაწვნენ. ერთი დიდი ღმერთი, ლენინი, სადღაც შორს იდგა და დანარჩენ ღმერთებს – სტალინი, ხრუშჩოვი და ა. შ. – შობდა. ზოგიერთი შეიძლება ძმას წაეცვია და მისი ადგილიც მიეთვისებინა. თუმცა მთავარი ბომონი – სრულქმნილი ულიანოვი ეჭვის მიღმა სუფევდა. არის ერთი ძალიან კარგი ანიმაციური ფილმი, რაულ სერვასის „პეგასუსი“. ადვილად შეგიძლიათ ინტერნეტში დაძებნოთ – იქ, ათიოდ წუთში დიდებულადაა მოთხრობილი, თუ როგორ ანაცვლებს სოფლის მჭედელი ერთ უფალს მეორეთი. ამ წერილის თანასამშერლად გირჩევთ. ისე, ირიბად, ცალი თვალით.

ანტირელიგიური კამპანია გაჩაღდა.

ხოლო ჩემს მაგიდაზე ახლა ოცამდე ამგვარი წიგნი დევს. გაზეთი უფრო მეტი იყო. ეს წიგნები პერიოდული გამოცემების ერთგვარ ჯამად შეგვიძლია ვიგულისხმოთ. მანდ იყრიდა თავს მთავარი ინსტრუქციები და, ჩვენებური ახალმეტყველებით რომ ვთქვათ, „ქეისები“. იწყებოდა ყველაფერი ყმაწვილთა აღზრდით. 1932 წელს გამოდის ვინმე პ. მიქაძისა და ან. გველესიანის წიგნი – „პიონერები ანტირელიგიურ ფრონტზე“. ახალი, ლენრელიგია ძალიან აგრესიული იყო. მას მთლიანად უნდა ამოეძირკვა წინამორბედი. ამიტომაც – „ნორჩ უღმერთოთა მოთავსებული იქნება კითხვა-პასუხის ყუთი“, სადაც ასეთ ამბებს ათავსებდნენ: „ერთხელ პიონერები შეგროვდნენ ჩემს ებოში და გადაწყვიტეს, რამენაირად მაინც დაეშალათ მორწმუნენი. პიონერები რამდენიმეჯერ მოვიდნენ ეკლესიაში და იმდენი მოახერხეს, რომ შეუმჩნევლად ეკ-

ლესიის გამათბობი მილი გასტეხეს. ამის გამო შესწყდა მორწმუნეთა სიარული ეკლესიაში, რადგან საშინლად ციოდა; ამრიგად, ეკლესიას რელიგიური ცრუმორწმუნეობის საშუალება გამოეცალა“.

სხვებს, უკვე ზრდასრულებს და განსხვავებულ ფერხულში თავშერგულებს „უფრო დიდ“ კუთხეებს უწყობდნენ. მაგალითად: „კუთხეს უნდა ქონდეს თარო და ვიტრინა პოპულიარული ანტირელიგიური ლიტერატურით. კუთხის ლოზუნგები ისე, როგორც სხვა მასალები დაკავშირებული უნდა იქნენ კოლმეურნეობის წარმოებასთან, მაგ: „ძირს ხუცის სასხურებელი, გამოვიყენოთ ქიმიური სასუქი“. თუ ბოლშე-ეზოთერიზმი არ გაჭრიდა, სხვა, პრაგმატული მაგალითებით ცდილობდნენ მშრომელთა მორჯულებას – სანამ კიდეც უფრო „პრაგმატული“ 37 არ დადგა. ასე განსაჯეთ, 1932 წელს გამოცემულ წიგნში, „აღდგომა. მისი წარმომავლობა და მნიშვნელობა“, მთელი ანგარიში მიდის იმ ზარალის, რაც სადღესასწაულო ამბების გამო მიაღდა დიად სამშობლოს: „ბეჟიცაში, დასავლეთის ოლქი, ქარხანამ „წითელმა პროფინტერმა“ დაკარგა 1500 კაცზე მეტი თვითნებობითი გაცდენის გამო: ფულზე რომ გადავიტანოთ – 22.754 მანეთი, მაშასადამე, ქარხანამ სოფლის მეურნეობას ვერ მისცა 2.143 სახნისი“. რკინის ლოგიკაა, ვერაფერს იტყვი. ფოლადის ლოგიკა – უფრო საბჭოურად რომ ვთქვათ. კაპიტალიზმს ხომ ბრალდებოდა და ბრალდებოდა ყველაფერი. ლამის იყო, იესო ქრისტე და მუჰამედი პირველ ბურჟუებად გამოიყვანეს და მათი მოწაფეები გაწაფულ კლერკებად. დ. ციხელაშვილი მმართველების ოსტატად მიიჩნეოდა. სწორედ მას ავალდებდნენ ან ივალდებდა ამ საქმეს და საოცარი მხატვრულობით ასრულებდა – ჯვაროსნული ლაშქრობებიდან იწყებდა და მოულოდნელად კულაკთა შეთქმულებებით ასრულებდა. მოკლედ, ახლა სახალისოდ საკითხავია, მაშინ კი სისხლს ითხოვდა ეს ფურცლები.

რალაც ნაწილი აღარ მომიტანია. აი, ის – სადაც მუქარა იმატებს და სიტყვები ადრესატებს სასაკლავოსკენ მიერეკებიან. რა საჭირო იყო. რბილად მიწოდოდა მეთქვა ძალიან მარტივი რამ – რაც უკვე დასაწყისშივე მოგახსენეთ.

ხოლო მებრძოლ უღმერთოთა კავშირს უფრო მოკლედ ერქვა „მუკ“-ი. ლოზუნგი კი, რომელიც თითქმის ყველა გამოცემას თან სდევდა, ამგვარი გახლდათ: „არც ერთი საწარმოო, დაწესებულება, სკოლა, უმაღლესი სასწავლებელი, საბინაო ამხანაგობა, ყაზარმა, კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა და კომუნა მუკის გარეშე“.

საგზლის საქმე

ახლა, არ ვიცი, დააქვთ თუ არა.

ჩემი დრო სხვა იყო – ერთხელ ბებიამ ჩემს გვითხრა, ეკონომია რომ გავაკეთოთ, პური ჭამეთ და ყველს უსუნეთო. ასე ვცხოვრობდით. მაგრამ საგზალი მაინც ყოველთვის მქონდა. მართალია, რამდენჯერმე ჭამა დამავიწყდა, სახელმძღვანელოებს შეერია და მრავალმხრივ დავგზარაღდი, მაგრამ ეს საგზლის საქმე მაინც უფრო ტკბილად მახსენდება.

შინიდან ასე გაბარებენ: ჩუმად შეჭამე. ბევრი რამეა ამ დაბარებაში: ერთი, რომ საკვები მჭირია და „თავი არ მოგვეჭრას“, მეორე – ცოტაა, არ გეყოფა და მესამე... მესამე დანამდვილებით არ მახსოვს, თუმცა იყო.

საგზლის ტიპებიც არსებობდა: უფრო სერიოზული, რომელიც გაკვეთილებს შორის, ე. წ. დიდ დასვენებაზე უნდა შეგემუსრა და მცირე, დილით ჭამას რომ ვერ მოასწრებდი და პირდაპირ ხელში გაჩეჩებდნენ – „გზაზე წეილუკმე“.

მაგრამ შეგონება ყოველთვის არ ჭრიდა და ეს საგზლები, სხვათა საგზლებთან გაერთიანების შემდეგ, პირველ ქეიფებად იქცნენ. მერე სუფრას ჭიქა ღვინოც შემოეპარა და იდეამ სხვა სიმაღლეები დაიპყრო. მერე ესეც აღარ გვეყო... ზღაპარში რომ ვყოფილიყავით, სურვილის ფასკუნჯს საკუთარ ხორცს მივცემდით, მაგრამ ოზურგეთში ვიყავით, სადაც ზღაპრული, ფასკუნჯური და ფენიქსური მაშინ მხოლოდ ის თუ იყო, რომ ტროლეიბუსი საკუთარი ფერფლიდან აღდგა და ხანდახან ამ ტრანსპორტით დავდიოდით. საგზლის ესთეტიკამაც დაკარგა ხიბლი.

დამამთავრებელ კლასებში უკვე „გასატეხი“ იყო ეს საქმე. ყინვაში რომ ბიჭს რეიტუბი სცმოდა შარვლის ქვეშ, ეგეთი. ჰოდა, ზამთარში გმირულად გვცვიოდა და გვშოიოდა. მაი აფერი.

ეს საგზალი კი სრულიად სხვა ამბავმა გამახსენა და სრულიად ირიბმა. გზამ გამახსენა და სკოლის სიშორემ.

ნატო გოგელიამ, რომელიც გურიაში მუშაობს ჟურნალისტად, სიუჟეტი მაჩვენა ერთ გოგონაზე, რომელიც ხუთ კილომეტრს ფეხით გადის და კლასში მართლა – <http://gurianews.com/news-tv/10525-2013-06-01-10-33-42.html>

მე არ ვიცი, ეს გოგო „დიდი ქალი“ გამოვა თუ არა – არ მჯერა ფორმულებზე დაფუძნებული წარმატებების, რომ ვილაც ღარიბი ობოლი აუცილებლად მილიონს იშოვის და ვილაც, ლამფის შუქზე რომ სწავლობდა, მაინცდამაინც მთვარიდან გადმოგვხედავს. სიმართლე გითხრათ, დიდად არც მაინტერესებს, ვინ დადგება მისგან მომავალში – შესაძლოა, ის დღეს და ახლა იყოს გმირი (ამ სიტყვის ბევრს ეშინია, მაგრამ რა ვუყოთ). თუნდაც უნებლიე გმირი. გმირები ხომ მეტწილად უნებლიეთ ხდებიან. და მას და შენ და მე გვაძლევს მაგალითს – მე, ხან ადგომა რომ მეზარება, თუნდაც სახლთან მანქანა მელოდეს. მაგრამ არავინ იცის, უნდა თუ არა ამ გოგონას გმირობა, საჭიროა თუ არა საერთოდ გმირობა. იქნებ ჩვეულებრივი ბავშვობა ურჩევნია, კლასელებით და ჭორაობით და შატალოებით. მაგრამ მას ერთი დიდი უპირატესობა აქვს – ახლა ალბათ საგზლით მიდის, და როცა მიილუკმები და მიდიხარ – სხვა ამბავია. როცა მიილუკმები და ფიქრობ.

მე, სკოლა, ვამპირები და მანიაკები

ჩემი სკოლიანობის ჟამი (წავუჩიქორთულე, როგორც ბებიჩემი იტყოდა) უცნაურ დროს დაემთხვა. საბჭოთა ამბებიდან ახალი გათავისუფლებულები ვიყავით, რელიგიის თავისუფლების საქმე უკეთ იყო და უცებ ყველაფერი აირია: ტრადიციული რწმენის იქით ცრურწმენების ზღვა აღიდა. დაერთო ამას ფილმები სულებზე, ვამპირებზე და სხვა მსგავს უმსგავსოებზე. ეკრანებიდან ბატონი კაშპიროვსკის მისტიკური მზერა და არაამქვეყნიური ხმა გვითქვდა. ამ ამბავმა უცხოპლანეტელებიც დააინტერესა, ამხედრდნენ მფრინავ თეფშებზე და რამდენჯერმე დაგვზვერეს. რა შთაბეჭდილებით გაბრუნდნენ უკან, ვერ გეტყვით, ჩვენ კი დაგვტოვეს დაზაფრულები... მოკლედ, ინგლისური შუა საუკუნეები გურიაში გასულის ოთხმოცდაათიანებში დადგა. სკოლა, აბა, როგორ გამოაკლდებოდა ამ ფერხულს...

პირველი საიდუმლო ადგილი, სადაც ურჩხულს ედო ბინა, სკოლის უზარმაზარი სარდაფი იყო. ერთი-ორმა კი წამოიკნავლა, უფროსკლასელები ეწევიან სიგარეტს და იმის შუქიაო, მაგრამ ეგ რას გაჭრიდა... მთელი წელი იმ ადგილას გავლისა გვეშინოდა. მითი მაშინ თუ დაიმსხვრა, სარდაფი რომ გაწმინდეს. ურჩხულის ნაცვლად აღმოჩნდა: ვლადიმერ ვისოცკის სურათები, მერაბ კოსტავას პლაკატები და რამდენიმე წიგნი მეორე მსოფლიო ომზე.

მეორე ასეთი ადგილი სკოლის გზაზე ჩაის მოუვლელი პლანტაცია იყო. იქ ახალი ჯურის ხალხი ბუდობდა: მანიაკები. აქ უკვე მასწავლებლებიც და მშობლებიც ზაფრამ შეიპყრო. მახსოვს, ერთხელ ვიღაცის ღორი დაიკარგა და თქვეს, მანიაკი შეჭამდა — ბავშვის ხორცი თუ შემოაკლდაო. მერე ღორის თავი იპოვეს და ერთმა ბრძნული იერით აღნიშნა, ასეთ ნიშნებს მანიაკები ადებენო. მანიაკომანია კარგა სამ წელს გასტანა. მერე, ეს ბავშვების მოყვარული კაცი მკვდარი იპოვესო, რაღაც ასეთი ხმა დაირხა და მიცხრა.

ერთხელ მთლად საოცარი ამბავი მოხდა — მთელი სკოლა გარეთ გამოვცვივდით: ერთმა მოსწავლემ თქვა, მოჩვენება ვნახეო, უზარმაზარ ქალს ჰგავდა, ქვა ვესროლე, მუცელში გაუარა და მიწაზე სველი დაეცაო. აი, აქედანაც (შემალელებულ ადგილზეა სკოლის შენობა) ჩანსო. გავიხედეთ და რას ვხე-

დავთ – ქალაქის მეორე ბოლოში მართლაც უზარმაზარი, მწვანე ქალი დგას. დარეკეს პოლიციაში, ადგილობრივმა ტელევიზიამაც კი გააშუქა ეს ამბავი და თუ ვინმე იპოვის მის არქივში, სახალისო საქმე იქნება. იმ ხეს კი დასცვივდა შემოდგომაზე ფოთლები, მაგრამ ჩვენ ჩვენი დაგვემართა.

დანარჩენს მერე მოგითხრობთ. ამით იმის თქმა მინდოდა, რომ სკოლა საუკეთესო დროა ასეთი ცრუ თუ ნახევრად ცრუ ამბების გასათავისებლად და მათგან გასათავისუფლებლად. ან ეგებ გათავისუფლება არც იყოს საჭირო; ჩვენ ხომ ისედაც მითების სამყაროში ვცხოვრობთ.

სახეში გალაწუნების საქმე

ისეთი დღეა, მჟაგე სუნი რომ ასდის ერთნახადი არყის. სახდელი ორე. ღელე. წითელი ტალახი. წვიმა, თავის თავსაც რომ ძლივს ამჩნევს. ასეთი დღეები მე სოფელში მასხოვს. ამ სოფელს სურები ჰქვია. ოდესღაც ბაბუაჩემი და ბებიაჩემი ასწავლიდნენ.

ბაღის ასაკისა ვიყავი. პირველად იქ ვნახე, რომ მასწავლებელს შეეძლო, მოსწავლისთვის სახაზავი დაერტყა, საფეთქელთან თმა მოეწიწკნა ან ყური აეწია. შევედი ჩემს სკოლაში და იქაც – ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო. რასაკვირველია, ყველა მასწავლებელი ასე არ იქცეოდა, მაგრამ ყველა მოსწავლე კი იღებდა, როგორც ბუნებრივ მოცემულობას.

ამ პატარა წერილს იმისთვის კი არ ვწერ, რომ ვინმე გავკიცხო და სამაგალითოდ ვაქციო, ანდა მეთოდიკურ-პედაგოგიკური რჩევები მოგცეთ – ეს სხვებს უფრო ხელეწიფებათ; უბრალოდ, მინდა გავიხსენო და თქვენც გაგახსენოთ მარტივი რამე: ძალადობა შობს ძალადობას. იყო სისტემა, რომელიც თავისებურად ანაწილებდა როლებს და მისი მონაწილეებიც, ნებით თუ უნებლიეთ, ამ ადათს მისდევდნენ: მასწავლებელი – აგრესიისას, მოსწავლეები – თმენისას.

ახლა ამბობენ, საქმე ამ მხრივ უკეთააო – ვერ ვიჯიუტებ, მეგობრებს ვენდობი. მე ძველ ამბებს გიყვებით.

სახეში გაურტყამთ და გამირტყამს კიდეც – მოზარდობა და ცხოვრება, სამწუხაროდ, ამასაც გულისხმობს. გარდა ამისა, სულ სამი-ოთხი ხელი თუ მომხვედრია. ერთი მათგანი დღეს ცოცხალი აღარ არის, მე კი სულ ცოცხლად მიდგას თვალწინ, ფიზკულტურის გაკვეთილზე ჩამოგვამწყრივებდა და ვინც თვალში არ მოუვიდოდა, გაულაწუნებდა. მე ცრემლი მომაწვა და მთელი ღამე ვაწამებდი იმ კაცს, სადღაც ხეზე მიბმულს. სიზმარში, ცხადია. მერე, წლების მერე, მატარებლის სადგურზე შემხვდა, მოტეხილი და დაჩანჩაჩებული; არყის ფული ისე მთხოვა, თითქოს იმ გაკვეთილებისთვის ბოდიშს მიხდიდა... მიხვდით, ამ კაცს შეეძლო, სულ სხვანაირი მასწავლებელი ყოფილიყო, უფრო მეტად მომთმენი მაინც. იქნებ გამხდარიყო კიდეც ასეთი, თავის დროზე ვინმე

ზემდგომს სათანადო ინსტრუქცია რომ მიეცა ან რომელიმე მოსწავლეს ცხადი და არგუმენტირებული პროტესტი გამოეხატა. იმას კი არ ვამბობ, რომ წესები ადამიანებს ცვლის, მაგრამ ისიც ცხადია, რომ დინებისკენ უბიძგებს, – თუ არ გინდა, ნაპირზე გახვალ. ამ კაცისთვის ვინმეს რომ ესწავლებინა ეს, სად იქნებოდა დღეს, ვერ გეტყვით, მაგრამ, დანამდვილებით ვიცი, ასე უცნაურად არ დაასრულებდა სიცოცხლეს.

მთავარი ალბათ სხვა რამეა – როლები. მასწავლებელი უსათუოდ მსახიობიცაა. მას საკუთარი სცენა აქვს, იქ ათასგვარი იმპროვიზაცია შეუძლია, ხანდახან – ჩამოსვლა და მაყურებლებში გარევაც კი, მაგრამ როლიდან არ უნდა ამოვარდეს. ამას შესაძლოა მეორე უკიდურესობაც კი სჯობდეს – აი, ის ლეგენდა, საპირფარეშოში რომ არ დადიან და სხვანი. როლის შექმნას კი სცენარისტი სჭირდება და რეჟისორი. სხვათა შორის, ჩვენც, ჩვენი ამ წერილებით იმავეს ვცდილობთ – ცოტა რომ სიტყვა დავღვლარჯნოთ, წარეჟისორობას თუ წასცენარისტებას.

თან ისეთი დღეა, არცის გამოხდას რომ მოგაგონებს. ასეთ დღეებში ორესთან, ლელის პირიდან, რჩევების მიცემა უყვარს კაცს...

ქალების განდევნა

ერთი დღით ადრე, სანამ ახალგაზრდა ქალს ქმარი თუ ქმარყოფილი ყელს გამოსჭრიდა, იმ სოფლის სკოლაში წიგნები ჩავიტანეთ.

ახლა ვფიქრობდი, რომ ის გოგონაც, ალბათ იმ სკოლაში სწავლობდა და შესაძლოა, ის კაციც. და ორივეს ოდესღაც ისეთივე ანთებული თვალები ჰქონდა და ეს თვალები სულ სხვა მომავალს ეძებდნენ. სულ სხვას, ვიდრე ახლა ჩამოდგა. და მივხვდი, რომ ხვალინდელი დღეც ასეთი იქნება. ზუსტად ასეთი. განა მართო იმ სოფელში. ყველგან. შევეშვათ ეთნოსებისკენ ცალი ხელის გაშვებას და ცალით საკუთარი უსინდისობის და უმაქნისობის ჩუმად მოწმენდას. ფემინიზმი მხოლოდ მკვლელობა არ არის. ეს ქალების განდევნის ხელობაა. ყოველდღე და ყველგან. კვირაში ორ სოფელს მაინც ვსტუმრობთ. როცა წიგნებს ვარიგებთ, უმეტესად მასწავლებლები პატარა ბიჭებს გამოუშვებენ ხოლმე წიგნებისკენ და გოგონები მორცხვად, შორს დგანან. არადა, ორ-ორ წიგნს ვურიგებთ თითოთს სიმბოლურად, განა რამე მძიმეს და შეუძლებელს. იქაც ვამბობ და აქაც ვიტყვი: ყველაფერი ასეთი მცირე, შეუმჩნეველი ამბებით იწყება და ჩვენ მომავალშიც გუშინდელივით დავმარცხდებით, თუ არ მივხვდით და: თუ გოგონებს არ ვასწავლეთ, რომ წიგნებისკენ ისინიც ბიჭებთან ერთად უნდა გამოიქცნენ! თუ ბიჭებს არ ვასწავლეთ, რომ სირცხვილი არ არის, თუ გოგონები წიგნებისკენ ბიჭებთან ერთად მობიან! თუ გოგონებს არ ვასწავლეთ, რომ ისინი თავისუფლები, ლალები უნდა იყვნენ. მხოლოდ საკუთარი თავის საკუთრება, მხოლოდ საკუთარი ფიქრის მძევალი. თუ ბიჭებს არ ვასწავლეთ, რომ გოგონები ნივთები არ არიან, როცა გინდა მოეფერო და როცა გინდა – გატეხო. თუ არ ვასწავლეთ აქ და ახლა. თუ არ ვასწავლეთ და არ ვისწავლეთ. ჩვენც და თქვენც!

საქმე მართლაც ის გახლავთ, რომ, რიგ შემთხვევებში, ჩვენი დამოკიდებულება, განსაკუთრებით ყოფით ნაწილში, ინერციული აზრით გულისხმობს ქალის განდევნას და შესაბამისად, ეს მოცემულობა აუცილებლად არის დასამარცხებელი, პირველ რიგში, საკუთარ თავთან დაკავშირებით. ვგულისხმობ იმას, რომ მე თვითონაც ამ სტერეოტიპების მსხვერპლი ვიყავი ხანგრძლივ

დროის განმავლობაში, მე თვითონაც უამრავი შეცდომა დამიშვია და ჩემი აზრიც, უმეტესწილად, ჩემს შეცდომებს ეფუძნება და არა სხვის განქიქებას ან სხვებისკენ ხელის გაშვერას.

მე გარკვეულწილად ასეთ საზოგადოებაში გავიზარდე. ცხადია, ეს უპირატესობა იყო სრულიად ხელოვნური იმ თვალსაზრისით, რომ ასეთი მიდგომა და განწყობები არ არის ძირეული და ფუნდამენტური ქართული ტრადიცია. მეტიც, მაგალითად, სვანეთში გენდერული თანასწორობა დღესაც დაცულია და მე ყოველთვის აღვნიშნავ ხოლმე ამას, როცა ამ თემაზე ვსაუბრობ და ეს მშვენიერი მაგალითია იმის, რომ ტრადიციული გაგებით საქართველოში ქალი და კაცი თანასწორია. ხოლო ის განცდა, რომელიც ჩვენ გვაქვს, რომ თითქოს ეს უთანასწორობა რაღაც ტრადიციებთან არის თანხვედრაში, აბსურდია. ამიტომ ეს საკენკი, რომ თითქოს ჩვენ ტრადიციებით გვერთმევა გენდერული თანასწორობა, არ არის სწორი და არ უნდა დავუყაროთ მომავალ თაობას.

დავით გორგილაძე

1	ფრანგული გაკვეთილები	33
2	დედაჩემის მეგობრის შესახებ	36
3	ნიკუშას	39
4	რა აინტერესებს მას, ვისაც არაფერი აინტერესებს	43
5	გზაზე ერთი ბიჭი მიდიოდა	47
6	სად არიან შვილები? შვილები სად არიან?	50
7	სკოლის სევდა	53
8	მკვდარი პოეტების საზოგადოება	55
9	ახლომხედველის მეხსიერება	58
10	მამის ღოცვები	61

ფრანგული გაკვეთილები

ჰა-ჰა, ერთი თვე გასულიყოს მას შემდეგ, რაც კეკელიძის ქუჩაზე ასეთ სცენას შევესწარი: ორი მოზარდი, ასე, მეოთხე-მეხუთეკლასელები, ომობანას თამაშობდნენ. არა, ისინი არ ებრძოდნენ ერთმანეთს, როგორც ეს ჩემს ბავშვობაში ხდებოდა ხოლმე; მათ საერთო მტერი ჰყავდათ – ჩინელები. „შეხედე, ჩინელი, დროზე ესროლე, არ გაგვექცეს!“ – დაიყვირა ერთმა მათგანმა. ამას ისიც დაერთო, რომ ერთ-ერთი საჯარო სკოლის ეზოში საარაკოდ არატოლერანტულ დამოკიდებულებას შევესწარი ეთნიკურად ქართველი მოსწავლეების მხრიდან. მინდა მჯეროდეს, რომ სხვა ერების სიძულვილი ქართულ სკოლებში არ ისწავლება. იმედი მაქვს, არც ოჯახებში მოძღვრავენ შვილებს ამგვარად, მაგრამ ფაქტი ხომ ფაქტად რჩება?! ისიც ნაღდია, რომ მოზარდის აღზრდის პროცესში სკოლა და ოჯახი ერთმანეთს ავსებენ და რაშიც ერთი მოიკოჭლებს, მეორემ უნდა გამოასწოროს.

ამ ამბებმა ერთი ფრანგული ფილმი გამახსენა – „კლასი“ ჰქვია. სურათი 2008 წელს ვნახე, როცა მან ოქროს პალმის რტო დაიმსახურა. ბოლო 21 წლის განმავლობაში ეს ერთადერთი ფრანგული პროექტი იყო, რომელმაც კანის კინოფესტივალის მთავარი ჯილდო მიიღო.

კინო ფრანსუა ბეგადოს წიგნის „Entre les murs“ მიხედვითაა გადაღებული, სცენარის ერთ-ერთი ავტორიც თავად გახლავთ და ფილმში მთავარი როლიც თავად შეასრულა.

„კლასის“ ხელახლა ნახვა მოზარდებში ტოლერანტობასთან დაკავშირებული პრობლემების დაძლევის ფრანგული გამოცდილების გასაცნობად გადავწყვიტე. გონივრული ეჭვი მქონდა, საფრანგეთის დარ მრავალეროვან ქვეყანას ამ მხრივ საუკეთესო გამოცდილება უნდა ჰქონოდა. ნურას უკაცრავად! ფილმში მოზარდებს შორის ტოლერანტობის პრობლემის დასაძლევად გამიზნულ ნაბიჯებს ვერ ნახავთ, რადგან... ის იქ უკვე დაძლეულია. ფილმში ფრანგული საგანმანათლებლო სივრცე სხვა ეტაპზეა გადასული. კი, აქ შეხვდებით საუბრებს არაბების, მაროკოელების, ალჟირელების, ჩინელების, კოტ-დ’ივუარელების შესახებ, მაგრამ ეროვნებათა შეჯახება ფეხბურთის თემას იშვიათად სცდება. მა-

გალითად, მოსწავლეები დავობენ იმის შესახებ, დიდი დროგა უფრო მაგარია თუ ტიერი ანრი, მაგრამ მათ საუბარში ნიშნის მოგებისა და ბოლმის ნატამალიც კი არ არის. საერთოდ, თუ კარგად დააკვირდებით, მიხვდებით, რომ მერვე კლასში მთავარი გამხურებელი სულეიმანია, ბიჭი მალის რესპუბლიკიდან და როცა საქმე საქმეზე მიდგება, მთელი კლასი, სხვადასხვა ეროვნების მოზარდი, მას თავგამოდებით იცავს.

სამაგიეროდ, „კლასში“ არანაკლებ რთულ სხვა პრობლემებს ვაწყდებით. ეს ის პრობლემებია, რომლებიც ადრე თუ გვიან შეიძლება ქართული საგანმანათლებლო სივრცის წინაშე დადგეს. მოქმედება ფრანგული ენის მასწავლებლის, ფრანსუა მარინის ირგვლივ ვითარდება, რომელიც იმავდროულად მერვე კლასის ხელმძღვანელიცაა. ის ახალგაზრდა კაცია, ჩვენებურად რომ ვთქვა, მოქეიფე, ჯან-ღონით სავსე თამადის ანტიპოდი. რბილი ხასიათისა და მანერების გამო მოზარდებთან ურთიერთობა უჭირს – ისინი მას სერიოზულად ვერ აღიქვამენ, თუმცა ეს პრობლემაც მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში იჩენს თავს.

ფრანსუა ცდილობს, ოქროს შუალედი გამონახოს, მოსწავლეები ერთმანეთის აგრესიისა და დაცინვისგან დაიცვას, მაგრამ გაგონილი გექნებათ, გამშველებელს მეტი ხვდებაო და მოზარდების მთელი აგრესია მის კისერზე გადადის.

ფილმი ზედმეტი პრანჭვის გარეშეა გადაღებული. მოძიებაც არ არის საჭირო – შუბლზე აწერია, მცირებიუჯეტიანია. ოპერატორს რეჟისორისგან ზუსტი დავალება აქვს მიღებული – მოქნილი იყოს, რათა სურათს დოკუმენტურობის ელფერი დაედოს, რაც მაყურებელს გარემოს უკეთ აღქმაში ეხმარება და იქაურ ამბებში მთლიანად ხლართავს. ფილმის მიმდინარეობისას მთელი სისავსით გრძნობთ ფრანსუა მარინის განცდებს, რომლისთვისაც სწავლება მხოლოდ სამსახური არ არის. ვფიქრობ, ეს არც მისი მოწოდებაა, მაგრამ თავის საქმეს ფრანსუა გულით აკეთებს. ის ცდილობს მოსწავლეებთან კომუნიკაციის დამყარებას, მაგრამ იშვიათად გამოსდის, როცა გაკვეთილი ცხოვრებისეულ თემებზე გულწრფელ საუბარს მოითხოვს და მათ მგრძნობიარე წერტილებზე აჭერს.

ქართველი მასწავლებლებისთვის ეს ფილმი ალბათ ზედმეტად ისტერიული და მეტ-ნაკლებად უცხო აღმოჩნდება. ისინი ჩვეულნი არ იქნებიან მოსწავლეებთან ასეთ დაძაბულ კომუნიკაციას. ზოგიერთი საკითხი ალბათ მათ ღირსებასაც დაარტყამს. მართლაც, ფრანსუა მარინი შავ დღეშია: უხერხულ

შეკითხვებზე პასუხის გაცემა უწევს; ხანდახან იძულებულია, შეურაცხყოფას წაუყრუოს და საუბარი განაგრძოს; მოზარდებთან სიტყვები წინასწარ შეარჩიოს. როცა ამას ვერ ახერხებს – ძვირად უჯდება. შესაძლოა, ზოგჯერ მაყურებელს სურვილი გაუჩნდეს, რომელიმე მოსწავლეს გვარიანი ალიყური წამოსცხოს, მაგრამ საფრანგეთში ეს დაუშვებელია და მხოლოდ თავის დამშვიდებას კი არ შეეცდებით, არამედ მოგინდებათ, როგორმე ეკრანს მიღმა გაძვრეთ და მასწავლებელსაც ურჩიოთ, ნერვები დაიწყნაროს.

ერთი სიტყვით, ლორენ კანტეს ხოშიანი ფილმი გამოუვიდა. ის არც ქართველი მასწავლებლებისთვის უნდა აღმოჩნდეს ურიგო სანახავი. ზოგიერთ მომენტში მათ პრობლემების პრევენციაში დაეხმარება. ეს იქნება ერთგვარი აცრა. თუმცა ამდენს რატომ მაღაპარაკებთ?! თავად შეაფასეთ.

ყველაფერი დედაჩემის მეგობრის შესახებ

დედაჩემმა უარი თქვა ჩემი კლასისთვის რუსული ენა და ლიტერატურა ესწავლებინა. ეს სწორი გადაწყვეტილება იყო. მან თავიდან აიცილა უხერხულობა. მე კი დამრჩა შანსი, რომ რუსულ ენასა და ლიტერატურაში მაღალი ნიშანი მეჩონოდა. თუმცა, ამ მხრივ, დედამ მაინც დიდი როლი ითამაშა ჩემს განათლებაში, რადგან თაროებზე შემოწყობილ, მის მიერ შეგროვებულ კლასიკურ ლიტერატურას, რომლის დიდი ნაწილი რუსულ ენაზე იყო გამოცემული – მხატვრული ლიტერატურით გატაცებული მოზარდი გვერდს ვერანაირად ავუვლიდი. „საიდუმლო კუნძული“ ჯერ ქართულად წავიკითხე, შემდეგ კი ოკუპანტის ენაზე, რადგანაც რუსულ ვარიანტში, ტექსტს თან ერთვოდა ლინკოლნის კუნძულის რუკა, რაც საშუალებას მაძლევდა ჩემს წარმოსახვაში დახატული მიწები, ქალაქდზე გადმოტანილისთვის შემედარებინა. უნდა ვაღიარო, სხვაობა დიდი იყო.

დედაჩემის ნაცვლად ჩემს კლასში მისი უფროსი მეგობარი – მადლენა შარიქაძე შემოვიდა. მაღალი, არისტოკრატიული შესახედაობის მქონე, მართოხელა, ხნიერი ქალბატონი, რომელიც დღემუდამ მოწესრიგებულად იყო ჩაცმული, სიარულის მანერაში ძველებური სტილი ეკითხებოდა და არასოდეს ავიწყდებოდა ხან ზურმუხტისფერი, ხანაც ქარვისფერი სამკაულის გულზე გაკეთება.

„ძალიან მკაცრია“ – ამბობდნენ მასზე ვაზისუბანში, სადაც თითო კორპუსში თითო მასწავლებელი მაინც ცხოვრობს. მადლენა შარიქაძე მე-9 კორპუსის მეოთხე სართულის მობინადრეა. იმ კორპუსის, ზედ სკოლის პირისპირ რომ დგას და რომელთანაც დილაობით, თითქმის ყოველდღე ვხვდებოდი სკოლისკენ მიმავალს. „დილა მშვიდობისა, მადლენა მასწ“ – მივესალმებოდი და მისი დინჯი სიარულის ფონზე, შენობაში შესვლას ბარე 40 ნაბიჯით ადრე მოვასწრებდი.

სხვებისგან განსხვავებით, თავდაპირველად, მადლენა შარიქაძის სიმკაცრისა არ მეჯერა. ვფიქრობდი, რომ მეგობრის შვილის მიმართ დამყვავებელი და ნიშნების საკითხში გულუხვი იქნებოდა. საით არ წავიყვანს ყმაწვილური

ოცნებები. სინამდვილეში, ყველაფერი პირიქით მოხდა. დაფასთან ვიდექი ყოველთვის, კარნახებს ვწერდი პირველ მერხთან, საპირფარეშოში, მაშინ საჭირო ოთახს რომ ვუწოდებდით, თითქმის არასოდეს მიშვებდა. ასევე, მაღლენა შარიქაძე უხეშად არღვევდა ჭეშმარიტი მასწავლებლის ტრადიციას – მას ყოველთვის ჰქონდა თავისი ცარცი, რომლის რამდენიმე ნატეხიც წამლის გამჭვირვალე ბოთლში მოეთავსებინა.

„მე რუსების ენას არ ვისწავლი“ – ვუთხარი ერთხელ ფეხზე წამომატარმა, ყმაწვილური სიამაყით, კონტექსტიდან ამოგლეჯილი პატრიოტიზმით და თითქოს, ჩემს წარმოსახვაში მთელმა კლასმა მეუხარე ტაში დამიკრა. აპლოდისმენტები არ წყდებოდა. მე აქოშინებული ვიდექი მერხთან, როგორც დირიჟორი, რომელმაც მუსიკოსების არმიას წარმატებით უხელმძღვანელა და ვილებდი ტაშის ზღვას. კლასელები კი გაჰკიოდნენ – „ბრავო, მესტრო“. უცებ, აპლოდისმენტები მაღლენას ერთმა სიტყვამ მოგუდა: – „ისწავლი“ – თქვა მან და მართალიც აღმოჩნდა.

საბოლოოდ, ჩათრევას ჩაყოლა ვამჯობინე. ვიჯექი და ლიტერატურის გაკვეთილებს ბოლომდე ვუსმენდი. თავიდან უგუნებოდ, მაჯაზე სახის ჩამოყრდნობით. მერე კი... ნელ-ნელა აღმოვაჩინე, რომ ამ მკაცრი, ხნიერი ქალბატონის მიღმა კიდევ ცხოვრობდა ერთი ადამიანი, რომელიც ცნობილ პერსონაჟებსა და მათ შემქმნელებს შენობით ესაუბრებოდა. განა მხოლოდ გამარჯობა-გაგიმარჯოს?! კარგად იცნობდა, მოკითხვით და ფინჯან ჩაის თანხლებით, ბუხრის პირას მუსაიფით და რახმანინოვის მუსიკის ქვეშ. მოგვიანებით, შარიქაძის მეცადინეობის შემდეგ მომავალმა ფიზკულტურის გაკვეთილმა ფასი დაკარგა. მე თავს დავავარე, რომ რუსულის მასწავლებლის სახლში, რომელიც უწინ იუსტინო ბრინიონის ალაგად მესახებოდა, თავს აფარებდნენ პუშკინი და ესენინი, ტოლსტოი და დოსტოევსკი და ხანდახან გოგოლიც შემოეხეტებოდა ხოლმე.

როცა გადავწყვიტე, რომ საიდუმლო საიდუმლოდ დარჩებოდა, იუსტინო ბრინიონის სასახლეში სწორედ მაშინ აღმოვჩნდი. აღმოვჩნდი მისსავე დაბადების დღეზე, რომელზეც დედამ წამიყვანა. ჩემს მასწავლებელს სახლშიც ისევე მოხდენილად ეცვა, როგორც სამსახურში. მის სამ ოთახიან ბინაში მართლაც ცხოვრობდნენ დოსტოევსკი და პუშკინი, ოღონდ წიგნებში გამომწყვდეულები, უშველებელი ბიბლიოთეკის უსასრულობაში ჩაკარგულები. მათ წინ ფოტოები ეღობებოდათ – რომლებიც ჩემი მასწავლებლის ცხოვრების ყველა ეტაპს ასახავდნენ. წლიდან წლამდე. ეპოქიდან ეპოქამდე. საბჭოთა

კავშირიდან დამოუკიდებელ და მაინც დამოკიდებულ საქართველომდე და ერთ მომენტში ჩანდა, რომ მადლენა მასწავლებელს ფოტოების გადაღება შეეწყვიტა. თითქოს მადლენა შარიქაძე სწორედ ამ მისტიკური რიტუალით ცდილობდა მწერლებთან ცხოვრების დაკავშირებას. ფოტოებს კი მკრთალად ანათებდა სქელი ფარდის ქსოვილში შემომძვრალი შუქი, რომელიც ჯერ ილ-ფისა და პეტროვის „12 სკამს“ ეცემოდა და შემდეგ ნაწილდებოდა.

მე-11 კლასში ამ მისტიკური სახლის მუდმივი სტუმარი გავხდი. მადლენა შარიქაძეს გამოცდებისთვის უნდა მოვემზადებინე და ბოლომდე დავუმეგობრდი ადამიანს, რომელიც სხვებს ტირანად ესახებოდათ.

ალბათ 5 წელი იქნება, რაც მადლენა შარიქაძე არ მინახავს, მაგრამ თავს ხშირად მახსენებს. ყოველთვის, როცა სამართლიანად ვამბობ, რომ რუსეთი მტერია, ქვეცნობიერად ვფიქრობ, რომ არსებობს მადლენა შარიქაძე, რომელიც ალბათ მეთანხმება და რომლის გამოც, მე უფლება არ მაქვს რუსული ლიტერატურა არ მიცვარდეს.

ნიკუშას

ჩემი ძმიშვილი – ნიკუშა, წელს პირველი კლასის მოსწავლე გახდა. იმის გამო, რომ ჩვენს ოჯახში უკანასკნელმა მე გამოვიარე სკოლის წლები, ანუ მოწაფეობის ავან-ჩავანი, წესით, დანარჩენებზე უკეთ უნდა მახსოვდეს, გადავწყვიტე, წერილი მივწერო მას. იქნებ რამეში გამოადგეს კიდეც. „რა უნდა ისწავლო სკოლაში?“ – ვკითხე ნიკუშას რამდენიმე დღის წინ, რაზეც დაუფიქრებლად მიპასუხა – „კითხვა“. იმედი მაქვს, როდესაც კითხვას ისწავლის, ამ წერილისთვისაც დარჩება დრო.

ნიკუშა,

მეოთხე კლასი რომ დავამთავრე, მეგონა ცხოვრებაში უკვე ყველაფერი მქონდა ნანახი. კითხვა შემეძლო, წერაც ვიცოდი. რიცხვების ნამრავლის გასაგებად 12 ფურცლიანი მწვანე რვეულის (ზედ რუსული ასოებით ეწერა ხოლმე – ТЕТРАДЬ) უკანა გარეკანზე დახედვა სულ უფრო იშვიათად მჭირდებოდა, 1-ლი სექტემბრისთვის ჩემი ძმის, მამაშენის გამონაცვალის მაგივრად, ბები-აშენმა და ბაბუაშენმა ლილოს ბაზრობიდან თეთრი ბოტასი მომიტანეს, რაც ჩემს ცხოვრებაში იმავე წონის მოვლენა იყო, როგორც მსოფლიოს ისტორიისთვის დასავლეთ რომის იმპერიის დაცემა. ისტორიის მასწავლებელი ამ ამბავს ალბათ მოგიყვებათ და მაშინ კი ნამდვილად მიხვდები, რა ძვირფასი იყო ჩემთვის ის ფეხსაცმელი.

თუმცა, მეხუთე კლასამდე დიდხანს ვიარე...

ჩემს დამრიგებელს, რომელიც 4 წლის განმავლობაში მზრდიდა, ქალაქისგან დამზადებული 5-იანებისა და 2-იანების გულსაბნევები ჰქონდა, რომლებსაც ხან მკერდზე გვამაგრებდა, ხან – თმაში, იმის მიხედვით, თუ რა ნიშანს მივიღებდით, ან როგორ მოვიქცეოდით. ამ წამოწყების მთავარი იდეა ის იყო, რომ გულსაბნევი სახლამდე უნდა გკეთებოდა და არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოგეხსნა. გვჯეროდა, რომ ჩვენს მასწავლებელს არგუსის მსგავსად (მის შესახებ მითოლოგიის წიგნში წაიკითხავ) მრავალი თვალი ჰქონდა და ჩვენს თითოეულ ნაბიჯს აკონტროლებდა. არ მოგატყუებ, ვისთან-ვისთან და შენთან ტყუილი არაფერში მჭირდება – ხუთიანითაც გამივლია ჩვენს სახლამდე

მისასვლელი გზა და ორიანითაც, თუმცა, უნდა ვაღიარო, პირველ ჯერზე გვარიანად ვინერვიულე. მთელი გზა ტირილ-ტირილით გავლიე. მერე ამეკვიატა აზრი, რომ მამაჩემს სამსახურში გააგებინეს ჩემი ორიანის ამბავი და დამალვა აღარ გამოვიდოდა, ამიტომაც გადავწყვიტე, რომ სამსახურიდან დაბრუნებულს ორიანით გულდამშვენებული დავხვედროდი. მისხალი მნიშვნელობა არ აქვს იმას, თუ რა მოხდა ამის შემდეგ, ანუ რა მითხრა ბაბუაშენმა. დამეფიცება, ამ ამბის გამო, ერთი რამ ბოლომდე, დიდი ლურსმნით ჩავიჭედე გონებაში და არასოდეს ამომვარდნია: ყველაფერი, რასაც განგებ ან შემთხვევით ვაკეთებ თუ ვაფუჭებ, ყველაფერი, რაც ჩემი ნახელავია, ჩემს ზურგჩანთაში დევს და მასზე პასუხისმგებლობას არასოდეს გავუბრუნებ, რადგანაც ასე მხოლოდ ლაჩრები იქცევიან. ლაჩრებს კი მოგვიანებით – ლიტერატურაში, ისტორიისა და რეალურ ცხოვრებაშიც, ბევრს შეხვდები. დააშავებ რამეს? – ისწავლე საკუთარ შეცდომაზე, მწარე გაკვეთილად მიიღე ის და აღარასოდეს გაიმეორო, მაგრამ არამც და არამც არ უარყო საკუთარი საქციელი და არც პასუხისმგებლობა აირიღო თავიდან.

წლების შემდეგ, ვინმე – მეზობელი, ნაცნობი, წვეულებაზე ახლადგაცნობილი გოგონა, თანამშრომელი ან იქნებ ჟურნალისტი, აუცილებლად გკითხავს, თუ როგორ გაციანი შენი საუკეთესო მეგობარი. დამიჯერებ? – ამაზე ფიქრში ღამეები მითენებია და ვერაფრით გავიხსენე, როგორ გაციანი, მაგალითად, ირაკლი ისაკაძე – კლასელი, რომელსაც თითქოს სარკეში ჩახედვის დროს ვხედავ, 19 წელია ერთად ვართ. ნუ შეიქმნი წარმოდგენას თანაკლასელებზე იმის მიხედვით, თუ რამდენად ღამაში კედები ან მაისური აცვიათ მათ (ასე მხოლოდ მათი მშობლების ჯიბეზე შეიძლება წარმოდგენის შექმნა), უმჯობესი იქნება, მიხვიდე და პირდაპირ ჰკითხო: „რომელი სუპერგმირი ხარ?“ – თუკი დაუფიქრებლად გიპასუხებს, ესე იგი მასთან მეგობრობა შეიძლება.

მეხუთე კლასში რომ გადავედი, პირველი სართულიდან მეორეზე ამოვბარგდით – დირექტორის მისაღების წინ. ჩვენმა ახალმა დამრიგებელმა ბიოლოგიის კაბინეტი დაგვითმო. ეს იყო ალბათ ყველაზე მოწესრიგებული, დალაგებული და ნიშნუებით სავსე საკლასო ოთახი მთელ შენობაში. ოთახი დაახლოებით ნახევარ წელიწადში სხვა ოთახების ინფრასტრუქტურას გავუთანაბრეთ – დავხატეთ მერხებსა და კედლებზე, ადამიანის ჩონჩხს (შეგახსენებ, ბიოლოგიის კაბინეტი იყო) ამოვაცალეთ მალები, რის შემდეგაც ჯერ ქვედა ყბა მოვატეხეთ, შემდეგ კი – ხელები მოვამტვრიეთ. ბოლოს პარკეტიც ავყარეთ. დამიჯერე, თუკი ცხოვრებაში რამის ძალიან მრცხვენია, ალბათ

სწორედ ეს საქციელია. ხანდახან, როცა ლალი ყიფიანს (მაშინდელ დამრიგებელს) ქუჩაში ვხვდები, სურვილი მიჩნდება, რომ 1000 ბოდიში მოვუხადო ამის გამო, მაგრამ, როგორც წელან გითხარი, ყველაფერი – კარგიცა და ცუდიც ზურგჩანთაში მიდევს და ამ სირცხვილის გრძნობასაც ბოლო ამოსუნთქვამდე მივიტან.

შენს მოწაფეობრივ ცხოვრებაში იქნება წლები, როცა სახლში ყველაფერი დაგრჩება ფიზკულტურის (მგონი ახლა სპორტის ჰქვია) ფორმის გარდა. ერთი სული გექნება, რომ ზარი დაირეკოს, რათა დარბაზის გასახდელ ოთახამდე ყველას მიასწრო. ცხადია, ამაში ცუდი არაფერია. აი, მე კი, ფიზკულტურის გაკვეთილზე ყოველთვის ეს ამბავი მახსენდება: მეშვიდე კლასში ვართ. დარბაზთან ვდგავართ. კარი დაკეტილია. მასწავლებელი იგვიანებს. ისე ვხმაურობთ, ლამის ჭერს ვიმხოთ თავზე. ვყვირით, ვბტუნაობთ და გაუქმებული ბუფეტის კარს, რომელსაც ისედაც ძლივს უდგას სული, ფეხებს ვურტყამთ. უცებ, თითქოს ციდან ჩამოვარდაო, ნანა მასწავლებელი წაგვადგა თავზე და ხელში სწორედ ის მოიგდო, რომელიც ცელქობით გამოირჩეოდა – თორნიკე სადილიანი. ჩვენ გადავრჩით, თორნიკე კი – დირექტორთან წაიყვანეს. კრება გავმართეთ, რა ვქნათ, რით ვუშველოთო, შეიძლება გარიცხოთო, დედამისს დაურეკავებოთ, ისაო, ესაო. იქამდე ცოტა ხნით ადრე ერთი ყმაწვილის ისტორია მქონდა მასწავლებლისგან მოსმენილი – თავისი მეგობრები ბოროტ კაცს დაუტყვევებია და ტანზე თაფლწასმულები მზის გულზე (აი, შუადღისას ჩვენი საშრობის კიდესთან როა ისეთ სიცხეში) გაუკრავს მიწაზე. ამას კიდევ უთქვამს, როგორც ჩემი მეგობრები იტანჯებიან, ისე უნდა დავიტანჯოო, მისულა, ტანსაცმელი გაუხდია და მეგობრებთან ერთად დამჯდარა (ამ ყმაწვილს ცოტნე ერქვა – მერე წაიკითხავ ამაზე). ამ ისტორიით შთაგონებული დირექტორის კაბინეტისკენ გავემართე. მეშინოდა, მუხლები მიკანკალებდა, მეთირებოდა, მაგრამ მაინც შევედი. „მურმანი მასწ, მეც ვურტყამდი კარს ფეხებს“ – ვუთხარი დირექტორს, რომელმაც სათვალის ზემოდან გადმოხედა. სადილას სახე გაუბრწყინდა და ჯიგარი ხარო – თვალებით მანიშნა. მურმანი მასწავლებელმა მოგვატყუა, პოლიციაში ვრეკავ და დაკავებაო, ამიტომაც ხელწერილები იკმარა.

გგონია ამ ამბავს იმიტომ გიყვები, რომ თავი გმირი მგონია? – არა. სულაც არა. უფრო სწორად, მაშინ მეგონა, მაგრამ ახლა ეს ისტორია ჩემი ზურგჩანთის იმ ჯიბეში გადავდე, სადაც სამარცხვინო ამბებია მოთავსებული. მეგობრის თანადგომას არაფერი სჯობია, მაგრამ ხანდახან, როცა პრობლემა შე-

გექმნება, შეეცადე კადრები უკან გადაახვიო ხოლმე და დაინახავ, სად დაუშვი შეცდომა. შეცდომა და სწორი საქციელი ხშირად რთული გასარჩევია, ამიტომ შენს ენაზე აგისხნი: როცა კარს ფეხებს ვურტყამდით, ჩვენ ვიყავით მწვანე გობლინები და არა ადამიანი ობობები; ამ დროს ჩვენ ბოროტ ბეინს უფრო ვგავდით, ვიდრე ბეტმენს. მწვანე გობლინი და ბეინი კი, როგორც ამთავრებენ ხოლმე, ჩემგან არ გესწავლება.

კიდევ ბევრი პერიოდი დაგიდგება სკოლაში სწავლის დროს – შატალო-ების პერიოდი, მოწონებულ-შეყვარებულობის პერიოდი, აბიტურიენტობის პერიოდი. აქ არ არსებობს რეცეპტები. აქ ვერავინ ვერაფერს გირჩევს – ისე უნდა მოიქცე, როგორც გული და სინდისი გიკარნახებს. მთავარი იცი რა არის? – კითხვები დასვი. დაუსვი კითხვები მასწავლებლებსაც და საკუთარ თავსაც. არ მოგერიდოს, რომ არასწორად გაგიგებენ, ან სულაც – ვერ გაგიგებენ. თუკი ვინმე პასუხს ვერ გაგცემს, ჩათვალე, რომ ესეც პასუხია.

იმედი მაქვს, რომ ლიტერატურის სიყვარულში დამემსგავსები და არა ფიზიკურად.

ერთსაც მოგიყვები და ჩემით წავალ: 172-ე სკოლის შენობა, რომელშიც მე და მამაშენმა 11-11 წელი გავატარეთ, აჭრელებული იყო კურსდამთავრებულთა სახელებით. ისე მოხდა, რომ ჩემი კლასის გამოშვების წელს, სკოლა შეღებეს და მოაკოხტავეს. როცა ბოლო ბარი მოახლოვდა, ჩვენ დიდი თათბირი მოვაწყვეთ და ყველამ – ოროსნებმა, ხუთოსნებმა, ცელქებმა, წყნარებმა, აღრიცხვაზე აყვანილებმა, სპორტსმენებმა, მოცეკვავეებმა – გადავწყვიტეთ, რომ კედლებზე არცერთი სახელი არ დაგვეწერა. რატომ? იმიტომ, რომ არსებობს ზედაპირები, რომლებზეც თუკი საკუთარ ინიციალებს არ ამოტვიფრავ, შენი სახელი უფრო დიდხანს ემასსოვრებათ.

იფიქრე ამაზე.

სწავლის დაწყებას გილოცავ!

რა აინტერესებს მას, ვისაც არაფერი აინტერესებს

მამაჩემი დარწმუნებული იყო, რომ რაგბიში ვერ ვივარგებდი. „ეს, შენი საქმე არ არის. მიაწეჩი იმას, რაც კარგად გამოგდის – ისტორიას, ლიტერატურას. ამათ დაძრავ, იმ დათვებს – ვერა“ – ამბობდა ის. ზურაბი წინააღმდეგი იყო, რომ ჩვენი უბნის გუნდის – „მგლები“ წევრი გავმხდარიყავი. გულის სიღრმეში მამაჩემს ვეთანხმებოდი. ბავშვობიდან ტლანქი, მოუქნელი და არასპორტული ვიყავი, მხედველობის პრობლემები მქონდა, მშიშარაც გახლდით – სიბნელისა და უშველებელი გველის – ანაკონდასი მეშინოდა. ამ მოუქნელობისა და შიშების პარალელურად, რაგბის შიდა სამზარეულო არაადამიანურად მაინტერესებდა. უფრო ზუსტად კი – ცნობისმოყვარეობა მკლავდა, თუ რა გრძნობა გეუფლება, როცა შენი ქვეყნის ჰიმნის დროს, მხარბეჭდაფსკვნილი დგახარ გუნდელებთან ერთად და ათიათასობით ქართველი მოგჩერებია; როცა კომეტასავით მოწყვეტილ მოწინააღმდეგეს მიწაში თავით ჩაარჭობ და ალტკინებული სტადიონის ზმუილი გაგაყრუებს; როცა მოწინააღმდეგის ჩათვლის მოედანში მკლავში ამოჩრილი ბურთით შესრიალდები და ტრიბუნა დაინგრევა; როცა რუსეთის ნაკრებს დაამარცხებ და მოედანს საპატიო წრეს დაარტყამ.

მამაჩემს უნდოდა, რომ ამ ინტერესის დაკმაყოფილებაზე უარი მეთქვა. ზუსტად ასე – სანაგვეზე მიმეყარა ყველა ის ოცნება, რომელიც საქართველოს ნაკრების თამაშიდან თამაშამდე ჩემს ტვინში აკუმულირდებოდა. ეს არასამართლიანი იყო. მამის ეს აკრძალვანარევი სურვილი ჩემს გონებაში შლიდა ყველა იმ კონტრუს, რომელიც იქამდე გამეგლო. მე თავიდან ბოლომდე ვაცნობიერებდი, რომ რაგბის სათამაშოდ არანაირი ნიჭი არ გამაჩნდა, უბრალოდ, აინტუინის მსგავსად, ვიყავი ვირივით ჯიუტი და მკლავდა ცნობისმოყვარეობა. მორაგბეობის სურვილი ძალიან დიდხანს დუღდა ჩემში საიმისოდ, რომ უარი მეთქვა მასზე. მით უმეტეს, რომ ჩვენი უბნის ჩემპიონ გუნდში თამაშობდნენ ბორა აბაშიძე და ზვიად ესართია – ჩემი პარალელური კლასელები, რომლებიც მერეოდნენ და მჩაგრავდნენ. არა! მე არ მინდოდა შურისძიება, ეს გრძელვადიანი პოლიტიკური გათვლებით არასწორი ნაბიჯი გამოვიდოდა.

ზავის დადება ბევრად მომგებიანი იქნებოდა. მათ გუნდში შესვლა კი ამისთვის ზედგამოჭრილი გამოსავალი იყო.

„მე მაინტერესებს“ – ვუთხარი მამას. მან სწორი გადაწყვეტილება მიიღო – არ ამიკრძალა, მაგრამ არც დამლოცა. ასე გაჩნდა ჩემი მეორე ცხოვრება, რომელშიც დედა და ბებია მეხმარებოდნენ. „თუკი ასე ძალიან გინდა, სცადე, რატომაც არა“ – მითხრა მანანამ. სწორედ ისინი მაძლევდნენ ყოველთვიურ საწევროს – 10 ლარს. პირველსავე ვარჯიშზე, რომელიც დათქმულზე დიდხანს გაგრძელდა, შეშინებულმა დედაჩემმა მომაკითხა, როცა შინ დროულად არ დავბრუნდი. მან ვარჯიშის დასასრულს დარბაზში შემოიხედა, რამაც მთელი გუნდის ყურადღება მიიპყრო. ალბათ ეს იყო სპორტის ისტორიაში კარიერის ყველაზე ცუდი დასაწყისი. „შენ ზედმეტად ბევრი იწვალე აქ მოსახვედრად, რომ ამ უხერხულობის გამო დათმო ის“ – ვუთხარი საკუთარ თავს და გუნდელს დავუბრუნდი, რომლებმაც აღმაცერად შემომხედეს.

ნელ–ნელა ვავაცნობიერე, რომ ჩემს ცნობისმოყვარეობას, ინტერესებსა და ოცნებებს კიდევ ერთი დიდი გამოწვევა – მამაჩემის გაოცება და მისი კაპიტულაცია დაემატა. არ ვაგვიანებდი ვარჯიშებზე, ძუნძულის დროს ბოლომდე ვიტანდი წვივების ჯოჯოხეთურ ტკივილს, ვცდილობდი, ბურთი არ დამეგრძნოდა და მწვრთნელს, გია ამირხანაშვილს, ჩემ გამო მთელი გუნდი არ დაესაჯა. ვარჯიშის დაწყებიდან ორი თვის თავზე ჩემთვის გასაკვირი რამ მოხდა. სახლიდან გასვლის წინ ეზოდან ჩემი სახელი მომესმა. როცა შეექცეს სართულიდან გადავიხედე, ბორა და ზვიადი დავინახე, რომლებმაც, როგორც აღმოჩნდა, გამომიარეს, რათა ვარჯიშზე ერთად წავსულიყავით. პირველად სწორედ მაშინ ვიგრძენი თავი გუნდის წევრად. ბორა გუნდის კაპიტანი იყო. გზაში მან რჩევები მომცა და შემაგულიანა – გია ძირითადად დაყენებას გიპირებს და აბა, შენ იციო. არის მომენტები, როცა ადამიანს სრული ბედნიერებისთვის მეტი არც არაფერი სჭირდება. იმ ვარჯიშზე რკინას ვლრღნიდი, დავფრინავდი, რაქს ვპარსავდი, მოლს ხარივით ვაწვებოდი. ასე გაგრძელდა რამდენიმე ვარჯიშის განმავლობაში, სანამ არ მივხვდი, რომ ჩემპიონების გუნდში მე ვერასოდეს გავხდებოდი ძირითადი მოთამაშე, რადგანაც მქონდა შიში, რომელსაც ვერასოდეს დავძლევდი. შექება კი ბორასგან მოდიოდა და არა მწვრთნელისგან. ამ დროს კი მივხვდი, რომ ჩემი ყოფილი იდეური მტრები უკვე მეგობრები იყვნენ. მე მაშინებდა გიორგი ცირეკიძე, რომელიც აისბერგით მოიწვედა ხოლმე ჩემკენ და არასოდეს მყოფნიდა სიმამაცე პირდაპირ დავხვედროდი. რაგბიში კი ეგეთი კანონია – შეიძლება კუნთი კანს არ გიხეთ–

ქავდეს, მაგრამ თუ მოწინააღმდეგის გეშინია – ვერც შელოცვა გიშველის და ვერც ცისკარას სალამური.

მოგვიანებით, ერთი ვარჯიშის დროს მორიგი საკვირველება მოხდა. მოთელვისას მოედნის განაპირას მამაჩემი დავინახე. ის არ ჰგავდა კაცს, რომელმაც შვილის შესაძლებლობის ირწმუნა; ის ძალიან ჰგავდა მამას, რომელმაც შინაგანი ბრძოლების შემდეგ გადაწყვიტა, რომ აჯობებს შვილს თავი ასე მოაჩვენოს. ერთხელაც, თამაშის წინა დღეს, მან ბაზრობაზე წამიყვანა და 14 ლარიანი, შავი ბუცები მიყიდა. იმ მომენტისთვის ყველაზე მაგარი ბუცები დედამიწის ზურგზე. ყოველ შემთხვევაში ჩემთვის. ბუცები, რომელთა ჩაცმაც ყველაფერზე მეტად მინდოდა და რომლებიც საბოლოოდ ვერ ჩავიცვი, რადგანაც ჩემს გუნდელს, ძირითადის მოთამაშეს დავუთმე, მან კი თავისები – ძველისძველი, დიდი, მოფლაშული, გვერდებში გახეული მწვანე ბუცები მომცა. ბედის ირონიით, ამ ფინალურ თამაშში, მატჩის დასრულებამდე 3 თუ 4 წუთით ადრე, როცა დიდი ანგარიშით ვიგებდით, მწვრთნელმა მოედანზე შემიშვა. ეს ჩემი შანსი იყო, ტრიბუნაზე მდგომი ზურაბ გორგილაძისთვის რაიმე დამემტკიცებინა. მე ბაბაჯანას ვგავდი და მთელი ძალით, თუმცა სასაცილოდ დავბროდი. სიამოვნებით გეტყოდით ფინალურ თამაშში ლელო გავიტანე მეთქი, მაგრამ არ მინდა, უსინდისო მატყუარას სახელით მიცნობდეთ. საერთოდაც, თითქმის სამწლიანი სარაგბო კარიერის მანძილზე, მხოლოდ ერთი ლელო დავდე. ვარჯიშის დროს, როცა ბურთი ყველას აუტბე გადასული ეგონა. მე ის ავიტაცე და ისე გავიქეცი, თითქოს უკანასკნელი გაქცევა ყოფილიყო. თამაში მოვიგეთ. უფრო ზუსტად კი ჩემმა გუნდელებმა მოიგეს. მე უბრალოდ სწორ დროსა და სწორ ადგილზე აღმოვჩნდი. სანამ მოწინააღმდეგის მიერ გაკეთებულ საპატიო დერეფანში გამოვივლიდი, გუნდელებს მოვეფარე, მიწიდან მუჭით ტალახი ავიღე, მაისურსა და შორტზე წავისვი და გზა გავაგრძელე. შინისკენ მიმავალს კი მამაჩემმა მითხრა: „შენი ბუცები რომ გცმოდა, უკეთ ითამაშებდი“.

იმის მიუხედავად, რომ ჩემი შეცდომის გამო მთელ გუნდს არაერთხელ ურბენია მოედნის დიაგონალებზე, არასოდეს, არცერთი მათგანისგან არ მიგრძნია, რომ ზედმეტი ვიყავი. ბორა აბაშიძე და ზვიად ესართია ჩემი საუკეთესო მეგობრები გახდნენ, რომლებსაც ვენდობი და რომელთა იმედიც ყოველთვის მაქვს. იმ ფინალიდან წლების შემდეგ, რამდენიმე თვის წინ, როცა ვიფიქრე, რომ ჩემი მორაგბეობა ჩემ გარდა ყველას დაავიწყდა, მათ შორის ოჯახის წევრებსაც კი, სამსახურში ყოფნისას, გაქანებული მუშაობის დროს, იმ გუნდელმა დამირეკა, რომელსაც მაშინ მსოფლიოში საუკეთესო, 14 ლარიანი

ბუცები ვათხოვე. ძველი „მგლები“ ვიკრიბებით, უნდა ვიქეიფოთო. იმ წამს მომეჩვენა, რომ ხალხს შეიძლება უყვარდე და გაფასებდეს არა შენი უპირატესობებისა და სიძლიერის გამო, არამედ ისე, უბრალოდ; ისინი შეიძლება გუნდის ნაწილად აღგიქვამდნენ მაშინაც კი, როცა ამ გუნდისთვის არაფერი გაგიკეთებია; ისინი შეიძლება მგლად მიგიჩნევდნენ იმ შემთხვევაშიც, თუკი მგლისა არაფერი გცხია. ქეიფში ვერ წავედი. იმ გახსენებისგან გამოწვეული სიხარული კი დღემდე მომყვება.

„მე მაინტერესებს“ – მგონია, რომ სწორედ ამაზე დგას და ამით მუშაობს ყველაფერი. იმასაც კარგად ვხვდები, როცა ალარაფერი დამაინტერესებს, ჩემი ცხოვრება იმ წამსვე დამთავრდება, თუგინდ მას შემდეგ კიდევ მრავალ წელს ვიცოცხლო. 14 მარტს, საქართველო-რუსეთის ჯახის დროს, ჩემ უკან მამა-შვილი იჯდა. ერთ მომენტში, როცა სტადიონი ჩაწყნარდა, შვილის ხმა გავარჩიე: „მამა, რეგბიში მატარებ?“ – აი, ასე, არაგრამატიკულად, გაუმართავად, მაგრამ სავსებით გასაგებად. მამის პასუხი ვეღარ გავიგე და მართალი გითხრათ, ჩემი გამოცდილების მქონე კაცისთვის არც იყო საინტერესო.

შეიძლება იმ ბიჭმა როდესმე ეს წერილი წაიკითხოს, მაგრამ მაშინ, ალბათ, გადაწყვეტილების მიღება უკვე გვიან იქნება. ეს წერილი უფრო მშობლებისთვისაა. მიეცით უფლება თქვენს შვილებს, ცნობისმოყვარეობა დაიკმაყოფილონ. აკრძალვას აზრი არ აქვს, ისინი კანში მაინც ვერ დაეტევიან, რადგანაც მათ აინტერესებთ. აინტერესებთ და მორჩა. ცალკე საკითხია, როგორი მორაგებები, ფეხბურთელები, მოჭიდავეები და ჩოგბურთელები გახდებიან. შეიძლება ჩემსავით გამოუსადეგარი სპორტსმენები გამოდგნენ. ვინ თქვა, სუსტი მუხლის ან მკლავის გამო, ადამიანის ჩამოწერა შეიძლებაო. ჰო, დიდი შანსია, რომ მათ ვერასოდეს შეძლონ რუსეთისთვის გატანილი ლელოთი ტრიბუნების აფეთქება.

მერე რა?

გზაზე ერთი ბიჭი მიდიოდა

დილით მანქანაში წყალი ჩავამატე. ავზიდან აპარებს და ყოველ დილით თუ არ შეავსე, პატარა საცობში მოხვედრისთანავე აადულებს. მიტირეთ მერე. ამასობაში ქარმა თავისი ქნა და კაპოტი, რომელიც ბოლო დროს რევმატული მოხუცივით დაჯდომას ითხოვს, თავზე დამანარცხა. ძალიან გავმწარდი. ასე დადარდიანებული და თავატკივებული დავიძარი სამსახურისკენ. იქამდე მისასვლელად ცხრა არა, მაგრამ ერთი ზღვის გადალახვა კი მიწევს, თუმცა იმასაც ნახევრად ზღვა ეთქმის. თბილისისას ვგულისხმობ, ცხადია.

ჭიჭა პაპას ღუქანს გავცდი თუ არა, სპორტულებში ჩაცმული, ზურგიანთა-მოკიდებული ბიჭუნა დავინახე, რომელსაც პირი თემქისკენ ეჭირა. ხანდახან, როცა ძლიერად დაუბერავდა, შემოტრიალდებოდა და ზურგს აგებებდა ქარს. დამინახა თუ არა, ხელი უიმედოდ დამიქნია. უიმედოდ-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ თბილისის ზღვის განაპირას ერთი კინკილა ავტობუსის გარდა არაფერი დადის. აქ გაყოლის მსურველი ძალიან ბევრია, მანქანის გამჩერებელი – ძალიან ცოტა. კეთილი სამარიტელის იგავს ჰგავს ვაზისუბნიდან თემქამდე მანქანით მისვლის ამბავი... არც დავფიქრებულვარ, მექანიკურად გავაჩერე, რადგან გონებაში ერთი ძველისძველი ამბავი ამომიტივტივდა:

წინა საუკუნეში, ერთ-ერთი აღდგომის მომდევნო დღეს, მუხათგვერდ-ში, ბაბუაჩემის საფლავზე წავედი. მაშინ მანქანა არ გვყავდა. რაის მანქანა, თქვენი ჭირიმე. მამაჩემი თბილისში არ იყო, ამიტომ ოთხნი დავიძარი – მე, ვახო, დედა და ბებია. მაშინ უბრალო ხალხისთვის მუხათგვერდის სასაფლაოზე ასვლა-ჩამოსვლა ორადრუინის, ცეცხლოვანი მთის გულში ბეჭდის ჩადების ტოლფასი გახლდათ: დიდუბის მეტროსადგურთან მდგომი დარდით სავსე დანჯღრეული ავტობუსები და სამარშრუტოები, ჭყლეტა, შავებში ჩაცმული თავდახრილი მოხუცები, მამაკაცები საფლავზე დასარგავი ყვავილების ნერგებით, კილომეტრიანი საცობები, სიცხე და ჩახუთულობა. უკანა გზაზე თავსხმამ მოგვისწრო, გავილუმპეთ. ბაბუას საფლავიდან ავტობუსების გაჩერებამდე შორი გზაა, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ იყო, მივბაჯბაჯებდით. ამ დროს მალალ ნაძვებსა და წვიმისგან მოლაპლაპე საფლავის ქვებს შორის

თეთრი „ვოლგა“ გამოჩნდა. იქაური ორმოების გადამკიდე, ნელ-ნელა მოდიოდა და ისე ირწეოდა, როგორც ტალღებზე გემი. რაკი ჩვენ უკაცრიელ კუნძულზე გარიყულებს ვგავდით, ეს ეპიზოდი კი არ ჰგავდა ჰოლივუდური ფილმის ბედნიერ დასასრულს, წესით, გემბანზე მყოფებს ვერ უნდა შევემჩნიეთ, რაგინდ ხელები გვექნია, მაგრამ ამ იგავს სხვანაირი გაგრძელება აღმოაჩნდა. კარგ ანდაზასავით ან ლექსივით ვიხსენებ სიტყვებს, რომლებიც მძლოლმა გვითხრა მას შემდეგ, რაც დასახლებამდე მიყვანა შემოგვთავაზა: „ასე მასწავლა მამამ“, – თქვა მან. წარმოდგენა არ მქონდა, ვინ იყო მამამისი, მაგრამ მივხვდი, კარგი კაცი უნდა ყოფილიყო.

ამ ამბავმა მაიძულა, სპორტულებიანი ბიჭუნასთვის მანქანა გამეჩერებინა. რა დასამალია, ამ გზიდან აქამდეც გამიყოლებია მგზავრი და ის უცნაურად ჩაცმული შუახნის ქალი იმდენად დიდი იმედგაცრუება აღმოჩნდა, რომ კეთილ სამარიტელობაზე ხელი ამაღებინა. მახსოვს, გაუგებარი სიტყვებით ლოცულობდა, უშინაარსო სურვილებს აფრქვევდა და ბოლოს მითხრა, რუსებს პატიება უნდა ვთხოვოთ, მე ყოველდღე ვლოცულობ მათთვისო.

აი, ბიჭი კი თავაზიანი ვინმე აღმოჩნდა. „გმადლობთ, რომ გამიჩერეთ“, – მითხრა, სანამ მანქანაში ჩაჯდებოდა. ასე გასაკვირია-მეთქი? ამ გზაზე თითქმის ყოველდღე დავდივარ და იშვიათად, ვინმემ გამიყოლოსო.

– საით მიდიხარ? – ვკითხე, თავი უხერხულად რომ არ ეგრძნო.

– დევნილთა დასახლებამდე გამოგყვებით.

– კაი, ბატონო.

– ეს რომელი BMW-ა?

– ყველაზე ბანძი, – ალაღლად ვუთხარი.

– ბანძი BMW მე არ გამიგონია, – ნალვლიანად მიპასუხა.

ალარ ვიცოდი, გამხარებოდა თუ დავდარდიანებულიყავი. ერთი მხრივ, ბოლო სამი წლის განმავლობაში პირველად შეაქეს ჩემი მანქანა, მეორე მხრივ კი გვერდით მეჯდა ბავშვი, რომლისთვისაც ეს შავი, გასარეცხი ჯართი მაგარი და, დიდი ალბათობით, სანატრელი რამ იყო. დასახლებასთან ჩამოსვლისას ბიჭმა მითხრა: „როცა BMW მეყოლება, მეც გაგიჩერებთ და წაგიყვანთ, სადაც გენდომებათ, დიდი მადლობა, რომ წამომიყვანეთ, კეთილი მგზავრობა“. პასუხის მოსაფიქრებლად იმდენი ხანი დამჭირდა, მხოლოდ თავი დავუქნიე. ბიჭუნას ალაღმა, გულიდან წამოსულმა დაპირებამ დენი ბოილის ფილმის „მილიონერი ღარიბთა უბნიდან“ ეპიზოდი გამახსენა: ჯამალ მალიკი ძველ ნაცნობს შეხვდება, რომელსაც მამანმა თვალებში ცხელი ტყვია ჩაასხა და ახლა მიწის-

ქვეშა გადასასვლელში მღერის მოწყალებისთვის. ჯამალი მას 100 დოლარს მისცემს, ბიჭი კი დამშვიდობებისას შეჰპირდება ერთადერთს, რისი გაკეთებაც მადლობის ნიშნად შეუძლია: „შენს დაკრძალვაზე ვიმღერებ“.

იოლი მისახვედრი იყო, რომ წესიერი და შრომისმოყვარე ადამიანი გავიცანი, რომელიც ყოველდღე, ზურგჩანთამოკიდებული, ფეხით გადის მრავალ კილომეტრს და იშვიათად, რომ ვინმემ ჯაფა შეუმსუბუქოს. მერედა, გიფიქრიათ, რამდენ საინტერესო ადამიანთან შეხვედრის შანსს ვკარგავთ ყოველდღე? რამდენ საინტერესო საუბარს გავუზრდევართ განგებ? რამდენ მანქანას არ ვაჩერებთ, როცა შებინდებულზე, ან თუნდაც დღისით, მარტო მიმავალ მგზავრს დავინახავთ? იცით, რატომ? მგონი იმიტომ, რომ გვეშინია. გვეშინია, ვინმე ოხერი მამაძაღლი არ აღმოჩნდეს და შუბლზე რევოლვერი არ მოგვაბჯინოს, საფულე არ წაგვართვას და თუ გავუძალიანდით, თვალებს შორის ცხელი ტყვია არ დაგვაჭედოს. გვეშინია და ამ შიშში გადის დრო. მერე კი, როცა ვხვდებით, რომ სინამდვილეში საშიში არაფერია, უკვე სქელია ჩვენი კანი, მერე უკვე ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია, მერე უკვე ნაჭუჭში ვართ, რომლის გამომტვრევაც, როგორც ამბობენ, ჩვენს ძალებს აღემატება. მერე ზვიად რატიანი ამომიტივტივდება გონებაში:

„ჩვენ, ვინც არასდროს ვეზიდებით სხვების ჩემოდნებს.
არც სხვას დავიხმართ, მით უმეტეს – თუა ნაცნობი;
ვინც მუდამ ვცდილობთ, არავისგან გავირჩეოდეთ
არც სისუსტით და, მთავარია, არც ვაჟკაცობით“.

ჩვენ შევნატრით არაჩვეულებრივ ადამიანებს, თავად კი თავდაუზოგავად ვცდილობთ, ვიყოთ ჩვეულებრივი ადამიანები. ასე იბადებიან, ცხოვრობენ და იხოცებიან მექანიკური არსებები, რომლებსაც ხანდახან საკუთარი ჩრდილისა და კი ეშინიათ. ისინი ურთიერთობას გაურბიან. ასეთ, ჩვენნაირ ადამიანებზე ფიქრის დროსაც „ნეგატივი 20 წლის შემდეგ“ ტივტივებს ზედაპირზე:

„და ჩვენ არასდროს გამოვალთ გარეთ,
ხმას აღარასდროს შევუერთებთ შეშლილ ფანტომებს,
მთელ უკვდავებას მრავლისმეტყველ დუმილში გავლევთ
და არსად, გარდა სიზმრებისა, კვალს არ დავტოვებთ“.

ასპროცენტინია ეს კაცი.

სად არიან შვილები? შვილები სად არიან?

თავის დროზე, მაკოლეი კალკინი რომ ვარსკვლავი იყო, ვარსკვლავი ისეთი უნდა – 1990-ანების კუმირი, რომლის პერსონაჟისაც ყველა ვაზისუბნელ ბავშვს გვშურდა. ბავშვი, რომელსაც ყველაფერი ჰქონდა: საკუთარი ოთახი დიდ, ლამაზსა და კეთილმოწყობილ სახლში (მგონი მაშინ პირველად გავიგე, რომ ბავშვს შეიძლებოდა თავისი ოთახი ჰქონოდა); ყველანაირი სათამაშო; ტირის თოფი; ნაირ-ნაირი ტანსაცმელი... მაგრამ თავგადასავლები უყვარდა. ამ სიყვარულის გამო დაამახსოვრა თავი მსოფლიოს..

„მარტო სახლში“, რომელსაც კრის კოლუმბუსმა საბავშვო ფილმოზა დაანათლა, სინამდვილეში ყველა ასაკის მაყურებლის კინო აღმოჩნდა. მისი მთავარი გმირის – კევინ მაკალისტერის როლის შემსრულებელი მაკოლეი კალკინი მაშინ ათი წლის ბიჭი იყო, ახლა ოცდათოთხმეტისაა და დიადი, თუმცა ხანმოკლე კარიერის მიუხედავად, არცთუ იშვიათად, დეპრესია უტევს ხოლმე.

90-იანების შუაწელში მაკოლეი დაიკარგა. სულ მეფიქრებოდა, სად წავიდა ეს ბიჭი. მოგვიანებით, როცა გადაკარგული ვარსკვლავის ასაკი ხალხმა პირველი კლასის არითმეტიკის დახმარებით გადათვალა და მიხვდა, რომ მან სრულწლოვანებას მიაღწია, ჭორებმაც არ დააყოვნა და ხან ის მესმოდა, გამოუსწორებელი ნარკომანი გახდაო, ხანაც თავის მოკვლა სცადაო. ცოტა ხნის წინ კი, სულაც ის ამბავი გაავრცელეს წონიანმა მედიასაშუალებებმა, რომ მაკოლეი ნარკოტიკის ბედობირებით გარდაიცვალა.

„საკუთარ თავზე უამრავი ჭორი მსმენია. ერთხელ ჩემი ადვოკატი მირეკავს და მეუბნება: „ოჰო, მაკ, ისევე ცოცხალი ხარ? მე კი ვპასუხობ: „კი, რა თქმა უნდა, დივანზე ვზივარ“. „ახლა დამირეკეს CNN-დან, მითხრეს, რომ ნარკოტიკების ბედობირებით დაიღუპე“ – მითხრა ადვოკატმა“. ეს ციტატა ჟურნალ Esquire-ის ელექტრონულ ფურცლებზე, მაკოლეი კალკინის ინტერვიუში წავიკითხე და ამ 34 წლის ბავშვის შესახებ ბევრი რამ გახდა ჩემთვის ცხადი. ისიც კარგად გავიგე, სად დაგვეკარგა, რა გზას დაადგა. ეს ინტერვიუ ერთდროულად ღიმილისმომგვრელი და ნაღვლიანი წასაკითხი აღმოჩნდა ჩემთვის.

არადა, ეს პათიოსანი კაცი, თურმე, ჩვეულებრივი ცხოვრებით ცხოვრობს. იმას სუნთქავს, რასაც ჩვენ – ვაზისუბნელი ყოფილი ბავშვები. ძაღლებს ასეირნებს, თევზებს აჭმევს, ხანდახან სადილს ამზადებს და ზოგჯერ იმ ადამიანებსაც ხვდება, ვინც მისთვის ძვირფასია, მაგრამ წითელ ხალიჩასა და ვიდეოკამერებს ხომ ეგეთი თავისებურება ახასიათებთ, თუ ზედ არ გადაუვლი, ან თვალში არ გაეჩხირები, ცოცხლად აღარ გთვლიან. ალბათ ჰგონიათ, რომ ერთხელ თუ გაუგე გემო წითელ ხალიჩას, მერე უიმისოდ ცხოვრებას აზრი აღარ აქვს, ანუ მოკვდი.

„მე არ მქონდა შანსი, ბავშვი ვყოფილიყავი. 14 წლის ასაკში კი პენსიაზე გავდი. ადამიანთა უმეტესობისთვის მე ისევ ბავშვი ვარ. ეს ერთდროულად დალოცვაცაა და წყევლაც“ – Esquire-თან ინტერვიუში ამბობს მაკოლეი. ისე ხდება, რომ საქართველოში უცხოელების მაგალითების გათვალისწინება უჭირთ ხოლმე. ხშირად ისინი უცხოქვეყნელებად კი არა, უცხოპლანეტელებად უფრო ესახებათ. ჰგონიათ, რომ უცხოელების თავის ქალა სხვანაირია. იქ სხვანაირად უყვართ და, რაც ჩვენთვის უფრო მთავარია, სხვანაირად სძულთ. ამიტომაც, ჩვენებს ხანდახან ჰგონიათ, რომ უცხოური ამბები ქართულ თარგზე არ იჭრება. არადა, ამ ქვეყანაშიც ბევრი მახსოვს ნაადრევად დაბერებული, ამოსვლავერმოსწრებული ჩასული ვარსკვლავი.

ასე იყო თუ ისე, იმ ავბედით ხანაში, ღორდი ვოლდემორის სახელის მსგავსად, მის ხსენებასაც რომ ვარიდებთ ხოლმე თავს, ქართულ შოუ-ბიზნესს პულისი ესინჯებოდა. ხარისხი, უფრო კი უხარისხობა ცალკე დასაწერი თემაა (მე ამის სპეციალისტი არ ვარ). ამჯერად, მხოლოდ პულისის არსებობა-არარსებობაზე ვწერ. იმ დროს, როგორც მარკეტოლოგები იტყვიან, ბაზრის პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი ნაწილი, სწორედ მცირეწლოვან მომღერლებს ეჭირათ. ცნობილი ჯგუფები დუეტებს წერდნენ მათთან (თავს ვერ დავდე, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა იმის გამოც, რომ ამის სანაცვლოდ ვიდეოკლიპების გადაღების ხარჯების დაფარვას ამ ბავშვების ოჯახები კისრულობდნენ).

მერე? სად არიან (ახლა) შვილები? შვილები სად არიან? – მუშაობენ, შრომობენ, იღწვიან, უსაქმურობენ... ოღონდ არა იმ საქმეში, საიდანაც ისინი ხალხმა გაიცინო და ბევრი შეიყვარა კიდევ. შეიძლება არ დამეთანხმონ (და მართლებიც იყვნენ), მაგრამ ამას პენსიაში გასვლა ჰქვია. ვინ იცის, იქნებ ქართულ შოუ-ბიზნესთან შედარებით ბევრად უფრო მაღალანაზღაურებად, მაგრამ მაინც პენსიაში.

მაკოლეი კალკინი: „რას ვეტყვოდი ჩემს შვილებს? 18 წლამდე შოუ ბიზნეს-თან საქმე არ დაიჭიროთ. მანამდე აჯობებს რაიმე სხვა ისწავლოთ. სიჩქარე საჭირო არ არის. გააკეთეთ ეს მაშინ, როცა იგრძნობთ, რომ ზრდასრულები ხართ“.

ამ კაცის სიტყვა დაიჯერება, იმიტომ, რომ ეს ყველაფერი საკუთარ თავზე აქვს გამოცდილი. არადა მშობლებს, ჩვენთანაც და სხვაგანაც, სადღაც ეჩქარებათ, რაღაცის მოსწრება უნდათ. ისინი შვილებს აძულებენ, რომ იყვნენ გამორჩეულები, იყვნენ ვარსკვლავები. შეჰყავთ სხვადასხვა სტუდიაში, რომლებსაც ყვავილების სახელები აქვთ, იხდიან უამრავ ფულს, რათა მათი შვილები რომელიღაც უცნობ არხებზე გამოჩნდნენ და სიმღერას პირი ააყოლონ. გადაცემის დაწყებამდე კი ურეკავენ მთელ სანათესაოს, რათა ნათესავებმა თავიანთ მეგობლებსაც უთხრან და ერთად უყურონ 154-ე არხზე 1 წუთიან ვიდეოს, რომელშიც მშობლებმა 5000 \$ გადაიხადეს. 5000 ამერიკული მწვანე ხომ ხუმრობა არაა. ამავდროულად კი შვილებს არ ეკითხებიან, უნდათ ეს თუ არა. ემღერებათ კი? იქნებ ხატვა უფრო აინტერესებთ.

მშობლების ასეთი სიჩქარე ხშირად იმას იწვევს, რომ მათი შვილები იძულებულნი ხდებიან, ბავშვობაშივე დაასრულონ კარიერა და დაიწყონ ახალი ცხოვრება მაშინ, როცა არ იციან, ეს როგორ კეთდება. მშობლები ზოგჯერ ვერ ხვდებიან, რომ ვარსკვლავობა ბავშვობის ასაკში ქეიფის განსხვავებული სასმისების სმით დაწყებას ჰგავს – შენს მაქსიმუმს მალე აღწევ, მარათონს სწრაფად ეთიშები და მომდევნო დღეს ქეიფისთვის აღარც ძალა და აღარც სურვილი გაქვს. თუმცა, ქართული სუფრებისგან განსხვავებით, ცხოვრებაში ეს ყველაფერი უფრო სერიოზულად და მტკიცნულად ხდება, ხოლო ნაბახუსევი გაცილებით უფრო დამტანჯველია.

სკოლის სევდა

იმ ზამთარს უთოვლოდ არ დავრჩენილვართ. ეს ერთადერთი სიკეთე იყო, რაც ბუნებამ მოგვცა. არდადეგების შემდეგ, გადავწყვიტე, ტრადიცია დამერღვია და სკოლაში დროულად მივსულიყავი. კორპუსიდან გამოსულმა აღმოვაჩინე, რომ ყველა მოსწავლე ასე მოიქცა. ჩვენ, ზამთრის უშნო ფეხსაცმელების ძირებით, ერთად ვაფუჭებდით ვაზისუბნის გზებზე დაფენილ თეთრ საფარს, რომელიც ასფალტის უსწორმასწორობას დროებით აპათიოსნებდა. ვინმეს ამ მოვლენისთვის ვერტმფრენიდან რომ შეეხედა, იფიქრებდა, რომ მკაცრი რეჟიმის კოლონიაში სადილის მანიშნებელი საყვირი გაისმა და ხალხი შენობისკენ დაიძრა. შორეულ საკნებში გამომწყვდეული პატიმრები კი დროდადრო ერთმანეთს ესალმებოდნენ. ზეციდან ეს ყველაფერი შენელებულ კადრად გამოჩნდებოდა. ზუსტად ისე, როგორც მიდიოდა ცხოვრება ჩვენს უბანში. ჩვენ გვეცვა ისევე, როგორც ტუსალებს – ძველისძველი, ნაფტალინიდან ამოღებული ქურთუკები, რომლებსაც აწყვეტილი ღილები ბარე ათვერ მაინც ექნებოდათ დაკერებული; გვეკეთა კაშნეები, რომლებზეც სახლში გვიყვებოდნენ ათასგვარ ისტორიას, რომ მოსკოვში ან ლენინგრადში იყიდეს და ციმბირში ყოფნისას სწორედ ამ კაშნემ გადაარჩინა გაყინვისგან. დავაბიჯებდით ისეთივე შენობებს შორის, როგორც ფილმებში ნანახი კოლონიური ინფრასტრუქტურა გამოიყურება. ნაცრისფერი, დროისა და წვიმების შედეგად გამოფიტულ, ჩამომხმარ კორპუსებს სიცოცხლის ნიშანწყალს მხოლოდ ფანჯრებიდან გამოჩრილი საკვამურებიდან ამოსული კვამლი და მათში გახვეული რუხი სარეცხი აძლევდა.

მივდიოდი და ვხვდებოდი, რომ არცერთ შეკითხვაზე არ მქონდა პასუხი. უფრო ზუსტად კი – უღიმღამო პასუხები მქონდა. რა მომიტანა თოვლის ბაბუამ? ამაზე პასუხად ვიხსენებდი, როგორ გამოვიღვიძეთ მე და ვახომ 1-ელ იანვარს, ჭინკებით სავსე თვალებით შევხედეთ ერთმანეთს და ბალიშების გვერდით მუყაოს ყუთები შევნიშნეთ, რომელიც უკვე ბევრჯერ გვენახა. თითქოს ჩვენი თვალების რენტგენის აპარატებად გადაიქცნენ და ყუთების გაუხსნელადაც მიგვხდით, რომ შიგნით მხოლოდ შოკოლადები იყო. თუმცაღა, უნდა ვაღიარო, რომ „დათუნია“-ზე ვერასოდეს ვამბობდი უარს. სად გავატარე ზამთრის არდადეგები? – ამაზე უფრო მოკლე, სხარტი და სევდანარევი პასუხი მქონდა – არსად, ანუ აქ. ან, პირიქით: აქ, ანუ არსად.

ჩვენი საკლასო ოთახი ისე იყო გამთბარი, რომ ჩვენი სიკვდილის მიზეზად მოყინვა არ ჩაწერილიყო. არამედ, რაიმე სხვა. გამათბობლის მილზე ხელის დადებისას მხოლოდ ერთი ფიქრი გაგიელვებდა თავში – აქ ვილაც იყო. იმას, რომ ახალი წელი დაიწყო, ახალ სინამდვილეში გადავდით, ახალი გამოწვევების წინაშე დავდექით, მხოლოდ ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტის თავზე, პატარა ლურსმნებითა და წებოვანი ლენტით მიმაგრებული წითელ-მწვანე წვიმა გვატყობინებდა.

მე ყოველთვის თანავუგრძნობდი იმ მასწავლებლებს, რომლებსაც არადადეგების შემდეგ პირველი გაკვეთილის ჩატარება უწევდათ. ისინი იძულებულნი იყვნენ, ჯერ უამრავი ბიუროკრატიული საკითხი მოელოათ და მხოლოდ ამის შემდეგ უშუალოდ ახალ მასალასა თუ ძველის გამეორებაზე გადავიდოდნენ. ესაუბრათ სხვათა საახალწლო განწყობაზე მაშინ, როცა თავად საახალწლო განწყობა არ ჰქონდათ.

საკლასო ოთახში სიტბო ნელ-ნელა ძლიერდებოდა. შეიძლება, უბრალოდ, ჩვენ ვეჩვეოდით სიცივეს და ნელ-ნელა ვიხდიდით ნაფტალინიდან ამოღებულ ქურთუკებს. მასწავლებელი სტანდარტული სიტყვებით გვილოცავდა ახალ წელსა და შობას. სტანდარტულადვე გვლოცავდა და სურვილებიც, რომლებიც მართლაც გულწრფელი იყო, სტანდარტული გახლდათ.

აბა, ვინ სად დაისვენეთ? – იკითხა მასწავლებელმა და ამ კითხვის რიტორიკულობა თავს უნიჭოდ მაღავდა. წამიერად, ოთახში გამაყრუებელი სიჩუმე ჩამოწვა, რომელიც მომენტალურად დაარღვია ქართლოს მეურმიშვილის ხველამ, რომელიც ექოსავით ისმოდა გაყინულ კედლებში; ხველა ირაკლი ისაკაძის კალმის ხმამ ჩანაცვლა, რომელიც პირველ მერხზე იჯდა და 48 ფურცლიანი რვეულის ბოლო გვერდზე ადამიანი ობობას გამოსახულებას ხატავდა; ისაკას კალმის ხმას რამდენიმე კლასელის სრუტუნი აჰყვა, რასაც 2 Pac-ის რეპივით დაერთო უკანა მერხებიდან წამოსული ხმაური.

ამ დროს, მე ნინო ჭილაძის მეგობრობის დღიურს ვავსებდი და კითხვაზე „შენი საყვარელი გადაცემა“, ვპასუხობდი თამაზ კვაჭანტირაძის სატელევიზიო ლექციები – მეთქი.

ეს უნებლიე, კუსტარული მუსიკა გუგა ასანიშვილის არცთუ ძალიან ხმა-მაღალმა წინადადებად შეწყვიტა. „მე ბახმაროში დავისვენე“ – თქვა მან და თითოეული ჩვენგანი გვაიძულა ჩვენ-ჩვენი საქმე – წერა, ხველა, ხატვა, ლაპარაკი შეგვეწყვიტა და სმენად მოვმსხდარიყავით.

შევბრუნდით და მოვუსმინეთ გულისყურით. მოსწავლეებმაც და მასწავლებელმაც, რადგანაც ისიც, ჩვენ მსგავსად, ახალ წელს არსად არ იყო.

ახალ წელს გილოცავთ!

მკვდარი პოეტების საზოგადოება

ჩემო უძვირფასესო მოსწავლეებო,

პირველ რიგში, მინდა მადლობა გადაგიხადოთ იმის გამო, რომ არცერთ-ხელ არ მიგრძნია სკამზე გულაღმა დადებული ჭიკარტი. ჰო, ვითომ არაფერი, მაგრამ სინამდვილეში, ეს უკვე ბევრს ნიშნავს.

საბედნიეროდ, თქვენ არ იცით, თუ რას ნიშნავს მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის სრულად წაშლილი სუბორდინაციის ზღვარი – დაუშოში-ნებელი ღრიანცელის გამო კლასიდან გასული, დამცირებული მასწავლებელი, გაკვეთილის მსვლელობისას საკლასო ოთახში შემოგდებული აგური, ბრტყელტუჩათი შემოვარდნილი მოსწავლე და კიდევ ათასი სხვა რამ. გილოცავთ! თქვენ ასეთი რამ არ გინახავთ, მე ნანახი მაქვს.

როცა ვფიქრობ, თუ რამ გამაბედვინა 24 წლის ასაკში მასწავლებელი გაგ-მხდარიყავი, ყოველთვის „ჰარი პოტერი და ნახევარპრინცი“ მახსენდება. უფრო ზუსტად კი ის ეპიზოდი, როდესაც ალბუს დამბლდორი ცდილობს, ჰორაციუს სლაგჰორნი ჰოგვორტსში დაბრუნებაზე დაიყოლიოს. ნუ იფიქრებთ, რომ თქვენს ღირექტორს, ალბუსის მსგავსად, ჩემი დახმარებით რომელიმე ნიუტონელი ვოლდემორის შავ-ბნელი საქმეების გაშიფვრა სურდა. არა. უბრალოდ, ისე აეწყო, რომ გიორგი მელაძე ჩემი ცხოვრების ბოლოდროინდელი მნიშვნელოვანი ეტაპების მაპროვოცირებელი აღმოჩნდა და მასწავლებლობაც ასე, თვალსა და ხელს შუა შემომაპარა. თუკი დამბლდორის სატყუარა იყო სახელგანთქმული ბიჭი, რომელიც სასიკვდილო შელოცვის მერე გადარჩა, მელაძის სატყუარა იყავით თქვენ – ბიჭები და გოგონები, რომლებსაც წერა და ინტელექტუალური თამაშები გაინტერესებდათ და მან იცოდა, რომ ერთიც და მეორეც ჩემი სუსტი წერტილები გახლდათ.

ამ შემოთავაზების დროს „მკვდარი პოეტების საზოგადოება“ გამახსენდა – ენერგიითა და ოცნებებით თავგამოტენილი ახალგაზრდები და მათი უცნაური მასწავლებელი – მისტერ კიტინგი (ო, კაპიტანო, ჩემო კაპიტანო), მისი სწავლების არატრადიციული მეთოდები, სახელმძღვანელოდან ამოხეული გვერდები, სტროფები, რომლებიც თაფლივით წვეთავდა ამ კლასში გაერთი-

ანებული ადამიანების ენებიდან, ძველი ინდიელების გამოქვაბული... ეს ყველაფერი იმდენად საინტერესო ჩანდა, რომ შეუძლებელი იყო უარი მეთქვა მასზე და შედეგად ერთი დაუვიწყარი წელი გავატარე თქვენთან ერთად. ბევრი ვილაპარაკეთ, ბევრი ვიცინეთ, ბევრი ვიკამათეთ, ბევრჯერ არ დავეთანხმეთ ერთმანეთს, ბევრჯერ ვაპატიეთ, ბევრჯერ ვაწყენინეთ, ბევრჯერ ვაამეთ, მაგრამ არცერთხელ არ დავგვირღვევია ერთმანეთის მიმართ პატივისცემის ზღვარი – ის, რომელზეც წელან ვამბობდი.

მისტერ კიტინგის და მკვდარი პოეტების საზოგადოების წევრების არ იყოს, ამ სასიამოვნო თავგადასავალსაც ჰქონია თავისი დასასრული, თანაც უცაბედი. არადა, რამდენი დამრჩა თქვენთვის სათქმელი.

ნუცა, შენთვის მიწოდდა მეთქვა, რომ უსინდისობაა იყო ასეთი მგრძნობიარე, შეგეძლოს ასეთი სიყვარული, ასე განიცდიდე ყველას მწუხარებას, ასე გახარებდეს ყველას წარმატება და არ წერო, მით უმეტეს მაშინ, როდესაც წერის სურვილი გტანჯავს. მაშინ შევცდი, როცა გითხარი, არ შეიძლება, „პოლკოვნიკს არავინ სწერს“ არ მოგწონდეს – მეთქი. დანიელ პენაკი სვამს კითხვას: „განა შეიძლება „ანა კარენინა“ არ მოგწონდეს?“ – და თავადვე პასუხობს – „შეიძლება“. გარსია მარკესს უნდოდა, რომ ის უკლებლივ ყველას ჰყვარებოდა თავისი შემოქმედების გამო. ყველა არ ვიცი, მაგრამ მგონია, რომ თუკი წერას განაგრძობ, ისინი აუცილებლად შეგიყვარებენ, ვინც შენ გინდა, რომ შეგიყვარონ – იმ მუსიკალური ბენდის სოლისტს ვგულისხმობ, სახელი რომ ვერა და ვერ დავიმახსოვრე.

ლიზა... სიმართლე გითხრა, როცა მითხარი, ნოდარ დუმბაძე ჩემი დიდი ბაბუა იყო, ცოტა შემრცხვა, წერის გაკვეთილები რა ნამუსით ჩავუტარო – მეთქი. გახსოვს? ჰემინგუეის მოკლე მოთხრობები წავიკითხეთ და ვცადეთ გაგვემეორებინა. შენ მაშინაც ცდილობდი, იოლი გზები გეპოვნა, ფიქრი გეზარებოდა. არადა, რა ამბავი დაწერე ოთახში გადმოღვრილ ხუჭუჭა ბავშვის თმაზე?! მთელი დღე თავიდან არ ამომდიოდა. ნუ დაიზარებ, დაიწყე იმ დიდი ამბის მოყოლა, რომელზეც მაშინ მითხარი. შეცდომების დაშვების ნუ შეგეშინდება. ამ დალოცვილ კლავიატურას ერთი საოცარი ლილაკი აქვს Delete აწერია. შეგეშლება? ადგები და წაშლი.

მარიამ, Facebook-ზე შენს მოთხრობას წავაწყდი. ყოველთვის ვიცოდი, რომ ის ცხონებული კაცი რომელიმე თქვენგანს მაინც მისცემდა შთაგონებას და არც შევმცდარვარ. ხომ გახსოვს? თუ კარგად დააკვირდები, მშვენიერი მძინარე ქალის თვითმფრინავშიც აღმოჩნდება.

ივა, ჯორბენ, გიორგი, ლუკა – მეტი რა გითხრათ, მუშკეტერები ხართ და ისეთი შეგრძნება მრჩება, რომ მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწორი საქმისთვის იბრძოდებთ.

გიორგაძე, გულის სიღრმეში შენს ხუმრობებზე მეცინებოდა.

ნიკუშ – შენსაზეც.

ლაშა, მაპატიე, რომ ჯორბენას გუნდში გსვამდი ხოლმე.

ლუკა, მოპარსული უღვაში გიხდება.

სექტემბერში, თქვენი დირექტორი ახალ მასწავლებელს მოგიყვანთ. არ შემარცხვინოთ, ნენა. ცრემლი არ დამანახოთ, კარგად მოიქეცი, ყველაფერი ჩაიწერეთ და ბევრი კითხვა დაუსვით.

...და, თუკი ყველაფერზე ვერ გიპასუხათ, არაუშავს. ბოლო-ბოლო, ყველა ჩემნაირი ხომ ვერ იქნება.

ახლომხედველის მეხსიერება

ფანჯარასთან ოთხნი ვდგავართ: მე, დედა, ვახო და ბებო. ზამთრის შუალა-
მეა. ვაზისუბნის მეოთხე მიკრორაიონის პირველ კვარტალში ჩამოწოლილ
სიბნელეს ორად ორი ფანჯარიდან გამომავალი მკრთალი შუქი ებრძვის. ერთი
ჩვენია, მეორე კი მეთერთმეტე კორპუსის მეორე სართულის ბინის. ჩვენ იმ
სახლის ფანჯარას მივჩერებივართ და მშვიდობის რაიმე სიგნალს ველით. იმ
სახლის მაცხოვრებლებს ჩვენთვის არ სცალიათ – ოჯახის წევრი უკვდებათ.

ფარდებს შორის ბუნდოვნად ვხედავ მამაჩემს, რომელიც მომაკვდავს გუ-
ლის მასაჟს უკეთებს. მამაჩემს კი არა, ადამიანის ჩრდილს ვხედავ, რომელიც
მოძრაობს და ვხვდება, რომ ზურაბისაა. მამაჩემი რამდენიმე წუთის წინ კარზე
თავგანწირული ბრახუნით გააღვიძეს. მას შემდეგ ვცდილობ, გული დავიმშ-
ვიდო, მაგრამ არ გამომდის. ზურაბი ერთადერთი ექიმი არ არის ჩვენს კვარ-
ტალში, მაგრამ მაგარი ექიმის სახელი აქვს და ყვითელი კორპუსის 23-ე ბინის
კარზე თავგანწირული ბრახუნი ხშირია. იმდენად ხშირი, რომ გონება შევაჩ-
ვიე, მაგრამ გული – ვერა. მეზობლებმა იციან, რომ სასწრაფოში დარეკვას
აზრი არ აქვს, დილამდე მაინც არ მივლენ. აჯობებს, ზურაბს დაუძახონ.

ჩემი მხედველობა კარგა ხანია დაქვეითებულია, მაგრამ ჯერ სათვალეს არ
ვატარებ. თვალებს ვჭუტავ და ვცდილობ, ისე გავარჩიო, რა ხდება კვანჭიანების
სახლში. გათოშილი ვარ. გამათბობელი, რომლის ასანთებად საჭირო ნავთის
ამოტანა მე მომიხდა, რამდენიმე საათის წინ ჩავაქრეთ. ხის ძველი ფანჯრიდან
ქარი მიბერავს და უარესად მაკანკალებს. დედა და ბებია ოხრავენ. „ღმერთო,
უშველე!“ – ისტერიულად იმეორებს ბებო. მას სწამს, რომ ღმერთი ღამის ვაზი-
სუბნიდანაც კი ისმენს ლოცვებს. რაკი ახლომხედველობა მომესაჯა, იძულებული
ვარ, ნანახი მეხსიერებითა და წარმოსახვით შევაგსო. ამიტომ წარმოვიდგენ, რო-
გორ ატუზულან ოთახის კუთხეში ჩემი მეგობრები – ზურა და ბაჭია, რომლებთან
ერთადაც ფეხბურთს ვთამაშობ ხოლმე კორპუსის წინ, ორმოვით სავსე ასფალ-
ტის წარმოსახვით მოედანზე. ზურა ჩემი პარალელურკლასელია, ჩუმი, წყნარი
და წესიერი ბიჭი. ჭიანჭველას ფეხს არ დაადგამს და ბუზს ხელს არ უქნევს. ყო-
ველთვის სუფთად აცვია და სახეზე არასოდეს ემჩნევა ძილის ნარჩენები. ბაჭია

მისი უმცროსი ძმაა. მისი ნამდვილი სახელი არავის გვახსოვს. როცა ვაზისუბანში გადმოვიდნენ საცხოვრებლად, დედამისი აივნიდან ეძახდა ხოლმე ბაჭიას და ამრადაც არ მოგვსვლია, რაიმე სხვა მეტსახელი მოგვეფიქრებინა მისთვის. საერთოდ, ადამიანებს ყველაზე ზუსტ მეტსახელებს დედები ურჩევენ. დედამე უკეთ ვერავინ ამჩნევს შვილის კარიკატურულ მხარეებს. ბაჭიას კი ჰქვია ბაჭია, მაგრამ იმ დათვის ბელს უფრო ჰგავს, ზღვის სანაპიროზე რომ დაატარებენ ხოლმე ფოტოგრაფები. მე და ბაჭია გუნდელები ვართ, რაგბის ვთამაშობთ. ვაზისუბნელი ბიჭისთვის რაგბის თამაში ისეთივე გარდაუვალი აუცილებლობაა, როგორიც 40 დღის ასაკში ქრისტიანად მონათვლა. ჩვეულებრივი საგალდებულო სამხედრო სამსახურია. რაგბიში ღმერთს არც ერთი ვუქნივართ და არც მეორე, მაგრამ ბაჭიას ხალისის შეტანა მაინც შეუძლია გუნდის ცხოვრებაში. მე ვერც მაგაში ვვარგევარ. ლელო არც ერთს არ გაგვიტანია, ვარჯიშზეც კი. ცირეკიძესთან დაჯახებისა ორივეს გვეშინია. მოკლედ, დიდი სანაკრებო კარიერა არც მე მეჭლანება და არც ბაჭიას, მაგრამ ჩვენს ჭიას ვახარებთ და ვაზისუბნელის ვალს ვიხდით.

ზურას და ბაჭიას ბინაში ჩრდილების მოძრაობა უფრო ქაოსური ხდება. ფანჯრის ღრიტოებიდან ქარს ქალის კივილი შემოაქვს და ოთახში ფანტავს. შიში და სიცივე ჩემს მდგომარეობას აუტანელს ხდის. „დათუნა, დაწე ქი შენ“, – გვეუბნება მანანა. „ღმერთო, უშველე“, – იმეორებს ბებო. ჩვენს კორპუსებს ერთმანეთთან ათობით სადენი აკავშირებს. ზოგი მათგანი გენერატორებისაა, რომელთა დახმარებითაც ერთმანეთს სინათლეს ვუნაწილებთ. მხოლოდ სინათლეს, მეტს გენერატორი ვერ ქაჩავს. კვარტალში ორი დიდი გენერატორია. ერთი მეთოთხმეტე კორპუსთან დგას, მეორე – მეცხრესთან. ესაა ჩვენი მეცხრე ბლოკიც, ალისია გუარდიოლაც და ჯულია რობერტსიც. ღამის სიბნელეში სადენები არ ჩანს, მაგრამ ისინი ახლომხედველის მესხიერებაშია ჩაბეჭდილი. ვგრძნობ, ბაჭიასთან და ზურასთან სკოლის, რაგბისა და ქუჩის ფეხბურთის გარდა ეს სადენებიც რომ მაკავშირებენ.

ჩრდილების მოძრაობა ნელდება, ბოლოს კი ჩრდილები ქვაკდება. კივილი იმატებს. მე შემცბარი ვუყურებ მანანას იმის გასარკვევად, რა მოხდა. მანანა – ბებიჩემს. „ვერ უშველა“, – ამბობს ბებიჩემი და ვგრძნობ, როგორ მივლის სხეულში ცხელი ტალღა. უცაბედად ფიქრი სხვაგან გამიბრბის: „რა ვუთხრა ზურას და ბაჭიას ხვალ? როგორ მივესალმო? ასეთ დროს ხომ გამარჯობას არ ეუბნებიან. ნეტა, ვარჯიშზე როდის მოვა? ივლის საერთოდ? რო აღარ მოვიდეს? ნეტა რას გრძნობენ ახლა...“ ცოტა ხანში სადარბაზოსთან მოძრაობას ვხედავთ. ვხვდები, მამაჩემია. ორ წუთში კარი იღება და ზურაბი შემოდის.

ჩვენ ისევ ფანჯარასთან ვდგავართ. ზურაბი სიტყვის უთქმელად ჯდება სკამზე და ხელებს თავზე იწყობს.

— ზურაბ... — მიმართავს დედაჩემი. პასუხად ღრმა ამოსუნთქვას ვიღებთ.

ცოტა ხანში ყველანი საწოლებისკენ მივდივართ. როგორც საშინელებათა ჟანრის ფილმის ნახვის შემდეგ იშლება ხალხი კინოთეატრებიდან. მხოლოდ მამაჩემი რჩება სკამზე. ხელები ისევ თავზე აქვს შემოწყობილი და ოხრავს. მე არ ვიძინებ. ვიცი, თუ ჩამთვლიმა, სიზმარში სწორედ ისინი მეწვევიან, ვისიც ყველაზე მეტად მეშინია. ალბათ ის მოხუცი, გამხდარი ქალიც გამომეცხადება, მეზობელ კორპუსში რომ ცხოვრობდა და ცოტა ხნის წინ, გამოსვენებისას, შემთხვევით დავინახე კუბოში მწოლიარე. მისი მწვანე სახე ბოლო ხანებში მოსვენებას არ მაძლევს. ვცდილობ, ფიქრები სხვაგან მივმართო, მაგრამ ჩრდილები ყველგან ჩნდებიან.

ის ღამე წვალებით თენდება. თითქოს ურემი ჭრიალით მიგორავდა ალიონამდე. მიგორავდა და მისი ხმა გულს მიწვრილებდა. მე ვხვდებოდი, რომ ცხოვრებაში იქნებოდა მომენტები, რომლებთანაც შერკინებაში ვერ შევიდოდი. რომც შევსულიყავი, ვერ დავძრავდი. ვერც ცრუ მოძრაობით ავუვლიდი გვერდს და ვერც გადავასწრებდი. ვხვდებოდი, რომ წინ იყო კონტაქტები, რომელთა შემდეგაც ძირს დაცემა მომიწევდა, რადგან წესია ასეთი — დაეჯახო იმას, ვინც წინასწარ იცი, რომ წაგაქცევს.

ბატია რაგბიზე აღარ მოსულა. მალე აღარც მე გამიწია გულმა. ხანდახან დროულად უნდა წამოხვიდე იქიდან, სადაც ბედნიერებას ვეღარავის ანიჭებ. მერე რა, თუ ამას არ გეუბნებიან.

ნამდვილად ასეა: ახლომხედველისთვის თვალთ ნანახს წარმოსახვა და მესხიერება ავსებს. რაც უფრო ბუნდოვანია კადრი, მით უფრო მეტი საღებავის ჩაღვრა გიწევს მესხიერებაში მის აღსადგენად. ჩვენ რესტავრატორები ვართ და ვცდილობთ, ფრესკას ნამდვილი სახე დავუბრუნოთ, მაგრამ ჩვენ მიერ შექმნილი ნახატი ვერასოდეს იქნება ბოლომდე ნამდვილი. სწორედ ასეთი, ფრაგმენტ-ფრაგმენტ შეკოწიწებულია ჩემი მოგონება ბატისა და ზურას მამაზე, მამაჩემის ჩრდილზე, რომელიც მომაკვდავს გულის მასაჟს უკეთებდა, იმ ღამეზე, რომელიც ჭრიალით გათენდა და კიდევ ბევრ ღამეზე, რომლის განთიადიც, ერთი შეხედვით, ძალიან შორს იყო, მაგრამ მაინც დადგა.

და მაშინაც კი, როცა სათვალთანა კავშირში ჩავეწერე და კადრები ჩემ თვალწინ ჯადოსნური ლინზის დახმარებით ხელოვნურად გადაიწმინდა, მივხვდი, რომ მაინც ორი რამისთვის ვიყავი განწირული: ნანახი შემელება და მერე ამაზე დამეწერა.

მამის ლოცვები

რაც დედა წავიდა, მხოლოდ ავად ყოფნისას მოდის სიზმრებში. მოდის და საკუთარი ხელით მაჭმევს შემწვარ კარტოფილს. ამჯერადაც ასე მოხდა. სიცხიანი ვიწექი. ჩემი და ნინიას შვილს შესაძლოა ყოველ წუთს გადაეწყვიტა დაბადება. თავს ვერ ვპატიობდი, რომ სიცხის გამო შეიძლებოდა მისი ამქვეყნად მოვლინების სასწაული გამომეტოვებინა. სადღაც, მიღმიერ სამყაროში მყოფს, როცა ცალი ფეხი აქეთ მქონდა, ცალი კი სხვა სამფლობელოში მედგა, მიტკალივით თეთრ კედელზე დედაჩემის სილუეტი წყალში ჩასხმული მელანოვით გამოჩნდა. გამოსახულების კონტური ნელ-ნელა გამკვეთრდა, დაიწმინდა და მისი სახის გარჩევა შეეძელი. კარტოფილსა და პურს მაჭმევდა. ოღონდ ახალ შემწვარს არა, გაცხელებულს. ეს მნიშვნელოვანი იყო. ხმას არ ვიღებდით. მხოლოდ სახით ვანიშნებდი, კიდევ მინდა-მეთქი. ისიც მიწვდიდა მოზომილ ლუკმებს. მახსოვს, სახეზე ფანჯრიდან შემომავალი, ფარდებს შორის შემომძვრალი სვეტი მეცემოდა. მწყინდა, დედა რომ უბრადა იყო. გაბრაზებულია მის საფლავეზე რომ არ მივდივარ-მეთქი – ვფიქრობდი. დედაჩემის სახის მკვეთრი კონტური ნელ-ნელა გაფერმკრთალდა, ბოლოს კი მთლად მოირღვა და აიძვრა, თუმცა დასასრულს კითხვის დასმა მოასწრო: „მზად ხარ?“

მზად ხარ? ეს კითხვა ჩამესმოდა სამშობიაროს იმ სტერილურ ოთახში, რომელშიც ორი დღის შემდეგ ვიჯექი და ველოდი, როდის შემეცვანდნენ სამშობიარო ბლოკში. მამების ოთახიაო, მითხრეს. გული ყელში ამომდიოდა და იქ ფეთქავდა. კითხვები ნაწვიმარზე ამოყრილი სოკოებივით მეზრდებოდა თავში და არც ერთზე არ მქონდა პასუხი. მზად ხარ? მზად ხარ? ვერაფრით ამომეხსნა, რატომ მკითხა დედამ. „ნეტავ, ახლა დაბლა იდგე სხვებივით. ჩამოვირბენდი, გკითხავდი და ისევ ფეხდაფეხ ამოვივლიდი ამ კიბეებს. ჯანდაბას, რომ ბახილების ჩაცმა ხელახლა მომიწევდა“ – ვფიქრობდი.

სამშობიარო ბლოკში რომ შემეცვანეს თავი ცირკის მსახიობი მეგონა, რომელსაც ურთულესი ილეთი უნდა შეესრულებინა – სიმაღლეზე გაბმულ წვრილ თოკზე გავლა. სწორედ ასე მივუყვებოდი იმ გზას, რომელიც ნინიას

სასტუმართან ჩემთვის დადგმულ სკამამდე მიმიყვანდა და რომლის მილი-მეტრებში დაცვაც დამავალეს.

შვილის დაბადებას მამის ყურებში ისეთივე წუილი მოსდევს, როგორც ძლიერი აფეთქების შემდეგ ხდება ხოლმე. აფეთქება, როგორც მოვლენის მნიშვნელობა და აფეთქება, როგორც მოვლენის ფიზიკური გამოვლინება. წუილს ნაზად ანაცვლებს ტირილის ხმა, რომელსაც თან ახლავს მუსიკა. ჩემს შემთხვევაში ეს „ქარების სერენადა“ იყო და ძეხორციელი ვერ დამაჯერებდა, რომ ის მოცარტმა ამ მომენტის საუნტრეკად არ შექმნა. როგორც სალიერი აღწერს, სადღაც ძალიან მაღლა, ერთი ბუმბულივით მფრინავი ნოტი ეშვებოდა ჩემკენ, რომელსაც ისევ ჰაერში იტაცებდა ინსტრუმენტის ძალა. ამ დროს ფერები სიმკვეთრის ისეთ ხარისხს იძენს, რომელსაც ვერც ერთი, თუნდაც უძლიერესი ჰალუცინოგენით ვერ მიაღწევ. ხვდები, რომ იქამდე ყვითელი არ იყო ყვითელი, ხოლო ლურჯს არ ეთქმოდა ლურჯი. ესაა მომენტი, როცა ცხადად იკრები, რომ ორი, შეიძლება იყოს სამი და ამ სამთა შორის უმცირესი ხდება მთავარი. მაღალ სართულზე მყოფს თითქოს წმინდად ჩაგესმის, როგორ მოძრაობენ ბალახებში ჭიანჭველები და როგორ მიცურავს ზღვის ფსკერზე თევზი.

ძალიანაც რომ მოვინდომო, გონებიდან ვერასოდეს წავშლი ძალაგამოცლილი, დაღლილი ნინიას ამღვრეულ თვალებს. იმ წამს მისთვის მხოლოდ ერთი სიტყვის თქმა შეეძელი. ერთის, მაგრამ ყველაზე გულწრფელის, რაც კი ოდესმე მითქვამს – მადლობა.

დავარქვათ? – ვკითხე ოდნავ აზრზე მოსულმა.

ნინიამ, ყველაზე მამაცმა გოგომ მათ შორის, ვისაც კი ცხოვრებაში შეეხვედრივარ, ღიმილისთვის ძალა მოიკრიბა და თავი დამიქნია.

კარლოს ფუნტესი წერს, რომ როცა მშობელი შვილს სახელს არქმევს, ამ სახელით მისგან მძიმე ხვედრის განდევნა სურს. „რემედიოსი“ – ამ მომადოებელმა სახელმა იმ წამსვე მიმაჯაჭვა საკუთარ თავს, როცა ეს ჯადოსნური პერსონაჟი „მარტოობის ას წელიწადში“ გამოჩნდა. გოგონა, რომელიც ბედნიერი არ ყოფილა. ის სულაც არ ეკუთვნოდა აქაურობას და იქნებ სწორედ ამიტომ, მისი ბედისა თუ უბედობის არიდება გვინდოდა ჩვენი შვილისთვის?

მერე კი იგონებ ლოცვებს. ნაკუწ-ნაკუწ აკოწიწებ ლექსებიდან, ფილმებიდან, შენი თვალით ნანახიდან ან ყურმოკრულიდან. ერთმანეთზე აწებებ და აღავლენ. იგონებ იმიტომ, რომ არც ერთი არსებული ლოცვა არ გაკმაყოფილებს – მეტს ითხოვ, მეტი გემეტება. გინდა, რომ გზამ დაიფაროს მგზავრო-

ბისას, მარილმა წყალში მყოფი, მორფეოსმა სიზმრის უღრანებში შესული, ტრაექტორიამ გზავარედინზე მდგომი, ზურგის ქარმა კეთილი მიზნის დასახვისას და ღიმილმა ბრაზის დროს.

ვფიქრობ და ვხვდები, რომ არაფერს ნიშნავს სიტყვები „სასახელო გოგო“, „საამაყო მამულიშვილი“. ამის საპირისპიროდ ერთადერთს ითხოვ – იყოს ის, ვინც უნდა, რომ იყოს და ამ სურვილში იყოს ბედნიერი. მთავარია, ამოხსნას ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანა, რომლის მიხედვითაც, როგორც ირაკლი ჩარკვიანმა წაიღიღინა, დრო მხოლოდ სიყვარულს დაინდობს და ყველაზე მეტად ის გამახარებს, თუკი მდინარის იმ ნაპირზე იდგება, სადაც უანგარო სიყვარული შეუძლიათ. და თუ მოუნდება, იყოს საამაყო. მე და ნინიას გვეუბნებოდნენ, ცოდოა, გაიზრდება და კლასელები დასცინებენ სახელის გამო. შეიძლება ასეც იყოს. მე არ გავბრაზდები მის კლასელებზე, მაგრამ ჩემი ბრაზის მოთოკვაზე მნიშვნელოვანი ის მგონია, თავად შეძლოს ამ ბრაზის ღიმილად გადაქცევა. ისევე, როგორც ალბუს დამბლდორი აქცევს ბნელი ლორდის მიერ წარგზავნილ შუშის ნამსხვრევებს ქვიშად. გაუღიმოს და სიტყვებზე, ეს რა სახელი გქვიაო, უპასუხოს: „მე მქვია რემედოსი“.

ვისურვებდი, რომ მეგობრები აირჩიოს არა ჩაცმულობის, არამედ იმ ნაპერწკლის მიხედვით, კეთილ ადამიანებს რომ უთამაშებთ თვალებში. თუმცა ჯერ იმას ვნატრობ, რომ თავადაც არასდროს ჩაუქრეს ეგ ნაპერწკალი. კარგი იქნება, თუ აღმოაჩენს, რომ სიმდიდრე საკრედიტო ბარათის ბრწყინვალეობაში ან საფულის სიმძიმეში კი არა, იმ სახლების სურნელში იმალება, სადაც კარგი ადამიანები ცხოვრობენ; რა მადლიერი ვიქნები, თუკი წარმატებად რომელიმე დიდი კომპანიის მაღალი რგოლის მენეჯერობას კი არ ჩათვლის, არამედ იმას, რომ გათენდა და მზე ისევ თავის ადგილზეა; როგორ გამახარებს, თუ აღმოაჩენს, რომ ყველაზე ძლიერი იარაღი ატომურ ბომბზე მეტად, გულითადი სალამია, რომლის თქმაც არ დაეზარება.

შვილი, სხვა არაფერი რომ არ მოიმოქმედოს, ამქვეყნად მოსვლით უკვე აკეთებს განუმეორებელ რამეს – მშობელს ხელახლა დაბადების შანსს აძლევს. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვილი ლამით იმიტომ კი არ ტირის, აქაოდა შემოიძლია და ამის პრივილეგია მაქვსო. არამედ იმიტომ, რომ თავისდაუნებურად გაძლევს შანსს, მასთან უფრო მეტი დრო გაატარო.

დრო მოვა და რემედოსი ამ წერილს წაიკითხავს. მოგვიანებით კი მის გააზრებასაც შეძლებს და შემოქმედს მხოლოდ იმას ვთხოვ, რომ ამ მომენტში მის გვერდით ვიყო. მანამდე კი ერთი მოკრძალებული სურვილი მაქვს: მალე

გავცვივდე, ტემპერატურა თუნდაც 45-ზე ავარდეს, საწოლში ჩავწვე და ძილში ისევ მოვიდეს დედაჩემი კარტოფილით ხელში. ფანჯრიდან შემოვარდნილი სინათლის სვეტი მომიჩრდილოს და მე კმაყოფილი სახით დაველოდო შეკითხვის გამეორებას, რადგანაც პასუხი უკვე ვიცი.

ელიზბარ ელიზბარაშვილი

1	ვენდოთ?.. არ ვენდოთ?..	67
2	პატრიოტიზმი და პროფესიული ეთიკა	71
3	იტირე? მაღლი გიქნია	74
4	„ყველასაც თურმე ენა აქვს“, ანუ როგორ საუბრობენ მოლექულები	77
5	წონასწორობა	79
6	ნაბიჯი მარადობისკენ	82
7	პროცესი, რომელიც შეუქცევადია	86
8	მასწავლებელთა სევდა	88
9	არჩევანი არაღანი	91
10	სად მთავრდება სწავლა და სად იწყება სწავლება	94
11	ორიენტირი	97
12	ცრუპენტელა აღმზრდელი	100

ვენდოთ?.. არ ვენდოთ?..

ძნელად თუ მოიძებნება ამქვეყნად ადამიანი, თავისი იდეების ხორცშესხმაზე რომ არ ოცნებობდეს. სპორტსმენის ოცნება ჩემპიონობა და ოლიმპიური მედალია, მასწავლებლისა – მოსწავლის კარგ მოქალაქედ აღზრდა, მოსწავლისა და სტუდენტისა – გამოცდის ჩაბარება და წარმატებით დასაქმება. ადამიანი ერთია და უამრავი კარგი იდეა შეიძლება ჰქონდეს; დღე ერთია და ვინ მოთვლის, რამდენი აზრი გაიელვებს ჩვენს, ინფორმაციით გაჯერებულ გონებაში...

ოცნებობენ ქიმიკოსებიც, მაგრამ, როგორ ფიქრობთ, რაზე? ნობელის პრემიაზე? არა, ბატონებო. ნობელის პრემია რჩეულთა ხვედრია, რჩეულნი კი უფრო მნიშვნელოვანი „საქმეებით“ არიან დაკავებულნი, ვიდრე შვედეთის სამეფო აკადემიაში წითელ ხალიჩად გარდაქმნილ ნიტროგლიცერინზე (დინამიტზე) გავლას.

მაშ, რაზე ოცნებობენ ჩემი კოლეგები? – თავიანთი იდეების პროდუქტი თაროზე იხილონ! დიახ, ყოველი პრაქტიკოსი ქიმიკოსის მიზანია, მისმა იდეამ წარმატებით გაიაროს გზა გონებიდან ფურცლამდე, ფურცლიდან კოლბამდე, კოლბიდან საწარმომდე, საწარმოდან მომხმარებლის აბგამდე.

მოდით, რომელიმე, თუნდაც ყველაზე იაფფასიანი მედიკამენტი ავიღოთ და მის ბიოგრაფიას თვალი გადავავლოთ.

მისი სინთეზის იდეა რომელიღაც ქიმიკოსის გონებაში ჩაისახა, შემდეგ, სავარაუდოდ, ფურცელზე დაიწერა მისი სტრუქტურა და მოისინჯა არაერთი მეთოდი კოლბაში მის მისაღებად. შემდეგ გამოიწერეს ნედლეული, რომლის ბაზაზეც სინთეზი უნდა განხორციელებულიყო, ჩატვირთეს კოლბაში და დღეების, ან იქნებ კვირებისა და თვეების განმავლობაში ათუხთუხეს, და აი, დადგა ნანატრი წუთი, რეაქცია დამთავრდა და ხელში ახალი ნივთიერება გვიჭირავს. ის ცუდად გამოიყურება, ამდენი ხნის ნათუხთუხებს, ნატანჯი სახე აქვს, მინარევებიც ტკიპასავით ჰყავს მიკრული. ასეთი სახით მას სხვას ვერ წარვუდგენთ, ამიტომ ვიწყებთ ფიქრს მის გასუფთავებაზე, რაც შესაძლოა

უფრო ძნელიც კი აღმოჩნდეს, ვიდრე მიღება. ახალმიღებული მოლეკულები ბავშვებით არიან, ყველას როდი უყვარს დაბანა... მაგრამ, აი, დავბანეთ, დავვარცხნეთ, გავასუფთავეთ და ახლა უკვე შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ მივიღეთ ახალი ნივთიერება.

მაგრამ, როგორ გგონიათ, დაგვიჯერებენ? საამისოდ ფარატინა ფურცელია საჭირო, რომელსაც ნივთიერების პასპორტი ეწოდება. პასპორტის ასაღებად ჩვენი დაბანილ-დავარცხნილი და გამოპრანჭული ნაერთი ანალიტიკოსებთან მიგვაქვს. მათ უნდა შეამოწმონ იგი და დაასკვნან, ნამდვილად ისაა, რასაც ველოდით, თუ გვიმტყუნა ბედმა და ქიმიკოსის ალლომ. ჰოდა, ახალშობილს დიდხანს დაატარებენ კაბინეტიდან კაბინეტში, აპარატიდან აპარატში, სანამ საბოლოო განაჩენს არ გამოუტანენ.

აი, პასპორტიც ავიღეთ. ჩვენი ნაერთი მოლეკულათა საზოგადოების სრულფასოვანი წევრია. ახლა უკვე შეგვიძლია, მის შესახებ მთელ ქვეყანას ვამცნოთ. ამიტომ მოლეკულის შემქმნელები სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნებაზე იწყებენ ფიქრს. ისიც იწერება და წარედგინება რომელიმე გამომცემლობას ან საპატენტო ბიუროს. ეს უკანასკნელნი კი, პირველ რიგში, ნივთიერების პასპორტს ითხოვენ...

ეს ეტაპიც გადავლახეთ და რამდენიმე თვის ლოდინის შემდეგ უკვე მთელმა მსოფლიომ იცის მის შესახებ...

მაგრამ განა ეს ის არის, რასაც მისგან ველოდით? ცხადია, არა. ჩვენ გვინდოდა, ის თაროზე, ლამაზეტიკეტიან ფლაკონში მოთავსებული გვეხილა და არა ბიბლიოთეკის საცავის თაროზე რომელიმე სამეცნიერო ჟურნალის სახით. მაგრამ მანამდე ჯერ კიდევ გრძელი გზა გვაქვს გასავლელი. მედიკოსებს არ ესმით ქიმიკოსების. მათ არ აინტერესებთ ჩვენი მრავალტანჯული და ქიმიკოსთა შორის უკვე აღიარებული ნაერთი. არც იმ სერტიფიკატს ცნობენ, რომელიც მან უკვე მიიღო. ამიტომ მივმართავთ ბიოქიმიკოსებს – ელჩებს, რომელთაც მედიკოსების როლი უნდა შეასრულონ ჩვენსა (ქიმიკოსებს) და მედიკოსებს შორის. ჩვენი ნაერთიც ხელახლა იწყებს მოგზაურობას კაბინეტიდან კაბინეტში, სინჯარიდან სინჯარაში, მიკროსკოპიდან მიკროსკოპში, მას აუღელვებლად, დიდი მონდომებით, სკურპულოზურად ცდიან. ჩვენ კი ლოდინის მეთი არაფერი დაგვრჩენია... ასე გადის რამდენიმე წელი. ბოლოს და ბოლოს, ვიღებთ ვერდიქტს, შეიძლება თუ არა მისი მედიკამენტად გამოყენება. თუ პასუხი დადებითია, გახარებულები, ახალი სერტიფიკატით ხელში გავრბივართ ექიმებთან, დიდხანს ვუხსნით მათ ჩვენი მიღწევის არსს, ისინიც

ერთხანს მოთმინებით გვისმენენ, მერე კი უმრავლესობა მდუმარედ გვაქცევს ზურგს და მიდის. მაგრამ თუ ძალიან მოვინდომეთ, მაინც ვიპოვით ცნობის-მოყვარე და კრეატიულ მედიკოსს, რომელიც გვართმევს სერტიფიკატს, დიდ-ხანს ატრიალებს ხელში და ბოლოს მის გამოცდაზე თანხმდება, ჩვენ კი მოსაცდელში კიდევ დიდხანს ველით პასუხს.

დასასრული ყველაფერს აქვს, მათ შორის – ლოდინსაც. როგორც იქნა, გამოჩნდა პირბადეაფარებული, თეთრ ხალათში გამოწყობილი ექიმი ახალი სერტიფიკატით ხელში. ჩვენი მოლექულა, რომელიც მანამდე ერთი უბრალო ნაერთი იყო, შეიძლება წამლად იქცეს. მაგრამ მანამდე კიდევ ბევრი ბარიერი აქვს გადასალახი. სასწრაფოდ უნდა მოიძებნოს ინვესტორი, რომელიც მის საქონლს მასშტაბით წარმოებას მოჰკიდებს ხელს. გაგვიმართლა და ვიპოვეთ? ახლა იმას უნდა ველოდოთ, როდის შეისწავლიან მისი მარკეტოლოგები ბაზარს, როდის დანერგავენ მისი ტექნოლოგიები ტექნოლოგიას, შესაბამისად გადაწყობენ მისი ინჟინრები ქარხანას და მისი ბუღალტრები თეორიულ მოგებას დაითვლიან.

მაგრამ ყველაფერი ამით არ მთავრდება. მედიკამენტის თაროზე თავმოწონედ შემოსკუპება მაინც საზოგადოებაზე დამოკიდებული. მიიღებს იგი? – მაშინ წარმოებას მიეცემა სტიმული (კვლავწარმოების სახსრები) და ახალი მედიკამენტი დიდი ხნით დაიმკვიდრებს ადგილს, თუ არა – ეტიკეტი გაუხუნდება და თავჩალუნული გაშორდება თვისტომთ.

აი, ასეთია ერთი ჩვეულებრივი მედიკამენტის ბიოგრაფია. იდეადყოფნიდან აფთიაქის თაროზე მოხვედრამდე მას 16 წელი მაინც სჭირდება, ესეც – საუკეთესო შემთხვევაში! მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერების არაერთი დარგი საკმაოდ მაღალ დონეზე განვითარებული და მოლექულათა დიზაინი და კონსტრუირება უკვე კარგად ხელგვეწიფება, ჯერ ვერ მივაკვლიეთ კორელაციას მოლექულის სტრუქტურასა და დაავადების განკურნებას შორის, არ ვიცით, რომელი დაავადებისათვის როგორი მოლექულა უნდა „ავაშენოთ“. ამიტომ ყოველი ათი ათასი მოლექულიდან მხოლოდ ერთი ხვდება აფთიაქის თაროზე. ქიმიკოსები ვერ ვიყურებით ადამიანის ორგანიზმში, ქიმიის ახალი დარგი, სამედიცინო ქიმია კი ჯერ ახალფეხადგმული ბავშვივითაა – ხელის ცეცებით სწავლობს ყველაფერს თავის გარშემო, ვერც იმას გვაგებინებს რიგიანად, რა უნდა. გაიზრდება, მხარში ამოგვიდგება და შრომა გაგვიადვილდება...

მედიკამენტის ბიოგრაფიის გაცნობისას შესაძლოა გაგინდათ განცდა, რომ ეს ყველაფერი ზედმეტი ბიუროკრატიის ბრალია. ალბათ არც უამისობაა,

მაგრამ ძნელია ანდო შვილის ჯანმრთელობა (რომ არაფერი ვთქვათ სიცოცხლეზე) ნაერთს, რომელსაც მედიკამენტის სერტიფიკატი არ გააჩნია. ცხადია, სერტიფიკატის ქონა არ ნიშნავს, რომ ყველა წამალი ერთნაირად ეფექტურია – მათ შორის არის განსხვავება, მაგრამ მათ აქვთ საერთოც – ყველა მათგანი სანდოა. ამიტომ, ბუნებრივია, როცა ბავშვს წამოახველებს, ვეძებთ კარგ (ლიცენზირებულ) კლინიკას, მერე – კარგ (სერტიფიცირებულ) ექიმს, ბოლოს კი – კარგ (სერტიფიცირებულ) მედიკამენტს.

როგორ ვირჩევთ სკოლას... მასწავლებელს... წიგნს..?

პატრიოტიზმი და პროფესიული ეთიკა

„სამშობლო ცოტა უფრო მეტია, ვიდრე საგვარეულო სასაფლაო“, – ეს ამონარიდია ზაალ ჩხეიძის ერთ-ერთი ბლოგიდან. ლამაზად არის ნათქვამი და მართებულადაც. ამ მოსაზრების განზოგადება მრავალმხრივადაა შესაძლებელი. სამშობლოს სიყვარულიც ხომ ცოტა უფრო მეტია, ვიდრე წინაპრებისა თუ მიწა-წყლის სიყვარული...

ჩვენ ბევრი რამ გვასწავლეს პატრიოტიზმზე და სხვადასხვა თაობას მის შესახებ სხვადასხვანაირი წარმოდგენა აქვს. ის სიყვარულის თავისებური ფორმაა და სრულყოფილებისთვის „სხვადასხვა სიყვარულთა თაიგული“ სჭირდება. როგორც მათემატიკოსები იტყვიან, პატრიოტიზმისთვის სიყვარული აუცილებელი პირობაა, მაგრამ არასაკმარისი...

ვინ არის პატრიოტი? პასუხი სხვადასხვანაირი შეიძლება იყოს, თუმცა ჩამონათვალში უმთავრესად მაინც გმირები მოხვდებიან, თან აუცილებლად შეწირულები. მათ, ვისაც შეუძლია ბრძოლის წინა ხაზზე დგომა, სამშობლოსთვის სისხლის გაღება, ტყვიისთვის მკერდის გადაფარება მოყვასის გადასარჩენად...

მაგრამ პატრიოტიზმს იმხელა მაღა აქვს, ამას არ სჯერდება და უფრო მეტს მოითხოვს. თითქოსდა, რა უნდა მოითხოვოს თავგანწირვაზე მეტი? ან როგორ ვაჩვენოთ, რომ პატრიოტები ვართ? როგორ და, რეალური, ნამდვილი მაგალითებით. პატრიოტიზმის დემონსტრირებისთვის სრულიადაც არ არის აუცილებელი ექსტრემალური პირობები. მშვიდობიან ჟამს პატრიოტად ყოფნა შესაძლოა უფრო ძნელიც იყოს, რადგან ის უამრავი, ხშირად შეუმჩნეველი და ნაკლებ პოპულარული, მოსაბეზრებელი და მომქანცველი წვრილმანისგან შედგება.

როდესაც ჩვენი რომელიმე გუნდი გულშემატკივრებით სავსე სტადიონზე თამაშობს, მობურთაღნიც და მათი მომხირაღნიც ერთგვარ პატრიოტულ ვალს იხდიან. იქ გატანილი ყოველი გოლი თუ კალათში ჩავარდნილი ბურთი ქვეყნის პრესტიჟია. როდესაც მაღაზიაში შევდივართ და ქართული წარ-

მოების პროდუქტს ვამჯობინებთ ექსპორტირებულს, ამით ჩვენს პატრიოტულ ვალს ვიხდით – ყოველი გაღებული თეთრი ქვეყნის ეკონომიკაში დარჩენილი ფულია და დიდი სტიმულია ადგილობრივი მეწარმეობისთვის. როგორც ფეხბურთსა თუ კალათბურთს, ისე ეროვნულ ინდუსტრიასაც სჭირდება მხურვალე და ერთგული გულშემატკივრობა. ქართული პროდუქციის ყიდვასთან ერთად ჩვენ ჩვენს უკეთეს მომავალსაც ვყიდულობთ. ქართული კომპანიების მიერ წარმოებული პროდუქციის შეძენით ჩვენ კაპიტალს ვაბანდებთ არა მარტო იმ კომპანიის განვითარებაში, არამედ მთელი ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობაში. ძლიერი კომპანია კი თავს უფლებას აძლევს, კიდევ უფრო უკეთ აღიჭურვოს და კიდევ უფრო ხარისხიანი პროდუქცია შემოგვთავაზოს. მის გაიაფებაზე ფიქრიც არ იქნება უტოპიური და დამანგრეველი... გარდა ამისა, საწარმოს წარმატება არ არის მხოლოდ მის მფლობელთა კეთილდღეობა – ეს ნიშნავს არაერთი ადამიანის დასაქმებას და შემოსავალს საწარმოს შიგნით თუ მის გარეთ... არ იფიქროთ, რომ მრავალჯერ გაგონილ ფრაზებს ვიმეორებ. არა, იმაზე გესაუბრებით, რის საფუძველსაც გამოცდილება მაძლევს.

მოკლედ, ინდუსტრია – პროდუქცია – მომხმარებელი შეკრული ჯაჭვია და თითოეულმა რგოლმა თავისი წილი უნდა იტვიროთ, ისევე როგორც ფეხბურთში: მეკარემ ბურთი დაიჭიროს, თავდამსხმელმა გოლი გაიტანოს, გულშემატკივარმა ოვაცია გამოხატოს...

აქედან გამომდინარე, ჩემთვის საქმის სიყვარულიც პატრიოტიზმია და ამ ნუსხაში ერთ-ერთ პირველ ადგილას პროფესიულ ეთიკას დავაყენებდი.

სულ ახლო წარსულში მომხდარ ამბავს მოგითხრობთ...

საოპერატორო ოთახში ჩართულ მონიტორებზე მთელი საამქროს მაჯისცემა ჩანს. თხელი კედელი და დიდი ფანჯრები ვერ ახშობს დანადგარების გამოძახილს. მათ თავზე ორმოცმეტრიანი შენობა წამომართულა, თითოეულ სართულზე – უამრავი ხელსაწყოთი. ყველა მათგანი ერთმანეთთან არის დაკავშირებული და ნედლეული მზა პროდუქციამდე ისეთსავე ზუსტად გათვლილ ციკლს გადის, როგორსაც სისხლი ჩვენს ორგანიზმში. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ: საამქრო აქ მომუშავეთა ხელით აშენდა, დაიტესტა და ჩადგა მწყობრში. მათი უცხოელი მასწავლებელ-კონსულტანტ-დამრიგებლებიც წავიდნენ უკვე. ახლა საამქრო მხოლოდ მათ იმედზეა. აქ ყველა ასაკის ადამიანს შეხვდებით, თუმცა ახალგაზრდების სიჭარბე უდავოდ მოგხვდებათ თვალში, ზოგიერთი კი შესაძლოა, მეტისმეტად ახალგაზრდაც მოგეჩვენოთ ამხელა აგრეგატის სამართავად.

ეს პატარა, მაგრამ ერთ მუშტად შეკრული გუნდია... გუშინ ყველაფერი მოამზადეს დღევანდელი წარმატებული სტარტისათვის, მაგრამ დილა მოულოდნელობით დაიწყო. საწარმოს მენეჯმენტმა სამწუხარო ამბავი მოიტანა – ხვალიდან ყველა უხელფასო შვებულებაში მიდის. მაგრამ ეს ხვალ იქნება. დღეს კი დღესაა. დღეს ჩვეულებრივი დღეა და ამ დღემაც ჩვეულ რიტმში ჩაიარა. იყო დაღლა, გაუთავებელი გადაძახილები, პარამეტრების კორექტირება, პატარ-პატარა პრობლემები და შეშფოთება, მათი მოგვარება და სიხარული.

არც ერთ მათგანს, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა ეს მათთვის უკანასკნელი სამუშაო დღე ყოფილიყო ამ საწარმოში, აზრად არ მოსვლია, საქმეს გულგრილად მოჰკიდებოდა და ეთაღლითა.

ცვლა გვიან დამთავრდა, მაგრამ ჯერ სახლში წასვლა ადრეა. ყველაფერი უნდა დაიწმინდოს, გაირეცხოს, დალაგდეს – ასე მოითხოვს პროფესიული ეთიკა და ყველა ისევ აკეთებს თავის გასაკეთებელს.

კიდევ რა მახსოვს ამ დღიდან? სახლში წასვლა ბევრს არ უნდოდა. მთხოვეს, დღეს ფეხბურთია და იქნებ აქვე ერთად ვუყუროთო...

მას შემდეგ, როცა თბილ აუდიტორიაში შევდივარ და ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო „გუნებაზე ვერ ვარ“, მახსენდება იმ საამქროს ცივი კედლები... და პროფესიული ეთიკა.

იტირე? მაღლი გიქნია...

„იტირე? მაღლი გიქნია,
მე რა გამგე ვარ მაგისა...“

ვაჟას ეს სიტყვები ყველას კარგად გვახსოვს.

რა არის ცრემლი? დადის კი დედამიწაზე ადამიანი, რომელსაც ერთხელ მაინც არ დანამვია თვალები, ერთხელ მაინც არ ჩამოგორებია ღაწვზე ცრემლის წვეთი? ცხადია, არა.

და მაინც, რისთვის შექმნა ბუნებამ ცრემლი? ამქვეყნად ხომ ტყუილად არაფერი გაჩენილა...


ჩვენ გარშემო გამოსაკვლევ-შესასწავლს რა დალევს და აღმოჩნდნენ მეცნიერები, რომელთაც კვლევის ობიექტად „სველი თვალები“ გაიხადეს. ამ მოვლენის მნიშვნელობა, სირთულე და, თქვენ წარმოიდგინეთ, საჭიროებაც კი იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ მას მეცნიერთა მთელი ამქარი შეება – ფიზიოლოგები, ექიმები, ფსიქოლოგები, ფსიქიატრები და... ქიმიკოსები.

ჩემმა კოლეგებმა ცრემლის ქიმია შეისწავლეს და ერთ მეტად მნიშვნელოვან რამეს მიაკვლიეს: თურმე ცრემლი სხვადასხვანაირია. სადღეისოდ მის სამ სახესხვაობას არჩევენ: ძირითადს (ბაზალურს), თვალის გარსის ქიმიურ-მექანიკური გაღიზიანებით გამოწვეულს და ემოციური გაღიზიანებით მოგვრილს.

თვალებში ცრემლი მაშინაც კი გვიდგას, როცა არც ხახვი „გვაბრაზებს“ და არც „უცხო მოყმე ვინმე“. ამ დროს ისინი ბაზალური ცრემლებით არის სველი. ბაზალური ცრემლის დანიშნულება თვალის ლორწოვანი გარსის მტვრის ნაწილაკებისგან დაცვაა. იგი საპოხი საშუალებაც არის – აადვილებს თვალების ხამხამს და ამცირებს ხახუნს, იცავს ინფექციებისგან და სხვა. მოკლედ, სამყაროს ასე მკაფიოდ, შავი ლაქების გარეშე რომ ვხედავთ, მისი დამსახურებაა.

ცხადია, ამდენი ფუნქცია ერთდროულად რომ შეასრულოს, ცრემლს ქიმიური ნივთიერებების მთელი არმია სჭირდება. დღეისთვის ბაზალური ცრემლიდან გამოყოფილია წყალი, მუკოპროტეინები (მუცინები), ლიპიდები, ლიზოსიმები, ლაქტოფერინი, ლიპოკალინი, იმუნოგლობულინები, გლუკოზა,

შარდოვანა, ნატრიუმისა და კალიუმის ქლორიდები. საცრემლე ჯირკვლები დღე-ღამეში 0.75–დან 1.1 გრამამდე ბაზალურ ცრემლს გამოიმუშავებს და ეს თვალის უსაფრთხოებისთვის საკმარისია „მშვიდობიანობის ჟამს“, მაგრამ თუ მის მეტად მგრძნობიარე გარსს გარეშე საფრთხე დაემუქრა, მტვრის ნაწილაკი იქნება ეს თუ აგრესიული ნაერთი (მაგალითად, ხახვის ფცქენისას გამოყოფილი ეთერზეთები), ცრემლის გამოიმუშავება მთელი სიმძლავრით დაიწყება,



ჩვენი შინაგანი ლაბორატორია უმაღლეს მოახდენს რეაგირებას და მუშაობის საგანგებო რეჟიმზე გადავა. ამ ცრემლს, რომელსაც რეფლექსური ჰქვია, თითქმის იგივე შედგენილობა აქვს, თუმცა მისი რაოდენობა იმდენად აღემატება თვალის უპის თავისუფალ მოცულობას, რომ მასში აღარ ეტევა და ლოყებზე გადმოიღვრება. არც ეს არის შემთხვევითი – რეფლექსურ ცრემლს ხომ თვალის ამობანა აკისრია.

ცრემლის მესამე სახეობა, ემოციური ცრემლი, ქიმიური შედგენილობით ისევე განსხვავდება რეფლექსურისგან, როგორც თვალნატკენი ადამიანი – გულნატკენისგან. ემოციურ ცრემლებში უფრო მეტია პროტეინული ჰორმონები: პროლაქტინი, ადრენოკორტიკოტროპული ჰორმონი და ლეიცინი ენკეფალინი. ეს უკანასკნელი ბუნებრივი ტკივილგამაყუჩებელია.

რატომ იცვლება ცრემლის შედგენილობა ემოციური ფონის ცვლილებებისას? როგორც თვალში ჩავარდნილ ქვიშის ნაწილაკს უნდა ამორეცხვა, ისე იმ ნივთიერებებსაც, რომლებიც ადამიანის ემოციურ ფონს ამძაფრებს. ემოციური

სტრესის დროს სისხლში ხვდება ნაერთების მთელი წყება, რომელთა გავლენითაც ვცვირით, ხელ-ფეხი გვიკანკალებს, სუნთქვა გვიხშირდება და სხვა ნორმალური ყოფისათვის მიუღებელი რამ გვემართება. ორგანიზმში ასეთი ნაერთების დაგროვება ემოციური ფონის უფრო მეტად აწევას, უფრო მეტ სტრესს გამოიწვევს. მეორე მხრივ, ეს ჰორმონები და პროტეინები ტოქსიკური ნაერთებია და კრიტიკულ დონემდე მომატებისას წამლავს ორგანიზმს, რასაც, ადვილი შესაძლებელია, მეორეული დაზიანება, მაგალითად, იმუნური სისტემის დაქვეითება მოჰყვეს.

ამ ყველაფერს ცრემლით ვიცილებთ თავიდან. ცრემლი ორგანიზმიდან „გამორეცხავს“ საშიშ პროტეინებს. ამიტომ ცრემლიანი ტირილი სჯობია უცრემლოს... გულში ჩახვეული ვარაში გარეთ გზას ცრემლის ბილიკით მიიკვლევს.

„ამირან ჩამოტიროდა,
ცხენ-ოხრის ჩამოგდებული.
წინ დედა გამეეგება, –
რადა ხარ ატირებული.
განა ღმერთი ვარ, დედაო,
სულ ვიყო გაცინებული...“

თქვენ კი... ბაზალურცრემლიან წელს გისურვებთ.

„ყველასაც თურმე ენა აქვს“,

ანუ როგორ საუბრობენ მოღვაწეები

სიცოცხლეში ერთხელ მაინც მოვხვედრილვართ გარემოში, სადაც სხვა-დასხვა ენასა თუ დიალექტზე საუბრობენ. ზოგჯერ გვესმის ნათქვამის შინაარსი, ზოგჯერ მხოლოდ ამ ენებისა თუ დიალექტების სადაურობას ვხვდებით, ზოგჯერ – ამასაც ვერა... ერთი რამ ცხადზე უცხადესია – თანამოსაუბრეებს ერთმანეთისა ესმით, ჩვენ კი თუ ვისიმე ნათქვამი ვერ გავიგეთ, ეს ან ჩვენივე უცოდინრობის ბრალია, ან სმენის აპარატისა.

ხმოვანი კომუნიკაცია „ურთიერთგაგების“ ერთ-ერთი უძველესი ფორმაა. თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებები მასზე დაფუძნებული: სტენოგრაფიის აპარატი ტელეფონმა შეცვალა, ეტრატები – რადიომ, მუნჯი ფილმი – ხმოვანმა კინომ... ჩვენი ბაგიდან მოწყვეტილ სიტყვებს უფრო მაგიური ძალა აქვს, ვიდრე ძვირფას მასალაზე ოქროთი მოვარაყებულს. წარმოთქმული სიტყვა „ცოცხალია“. გარდა სიტყვის „მშრალი“ აზრისა, დიდი მნიშვნელობა აქვს მისი წარმოთქმის მანერას, ინტონაციას, ხმის ტემბრს, სიმაღლეს. მოკლედ, „ხმოვან“ სიტყვას აქვს ის, რაც ვერაფრით ჩაიწერება ასოებით თუ იეროგლიფებით...

მაგრამ ფიხვნობა მხოლოდ კაცთა და ქაღთა, ორ ფეხზე მავალთა ფუფუნება როდია. ფრინველთა გალობა და ჟღერტული მათი სასაუბრო ენაა. ნადირთა და მხეცთა გულის გამყინავი ყმუილი თუ ყეფაც საუბარია. ფური ხბოს ბლავილით უხმობს, ბატკანი დედას ნაზი ხმით აგებინებს, რომ ძუძუ სწყურია და სულ ტყუილად ვუწოდებთ მათ პირუტყვებს. თევზს, მართალია, პირში წყალი აქვს ჩაგუბებული, მაგრამ მასაც შეუძლია, მიჯნურს გაანდოს გულისნადები...

მეტყველებენ უსულონიც – ქვები და კლდეები, წყლები და მდინარეები, ტყე და ყვავილი... ქვის ქვაზე დაცემისას მისი წამოკვნესება, სიოს გულმკერდ-მიშვერილი ფოთლების შრიალი, მთის სწრაფი მდინარის შხუილი თუ ბარად დავაკებულის ნელი დუდუნი, ზღვის ტალღების საამო ტყლაშუნი საუბარია, მათი ენა, ენა, რომელიც შეიძლება გავიგონოთ, მაგრამ არ გვესმის, ისევე როგორც არ გვესმის, რაზე საუბრობენ მავრები კოცონის პირას...


ვაჟა-ფშაველა „გველისმჭამელში“ ამბობს:

„რაც კი რამ დაუბადია
უფალს სულიერ-უსულო,

ყველასაც თურმე ენა აქვს,
არა ყოფილა ურჯულო“...

საუბრობენ მოლეკულები? რა თქმა უნდა! არც ისინი არიან „ურჯულონი“...

ხმა მოსაუბრისგან ჩვენს ყურამდე ელექტრომაგნიტური ტალღების მეშვეობით მოდის. ამოსუნთქული ჰაერის ნაკადი ენის მოძრაობით ჩვენს სამეტყველო აპარატში რხევად გადაიქცევა და შეავსებს ირგვლივ ეთერს. მისი გარეცხელების მანძილი ტალღის ენერგიაზე იქნება დამოკიდებული. ასეთი ტალღა აღწევს ჩვენს სმენის აპარატამდე, რომლის მგრძნობიარე ზედაპირზე ტალღის დაცემა რხევას ესტაფეტასავით გადასცემს მას... მაგრამ ჩვენს ყურს შეუძლია აღიქვას ტალღები, რომელთა სიხშირე 7-დან 20000 ჰერცამდეა. ამ დიაპაზონის გარეთ არსებული ხმა ჩვენთვის „სიჩუმის“ ტოლფასია. მოლეკულებს, ჩვენგან განსხვავებით, უფრო მაღალი სიხშირის ტალღები (4×10^{12} – 4×10^{13} Hz) ესმით, რომლებიც გამოსხივების ინფრაწითელ უბანს შეესაბამება, ამიტომ მათთან სასაუბროდ ინფრაწითელ სპექტრომეტრს ვიყენებთ. სპექტრომეტრში ვათავსებთ სინჯს და გამოსხივების წყაროდან ტალღებს (ხმას) მისკენ მივმართავთ. ეს პროცესი დაახლოებით კლასში სიის ამოკითხვას ჰგავს: გვარის გაგონებისას, თუ მოსწავლე კლასში იმყოფება, გვიდასტურებს თავის იქ ყოფნას. მოლეკულაში შემავალი ატომები და ფუნქციური ჯგუფებიც ასევე იქცევიან – ყველა მათგანს ტალღის სხვადასხვა სიგრძე შეესაბამება და მხოლოდ მასზე რეაგირებს, ეს რეაგირება კი სპექტროგრამაზე პიკების სახით ჩაიწერება.



საუბარს, დიალოგს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ნებისმიერ საკითხში წარმატების მისაღწევად. ქიმიკოსმა უნდა იცოდეს მოლეკულების ენა, მასწავლებელმა – მოსწავლეებისა... სხვაგვარად ყოველი გაკვეთილი თუ ექსპერიმენტი წარუმატებლობისთვისაა განწირული.

წონასწორობა

გინახავთ ალბათ, როგორ დადის ახალფეხადგმული ბავშვი, თითოეულ ნაბიჯს რამხელა ძალისხმევას ანდომებს... ძნელია პირველი ნაბიჯის გადადგმა, მეორისა – კიდევ უფრო ძნელი, მერე და მერე კი საქმე ნელ-ნელა მარტივდება და გვავიწყდება კიდევ ის პირველი სირთულეები.

რატომ გვიჭირს ასე? მუსკულატურას ჯერ არ შეუძლია ჩვენი სხეულის სიმძიმის ზიდვა? არა, ბატონებო, ვიდრე გავბედავთ და „ყალყზე შევდგებით“, იმდენი გვაქვს ნაფორთხი, ყოველ გაბრაზება-გაჟინიანებაზე ფეხები ჰაერში „ნაბაკუნები“, რომ ჩვენს ქვედა კიდურებს სხეულის ზედა ნაწილის ტარება ნამდვილად არ უნდა გაუჭირდეს.


რაც ხელს გვიშლის, წონასწორობის დაცვის უუნარობაა. წელში გამართულ სიარულს ნავარჯიშები კუნთები არ ჰყოფნის – მას ცოდნაც უნდა, წონასწორობის დაცვის ცოდნა.

წონასწორობის ფენომენი მთელი ჩვენი ცხოვრების თანამგზავრია. წელიწადის დროთა მონაცვლეობა, სუნთქვის რიტმი მთელი თავისი ღრმა ბი-



ოლოგიური მოვლენებით, ჟანგბად-ნახშირორჟანგის წარმოქმნა-ურთიერთ-გარდაქმნა ჩვენს ორგანიზმში თუ მის გარეთ და ყოველი მოვლენა, რომელიც თვალთ დაინახება, ყურით გაიგონება, შეხებით შეიგრძნობა, წონასწორობაა. თვით ჩვენი ამა სოფლად ყოფნაც წონასწორობაა დაბადებასა და სიკვდილს შორის. დაბადებისას მშობლები მხოლოდ რამდენიმე მოლეკულას გვისასხვრებენ, მერე მთელი სიცოცხლე დედამიწის ძუძუს ვწოვთ, ხარბად ვისრუტავთ იქიდან ელემენტებს და ვაგებთ ჩვენს სხეულს, ბოლოს კი... უკანვე ვუბრუნებთ და ამით აღვასრულებთ წონასწორობის კანონს. სხვაგვარად არც შეიძლება – ჩვენ შემდეგაც ხომ უნდა დაიბადონ სხვები...

ქიმიშიც ხშირად გვაქვს საქმე წონასწორობასთან, თუმცა ამ ტერმინით ბოგერ მხოლოდ რეაქციების შექცევადობას გვულისხმობთ. უამრავი მათგანი შექცევადობის გამო „ბოლომდე არ მიდის“. მაგალითად შეიძლება ესტერიფიკაციის რეაქცია მოვიყვანოთ:



რეაქციის საწყის ეტაპზე მჟავასა და სპირტის მოლეკულები ეკვეთებიან ერთმანეთს და ბრძოლის ველზე დატოვებენ ესტერისა და წყლის მოლეკულას. და ეს პროცესი, რეაქციის ამგვარი მიმართულება გაგრძელდება მანამდე, სანამ მჟავასა და სპირტის მოლეკულები იქნებიან დომინანტები. გადის ხანი და ისინი იღლებიან, მკლავი (ფუნქციური ჯგუფები) ისე აღარ უჭრით, როგორც ბრძოლის დაწყებისას, რეაქციაც ნელდება და მდორედ მიედინება. მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნულად ჩანს ასე. სინამდვილეში რეაქციის შენელება წონასწორობის რეჟიმის დამყარების შედეგია. რეაქციის შედეგად წარმოქმნილი ესტერი და წყალიც იწყებენ ერთმანეთთან რეაქციაში შესვლას და საწყისი მჟავასა და სპირტის მოლეკულების წარმოქმნას. წონასწორობის დამყარების შემდეგ რეაქცია „ჩერდება“. მაგრამ ეს გაჩერება უძრაობას არ ნიშნავს. რეალურად რეაქცია იმავე სიჩქარით მიმდინარეობს, თუმცა ამ დროს წარმოქმნა და დაშლა ტოლია და თითოეული ნივთიერება იმავე მეტი აღარ წარმოიქმნება, რა რაოდენობითაც შეეგება წონასწორობის დამყარებას.

წონასწორობის ფენომენს ქიმიში მხოლოდ ამ ტიპის რეაქციებში როდი ვხვდებით; დიფუზიის გამოვლინება სხვა არაფერია, თუ არა წონასწორობის აღდგენა. ფრთხილად შეურიეთ ერთმანეთს ორი სხვადასხვა ფერის სითხე. ისინი ჯერ ცალ-ცალკე ფენებად განთავსდებიან, ხოლო წონასწორობის აღდგენის შემდეგ თანაბრად გადანაწილდებიან ერთმანეთში. დახურული ჭურჭლის რომელიმე „კუთხეში“ გავზარდოთ წნევა – იგი უმაღლეს გათანაბრდება მთელ სისტემაში. დავასხათ რაიმე ურთიერთშეურეველი გამხსნელი რომელიმე ხსნარს – ხსნარში არსებული ნივთიერება დაიწყებს მიგრირებას ახალი გამხსნელისკენ, მაგრამ სრულად მაინც არ გადავა, გამოწვლილვის (ექსტრაქციის) პროცესი წონასწორობის დამყარებისთანავე „შეწყდება“. და ეს შეწყვეტაც დინამიკური იქნება...

დაბოლოს, კიდევ ერთი – და შესაძლოა ძალიან მნიშვნელოვანი – ასპექტი „წონასწორობის კანონისა“: წონასწორობა სრულიადაც არ ნიშნავს 50/50 განაწილებას; იგი ნებისმიერ თანაფარდობაში შეიძლება იქნეს მიღწეული, და ეს პროცენტული განაწილება დამოკიდებულია პროცენტების მხარეს მდგომ მოლეკულებზე, მათ სურვილზე, ზნე-ჩვეულებებსა და ადათ-წესებზე. სხვადასხვა დროს, სხვადასხვა პირობებში წონასწორობის თანაფარდობა შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ არასოდეს გაქრება.

კლასში გაკვეთილის ჩატარებაც და, საზოგადოდ, განათლებაც წონასწორობის პროცესია. თავდაპირველად ცოდნა მასწავლებლისგან მოსწავლისკენ გადაედინება; გაივლის ხანი და დადგება დრო, როცა უკვე „ველარ ვასწავლით“. მაგრამ „ველარ ვასწავლით“ წონასწორობის რეაქციის „გაჩერებულ“ სიჩქარესავითაა. რეალურად ჩვენ ჯერ კიდევ ვასწავლით ჩვენსას, ისინი კი თავისას გვასწავლიან... მაგრამ სად მდებარეობს წონასწორობის წერტილი? აი, კითხვა, რომელიც მუდამ უნდა აწუხებდეს მასწავლებელს.

ნაბიჯი მარადობისკენ

„საუკუნეები და ერები, როგორც ლეგენდარული არმიები, იკრიბებიან და იშლებიან: სახელმწიფოები და ადამიანები თავიანთი ჩვეულებებით, სურვილებით, იდეალებით და ილუზიებით აფართქალდებიან, ლელავენ, ეძებენ და იტანჯებიან, საუკუნეთა განმავლობაში მრავლდებიან, ორგანულ-ბიოლოგიურად იზრდებიან; დაიქანცებიან ლელვა-ძიებაში და წუთისოფელს შორდებიან, ვით უდაბნოში მოხეტიალე მგზავრები. დროთა მდუმარე სასაფლაოზე მოდიან სხვები და შლიან უთავბოლო პოემის ახალ რვეულებს, ჩმახავენ ახალ სიტყვებს, იგონებენ ღმერთებს და მეცნიერულ ზღაპრებს...“ – წუხს ცხოვრების წარმავლობაზე კონსტანტინე კაპანელი...

„ყოფნა? არყოფნა?“ – ეს კითხვა შექსპირამდეც აღელვებდა ადამიანს და მომავალშიც არაერთხელ შეახსენებს თავს. რაც უნდა ღრმად გვწამდეს მითი თუ სინამდვილე სულის უკვდავებისა და სამოთხისა, მაინც არ გვეთმობა ჩვენი ამქვეყნიური სადგომი, სავსე ტალახით, ცრემლით, ტანჯვით, დარდით, სიხარულით, იმედით...

სანამ სული უდგას, სხეული ინარჩუნებს სიმრთელეს. სული ინჰიბიტორივითაა – ერთმანეთისგან დაცილების საშუალებას არ აძლევს ჩვენს მოლექულებს.

და სანამ სული გვიდგას და გული ფეთქავს, რას არ ჩავდივართ, რომ როცა სხეული ველარ შეძლებს სიარულს, ჩვენმა მისტიურმა მე-მ გააგრძელოს ამქვეყნად ყოფნა.

ჩვენი ყიჟინა შვილის დაბადებისას სხვა არაფერია, თუ არა ჩვენი ქვეცნობიერის გადაძახილი ერთი თაობის იქით, მარადობასთან ერთი ნაბიჯით მიახლოების სიხარული. მამალიც ყივის, როცა დედალი საქათმეში კვერცხს დებს. პრობლემა ერთი გვაქვს. გადაჭრის გზაც ერთია. თუმცა ჰომოსაპიენსებს კიდევ გვაქვს რაღაც, რაც ასევე დააოკებს ჩვენს ჟინს, მარადობისკენ რომ მიილტვის. ეს გახლავთ საქმე. საქმიანობა სახელს ქმნის, სახელი კი გადადის თაობიდან თაობაში და გენეტიკურ კავშირებს არად დაგიდევთ.

ილტვიან მარადობისკენ მოლექულები? რა თქმა უნდა. უფრო მეტიც – ჩვენ ეს ლტოლვა მათგან ვისწავლეთ.



მოდის, განვიხილოთ ერთ-ერთი ყველაზე კარგად ცნობილი ელექტროფილური ჩანაცვლება არომატულ ბირთვში.

თავიდანვე შევნიშნავ, რომ არომატული ნაერთები იმ მოლეკულათაგანნი არიან, ათასწლეულებს რომ გაუძღეს, მედგრად გაუმკლავდნენ დედამიწის წიაღის აგრესიულ გარემოს, მაღალ ტემპერატურასა და წნევას. ბენზოლიც მათ რიცხვს ეკუთვნის. ორი საუკუნის წინ მას პირველად შეეხო ქიმიკოსის ხელი. მისი შემადგენლობის დადგენით გამოწვეული სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა. იმ ფაქტმა, რომ ბენზოლში შემავალ ექვს ნახშირბადატომს მხოლოდ ექვსი წყალბადატომი უმშვენებდა გვერდს, ბევრი თავსატეხი გააჩინა. მანამდე არსებული ზოგიერთი კონცეფცია თავდაყირა დადგა – ბენზოლი უფრო უჯერი ნაერთი იყო, ვიდრე იმ დროის ქიმიკოსთა ხელთ არსებული ალკენები, ალკინები, ალკადიენები... შესაბამისადაც მიუდგნენ. ეთენივით, მასაც დაამატეს კალიუმის პერმანგანატი, მაგრამ ამ უკანასკნელის ნაცვლად მეცნიერთა წარმოდგენები გაუფერულდა. მოგვიანებით კიდევ უფრო დიდი ლაფსუსი შეამჩნიეს: უჯერი ნაერთი ბენზოლი რეაქციებში ნაჯერი ნაერთებივით შედიოდა – მოსალოდნელი (იმ დროის ლოგიკით) მიერთების რეაქციების ნაცვლად მისთვის ჩანაცვლების რეაქციები იყო დამახასიათებელი. ამიტომ იგი რამდენიმე ხნით „თაროზე შემოდეს“.

ბენზოლის ასეთ ქცევას რეაქციის მექანიზმის შესწავლამ მოჰფინა ნათელი. ბენზოლის ბირთვში თავმოყრილი ელექტრონები (π სექსტეტი) მსუყე საკბილოა ელექტროფილური (ელექტრონის მაძებარი) ნაწილაკისთვის, ამიტომ, თუ ერთ სისტემაში (კოლბაში) მოხვდნენ, ელექტროფილი გულგრილად ვერ ჩაუვლის ბენზოლს. ჯერ შორიდან ზვერავენ ერთმანეთს. ადვილი როდია უკარება ბენზოლთან საერთო ენის გამონახვა, ამიტომ ეს ურთიერთობა შესაძლოა კრახით დასრულდეს. ქიმიურ ენაზე კი ბენზოლსა და ელექტროფილს შორის პირველ ეტაპზე წარმოიქმნება π კომპლექსი. თანაც ამ კომპლექსის წარმოქმნა შექცევადი პროცესია. π კომპლექსის ფორმირება უმაღლესი სისტემის ენერგიაზე – იგი იმატებს. თუ ბენზოლსა და ელექტროფილს აღმოაჩნდათ საკმარისი ენერგია (ნება), გააგრძელონ ურთიერთობა და კიდევ უფრო ზევით აუყვანენ ენერგეტიკული პროფილის ციცაბო კალთას, მათი ურთიერთობა უკვე სერიოზულ ხასიათს მიიღებს და σ კომპლექსად გარდაიქმნება. σ კომპლექსში უკვე ფორმირდება კოვალენტური ბმა ელექტროფილსა და ერთ-ერთ ნახშირბადატომს შორის. ბმის ფორმირებას თან ახლავს π სექსტეტის რღვევა. ელექტროფილს ერთი ელექტრონი აკლია, ამიტომ იგი π სექ-

სტეტიდან მხოლოდ ერთ ელექტრონს მიიტაცებს – მისთვის ორი და მეტი ელექტრონი ისეთივე თავსატეხივარია, როგორც უელექტრონობა. მის მიერ ბენზოლში შემოტანილი მუხტი კი მეზობელ ნახშირბადატომზე მიგრირდება და სისტემა კვლავ დამუხტული (აღგზნებული) დარჩება, მაგრამ მცირე ხნით – ასეთ მდგომარეობაში დიდხანს ყოფნა შეუძლებელია, გამოსავალი სასწრაფოდ უნდა მოიძებნოს...

ეს ენერგეტიკული თვალსაზრისით ყველაზე მაღალი მწვერვალია, საიდან დაშვებაც ორი გზით შეიძლება: უკან დასაბრუნებელი ბილიკით და მარჯვენა ციცაბო კალთით. მაგრამ წარმოიდგინეთ თქვენი თავი – ზურგიანთააკიდებულმა, ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ მიაღწიეთ მწვერვალს და, დაღლილ-დაქანცული, დაშვებას გეგმავთ. რომელ გზას აირჩევდით? ცხადია, პირდაპირს. σ კომპლექსის ასე იქცევა.



მაგრამ მთავარი ახლა იწყება. დადებითი მუხტის მატარებელ σ კომპლექსს მუხტის მოცილების ორი შესაძლებლობა აქვს. ერთია მიერთება იმავე სისტემაში ეულად მოხეტილ უარყოფითად დამუხტულ ნუკლეოფილისა (რომელიც ასევე არაკონდიციურ მდგომარეობაში იმყოფება და ელექტრონის გაცემა-გაზიარებას ცდილობს). მაგრამ ეს პრობლემის მოგვარების მართი გზაა. ეს არჩევანი სტაბილიზაციისკენ მსწრაფი მოლეკულის დროებითი გამოსავალია. ამ დროს (მიერთების რეაქციის შედეგად) მიიღება დიენური ნაერთი, რომელიც პირველსავე შემხვედრ სუსტ ელექტროფილთან ჭიდილში დამარცხებისთვის არის განწირული. იცის ეს ბენზოლის მოლეკულამ და ამიტომ სხვა არჩევანს აკეთებს: ის მოლეკულიდან მოიკვეთს წყალბადის პროტონს, რომელთან ერთად, ვინ იცის, რამდენი ათასწლეული გაატარა. σ კომპლექსიდან პროტონის მოხლეჩა ბენზოლის ბირთვის საშუალებას აძლევს, აღადგინოს π სექსტეტი და კიდევ რამდენიმე ათასწლეული მშვიდად იგრძნოს თავი. ამ ჟესტით ბენზოლი ნაბიჯს დგამს მარადობისკენ.

სულიერი თუ გონიერიცაა, უნდა ფიქრობდეს ამქვეყნად ბიოლოგიურ შთამომავლობასთან ერთად მისი საქმის გამგრძელებლის დატოვებაზეც. ეს მიმჩნია მარადობისკენ გადადგმულ საუკეთესო ნაბიჯად. გაიხსენეთ, როგორ მოძღვრავდა დედა აქილევსს ტროას ომის წინ...

მასწავლებლის პროფესიის არჩევა უკვე ნიშნავს ნაბიჯს მარადობისკენ... ამ გზაზე სიარული ყველას არ შეუძლია...

პროცესი, რომელიც შეუქცევადია

ჯონ კუტბეეს და პოლ ოსტერის მიმოწერაში ამოვიკითხე: „ერთი ახალგაზრდა კაცი უფსკრულის თავზე გაჭიმულ ბაგირზე გავლას გაბედავს. არ ჩამოვარდება, მეორე მხარეს მშვიდობით მიაღწევს, მაგრამ ამის შემდეგ ბაგირზე ერთხელაც აღარ გაივლის. ამის შესახებ არასდროს საუბრობს, მიუხედავად იმისა, რომ მეგობრებს მისი ოსტატობა ახსოვთ და ხშირად იხსენებენ თავშეყრის დროს. ახალგაზრდა კაცი ცხოვრებას თავიდან იწყებს, ცოტა ხნის შემდეგ დაქორწინდება, შვილები უნდება და ერთი შეხედვით, ყოველმხრივ წარმატებული ადამიანი ხდება, თუმცა ის აღარ არის, ვინც ადრე იყო – ეს მისმა მეგობრებმაც იციან და თვითონაც იცის. თითქოს იქ, ჰაერში, იმ მოკლე დროში ვიღაცას ან რაღაცას შეხვდა: თვალი შეავლო, იცნო და ყველაფერი შეიცვალა...“

მაინც რატომ მიანება ახალგაზრდამ თავი ბაგირზე სიარულს? რამდენი დიდის გაჭიმულ თოკზე წინ და უკან სხვისი გულის გასახარად და ამ ჯამბაზობით იძენს სახელსა და სარგებელს... მაგრამ მან, როგორც ჩანს, ბაგირზე სხვისთვის კი არა, საკუთარი თავისთვის გაიარა. საკუთარ თავში შიშის დასამარცხებლად... შიში ხომ ჩვენი მუდმივი თანამგზავრია, რომელიც დაბადებიდან სიკვდილამდე თან გვდევს, მაღლა ახედვის, წელში გამართვის, სხვისთვის თვალეში ჩახედვის, ახალი სიტყვის თქმის, შეცდომის აღიარების, თავმდაბლობის და, ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი რამის საშუალებას არ გვაძლევს...

როგორ ვძლიოთ შიშს, როგორ გავიაროთ ბაგირზე და გადავიდეთ უფსკრულის მეორე მხარეს?

დავაკვირდეთ კალციუმს.

კალციუმი უმთავრესად კირქვის სახით განისვენებს დედამიწის წიაღში და ამ მოთეთრო ფერის ქვას მხოლოდ ჩვენი ბუნაგებისა და ეკლესიების ასაშენებლად თუ გამოვიყენებთ. კალციუმმა საინტერესო და შემოქმედებითი ცხოვრება რომ დაიწყო (ქიმიურ რეაქტივად რომ იქცეს), დიდი კატაკლიზმები უნდა გადაიტანოს – ნახშირთან ერთად თითქმის ათასგრადუსიან მცხუნვარებას გაუძლოს და ნახშირბადის კარბიდად გარდაიქმნას. ნახშირბად-

თან დაწყებული კალციუმისთვის ახალი ცხოვრება იწყება – ენერგიული, მშფოთვარე, დაუდგომელი, ფეთქებადი და, აქედან გამომდინარე, არასტაბილურიც. ის აღარ ჰგავს კირქვას, რომელსაც მზის გულზე თუ ყინვაში საუკუნეობით შექცეული ნებივრობა – კალციუმის კარბიდი, ჟუჟუნა წვიმა ეპყურება თუ არა, ერთიანად იფხორება, ფუვდება, პირიდან დუჟი გადმოსდის. ირღვევა კალციუმისა და ნახშირბადის კავშირიც და ორივე ელემენტი ახალ ფორმას პოულობს საარსებოდ: კალციუმი ჰიდროქსიდის სახით ევლინება ქვეყნიერებას, ხოლო ნახშირბადი აცეტილენში აგრძელებს არსებობას. მაგრამ არც ჰიდროქსიდად გარდაქმნილი კალციუმის ცხოვრებაა მთლად მშვიდი – ის ისევ ენერგიულად პასუხობს გამოწვევებს და არაერთ რეაქციაში ბოლომდე იხარჯება. ამის გამო, ნათლიებმა მას მწვავე კალციუმიც კი შეარქვეს, ხოლო ზოგიერთი, მის მიერ განვლილი გზის გათვალისწინებით, ჩამქრალ კირად მოიხსენიებს. თუმცა კალციუმის ამ ბოჰემური ცხოვრების მიღმა განმარტოებისა და მშვიდი ცხოვრებისკენ სწრაფვა იმალება.

დავაკვირდეთ კალციუმის ჰიდროქსიდის ხსნარს. მართალია, იგი კამკამა და წყალივით გამჭირვალეა, მაგრამ ჩვენი ცხოვრების ამ ელექსირს არაფრით ჰგავს. თუ ხელს შევახებთ, სიმწვავეს ვიგრძნობთ, არ გვაპატიებს კანნიერებას, მაგრამ საკმარისია, სული შთავბეროთ (მასში მილი ჩავუშვათ და ჩავბეროთ), რომ ხსნარი უმაღლ იმღვრება, გამჭვირვალობასა და სისპეტაკეს დაკარგავს... მერე კი ცხოვრების ქარტეხილებისგან დაქანცული კალციუმი კარბონატის (ცარცის) სახით მშვიდ განსასვენებელს პოვებს ჭურჭლის ფსკერზე, ხოლო მის თავზე ცა გადაიწმინდება, ჭურჭლის შიგთავსი კვლავ მთის წყაროსავით კამკამა და უწყინარი გახდება.

ვინ იცის, იქნებ მართლაც ღირდეს კიდევ სიცოცხლის ისე დასრულება, როგორც კალციუმი ასრულებს ამ გარდაქმნების შემდეგ... იქვე ცარცად, რომელსაც ოდესმე ხელში აიღებენ, დაფაზე ასოებსა და ციფრებს გამოსახავენ და შენით ვინმეს რამეს ასწავლიან...

მასწავლებელთა სევდა

მიგელ დე სერვანტესის „დონ კიხოტს“, როგორც წესი, ორი სხვადასხვა პოლუსის მკითხველი ჰყავს. ერთი მას კომედიურ ჟანრს მიაკუთვნებენ და სევილიელი იდალგოს ყოველ ახირებაზე გულიანად ხარხარებენ, მეორეთათვის კი იგი ტრაგიკული ნაწარმოებია. ტერმინი „დონკიხოტობაც“ ზოგს ეთაკილება, ზოგი კი ვაჟა-ფშაველას „უძმოს-ძმასთან“ აიგივებს მას და ყოველთა ჩაგრულთა მფარველად, უსამართლობასთან მებრძოლად წარმოუდგენია.

ჩაიარა მასწავლებელთა სერტიფიცირების კიდევ ერთმა ციებ-ცხელებამ და ვნებათაღელვამ პიკს მიაღწია. ასაღელვებელ-დასაფიქრებელი მართლაც ბევრია... მინდა, ამთავითვე განვაცხადო, რომ მე ერთი მათგანი ვარ, ვინც გამოსაცდელის დანდობა არ იცის, მაგრამ ქიმიის მასწავლებელთა „ქიმიური ანალიზის“ შედეგები უფლებას არ მაძლევს, არ განვაცხადო: ასეთი შედეგის მხოლოდ გამოცდის ვერჩამბარებელი მასწავლებლებისთვის გადაბრალება უსამართლობაა!

მაშ, ვინ არის დამნაშავე?

ეროვნული საგამოცდო ცენტრი? ის ამოცანები, რაც ცენტრმა წელს (და არამართო წელს) შესთავაზა მასწავლებლებს, საკმაოდ შორს არის თანამედროვე (შეგნებულად არ ვიყენებ სიტყვა „საერთაშორისოს“) მოთხოვნებისგან. ექსპერტებს დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რომ ტესტს ტესტის სახეც ჰქონოდა და თან როგორმე მორგებოდა არსებულ უმძიმეს ვითარებას.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი? – არა, მასწავლებლის სახლი, ქიმიის კონსულტანტ-ტრენერების დიდი ამქრით, შესაძლებლობათა მაქსიმუმს აკეთებს ტრენინგებისთვის გამოყოფილი დროისა და რესურსების ფარგლებში.

ვფიქრობ, მთავარი მიზეზი მოტივაციაა, უფრო სწორად, უმოტივაციობა! ამ პრობლემას საშველი მაშინ დაადგება, როდესაც გაჩნდება შინაგანი მოთხოვნილება პროფესიული თვითსრულყოფისა და განვითარებისთვის. დღეს კი დავსვამ მარტივი კითხვას: რატომ უნდა ჩააბაროს მასწავლებელმა ტესტი? რას დაკარგავს, თუ ვერ ჩააბარა?

სამწუხაროდ, დღეს მასწავლებელი თავისი პროფესიით უკვე აღარ ამბოხებს და შრომის ანაზღაურებას მხოლოდ მისი სხვა შემოსავლების დანამატია. ჰოდა, რატომღა შეიწუხოს თავი „არაფრის მომცემი“ თვითგანვითარებით, რომელიც ყოველდღიურ შრომას მოითხოვს?!

მისაღებია არგუმენტი, რომ მასწავლებელი ახალი თაობის ლოკომოტივა და მისმა პრობლემებმა არ უნდა დაუმახინჯოს მომავალი ახალგაზრდებს, ამიტომ უნდა ეყოს გამბედაობა და წესიერება და... ან ყველაფერი გააკეთოს თვითგანვითარებისთვის, ან განზე გადგეს და სხვას დაუთმოს ასპარეზი. მაგრამ ასეთი ჰეროიკული საქციელი მაღალგანვითარებულ (მატერიალურად თუ ზნეობრივად) საზოგადოებას თუ შეიძლება მოვთხოვოთ, ჩვენგან კი იქამდე ვერ შორია.

სხვა გზაა მოსაძებნი...

არსებობს მოარული ფრაზა: „დედამიწის მოსახლეობის 90%-ს არ უყვარს ქიმი, ხოლო ვისაც უყვარს ქიმია, მათ 90%-ს სძულს ფიზიკა“. არადა, ამ და მრავალ სხვა საკითხში ფიზიკის კანონების მოშველიება დიდად წაგვადგებოდა.

ცნებებს „ენტროპია“, „ენტალპია“, „ჯიბსის კანონი“ საზოგადოება მე-19 საუკუნის შუა წლებიდან იცნობს, მაგრამ მათი მნიშვნელობა ჯერაც ვერ გავისივრებანეთ ბოლომდე, ამიტომ მათ გამარტივებულ განმარტებას აქაც მოვიყვან.

ენტროპია არის მრავალნაწილაკიანი სისტემის მოუწესრიგებლობის („ქაოსის“) ზომა.

ენტალპია არის თერმოდინამიკური პოტენციალი, რომელიც აღწერს სისტემის მდგომარეობას თერმოდინამიკურ წონასწორობაში. უფრო მარტივად, ენტალპია ის ენერგიაა, რომელიც ხელმისაწვდომია განსაზღვრულ ტემპერატურაზე სითბოდ გარდასაქმნელად.

ვინც ფიზიკაშია, მით უფრო – ქიმია არ იცის, მისთვის ეს ცნებები არაფრის მთქმელია, მაგრამ მათი მოშველიებით უმნიშვნელოვანესი დასკვნების გამოტანაა შესაძლებელი. ნებისმიერი ქიმიური (და არამარტო ქიმიური) პროცესის დროს ერთდროულად მოქმედებს ორი ურთიერთსაპირისპირო ფაქტორი: ენტროპიული ($T\Delta S$) და ენტალპიური (ΔH). ამ ორი ურთიერთმოქიშვე სტიქიის სხვაობით (თუნდაც შეკრებით) განისაზღვრება ჯიბსის ენერგიის ცვლილება: $\Delta G = \Delta H - T\Delta S$. თუ $\Delta G < 0$, პროცესი შეიძლება წარიმართოს, ხოლო თუ $\Delta G > 0$, ჩვენი ყოველგვარი მცდელობა ბუნების კანონებს ეწინააღმდეგება და მარცხისთვის არის განწირული.

თუ გამოვთვლით ჯიბის ენერგიას მასწავლებელთა მომზადება-სერტიფიცირების პროცესისთვის, მისი მნიშვნელობა ნულზე მეტი იქნება, ვიდრე არ გაჩნდება მოტივაცია, ამიტომ ყოველგვარი მცდელობა, სკოლაში გვყავდეს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი პედაგოგი, იქნება ფუჭი. ხოლო თუ დავუბრუნებთ მასწავლებლის პროფესიას პრესტიჟს, ΔG -ც შეიცვლის ნიშანს და აღარც ტესტების შემდგენლებს და(გვ)ჭირდება, ომამდელი არტილერიის-ტების („ვერ მიაღწია“, „თავზე გადააფრინდა“) პრინციპით ტესტები მასწავლებელთა ცოდნას მოვარგოთ.

არჩევანი, არადანი

მახსოვს, მოწაფეობისას მთელ კლასს გამორჩევით გვიყვარდა ხუთშაბათი დღე. სწავლის უკანასკნელ წლებში ცხრილში ფიზკულტურას სულ ხუთშაბათობით გვისვამდა სასწავლო ნაწილის გამგე. ვერ გეტყვით, განზრახ აკეთებდა ამას თუ უბრალო დამთხვევა იყო, ეს კია – ხუთშაბათობით დიდიდანვე ვეშადებოდით არჩევანი-არადანისთვის. ყოველი ფიზკულტურის გაკვეთილი ამით იწყებოდა, მეტადრე – თუ კარგ ამინდს დაიჭერდა და ღია ცის ქვეშ შეგვეძლო ფეხბურთის ან კალათბურთის თამაში. მახსოვს ისიც, რომ „არჩევანიც“ და „არადანიც“ სულ ერთი და იგივე მოსწავლეები იყვნენ და მათი არჩეული გუნდების შემადგენლობაც თითქმის არ იცვლებოდა. კლასი ორ „მტრულ“ ბანაკად იყო გაყოფილი და წინა კვირას განცდილი მარცხის გამო რევანშის სურვილი კლავდა...

ვინ იცის, იქნებ იმისთვისაც ვასრულებდით ამ რიტუალს, რომ ფეხბურთის ფინტებთან ერთად არჩევანის ხელოვნებაშიც გავწაფულიყავით – არჩევანი ხომ ჩვენი ცხოვრების თანამგზავია. ჩვენს თითოეულ სიტყვას, თითოეულ ნაბიჯს არჩევანი უძღვის წინ, ზოგჯერ – არაცნობიერი, ზოგჯერ კი შეგნებული, „შვიდჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერის“ პრინციპს დაფუძნებული. რელიგიაც ღმერთსა და ეშმაკს შორის არჩევანია. არჩევანია ლოგიკაც, ხშირად – მეშ-ჩანურ-მერკანტილური, ისტორიულ-ტრადიციული ზნე-ჩვეულებებით გაჯერებული ან მარტივი გამოსავლის პოვნით ნაკარნახევი – ეზოპე კლდეზე ლოგიკამ გადაადგო და არა მონებმა, მაცხოვარიც ჯვარს ლოგიკამ გააკრა...


რიტორიკაც არჩევანია – სიტყვათა სიმრავლიდან ვითარების შესაბამისი სიტყვების არჩევანი მსმენელის ყურის გასახარად და გულზე მოსაფონებლად.

ჩვენი ყოველი არჩევანი წინადასვლიდან გამომდინარეობს, ამიტომ ამროვნების მიერ მოხმარებული ენერგიის 90% სწორედ არჩევანზე იხარჯება.

ასე ლაბორატორიაშიც – ყოველი ექსპერიმენტის წინ ქიმიკოსები რთული ამოცანის წინაშე დგებიან: დასახული მიზნის მისაღწევად (სასურველი ნაერთის მისაღებად) თავდაპირველად რეაგენტები უნდა შეირჩეს, მერე, სანამ მათ კოლბაში ჩავუძახებდეთ და ავათუხთუხებდეთ, ექსპერიმენტის პირო-


ბებია ასარჩევი – ერთი და იგივე მოლეკულა სხვადასხვა პირობებში ხშირად სხვადასხვანაირად იქცევა. ამის მაგალითად სპირტებიც კმარა. ეთილის სპირტს თავდახურული ჭურჭლით ბნელ გრილ ადგილას თუ მოვათავსებთ, შეუძლია, წლობით, ასეულობით წლითაც კი, საღათას ძილს მიეცეს, მაგრამ თუ გავაცხელებთ და „გემოვნებისამებრ“ გოგირდმუავასაც დავამატებთ, მისი მოლეკულები თვალსა და ხელს შუა გარდაისახებიან და ეს გარდაქმნა ჩვენს (მერე კი – თავად მოლეკულების) არჩევანზე იქნება დამოკიდებული.

სპირტისა და გოგირდმუავას ურთიერთქმედება სქემატურად ასე შეიძლება ჩაიწეროს:



გოგირდმუავა ეთილის სპირტს „ოფლს ადენს“ – იწყება დეჰიდრატაცია, რომლის დროსაც როგორც დიეთილის ეთერის, ისე ეთენის მიღებაა შესაძლებელი. მაგრამ ვინ იქნება მეისრე, რომელიც ისართა გასაყარიდან მოლეკულებს მარჯვნივ ან მარცხნივ უბიძგებს? ამ როლს რეაქციის პირობები შეასრულებს: ტემპერატურა, გოგირდმუავას რაოდენობა და ექსპერიმენტის ჩასატარებელი მოწყობილობა.

კიდევ ერთი მაგალითი: დეჰიდრატაციის რეაქციაში შედიან დიოლებიც, მაგრამ ისინი კიდევ უფრო რთული არჩევანის წინაშე დგანან. მათგან როგორც უჯერი, ისე წრფივი ან ციკლური მაღალმოლეკულური ნაერთების მიღებაა შესაძლებელი:



პირველი რეაქციის შედეგად ეთილენგლიკოლისგან ეთინი მიიღება, ვინაიდან ხდება შიდამოლეკულური დეჰიდრატაცია. ჰიდროქსილის ჯგუფები მეზობელი ნახშირბადის წყალბადატომებთან დაწყვილდებიან და წყლის მოლეკულად ჩამოყალიბდებიან.

მეორე რეაქციის თანახმად კი დეჰიდრატაციის რეაქცია ორ მოლეკულას შორის მიმდინარეობს და რეაქციის პროდუქტის, პოლიეთილენგლიკოლის, წარმოქმნაში ეთილენგლიკოლის რგოლები იმავე როლს ასრულებენ, რასაც ემელონის შემადგენლობაში – ვაგონები.

ბოლო რეაქციის ბილიკის პოვნას კი ბატონ პედერსონს უნდა ვუმაღლოდეთ. პოლიეთილენგლიკოლების სინთეზის დროს მან შეამჩნია, რომ რეაქციის თანმხლებ პროდუქტად სულ რაღაც 4% თეთრი ლამაზი კრისტალიც წარმოიქმნებოდა. ასეთ ნაერთებს (თანმხლებ პროდუქტებს), როგორც წესი, ყურადღებას არ აქცევენ, მან კი მათი საგულდაგულოდ შესწავლა გადაწყვიტა და საკუთარ თავს ნობელის პრემია მოუტანა, კაცობრიობას კი ახალი კლასის ნაერთები – ქრაუნ-ეთერები (მათ თაიგულისებრი ფორმის გამო ეწოდათ ასე), ნაერთები, რომლებმაც არაორგანული ნაერთების ორგანულში ხსნადობის ბარიერი დაარღვიეს.

ასეა მოწყობილი ჩვენი და მოლეკულების ცხოვრება – მუდამ არჩევანის გაკეთება გვიწევს.

ხშირად დიდი თავსატეხის წინაშე ვდგებით – რა ვაჩუქოთ ბავშვს ყველაზე ფასეული? ტანსაცმელი? კომპიუტერი? ველოსიპედი? ეკოლოგიურად სუფთა საკვები? მე კი მგონია, რომ უმჯობესია, კარგი მასწავლებელი შევურჩიოთ – დანარჩენს თავად იშოვის.

სად მთავრდება სწავლა და სად იწყება სწავლა

ვუძღვნი ჩემს მასწავლებლებს: პედაგოგებსა და მოსწავლეებს

მე, ისევე როგორც ყოველი სულიერი, სამყაროს თანდაყოლილი, ვესტიბულარული აპარატის ქვეცნობიერ ტალანებში დაღეჭილი ცოდნით მოვევლინე. მართალია, მაშინ ბევრი არაფერი გამეგებოდა, მაგრამ, ჯერ კიდევ უჩინომ და კუნთებმოშმაგრებელმა, ვიცოდი, როგორ მესუნთქა, როგორ დამერეგულირებინა სხეულის ტემპერატურა თუ ნივთიერებათა ცვლა და ბევრი სხვა რამ, რასაც, ცხადია, ჩემდა უნებურად ვაკეთებდი. მაგრამ ეს საკმარისი არ იყო არსებობისთვის. ჰოდა, მეც სწავლა დავიწყე. სიცოცხლისთვის ენერგია მჭირდებოდა, ამიტომ პირველი, რაც დამოუკიდებლად ვისწავლე, იყო გზა დედის მკერდიდან მომდინარე რძის ნაკადულისკენ, რომელსაც ხელის ცეცებითა და ტუჩების ცმაცუნით მივიკვლევდი.

მერე თვალი ამეხილა. პირველი, რაც დავინახე, სადღაც მალლა და შორს დაკიდებული წითელი ბურთი იყო. ხან ჩანდა, ხან იმალებოდა და ამ დროს მეუფლებოდა განცდა, რომ ისევე იმ წყვდიადში დავბრუნდი, საიდანაც ცოტა ხნის წინ გამოვედი. მალე გავიგე, რომ ნათელს დღე ერქვა, ხოლო წყვდიადს – ღამე, რომ დღე იყო საქმისა, ხოლო ღამე – მოსვენებისა.

და ვიდრე იყო ნათელი, ხარბად ვაკვირდებოდი გარშემო ყოველივეს, ვიმახსოვრებდი ფერებს, მოხაზულობას, ფორმებს... უამრავი დამიგროვდა. მერე მათ ხმებიც დავუკავშირე და პირველი აღმოჩენა გავაკეთე – როცა ნაცნობ ფერს, ფორმასა და მოხაზულობას „იავნანა“ ახლდა, მხოლოდ მაშინ მოდიოდა რძის ნაკადული.

მომდევნო განცვიფრება საგნების ქცევამ განმაცდევინა. ზოგიერთი მათგანი მუდამ ერთსა და იმავე ადგილზე იდგა, ზოგიერთი კი დროდადრო თვალსაწიერიდან მიქრებოდა: ზოგი – მცირე ხნით, ზოგი – დიდი ხნით, ზოგიც – სამუდამოდ... და მე მივხვდი – ამ გაუჩინარებას მოძრაობა ერქვა, მოძრაობა ოთახის ერთი კუთხიდან, ერთი ოთახიდან, ერთი ქალაქიდან, ერთი სამყაროდან მეორემდე... მეც მოვიწოდებ და ვისწავლე ბობღვა, მერე – სიარულიც...

უკვე ვიცოდი, რომ ადამიანები ერთმანეთს ამბავს საუბრით აგებინებდნენ, მაგრამ ერთხელაც შევამჩნიე, რომ ახალი ამბის გაგება უთქმელადაც შეიძ-

ლებოდა. ოთხად დაკეცილ ქალაქს ისეთივე ამბები ჩამოჰქონდა ქალაქიდან, როგორიც ბიძა ლაზარეს. იმასაც მივხვდი, რომ ქალაქი ვერაფერს ამბობდა, თუ ზედ წვრილი ნახატები და ნაფხაჭნები არ იყო. მეც დავიწყე ხატვა და ფხაჭნა...

მერე სკოლაში მიმიყვანეს. აქ სწავლამ ორგანიზებული და ინტენსიური სახე მიიღო. ყოველდღე, ყოველ გაკვეთილზე რაღაც ახალს ვიგებდი. ჭირდა ყველაფრის გაცნობიერება, ყველაფრის დამახსოვრება, მაგრამ აუცილებლობა (!) მოითხოვდა ამას.

წელს წელი მიჰყვა... სკოლას ვამთავრებ. ვცდილობ, ქიმიკაში, ფიზიკაში, მათემატიკაში გამორჩეული მოსწავლე ვიყო. ქართულში თხზულებებსაც ხუთიანზე ვწერ, ოღონდ – საბჭოთა სოციალისტური რეალიზმის შესაბამისად... ახლაც მახსოვს, გრიგოლ ორბელიანის ლირიკაზე დავწერე რაღაც – როგორც მიღებული იყო, პატრიოტულ-სოციალისტურ-მარქსისტული ტერმინებით გაჯერებულ-შეზავებული. მოკრძალებით ვთხოვე ჟუჟუნა მასწავლებელს მისი გადახედვა. სახლში დამიბარა – საღამოს, გვიან, ავთვალს რომ არ დავენახეთ (მაშინ ესეც იკრძალებოდა!). წავუკითხე. მომისმინა. მერე კარადიდან თავისი რვეული გამოიღო და მსგავსი თხზულება წამიკითხა. თხზულება, რომელიც მრავალწერტილით იწყებოდა. ლალი, თავისუფალი, ზედმეტ პათეტიკასა და ყალბ სიტყვებს მოკლებული. სწორედ მაშინ დაიბადა ჩემთვის ქართული ლიტერატურა ხელახლა. მას შემდეგ წერას თითქმის ყოველთვის სამი წერტილით ვიწყებ.

სკოლას უნივერსიტეტი მოჰყვა. ბედმა ბევრ კარგ პედაგოგს შემახვედრა, გამორჩეულებსაც და გამორჩეულთა შორის გამორჩეულებსაც. ბატონი გოგი ქიმიასთან ერთად მუსიკას, პოეზიას, ეთიკას და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენ რამეს გვასწავლიდა. მახსოვს, ერთხელ მის ოთახში ვზივარ და ველოდები. იგი ჩემი კოლეგის ნაშრომს კითხულობს. ასგვერდიან დისერტაციაში ხუთსტრიქონიანი აბზაცი ჩემი ჩამატებულია. ბატონი გოგი უცებ თავს სწევს და მეკითხება: „ეს შენ დაწერე?“ დაბნეულ-შემცბარ-შეშინებულმა, უნებურად თავი დავუკარი. მან თავი დახარა და სანამ კითხვას გააგრძელებდა, ჩაილაპარაკა: „ჩემი სტილია, ჩემი“. ჩვენ მას ვსწავლობდით, ის კი თურმე ჩვენ გვსწავლობდა. როდესაც დისერტაცია ოპონენტს წარვუდგინე, პირველი, რაც მკითხა, ეს იყო – რუსული სკოლა დაამთავრეო? არა, გოგი ჭირაქძისა-მეთქი.

მერე თავად დავიწყე სწავლება... მახსოვს, პირველი ლექციის წინ მეც ბევრი „ვიმეცადინე“. ერთ-ერთი ჩემი დოქტორანტის დისერტაციის კითხვისას

მეც ვიპოვე „ჩემი სტილი“... ორი ათეული წლის განმავლობაში, კვლევა-ძიებისას, არაერთი ნაშრომის დაწერა მომიხდა, შეიძლება ითქვას, რომ „ვიცი“, როგორ იწერება სტატია, თემისი, დისერტაცია... მაგრამ როდესაც ბლოგს შევეჭიდე პირველად, ძალიან გავწვალდი და რომ არა რედაქტორის რჩევა-დარიგება, ბლოგერობა ისეთივე ბურუსით მოცული დარჩებოდა ჩემთვის, როგორიც მანამდე იყო. არადა, სხვების სწავლებით დაკავებულს, ვერ წარმომედგინა, თუ კიდევ რამის სწავლა მომიწევდა თავად.

დღეს ლაბორატორიაში სკოლის მოსწავლეები გვესტუმრნენ. ბევრი ვისაუბრეთ – ფერის ფენომენზე, მოლეკულებზე, მათი მიღების მეთოდებზე... დამშვიდობებისას ერთმა მათგანმა მკითხა, პირველი პიგმენტი როდის მიიღესო. ვერ ვუპასუხე.

ჩანს, ჯერ კიდევ ბევრი რამ მაქვს სასწავლი...

ასეა, არ მოიძებნება ამქვეყნად სასწავლებელი, სადაც ყველაფერი ისწავლება; ვერსად ვიპოვით მასწავლებელს, რომელიც ყველაფერს გვასწავლის; ვერსად მოვიძიებთ წიგნს, რომელშიც ყველაფერი ეწერება. ასეთი სასწავლებელი, მასწავლებელი და წიგნი თავად უნდა შევაკოწიწოთ ჩვენ შიგნით...

ეჰ, როგორ განზავდა აზრი თანამედროვე ქართულ წინადადებებში... ის, რის სათქმელადაც ამდენის დაწერა მომიხდა და რის კითხვაშიც ამდენი დრო დაგაკარგვინეთ, ძველებს სულ ორი სიტყვით უთქვამთ: „სწავლა სიბერემდეო“...

ორიენტირი

ისტორიას უამრავი შემფასებელი ჰყავს, თუმცა ყველა თავისი სარკმლიდან გაჰყურებს მის ბურუსით მოცულ კონტურებს და მის წიაღში თავისთვის საინტერესო საგნებსა და მოვლენებს დაეძებს. თიხის უძველეს ჭურჭელში აღმოჩენილ ყურძნის წიპწას აგრონომ-მევენახეები, მეღვინეები თუ გენეტიკოსები თავ-თავიანთი გამადიდებელი შუშით დასცქერიან და თავ-თავიანთი დასკვნები გამოაქვთ. ციხესიმაგრეებსა თუ ეკლესია-მონასტრებს არქიტექტორები და მშენებლები სხვადასხვა რაკურსით განიხილავენ – პირველთათვის თუ ფორმები, სტილი და ტენდენციები საინტერესო, მეორენი სამშენებლო ტექნოლოგიებითა და გამოყენებული მასალებით ინტერესდებიან... ვრცელი და უკიდვანო ველია ისტორია. ყველა პოულობს იქ თავისთვის საინტერესო და თავშესაქცევ მასალას. მე კი ყველაზე მეტად იმდროინდელი საინჟინრო გადაწყვეტილებები მიზიდავს. ლეონარდო და ვინჩი ჩემთვის უფრო ინჟინერია, ვიდრე მხატვარი, მიუხედავად იმისა, რომ მისი ტილოები უბადლოა.

ძველი დროის საინჟინრო ოსტატობის ერთ-ერთი საინტერესო ნიმუშია შუქურა. ამ ერთი შეხედვით მარტივმა ნაგებობამ – ვიწრო მაღალმა კოშკმა, რომლის თავზეც ცეცხლი გიბგიზებს – უდიდესი როლი შეასრულა ნავიგაციის განვითარებაში, რამაც, თავის მხრივ, ხელი შეუწყო გეოგრაფია-კარტოგრაფიას, ვაჭრობას, კულტურათა გაცვლასა და ექსპანსიას და ვინ მოთვლის, კიდევ რას. ამიტომ შუქურა, ჰორიზონტზე მოკიაფე ნათელი წერტილი, იმედის, წინსვლის, მიზნისკენ სწრაფვის გამომხატველ მეტაფორად იქცა.

ნებისმიერ საქმეს, ჩანაფიქრსა თუ ოცნებას სჭირდება თავისი შუქურა. სჭირდება იგი სკოლასა და განათლებასაც.

და რა არის სკოლის ორიენტირი? ერთი შეხედვით, რიტორიკული კითხვაა. ბევრი დაუფიქრებლად უპასუხებს: მეტი განათლებული ადამიანის მომზადება. ცხადია, ასეა, მაგრამ როგორ გავზომოთ (ან როგორ იზომება დღეს) განათლებულობა?

ცოტა ხნის წინ ჩვენ ვცხოვრობდით ქვეყანაში, სადაც ყველაფერი ზემოდან იყო დაგეგმილი, ქვეყანაში, სადაც წარმატება გეგმების გადაჭარბებით

იზომებოდა. მთავარი იყო წარმოება და არა რეალიზაცია. მთავარი იყო რაც შეიძლება მეტი ფოლადისა თუ ღვინის ჩამოსხმა, ფეხსაცმლისა თუ წინდის შეკერვა, ჩაისა თუ ხორბლის აღება. წარმოება ძირითადად რაიკომებსა და აღმასკომებში იგეგმებოდა და რაღაცნაირად აუქციონს წააგავდა. მეწარმეები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, გეგმასთან შედარებით ვინ უფრო მეტის წარმოებას დაიქადნიდა. ამიტომ არსებობდა გეგმა და გეგმა-ვალდებულება. როგორც ერთის, ისე მეორის შეუსრულებლობა მკაცრად ისჯებოდა პარტიული კომიტეტის სხდომებზე (!). ისინი კი ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ იმართებოდა და ამ სხდომებზე პარტია საჯაროდ იწონებდა თავს, რომ აღებული გეგმა-ვალდებულებები გადაჭარბებით იქნა შესრულებული. თუმცა ბევრი ცხოვრებას ერთი ქურთუკით გალევდა ხოლმე, მეწაღეებს რიგები ედგათ ამძვრალი ლანჩების დასაწებებლად, ბებიები კი საღამოებს წინდების კემსვამი ატარებდნენ.

ეს „ბევრწარმოება“ (ჭარბწარმოებას ვერ დავარქმევ, რადგან თითქმის ყოველთვის ყველაფერი დეფიციტური იყო), სამწუხაროდ, განათლებასაც ეხებოდა. ინსტიტუტები და უნივერსიტეტები ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი დიპლომირებული სპეციალისტი მიეწოდებინათ სამშობლოსთვის და ამ დიპლომიანთა განათლების ხარისხზე ისევე ხუჭავდნენ თვალს, როგორც წყალწყალა ღვინის ჩამოსხმაზე. უფრო მეტიც – პროტესტი მკაცრად ისჯებოდა. ამის თვალსაჩინო მაგალითია ფილმ „გიორგობისთვის“ გადაღება და შემდგომი პერიპეტეიები.

ცხადია, სკოლაც ამ ფერხულში იყო ჩაბმული. მე-20 საუკუნის გარიჟრაჟის იდეა – ყველას მიეღო საშუალო განათლება – საუკუნის დასასრულს მანკიერ რუდიმენტად იქცა და დამანგრეველად იმოქმედა მთელ განათლების სისტემაზე. სკოლას მიზნად დაუსახეს, უდანაკარგოდ ეწარმოებინა სიმწიფის ატესტატიანი ყმაწვილები, რომლებიც ორ კატეგორიად იყოფოდნენ: უმაღლესში მოწყობილებად (დიახ, უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარებას მოწყობა ერქვა) და უსაქმურებად. არადა, სწორედ ეს უკანასკნელნი იწყებდნენ სკოლის დამთავრებისთანავე საწარმოებში ან ბალ-ვენახებში შრომას და უფრო მეტ ღირებულ პროდუქციას ქმნიდნენ, ვიდრე დიპლომით ხელდამშვენებული ინჟინრები თუ სხვანი, რომელთა ძალიან მცირე ნაწილი თუ ახერხებდა სპეციალობით მუშაობის დაწყებას.

სამწუხაროდ, მეჩვენება, რომ გასული საუკუნის წეს-წყობილება ინერციით კვლავაც გრძელდება. დღეს სკოლის რეიტინგი უმთავრესად ერთიან ეროვნ-

ნულ გამოცდებში მიღებული ქულებით იზომება. სკოლის წარმატების შეფასება მართო ერთი პარამეტრით არ შეიძლება. სკოლა, უპირველეს ყოვლისა, მოქალაქის აღზრდას უნდა ემსახურობდეს და არა რომელიმე დარგის სპეციალისტის მომზადებას. ამ პარამეტრით, ქალაქის სკოლა, რომლის ათი მოსწავლე უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაირიცხა (თუმცა არ ვიცით, რა დონის სპეციალისტი დადგება მისგან ოთხი წლის შემდეგ), ყოველთვის უფრო რეიტინგული იქნება, ვიდრე მთის 5-10-კომლიანი სოფლის სკოლა, რომელიც მოახერხებს ისეთი მოქალაქის აღზრდას, იმავე სოფელში რომ დარჩება, კერას არ გააცვივებს და ქალაქს თავისი მოწეული ჭირნახულით მოამარაგებს.

ცრუპენტელა აღმზრდელი

ბავშვობაში წაკითხული წიგნები სულ სხვაა. იმ პერიოდიდან დღემდე ნათლად მახსოვს არათუ ავტორი და ნაწარმოების სიუჟეტი-პერსონაჟები, არამედ კითხვის დროს აღძრული განცდები, წიგნის ყდის ფორმა და ფერი, თაროზე ის ადგილი, საიდანაც მათ ვიღებდი. იმ სახლში სტუმრობისას, სადაც გავიზარდე და ამ წიგნებს ვკითხულობდი, იმავე ადგილას მდგარ წიგნების კარადაში ჩამწკრივებული საკმაოდ დამტვერილი წიგნებისათვის თვალის ერთი გადავლება მჭირდება, რომ გაცოცხლდეს მთელი ბავშვობა და ის ემოციები, მათთან გაცნობისას რომ მეუფლებოდა.

ამ ცოტა ხნის წინ ვაჟა-ფშაველას პროზის ერთ-ერთი ტომი მექსანიკურად გადავშალე. წაკითხვასაც არ ვაპირებდი. მაგიდაზე იდო და უბრალოდ ავიღე ხელში. პირველივე სათაური, რომელიც შემომეგება, „ცრუპენტელა აღმზრდელი“ იყო...

ტექსტის წაუკითხავად გაცოცხლდა მეხსიერებაში ციხელი, გაუცინარი მოხუცი, თხის ტყავი რომ ეცვა და თავზეც თხის ტყავის წოწლოკინა ქუდი ეხურა. თვალწინ დამიდგნენ ეფრემი და მისი ტოლ-ამხანაგებიც. როცა პირველად ვკითხულობდი ამ ნაწარმოებს, მეც ერთი მათგანი ვიყავი. მეც ვცვებოდი მათ ოცნებებში. ოღონდ ციხელის ალს, მანათობელ ფრთას, უსახელო გმირის ნაბოძებ ქამარ-ხანჯალსა თუ გველის თვალს ჩემთვის სხვა გამოხატულება ჰქონდა და სამელემენტოანი ფარნის, კალკულატორის, მაგნიტოფონ „ელექტრონიკასა“ და ჩვენი თაობის დანატრებული ბავშვების სხვა ოცნებებს არ სცდებოდა... კიდევ, დიდად მეცოდებოდა ციხელის კაკაბ-კურდღელი, მეცოდებოდა და ვბრაზობდი ამ ბერიკაცზე. ხან თავად ისიც მებრალებოდა. ნაწარმოების ბოლოსკენ კი მე, ეფრემსა და ჩვენს თანატოლ სხვა გოგო-ბიჭებს ერთად დაგვემსხვრა ოცნების კოშკები. თუმცა მე უფრო შემებრალა ციხელი, ვიდრე ეფრემს და დიდი ვაჟა კიდევ უფრო ბუმბერაზი გახდა, რადგან ბოლოს გვათქმევინა: „...იქნებ მართალი იყოს? იქნება არა სტყუის ციხელი? შაიძლება! შაიძლება!“-ო.

ფიქრებიდან გამორკვეული, სათაურზე ჩავფიქრდი. რატომ მაინცდამაინც „აღმზრდელი“? აღზრდა და სწავლება ხომ დიდად არ განსხვავდება ერთმან-

ნეთისგან, მით უფრო არ განსხვავდებოდა იმ დროს, იმ ყოფაში. ვაჟასაც ხომ თითოეული ეპითეტი ზედმიწევნით აქვს მორგებული ყოველთვის. აქაც უდავოდ რაღაცას გულისხმობდა. ამიტომ კიდეც ერთხელ, უკვე დიდის თვალით, გადავიკითხე მოთხრობა.

მაინც რატომ არის ციხელი აღმზრდელი? მას ხომ არც სკოლა აქვს, არც გაკვეთილებს ატარებს და, მით უფრო, არც „მოსწავლეთა“ გამოკითხვა-შეფასებას. დგას მოხუცი და თავისთვის რაღაცას ჰყვება, ოცნებობს ხმამაღლა. და აი, ამ ოცნება-ოცნებაში გვასწავლის, რომ ალი ყოველთვის ბოროტი არ არის; ისიც შეიძლება ისეთივე სათნო და საყვარელი იყოს, როგორც კეთილი ფერია, თუ თავად მოინდომებ. კიდეც? კიდეც ის ვისწავლე, რომ ოცნებასაც და სწავლასაც ერთი მთავარი მიზანი აქვს – უკეთ მოიწყო ხვალინდელი დღე, გქონდეს ყველაფერი ის, რაც ცხოვრებას გაგიბედნიერებს და სიკეთის კეთებას შეგაძლებინებს...

რევოლუციის შემდგომ დაბადებულ ბავშვებს სათამაშო შესაძლოა უკვე გვქონდა, მაგრამ არ გაგვანდა საკუთრების განცდა. ფული ხელის ჭუჭყი იყო, ხოლო ბევრი ფული – დანაშაული, რადგან სისტემა გამდიდრების საშუალებას არ იძლეოდა. სკოლებსა და სხვა სასწავლო დაწესებულებებში მხოლოდ ცოდნას გადასცემდნენ. უკვე საკმარის მიღწევად ითვლებოდა დიპლომირებულ ინტელიგენტად გახდომა, რომელსაც ზნეობრივ კოდექსში პირველ პუნქტად დიდი ასოებით ეწერა „ყოველთა თმენა“ და შემგუებლობა. ინტელიგენტისათვის, აბა, რა საკადრისი იყო უფულობის გამო წუწუნი... ამიტომაც სჯერდებოდა ორასმანეთიან ხელფასს. მუშათა სახელმწიფოში წერაქვით უფრო მეტს იშოვიდი, ვიდრე გონიერებით. სამწუხაროდ, ეს დაღი დღემდე გვატყვია. ვასწავლით ქიმიას, ფიზიკას, მათემატიკას, ისტორიას, ქართულს... მაგრამ არ ვასწავლით, ამით როგორ მოიწყონ ცხოვრება. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ვერ ვასწავლით, რადგან ჩვენთვისაც არავის უსწავლებია თავის დროზე...

ისევ ციხელს, ამ ცრუპენტელა აღმზრდელს, მინდა დავუბრუნდე... იყო დრო, აღმზრდელ-მასწავლებლები მოწაფეებს შთააგონებდნენ, დედამიწა ბრტყელია და სპილოების ზურგზე დგასო; იყო დრო, როცა ასწავლიდნენ, რომ მიწა, ჰაერი, ცეცხლი და წყალი სამყაროს წარმომქმნელი ისეთივე ელემენტები იყო, როგორებადაც დღეს მოლეკულები მიგვაჩნია; დადგა დრო, როცა მივაგენით ყველაზე პატარა განუყოფელ ნაწილაკს – ატომს და დავასკვნით, რომ სამყარო ატომებისაგან შედგება...

ახლა უკვე ვიცით, რომ დედამიწა მრგვალია და რომ ის მზის სისტემის ნაწილია; ახლა უკვე ვიცით, რომ სამყაროს შემადგენელი ნაწილაკები მოლეკულებია და მათი მიღებისა და გარდაქმნის წესებშიც ვერკვევით; ვიცით, რომ ატომი სრულებითაც არ არის „ატომი“ და ისიც შეიძლება კვარკებად დაიშალოს...

და დადგება დრო, როცა ვიღაც დაწერს, რომ იყო დრო, როცა ასწავლიდნენ, რომ ატომები მხოლოდ კვარკებამდე იშლება...

დიანა ანფიმიადი

1	მხოლოდ საკუთარ შეცდომებზე რომ სწავლობდა	105
2	მასწავლებელი	112
3	„თუ სიყვარული არ შეგიძლია, ნუ ასწავლი ბავშვებს“	115
4	ახლომხედველი ბავშვი სკოლაში	118
5	განსაზღვრება, ადამიანები	120
6	მშობლები, შვილები, მასწავლებლები	124
7	ომი და ბავშვები	127
8	ერთი წიგნი, ერთი ფილმი, ერთი ლექსი, ერთი სიზმარი	130
9	ყვავილები ჩემთვის, შენთვის, ელჟერნონისთვის	134
10	სკოლაში წასვლა	137
11	წინ, ბავშვობაში	139

მხოლოდ საკუთარ შეცდომებზე რომ სწავლობდა

სულ ვფიქრობდი, რომ ერთხელაც ამ ყველაფერზე უნდა დამეწერა, იმ ბავშვებისთვის უნდა მომეყოლა, რომელთაც ვასწავლიდი და იმათთვისაც, რომლებსაც მომავალში ვასწავლი...

„როცა პატარა ვიყავი“ – ასე იწყება ბევრი ავტობიოგრაფიული რომანი, ცნობილი ადამიანის მემუარები, უფროსების ბლაპრებიც ასე იწყება და მათივე ჭკუის დარიგებებიც: „როცა პატარა ვიყავი, შენსავით სულ არ ვიქცეოდი, – პირიქით!“

ჰოდა, პატარა რომ ვიყავი, ძალიან ბევრი უფროსის საქციელი არ მომწონდა, ზოგჯერ დედაჩემისაც კი. ამ ყველაფერს სულ სხვაგვარად შევხედე, როცა ჯერ უფროსი, მერე კიდევ დედა გავხდი. მაშინ მივხვდი, რომ მე, პირადად, მხოლოდ საკუთარ შეცდომებზე თუ ვისწავლი რამეს და თუ ვინმე ჩემს შეცდომებზე ისწავლის – ჩემთვის ეს ძალიან დიდი ბედნიერება იქნება.

ჰოდა, მინდა ჩემს პედაგოგიურ შეცდომებზე მოგიყვებო, მართო შეცდომებზე არა – ჩემი პედაგოგიური გამოცდილების ავ-კარგზე. არ მეწყინება, ვინმეს თუ გაეცინება; გამიხარდება კიდევ, ვინმეს თუ გაეცინება, ხოლო კიდევ სხვა ვინმეს თუ თან გაეცინება და თან ჩემი ამბები რამეში წაეხმარება – საერთოდ, ბედნიერი ვიქნები.

ერთი რჩევა: არ გადაყაროთ საკუთარი ჩანაწერები – გაკვეთილის გეგმები, დავალებისთვის მომზადებული ტესტები, მცირემონახაზები, ფრაზები, მინიშნებები, სიტყვები – არაფერი გადაყაროთ, სახლში (ან კიდევ თქვენი კომპიუტერის მესხიერებაში) ყოველთვის მოიძებნება ადგილი, სადაც ამ ყველაფერს შეინახავთ, მერე, დიდი ხნის თუ რამდენიმე დღის შემდეგ, გამოიღებთ, გადახედავთ, საკუთარ თავს ცოტათი დასცინებთ, ცოტა შეგეცოდებათ, ცოტა მოგეწონებათ და ცოტა მომავლისთვის გამოგადგებათ. სწორედ ასეთი ჩანაწერების საშუალებით შემიძლია ჩემი თავი, როგორც პედაგოგი, შევაფასო და როცა ერთ დღესაც სკოლაში დავბრუნდები (და ერთ დღეს აუცილებ-

ლად დავბრუნდები), სწორედ ეს ჩანაწერები მომეხმარება, რომ უფრო კარგი ვიყო, ვიდრე ვიყავი.

მოკლედ, თუ ჩემს ბლოგს რაიმე სახელი, თუნდაც პირობითი, უნდა დავარქვა, ეს იქნება „ბლოგი სულელისა, მხოლოდ საკუთარ შეცდომებზე რომ სწავლობდა“ – ჩემი საყვარელი მწერლის, ერლომ ახვლედიანის მოთხრობების სათაურების სტილში.

1. სანამ მასწავლებლობას დავიწყებდი

საერთოდ, მგონია და მეტიც, დარწმუნებულიც ვარ, რომ შემთხვევით არც არსად მუშაობა არ უნდა დაიწყო და არც არავის გაჰყვე ცოლად.

მეორე ნაბიჯის გადადგმაზე დიდხანს ვიფიქრე და გამიმართლა კიდეც.

პირველს რაც შეეხება...

ამას რატომ ვამბობ:

როცა ფილოლოგიის ფაკულტეტის ბაკალავრიატი დავამთავრე (წარჩინებით, – ასე ეწერა ჩემს დიპლომში), დღის წესრიგში დადგა საკითხი, რომ უნდა მემუშავა.

მეც დავიწყე სამსახურის ძებნა, ხან გამომცემლობაში – სტაჟიორად, ხან გაზეთში – ჟურნალისტად, რადიოში – წამყვანად, ბიბლიოთეკაში – ბიბლიოთეკარად, რომელიღაც კერძო ფირმაში – პირად მდივნად, მთარგმნელობით ბიუროში – მთარგმნელად... მოკლედ, ერთი ბუღალტერის ვაკანსიაზე არ დამიტოვებია რეზიუმე და ისიც იმიტომ, რომ მათემატიკაში სულ ოდნავ მოვიკოჭლე.

ერთ-ერთ სკოლაში შემომთავაზეს მუშაობა – აღმოჩნდა, რომ მეათე კლასს ქართულის მასწავლებელი სჭირდებოდა, ჰოდა, მეც დავთანხმდი.

მახსოვს, როგორ ვემზადებოდი გაკვეთილზე წასასვლელად, როგორ მეშინოდა, როგორ ვღელავდი, როგორ ვარჩევდი სამოსს, საკანცელარიო ნივთებს, ფეხსაცმელს, ვარცხნილობას...

მომავალში მოგიყვებით, როგორ გაგრძელდა ეს ამბავი, მანამდე კი, დღევანდელი დღის რჩევა სულელისგან, მხოლოდ საკუთარ შეცდომებზე რომ სწავლობდა: არასდროს აირჩიოთ პროფესია და სამსახური შემთხვევით, არასდროს!



ახლა ორშაბათი დილაა, როგორც იქნა დათბა, ვზივარ ჩემი კომპიუტერის მაგიდასთან და იმ რამდენიმე წლის წინანდელ გაბაფხულს ვიხსენებ, ჩემი

ცხოვრების ყველაზე მშფოთვარე, უცნაურ, ლელვითა და სიახლით სავსე პერიოდის გაზაფხულს – როცა მასწავლებელი ვიყავი.

მგონი უკვე ვთქვი, რომ დღე არ გავა, იმ წლებზე არ ვიფიქრო, კვირა არ გავა, საკუთარი თავი არ დამესიზმროს იმ პატარა კლასის დაფასთან მდგარი, მხრებში აწურული, ცოტა შეშინებული, ზღვა მღელვარების დამტევი – თავიდან, ზედმეტი ემოციებისაგან გადაღლილი, თითქმის ყველა გაკვეთილის შემდეგ საპირფარეოში შევდიოდი და ვტიროდი ხოლმე. ჰო, ასე იყო – ახლა ვილაც იფიქრებს, რომ მეტისმეტად გაუწონასწორებელი ვიყავი პედაგოგობისათვის, იქნებ ნერვული აშლილობაც დამისვას დიაგნოზად, მაგრამ არა – ყოველთვის ძალიან მშვიდი ხასიათი და დაწყობილ – დალაგებული ფსიქიკა მქონდა, ნუ, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ პოეტი ბავშვი ვიყავი.

მოკლედ, არ ვიცი, მიზეზი გაზაფხულის შესანიშნავი დარი თუ ერთკვირიანი სურდოსგან გათავისუფლებაა. მაგრამ დღეს მინდა კარგ რამეებზე ვილაპარაკო.

ის გაკვეთილები, როცა საკუთარ შიშსა თუ გამოუცდელობას ვამარცხებდი და ჩემი შემოქმედებითობა, ფანტაზია და განათლება შემომყავდა „ბრძოლის ველზე“, ყოველთვის ძალიან საინტერესო და კარგი გამოდიოდა. პუბლიკაც კმაყოფილი იყო და მეც – მაშინდელი ჩემი წარმოდგენით – გლადიატორი, ჩემთვის ვამბობდი – გადავრჩი, ამ ერთხელაც გადავრჩი!

ბლოგის სტილს რომ არ ვუღალატო, დღევანდელი რჩევა სულელისგან, მხოლოდ საკუთარ შეცდომებზე რომ სწავლობდა – იყავით ის, რაც ხართ და არ შეგეშინდეთ, არავითარ შემთხვევაში არ შეგეშინდეთ სიახლეების.



ვისთვის რა არის პოეზია? ზოგისთვის – ცხოვრების აზრი, ზოგისთვის – ზედმეტი დროის კარგვა, ზოგისთვის – რთულად დასასწავლი გაკვეთილი, ვილაცისთვის სიყვარულის ახსნის საშუალება, ვილაცისთვის – სრულიად უმაქნისი რამ.

ჩემი მოსწავლეობისდროინდელმა – უამრავი ლექსის ზეპირად სწავლის და ვერსწავლის და შედეგად, ამ ლექსების „ვერ ატანის“ – მწარე გამოცდილებამ მიმახვედრა, რომ სანამ კონკრეტულ ტექსტზე გადავიდოდი, ჯერ ლექსის „გასაღები“, გნებავთ, „ანაბანა“, ანდა, სულაც „ფორმულები“ უნდა მესწავლებინა. ჰოდა, დავიწყე ტროპის სახეებით.

გამომდინარე იქიდან, რომ პოეზია მხოლოდ ტექსტობრივი ხელოვნების დარგი არ მგონია და ზოგადად, ის უფრო რაიმე სახის მატერიის (ვთქვათ, ტექ-

სტის) თვისება უფროა, ვიდრე ფორმა, გადავწყვიტე ხელოვნების სხვა დარგები მომეშველიებინა შედარების თუ ეპითეტის ასახსნელად:

თვალსაჩინოება N1

ვან გოგის ცნობილი ტილო, „გარსკვლავიანი ღამე“



თვალსაჩინოება N2

შესანიშნავი კომპოზიტორის, კლოდ დებიუსის „მთვარის შუქი“.

<http://mp3.avoe.ge/ftp/Music2/Foreign/C/Classic%20Various%20Artists/2002%20-%20Classic%20-%20Including%20Vol.1/10.C.Debussy%20-%20Claire%20De%20Lune.mp3>

თვალსაჩინოება N3

გალაკტიონ ტაბიძის „მაწმინდის მთვარე“, რომელსაც მხატვრულ საშუალებებზე დაფუძნით და ცალ-ცალკე განვიხილავთ

თვალსაჩინოება N4

ფინალური კადრი ფედერიკო ფელინის ფილმიდან „კაბირიას ღამეები“.

<http://www.youtube.com/watch?v=w0Vsa-ognSM>

თვალსაჩინოება N5

გუგლის საძიებო სისტემაში ნაპოვნი რიგითი ღამის პეიზაჟი,
მაგალითად, ასეთი ფოტო:



სანამ თვალსაჩინოებებს ვაჩვენებდი, ორიოდე სიტყვით ავხსენი ტროპის სახეები (შედარება და ეპითეტი) და დავურიგე რამდენიმე წინადადებიანი განმარტებები.

მათი მოვალეობა იყო ტროპის რომელიმე სახეობისათვის მიესადაგებინათ თვალსაჩინოებები და ასეთივე სახეობა მოეძებნათ გალაკტიონის ტექსტში.

როგორ ფიქრობთ, რა შედეგი მივიღე?

საპუტარო თაზი

რამდენიმე დღეა ცუდ განწყობაზე ვარ, აი, ხომ წაეწყობა ხოლმე ობიექტური და სუბიექტური მიზეზები, თავს ვერაფერს ვუხერხებ, ხან ბავშვობის ფოტოები გადმოვიღე, ხან სტუდენტობისდროინდელი სიყვარულის სასაცილო ამბებს გადავწვდი, ხან ჩემი შვილის ალბომი გადავშალე, ხან ჩემი ქორწილის. მოკლედ, რა აღარ ვცადე – საყვარელი სახეები და სახელები ზოგჯერ შველის, ზოგჯერ არა.

ძველ ხელნაწერებსა თუ ქსეროქსის ფურცლებს შორის ერთი ძალიან საყვარელი ნახატი აღმოვაჩინე – ჩემმა მოსწავლემ დამხატვა უხსოვარ დროს, დიდი, დიდი ხნის წინ – როცა პატარა, გაუბედავი მასწავლებელი ვიყავი, შესვენებებზე სამბას და სალსას რომ აცეკვებდა ხოლმე მეორეკლასელებს. ვუყურებ ამ ნახატს და ვცდილობ გავიხსენო ჩემი თავი – მაშინდელი.



გრძელი, ხვეული თმა მქონდა, რომელსაც ვერაფერს ვუხერხებდი და სულ თმაგაწეწილი დავდიოდი. თუმცა ეს თმა მშვენივრად წამადგა ტროპის სახეების, კერძოდ, ეპითეტის ასხნისას – იმ დილით, ჩვეულებრივად მეტროთი მივდიოდი სკოლაში, უცებ ორი ბიჭის ლაპარაკი გავიგონე, მიყურებდნენ და რაღაცას ანიშნებდნენ ერთმანეთს – ბიჭო, შეხედე, როგორი მწვანელივით თმები აქვს! – მერე ეს ამბავი ქართული ლიტერატურის გაკვეთილზე ცუდი ეპითეტის ასახსნელად გამომადგა.

ეს გულსაკიდი, რომელიც ნახატზეა, მართლა მქონდა და სულ მეკეთა ხოლმე – ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს ნიჟარა იყო, კუნძულ თასოსზე ვიპო-

ვე – ძალიან უცნაური შეფერილობა და ფორმა ჰქონდა, ხოდა ავიღე, კარგად გავაპრიალე და შავ თასმაზე ჩამოვკიდე. – მერე ესეც გამოვიყენე ქართული ლიტერატურის გაკვეთილზე, იმის სათქმელად, რომ წიგნი ისე აცოცხლებს და ინახავს ათას უცნაურ ამბავს თუ ლექსის მელოდიას, როგორც ნიჟარა – ზღვის ხმაურს.

ეს ჯემპრი, აქ რომ მაცვია – სინამდვილეში შავი იყო, ალბათ ძალიან მუქი ფერის სამოსის ჩაცმაც არ ღირს – სულ ქვრივი დედაჩემის შავი კაბა მახსენდება – ასე მეგონა, სხვა ფერის კაბა არც არსებობდა დედაჩემისთვის და დიდი ხნის მანძილზე მეც სულ შავ ტანსაცმელს ვირჩევდი ხოლმე.

ჩემმა მხატვარმა- სცადა და გააღიავა, ძალიან კი არა – რომ განწყობა და ხასიათი არ შეეცვალა, არამედ სულ რამდენიმე ტონით. ყავისფერი – მუქია, მაგრამ მთლად შავიც არ არის.

არასდროს ასეთ ფერად არ შემიღებავს თვალები, მით უმეტეს, როდესაც სკოლაში ვასწავლიდი, მაგრამ გამახსენდა – ეს ის დღე იყო, როცა გავბედე, ავდექი და ჩემი ლექსები წავუკითხე მოსწავლეებს – მერე ძალიან ვინერვიულე ამაზე, ვინანე კიდევ – ასეთი გულახდილი არ უნდა ვყოფილიყავი-მეთქი.

მაგრამ ახლა ვხვდები – დიახაც, უნდა წამეკითხა, სხვა შემთხვევაში ამ ნახატზე ხომ არ მექნებოდა ასეთი ლაჟვარდისფერი ქუთუთოები.

ამას მივხვდი და გულზე მომეშვა.

მასწავლებელი



სიტყვა „მასწავლებლის“ გაგონებისას ყველას სულ სხვადასხვა რამ ახსენდება.

ზოგს – თავისი დაწყებითი კლასების მასწავლებელი, ვინც სითბოს არასდროს იშურებდა, ზოგს – საშუალო კლასების დამრიგებელი და ყურთან ახლოს ნაგრძნობი სუსტი წვა, ზოგიერთს – პლატონი და არისტოტელე, ან არისტოტელე და მაკედონელი, ან კიდევ, რა ვიცი, ბევრი სხვა წყვილიც მოიძებნება.

ერეკლე ტატიშვილი – ჩემი საყვარელი პოეტის, ნიკო სამადაშვილის, სულიერი მამა და ძმა, ფილოსოფოსი, მეცნიერი, პედაგოგი, უდიდესი პიროვნება, რომელზეც ჯერ არ დამიწერია და რომელსაც ეძღვნება ეს წერილი.

ერეკლე ტატიშვილი 1884 წელს გორში დაიბადა, გორის გიმნაზიის შემდეგ ელიზავეტოპოლის გიმნაზიაში სწავლობდა, უმაღლესი განათლება ჯერ ლაიფციგის, შემდეგ მონპელიეს უნივერსიტეტებში მიიღო, 1913 წელს კი პარიზის პოლიტიკურ მეცნიერებათა უმაღლესი სკოლა დაამთავრა საერთაშორისო სპარტელის სპეციალობით. 1918 წელს, როდესაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ერეკლე ტატიშვილი სამშობ-

ლოში დაბრუნდა და პედაგოგიურ მოღვაწეობას მიჰყო ხელი. ჯერ გორის ვაჟთა გიმნაზიაში, მერე კი თბილისის ვაჟთა ქართულ გიმნაზიაში ასწავლიდა გერმანულ ენას. შემდეგ მცირე ხნით დაუბრუნდა პოლიტიკურ მოღვაწეობას: 1920-1921 წლებში იყო საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური განყოფილების გამგე, მერე – ამავე სამინისტროს დირექტორი, მაგრამ მალევე მიატოვა თანამდებობა.

1921-1923 წლებში ასწავლიდა ვაჟთა მესამე ტექნიკუმში, იყო მწერალთა აკადემიური ასოციაციის წევრი, რომელიც საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაკარგვის შემდეგ ცდილობდა მისი კულტურული ავტონომიის შენარჩუნებას, თანამშრომლობდა ქართულ პერიოდიკასთან („ილიონი“, „საქართველოს სამრეკლო“ (რედაქტორი – კონსტანტინე გამსახურდია), „პოეზიის დღე“ (რედაქტორი – ვახტანგ კოტეტიშვილი), „კავკასიონი“ და „ახალი კავკასიონი“ (რედაქტორი – პავლე ინგოროყვა).

1923 წელს ივანე ჯავახიშვილმა მიიწვია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო საჯარო და კერძო სამართლის ლექტორად, 1927 წლიდან კი ასწავლიდა უცხო ენებსა და ლიტერატურასაც. 1931 წელს ხელისუფლებამ დაარბია და საბოლოოდ დაშალა ქართველ მწერალთა აკადემიური ასოციაცია და სხვებთან ერთად ერეკლე ტატიშვილიც გარიცხეს საქართველოს მწერალთა კავშირიდან (17 მაისის სხდომაზე).

1935 წელს იყო უნივერსიტეტისთვის უმნიშვნელოვანესი მოვლენის – უცხო ენათა კათედრის – დამაარსებელი და პირველი გამგე.

იმ დროიდან დაიწყო მისი დევნა. ჩამოართვეს უნივერსიტეტში სასწავლო კურსები, ხოლო 1941 წლის 23 ივნისს დააპატიმრეს. მან ორ წელიწადზე მეტი დაყო თბილისის საპატიმროში. გათავისუფლების შემდეგ კვლავ უნივერსიტეტს და პედაგოგიურ მოღვაწეობას დაუბრუნდა, თუმცა დიდხანს აღარ უცოცხლია. გარდაიცვალა 1946 წლის 1 თებერვალს. ერეკლე ტატიშვილის ცხედარი მისმა მეგობრებმა და მოწაფეებმა ხელით წაასვენეს მთაწმინდის უბნიდან, სადაც ერთ პაწია ოთახში ცხოვრობდა და დაკრძალეს ვაკის სასაფლაოზე (მისი საფლავის ქვა ნიკო სამადაშვილმა ჩამოიტანა).

დიდია ერეკლე ტატიშვილის ღვაწლი ქართული სამეცნიერო თუ მხატვრული ლიტერატურის წინაშე. მნიშვნელოვანი თარგმანები – ჩარლზ დარვინის „სახეობათა წარმოშობა“, ფრიდრიხ შილერის „ვერაგობა და სიყვარული“ (პირველად დაიდგა 1935 წელს), ბერნად შოუს „კეისარი და კლეოპატრა“, ფრიდრიხ ნიცშეს ფილოსოფიური რომანი „ესე იტყოდა ბარატუსტრა“...

იგი თავისი პუბლიცისტური თუ კრიტიკული წერილებით აქტიურად ეხმანებოდა ქართული კულტურისთვის ძალიან რთულ დროს, როგორც ჭეშმარიტი ინტელექტუალი – გულშემატკივარიც და კრიტიკოსიც ერთდროულად:

„ლიტერატურული ესთეტიკა ჯერ კიდევ აკვანში განისვენებს, სადაც კრიტიკა ვერ გასცილებია პირადი სიმპათია-ანტიპათიის შურის მისრით შეზღუდულ არეს, სადაც პიროვნების დაფასება-პატივისცემა შორეულ ჟამთა არაკად გარდაქმნილა, სადაც ყველა კუთხეში პამპულას ძონძებში გამოწყობილ, ფაფარაშლილ კადნიერებას თავისი ბალაგანი დაუდგამს და უამრავ „საკუთარ ფირმათა“ ჭრელი იარაღიყების გამოფენა ადამიანს თავბრუს დაახვევს, სადაც ყველა უსუსურ ბავშვსაც კი წარმოდგენილი აქვს, რომ ზეცას ცეცხლი მოსტაცა, რათა თავის მოძმე უბედურ მომაკვდავთ ძვალ-რბილი გაუთბოს. რა გასაკვირველია: „ჩვენი ქვეყანა ხომ ამირანის ქვეყანაა?!“ (ერეკლე ტატიშვილი, „ეკლიანი გზით ვარსკვლავებისაკენ“).

ერეკლე ტატიშვილს, როგორც ნიკო სამადაშვილის მასწავლებელს, მისი პოეზიის გულშემატკივარსა და, ერთგვარად, აღმომჩენსაც ძალიან დიდი როლი ენიჭება მეოცე საუკუნის ქართული პოეზიის ისტორიაში.

თამაზ ჩხენკელი წერს: „ერეკლე ტატიშვილი იყო დიდი ერუდიციის კაცი, ევროპული კულტურისა და ლიტერატურის შესანიშნავი მცოდნე, მეტად საინტერესო პიროვნება. ეს მოაზროვნე კაცი, თავისი ბრწყინვალე განათლებისა და პიროვნული მომხიბვლელობის წყალობით, დიდ გავლენას ახდენდა შედარებით ახალგაზრდა, ზოგჯერ სავსებით ყმაწვილ მეგობრებზე. ნიკო სამადაშვილი მოწაფე და მეგობარი იყო ერეკლე ტატიშვილისა, რომელიც მას რაღაც უცნაური ძალით უყვარდა თავისი სიცოცხლის ბოლომდე. ჩვენი მეგობრობის მანძილზე მე არ მახსოვს არც ერთი შეხვედრა ღვინისმიერი თუ უღვინო, რომ მას გულისშემძვრელი სიყვარულითა და თაყვანისცემით არ მოეგონებინოს ამ კაცის სახელი. ეს მართლაც საოცარი იყო და ჩემზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდა. მე მინდა ვთქვა, რომ რამდენადმე ამ ძლიერ პიროვნებასთან ურთიერთობამ განაპირობა ნიკო სამადაშვილის პოეტური ბიოგრაფიის თავისებური გეზი“.

„შეხვედრები და სინანული“ – ეს პროზაული კრებული პოეტმა სწორედ ერეკლე ტატიშვილს მიუძღვნა წარწერით: „ჩემი ცხოვრების სიხარულსა და გულშემატკივარს, ერეკლე ტატიშვილის ხსოვნას“.

„როცა გხვდებოდი, ჩემს საგონებელს
ფფიქრობდი, ვუმზერ შუბლმალალ ხეთებს,
შენ რომ წახვედი, ასე მგონია,
მთელი ქვეყანა თან გაიხვეტე“, –

ასეთი სიტყვებით გააცილა პოეტმა მეგობარი და მასწავლებელი უკანასკნელ გზაზე.

„თუ სიყვარული არ შეგიძლია, ნუ ასწავლი ბავშვებს“

ამას წინათ ჩემს თანამშრომელს ცუდი ამბავი შეემთხვა – მისი 3 წლის შვილი საბავშვო ბაღში წაიქცა და ენა საშინლად გადაიტყავა. საბავშვო ბაღის პედაგოგმა, ნაცვლად იმისა, რომ ექიმისა და მშობლისთვის დაერეკა, უსიამოვნო შემთხვევის დამალვა სცადა – ბავშვის სისხლიანი ჟაკეტი გარეცხა და გააშრო (პატარას ჟაკეტის ჯიბეში შოკოლადი დაუდნა), დედას კი მხოლოდ საღამოს დაურეკა და უთხრა, რომ მისი შვილი სუსტად იყო და სახლში წაეყვანა.

პატარა ბიჭს ენაზე ცხრა ნაკერი დაადეს. ექიმის შეფასებით, ჭრილობა ისეთი მძიმე იყო, რომ, სავარაუდოდ, ბავშვს ნახევარ საათზე მეტხანს სდიოდა სისხლი...

ამ შემთხვევის შემდეგ თავს არ მანებებს კითხვა – რატომ მუშაობს საბავშვო ბაღის აღმზრდელად ადამიანი, რომელსაც უბრალოდ არ უყვარს ბავშვები? ან მასწავლებლად რატომ უნდა იმუშაოს ასეთმა ადამიანმა? ხომ არსებობს უამრავი საქმე, რომლის შესრულებისას ბავშვებთან სულაც არ ექნება შეხება? – ვიფიქრე და გაბრიელა მისტრალი გამახსენდა, ჩილელი პოეტი, ნობელის პრემიის ლაურეატი, მასწავლებელი...



გაბრიელა მისტრალის ნამდვილი სახელი და გვარი ლუსილა გოდოი ალკაიაგაა. ნახევრად ბასკმა და ნახევრად ინდიელმა გოგონამ 17 წლიდან დაიწყო მასწავლებლობა. მას შემდეგ წლების განმავლობაში ასწავლიდა ჩილეს სოფლებსა და ქალაქებში. დიდი კვალი დააჩნია არა მხოლოდ ჩილეს, არამედ მექსიკის საგანმანათლებლო სისტემასაც. ესპანური ლიტერატურის კურსს კითხულობდა ამერიკის შეერთებული შტატებისა და პუერტო-რიკოს უნივერსიტეტებში, საპატიო დოქტორი იყო ჩილეს, ამერიკის შეერთებული შტატების, ესპანეთის, იტალიის, კუბის მრავალი უნივერსიტეტისა. მოგვიანებით იყო ჩილეს კონსული ესპანეთსა და პორტუგალიაში.

გაბრიელა მისტრალი თავისი ტრაგიკული სასიყვარულო ისტორიის შემდეგ (შეყვარებულმა, რომელსაც იგი დაშორდა, თავი მოიკლა) არ გათხოვილა, არ ჰყოლია შვილი და მთელი თავისი დედობრივი სიყვარული პედაგოგიურ მოღვაწეობასა და პოეზიაში გადმოიტანა. ნობელის პრემიის მინიჭებისას შვედეთის აკადემია აცხადებდა, რომ „გაბრიელა მისტრალს პრემია ენიჭება ღრმა განცდებით შთაგონებული ლირიკული პოეზიისთვის, რომელმაც მისი სახელი მთელი ლათინური ამერიკის სულიერ მისწრაფებათა სიმბოლოდ აქცია“.

ძალიან დიდხანს შეიძლება საუბარი გაბრიელა მისტრალის პოეზიაზე, მის პროზად ნაწერ პოემებზე, მოთხრობებზე, მაგრამ ახლა მასზე როგორც მასწავლებელზე მივბრუნდეთ, უფრო სწორად, წაგაკითხოთ მისი „მასწავ-



ლებლის 10 მცნება“, გაჩვენოთ ამ შესანიშნავი პოეტის დამოკიდებულება მასწავლებლობის, როგორც ცხოვრების საქმის მიმართ, პოეტისა, რომელიც ასე ღოცულობდა: „უფალო, მიბოძე უბრალოება და მიბოძე სიღრმე, დამეხმარე, რომ ჩემი ყოველდღიური გაკვეთილები არც რთული იყოს, არც ერთფეროვანი. ყოველ დილით, როცა ჩემი სკოლის კარს შევადებ, შემადლებინე დავივიწყო ჭრილობები, მკერდზე რომ მატყვია, შემადლებინე, სამუშაო მაგიდასთან არ მიმეყვს ჩემი სადღეცხვალიო საზრუნავი, გაუთავებელი წვრილმანი სატკივარი“.

გაბრიელა მისტრალი
მასწავლებლის ათი მცნება
თარგმნა მანანა გიგინეიშვილმა

1. გიყვარდეს მთელი გულითა და სულით. თუ სიყვარული არ შეგიძლია, ნუ ასწავლი ბავშვებს.
2. ასწავლე სადად, უბრალოდ, ისე, რომ მთავარი არ გაგეფანტოს.
3. გაიმეორე, როგორც ბუნება იმეორებს, ვიდრე არ მიაღწევს სრულყოფილებას.
4. ასწავლე ისე, რომ გახსოვდეს მშვენიერება, რადგან იგი დედაა ყოველივესი.
5. იყავი გულანთებული, ლამპრები რომ ანთო, ცეცხლი უნდა გქონდეს გულში.
6. სული შთაბერე გაკვეთილს, ყოველ გაკვეთილს სული უნდა ედგას ცოცხალი არსებასავით.
7. იზრუნე შენი სულის ამაღლებაზე, – რომ გასცე, უნდა გქონდეს.
8. გახსოვდეს, შენი პროფესია ხელობა კი არაა, ღვთისმსახურებაა.
9. ყოველდღე, გაკვეთილის დაწყებამდე, საკუთარ სულში ჩაიხედე, წმინდა თუ გაქვს გული.
10. იფიქრე იმაზე, რომ ღმერთმა შენ დაგაკისრა ხვალინდელი დღის შექმნა.

მგონი, ადრეც ვთქვი, მაგრამ კიდევ გავიმეორებ – მთავარია, მასწავლებელს ბავშვები უყვარდეს, თორემ სწავლების თანამედროვე სისტემებს, გაკვეთილის მეთოდებსა და თვალსაჩინოებებს მოევლეება...

ახლომხედველი ბავშვი სკოლაში

მე ახლომხედველი ვარ. მედიცინის ენაზე ჩემი დიაგნოზი მიოპიაა, რაც იმას ნიშნავს, რომ შორს ცუდად ვხედავ. ის, რაც ჩემი პოეზიისთვის მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა (ჩემს ბოლო პოეტურ კრებულს სწორედ „ახლომხედვის ტრაექტორია“ ჰქვია), ცხოვრებაში ძალიან დიდ დისკომფორტს მიქმნის.

მახსენდება ჩემი თავი სკოლაში, ცდა დაფაზე დაწერილი დავალების წაკითხვისა: ჯერ ოდნავ ჭუტავ თვალებს, მერე – უფრო მეტად, ბოლოს, არაფერი რომ არ გამოდის, იძულებული ხარ, შენი რვეულიანად დაფას აეკრა, რაც აუცილებლად გამოიწვევს შენი კლასელების წყრომას. სათვალე გამოსავალია, მაგრამ არ იკეთებ, რადგან იცი – დაგცინებენ, თან იმ ბიჭს არ მოსწონს სათვალეანი გოგონები...

თუმცა „ჰარი პოტერის“ ავტორის, ჟესანიშნავი საბავშვო მწერლის, ჯონ როულინგის წყალობით, ახლა სათვალე აღარაა დასაცინი, მეტიც – ერთგვარ დამატებით ხიბლსაც კი გძენს: სათვალეანი ბავშვები ყველაზე ჭკვიანები არიან.

რა იწვევს ახლომხედველობას? რა როლს ასრულებს ამაში სკოლა? ცნობილია, რომ ყველაზე ხშირად მიოპია სწორედ დაწყებითი კლასების მაღალ საფეხურზე – მესამე, მეოთხე კლასებში – ვითარდება. სწორედ ამ დროს ევალებათ მშობელსა და მასწავლებელს, შეამჩნიონ პრობლემა და დროულად აჩვენონ ბავშვი სპეციალისტს. წინააღმდეგ შემთხვევაში მიოპიამ შესაძლოა რთული ფორმა მიიღოს.

მიოპია მემკვიდრეობითაც შეიძლება იყოს განპირობებული და გარემო პირობების ზეგავლენითაც.

ახლომხედველობა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დაავადებაა – მსოფლიოში თითქმის ყოველ მესამე კაცს მიოპია აქვს.

არასწორი განათება, თვალის მეტისმეტი გადაძაბვა (მაგალითად, ბევრი საშინაო დავალების შესრულების დროს), წიგნსა და თვალს შორის არასათანადო მანძილი, არაკომფორტული სამუშაო მაგიდა, ტელევიზორის, კომ-

პიუტერის ხშირი ყურება, არასწორი კვება, სუსტი აგებულება და ბევრი სხვა მიზეზი შესაძლოა, სერიოზულ დაავადებას დაედოს საფუძვლად.

იმისთვის, რომ ბავშვის მხედველობას ზედმეტი დატვირთვა არ მიადგეს, საჭიროა, უფროსებმა გაითვალისწინონ სპეციალისტების რამდენიმე რჩევა.

უპირველესად, მნიშვნელოვანია სკოლის კედლების ფერი: ისინი აუცილებლად ბაცი უნდა იყოს – თეთრი ან პასტელის ფერებისა.

კლასი კარგად უნდა იყოს განათებული, დაფაზე არ უნდა ირეკლებოდეს მზის სხივი ან შიდა განათების შუქი.

ყურადსაღებია წიგნის შრიფტი, ასევე – რვეულის ფურცლების ხარისხი და ფერი. ახლომხედველი ბავშვი სასურველია, დაფასთან ახლოს იჯდეს – ეს მასა და მის თანაკლასელებს თავიდან ააცილებს ნაწერის დასანახავად დაფასთან ხშირად გასვლით გამოწვეულ დისკომფორტს.

გაკვეთილის განმავლობაში, მით უმეტეს, თუ საკითხავი ან საწერი მასალა ბევრია, მასწავლებელმა ბავშვები სამჯერ მაინც უნდა შეასვენოს. სასურველია თვალის ვარჯიშების შესრულებაც, მაგალითად, ისეთებისა, როგორიცაა სხვადასხვა საგანზე მხერის სწრაფად გადატანა – ახლომდებარე ნივთიდან შორს და პირიქით.

სკოლის მოსწავლეების რაციონში აუცილებლად უნდა შედიოდეს სტაფილო, თევზი, ნიგოზი, ხაჭო, რძე და მოხარშული ხორცი. არავითარი წიწაკა თუ მღოგვი ან მწარე კეტჩუპი!

სახლში სამეცადინო ადგილი აუცილებლად კარგად უნდა იყოს განათებული. საღამოს, თუ მაგიდის ნათურას დაიხმართ, ჯობს, იგი მარცხენა მხარეს დაიდგათ, რათა სამუშაო მაგიდა განათდეს, ხოლო თვალები შუქმა არ შეაწუხოს.

არ შეიძლება ბინდბუნდში, ტრანსპორტში, აგრეთვე, დაწოლილი კითხვა; ბავშვები უნდა მოვარიდოთ კომპიუტერსა და ტელევიზორთან დიდხანს ჯდომას.

სასურველია, წელიწადში, სულ მცირე, ორჯერ მაინც მოხერხდეს მოსწავლეებთან ოფთალმოლოგის პროფილაქტიკური ვიზიტი.

განსაზღვრება, ადამიანები

ყველაზე უარესი, რაც ქართულის მასწავლებელმა გაკვეთილზე შეიძლება გააკეთოს, ენისა და ლიტერატურის მკვეთრი გამიჯვნაა, რის შემდეგაც ლიტერატურა, როგორც მეტ-ნაკლებად საინტერესო ამბებითა და ისტორიებით სავსე ნაწილი, მოსწავლეებს ძალიან უყვართ, ხოლო ენის – გაუგებარი სისტემებითა და წესებით მოწოდებული თეორიის – წინაშე შიში დიდხანს, დიდხანს არ უნელდებათ.

არსებობენ სხვანაირი მასწავლებლებიც, არცთუ ცოტანი – ისინი ენის ხარჯზე ლიტერატურის სწავლებას მეტ დროს უთმობენ. შედეგად გვყავს მოსწავლეები, რომლებიც საინტერესო ამბებს გაუმართავი გრამატიკული კონსტრუქციით აყალიბებენ.

საფრთხე ენისა და ლიტერატურის ინტეგრირებულად ჩატარებასაც ახლავს თან (ასეთ მიდგომას გვთავაზობს თითქმის ყველა გრიფირებული სახელმძღვანელო) – ვრცელი ლიტერატურული მასალა მაინც გადაფარავს ხოლმე ენისთვის გამოყოფილ დროს.

გამოსავალი ენისა და ლიტერატურის უმტკივნეულო და ნაყოფიერ თანაარსებობაშია.

რასაკვირველია, ვერ ვიტყვი, რომ ჩემს საგაკვეთილო პროგრამაში ეს სირთულე მთლიანად აღმოიფხვრა, მაგრამ მაინც მოგიყვებით ერთ ამბავს, სადაც ლიტერატურა და ენა, როგორც თხა და მგელი, მშვიდობიანად ძოვდნენ ჩვენი სმენისა და შემცნების მწვანე მინდორში – ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე.

ვინაიდან პროგრამიდან და სახელმძღვანელოდან გადახვევის უფლებას თავს ყოველთვის ვაძლევდი, იმ გაკვეთილზე ტექსტი თვითონ ამოვირჩიე. ეს იყო ამონარიდი ერლომ ახვლედიანის გენიალური მოთხრობიდან „ვანო და ნიკო“. ხოლო გრამატიკის ნაწილიდან განსაზღვრების ახსნას ვაპირებდი. გაკვეთილზე, რასაკვირველია, ვახსენე, რომ ის, რაც მორფოლოგიისთვის ზედსართავი სახელია, სინტაქსის გადმოსახედიდან განსაზღვრების ფუნქციით

შეიძლება შეგვხვდეს – ამის ახსნა ცხოვრებისეული მაგალითებით ადვილად მოვახერხე – ვთქვი, რომ მე, ერთი და იგივე პიროვნება, ჩემი შვილისთვის დედა ვარ, მათთვის – მასწავლებელი, სამეცნიერო ინსტიტუტისთვის – მეცნიერი თანამშრომელი, ხოლო ჩემი კარის მეზობლისთვის – ცოტა მოსაწყენი და უინტერესო, მაგრამ მაინც მეზობელი.

ამ გაკვეთილისთვის ბევრი თვალსაჩინოება მქონდა. კარგად გამომადგა ჩემი პატარა შვილის ფერად-ფერადი წიგნები – ჩვილებისთვის განკუთვნილი ზოგიერთი მათგანი ფერებსა და ფორმებზეა, ზოგიერთს ფუმფულა, გლუვი თუ სხვაგვარი ზედაპირი აქვს, ზოგიერთი კი მხიარული და მუსიკალურია.

რამდენიმე სიტყვით ერლომ ახვლედიანზე მოვყევი, პროექტორით სამწუთიანი მასალა ვაჩვენე მწერლის, მისი ნაწარმოებების, მისი სცენარების მიხედვით გადაღებული ფილმების შესახებ. მერე ერთად მოვძებნეთ ყველაზე ბუსტი სამი განსაზღვრება, რომლებიც ამ, ჩემთვის საყვარელ მწერალს შეეფერებოდა – კეთილი, ნიჭიერი და თავმდაბალი.

ამის შემდეგ გადავედით ტექსტზე. სრული სურათის წარმოსადგენად მის საკმაოდ დიდ ნაწილს გთავაზობთ:

„ვანო და ნიკო“ და სიმაღლე და სიდაბლე

|

ერთხელ ნიკო უსაქმოდ იყო და უთხრა ვანოს:

– მე შენზე მაღალი ვარ.

ვანოს ეწყინა და უპასუხა:

– მე კი შენზე მაღალი ვარ.

ნიკო ფეხის წვერებზე აიწია და უთხრა ვანოს:

– ახლა ხომ ვარ შენზე მაღალი?

– მე რა, არ მაქვს ფეხის წვერები? – უპასუხა ვანომ.

ნიკო სკამზე შეხტა და დაიძახა:

– ახლა?

ვანოც სკამზე შეხტა.

ნიკო გარეთ გავარდა, ხეზე ავიდა და ვანოს გადმოსძახა:

– ვანო, ამომხედე!

ვანომ არ ახედა, სხვა ხეზე ავიდა და არაფერი არ თქვა.

ნიკო ხიდან მთაზე გადავიდა და ვანოს გადმოსძახა:

– ეჰ, ვანო, შემომხედე, რა მაღალი ვარ!

ვანოც ავიდა მთაზე და ნიკოს გადასცხა:

— ეჰე, ნიკო!

ხოლო შემდეგ ვანომა და ნიკომ, რაც ახლომახლო მთები იყო, გაიყვეს, ერთმანეთზე აახოხოლავეს, ზედ შედგნენ...

და ისმოდა ყვირილი:

— აუ-უ, ვანო, შემომხედე! რა მა-ლა-ლი ვარ!!!

და ხევებიდან, კლდეებიდან, უფსკრულებიდან ბრუნდებოდა ათასი პასუხი.

— აუ, ვანო, შემომხედე, რა მა-ლა-ლი ვააარ!!!

დაიღალნენ. სიმაღლეებიდან ბილიკ-ბილიკ ჩამოვიდნენ. მთები თავ-თავიანთ ადგილებზე დაალაგეს, მოიტანეს თარაზო, მოასწორეს მიწა და დაეტოლნენ:

თურმე ორივე ერთმანეთზე თითო-თითო სანტიმეტრით მაღალი იყო.

||

ერთხელ კი ვანო იყო უსაქმოდ და უთხრა ნიკოს:

— მე შენზე დაბალი ვარ.

ნიკოს ეწყინა და უპასუხა:

— მე კი შენზე დაბალი ვარ.

ვანო მუხლებზე დაეცა და უთხრა ნიკოს:

— ახლა ხომ ვარ შენზე დაბალი?

ნიკო იატაკზე გაწვა:

— ახლა?

ვანომ მიწა ამოჩიქნა და შიგ ჩაწვა:

— ეჰე, ნიკო, რა დაბალი ვარ?

ნიკომაც ამოჩიქნა მიწა.

ვანომ ორმო ამოთხარა.

ნიკომაც — ორმო.

ვანომ ტა გათხარა.

ნიკომაც.

თხარეს და თხარეს და ისმოდა ხმა:

— ნიკო! ნიკო! ჩამომხედე, რა დაბალი ვარ...

მაგრამ ეს ხმა გუბდებოდა მიწის ღრმა სიბნელეში, გუბდებოდა და პეპელასავით სადღაც ახლოს ილეოდა და კვდებოდა.

დაიღალნენ.

ამოვიდნენ. მიწა კვლავ მიწას დაუბრუნეს. დატკეპნეს. თარაზოც მოიტანეს. დაეტოლნენ.

თურმე ორივე ერთმანეთზე თითო-თითო სანტიმეტრით დაბალი იყო“.

ამ შესანიშნავ ტექსტზეც ბევრი ვილაპარაკეთ, იმაზეც, რას ნიშნავს ჯანსაღი, მეგობრული და საქმეზე დაფუძნებული შეჯიბრებითობა, რომ ადამიანები სწორედ იმდენით განვსხვავდებით ერთმანეთისგან, რამდენითაც ვგავართ, მერე წინადადებები შევადგინეთ, სხვადასხვა ტიპის განსაზღვრება განვიხილეთ და ქვემდებარესა და შემასმენელთან რიცხვშიც მშვენივრად შევაწყვეთ.

სასარგებლო და მრავალფეროვანი გაკვეთილი გამოვიდა.

მშობლები, შვილები, მასწავლებლები

რამდენიმე მთავარი შეგრძნებაა ჩემთვის სკოლა – სიახლე, სიყვარული, აღმოჩენა, შიში და გულისტკენა. ჰო, გულისტკენა.

რამდენიმე წლის წინ, როცა მესამეკლასელმა სოფომ დისნეის ულამაზესი ანიმაციის – აი, ამ ანიმაციის: <http://www.youtube.com/watch?v=1NsKokhM4EY> – ნახვისას დაწერა, რომ მთვარეზე ავა, ოქროს მოაგროვებს, ჩამოიტანს და გადაადნობს, რასაკვირველია, ძალიან დამწყდა გული, მაგრამ ნამდვილი გულისწყვეტა ბოლო წინადადებასთან მელოდა – მან, ამ პატარა, ვარდისფერ-ლოყება არსებამ, ასეთი რამ თქვა: „როცა ამდენი ოქრო გვექნება, იქნებ დედამ ამდენი არ იშუშაოს და ჩემთვის ბლინების გამოსაცხოზად მოიცალოს...“

მაშინ გადავწყვიტე, რომ როცა შვილი მეყოლებოდა, ყველა საქმეს მივატოვებდი და მხოლოდ მას დავუთმობდი ჩემს დროს.

ახლა ჩემი ბიჭი სამი წლის ხდება. უცნაური, უჭკვიანესი ბავშვია; წერს, კითხულობს და ანგარიშობს – არავის უსწავლებია. ძალიან მინდა, მასთან ვიყო, ვესაუბრო, ვეთამაშო, მაგრამ ძირითადად საღამოობით ვნახულობ, ძილის წინ, მისთვის პიჟამის ჩაცმისა და იავნანას სიმღერის სიამოვნებასლა ვჯერდები. იმიტომ, რომ ძალიან ძვირია გადასახადები, საკვები, ტანსაცმელი, წამლები...

რამდენიმე წლის წინ, აკაკი წერეთლის „ჩემი თავგადასავლის“ სწავლებისას, მწერლის მიერ დედის აღწერის ანალოგიით მოსწავლეებს თავიანთი დედების აღწერა ვთხოვე. გულისგასახეთქი შედეგი მივიღე – თითქმის ყველამ დაწერა, რომ საკუთარი დედებისა მხოლოდ გარეგნობა და თმის ფერი იცოდნენ; ხასიათსა და თვისებებზე ვერაფერი თქვეს. მაშინ კიდევ ერთხელ გადავწყვიტე, რომ როცა შვილი მეყოლებოდა... ხომ გასაგებია, რა გადავწყვიტე? ახლა ჩემი შვილი სამი წლის ხდება... დანარჩენი ხომ უკვე დავწერე?!

სწორედ იმ რამდენიმე წლის წინ მოსწავლეების ნაწერში ბევრ გულსატკენ რამეს ვპოულობდი, მათი მართობის, მშობლების მონატრების, ოჯახთან გაუცხოების, კონფლიქტების, ძალიან უბრალო და, ერთი შეხედვით, ადვი-

ლად ასასრულებელი, თუმცა, როგორც ჩანს, მაინც შეუძლებელი სურვილების შესახებ, ჰოდა, მაშინ ყოველდღე ვიძლეოდი დაპირებას, რომ მე უფრო მეტად მოვიცლოდი ჩემი შვილისთვის. ახლა ჩემი ბიჭი სამი წლის ხდება და თითქმის ვერც ერთი დაპირება ვერ ავასრულე.

– მას, დედა რვეულს თავზე გადამახევს!

– მას, ამ წიგნს ვერ ვიპოვი, დედას არ ეცლება.

– მას, როდის ვკითხო, სახლში არ იქნება.

და ა. შ. და ა. შ.

როცა მესამეკლასელ ლაშას კვირის დღეების სახელწოდება ეშლება, როცა უამრავი მეხუთეკლასელი საუბრეს, სადილს და ვახშამს ერთმანეთისგან ვერ ასხვავებს, ზმნის გვარსა თუ „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგზე საუბარი ძალიან რთულდება.

– მე ჰიტლერი მიყვარს, – რამდენიმე წლის წინ მითხრა მეექვსეკლასელმა გიორგიმ.

– მიყვარს, იმიტომ რომ თავისი შვილები უყვარდა.

ჰოდა, დაიწყო და რა დაიწყო.

ამ ამბავზე ისე ვინერვიულე, მთლიანად შეცვალე სასკოლო პროგრამა, „ანა ფრანკი“ წავაკითხე, იანუშ კორჩაკსა და წმინდა გრიგოლ ფერაძეზე მოვუყევი, ყველაზე გამბედავებს „ბიჭუნა ზოლიანი პიჟამით“ ვაჩვენე. ერთი კვირის თავზე გიორგიმ აღიარა, რომ აღარ უყვარს ჰიტლერი, არც არასდროს ყვარებია... უბრალოდ, როცა სახლში ასეთ უცნაურ რამეებს ამბობს, ყურადღებას უფრო მეტად აქცევენ...

დღითი დღე უფრო და უფრო მეტად ვრწმუნდები ერთ რამეში – ჩვენი შვილების შფოთვის, ცუდი მოსწრების, ცუდი ნიშნების, ცუდი საქციელის, გაკვეთილის ჩაშლისა თუ მასწავლებლის გაბრაზების მცდელობები ყოველთვის თუ არა, ხშირად მაინც სითბოსა და ყურადღების ნაკლებობის ბრალია. ისინი ყოველდღიურად, ყოველ დღით თუ ყოველ საღამოს, გვეძებენ ჩვენ, მშობლებს – დაკარგულებს საკუთარ პრობლემებში, კომპიუტერის ეკრანებში, ტელევიზორსა თუ მოსაგვარებელ საქმეებში, ისე, როგორც პატარა გოგო ელი ეძებდა თავის ომში წასულ მამას ყველგან, ყველა საავადმყოფოში, მთელ ქალაქში.

ელი რაღამ გამახსენა?

ამას წინათ მე და ჩემი კოლეგა იმაზე ვსაუბრობდით, როგორ უნდა მივაწოდოთ ბავშვებს ომი – ვუთხრათ თუ დავუმალოთ (დამალვით კი არ დაიმა-

ლება ამ ჩვენს ინფორმაციით გაჯერებულ გარემოში...). ჰოდა, მაშინ გამახსენდა შესანიშნავი ქართველი მწერლის, სამწუხაროდ, ძალიან ადრე გარდაცვლილი ზაზა თვარაძის წიგნი „მონტებულსუ ანუ ელის არაჩვეულებრივი მოგზაურობა“.

„ადრე, ძალიან ადრე, მთელი ერთი წლის წინ, მამამ უცნაური ტანისამოსი ჩაიცვა, სახლიდან წავიდა და მას მერე აღარ გამოჩენილა.

ელენეს ვერ აეხსნა, რატომ აღარ ბრუნდებოდა მამა შინ. წასვლისას მან ყველანი გადაკოცნა და თქვა, მალე დავბრუნდებიო. მაგრამ დრო გადიოდა და მამა არსად ჩანდა“.

ელიმ მამის მოძებნა გადაწყვიტა და ასე დაიწყო მისი არაჩვეულებრივი მოგზაურობა. ათასი თავგადასავლისა და ხიფათის შემდეგ ელიმ მამა იპოვა...

ელიმ იპოვა, მაგრამ გვბოულობენ თუ არა ჩვენი შვილები ყოველ საღამოს, შინ დაბრუნებულებს, თუ უბრალოდ, სურათის ცივი ხარჩოდან გამომზიარალ სახეებს გვაგვართ?

ხშირად დავუსვამთ ეს კითხვა საკუთარ თავს, სანამ ჩვენი შვილების პრობლემებს სკოლას, მასწავლებლებს, თანაკლასელებს, ავტობუსის მძღოლს, შავ კატას თუ ცუდ ამინდს გადავაბრალებთ.

ომი და ბავშვები

ტისტუ გახსოვთ?

მწვანეთითება ტისტუ, ჯადოსნურხელებიანი უფლისწული, რომელსაც მიწიდან ყვავილების აღმოცენება სულ მარტივად შეეძლო – მიწაში თითებს ჩაჰყოფდა და ულამაზესი ყვავილნარი ამობიბინდებოდა.

მორის დრიუნის ეს საოცარი ნაწარმოები ჩემი, ომთან ერთად გავლილი ბავშვობის ყველაზე საყვარელი საკითხავია, მწვანეთითება ტისტუ, ქვემეხები რომ ყვავილებითა და სუროთი დაამარცხა, ომი რომ სილამაზით შეაჩერა, ახლა ძალიან ხშირად მახსენდება, როდესაც ბავშვებს ვხედავ – ომის ბავშვებს, მუდმივი ომის რეჟიმში მცხოვრებ პატარა ანგელოზებს.

„პოლკოვნიკმა ბინოკლით ახედა ცას, მერე სწრაფად ჩაჯდა მანქანაში და თვალის დახამხამებაში გაქრა. იმწამსვე – ბუხ, ბუხ, ბუხ! – ზედიზედ სამი ყუმბარა ჩამოვარდა. დაჭრით არავინ დაჭრილა, მაგრამ მაინც ყველანი სანგრებში ჩაიმაღლნენ, იქ უფრო უშიშრად ვიქნებითო.

ყუმბარები და ქვემეხების ჭურვები ისეა მოწყობილი, შიგ უამრავი ტყვია და რკინის ნაჭერია თავმოყრილი. გასკდება თუ არა, მაშინვე ტყვია და რკინის ნაჭრები აქეთ-იქით იფანტება, ზოგს დაჭრის, ზოგს კლავს. სანგარში ვინც ზის, იმას კი თავზე გადაუფრენს ხოლმე და თითქმის ვერასოდეს ვერაფერს აკლებს, თუ ყუმბარა პირდაპირ შიგ სანგარში არ ჩავარდა. შიგ კი იშვიათად ვარდება: ქვემეხებით რამდენიმე კილომეტრის მანძილიდან ისვრიან და ძალიან ძნელია ამ სიშორეზე ისევ დამიზნება, რომ ყუმბარა შიგ სანგარში ჩავარდეს“.

– გახსოვთ, ეს ეპიზოდი რომელი წიგნიდანაა? კიდევ ერთი ბავშვი–პერსონაჟი გაგანია ომში, მეფე მათიუში, პატარა ბიჭი – მათიუში, იანუშ კორჩაკის დაუვიწყარი გმირი, იანუშ კორჩაკისა, რომელმაც ყველაზე კარგად იცოდა, რომ ომი ყველაზე მეტად ყველაზე სუსტებს და პატარებს – ბავშვებს აზარალებს, თავადაც ხომ ებრაელი ბავშვების სიკვდილის ბოლო წუთის გალამაზებას შეეწირა, მშვიდი და ლამაზი გარდაცვალება აჩუქა მათ.

„მესვრიან, ნინცო, ესენი. ტვინს გამასხმევინებენ, ნინცო, ესენი. როგორც იმ კაცს იმ ხევში, გახსოვს, როგორ ჰქონდა? გახსოვს, ტვინი როგორ ჰქონდა? მესვრიან. რაც არ უნდა ვიკივლო, მაინც მესვრიან. მაინც ვერ გავაგონებ. მთელი ყუთი მაქვს თან, სათითაოდ ვყარე ტუალეტის ფანჯრიდან. აი, ახლა ჩავაწყობ და სანამ მომიახლოვდებიან, გაიქცევი. მესვრიან ესენი. მესვრიან. დაიცა, მე ხომ ჩიტი ვარ, იწილო-ბიწილო, შროშანო-გვრიტინო, ალხო, მალხო, ჩიტმა გნახოს, შენი ფესვი ფესვმანდური, სიკოჭორი, კალმახური, აბდაუბდა, გაიქცევი. გაიქცევი. აბდაუბდა გაიქცევი. იწილო-ბიწილო, შროშანო-გვრიტინო, ალხო, მალხო, ჩიტმა გნახოს, შენი... შენი ფესვი ფესვმანდური, სიკოჭორი, კალმახური, აბდაუბდა, გაიქცევი, გაიქცევი... იწილო-ბიწილო, შროშანო-გვრიტინო, ალხო, მალხო, ჩიტმა გნახოს, შენი ფესვი ფესვმანდური, სიკოჭორი, კალმახური, აბდაუბდა...

გა-ი-ქე-ცი

წკიპ და რიკ.

შაბათი

დედამ თქვა: „მიშველეთ. ეს მაინც ნუ მომიკვდება. ხალხო“.

– მძიმე ეპიზოდი არა? წიგნი კიდევ უფრო მძიმე და ემოციურია. ეს თანამედროვე ქართველი მწერლის, თამთა მელაშვილის „გათვლა“, ამბავი ომზე და ამბავი გოგოებზე, ამბავი იმაზე, რომ სულერთია, ვინ იმარჯვებს ომში, ბავშვები ყოველთვის მარცხდებიან.

გავროში აუცილებლად გეხსომებათ, ბარიკადებზე ბრმა ტყვიით მოკლული პატარა, მშვიერი ბელურა, მისთვის გაუგებარ რევოლუციას და იდეებს შეწირული, ვიქტორ ჰიუგოს ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი და ტრაგიკული ლიტერატურული პერსონაჟი, არც მშვიერი და ფეხშიშველი ომის ბავშვები დაგავიწყდებოდათ ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებებიდან...

თუმცა, რაღა ლიტერატურა, საითაც გაიხედავ, ყველგან ომია – ქვეყნებს შორის თუ პოლიტიკურ პარტიებს შორის, ადამიანებს შორის, იდეებსა და იდეალებს შორის და ყველა ამ ომში, მიუხედავად იმისა, ვის მხარესაა სამართალი თუ ძალა, ვინაა მართალი და ვინ მტყუანი, ვის მეტი ჯარი ჰყავს და ვის ნაკლები – ბავშვები მარცხდებიან, იღუპებიან, არაადამიანური პოლიტიკის, ტყვისა თუ კასეტური ბომბების ბრმა სამიზნეები...

ერთ-ერთ გაკვეთილზე ბავშვთა უფლებების კონვენცია განვიხილეთ, მუხლები ცალ-ცალკე ფურცლებზე ამოვწერეთ და შემთხვევითი ამორჩევის პრინციპით განვიხილეთ – ვის რომელი შეგვხვდა.

გუგამ ხელი ასწია და დამიძახა – ახალი მუხლი მოვიგონე, მას!

ჩვენ ინტერესით მივაჩერდით – აბა, თქვი, გუგა...

– ბავშვებს აქვთ უფლება, ომი არ იყოს. – თქვა მან და გაიღიმა.

ჰო, ბავშვებს აქვთ ამის უფლება, ბავშვებს – ბრძოლის ველის განაპირას თუ შუაგულში ამოსულ ყვავილებს.

აგვისტო მოდის, ჩვენი ომის თვე.

ერთი წიგნი, ერთი ფილმი, ერთი ლექსი, ერთი სიზმარი

ამას წინათ, ფსიქოლოგთან სულ შემთხვევითი საუბრისას ჩემი მთავარი, ყველაზე ხშირად განმეორებადი სიზმრის არსი გავშიფრე.

მთელი ბავშვობა და მერეც, დიდობაში, მესიმრება, როგორ მხვდება ქუჩაში სრულიად შემთხვევით ჩემი დიდი ხნის წინ გარდაცვლილი მამა, როგორ ვიგებ, რომ მთელი ამ ხნის მანძილზე ცოცხალი იყო, რომ სხვა ოჯახი და სხვა შვილები ჰყავდა და როგორ მთავაზობს ჩემი ნახევარძეებისა და ნახევარძმების გაცნობას.

ჰოდა, ჩემს ბავშვობაზე ლაპარაკისას, სრულიად შემთხვევით მოვყევი, რომ დიდი ხნის მანძილზე მამა მივლინებაში მეგონა, რადგან ასე მითხრეს უფროსებმა.

მაშინ 5 წლის ვიყავი და ყველამ ჩათვალა, რომ სიტყვა „სიკვდილის“ გამოყენება პატარა ბავშვთან არ იყო მიზანშეწონილი. რამდენიმე კვირის განმავლობაში ველოდებოდი მივლინებიდან მამაჩემის დაბრუნებას, მერე ალბათ ამიხსნეს, რომ ის სამუდამოდ წავიდა, მაგრამ კითხვა – „რატომ არ ბრუნდება?!“ – ეტყობა ისე ღრმად ჩასახლდა ჩემს ცნობიერსა და ქვეცნობიერში, რომ საკუთარი, ალტერნატიული პასუხი იპოვა ჩემი სიზმრის სახით, სადაც მამა სხვა, უჩვეულო ცხოვრებით ცხოვრობდა. ჰო, ალბათ სიმართლე არ უნდა დავუმალოთ ბავშვებს, თუმცა, ვინ იცის...

ეს ისტორია რამდენიმე დღის წინ გამახსენდა, როდესაც მოსწავლეებს ბაფხულში წასაკითხი წიგნებისა და სანახავი ფილმების სიას ვუდგენდი.

ბაფხული როგორი დროა, იცით? როცა შთაბეჭდილებები ყველაზე მძაფრია, მახსოვრობა – ყველაზე მარადიული, დრო – ყველაზე თავისუფალი და, შესაბამისად, ბევრის მომცველი.

უფროსკლასელებს რამდენიმე წიგნთან ერთად გენიალური ბერძენი კინორეჟისორის, თეო ანგელოპულოსის ფილმის „პეიმაჟი ნისლში“ ნახვა დავავალე. ჰო, რთული ფილმია, ალბათ ბევრ რამეს ვერ გაიგებენ, თუმცა მე ეს ფილმი პირველად დაახლოებით მაგ ასაკში ვნახე (დღემდე ჩემი ყველაზე საყვარელი ფილმი) და შთაბეჭდილებები და განცდები დღემდე მახსოვს.



ეს საოცრად დრამატული და ტკივილიანი ფილმი ორი ბერძენი ბავშვის დიდ ოდისეას ასახავს – მამისკენ მიმავალ გზაზე. გზა, რომელიც გერმანიაში, ამ ალთქმულ ქვეყანაში – სადაც მამა ეგულებათ – მიდის, მათი ზრდის, ბოროტისა და კეთილის შეცნობის, სამყაროს სრულიად ახლებურად გაგების გზაა... საშიში, ბუნდოვანი, ხიფათიანი, ზოგჯერ არარეალური...

საოცარი ფილმია, შესანიშნავი ბერძენი კომპოზიტორის, ელენე კარაიანდრუს გასაგიჟებელი მუსიკით გაფორმებული, ბოლო კადრი ხომ საერთოდ – ხშირად მესიზმრება ხოლმე.

ძალიან მაინტერესებს, რას შეტყვიან ამ ფილმის შესახებ მოსწავლეები, რას გაიგებენ, რას დაინახავენ. იქნებ რომელიმეს ზვიად რატიანის ეს შესანიშნავი ლექსიც გაახსენდეს:

მცირე ელეგია მამისათვის

აი, ეს ხეა მამაჩემი.

გაგიკვირდა?

მუხას ელოდი?

არა, ეს ხეა მამაჩემი,
 ეს ტანწვრილი
 და არც ისე ხანდაზმული,
 რომელსაც ფხიზლად ძინავს ზამთარში
 და გაზაფხულზე პირველივე სითბო აღვიძებს.
 ის არ ჩრდილავს ნახევარ ეზოს,
 არ აბნელებს დანარჩენ ხეებს,
 მისი ჩრდილი მსუბუქია და თვინიერი –
 მას შემოდგომის სუსტი მზეც კი
 სულ ადვილად ატრიალებს ღერძის გარშემო,
 ხოლო ზაფხულში, როცა ჩვენკენ უბოძოდ ცხელა,
 მისი ჩრდილი, მეტს თუ არა, ხუთ-ექვს ჩვენგანს ნამდვილად იტევს
 და ჩვენ ეს გვყოფნის. მეტი არც ვართ.
 მეტი არც გვინდა.

მოკლედ, ველოდები სექტემბერს და ჩემი უფროსკლასელების ყველაზე გულწრფელ შთაბეჭდილებებს.

უმცროსკლასელთათვის საზაფხულო წიგნების სიის შედგენისას ერთი ძალიან კარგი ქართველი მწერლის (სამწუხაროდ უდროოდ გარდაცვლილი) ზაზა თვარაძის სათაგადასავლო წიგნი „მონტებულსუ ანუ ელის არაჩვეულებრივი მოგზაურობა“ მახსენდება. როდესაც ეს წიგნი ლიტერატურული პრემია „გალათი“ დაჯილდოვდა, ცერემონიალის წამყვანმა საზეიმოდ გამოაცხადა – ახლა კი ბატონ ზაზა თვარაძეს ვთხოვთ სცენაზეო! (მწერალი კი გარდაცვლილი იყო, ალბათ იმ მშვენიერმა წამყვანმა ვერ წარმოიდგინა, როგორც შეიძლება ასეთი წიგნის ავტორი ცოცხალი არ იყოს და, ჩემი სიზმრის მსგავსად, მწერლის სიცოცხლის ალტერნატიული ვერსია შექმნა. ასე ავხსენი ეს ფაქტი მაშინ).

„მაგრამ მამა იყო მხოლოდ ნახატებზე. სინამდვილეში კი მამა უკვე რა ხანია, არ ენახათ.

ადრე, ძალიან ადრე, მთელი ერთი წლის წინ, მამამ უცნაური ტანისამოსი ჩაიცვა, სახლიდან წავიდა და მას მერე აღარ გამოჩენილა.

ელენეს ვერ აეხსნა, რატომ აღარ ბრუნდებოდა მამა შინ. წასვლისას მან ყველანი გადაკოცნა და თქვა, მალე დავბრუნდებიო. მაგრამ დრო გადიოდა და მამა არსად ჩანდა.

ელენე მაშინ სულ პატარა გოგო იყო, სკოლაშიც კი არ დადიოდა. მაინც ას-
სოვდა, როგორ დაუჯდებოდა ხოლმე მამა ძილის წინ და ზღაპრებს უამბობდა
– ქონდრისკაცებზე, ჯადოქრებზე, მზეთუნახავზე და მზეჭაბუკზე...“ – ასე იწყება
ეს ამბავი.

ჰოდა, წიგნის მთავარი გმირი, ელიც მამას ეძებს, მისი გზაც ხიფათით, ბო-
როტი და კეთილი ადამიანებით, ჯადოქრებითა და სასწაულებითაა სავსე.
გზა ღრმალელიდან ოქროყანამდე – სადაც ომში დაკარგული, დაჭრილი მამა
უნდა იპოვოს. „მონტებულსუ“ ბოლო დროის ერთ-ერთი საუკეთესო ქართუ-
ლი საბავშვო წიგნია, აუცილებლად წააკითხეთ თქვენს მოსწავლეებს.

ზაფხული მოვიდა, დასვენებებით, შთაბეჭდილებებით, ფერებით, მდინა-
რით, ცხელი სიმიანდით, სოფლით, მწვანე ბალახით და ცვალებადი განწყობე-
ბით სავსე. ვემშვიდობები მოსწავლეებს, თან ფილმებისა და წიგნების მსუყე
ჩამონათვალს ვატან, რომ მათაც მოძებნონ საკუთარი სათქმელი, მფარველი
ანგელოზი თუ, უბრალოდ, პასუხი კითხვებზე, რომელთაც ზოგი წიგნებში,
ზოგი კი საკუთარ სიზმრებში პოულობს ხოლმე.

ყვავილები ჩემთვის, შენთვის, ელჯერნონისთვის

ჩემი აზრით, განსაკუთრებით ჭკვიანი არასოდეს ყოფილვარ, საკითხები, რომელთა გადაწყვეტაც მიჭირდა, ყოველთვის მრავლად იყო, მაგრამ, სულო ცოდვილო, მეც ხშირად მითქვამს ან მიფიქრია ვინმეზე სკოლაში, უნივერსიტეტში თუ სხვაგან: აუ, საერთოდ ვერაფერს ხვდება, მგონი, ცოტა მოუსუსტებს-მეთქი (ჟარგონზე ეს სხვაგვარად ჟღერს).

ამას წინათ განსაკუთრებით ვინანე ასე ფიქრი და მივხვდი, რომ ყველაზე, ყველაზე დიდი შეცდომა შესაძლებლობების მიხედვით ადამიანების დაყოფაა, გონებრივი შესაძლებლობები იქნება ეს, ფიზიკური თუ სხვა სახისა. იმითომ, რომ ეს დაყოფა უაღრესად პირობითი და სრულიად არაფრისმომცემია.

ერთი კვირის წინ მე და გიოს, ჩემს 4 წლის ბიჭუნას, საშინელი ვირუსი გვეტაკა. ჰო, ჰო, შემთხვევით არ გამომიყენებია ეს ზმნა – გვეტაკა. სიცხე, ხველები, სურდო, სისუსტე – ამ ყველაფერს კიდევ აიტანდი, მაგრამ ფიზიკური სისუსტე და მოქმედებისა თუ ანალიზის უნარის დასუსტება – აი, ეს იყო ყველაზე რთული.

ექიმმა გიორგის რალაც ანტიბიოტიკი დაუნიშნა, წყალში უნდა გაგებავებიან და სუსპენზია მოგემზადებინა. რამდენჯერმე წავიკითხე ინსტრუქცია, დოზები, ისა, ესა, ბოლოს გავაზავე და მივხვდი, რომ შემეშალა – წყალი უფრო მეტი მომივიდა, ვიდრე საჭირო იყო.

რაკი აფთიაქი ახალ ფლაკონს ვერ მოგვცემდა, – ურეცებოდ ეს წამალი არ გაიცემა, – გადავწყვიტე, როგორმე გადამერჩინა სუსპენზია და მეანგარიშა, რამდენი უნდა მიმეცა ბავშვისთვის, რომ წამლის საჭირო რაოდენობა მიეღო.

აი, აქ დაიწყო ჩემი წამება. კონსულტაციები ქმართან, მეგობართან, თვლა, წყვა, ზომვა, ანგარიში, გაყოფა... ხომ ზუსტად ვიცოდი, რა უნდა გამეკეთებინა, მაგრამ საკუთარ თავს ვერაფრით ვენდე... როგორც იქნა, სხვების დახმარებით წამალი სწორად გავანაწილე, მაგრამ გვარიანად ვინერვიულე. არასდროს მქონია ასეთი უსუსურობის შეგრძნება.

თითქოს არაფერი, ხომ? მაგრამ ერთი დღე დამჭირდა ამ დაძაბულობისგან გასათავისუფლებლად.

იმავე საღამოს, როცა გიოს წამალი დავაღვეინე და ვავახშმე, დავჯექი და დიდხანს ვფიქრობდი იმ დღეზე, წამლის დოზებზე, ჩემს შიშსა თუ გაუბედურებაზე, რომელმაც, ფაქტობრივად, უუნაროდ მაქცია და უცებ გადავწყვიტე, რომ ამ ყველაფერზე ჩემს მაღალკლასელებს მოვუყვები, – რასაკვირველია, ლიტერატურული პარალელებით.

წიგნი კი, რომელსაც მათ გავაცნობ, დენიელ კიზის რომანი „ყვავილები ელჰერონისთვის“ იქნება, რომლის ძალიან კარგი თარგმანი სულ ახლახან, „ფანტასტიკური ბიბლიოთეკის“ სერიით გამოსცა გამომცემლობამ „წიგნები ბათუმში“. წიგნი თინათინ ხომერიკმა თარგმნა.

„ყვავილები ელჰერონისთვის“ პატარა ნოველად მქონდა წაკითხული ფანტასტიკური მოთხრობების ანთოლოგიაში. ის განსაკუთრებული განცდა, რაც მაშინ დამეუფლა, კიდევ უფრო სხვაგვარი შეგრძნებით გამდიდრდა მას შემდეგ, რაც ნაწარმოები რომანის ფორმით წავიკითხე.

დენიელ კიზმა თითქმის ყველა პერსონაჟი რეალური ცხოვრებიდან გადაიღო. ის ერთხანს ინგლისურ ენას ასწავლიდა სპეციალურ სკოლაში. სწორედ მისი ერთ-ერთი მოსწავლე გახდა ჩარლი გორდონის პროტოტიპი.

როდესაც ნაწარმოების პირველი, მოკლე ვერსია გამოქვეყნდა, რედაქტორმა კიზს მოსთხოვა, დასასრული შეეცვალა – ჩარლის შეენარჩუნებინა საკუთარი ინტელექტი და თავის მასწავლებელზე, მის კინიარზე დაქორწინებულიყო, მაგრამ მწერალმა ასეთ ფინალზე უარი თქვა.

წიგნის სიუჟეტს დაწვრილებით არ მოვყვები, თავად უნდა გაეცნოთ. უბრალოდ, როგორც მასწავლებელი, როგორც მშობელი და როგორც ადამიანი, გეტყვით, რატომ უნდა წავაკითხოთ ის ბავშვებს.

1. დარწმუნებული ვარ, ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ ერთმანეთის ინტელექტუალურ შესაძლებლობებს დაცინვით აღარ მოიხსენიებენ და აუცილებლად შეუყვარდებიან წიგნის მთავარი გმირი; უფრო იშვიათად გაიგონებთ კლასში სიტყვებს: „დებილო, ჭკუასუსტო“ და ა. შ.
2. მთავარი ამ წიგნში ის არის, რომ ჩარლი, წარუმატებელი ექსპერიმენტის მსხვერპლი, ყველაფრის მიუხედავად, არ ბოროტდება და წიგნის უკანასკნელ გვერდამდე საკუთარი ცხოვრების შეცვლას ცდილობს.
3. ჩარლი გორდონი, რომელმაც განვითარების უმაღლეს მწვერვალს მიაღწია, ცდილობს, საკუთარი ინტელექტის გამოყენებით მიაგნოს ექსპერიმენტის წარუმატებლობის მიზეზს, ანუ ის, რაც მიიღო, სხვების სასარგებლოდ გამოიყენოს.

4. ძალიან მნიშვნელოვანია ენობრივი პრაგმატიკის საკითხები, ენა, როგორც ლიტერატურული ხერხი, ერთგვარი ენობრივი დინამიკა, რომელიც ისე აჩვენებს პერსონაჟის ცვლილებას, რომ არავითარი დამატებითი საშუალება აღარ არის საჭირო (აღსანიშნავია მთარგმნელის ოსტატობა, რომელმაც შესანიშნავად მოახერხა ამ ყველაფრის ქართულ ენაზე გადმოტანა).
5. სიყვარული. სიყვარული ნებისმიერი ადამიანისადმი – აი, ეს არის ამ ნაწარმოების დედაარსი.
6. მე, როგორც მკითხველს ყველაზე მეტად იქ შემრცხვა, სადაც ჩარლიმ თანდათან გააცნობიერა მისდამი სხვების დამოკიდებულება და დაცინვას თავისი სახელი დაარქვა. შემრცხვა, ძალიან შემრცხვა...
7. თქვენი მოსწავლეები აუცილებლად მიხვდებიან, რომ არც ინტელექტი, არც განსაკუთრებული უნარები არ არის მთავარი, – მათი შეძენაც ადვილია და დაკარგვაც; მთავარია, ადამიანად დარჩე.
8. ეს წიგნი საუკეთესო საშუალებაა მოსწავლეებში ემპათიის გასაღვიძებლად.

წიგნის პრობლემატიკა აუცილებლად მოგცემთ ძალიან საინტერესო გაკვეთილისა და დისკუსიის დაგეგმვის საშუალებას. ვფიქრობ, ღირს, უფროსკლასელებთან ამ წიგნზე საუბარი სცადოთ.

წარმატებას გისურვებთ!

აუცილებლად წაიკითხეთ და წააკითხეთ ეს შესანიშნავი ნაწარმოები თქვენს მოსწავლეებს, „ყვავილები ელჟერნონისათვის“ ისეთი წიგნია, ბევრი რამის ახსნას რომ გაგიადვილებთ, ბევრი ადამიანის სათქმელს რომ გათქმევინებთ...

სკოლაში წასვლა

ჰოდა, მოვიდა სექტემბერიც. სოციალური ქსელი გამოპრანჭული, ბედნიერი, გახამებულსამოსიანი ბავშვების ფოტოებით, მათი მშობლების ალტაცებული კომენტარებით, მოსაზრებებითა და შთაბეჭდილებებით გაივსო.

– ჩემს გოგოს დღეს სკოლის პირველი დღე აქვს, წარმატებას გისურვებ, დედიკო!

– ახალი დღე, ახალი სკოლა, ახალი ურთიერთობები, ჩემს ბიჭზე უფრო მე ვნერვიულობ!

– ჩვენი მასწავლებელი თბილი და კარგი გოგონა ჩანს, იმედია, ეს შთაბეჭდილება არ გაგვინელდება...

და ა. შ. და ა. შ.

ახალი ცხოვრება, ახალი ურთიერთობები, ახალი გამოწვევები და იმედგაცრუებები, და ახალი შიშები, განსაკუთრებით შიშებზე მინდა გელაპარაკოთ.

წელს სკოლაში ის ბავშვიც წავა, ვისაც ძალიან გაუჭირდება გაკვეთილზე მშვიდად ჯდომა და იქნებ საკლასო ოთახში სეირნობამ დაამშვიდოს.

ის ბავშვიც წავა, ვისაც კომუნიკაცია განსაკუთრებით უჭირს, თანდათანობითი, ყოველდღიური შეგუება სჭირდება.

ისიც წავა, ვისაც ცუდად ესმის ან დაფის დანახვა უჭირს.

ისიც, ვინც ეტლით მოძრაობს და ადაპტირების გარეშე საკლასო ოთახში შესვლა გაუჭირდება.

ისიც წავა, ვისაც უცხო ადამიანების განსაკუთრებული შიში აქვს.

ისიც, ვისაც გადატანილი სტრესის გამო კალმის ხელში დაკავებისას თითები უკანკალებს.

ისიც, ვისაც მხოლოდ კალმის ბოლოს ღეჭვა ამშვიდებს.

ისიც, ვისთვისაც აკრძალვები თუ უარი ცოტა რთული გასაგებია.

ისიც, ვინც თანდათან უნდა შეეჩვიოს სისტემურობას, დავალებებს, გაკვეთილებს.

ისიც წავა, ვინც ნებისმიერი ხმაურისადმი განსაკუთრებით მგრძნობიარეა.

ისიც, ვისაც შეხებების ეშინია.

ისიც, ვინც შეიძლება სრულიად უადგილო წამოძახილით დაიმშვიდოს თავი.

ისიც, ვინც არ არის მიჩვეული მითითებების შესრულებას.

ისიც, ვინც განსაკუთრებულად ცელქია ან პირიქით, მეტისმეტად მორცხვი და გაუბედავი.

ისიც, ვისაც გაკვეთილზე ეძინება, ძალიან, ძალიან უჭირს ამდენი ხნის განმავლობაში არ ჩათვლიმოს.

წელს სკოლაში სპეციალური საჭიროების მქონე ბევრი ბავშვი წავა, ინტეგრირებული კლასი, რესურს ოთახი, სპეციალური პედაგოგი, ფსიქოლოგი – ამ ყველაფერზე ძალიან დიდ იმედებს ამყარებენ მშობლები, რომელთაც ხშირად თავიანთი შვილების გვერდით, კლასში ჯდომა ან საკლასო ოთახებთან ატუზვა უწევთ.

ყოველი ახალი სექტემბერი ახალი გამოწვევაა ჩვენი საზოგადოებისთვის, მოსწავლეებისათვის, მშობლებისათვის, მასწავლებლებისათვის – იქნებ წელს უკეთ მოვახერხოთ ბავშვების ინტეგრირება, იქნებ წელს უფრო მეტი ვიცოდეთ, იქნებ წელს უფრო მეტი ვიშრომოთ და უფრო მეტად შევიყვაროთ?

თუ შენ მასწავლებელი ხარ, ეცადე, ბავშვების წინაშე არ შეარცხვინო, უკმეხად არ მიმართო, შეურაცხყოფა არ მიაყენო, მაქსიმალურად ჩართო კლასის მუშაობაში, იცოდე, რომ ის სხვებისგან არაფრით განსხვავდება, იქნებ თანაკლასელებზე მეტიც იცოდეს.

თუ შენ მოსწავლე ხარ, იცოდე, რომ მის გვერდით ყოფნა, მისი დახმარება შენი მოვალეობაა, მასთან ურთიერთობა კი ძალიან, ძალიან საინტერესო თავგადასავალი.

თუ შენ მშობელი ხარ, აუცილებლად უთხარი მასწავლებელს, რომ მშობელთა კრებაზე, ხმამაღლა და ყველას გასაგონად არაეთიკურია ვინმეს დიაგნოზის, ქცევის თავისებურების განხილვა. იცოდე, რომ ვილაცების გამოორჩევა, ვილაცებისთვის თავის არიდება და დისტანცირება არაფერს კარგს არ მოუტანს შენს შვილს. მან ყველანაირ ადამიანთან ურთიერთობა, ყველას სიყვარული უნდა ისწავლოს.

თუ შენ სკოლის ადმინისტრაცია ხარ, აუცილებლად მოაწყვე შენს სკოლაში რესურს ოთახი, დაასაქმე გამოცდილი, განათლებული, ემპათიური პედაგოგი თუ ფსიქოლოგი, არავითარ შემთხვევაში არ განარჩიო ერთი მოსწავლე მეორისგან.

თუ შენ განათლების სამინისტრო ხარ, დაგეგმე და განახორციელე უფრო მეტი პროექტი ინკლუზიური განათლების გასაუმჯობესებლად, ასწავლე უფრო მეტ პედაგოგს, აღჭურვე უფრო მეტი სკოლა, მოამზადე და დაასაქმე უფრო მეტი პროფესიონალი.

თუ შენ ქვეყანა ხარ, ასწავლე და შეიყვარე შენი ყველაზე საუკეთესო ნაწილი.

წარმატებას გისურვებ!

წინ, ბავშვობაში

გამარჯობა, მიხარია თქვენთან კიდევ ერთი შეხვედრა, ვიცი, რომ თქვენც.

მიყვარს თქვენი გამოხმაურებების კითხვა, ძალიან ხშირად ვამოწმებ, ჩავუყვები ხოლმე ყველა ბლოგს და თუ ახალი კომენტარია, პატარა ბავშვივით ვჭყლობინებ. არა, არ გეგონოთ, ქება მიყვარდეს(თუმცა არც უამისობაა), მოსმენა და გაზიარება მათედნიერებს, განცდა, რომ ვილაც სადღაც შენს ნააზრევს კითხულობს, ჰოდა, მგონი, დიდი აღიარების დროც დადგა. ადამიანისთვის, რომელიც ოცდაოთხი საათის მანძილზე სკოლაზე წერს და ფიქრობს, არცთუ ბუნებრივი, მაგრამ გულწრფელი აღიარების — მე არ მიყვარდა სკოლა, მეტიც, ძალიან დიდი ხნის განმავლობაში მძულდა.

დღემდე, ჩემს ყველაზე დიდ კოშმარებში მესიმზრება, როგორ ვდგავარ დაფასთან და ვცდილობ, მოვყვე გაკვეთილი, რომელიც არ მესმის, ერთი სიტყვაც, ერთი პწკარიც, ყველაფერი გაუგებარია, თითქოს ქართულად კი არა, ურდუზე ეწეროს.

მე არ მიყვარდა სკოლა და ერთადერთი, რაც იმ ხანად მაძლებინებდა, წიგნები იყო. ყველანაირი, სხვადასხვა, განსხვავებული, ცუდი და კარგი, ძალიან ცუდი და ძალიან კარგი წიგნები.

ცუდიო? კიდევ ერთი აღიარებაო? ვგრძნობ, რომ ამ წერილს ბევრი სტუმარი ეყოლება. დღემდე ბევრს ვფიქრობ, არის თუ არა დაკარგული ის უზარმაზარი დრო, რაც მე ცუდი წიგნების კითხვაში გავატარე. არადა, ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე კარგი და სასაცილო გასართობიც შევიძინე, დღესაც დავსხდებით მე და ჩემი მეგობარი და ერთმანეთს ვეჯიბრებით, რომელს უფრო მეტი „დებილური“ წიგნი გვაქვს წაკითხული, სათაურები? სათაურებს არ დავასახელებ, მაგრამ არცერთი საბჭოთა და ქართული, თუ საბჭოთა და ყაზახური, წითელი თუ პროპაგანდისტული, ძალიან სუსტი და უხარისხო წიგნი არ გამომიტოვებია. რაო? ისეთ წიგნებს თუ კითხულობდიო? კი, მიმაღავდნენ, მაგრამ მაინც ვახერხებდი.

მახსოვს, უგულისყურობისთვის შენიშვნა ბევრჯერ მიმიღია, ტექნიკურ საგნებში ნიშნებს ჩემი უფროსი და-ძმის ხათრით მიწერდნენ, ბევრჯერაც

უჩხუბიათ, როცა ფიზიკის გაკვეთილზე თავი ამიწევია სრულიად არაფრის-
მთქმელი მზერით, მერხის ქვეშ კი ისეთი თავგადასავლებით აღსავსე წიგნი
მედო...

ჰოდა, რაზე გამახსენდა ეს ამბავი.

ამას წინათ, წიგნის მაღაზიაში ფრანგი მწერლის, ანა გავალდას წიგნს წა-
ვაწყდი – „35 კილო იმედი“. წიგნი სოფია ბარშოვამ თარგმნა და ისეთმა გა-
მომცემლობამ გამოსცა, რომელსაც თვალდახუჭული ვენდობი, თანაც გადავ-
შალე და პირველივე აბზაცმა მომჭრა თვალი:

„ვერ ვიტან სკოლას.
ამქვეყნად ყველაზე მეტად ეგ მეზიზღება.
არა, უფრო მეტადაც...
გამიმწარა ცხოვრება.“

ჰოდა, რა თქმა უნდა, ვიყიდე.

ვიყიდე კი არა, თუკი ოდესმე სკოლის ბიბლიოთეკებისთვის აუცილებელი,
მასწავლებლებისა და მშობლებისთვის წასაკითხი წიგნების სიას გავაკეთებ,
გრეგუარის ისტორია სიის თავში იქნება, ჰოლდენ კოლფილდისა და გრძელ-
ფეხება მამილოს შორიახლოს.

თუ გვინდა გავიგოთ, რატომ არ უყვართ ბავშვებს სკოლა, რატომ უხა-
რიათ თუნდაც ერთი გაკვეთილით ადრე შინ წასვლა, რას ვაშავებთ და რას
ვაკეთებთ არასწორად, როგორ არ უნდა მოვექცეთ მოსწავლეებს, მხოლოდ
მოსწავლეებს კი არა, შვილებს, როგორ უნდა მოვუსმინოთ მათ და მათივე ინ-
ტერესების მიხედვით განვსაზღვროთ მათი პრიორიტეტები და არა პირიქით
– მოკლედ, ვიქნები ბანალური და ვიტყვი, ეს წიგნი სარკეა, ჩვენთვის, მშობ-
ლებისა და პედაგოგებისთვის, უფროსებისთვის.

„მე, მაგალითად, ჩემი მაღვიძარას დარეკვამდე ერთი საათით ადრე თვა-
ლები უკვე დაჭყეტილი მაქვს და ამ ერთი საათის განმავლობაში ვგრძნობ,
თანდათან როგორ იმატებს და იმატებს მუცლის ტკივილი. ორსართული-
ანი საწოლის მეორე სართულიდან ჩამოსვლის დროს კი გული ისე მერევა,
თითქოს ჩემს ოთახში კი არა, გემზე ვიყო, გაშლილ ზღვაში. ავტობუსში ჩემი
მუცლის ტკივილი ძალიან მძიმე ბურთად გადაიქცევა ხოლმე. თუ შემთხ-
ვევით რომელიმე კლასელს დავემგზავრე და ლაპარაკი ჩვენი საყვარელი
მულტფილმის გმირ ზელდაზე წამოვიწყეთ, მაშინ არაფერი მიჭირს, ტკივილი

თანდათან იკლებს, სხვა შემთხვევაში კი მგუდავს. ყველაზე უარესად მაშინ ვარ, როდესაც უკვე სკოლის ეზოში შევდივარ. სკოლის თავისებური სუნი პირდაპირ ავად მხდის. წლები გადის და ადგილები იცვლება, მაგრამ სუნი იგივე რჩება. – ცარცის და სხვადასხვანაირი, ძველი ბოტასის სუნი, რომელიც ყელში ჩამდის და გულს მირევს“.

გრეგუარს სკოლა არ უყვარს – სამაგიეროდ, ჩხირკედელაობაზე გიჟდება, მე – ტექნიკურ საგნებს ვერ ვიტანდი, სამაგიეროდ წიგნს არ ვუშვებდი წაუკითხავს. მგონია, რომ ჩვენ, ორივეს გვექონდა და გვაქვს ჩვენი ინტერესის შესაბამისი განათლების მიღების უფლება.

ძალიან, ძალიან ძნელია, როცა სკოლის გახსენებაზე მუცელი გტკივდება... მასწავლებლებო, თქვენ არ გამოგიცდიათ ეს?

მე კი, სწორედამ მასწავლებლობის დროს – პატარა სტუდენტი გოგო ვიყავი და ერთ სკოლაში ვმუშაობდი. ყველა კლასში ყველაფერი კარგად მიდიოდა, პროცესი მეც მომწონდა და მოსწავლეებსაც, ერთმანეთს კარგად ვუგებდით. უფრო სწორად, თითქმის ყველა კლასში, ერთის გარდა. არ ვიცი, რატომ ვარდებოდა იქ გაკვეთილი სულ, რატომ ვიდექი პირველკლასელი ბავშვივით აკანკალებული და შეშინებული, როგორ ვნატრობდი, რომ რაც შეიძლება მალე გასულიყო ეს 45 წუთი. როგორ ვერ ვიტანდი ოთხშაბათ საღამოს, რადგანაც მეორე დღით იმ კლასში გაკვეთილი უნდა მქონოდა და როგორი განსაკუთრებული ბედნიერება იყო ხუთშაბათი საღამო, როცა ვიცოდი, რომ თითქმის ერთი კვირა იმ კლასში აღარ შევიდოდი...

მოკლედ, ახლა ვხვდები, მთავარი პრობლემა ის იყო, რომ ერთმანეთის გაგება არ გვიცდია, მე მათი ხმაურის და სიცელქის მიზეზის, მათ-ჩემი შიშის და ნერვიულობის.

გრეგუარის პირველი მთავარი პრობლემა სწორედ ესაა, მეორე კი – მისი განსაკუთრებული უნარები. იქნებ დისლექსიაც აქვს, ანდა გონებაგაფანტულობის სინდრომიც, სამაგიეროდ, სრულიად განსაკუთრებულ რამეებს იგონებს, ნამდვილი გამომგონებელია, მისნაირი ადამიანები კაცობრიობის წინსვლას განაპირობებენ.

წიგნი ისეთი თანაგრძნობითაა დაწერილი, ისე თანდათანობით გადადის პატარა, ერთი შეხედვით ზარმაცი და თავისებური ბიჭის ისტორია დრამაში, იმდენ ასპექტში იჭერ და ითავისებ საკუთარ შეცდომებს, რომ მგონია, მასწავლებელთა სერტიფიცირების თუ პროფესიული განვითარების გამოცდებზე პედაგოგიკის მამების თუ ფსიქოლოგთა ნაშრომების ნაცვლად, ანა გავალდას

„35 კილო იმედი“ და კიდევ რამდენიმე მხატვრული ნაწარმოების წაკითხვა და გაგება უნდა მოვთხოვოთ ჩვენს პედაგოგებს.

იქნებ მაშინ მაინც მივხვდეთ, რომ წარმატებული შედეგისათვის ბევრის მოთხოვნა კი არ არის საჭირო, არამედ თუნდაც ერთი ადამიანის არსებობა, ვისი სიყვარულითაც ბავშვი ისწავლის – ეს შეიძლება ბაბუა იყოს, რომელიმე წიგნის გმირი ან თქვენ – ნებისმიერი მარი მასწავლებელი.

ნასტასია არაბული

1	ნიჭიერები, მაგრამ ზარმაცები	145
2	რა უნდა იცოდეს მასწავლებელმა	148
3	არასწორი ვალდებულებები გოგონებისთვის	151
4	უკან, სკოლაში	155
5	რისგან უნდა დავიცვათ ბავშვი	157
6	როგორი მომავალი გვინდა	161
7	რას ველი მასწავლებლისგან	165
8	მეგობრობა, როგორც პასუხისმგებლობა	167
9	ბავშვების მოწყენილობის მიზეზები	169
10	კითხვები მასწავლებლებისთვის	172
11	გოგონების ვალდებულებები – გამეორება, შეცდომების გასწორება	175

ნიჭიერები, მაგრამ ზარმაცები

იმ ამბის ახსნას არ დავიწყებ, სკოლაში მოსწავლეების ერთი ნაწილი „ნიჭიერი, მაგრამ ზარმაცი“ რომ არის, მეორე კი „მონდომებული და ბეჯითი“ – ყველამ, ვისაც კი სკოლასთან რაიმე შეხება ჰქონია, მასწავლებლებისა და მშობლების მიერ შექმნილი ეს ბინარული ოპოზიცია, ვფიქრობ, გადასარევად იცის; იმას მოვყვები, როგორია ცხოვრება, როცა შენგან დამოუკიდებლად, სხვების ანალიზისა და გადაწყვეტილების საფუძველზე, რაიმე კლას-კატეგორიის წევრი ხდები და ასევე შენგან დამოუკიდებლად იმ წესებით იწყებ თამაშს, რასაც კონკრეტული წრის წევრობა გულისხმობს, როგორია გრძელი გზა თავს მოხვეული როლიდან რეალურ სურვილებამდე.

ზუსტად არ მახსოვს, როდის, მაგრამ პირველსავე კლასებში ცხადი გახდა, რომ მე, არც ისე აქტიური და მხიარული ბავშვი, რომელსაც სკოლის რუტინასთან შეგუება სულაც არ მეადვილებოდა, არც თანაკლასელებისადმი გამოვიჩინე დიდი კეთილგანწყობით და საერთოდ, ყველაზე მეტ სიამოვნებას სახლში ჯდომა და „არასამეცადინო“ წიგნების კითხვა მანიჭებდა, „ნიჭიერთა, მაგრამ ზარმაცთა“ კატეგორიაში აღმოვჩნდი. მას შემდეგ გამუდმებით მესმოდა, რომ მეტი შემოქმედია, ჩემს რესურსებს სათანადოდ არ ვიყენებ, ზოგიერთ საკითხს ზერელედ ვეკიდები და ა. შ. სამაგიეროდ, ის, რომ „ნიჭიერი“ ვიყავი და თუ რამის გაკეთებას მოვინდომებდი, გამომივიდოდა, უფლებას მაძლევდა, შენიშვნების ფონზე, მაგრამ მაინც გამეგრძელებინა ისე ცხოვრება, როგორც მინდოდა. შიგადაშიგ ვტიროდი, როცა ეს სიტყვიანე მძიმე ტვირთად მექცეოდა და რამე ისეთს მთხოვდნენ, რაც არ შემეძლო ან არ მინდოდა. არავის აუხსნია, რომ პრივილეგიებსაც აქვთ გვერდითი ეფექტები.

როცა პატარა ხარ, სამყაროს, საკუთარ თავს და გარშემო მყოფებს სწავლობ, როცა ყოველ ნაბიჯზე რაღაც ახალს აღმოაჩენ, მაინცდამაინც არ ფიქრობ იმაზე, რა გავლენას ახდენს შენზე სხვების მიერ შექმნილი წარმოდგენები და შემოთავაზებული ქცევის მოდელები, მაგრამ ახლა, ზრდასრული და თავად დედა, ვხვდები, რომ საშინელი შეცდომაა, ერთი მხრივ, ადამიანებისთვის

იარლიყების მიწებება, მეორე მხრივ კი მათი მარტივი ოპოზიციის პრინციპით დაყოფა. იმასაც ვხვდები, რომ სამყაროში გაცილებით მეტი ფერია, ვიდრე შავი და თეთრი და ისიც ცხადი გახდა, რომ სიზარმაცე უმეტესად სიზარმაცეს არ ნიშნავს და ის შეიძლება სხვადასხვა წყაროდან იკვებებოდეს. თავად სიზარმაცე კი ერთმნიშვნელოვნად ცუდი თვისებაა და მის გასამართლებლად არგუმენტების ძებნასაც არასოდეს მოაქვს სიკეთე.

როცა პატარა ხარ, შენს ქცევასა და განვითარებაზე პასუხისმგებლობა შენ გარშემო მყოფ უფროსებს, მშობლებსა და მასწავლებლებს აკისრიათ, რომლებმაც, სასურველია, მეტი სიფრთხილე გამოიჩინონ, ვიდრე ჩვენი (და ალბათ წინა და მომდევნო) თაობის გაზრდისას.

პატარაობისას ვერც იმას ამბობ, რაც ახლა შემიძლია ვთქვა, როცა ჩემი და ჩემ გარშემო მცხოვრები ზარმაცების, ბეჯითების, ნიჭიერების, უნიჭოების, მონდომებულებისა და არამონდომებულების ქცევის ანალიზის საფუძველზე მივხვდი, რომ სიზარმაცეს ხშირად ინტერესის უქონლობა განაპირობებს, ის, რომ ბავშვს ჯერაც ვერ უპოვია რაიმე ხელმოსაჭიდი, რასაც შეიყვარებს, რაშიც ჩაიძირება. თუ ადრეულ ასაკში ასეთი ვერაფერი მივაწოდეთ, სიზარმაცე შესაძლოა უსასრულოდ გაგრძელდეს, უნივერსიტეტსა და სამსახურშიც კი – ჩვენ ხომ პროფესიასაც უმეტესად გაუაზრებლად ვირჩევთ სკოლის დამთავრებისთანავე და მუშაობასაც იქ ვიწყებთ, სადაც ბედი გავგილიმებს.

ახლა, როცა სკოლაც, უნივერსიტეტიც და რამდენიმე მოსაწყენი სამსახურიც წარსულის კუთვნილებაა, როცა დღის განმავლობაში ჩემ მიერ გაკეთებულ საქმეს ვაჯამებ, ვფიქრობ იმ ამართზე, რაც სამუშაოს წარმატებით შესრულებას ახლავს თან და სურვილზე, აკეთო მეტი და უკეთ, იმ ვნებათა ლეღვაზე, ახალი პროექტის დაწყებისას რომ მიპყრობს და პასუხისმგებლობაზე, რომელსაც სასურველი შედეგის მიღწევამდე ვგრძნობ, როცა ვიცი, რომ არა რომელიმე კონკრეტული პირისთვის ან კომპანიისთვის, არამედ საკუთარი თავისთვის უნდა ვიყო ის, ვინც თავის მოვალეობას სრულყოფილად ასრულებს, არ დავკმაყოფილდე არსებული ცოდნით და მუდმივად ვადევნო თვალი სიახლეებს, ვისწავლო რაღაც ყველა ადამიანისგან და ყველა სიტუაციიდან – ვხვდები, როგორი მცდარი იყო ბავშვობაში ჩემთვის თავს მოხვეული კლიშე. არასოდეს ვყოფილვარ არც განსაკუთრებით ზარმაცი და არც განსაკუთრებით ნიჭიერი; უბრალოდ, ზოგიერთი საგანი, მიდგომა და მოწოდების გზა უინტერესოდ და მიუღებლად მიმაჩნდა, რაც მათდამი გულგრილობას იწვევდა ჩემში, ის კი, რითაც დავინტერესდი და შევიყვარე, მზრდიდა და „მატკვინებდა“.

ვხვდები, რომ წლები დამჭირდა, რათა გამოვსულიყავი შემოთავაზებული, მეტ-ნაკლებად კომფორტული როლიდან და საკუთარი თავი, საკუთარი ინტერესები მეპოვა.

ახლა ბაფხულია, დასვენებისა და მოგზაურობის დრო. მეც დასასვენებლად ვარ ერთ პატარა სოფელში, რომლის ორღობეებშიც არხეინად დარბიან გარუჯული გოგო-ბიჭები, ზანტად დააბიჯებენ მათი მამები და ბიძები, გზების პირას ჩარიგებულ სახლებში კი თავდახრილი დედები საქმიანობენ. სახლში, სადაც ჩვენ ვისვენებთ, უამრავი ისეთი წიგნი ვიპოვე, რომლებსაც ბავშვობაში ხარბად ვისრუტავდი. ვდგავარ ხოლმე თაროებთან, ვიხსენებ პირველ ემოციებს და ვფიქრობ, ნეტავი რას კითხულობენ ორღობეებში არხეინად მობენალი გოგო-ბიჭები, რომელია მათგან „ნიჭიერი“ და რომელი – „ბეჯითი“, როგორ ივლიდნენ მათი მამები, ამ ქვეყანაში სიზარმაცე მკვეთრად ნეგატიური შინაარსის მატარებელი რომ იყოს და როგორ იცხოვრებდნენ დედები, მათთვის ბავშვობიდან რომ არ მოეხვიათ თავს ქცევის გარკვეული მოდელი.

ისიც მაინტერესებს, მასწავლებლები თუ გრძნობენ პასუხისმგებლობას ბავშვების კატეგორიებად დახარისხებისას და მართლა სჯერათ თუ არა, რომ სიზარმაცეს რაიმე გამართლება აქვს, ნიჭი კი შრომის გარეშეც ფასეულია.

რა უნდა იცოდეს მასწავლებელმა

ხშირად ვლაპარაკობთ იმაზე, რა უნდა ასწავლოს მასწავლებელმა ბავშვს, რა უთხრას, რაზე დასვას აქცენტი, რა ფასეულობებს აზიაროს, რის პატივისცემა ასწავლოს, რა უნარები განუვითაროს, და თითქმის არასოდეს – იმაზე, რა შეიძლება ასწავლონ ბავშვებმა უფროსებს, მათ შორის – მასწავლებლებს.

ხშირად გვგონია, რომ ზრდასრულებმა ვიცით ყველაფერი, რაც პატარებს სჭირდებათ, ჩვენს ხელთაა მართვის სადავეები და დომინანტებიც ჩვენ ვართ, ჩვენ ვადგენთ თამაშის წესებს. სულ ტყუილად.

უფროსებმა ზოგჯერ იმაზე გაცილებით ნაკლები ვიცით, ვიდრე სასურველია. ისეთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია გვეპარება, ისეთ საკვანძო დეტალებს ვერ ვამჩნევთ, რომ ყველაფერს აზრი ეკარგება.

კაილი შვარცი ამერიკელი მასწავლებელია კოლორადოს შტატიდან, დენვერში ცხოვრობს და ასწავლის სკოლაში, სადაც განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებს საშუალება აქვთ, უფასოდ მიიღონ ლანჩი და ისარგებლონ სხვა სერვისებით. უფრო გასაგებ ენაზე რომ ვთქვათ, ამ სკოლაში არცთუ ისე დაღ-ხენილი ოჯახებიდან დადიან ბავშვები. კაილიმ ერთ დღეს გადაწყვიტა, მოსწავლეებისთვის გულწრფელობის გაკვეთილი ჩაეტარებინა და სთხოვა მათ, დაემთავრებინათ ფრაზა: „მინდა, ჩემმა მასწავლებელმა ჩემ შესახებ იცოდეს...“ მიუხედავად იმისა, რომ ექსპერიმენტი თავისთავად გულისხმობდა მოსწავლეებზე ახალი ინფორმაციის მიღებას, პატარების ღია ბარათებმა აჩვენა, რომ მათ იმაზე გაცილებით სერიოზული საფიქრალი აქვთ, ვიდრე გვგონია; რომ ამ საფიქრალს, როგორც წესი, ჩვენ, უფროსები ვუჩენთ. ჩვენ, ვინც, ჩვენი დაულაგებელი ცხოვრებისა და მოუგვარებელი პრობლემების გადაჭრიდ, იმისთვისაც კი ვერ ვიცლით, რომ ჩვენს შვილებსა და მოსწავლეებს ვესაუბროთ.

„მინდა, ჩემმა მასწავლებელმა იცოდეს, რომ მე არ მაქვს სახლში ფანქარი, რომელიც საჭიროა დავალებების შესასრულებლად“.

„მინდა, ჩემმა მასწავლებელმა იცოდეს, როგორ მენატრება მამა, რომელიც ბოლოს მაშინ ვნახე, როცა 3 წლის ვიყავი. სწორედ ამ დროს დააბრუნეს ის იძულებით ამერიკიდან მეხიკოში“.

„მინდა, ჩემმა მასწავლებელმა იცოდეს, რომ არ მყავს მეგობარი, რომელსაც ვეთამაშებოდი“.

„მინდა, ჩემმა მასწავლებელმა იცოდეს, რომ ძალიან მიყვარს სკოლა“.

„მინდა, ჩემმა მასწავლებელმა იცოდეს, რომ ჩემი უფროსი ძმა ძილის დროს ისე ხვრინავს, დაძინებას ვერაფრით ვახერხებ“.

„მინდა, ჩემმა მასწავლებელმა იცოდეს, რომ ზოგჯერ დავალებები შეუსრულებელი მრჩება, ვინაიდან დედა ხშირად არ არის სახლში და ვერავინ მემარება მათ მომზადებაში“.

„მინდა, ჩემმა მასწავლებელმა იცოდეს, რა სევდიანები არიან ბავშვები და უკეთ ესმოდეს ჩვენი“.

„მინდა, ჩემმა მასწავლებელმა იცოდეს, როგორ ბრაზდებიან „კარგი“ მოსწავლეები, როცა მათ გააკეთილზე „ცუდების“ გვერდით სვამენ“.

„მინდა, ჩემმა მასწავლებელმა იცოდეს, რომ წუხელ დედაჩემი ძალიან ცუდად გახდა და საავადმყოფოში მოგვიწია წაყვანა“.

„მინდა, ჩემმა მასწავლებელმა იცოდეს ვიეტნამური – ის შეძლებდა ჩემთან საუბარს იმ ენაზე, რომელიც მაგიწყდება“.

„მინდა, ჩემმა მასწავლებელმა იცოდეს, როგორ მინდა წიგნების წაკითხვა. მხოლოდ ერთი წიგნი მაქვს და ის უკვე წავიკითხე“.

„მინდა, ჩემი მასწავლებელი იცნობდეს ჩემს მშობლებს“.

მოსწავლეთა წერილების შინაარსმა კაილიზე იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ სოციალურ ქსელ Twitter-ზე დაწერა გაკვეთილზე მიღებული გამოცდილების შესახებ და სხვა მასწავლებლებსაც ურჩია იმავეს გაკეთება. ექსპერიმენტი ინტერნეტს ვირუსივით მოედო. წამყვანმა მედიასაშუალებებმა მას სტატიები მიუძღვნეს. ყველა ერთხმად აღნიშნავს, რომ უფროსები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ პატარებს, საზოგადოებისთვის უცნობია მისივე წევრების პრობლემები, ადამიანთა შორის დიალოგი მცირდება და გაუცხოება იზრდება.

თავად კაილი ამბობს, რომ მისმა ექსპერიმენტმა აჩვენა, რა ზედაპირულად ვიცნობთ ერთმანეთს. დენვერში შეუძლებელია 10 წუთი ისე იარო, ამ სკოლას არ წააწყდეს და თუმცა ეს მოსწავლეები ყველას დღეში რამდენჯერმე გვხვდებიან, გვესაუბრებიან და გვესაუბრებიან, მათი ყოველდღიურობით არავინ ინტერესდება, ყველას ჰგონია, რომ ამერიკაში ბავშვებს დალხენილი ცხოვრება აქვთ.

კაილის ექსპერიმენტის შემდეგ ბევრმა მოისურვა, დახმარებოდა მის მოსწავლეებს და ახლა უკვე მიმდინარეობს აქცია პირობითი სახელწოდებით

„წიგნების მოსავალი“, რომელში მონაწილეობაც ყველას შეუძლია. ყველას შეუძლია, კაილის მოსწავლეებს წიგნები აჩუქოს და რეალობის გაუმჯობესებაში დაეხმაროს.

„წიგნების მოსავალი“ კარგი სახელია, ისევე როგორც დავალების დაწყება ფრაზით: „მინდა, ჩემმა მასწავლებელმა იცოდეს“. ცხადია, ყველაფერს წიგნები და მასწავლებლები ვერ გააკეთებენ, მაგრამ თუ ბავშვებს მიეცემათ საშუალება, მიიღონ კარგი განათლება, ისაუბრონ საკუთარ პრობლემებზე, ეძებონ მათი მოგვარების გზები და უფროსებიც მოუსმენენ მათ, „მოსავალი“ ნამდვილად იქნება მათი უკეთესი მომავალი.

კაილისთვის თვალყურის დევნება შეგიძლიათ შემდეგ ბმულზე:

<https://twitter.com/kylemschwartz>

არასწორი ვალდებულებები გოგონებისთვის

არ არის ლამაზი ასეთი მოკლე კაბებით და ვიწრო შარვლებით სიარული, კი გიხდება, მაგრამ მაინც; გვიანობამდე გარეთ რომ ხარ, რას იფიქრებს ხალხი? ამდენს რომ დადიხარ, ვის აქვს შენი თავი? ძალიან თავდაჯერებული ქალების ეშინიათ კაცებს, სუსტი გოგონები უფრო მოსწონთ; ნუ ტირი ყველაფერზე, არ არის ლამაზი; ნამეტანი არაფერი არ ვარგა, არც სწავლა, მითუმეტეს, გოგო ხარ, ოჯახზეც ხომ უნდა იფიქრო; მაგისტრატურაში ჩააბარე, ხარისხი მაინც მნიშვნელოვანია, რა იცი, რაში გამოგადგეს; ორსულად ხომ არ ხარ? კიდევ ორსულად ხარ? ერთი მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ხომ უნდა გქონდეს, შეიძლება არ გიყვარს, მაგრამ რა იცი, როდის გამოგადგეს; ნუ იტყვი, რომ წინა სამსახურიდან შენ თვითონ წამოხვედი, არასერიოზულის შთაბეჭდილება არ დაუტოვო პოტენციურ დამსაქმებელს; როდემდე შეიძლება იარო ჯინსით და კედებით, ქალს ხომ უნდა ჰგავდე; როგორ დადიხარ მაღალი ქუსლებით; ამ ბოლოს მოიმატე, ხომ? გინდა კარგი დიეტა გასწავლო; ძალიან გახდი, კაცი ძალლი კი არ არის, ძვლები რომ ღრღნას; დაცხა უკვე, თეთრი ფეხებით სიარული უხერხულია, რუჯი საჭიროა; როგორი შავი ხარ, ამდენიც არ შეიძლება, ოჯახის და კარიერის ერთმანეთთან შეთავსება ძნელია. აბა ვის მოწონს ცოლი, რომელიც არასოდეს არ არის სახლში ან თანამშრომელი, რომელიც სულ ბავშვებზე ფიქრობს და ასე დაუსრულებლად...

აღბათ მსოფლიოს ყველა წერტილში ისმენენ გოგონები მსგავს შეგონებებს სხვა გოგონებისგან, დედებისგან, მასწავლებლებისგან, მეზობლებისგან, უბრალო ნაცნობებისგან, ყველა იმ ადამიანისგან, ვისაც სხვის საქმეში ჩარევა არ ეზარება, ვინც ფიქრობს, რომ სხვისი ქცევის მართვა მისი საქმეა. როგორც წესი, ამ შეგონებებს მეტი დამაჯერებლობისთვის ერთი საერთო ლაიტმოტივი გასდევს — ასეთი ნუ იქნები, ასეთები კაცებს არ მოწონთ და მსოფლიოს ყველა წერტილში გოგონები იწყებენ ფიქრს იმაზე, როგორები იყვნენ, რომ კაცებს მოეწონათ. გოგონების უმეტესობა ადვილად ივიწყებს, რომ, პირველ რიგში, თვითონ უნდა იყოს კომფორტულად საკუთარ თავთან და შემდეგ წამოიწყოს

ფლირტი სხვებთან. გოგონების უმეტესობას საკუთარი თავის პატივისცემას ბევრი არავინ ასწავლის. პრინციპში, არც ბიჭებს.



"I AM BUSY TRYING TO BECOME WHO I AM."

უარყოფას აზრი არ აქვს, მეც მომისმენია რჩევები იმის შესახებ, როგორი უნდა ვიყო, რას ვაკეთებ არასწორად, რა შეიძლება არ მოეწონოს პოტენციურ პარტნიორს და ა.შ. მომისმენია ძალიან ახლობლებისგანაც და უბრალო ნაცნობებისგანაც. მეტიც, სანამ ის ბიჭი შემეცნებოდა, რომელიც ახლა ჩემი შვილების მამაა, შეწუხებულს რამდენჯერმე იმაზეც კი მიფიქრია, მართლაც პრობლემური ხომ არ არის ჩემი ესა თუ ის ქცევა, ხომ არ ჯობს, რამე შევცვალო-მეთქი. ახლა ვხვდები როგორი სისულელეა, როგორი შეურაცხყოფაა საკუთარი თავის კორექტირება იმაზე ფიქრით, რომ ვიღაცისთვის სასურველი გახდები და კიდევ უფრო მეტად თანაუგრძნობ გოგონებს, რომლებსაც ასეთი ქცევისკენ მოუწოდებენ. მათი უმეტესობა ხომ ასეთ რჩევებს სულაც არ თვლის მათ საქმეში ჩარევად, შეურაცხყოფად.

ცოტა ხნის წინ ერთი გადასარევი წიგნი წავიკითხე, ჯულიან ბარნსის „დასასრულის განცდა“, რომლის მთავარ გმირსაც ცხოვრების განმავლობაში ორი გოგონა უყვარდება, ერთი სტუდენტობისას, ერთი უფრო მოგვიანებით. ეს ორი გოგონა არაფრით არ ჰგავს ერთმანეთს. ერთი სრულიად არაპროგნოზირებადია, ცოტა თავქარიანი, ტვინს ურევს ამ ტიპს, ვერაფერს ვერ იგებო, ეჩიჩინება, ისიც იჯერებს და მაინც, მიუხედავად სირთულეებისა, უყვარს,

მთელი არსებით. მეორე მოწესრიგებულია, ყველა დეტალი გათვლილი აქვს, ზუსტად არჩევს სათქმელ სიტყვებს, კარგად იცის, რა უნდა და როგორ და ასე შემდეგ. ესეც მთელი არსებით უყვარს, დაშორების მერეც საუკეთესო მეგობრებად რჩებიან, ყველაზე კარგად ესმით ერთმანეთის, მოკლედ, ამ კარგ წიგნსა და გადასარევ ავტორზე ბევრი სხვა რამის თქმაც შეიძლება, მაგრამ ამ შემთხვევაში მხოლოდ იმით შემოვიფარგლები, რომ ამბავი აუცილებელი საკითხავი უნდა იყოს ყველასთვის, ვისაც გონია, რომ კაცებისთვის თავის მოსაწონებლად, რაიმენაირი უნდა იყო.



"HAPPINESS IS ABOUT APPRECIATING WHAT YOU HAVE"

ტონი უებსტერის ნარატივი მხოლოდ გოგონებისთვის არა, ბიჭებისთვისაც საყურადღებოა. მათაც ხომ აიძულებს საზოგადოებრივი წნეხი თავი მაჩოებად წარმოადგინონ, თავდაჯერებული იყვნენ, არაფრის შეეშინდეთ, ცხოვრების განმავლობაში ბევრ გოგონასთან ჰქონდეთ კავშირი და ა.შ. ეს კიდევ დგას და ყვება, როგორი უძღურები ვართ ადამიანები დროის, სიყვარულის, სიკვდილის, ავადმყოფობის, სასოწარკვეთის განცდის, საკუთარი მეხსიერების წინაშე, როგორი მყიფეა გარემო ჩვენ გარშემო და რა ცოტაა ისეთი რამეები, რასაც შეიძლება დაეყრდნო. იმდენად კარგად არის დაწერილი ამბავი, ისეთი გულწრფელია მთავარი გმირი, ისე კარგად ყვება თავისი სისუსტეების და ურთიერთობების სირთულეების შესახებ. კითხვის პარალელურად იწყებ ფიქრს, როგორ გადარჩე, როგორ გიყვარდეს, როგორი მეგობარი იყო, რო-

გორი ხალხი გჭირდება გარშემო და ხვდები, რომ საკუთარი თავის კორექტირებაზე ფიქრი სისულელეა, იმდენ რამეზე ხარჯავ ადამიანი დროს და რესურსებს, რომ სწორედ შენ უნდა იყო ის, ვისაც ენდობი, ვისაც ესაუბრები, ვისიც გჯერა, რომ გადარჩე.

ამიტომ ალბათ მათ, ვინც საკუთარ თავთან ჰარმონიულად ცხოვრების ფასი დავინახეთ, ბევრი უნდა ვილაპარაკოთ არასწორ ვალდებულებებზე, რასაც გოგონებს (და პრინციპში, ბიჭებსაც) ვაკისრებთ ხოლმე, რომ მეტმა ადამიანმა შეძლოს თავისუფლად ცხოვრება, ლაღი ურთიერთობები, მყარად დგომა, დროსთან და საზოგადოებრივ წნეხთან გამკლავება.

უკან, სკოლაში

ადრეც ასე იყო ეს ამბავი, ეჭვი მაქვს, დიდი არაფერი შეიცვლებოდა. აგვისტოს ბოლოს უკვე სკოლაში დაბრუნების დრო დგება და იწყება თავგადასავლების მოფიქრება, რასაც მეგობრებს და მასწავლებლებს მოუყვები, ტანსაცმლის შერჩევა, რომელიც გაზრდილს და გარუჯულს ყველაზე მეტად მოგიხდება, წიგნების მოგროვება და ა. შ. ზოგი ადრე გაღვიძებას არის გადაჩვეული, ზოგს გადაბმით 45 წუთი ჯდომა გაურთულდება, სხვა შეყვარებულით დაბრუნდება და ასე. სექტემბერი ახალ წესრიგზე გადაწყობის დროა, თანაც არა მხოლოდ პატარებისთვის, ჩვენთვისაც, დიდებისთვის, რომლებსაც ორმაგი პასუხისმგებლობა გვაკისრია, ვინაიდან დიდწილად სწორედ ჩვენზეა დამოკიდებული, როგორი იქნება ახალი წესრიგი.

ადრე ასე არ იყო, მაგრამ ახლა აგვისტოს შუა რიცხვებიდან ინტერნეტი საცხეა სტატიებით იმის შესახებ, როგორ უნდა მოხდეს ახალ წესრიგზე გადაწყობა ნაკლებად მტკივნეულად და აქცენტი კეთდება იმაზე, რა ასაკის ბავშვმა უნდა გაიმზადოს თავად საკვები შესვენებებზე საჭმელად, რა მობილური აპლიკაციები უნდა გადმოწერონ მშობლებმა იმისთვის, რომ უკეთ გაანაწილონ დრო ბავშვების საჭიროებების მიხედვით, რა კლასგარეშე აქტივობებია რეკომენდებული სხვადასხვა ტიპის ბავშვებისთვის, უნდა იყვნენ თუ არა ბავშვები ახალი სასწავლო წლისთვის სკოლის მოსამზადებელ (მათ შორის სარემონტო, დასუფთავების და კეთილმოწყობის) სამუშაოებში ჩართულები, როგორ შეიძლება უკვე გამოყენებული საკანცელარიო მასალების მეორეული გამოყენება, რა არის ის უსარგებლო ნივთები, რომლებსაც სასკოლო ბაზრობებზე აუცილებლად შეხვდებით, მაგრამ გამოყენებით იშვიათად თუ გამოგადგებათ, უნდა უყიდონ თუ არა მშობლებმა ბავშვებს სკოლის პირველი დღისთვის კაშკაშა ნივთები და სათამაშოები და ა. შ.

ამ სტატიების ნახვა ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ისევე შეუძლია, როგორც მე. ინტერნეტი ხომ ყველასთვის ღიაა, ამიტომ მათ ციტირებებს არ მოვყვები. პირად მოგონებებზე დაყრდნობით რამდენიმე მცირე რეკომენდაციას ჩამოვწერ, რომელიც შესაძლოა მასწავლებლებსაც და მშობლებსაც გამოგადგეთ:

პირველ კლასში 5 წლის მივედი. 6-ის ნოემბრის ბოლოს გავხვდი. იმდროინდელი მძიმე სოციალური მდგომარეობისა და ჩემი სკოლაში მიყვანის გადაწყვეტილების ნაუცხადეობის გამო ჩანთით მეზობელმა უბრუნველმყოფ, კაბა არ მახსოვს, როგორც ჩანს, არც მაშინ ვანიჭებდი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ტანსაცმელს. ახლაც მგონია, რომ განსაკუთრებული ნივთები ბრდასრულებისთვის უფროა, ვიდრე ბავშვებისთვის. სოციალური სტატუსის გამყარებას უფრო ემსახურება, ვიდრე ბავშვის საჭიროებას.

სკოლის პერიოდში არდადეგებს მუდმივად ბებია-ბაბუების სოფლებში ვატარებდი და თუ ვინმე კლასელთაგანი, მაგალითად, ზღვაზე დასვენების თავგადასავლებს ჰყვებოდა, ცნობისმოყვარეობის და სულ ცოტა გულდაწყვეტის განცდა მეუფლებოდა, რომ მე ისევ ნაცნობ სოფლებში ვიყავი. ნუ დაელოდებით ბავშვებისგან თავგადასავლების გრძელ სიას ზაფხულის არდადეგების შემდეგ. შესაძლოა მსგავსი არაფერი გადახდენიათ, ან გადახდათ და მათ საკმარისი მნიშვნელობა არ მიანიჭეს. თუ ვინმე იტყვის, რომ მოწყენილი ზაფხული ჰქონდა, ლინდგრენის პერსონაჟების ზაფხულები გაახსენეთ, როგორ მშვენივრად ერთობოდნენ მაგალითად, სალტკროკელები იმ რუტინულ ზაფხულს, როცა განსაკუთრებული არაფერიც არ მომხდარა.

ჰკითხეთ ახალი ნაცნობების, მეგობრების ამბები. ახალი ურთიერთობები ხომ გაზრდის საუკეთესო საშუალებებია.

თითქმის 20 წლამდე მეგონა, რომ „კარგი ტიპები“ არ საუზმობდნენ, მეტიც, საერთოდ არ ჭამდნენ და ეს გულგრილი დამოკიდებულება საკვების მიმართ, რაღაცნაირად მომხიბვლელია. მართო არ ვარ, ასეთი ბევრია. ამიტომ უნდა ვეცადოთ, ბავშვებს ავუხსნათ მსუყე საუზმისა და სავალდებულო სამხრის, ჯანსაღი და კომბინირებული კვების მნიშვნელობა და იმაშიც დავარწმუნოთ, სახლიდან ხილის ან სხვა ჯანსაღი სასუსნავის წაღება რომ კარგია.

სკოლის წლებში, ყველაზე ერთგული მეგობარი ფოტოაპარატი იყო. თუ რაიმეს ჩუქებას გადაწყვეტთ პატარებისთვის, ისეთი ნივთები აჩუქეთ, რაც მათ უნარებს განავითარებს, ახალ ინტერესებს გაუჩენს.

ჰკითხეთ, რაზე ოცნებობენ, რას სურთ მიაღწიონ წლის ბოლომდე, ჩაინიშნეთ მათი სურვილები და გაახსენეთ ერთი, ორი, რამდენიმე წლის შემდეგ. კარგი და მხიარული გასართობია წარსულში დარჩენილ საკუთარ სურვილებს გახედო, მიხვდე, როგორ გაზრდილხარ, რამდენი რამ შეცვლილა. საკუთარი თავის შეცნობის ერთგვარი სავარჯიშოა.

დაბოლოს, იმისათვის, რომ მივიღოთ, უნდა გავცეთ. აუცილებლად დაფიქრდით იმაზე, რას გააკეთებთ წელს ისეთს, რაც აქამდე არ გაგიკეთებიათ, რას შესთავაზებთ თქვენს მოსწავლეებს, რას წაიკითხავთ, რის მიღწევას დაისახავთ მიზნად.

რისგან უნდა დავიცვათ ბავშვი

რამდენიმე დღის წინ ერთ-ერთმა ჟურნალისტმა დამირეკა და გადაცემისთვის ჩაწერა მთხოვა. საუბრის თემა იყო – მულტფილმები, ანიმაციები, მათში ჩადებული შეფარული გზავნილები და მშობლების როლი, ანუ როგორ უნდა დავიცვათ შვილები სხვადასხვა იდეოლოგიისგან, ძალადობისა და აგრესიისგან. მგონია, რომ თანამედროვე ადამიანები ხშირად ვცდილობთ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი თემებიდან მეორეხარისხოვან თემებზე ყურადღების გადატანას, ზოგჯერ პრობლემებსაც ვიგონებთ და მათი გადაჭრის გზებზე მსჯელობაშიც, ცხადია, ტყუილად ვხარჯავთ დროს. ზოგჯერ მგონია, რომ რიგ საკითხებზე იმდენად სწორხაზოვანი დამოკიდებულებები ჩამოყალიბდა, იმდენად კარგად დავიზეპირეთ გასაპროტესტებელი ამბების სია, მოსაწყენიც კია ასე ცხოვრება.

ახლაც, ვილაპარაკე იმაზე, როგორი სიფრთხილე მართებს მშობელს პლანშეტითა და ინტერნეტით შეირაღებულ ბავშვთან, რომელმაც შესაძლოა რაიმე საშიშს ან მისი ფსიქიკისთვის საზიანოს უყუროს, როცა თვალყურს არ ადევნებ, როგორ დევს ცალკეულ ნარატივში ისეთი გზავნილები, რომელიც სადავოა; როგორ არ ჯდება გენდერული თანასწორობის კონცეფციაში კონკია და ფიფქია, რომლებიც მხოლოდ იმისთვის ცხოვრობენ, რომ ბოლოს პრინცმა შენიშნოს და ეს პრინციც როგორი ბურჟუაზიული მოვლენაა; რატომ არ შეიძლება ჩვეულებრივი ბიჭი შეგიყვარდეს ლამაზ და ჭკვიან გოგოს და მასთან იცხოვრო დიდხანს და ბედნიერად. ან საერთოდ, რა აუცილებელია, რომ ძალიან ლამაზი იყო, ჩვეულებრივ გოგონებსაც ხომ ისევე აქვთ ბედნიერების უფლება, როგორც ყველა დანარჩენს.

ისიც ვთქვი, რომ სიფრთხილე კარგია, მაგრამ სტერილურობა არ შეიძლება. ბავშვები ადრე თუ გვიან იზრდებიან, ჩვენი მეთვალყურეობის არეს ტოვებენ და ხვდებიან, რომ სამყაროში აგრესიისა და სიძულვილისთვისაც მოიპოვება ადგილი, ზოგჯერ ბოროტებიც იმარჯვებენ, უსამართლო ადამიანებიც მრავლად მოიპოვებიან. ბავშვები იზრდებიან და თვითონ იცნობენ პრეტენზიული პრინციპების, მათზე დაქორწინების მსურველი გოგონების, დიქტატორი ხელმ-

წიფეების, ავი დედინაცვლების და უპრინციპო მლიქვნელი მოსამსახურეების პროტოტიპებს. ბავშვები იზრდებიან და ჯობია მათ უფრო მეტი იცოდნენ, ვიდრე ცოტა, ჯობია მათ უსამართლობასთან ბრძოლაზე უკვე ჰქონდეთ ნაფიქრი, ვიდრე უცებ აღმოჩნდნენ რთულ პრობლემებთან პირისპირ. ბავშვები იზრდებიან და ჩვენ, უფროსები, ვართ პასუხისმგებლები მათზე, რომლებსაც არ დააინტერესებთ, რამდენი დრო დაგვარგეთ შიშებსა და გაურკვევლობასთან ბრძოლაში. მათ ძლიერი მხარდამჭერები სჭირდებათ. ცხოვრება რთულია და ისინი მომზადებული, ძლიერები უნდა იყვნენ.

მეტიც, სანამ დიდები გაიზრდებიან, მათი ცხოვრება მანამდეც არ შეიძლება მხოლოდ ფერადი ეკრანით შემოვსაზღვროთ. ისინი ქუჩაში, ბაღებსა და სკვერებში ყოველდღე დადიან და ხედავენ მშვიერ თანატოლებს, აგრესიულ უფროსებს, სასოწარკვეთილ მოხუცებს, უწესოდ გაჩერებულ მანქანებს, დანაგვიანებულ გარემოს, განადგურებულ საჯარო სივრცეებს, უცნაურო ურთიერთობებს, ნაწამებ ცხოველებს და ა. შ. შეუძლებელია, ბავშვს ეს აარიდო. შეუძლებელია, სტერილური გარემო შეუქმნა.



უფრო ძველი ამბავი

ერთ-ერთ რეგიონში, ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის ინიციატივით სკოლის მოსწავლეებს პოლიტიკური შინაარსის ძალადობის შემცველი კადრები აჩვენეს. ბავშვები ამბობდნენ, რომ ისინი სკოლიდან წაიყვანეს, თუმცა არ იცოდნენ, რას ნახავდნენ. ამბავი, ცხადია, გახმაურდა, ავყყანდით ჟურნალისტები, იურისტები, ფსიქოლოგები, უფლებადამცველები, მშობლები – ეს როგორ შეიძლება, ბავშვებს პოლიტიკაში რატომ სვრიან, როგორ შეიძლება ყველაფერი იკადრო ადამიანმა. დავსვით სკოლის, მასწავლებლის, რესურსცენტრის ხელმძღვანელის, სამინისტროს პასუხისმგებლობის საკითხი, ვესაუბრეთ ერთმანეთს, ფსიქოლოგებს, იურისტებს, მასწავლებლებს და როცა საკმარისი ბოლი გამოვუშვიტ, დავმშვიდდით, სხვა თემაზე გადავერთეთ.

მერე ნიუსი შემხვდა. იმ რესურსცენტრის ხელმძღვანელი დაუსჯიათ, შეხვედრის ორგანიზატორი და იდეის ავტორი ერთ-ერთი რეგიონის გუბერნატორად დაუნიშნავთ. ხვდებით ხომ რაზეა საუბარი?

ბავშვებს შეიძლება არ ვაჩვენოთ ძალადობის შემცველი კადრები, არ ვაყურებინოთ რიგი მულტფილში, არ შევიგინოთ და ვილანდლოთ მათი თანდასწრებით, მაგრამ ამას ვერ ავარიდებთ. ვერანაირად ვერ დავუმაღავთ იმას, რომ ადამიანები კარიერას ზოგჯერ ასეთი ბინძური მეთოდებით იკეთებენ, სამართლიანობისთვის ბრძოლის გზაზე შეიძლება ვინმე წვრილმანი ჩინოვნიკი დატუქსონ საჩვენებლად, მსხვილმან დამნაშავეებს ხელი დააფარონ, არაფერიც არ უთხრან. სამწუხაროდ, ჩვენი ბავშვები ამას პატარაობიდანვე ხედავენ და ერთ დღესაც შეიძლება გითხრან, რაში მადარდებს შენი პატიოსნება და სამართლიანობა, როცა ასეთი ადამიანები უფრო კარგად ცხოვრობენო და ეს დღე მძიმე იქნება, პასუხს შეიძლება არც მოუსმინონ.

სულ ახალი ამბავი

ქობულეთის ერთ-ერთ სასტუმროში ხანძარმა სამი ბავშვის სიცოცხლე იმსხვერპლა. მედია დღეების განმავლობაში იკვებებოდა სასოწარკვეთილი მშობლების ტირილით, სასწრაფოს მანქანებზე ხელების ბრახუნითა და ცრემლიანი ინტერვიუებით, არც ტრაგედიას გადარჩენილი არასრულწლოვანების ჩაწერა დაიბარა ჯერ კიდევ კვამლიანი შენობის ფონზე. ხელისუფლების წარ-

მომადგენლები სამძიმარზე მივიდნენ, ოჯახებს საკომპენსაციო თანხა გამოუწერეს, ზოგი ტრაგედიის მიზეზებით დაინტერესდა, სასტუმროს მეპატრონე დაქცეულ ბიზნესზე ჩიოდა, მოკლედ, ყველა თავისას ცდილობდა.

ისინი, ვისთვისაც ადამიანის სიცოცხლე და ბავშვის უსაფრთხოება მნიშვნელოვანია, კითხვებს მედიის არაეთიკურობაზე, შენობების დაუცველობასა და მასწავლებლების პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით სვამენ, მაგრამ ეს მხოლოდ მომავალზე თუ იმოქმედებს დადებითად. არც დაღუპულ ბავშვებს, არც ტრაგედიისას იქ მყოფ სხვა მოსწავლეებს და არც მათ, ვინც ეკრანებიდან მგლოვიარე მშობლები ნახა, ვერაფრით დაეხმარება.

ამას ვამბობდი დასაწყისში, პირველხარისხოვანი ამბებიდან მეორეზე გადაგვაქვს ყურადღება-მეთქი: სანამ ქვეყანაში ბავშვების დიდი ნაწილი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს, სანამ განათლებისა და ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა ადვილად შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენო, სანამ ჩვენი შვილები ძალადობისგან დაცულები არ არიან და არც მათი უსაფრთხოებაა გარანტირებული სხვადასხვა შენობებსა და სივრცეებში, ყველაფერს აზრი ეკარგება, მათ შორის ანიმაციებში ფარული მესიჯების ძებნასა და იმაზე საუბარსაც, როგორ დავიცვათ პატარები იდეოლოგიური გზავნილებისგან.

როგორი მომავალი გვინდა


დღეს პირველი ივნისია, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე. ცნობილი და ნაკლებად ცნობილი ადამიანები ტრაფარეტულ ფრაზებს გვეტყვიან ბავშვთა დაცვის აუცილებლობასა და მექანიზმებზე, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პატარების ფონზე კანფეტებიანი კალათებით და ფერადი ბუშტებით იკეკლუცებენ, რეალურ ქმედებებს კი სამომავლო საქმედ დატოვებენ, ერთ კარგ კამპანიაზე უნდა მოგიყვეთ, რომელიც ამავე დღისადრე მიძღვნილი და უკვე თვეზე მეტია მიმდინარეობს.

კამპანიას ბანალური სახელი – „ჩვენი მომავალი“ – ჰქვია და ნებისმიერ ბავშვს მთელი დედამიწიდან საშუალებას აძლევს დაფიქრდნენ იმაზე, როგორი მომავალი უნდათ, იოცნებონ თამამად და იფიქრონ, როგორ აქციონ ოცნება რეალობად. როგორც ბავშვების ერთ-ერთი ყველაზე დიდი მეგობარი, უოლტ დისნეი ამბობდა, თუ ოცნება შეგიძლია, მაშინ მის ასრულებასაც შეძლებ. კვლევების თანახმად, ბავშვის ერთ-ერთი ყველაზე მეტად მახასიათებელი თვისება სწორედ ცნობისმოყვარეობა და თამამი ფანტაზიის უნარია. სკოლამდელი ასაკის ბავშვები დღეში დაახლოებით 100-მდე ისეთ კითხვას სვამენ, რომელიც უფროსების პრაგმატულ ამროვნებასთან ხშირად წინააღმდეგობაში მოდის.

რატომ არ შეუძლიათ მანქანებს ფრენა? რატომ არის წყალი სველი და ცა ლურჯი? ასეთი კითხვები სკოლაში მისვლასთან ერთად ნელ-ნელა კლებულობს. ფსიქოლოგები ამბობენ, რომ მიზეზი საზოგადოებრივი წნეხი და ის უხერხულობაა, რაც საჯარო სივრცეში საკუთარი ფიქრების ხმამაღლა თქმას ახლავს. ბავშვები ფრთხილები არიან. მათ ურჩევნიათ არაფერი თქვან, ვიდრე რაიმე ისეთი, რაზეც მათი თანატოლები ან უფროსები გაიცინებენ, რასაც ვერ გაიგებენ; კითხვების შემცირება საკუთარი ფანტაზიის, ცნობისმოყვარეობის დათრგუნვას იწვევს. კამპანია „ჩვენი მომავლის“ მიზანი უფროსების ჩართვაა ბავშვების სტიმულირებასა და საკუთარი სურვილების შესახებ ალპარაკებაში. მასწავლებლები 50-ზე მეტი ქვეყნიდან რეგისტრირდებიან სის-

ტემაში და თავიანთი მოსწავლეების იდეებს ათავსებენ. მანამდე კი კლასში ცდილობენ მაქსიმალურად ღია სივრცე შექმნან ოცნებების გასახსნელად.

- „მინდა მომავალი, სადაც სახლში კომპიუტერი მექნება“;
- „მინდა მომავალი, სადაც შემეძლება გავხდე მეცნიერი“;
- „მინდა მომავალი, სადაც მე და ჩემი მეგობრები შევძლებთ სამუშაოს პოვნას“;
- „მინდა მომავალი, სადაც საკვები საკმარისი იქნება“;
- „მინდა მომავალი, სადაც შემეძლება ბუნებასთან სიახლოვე“;
- „მინდა მომავალი, სადაც თანაბარი უფლებები გარანტირებული იქნება“;
- „მინდა მომავალი, სადაც ახალი ადგილების აღმოჩენას შევძლებ“;
- „მინდა მომავალი, სადაც კარგი დედა ვიქნები“;
- „მინდა მომავალი, სადაც ინჟინერი გამოვალ“.



ეს მხოლოდ ნაწილია იმ სურვილებისა, რაც მომავალში უნდა ასრულდეს. გენიშნათ, რომ თანამედროვე მოსწავლეები საკმაოდ რეალისტურ რამეებზე ოცნებობენ? სამწუხაროდ, თანამედროვე სამყარო ბავშვებს ადრეულ ასაკშივე სრულ წარმოდგენას უქმნის ადამიანების სისასტიკესა და იმ პრობლემებზე, რასთანაც მათ მომავალში მოუწევთ შეჯახება. სიღარიბე, ომი, სერვისების დეფიციტურობა, დაუცველი უფლებები, გახსნილი საინფორმაციო ველის პირობებში, ადვილად აღწევს ბავშვებამდე. შორს რომ არ წავიდეთ, სირიელ, პალესტინელ, ერაყელ და აფრიკელ ბავშვებსა და მათ პრობლემებზე რომ არ გადავიტანოთ აქცენტი, საკუთარ მაგალითზე განვიხილოთ ბავშვების წინაშე არსებული გამოწვევები.

რამდენიმე დღის წინ ახალგაზრდა კაცმა სამი მცირეწლოვანი ბავშვი (მათ შორის ერთი საკუთარი შვილი) ისე სცემა, მათი ჰოსპიტალიზაცია გახდა საჭირო. ეს არ არის ერთეული შემთხვევა და კონკრეტული პიროვნების, ოჯახის პრობლემა. იუნისეფის მხარდაჭერით ჩატარებულმა კვლევამ 2007 წელს ბავშვზე ძალადობის ძალიან მაღალი დონე გამოავლინა. ამ კვლევის მონაცემებით მშობლებმა ბავშვთა 79,8% დასაჯეს ფიზიკურად და 82,3% – ფსიქოლოგიურად. რესპონდენტთა მეხუთედზე მეტმა (21,5%) განაცხადა, რომ არაერთხელ ჰყავს ნაცემი ბავშვი. რვა რესპონდენტმა აღიარა, რომ სცადეს ბავშვის დახრჩობა ან მოგუდვა, ხოლო ექვსმა – ბავშვის დაწვა.

იუნისეფმა კვლევა 2013 წელსაც ჩაატარა. ორი წლის წინაც საზოგადოების 30% აღნიშნავდა, რომ ბავშვობაში მათი მშობლები რეგულარულად იყენებდნენ მათ მიმართ ფიზიკურ ძალას. მათი 45%-სთვის ბავშვთა მიმართ ფიზიკური ძალადობის გამოყენება დასაშვებია და თვლიან, რომ ფიზიკური დასჯის გარეშე ბავშვი „გაფუჭდება“.

საყურადღებოა ისიც, რომ აქ უმეტესობას ბავშვის მიმართ განხორციელებული ძალადობა ოჯახის შიდა საქმე ჰგონია და ჩარევის წინააღმდეგია. იმ შემთხვევებში კი, როცა მოქალაქე ჩარევას გადაწყვეტს, მან ხშირად არც კი იცის, ვის ან როგორ მიმართოს. ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალების დიდმა უმრავლესობამ (60%), რომელთაც კანონით ევალებათ ძალადობის შემთხვევების გამოვლენა და მასზე რეაგირება, არ იცის ამ პასუხისმგებლობის შესახებ და ღრმად დარწმუნებულია, რომ ოჯახის საქმე ფაქიზი საკითხია და უმჯობესია ამაში არ ჩაერიოს.

იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ქართველი მასწავლებელი პროექტ „ჩვენს მომავალში“ ჩართვას გადაწყვეტთ, ალბათ თქვენი მოსწავლეებისგან ვერ მოისმენთ ისეთ ოცნებებს როგორიცაა მინდა მშობლები არ მცემდნენ, მინდა სახლში პური სულ იყოს, მეგობარი არ დამცინოდეს დედის გამო, რომელიც მამასთან აღარ ცხოვრობს და მეტი წიგნის ფული გვქონდეს. ჩვენთან ასეთ თემებზე ლაპარაკი კიდევ უფრო მეტად ჭირს, ვიდრე შედარებით ღია საზოგადოებებში, მაგრამ მაინც შეეცადეთ, მაქსიმალურად ახლოს მიხვიდეთ მათ სურვილებთან, მათ პრობლემებთან, აუხსნათ, რომ პრობლემების მოგვარება მათი იდენტიფიცირებიდან იწყება, იყავით ფრთხილები და რაც შეიძლება ყურადღებიანი, შესაძლოა, თქვენ იყოთ ერთადერთი, ვისაც პატარას სიცოცხლის, მომავლის გადარჩენა შეუძლია. ნუ ჩათვლით, რომ ძალადობა ოჯახის საქმეა, რომ მისგან დისტანცირება შესაძლებელია. ბოლოს და ბოლოს, ეს

ბავშვები, ჩვენი შვილები, მოსწავლეები თუ მეზობლები ჩვენი მომავალია და ისინი ისეთები იქნებიან, როგორც გავზრდით, ისე განვითარდებიან, როგორც ამის საშუალებას მივცემთ. მათთან ურთიერთობისას ყველაზე ხშირად უნდა დავუსვათ ჩვენს თავს კითხვა იმის შესახებ, როგორი მომავალი გვინდა.

P.S. ნებისმიერ მსურველს, რომელიც ფიქრობს, რომ ბავშვების მომავალი მათსავე ხელშია, ვისაც არ ეზარება პატარების შეუმჩნეველი ნიჭისა და უნარის აღმოჩენა, ვინც მზად არის გააღიზიანოს მოსწავლეების წარმოსახვა, რეგისტრაცია ვებგვერდზე <http://www.ourfuture.world/> მარტივად შეუძლია. შესაძლებელია ტექსტების თვითერზე დაწერაც შემდეგი ჰეშთეგით: #Tweetadream;

რას ველი მასწავლებლისგან

ერთხელაც მკითხეს, რატომ წერ მასწავლებლის გაზეთისთვის, რა არის შენი მთავარი სათქმელიო და პირველი, რაც გამახსენდა, სკოლაში გატარებული წლები იყო. წლები, როცა ძალიან ბევრი კითხვა მიტრიალებდა თავში, ბევრ საკითხზე მინდოდა პასუხის მიღება და ამ კითხვების ხმამაღლა გაუღერების მეშინოდა თუ მერიდებოდა, ზუსტად არ მახსოვს, ფაქტია, რომ მათი უმეტესობა არასოდეს დამისვამს. სკოლაში კარგ მოსწავლედ ვითვლებოდი, შესაბამისად, კარგი მოსწავლეებისთვის განკუთვნილი პრივილეგიებითაც ვსარგებლობდი, მაგრამ მაინც არსებობდა უხილავი ძალა, რომელიც მკარნახობდა, რომ ხმამაღლა რაიმეს კითხვას შესაძლოა თანატოლების სიცილი ან მასწავლებლების გაოგნებული გამომეტყველება გამოიწვიოს და მეც, პატარას და საკუთარ თავში ნაკლებად დარწმუნებულს, მეშინოდა, რამე ისეთი არ გამეკეთებინა, რაც უხერხულ მდგომარეობაში ჩამაყენებდა მე ან სხვებს.

მერეც, სტუდენტობისას, ძალიან დიდხანს ვფიქრობდი ხოლმე, როცა ლექციისას რაიმეს კითხვა მინდოდა. დიდ აუდიტორიებში, სადაც რამდენიმე ჯგუფს ერთად გვიტარებოდა ლექციები, შესაბამისად, მეტი ხალხი იყრიდა თავს, თითქმის არასოდეს მიკითხავს რამე. აქ სხვა ამბავიც დაემატა ჩემს ბორკილებს: ის კურსელები, რომლებიც ბევრი კითხვებით ცდილობდნენ ლექტორებისთვის თავის დამახსოვრებას. მათი უმეტესობა იმდენად უადგილოდ ან სულელურად მეჩვენებოდა, ისევ ჩუმად ყოფნა მერჩინა, მათ ადგილას აღმოჩენას. ლექციების შემდეგ ბიბლიოთეკაში ვიჯექი და იქ ვცდილობდი, თავად გამეკვლია გზა. ეს თვისება, პრინციპში, დღემდე მომყვება, სანამ შესაძლებელია მართო სიარული, მირჩენია, თვითონ ვიყო ყველაფერზე პასუხისმგებელი. ცუდი არ არის, მაგრამ ზოგჯერ ძალიან რთულია, ბევრად მეტ ძალისხმევას მოითხოვს.

მერე ეს ამბავი ერთ ჩემს მეგობარს მოვუყევი, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო თანამედროვე ქართველი მომღერალია და აღმოჩნდა, რომ მასაც ზუსტად იგივე ვნებები ჰქონდა სწავლის პერიოდში, როცა ვერც ერთი ვერ

წარმოვიდგენდით, რომ სცენიდან, ეკრანიდან, გაზეთიდან ან ჟურნალიდან დავიწყებდით საუბარს, ხმამაღლა საუბარს და, მით უმეტეს, ისეთ თემებზე, რასაც მართლაც მოჰყვება ხოლმე თანატოლების სიცილი ან უფროსების გაოგნებული გამომეტყველება, რაზეც იშვიათად ლაპარაკობენ, რასაც ტაბუ ადევს, რაზეც თვალის დახუჭვა უფრო კომფორტულია.

ახლა, როცა უკვე დიდი გოგო მევია, როცა ჩემი აზრის ხმამაღლა თქმა ვისწავლე და აღარც კითხვის დასმის მეშინია, ვფიქრობ ხოლმე, რომ ჩვენი პრობლემების დიდი ნაწილი შეიძლება სწორედ ეს იყოს, მორიდება და უხერხულობა იმის თქმისას, რაც იმ დროს ყველაზე მეტად გვაღელვებს, გვანთერესებს და გვაწუხებს. მართო, ჩვენ თავთან დარჩენილებმა შეიძლება ძალიან კარგად ვიცოდეთ ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვების, პრობლემებისა და ამბების შესახებ, მაგრამ თუ მათ ხმამაღლა არ ვიტყვით, მათზე მსჯელობას არ დავიწყებთ, ჩვენ გარშემო ყველას არ გავაგებინებთ, დიდს ვერაფერს შევცვლით.

ახლა კითხვის დასმა უკვე ჩემი პროფესიის, ყოველდღიურობის ნაწილია, ვალდებული ვარ ყველა იმ თემაზე, რასაც მნიშვნელოვნად მივიჩნევ, კომპეტენტური ადამიანები მოვძებნო და მათ დავუსვა კითხვები, რომელიც შეიძლება ვილაგას სასაცილო მოეჩვენოს ან ვილაგისთვის უხერხულად მოსასმენი იყოს, მაგრამ პროგრესისთვის, ღია საზოგადოებისთვის მსჯელობა მნიშვნელოვანია. უხერხულობის განცდას მხოლოდ ასე თუ მოვიშორებთ ჩვენთვის მნიშვნელოვანი პრობლემების გადაჭრის გზაზე.

ახლა, როცა ყველაზე ხანგრძლივი შიში უკან მოტოვებული ამბავია, იმიტომ დავიწყე მასწავლებლებისთვის წერა, რომ მინდა, სანამ ჩემი შვილები სკოლაში მივლენ, ისეთი გარემო შეიქმნას სკოლებში, სადაც ბავშვებს მეტი სივრცე ექნებათ თავისუფალი მსჯელობისთვის, დისკუსიისთვის, აზროვნებისთვის, თვითგამოხატვისთვის. აქ წერა ფსიქოთერაპიასავით არის, თითქმის ყოველ ჯერზე, როცა ახალ ფაილს ვხსნი, თვალსებს ვხუჭავ და ვფიქრობ, რა იყო ყველაზე მძიმე, ყველაზე რთული, რაც სკოლის დროს თავს გადამხდენია, რას შევცვლიდი, შესაძლებელი რომ იყოს და ვიწყებ წერას ბავშვებსა და უფროსებზე, რომლებსაც ხშირად ერთმანეთის სულაც არ ესმით. აქ წერა იმ ამბების მოყოლაა, რომლის თქმაც პატარაობისას მინდოდა უფროსებისთვის და რომლებსაც ახლა ვცვები იმ პატარების მაგივრად, რომლებსაც ჯერაც ვერ გადაუწყვეტიათ ხმამაღლა ლაპარაკი. მინდა, რომ მასწავლებლებს ასეთი ბავშვების, მათი თავსატეხების მოსმენა შეეძლოს.

მეგობრობა, როგორც პასუხისმგებლობა

მგონი ადრეც მითქვამს, სკოლა დიდად არ მიყვარდა. არც ბევრი ნათელი მოგონება მახსენდება მის კედლებში გატარებული წლებიდან. ერთი კარგი მეგობარი, რამდენიმე მასწავლებელი, რომლებმაც ჩემზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს და შემთხვევები, რომლებიც პერიოდულად მახსენებს ხოლმე თავს. სულ ეგ არის.

თავიდან, სტუდენტობის პირველ წლებში ცოტა გულიც კი მწყდებოდა იმაზე, სკოლის ნოსტალგია რომ არ მქონდა, ამბებს არ ვიხსენებდი, კლასელების ნახვის სურვილი არ მიჩნდებოდა და საერთოდ, იმ სენტიმენტებისგან შორს ვიყავი, რაც ჩემ გარშემო ჰქონდათ. ახალ სივრცეში როცა გაგშინაურდი, მიგზავდი, რომ ყველაფერი ისეა, როგორც უნდა იყოს, ყველას ერთნაირი დამოკიდებულებები ვერ ექნება, ჩვენი განსხვავებული შეგრძნებები და მოგონებები, არც ცუდია, არც კარგი, ისაა, რაც გვაქვს.

ახლა რომ ვფიქრობ, სულაც არ არის ცოტა ის, რაც სკოლიდან გამომყვა. კი, ვითომ ადვილი სათქმელია ერთი კარგი მეგობარი, რამდენიმე მასწავლებელი, რომლებმაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს და შემთხვევები, რომლებიც პერიოდულად მახსენებს ხოლმე თავს, მაგრამ თუნდაც მხოლოდ ამ ერთი კარგი მეგობრისთვის ღირდა იმ სკოლაში სწავლა. რაც დრო გადის, ვხვდები, რომ კარგი მეგობრების პოვნა რთული ამბავია. თან ბავშვობაში შეძენილ მეგობარს კიდევ სხვა დატვირთვა აქვს.

რამდენიმე წლის წინ ჩემი ბავშვობის მეგობარი გერმანიაში წავიდა, კომპიუტერული ლინგვისტიკის სასწავლადა. მიუხედავად იმისა, რომ მთელი ეს წლები დაჟინებით ვუმეორებდი, სანამ აქ დაბრუნებას გადაწყვეტ, კარგად დაფიქრდი, ნამდვილად გინდა თუ არა შენი შვილი აქაური განათლების და ჯანდაცვის სისტემებს ჩაუგდო ხელში, მწვანე საფარის და ჟანგბადის გარემოე დარჩენილ ქალაქში აცხოვრო, უტროტუარო ქუჩებში და მოუწყობელ პარკებში ასეირნო, რომლებიც დილაობით ნაგვით არის სავსე-თქო, მაგრამ სულ ვიცოდი, რომ აზრი არ ქონდა, დაამთავრებდა სწავლას და ჩამოვიდოდა.

ასეც მოხდა. ჩამოვიდა და იმ საღამოს, როცა ჩემთან უნდა მოსულიყო, მივხვდი, რომ ვლელავდი. ოთახებში დავდიოდი, მიყრილ-მოყრილ ნივთებს ვალაგებდი, ვფიქრობდი, რომელი ჩაი უფრო მოეწონებოდა, მოსაყოლ ამბებს და დასასმელ კითხვებს ვარჩევდი, მოკლედ, ცოტა უცნაურად ვიქცეოდი. ისე, როგორც არასოდეს არ მოვეცეულებარ ჩემს ყველაზე ახლო მეგობართან. იმის მერე ვფიქრობ და მივხვდი, რომ არსებობს მეგობრობა, რომელიც პასუხისმგებლობას გიჩენს. დიახ, ზუსტად ასე.

თუ დიდი ხანია, არ გინახავს ის, ვინც ძალიან გიყვარს და ვისაც თითქმის მთელი სიცოცხლის განმავლობაში იცნობ, ხვდები, რომ ამ პერიოდის განმავლობაში ბევრი რამე შეიცვალა, ინტერესები, საქმეები, ყოველდღიურობა, შესაძლოა გარეგნობა და საცხოვრებელი ადგილიც კი. მას კი, ვინც შენ შესახებ ყველაფერი იცის, ვისაც ახსოვხარ ჯერ კიდევ იმ დროიდან, წერა-კითხვა რომ არ იცოდი და სახლიდან გარეთ მარტო ვერ გადიოდი, ცხადია, არაფერი გამოეპარება და იმასლა ფიქრობ, ცვლილებები თქვენ შორის ბარიერად არ იქცეს, ისევ შეძლოთ ისე ლაპარაკი, როგორც ერთ მერხზე შესვენებებისას, სკოლის ეზოს კუთხეში გაკვეთილების დამთავრების მერე, ისევ ისე გულიანად იცინოთ, როცა ის ბიჭი ჩნდებოდა დაბნეული სახით, რომელსაც თქვენგან ერთ-ერთი მოსწონდა, ისევ ისეთი ენთუზიამით დაგეგმოთ ერთობლივი მოგზაურობები, როგორც ამას სტუდენტობისას აკეთებდით, ისევ ისეთი მნიშვნელოვანები იყოთ ერთმანეთისთვის ახლა, როცა თქვენ გარშემო თქვენი შვილები და მათი მამები დადიან, როგორც მაშინ, როცა მხოლოდ თქვენ ორი იყავით და ყველა დანარჩენი. არ არის ადვილი, მაგრამ არც შეუძლებელი.

როცა ვფიქრობ ხოლმე იმაზე, როგორ სკოლაში მინდა ჩემმა შვილმა იაროს, უსაფრთხო გარემოსა და თავის საქმეზე, ბავშვებზე შეყვარებულ მასწავლებლებთან ერთად, სწორედ ეს მინდა, რომ ნამდვილი მეგობრები შეიძინოს სკოლაში. ისეთები, რომლებთან ურთიერთობაც გარდა გართობისა და მხიარულებისა, პასუხისმგებლობაც იქნება, რომ კარგი ადამიანი იყო, ყოველთვის ეცადო, მაქსიმუმი გააკეთო და სხვებს (არა მხოლოდ ახლობლებს) შენთან ურთიერთობის სურვილი არასოდეს გაუნელდეთ.

ბავშვების მოწყენილობის მიზეზები

„ცუდად იქცევა, არავინ ადარდებს, ყველას უხეშად გველაპარაკება – შინაც, სკოლაშიც, მეგობრებსაც“, – შეწუხებული ჰყვებოდა ერთი ნაცნობი შვილზე. გოგონა კარგად სწავლობს, მშვიდ და ბედნიერ ოჯახში იზრდება და, წესით, არავითარი მიზეზი არ აქვს, ცუდად იქცეოდეს გარშემომყოფებს, ეუხეშებოდეს მშობლებს, მეგობრებს, მაგრამ, აბა, ეგრე სად არის, ყველაფერი მარტივ წესებს ემორჩილებოდეს...

მეც მშვიდ და ბედნიერ ოჯახში ვიზრდებოდი, კარგი მეგობრები მყავდა, კარგად ვსწავლობდი, მაგრამ ახლა რომ ვიხსენებ, ხშირად ვიყავი მოწყენილი ან შეწუხებული, ზოგჯერ – უხეში, ზოგჯერ – დაუნდობელიც. ხან ვფიქრობდი, რომ არაფერს ჰქონდა ამრი – არც ხმამაღალ პროტესტს და არც საკუთარ მოწყენილობაზე ლაპარაკს – და ვჩუმდებოდი, ვკეტავდი კარს და ისე ვუყურებდი მოვლენებს, ველოდი, როდის გავიზრდებოდი, რომ უკვე თანასწორის პოზიციიდან მელაპარაკა ჩემს ვნებებზე. ამისთვის უნდა გავძლიერებულიყავი.

განსაკუთრებული არაფერი – ჩვეულებრივი ამბავია ამ ასაკის გოგო-ბიჭებისთვის, მაგრამ ვინაიდან ჩვენ, ზრდასრულებს, გვაგიწყდება ხოლმე, როგორია პატარა გოგო-ბიჭების ჩვეულებრივი ამბები, მაინც მოგიყვებით იმას, რაც ჩემს ნაცნობს ვუთხარი.

ბავშვებს, მით უმეტეს – შედარებით უფროსებს, სჭირდებათ ადგილი, სადაც მარტონი იქნებიან და თვითონვე მოჰყვებიან თავიანთ ამბებს, მშობლების, მშობლების მეგობრების, მათი შვილების, მასწავლებლების, თავიანთი მეგობრების გარეშე. იმ ხალხის გარეშე, ვინც მათზე ბევრი რამ იცის, ვისაც მათზე ჩამოყალიბებული ამრი აქვს, ვისაც მიაჩნია, რომ კარგად იცნობს.

ბავშვებს სჭირდებათ ადგილი, სადაც სხვადასხვა უნარს მოსინჯავენ – თამამად, გაბედულად; ჩაატარებენ ექსპერიმენტებს, მოიგონებენ ისტორიებს, ითამაშებენ როლებს, სხვადასხვა წერტილიდან დაინახავენ საკუთარ თავს. მათ სჭირდებათ სივრცე, სადაც ზოგჯერ უბრალოდ მარტო დარჩებიან და

აღარ მოუწევთ თამაში და ექსპერიმენტები, საკუთარი თავის მოსმენას ისწავლიან, საკუთარი შინა სამყაროს ყველაზე ღრმა და დამალულ შრეებს დაინახავენ და, რაც მთავარია, სტირდებათ უფროსი, ვინც ამ საჭიროებებს დაინახავს, ვინც პატივს სცემს მათ პირად სივრცეს, მათ დამოუკიდებლობას და არ შეეშინდება პატარების უხეშობის, მიუღებელი სურვილების ან თამამი განცხადებების. დიახ, ჩვენ, უფროსებს, ხშირად გვეშინია და არ გვინდა დავინახოთ ამბავი ისე, როგორც სხვა გვიყვება. გვირჩევნია, ჩვენ თვითონ მოვიგონოთ ჩვენთვის მისაღები ინტერპრეტაცია და მოქმედ გმირებს ჩვენს ველზე გავუნაწილოთ სასურველი როლები.

მახსოვს, როგორ მაწუხებდა, როცა აღნიშნავდნენ, რომ ჭკვიანი და ნიჭიერი ვიყავი – ეს ჩემთვის არა პრივილეგია ან სიკეთე, არამედ ზედმეტი ტვირთი იყო, რომელიც ათას ვალდებულებას მიჩენდა. ჰო, ბევრს ვკითხულობდი და კარგად ვწერდი, სამაგიეროდ, ვერ ვთამაშობდი რეზინობანას და წრეში ბურთის თამაშის დროსაც პირველი ვიჭრებოდი, იმ დროს კი ჩემი თანატოლებისთვის ეს უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ჩემი წაკითხული წიგნები. ამიტომ მერჩივნა, არავის ემტკიცებინა ჩემი ნიჭიერება, მერჩივნა მეფიქრა, რომ ჩვეულებრივი ადამიანი ვარ, რომელსაც ზოგი რამ გამოსდის, ზოგი – არა. განა ყველა ასეთი არ არის, ბოლოს და ბოლოს?

მახსოვს, როგორ მინდოდა, ისეთ ადგილას წავსულიყავი, სადაც არ იქნებოდა ჩემი საუკეთესო მეგობარი, რომელმაც ჩემი თითქმის ყველა ამბავი იცოდა და მის გარეშე შემძლებოდა საკუთარ თავზე ამბების მოყოლა. განა არ მიყვარდა, – უბრალოდ, ის ინფორმაცია, რაც მას ჩემ შესახებ ჰქონდა, ჩარჩოებს მიწესებდა, თამაშის წესებს მიდგენდა.

მახსოვს, როგორ მიყვარდა დღეები, როცა შინ მარტო ვიყავი და შემეძლო მეჭამა, რაც მინდოდა, წამეკითხა, რაც ხელში მომხვდებოდა და ისე გამენაწილებინა დრო, როგორც გამიხარდებოდა.

ისიც მახსოვს, რა ბედნიერება იყო, ქალაქგარეთ უცხო ადამიანებთან ერთად რომ დავიწყე სიარული. ვიჯექი ხოლმე კანტივით კოცონის პირას და ვფიქრობდი ზნეობრივ კანონებსა და ვარსკვლავებით მოჭედილ ცაზე.

პირველად რომ წავედი მარტო სხვა ქვეყანაში და უზარმაზარ სივრცეში მარტოდმარტო აღმოვჩნდი, ის დაბნეულობა და გარემოში გარკვევის რთული და ხანგრძლივი პერიოდიც მახსოვს და მგონია, რომ ადამიანი სწორედ ასეთ თავგადასავლებში იზრდება. უცნობი სივრცეების ათვისებით, უცხო ადამიანებთან საერთო ენის გამონახვით, წინასწარ შექმნილი განწყობის მოშო-

რებით და რეალობასთან პირისპირ დგომით. ამიტომაც მგონია, რომ ბავშვების მოწყენის მიზეზი ხშირად ჩვენ ვართ, ჩვენ, ვისაც გვაღელვებს, როგორები იქნებიან უჩვენოდ, რას შეჭამენ, რას ისწავლიან და გვიჩვენებენ, მუდამ გვერდით გვყავდეს და თვალი ვადევნოთ, მათი ქცევის პროგნოზირება შეგვეძლოს, ვიდრე მოულოდნელ ამბებში გავყოთ თავი.

არადა, შეუძლებელია, ყველაფერი აკონტროლო და ყველაფერი თავიდან აიცილო. შეუძლებელია, ყველაფერი ისე იყოს, როგორც მარტივი წესები გვკარნახობს. სამაგიეროდ, საკუთარი შიშების დანახვა და სხვების მოსმენა შესაძლებელია.

კითხვები მასწავლებლებისთვის

„ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხო: – აბა დღეს მე ვის რა ვარგე?“

როგორ შევინარჩუნოთ წლების განმავლობაში მონდომება ისე, რომ ყოველი ჩატარებული გაკვეთილი საინტერესო და დასამახსოვრებელი იყოს? როგორ ვიყოთ კმაყოფილები დღის ბოლოს, რომ შევძელით ჩვენი რთული მისიის შესრულება და როგორ არ დავკარგოთ მოტივაცია მაშინ, როცა რაღაც კარგად ვერ გამოგვივა?

სწავლება ცოცხალი პროცესია. დადგენილი წესების დაცვის გარდა, მუდმივად საჭიროებს სიტუაციების მიხედვით მოქმედებას, ინდივიდუალურ მიდგომებს და საკუთარ თავზე მუშაობას. სწავლებას განსაკუთრებული ენერგია, ეთიკა, პასუხისმგებლობა, მოთმინება და სურვილი სჭირდება, რომ პროცესი წარმატებული გამოვიდეს.

რთული დღეებისთვის შეგიძლიათ ეს კითხვები დაიმახსოვროთ, საკუთარ თავს დაუსვათ და გულწრფელი პასუხები გასცეთ:

მაქვს კი სწავლების ვნება? – კარგ მასწავლებლებს სჯერათ, რომ ყველა ბავშვს შეუძლია სწავლა. მთავარია, სწორი მიდგომის პოვნა. კარგ მასწავლებელს უნდა ემჩნეოდეს, რომ ის, რასაც ამბობს, მტკიცედ სჯერა და ნამდვილად ცდილობს, გადასცეს ბავშვებს ის, რისიც სჯერა.

სიყვარულია ის, რასაც მე ბავშვების მიმართ ვგრძნობ? – მასწავლებლობა რთული საქმეა და ბევრი ენერგიის დახარჯვასთან ერთად დროის უმეტესი ნაწილის ბავშვების გარემოცვაში გატარებას გულისხმობს. კარგ მასწავლებელს უნდა შეეძლოს ბავშვების გაგება, მათთან ერთად გართობა და მათი სადარდებლის შემჩნევა, ბავშვების ნდობის მოპოვება და ამას არა მხოლოდ ვალდებულების გამო, საკუთარი სიამოვნების, ინტერესის გამოც უნდა აკეთებდეს.

რა ვალდებულებებს გულისხმობს ჩემი სამუშაო ეთიკა? – მასწავლებლობა მხოლოდ სამსახური არ არის, ეს ცხოვრების გზაა. სწავლება არ მთავრდება მაშინ, როცა ბარი ირეკება და გაკვეთილები მთავრდება. მასწავლებლობა მოიცავს ბავშვებთან მეგობრის, მრჩეველის, დამკვირვებლისა და გულშემატ-

კივრის როლსაც მათ ცხოვრებაში და მათზე ზრუნვასა და ფიქრს მაშინაც, როცა ფიზიკურად მათთან არ ხარ. ადვილი არ არის, ყველასაც ვერ გამოვდის მთელი თავისი არსება მიუძღვნას სხვების მომავლის შენებას. თუ გამოვივიდა, ესე იგი, სწორ ადგილას ხარ, სწორად იქცევი.

რა გიცი? – იმისათვის, რომ ასწავლო, თვითონ უნდა იცოდე და იმისათვის, რომ იცოდე, ერთხელ სწავლა საკმარისი არ არის. სწავლა მთელი ცხოვრების განმავლობაში განგრძობადი პროცესია და თუ ამ პროცესიას ხელს ჰკიდებ, მზად უნდა იყო, რომ სულ რაღაც გექნება სასწავლი, გასაუმჯობესებელი, დასახვეწი და აღმოსაჩენი.

მჯერა თუ არა მუდმივი განვითარების აუცილებლობის? – კარგი მასწავლებელი საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით აუმჯობესებს მეთოდუკას, კომუნიკაციას, ატარებს ექსპერიმენტებს, რაც წარმატებასთან ერთად წარუმატებლობასაც მოიცავს და თუ ამ ყველაფრისთვის მზად არ ხარ და სიამოვნებით არ აკეთებ, ადრე თუ გვიან მოგწყინდება.

რას ნიშნავს ჩემთვის კლასში ბავშვების კონტროლი? – წარმატებული მასწავლებელი კლასში ლიდერი და მენეჯერი უნდა იყოს, რომელსაც შეუძლია სიტუაციის კონტროლი, განწყობების დაჭერა, მოსმენა, გაგება და შესაბამისად მოქმედება.

მასწავლებლისა და ბავშვების ურთიერთობა მეგობრული უნდა იყოს, მაგრამ პატივისცემას არცერთი მხარე არ უნდა კარგავდეს.

უფროსებს ბავშვებთან ურთიერთობისას მტკიცე, პირადი დისციპლინა და კონტროლი სჭირდებათ.

კარგი მასწავლებელი ბავშვებს, გარდა კონკრეტული საგნის სწავლებისა, სოციალური უნარების ჩამოყალიბებაშიც უნდა ეხმარებოდეს. მასწავლებელს არ უნდა ავიწყდებოდეს, რომ მოსწავლეებს გვერდით სჭირდებათ ადამიანი, რომელიც მათზე ზრუნავს, მათ წინაშე პასუხისმგებლობას გრძნობს და ბავშვებსაც ასწავლის ერთმანეთზე ზრუნვას და როგორც პირადი, ასევე გუნდური პასუხისმგებლობის აღებას.

როგორი აურა მაქვს? – კარგ მასწავლებელს კარგი ურთიერთობის დამყარება უნდა შეეძლოს არა მხოლოდ ბავშვებთან და კოლეგებთან, არამედ მშობლებთან, რომელთა ჩართულობის გარეშეც სასწავლო პროცესი ვერასოდეს იქნება სრულყოფილი და წარმატებული. მასწავლებელს უნდა შეეძლოს ნდობის მოპოვება და მშობლების თანამზრახველებად ქცევა ბავშვისთვის საუკეთესო მიზნების მისაღწევად. მასწავლებელი ხშირად სამაგალითო

ხდება იმ სოციალურ სფეროში, სადაც ცხოვრობს და მუშაობს, ამიტომ მას მყარი სამოქალაქო პოზიციები და საგანგებო სიტუაციებში სიმართლის მხარეს ყოფნა მოეთხოვება.

როგორ ვაგვარებ კონფლიქტებს? – კონფლიქტების გარეშე არცერთი სივრცე არ არსებობს. კონფლიქტები ყველგანაა, სადაც განსხვავებული აზრები, მიზნები ან ხედვები ერთმანეთს შეიძლება შეეჯახოს.

მასწავლებლობა ბავშვებთან, მშობლებთან, ადმინისტრაციასთან და კოლეგებთან კონფლიქტური შემთხვევების გარეშე წარმოუდგენელია და ამ კონფლიქტების დროს უნდა იცოდეს, რის დათმობა შეიძლება და რის არა, ვის სჭირდება მხარდაჭერა, ვისთან იყო კატეგორიული და როგორ იყო არა კონკრეტული სახელების, არამედ სიმართლის მხარეს.

რა არის ის, რაც პროფესიონალად ქცევისთვის მაკლია? – მასწავლებელს სულ უნდა ახსოვდეს, რომ ის არსებობს ბავშვებისთვის, მათი განათლებისთვის, მომავლისთვის, კეთილდღეობისთვის და ამ თავგანწირულ საქმიანობაში მისი მთავარი იარაღები, ცოდნის გარდა, ენთუზიაზმი, მონდომება, ინდივიდუალიზმი, პრინციპულობა, მგრძნობიარობა და მის გარშემო მიმდინარე მოვლენების ღრმა ანალიზის უნარია.

რაში მეხმარება იუმორის გრძნობა? – იუმორი ყველას უმარტივებს ცხოვრებას. გამონაკლისი ვერც მასწავლებელი იქნება. მასწავლებლობა სერიოზული საქმეა, მაგრამ არ შეიძლება საკუთარი თავი მხოლოდ სერიოზულად აღვიქვათ. უნდა შეგვეძლოს სიცილი ჩვენს თავებსა და საექციელებს, ვიყენებდეთ იუმორს დაძაბული სიტუაციების განსამუხტად.

1998 წელს, პროფესიონალური სწავლების სტანდარტების ეროვნულმა საბჭომ (the National Board for Professional Teaching Standards (NBPTS) გამოაქვეყნა ვრცელი დოკუმენტი – „რაც ყველა მასწავლებელმა უნდა იცოდეს და შეეძლოს გააკეთოს“. რთულ შემთხვევებში საკუთარ პროფესიაზე ფიქრისას თვითრეფლექსიისთვის ეს დოკუმენტიც შეიძლება გამოდგეს.

<http://accomplishedteacher.org/wp-content/uploads/2016/12/NBPTS-What-Teachers-Should-Know-and-Be-Able-to-Do-.pdf>

გოგოების ვალდებულებები – გამეორება, შეცდომების გასწორება

რა გვასწავლეს? გვასწავლეს, რომ სახლში უფრო ადრე უნდა დავბრუნდეთ, ვიდრე ბიჭები; უფრო თავაზიანები უნდა ვიყოთ, დახვეწილი მანერები გვქონდეს, ცუდ სიტყვებს არ ვამბობდეთ, საერთოდ, სიტყვებს სულ უნდა ვწონიდეთ, რომ ვინმეს ყურში ცუდად არ მოხვდეს, ზედმეტი არ მოგვივიდეს, უხეშობაში არავინ ჩამოგვართვას. ლამაზებიც უნდა ვიყოთ, მოსაწონები, მიმზიდველები, მაგრამ ზედმეტი არ მოგვივიდეს – თვალი არავის მოვჭრათ, ვინმემ რამე ცუდი არ იფიქროს, ჩვენი სილამაზე ცუდად არ შემოგვიტრიალდეს, სასჯელად და ტვირთად არ გვექცეს.

ასჯერ გავზომოთ და ერთხელ გავჭრათ.

სადაც სუსტია, იქ გაწყდეს.

რაც მოგივა, ყველაფერი შენი ბრალი იქნება.

კარგი ცხენი მათრახს არ დაიკრავს.

კაცის ტვინი მაინც სხვაა.

ნამეტანი არაფერი ვარგა.

და ათასი სხვა რამ.

რა მოხდა მერე:

ასე გაზრდილმა გოგონებმა არასწორ კაცებს დაუკავშირეს ცხოვრება, მათ, ვინც მათზე გვიან ბრუნდებოდა სახლში, მათზე ნაკლებ პასუხისმგებლობას იღებდა, მათზე ნაკლებად წონიდა სიტყვებს და ქცევას, არც უხეშობას მიიჩნევდნენ დანაშაულად და შიგადაშიგ ძალადობაც ჩვეულებრივ ამბად მიაჩნდათ.

ასე გაზრდილმა გოგონებმა საკუთარი დამოუკიდებლობა ვერ უზრუნველყვეს, საკუთარი სურვილების მოსმენა გაუჭირდათ. ზოგს წლები დასჭირდა მოჯადოებული წრიდან გამოსასვლელად, ზოგი დღემდე იტანჯება, ზოგს ძალა გამოეღია, ზოგი მიეჩვია, ზოგი მოკლეს, ზოგი შეაჩვენეს, ზოგს დაემუქრნენ.

ასე გაზრდილი გოგონების უკან ის ხალხი დგას, ვინც მათ არასწორ ვალდებულებებს ახვევდა თავს, შესაბამისად, მხარდამჭერები არ აღმოაჩნდათ, უახლოეს გარემოცვაში, ოჯახებსა და მეგობრებშიც კი.

ასე გაზრდილ გოგონებს ბევრს ვერაფერს ვშველით ისინიც, ვისაც ეს ყველაფერი საკუთარ თავზე გამოგვიცდია, ვინც მივხვდით, რომ ამ ყველაფერს უნდა დავუპირისპირდეთ, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, ფეხზე მყარად დავდგეთ და სხვების დაშვებული შეცდომები გავასწოროთ. სხვა პატარა გოგონებს იგივე არ ვუთხრათ, დიდ გოგონებს ვაჩვენოთ, რომ სხვანაირად ცხოვრებაც შეიძლება.

აქ, ჩვენ გარშემო, გოგონებს ერთმანეთის მიმართ თანაგრძნობის და სოლიდარობის უნარი თითქოს დაქვეითებული აქვთ. გინდა, შენ თუ იწვალე, სხვამაც იწვალოს, შენ თუ რაღაცაში ძვირი გადაიხადე, სხვამაც გადაიხადოს ეს ფასი, შენ თუ გაგირთულეს ცხოვრება, დაე, სხვებისთვისაც ნუ იქნება მართივი. იმის გამო, რაც შენ გადაიტანე, მზად ხარ სხვებიც დაიტანჯონ, თითქოს ამით შენი ტანჯვა შემსუბუქდება. გეჩნება განცდა, რომ არ ხარ ერთადერთი, ვისაც ისე მოექცნენ, როგორც არ იმსახურებდა. თანაც არგუმენტებს ეძებ, რატომ მოხდა ასე: იქნებ ბევრი ილაპარაკა, იქნებ იქ არ უნდა ყოფილიყო, სადაც იყო, იქნებ ისე არ მოიქცა, როგორც უნდა მოქცეულიყო, იქნებ მართლა გამოიყვანა ვინმე მდგომარეობიდან, აბა, რა ეგონა, ამაზე ადრე უნდა ეფიქრა და ასე დაუსრულებლად.

ასე არაფერი გამოვა.

დაკვირვებისხარტ იმ კანონზომიერებას, მშობლებს რაღაც აუსრულებელი სურვილები რომ აქვთ და ცდილობენ, შვილებს შესთავაზონ ცხოვრების ის მოდელი, რომელიც თვითონ ვერ მოირგეს? მუსიკოსობა რომ უნდოდათ, მერე ბანკში დაიწყეს მუშაობა, შვილებს კი ჯიუტად ატარებენ მუსიკაზე იმის უკითხავად, შედის თუ არა ეს მათ ინტერესებში? მეცნიერებად რომ ხედავდნენ თავიანთ თავს, მაგრამ არ გამოუვიდათ და ცდილობენ, შვილი მაინც დაინტერესდეს კვლევებით? თავგადასავლები რომ იზიდავდათ, მერე პრობაული ცხოვრებით მოუწიათ ცხოვრება და ახლა ბავშვებს სთავაზობენ ავანტიურებს? სპორტზე დადიოდნენ, ტრავმა მიიღეს და ახლა ბავშვმა ივარჯიშოს, იქნებ მას მაინც გამოუვიდეს.

გეცოდინებათ.

ხშირია ასეთი შემთხვევები და ძლიერია ვნება, შენი შვილი შენი სურვილების ასრულების ინსტრუმენტად აღიქვა. გგონია, რაკი შენ გააჩინე, შენ გაზარდე – სამართლიანი იქნება, ისე იცხოვროს, როგორც შენ ეტყვი.

აღბათ აჯობებს, ბავშვების კარიერის დაგეგმვის მაგივრად არასწორი ვალდებულებებისგან მათი დაცვით დავიწყოთ ჩვენს აღზრდაში დაშვებული შეცდომების გასწორება.

თუ ვხედავთ იმას, რაც არ მოგვწონს ჩვენს გავლილ გზაზე, მოდი, დავიცვათ ჩვენზე პატარები, ჩვენზე დამოკიდებული ადამიანები იმავე შეცდომებისგან. ნუ მოვახვევთ თავს იმავე ვალდებულებებს, რომლებიც ჩვენ მძიმე ტვირთად გვექცა, რომლებისგანაც დღემდე ვცდილობთ გათავისუფლებას და მივცეთ უფრო ლაღად, უფრო ბედნიერად, უფრო მშვიდად ცხოვრების საშუალება. რა მნიშვნელობა აქვს, სპორტით დაინტერესდებიან თუ ხელოვნებით, მოთხოვნად პროფესიას აირჩიევენ თუ ეგზოტიკურს, მთავარია, მყარად იდგნენ მიწაზე და საკუთარი სურვილების მოსმენა, მათი დაცვა შეეძლოს.

სალომე ბენიძე

1	თეთრი საყელო, ანუ რამდენიმე ეპიზოდი მოსწავლე გოგონას ცხოვრებიდან	181
2	ომის ბავშვები	184
3	შიშების დაძლევის შესახებ	186
4	ნდობა და სხვა წამლები	188
5	განსხვავებულობის შესახებ	191
6	გმირები და ადამიანები	193
7	ჩვენი წილი პასუხისმგებლობა	196
8	სხვისი შვილები	199
9	უმრავლესობის ქვეყანა	202
10	სილამაზის რამდენიმე წესი	205
11	გოგოების საკითხავი	207
12	მოკალი ჯემალა	210
13	ენა, მამული და სხვა სირთულეები	213

თეთრი საყელო, ანუ რამდენიმე ეპიზოდი მოსწავლე გოგონას ცხოვრებიდან

ეპიზოდი პირველი: ბავშვობაში საშინლად არ მიყვარდა ფოტოების გადაღება. ჩემი ბავშვობა იმ პერიოდს დაემთხვა, ფოტოატელიეებმა რომ ფუნქცია დაკარგა და საოჯახო ალბომები „პოლაროიდით“ გადაღებული უხარისხო ფოტოებით გაივსო. ჩვენ კარგა ხანს არ გვქონდა ფოტოაპარატი და ამიტომ 90-იანი წლების დასაწყისში ჩემი ცხოვრების ღირსშესანიშნავი დღეები ხშირად აღიბეჭდებოდა პროფესიონალურ ფირზე – დედას ყოველთვის მიაჩნდა, რომ მნიშვნელოვანი თარიღები მხოლოდ მეხსიერებას არ უნდა ანდო. და აი, მეც – ხუთი წლის პირველკლასელი, შავი ქვედაკაბით და თეთრი, მაქმანე-ბიანი პერანგით, მოკლედ შეჭრილი თმითა და, რა თქმა უნდა, უკმაყოფილო გამომეტყველებით, დიახაც, ვგავარ ტრადიციულ სასწავლებელში მიმავალ „გიმნაზისტკას“.

პირველ კლასში ყველა წესის დაცვით ვატარეთ ფორმები, კარგ ამინდში – შავ-თეთრი, ზამთარში – ყავისფერი. ზოგიერთს მშობლების ბავშვობისდროინდელი ლურჯი პიჯაკი და შარვალიც ეცვა. ასეთი დრო იყო მაშინ, არც



არაფერი იშოვებოდა ომგამოვლილ ქვეყანაში და ყიდვის საშუალებაც ძალიან ცოტას ჰქონდა. ალბათ ბევრ მშობელს უხაროდა კიდევ, ყოველდღე რომ არ უნდა ეფიქრა შვილის ჩაცმა-დახურვაზე. ასეა, ზოგჯერ რეგულაციები ცხოვრებას გვიმარტივებს და, ჩემი ღრმა რწმენით, ამიტომაც ჯერ ვიგონებთ და მერე ვემორჩილებით მათ.

ეპიზოდი მეორე: დარწმუნებული ვარ, 80-იან წლებში დაბადებულებს ისტორია რაიმე განსაკუთრებულ სახელს გამოგვიძენის. ჩვენ ძველის ნგრევის და ახლის შენების, ცვლილებების და გარდაქმნების, უშუქობისა და ომის ბავშვები ვართ, ისინი, ვინც საბჭოთა კავშირში დავიბადეთ და უცებ დამოუკიდებელ საქართველოში ავიდგით ფეხი. დღევანდელი გადმოსახედიდან, როგორღაც, ისიც ბუნებრივად მეჩვენება, რომ სკოლაშიც და უნივერსიტეტშიც იმდენ ცვლილებას მოვესწართ, იმდენი ექსპერიმენტი ჩატარდა ჩვენზე, რომ ნახევარს ვერც კი ვიხსენებ. ახალი სახელმძღვანელოები პირველად ჩვენს დროს გამოიცა. ჩვენს დროს დაიწყო სკოლების, ისევე, როგორც მთელი ქვეყნის მოდერნიზაციის მცდელობა. რა თქმა უნდა, ძველი სასკოლო ფორმებიც აღარავის აკმაყოფილებდა. მეოთხე კლასში გადაღებულ ფოტოზე გოგოებს შოტლანდიური ქვედაკაბები, ლურჯი პიჯაკები და თეთრი პერანგები გვაცვია და სცენაზე ვმღერით, ზუსტად მახსოვს, რას – „Doe, a deer, a female deer“, „მუსიკის ჰანგებიდან“. უკან ასეთნაირადვე ჩაცმული გუნდი გვიდგას. არ ვიცი, რას ფიქრობდა სკოლის გუნდის ხელმძღვანელი, როცა ეს სიმღერა შეგვირჩია, მაგრამ ახლა მგონია, რომ სწორედ ეს, სხვა, უფრო დიდ ომს გადარჩენილი ბავშვების სიმღერა მართლაც სიმბოლური იყო ჩვენთვის, მწარე მშვიდობისა და განვითარების გზაზე დამდგარი ქვეყნის ევროპულად გამოწყობილი მოსწავლეებისთვის. ურიგოდ არ გამოვიყურებოდით, ერთი ის იყო, რომ მოდაში საოცარი სისწრაფით შემოსული შოტლანდიური ქვედაკაბები საკმაოდ ძვირი ღირდა.

ეპიზოდი მესამე: მეხუთე კლასიდან ჭრელად და არეულად გვაცვია, მაგრამ მაინც ბევრი რამე გვაქვს ერთნაირი, მაგალითად, „Yes-No“ მაისურები, ყვავილებიანი „ელასტიკები“, ჯემპრები დისნეის გმირების გამოსახულებით. ჭინსი და ბოტასი აღარავის უკვირს, უბრალოდ, საკითხი ცოტა სხვაგვარად დგას: ვის მანათობელი ბოტასი აცვია და ვის – ჩვეულებრივი, ვის ადგილობრივ ბაზრობაზე უყიდეს ტანსაცმელი ახალი სასწავლო წლისთვის და ვის საზღვარგარეთიდან ჩამოუტანეს. თანდათან ასეთ თემებზე ლაპარაკსაც ვსწავლობთ, ზოგი – სიამაყით, ზოგიც – გულდაწყვეტით. ეს ჩვენი თაობის სახეა, ეს სტილის

ჩვენეული ძიებაა, უფრო მეტიც – ამ პერიოდის ფოტოები ჩვენი ოჯახების სოციალური მოზაიკაა. სინამდვილეს ასეთია და მას ვერსად გავექცევით.

ეპიზოდი მეოთხე: ჩვენს სკოლაში კიდევ ერთხელ რომ მოინდომეს შავ-თეთრი ფორმების დაბრუნება, უკვე მეათე კლასში ვიყავით. მახსოვს, ღირექტორმა მე და ჩემს კლასელ ბიჭს დაგვიძახა და გვთხოვა, მეორე დღეს თეთრი პერანგებით მივსულიყავით, რათა ყველას დაენახა, რომ ჩვენ, სამაგალითო უფროსკლასელებიც ვემორჩილებოდით წესებს. თოთხმეტი-თხუთმეტი წელი ალბათ ის ასაკია, როცა ყველაზე მეტად გინდა, სხვებისგან გამოირჩეოდე და ძალდატანებით ვერავინ გაგაკეთებინებს იმას, რის გაკეთებაც არ გინდა. თუმცა ჩვენსა და ღირექტორს შორის შემდგარი დიალოგი უფრო თანატოლების, ბრდასრული ადამიანების საუბარს ჰგავდა. მას არ უბრძანებია, არ გაგვწყრომია, არ დაგვმუქრებია და ჩვენც უარის თქმა ვერ გავბედეთ. ნამდვილად არ ვიცო, რა გავლენა მოახდინა ჩვენმა თეთრმა პერანგებმა სხვებზე, მაგრამ ვიცი ის, რომ ჩვენი მხრივ ეს არ ყოფილა მორჩილება, უფრო თანამშრომლობას და ურთიერთგაგებას ჰგავდა.

მინაწერი: ზოგიერთ ქვეყანაში სასკოლო ფორმები აკრძალულია, რადგან მიაჩნიათ, რომ ფორმა პიროვნების ჩამოყალიბებას, ინდივიდუალობას, გემოვნების განვითარებას უშლის ხელს, ზოგან, პირიქით, სასკოლო ფორმა თანასწორობის, წესრიგისა და დისციპლინის სიმბოლოა. მე ფერადი კაბების მოყვარული გოგო ვარ, სიახლეები არასოდეს მბეზრდება, თუმცა ამ ცოტა ხნის წინ მაინც შევიკერე, ჩემი აზრით, ძალიან ლამაზი პატარა შავი კაბა თეთრი საყვლოთი და მანუეტებით, რომელიც, ერთი შეხედვით, ძალიან ჰგავს სკოლის ფორმას და ყოველთვის, როცა ვუყურებ, ვხვდები, რომ ბავშვობაში ასეთი კაბის ჩაცმას არასოდეს ვინატრებდი.

ომის ბავშვები

„პირველ სექტემბერს ვერ ვიტანდი. კლასში აუცილებლად შემოდიოდა სასწავლო ნაწილი და კითხულობდა: „აქ რამდენი ლტოლვილი ხართ?“ წამოგვყენებდა, გადაგვთვლიდა და გავიდოდა. ასე ხდებოდა ყოველ წელს“, – ყოველთვის, როცა სკოლის წლებზე ჩამოვარდება სიტყვა, ჩემი მეგობარი თავის ამბავს ჰყვება. ჰყვება, როგორი იყო გაგრელი გოგონას მოსწავლეობის პერიოდი თბილისის ერთ-ერთ პრესტიჟულ სკოლაში. ძნელია, იცხოვრო იარლიყით. ძნელია, იცხოვრო გაურკვეველი იარლიყით, როცა საზოგადოებას ვერ გაურკვევია, სინამდვილეში ლტოლვილი ხარ თუ დევნილი, მით უმეტეს, როცა თავადაც ვერ აცნობიერებ, რა მოხდა.

მეორე მეგობარი ოთხი წლის ასაკში ფეხით გადმოვლილ ჭუბერს იხსენებს, ყველაზე ნათლად – ვერტმფრენიდან გადმოყრილ პურებს, რომლებიც სიკვდილის გზაზე დამდგარი დევნილებისთვის ყველაზე ძვირად ფასობდა, მესამე – სანატორიუმში ცხოვრების წლებს, მეოთხე – ცეცხლში გახვეულ ქალაქში ნახერხისგან გამომცხვარი პურის გემოს. ჩემი წილი მოგონებები მეც მაქვს – ილორის ეკლესია, სადაც 24 წლის წინ მომნათლეს და რომელსაც ხშირად ვხედავ სიზმარში, ტელევიზორში ნანახი შავ-თეთრი კადრები და ძველ სასტუმროებსა და საერთო საცხოვრებლებს თავშეფარებული ნათესაობა.

მიუხედავად ყველაფრისა, რა თქმა უნდა, ჩვენც გვეუბნებოდნენ, რომ ბავშვობა ცხოვრების ყველაზე ბედნიერი პერიოდია, მაგრამ ძნელია, მშობლების ნათქვამს ენდო, როცა ქალაქს ყოველდღე ემატებიან ომს გამოქცეული ადამიანები, უსახლკარო ბავშვები, შენი თანატოლები, რომლებისკენაც ხვალ სკოლაში თითს გაიშვერენ და იტყვიან: „ლტოლვილია!“ თითის გამშვერს კი არავინ აუხსნის, რომ სირცხვილია, სირცხვილია იარლიყების მიკერება ერთმანეთისთვის, რომ სიღარიბე და უსახლკარობა გაცილებით იოლად დასაძლევია უბედურებაა, ვიდრე ქედმაღლობა და უსიყვარულობა. დანამდვილებით ვერ გეტყვით, ახლა რა ხდება სკოლებში, არ ვიცი, ვის სთხოვენ ფეხზე წამოდგომას პირველ სექტემბერს ან ისევ აქტუალურია თუ არა დევნილი მოსწავ-

ლევების აღრიცხვა. მეჩვენება, რომ ბევრი რამ შეიცვალა და ხშირად მახსენდება სტრიქონი ზვიად რატიანის ცნობილი ლექსიდან: „რა დავაშავეთ ჩვენ...“ თუმცა ეს მედლის მხოლოდ ერთი მხარეა. მეორე მხარე, რომელსაც, ალბათ, ჩვენზე უმცროსები ვერ ხედავენ, სხვაგვარად გამოიყურება. აფხაზეთი, ჩემი თაობის მეხსიერებას რომ მკრთალ კონტურებად შემორჩენია, ჩვენ შემდეგ, 90-იანებში დაბადებულებისთვის, ალბათ შორეულ ნათესავს ჰგავს, რომელიც, გამორჩეულად ლამაზი და ნიჭიერი, სრულიად ახალგაზრდა დაიღუპა და მთარულ ისტორიებად ცხოვრობს ახლობლების მოგონებებში. არადა, ყველამ კარგად ვიცით, ჭეშმარიტი სიკვდილი მხოლოდ დავიწყებასთან ერთად დგება, მეხსიერება კი... მეხსიერება ისეთი რამეა, რას გაუგებ.

„რა დავაშავეთ ჩვენ“, ვინც ბავშვობაშივე დაგვყვეს დევნილებად და არა-დევნილებად, კომპაქტურ დასახლებებსა და ჩვეულებრივ სახლებს შორის მავთულხლართი გაგვივლეს, თბილისის შესასვლელთან „გვახსოვდეს აფხაზეთი“ ჩამოგვიკიდეს, ყოველ ზაფხულს „ზღვა და ამინდი იქ იყო, თუ იყო“ გვასმენინეს, დასავლეთის გზატკეცილზე ბევრჯერ შეგვახსენეს, რამდენ კილომეტრშია სოხუმი, რა დავაშავეთ ჩვენ, ვისაც შორეული სიყვარული დაგვებდა?! აფხაზეთზე ხშირად არ ვწერ. იქაური სუნი, ფერები და გემოები არ მახსოვს და მგონია, რაც არ უნდა დავწერო, ტყუილი იქნება, მაგრამ ამჯერად თავი ვერ შევიკავე. რამდენიმე დღის წინ დიდი ხნის უნახავი მეგობრის ფანჯარა აინთო წითლად სოციალურ ქსელში. „სალომე, სოხუმში ვარ!“ – მწერდა ის და მე მომეჩვენა, რომ ეს პატარა, სამსიტყვიანი წინადადება ყვიროდა, მღეროდა, ფანჯრიდან ამოხტომას ლამობდა. თითქოს მისმა სიტყვებმა მთელი ჩემი ცხოვრებაც დაიტია და ათასობით ადამიანის სევდაც.

ასეთი ბედი გვერგო – ხსოვნისა და სიყვარულის გადამცემთა საპატიო მისია დაგვაკისრეს. ასე ვცხოვრობთ: გვიყვარს ის, რაც არ გვახსოვს, საზღვარი ხსოვნასა და დავიწყებას შორის სწორედ ჩემს თაობაზე გადის, თუ რაიმე არ შეიცვალა. ჰოდა, „რა დავაშავეთ ჩვენ?..“

შიშების დაძლევის შესახებ

არ ვიცი, ახლა როგორ არის, მაგრამ ოთხმოცდაათიანებში და, ალბათ, უფრო ადრეც ასე იყო მიღებული – ბავშვს, გარდა საშუალო სკოლისა, მინიმუმ, მუსიკალურ სკოლაში უნდა ევლო, მოსაწყენი გამები ემეცადინა და მოგვიანებით პოპულარულ სიმღერებსაც დაუფლებოდა ოჯახის გულის გასახარად. გამონაკლისი არც მე ვყოფილვარ. უფრო მეტიც – დამატებით, სამხატვრო სკოლაშიც დავდიოდი, სკოლის გაზეთსაც ვრედაქტორობდი და კიდევ ბევრ რამეს ვახერხებდი. მაშინ, ჯერ კიდევ, შემეძლო ოჯახთან ურთიერთობისას კომპრომისზე წასვლა, თუმცა დედაჩემს მაინც დარჩა აუხდენელი ოცნება ჩემთან დაკავშირებით – ცეკვაზე ვერაფრით მატარა.

მე დღემდე იმ ადამიანთა რიცხვს მივეკუთვნები, რომლებიც ღამის კლუბებში წელიწადში ერთხელ დადიან და უახლოესი მეგობრების ქორწილებსაც კი ისე ატარებენ, რომ ერთხელაც არ წამოდგებიან საცეკვაოდ, თუმცა, ამასთანავე, საკუთარ თავს მათ შორისაც მოვიაზრებ, ვისაც არასოდეს ბებრდება ექსპერიმენტების ჩატარება თავის ცხოვრებაზე, თუკი ამას საჭიროება მოითხოვს.

ჩემი ცხოვრების ყველაზე უცნაური ექსპერიმენტის შესახებ მოყოლას ცოტა შორიდან დავიწყებ:

სულ ცოტა ხნის წინ თბილისის სპორტის სასახლემ კიკბოქსში მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლა, სადაც ქართველი გიგა ჭიკაძე იაპონელ ნაოკი სამუკავას დაუპირისპირდა მსოფლიო ჩემპიონის ქამრის მოსაპოვებლად. გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით ჩატარებული ღონისძიება ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლას მიეძღვნა.

მე მახარებს, რომ გიგა ჭიკაძე სხვა სპორტსმენებთან ერთად აქტიურად არის ჩართული გაეროს გენერალური მდივნის ბან კი-მუნის კამპანიაში „გავერთიანდეთ ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ“. კარგია, როცა ძალადობას მამაკაცები გმობენ და კიდევ უფრო უკეთესია, როცა ძალადობას გმობენ განსაკუთრებული ფიზიკური ძალის მქონე მამაკაცები, მით უფრო მაშინ, როცა მათი თითოეული მოწოდება ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვანია. იქ, სადაც ვერ აღწევს არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების ხმა, აღწევს გიგას და სხვა სპორტსმენების სახელი და ეს გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს.

სწორედ ამ ღონისძიებისთვის დაგეგმა გაეროს ქალთა ორგანიზაციამ ქორეოგრაფიული ნომრის დადგმა არაპროფესიონალი მოცეკვავეების შესრულებით. ჩანაფიქრის მიხედვით, მასში მონაწილეობა მარჯანიშვილის თეატრის მსახიობებს და ქალთა უფლებების დამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლებს უნდა მიეღოთ, მათ შორის – მეც, როგორც ქალთა საინფორმაციო ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერს.

როცა იდეას მხარს უჭერ, როცა ქალთა უფლებები შენი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია, როცა მუდმივად ხვდები ქალებს, რომლებიც ძალადობის მსხვერპლნი არიან, როცა წერ მათზე და როცა იცი, რომ, ბევრის გასაკვირად, ძალადობა რეალურზე რეალური პრობლემაა, ძნელია, მსგავს წინადადებაზე უარი თქვა, ძნელია, საკუთარი პოზიციის კიდევ ერთხელ გამოხატვის შანსი ხელიდან გაუშვა. გიყვარს თუ არა ცეკვა, დადიხარ თუ არა დისკოთეკებზე, ასეთ დროს მესასხარისხოვანია.

სიმართლე გითხრათ, ძალიან ვინერვიულე. აღმოვაჩინე, რომ ცეკვის გამო უხერხულობა კი არ მაწუხებდა, არამედ მეშინოდა. ასე არასოდეს შემშინებია წარუმატებლობის, ჩავარდნისა და შერცხვენის. პერიოდულად საკუთარ თავს ვსაყვედურობდი და ვახსენებდი, რომ შეუძლებელია, ადამიანს ყველაფერი გამოგივიდეს და აჯობებდა, ისევ წერიტა და საჯარო გამოსვლებით გამოემხატა ჩემი დამოკიდებულება ძალადობის მიმართ. რამდენიმეჯერ ისიც კი გავიფიქრე, რომ კოლეგებისთვის ბოდიში მომეხადა და რეპეტიციაზე აღარ მივსულიყავი, თუმცა ბოლოს მივხვდი: წერა ჩემთვის კომფორტია, პროტესტის გამოხატვა კი ხშირად კომფორტის ზონიდან გამოსვლას გულისხმობს, შიშის დაძლევისა და იმ ნაბიჯების გადადგმას, რომლებიც მანამდე არასოდეს გადაგიდგამს.

ჩემი ექსპერიმენტი წარმატებით დასრულდა. ვერ გეტყვით, რომ ცეკვა შემიყვარდა, მაგრამ საკუთარი თავის უფრო მეტად დავიჯერე, ვიდრე აქამდე მჯეროდა. დავიჯერე, რომ ჯობია, შიშს თვალებში უყურებდე და ისე ებრძოდე, ვიდრე თავზე ბალიშწაფარებული კანკალებდე, თვალებში შესცქეროდე მოძალადე ქმარს, რომელსაც საკუთრება ჰგონიხარ, კოლეგას, რომელსაც მხოლოდ სქესის გამო არ მიაჩნია წინსვლის ღირსად, მეზობელს, რომელიც ოჯახის დანგრევის გამო გციხავს, საზოგადოებას, რომელმაც დაბადებიდანვე მიგიჩინა ადგილი და მისი შეცვლის საშუალებას არ გაძლევს.

შიში თავისით არ გაქრება, არ მობეზრდება შენს ჩრდილში ცხოვრება და არ მიგატოვებს. მისი დამარცხება კი, ისევე, როგორც ძალადობის, შესაძლებელია.

მთავარია, საკუთარი თავის გვჯეროდეს.

მთავარია, გვჯეროდეს რომ ჩვენ, ქალები, მეტს ვიმსახურებთ, რომ ჩვენ, ქალებს, ყველაფერი გამოგვივა.

ნდობა და სხვა წამლები

კადრი, რომლის გახსენებასაც ხშირად ვცდილობ, ძალიან ბუნდოვანია. 1992 წლის ზაფხულია. მზე ანათებს. ჩემი სკოლის წინ ვდგავარ დედაჩემსა და საშუალო ასაკის კაცს შორის, რომელიც, ვიცი, სკოლის დირექტორია.

– დამიტოვეთ საბუთები, ქალბატონო, – ეუბნება დირექტორი დედაჩემს, – სხვა სკოლა რომ ასახელოს ამ ბავშვმა, მერე უნდა ვინანო, რომ არ მივიღე.

ნ წლის ნოემბერში ვხდებოდი. ბალი არ მიყვარდა, როგორც ამბობენ, სწავლისთვისაც მზად ვიყავი, ამიტომ ოჯახში გადაწყდა, წელი არ დამეკარგა და სკოლაში წავსულიყავი. ერთგან ასაკის გამო არ მიმიღეს და დედაჩემმა გადაწყვიტა, ბედი ქუთაისში ცნობილ მესამე სკოლაში ეცადა. თავიდან იქაც უარი გვითხრეს, მერე კი, გაწბილებულებს და დასევდიანებულებს, დირექტორი წამოგვეწია და საბუთები დაგვატოვებინა. ასე გავხდი მოსწავლე.

ჩემს სიცოცხლეში პირველად ალბათ მაშინ მენდნენ, მენდნენ ხუთი წლისას, როცა კარგად ვერც ვაცნობიერებდი, როგორ უნდა მესახელებინა სკოლა ამ პატარა გოგოს, რა უნდა შემემატებინა სასწავლებლისთვის, რომელიც იმდენმა სახელოვანმა ადამიანმა დაამთავრა, რომ ხუთი წლის ბავშვის თითები და გონება მათ ჩამოთვლას ნამდვილად ვერ გასწვდებოდა.

დირექტორი, რომელმაც სკოლაში მიმიღო, მანამდე გარდაიცვალა, სანამ მე და ჩემი კლასელები სტუდენტები გავხდებოდით. მას ჩემი მნიშვნელოვანი წარმატებები არ უნახავს. ვერც იმას ხედავს, როგორ ვცდილობთ მე და ჩემი ბავშვობის მეგობრები, ბოლოს და ბოლოს, თავი მოვაბათ სკოლის შესასვლელთან დაფის განთავსებას ცნობილი კურსდამთავრებულების სახელებითა და გვარებით, ვერ ხედავს, რომ ყოველთვის, როცა ჩემს სკოლაზე ვლაპარაკობ, ხმა და თვალები უჩვეულო სიამაყით მეცლება. არც ის იცის, რომ ეს სწორედ იმ ნდობის შედეგი მგონია, რომელიც ოდესღაც მან გამოიჩინა ჩემ მიმართ.



მეორე კადრი 2008 წლის ზაფხულისაა. საბერძნეთის საზოგადოებრივი ტელევიზიის თესალონიკის ბიუროს დერეფანში ვზივარ და ველოდები, როდის მიმი-

ლებს საინფორმაციო სამსახურის უფროსი. საბუთები ამჯერად უკვე თავად მიჭირავს. არც დედა მახლავს. მაგისტრატურაში ვსწავლობ. ექვსთვიანი პრაქტიკის გავლა აუცილებელია. ჩემი ბერძნული უნივერსიტეტი დიდად არ ითვალისწინებს სტუდენტების სურვილებს პრაქტიკის გასავლელად ორგანიზაციების შერჩევისას, მე კი ტელევიზიაში მინდა, ძალიან მინდა. ამიტომ თავხედობა მყოფნის, აქ ვიჯდე და მთელი ძალით ვუჭერდე თითებს ფაილში სათუთად ჩადებულ სივის.

საბერძნეთში ქართველებს ნამდვილად არ გვაქვს შესაშური რეპუტაცია, ამიტომ ტელევიზიისკენ მიმავალი უარს უფრო ველოდი. კაცმა, რომელსაც დაბალი წვერი და კეთილი თვალები ჰქონდა, ჩემს სივის ყურადღებით გადახედა, რამდენიმე კითხვა დამისვა და ბოლოს მითხრა:

— შეგიძლიათ, ხვალიდან მოხვიდეთ.

მე მისი სახეც მახსოვს, სახელიც და გვარიც. არც არასოდეს დამავიწყდება. უფრო მეტიც — მის ხელმოწერასაც გამოვარჩევ ათას სხვაში. ადამიანმა, რომელსაც კოლეგები გაკვირვებით ეკითხებოდნენ, როგორ აიყვანა პრაქტიკანტად „ქუჩიდან მისული“ ქართველი სტუდენტი, ჩემ წინ სრულიად ახალი კარი გააღო. ასეთი ნდობა ზოგჯერ სიყვარულზე მნიშვნელოვანია.



შარშანდელი ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს ჩემთან მოსულ მეგობრებს თან თავიანთი მეგობრები მოჰყვნენ. სანამ მე სამზარეულოში ოლადებს ვაცხობდი (როგორც იშვიათი მოვლენა, ეს აუცილებლად უნდა აღმენიშნა), სტუმრები იმ ოთახში ისხდნენ, სადაც ვმუშაობ. პატარა ოთახია, მაგრამ წიგნების მთელ გორებს იტევს, წიგნებისას, რომლებსაც ვკითხულობ, ვთარგმნი, ტრენინგების ჩასატარებლად ვიყენებ და ასე შემდეგ. იქვეა ჩემი ერთგული ლეპტოპი, მეგობრების ნაჩუქარი განუყრელი ნივთები — საბეჭდი მანქანა და ყვითელი სანათი — და პატარა თარო, სადაც, რამდენიმე სუვენირთან ერთად, ძალიან სასხვათაშორისოდ დევს ჩემი სადებიუტო წიგნისთვის მიღებული „საბას“ სიმბოლოც. ოლადების შიშხინში შორიდან მოისმა ერთ-ერთი სტუმრის შეკითხვა:

— ეს ნამდვილია?

„საბაზე“ კითხულობდა. მე ჯერ გამეცინა, მერე კი მივხვდი, რომ ურიგო არ იქნება, ზოგჯერ თვითონაც ვეკითხებოდე საკუთარ თავს: ეს ჯილდოები, წიგნები, რომლებსაც ჩემი სახელი და გვარი აწერია ავტორის ან მთარგმნელის

რანგში, ვიზებითა და ბეჭდებით სავსე პასპორტები ნამდვილია? ხომ არ მესიზმრება? წარმოვიდგენდი კი ამ ყველაფერს ათი წლის წინ? როგორ მოვედი აქამდე?

კარგად მახსოვს ის დღე, როცა ზვიად კვარაცხელიამ დამირეკა და მითხრა, რომ გამომცემლობა „ინტელექტს“ ჩემი ლექსების კრებულის გამოცემა სურდა. დავიბენი. ალაგ-ალაგ ვაქვეყნებდი დიდი პაუზის შემდეგ ხელახლა დაწყებული წერის შედეგად თავმობმულ ლექსებს და მათ წიგნად აკინძვამე არ ვფიქრობდი. ვერც წარმომედგინა, თუ რომელიმე გამომცემლობას დავაინტერესებდი. პოეზიის გამოცემა დღეს საქართველოში მომგებიან საქმედ არ მიიჩნევა, მით უმეტეს, თუ ავტორი დებიუტანტია და მისი სახელი ბევრს არაფერს ამბობს. მაშინ მიგხვდით, რომ მენდნენ, ახლა კი ვხვდები, რომ სწორედ ამ ნდობამ მოიტანა ჩემს ცხოვრებაში ბევრი ცვლილება, ბევრი კარგი დღე, სრულიად ახალი, საუკეთესო ადამიანებიც კი მოიყვანა.

არ ვიცი, ადამიანის ბუნების ბრალია თუ ეპოქის, რომელშიც ვცხოვრობთ, მაგრამ ფაქტია, რომ ერთმანეთის ნდობა, როგორც წვრილმანებში, ასევე დიდი და მნიშვნელოვანი საქმის კეთებისას, იშვიათობადაა ქცეული. ჩვენ კი ისე გვჭირდება ერთმანეთი, ისე გვჭირდება სიხარულისა და ტკივილის გაზიარება, ისე გვჭირდება დაძაბულობისგან დაცლა და მეტი ღიმილი, რომ ვერც წარმოგვიდგენია.

როცა პატარა ვიყავი, დედაჩემი ხშირად ამბობდა, რომ შვილთან ურთიერთობისას მისი დევიზია „ენდე და შეამოწმე“. შემოწმებას წინ არაფერი უდგას, მაგრამ მანამდე მთავარია, ძალა გამოვძებნოთ და ერთმანეთს ვენდოთ.

განსხვავებულობის შესახებ

იყო და არა იყო რა. არც ისე უხსოვარ დროში, არც ცხრა მთასა და არც ცხრა ზღვას გადაღმა, არც მოჯადოებულ სამეფოში და არც ზღაპრულ მხარეში, ხალხი სოციალური ქსელების გარეშე ცხოვრობდა, ცხოვრობდა უფრო მშვიდად, ვიდრე დღეს. მაშინ ადამიანები მარილისა და შაქრის სათხოვნელად მეზობელთან გადადიოდნენ, ერთმანეთისთვის რაიმე მნიშვნელოვანის სათქმელად ჯერ წერილებს, მერე ტელეფონს, ცოტა უფრო გვიან კი მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს იყენებდნენ. მხოლოდ ყველაზე ახლობლებმა იცოდნენ, ვინ სად დადიოდა დღის განმავლობაში, ვინ ვისთან ერთად სადილობდა და ვახშობდა, ვინ სად ისვენებდა და მოგზაურობდა.

ერთ დღეს ჩვენ, ყველანი, ავდექით და ვირტუალურ სივრცეში გადავბარგდით, ავაშენეთ „კედლები“, მოვიწყვეთ „სახლები“, გავიჩინეთ ნაცნობ-მეგობრები და სხვანაირად განვავრდეთ ცხოვრება, გამჭვირვალედ, სხვების დასანახად, საგანგებოდ შერჩეული ლოკაციებით, სიტყვებით, ღიმილით, ურთიერთობებით. სხვებს არ გკიცხავ, თითო არავისკენ ვიშვერ, ჭკუასაც არ ვარიგებ ვინმეს – მე თვითონ, როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი და როგორც ადამიანი, ისე ვარ მიბმული სოციალურ ქსელებზე, ველარც პირადი ცხოვრება წარმომიდგენია მუდმივი სქროლვისა და მიმოწერის გარეშე და ვერც საქმის კეთება.

ამ წერილის წერა სულაც არ დამიწყია იმისთვის, რომ სოციალური ქსელების გამოყენების ავკარგიანობაზე ვილაპარაკო. ფეისბუქის „კედლებში“ საიმედოდ გამაგრებული ადამიანების რაოდენობაზე მეტად, მე სხვა რამ მაშფოთებს – ტენდენციები, რომლებსაც ვხედავ და გვერდს ვერ ვუვლი.

სოციალურ ქსელებში ჩვენ, ყველამ, საკუთარი ადგილის პოვნა ვცადეთ. ზოგი საკუთარი საქმიანობის პოპულარიზაციას ეწევა, ზოგი – ქველმოქმედებას, ზოგს ბედნიერი პირადი ცხოვრება გამოაქვს სააშკარაოზე, ზოგი კი ნაჩუქარი ნივთების გამოფენას მართავს. თუმცა არავის, არცერთ კატეგორიას, არ ავიწყდება, სხვის ცხოვრებას თვალი ადევნოს და პირველივე შესაძლებლობისთანავე, გაკიცხვის და ჭკუის სწავლების შანსი ხელიდან არ გაუშვას.

სოციალურმა ქსელებმა კარგად გამოაჩინა, როგორ გვიყვარს ერთმანეთის საქმეში ცხვირის ჩაყოფა, თავის სხვაზე აღმატებულად წარმოჩენა, ზოგჯერ ყალბი თავმდაბლობა და უფრო მეტიც, მრავალგზის ხსენებული სოციალური ქსელები სწორედ იმიტომ გვიყვარს, რომ თავისუფალ, შეუზღუდავ ტრიბუნას გვაძლევს, ვთქვათ ყველაფერი, რის თქმასაც სხვა დროს მხოლოდ საკუთარ სამზარეულოში შევძლებდით და საუკეთესო შემთხვევაში, რამდენიმე მეზობელი და მეგობარი თუ მოგვისმენდა.

კედელს რომ ჩამოვყვები, გხედავ, როგორ მოძღვრავენ ერთმანეთს ჩვეულებრივი დიასახლისები, შესანიშნავი დიასახლისები და არაჩვეულებრივი დიასახლისები, ახალბედა დედები, გამოცდილი დედები და მრავალშვილიანი დედები, კარგი ცოლები, უფრო კარგი ცოლები და საუკეთესო ცოლები, ვაჟკაცები, ნამდვილი ვაჟკაცები და მოლიბერალო ვაჟკაცები, ჭკვიანები, ძალიან ჭკვიანები და ყველაზე ჭკვიანები და ასე, დაუსრულებლად. დაკვირვებული ვარ, რომ მამები ერთმანეთს ძალიან იშვიათად მოძღვრავენ. მიზეზი მარტივია – მათ უმრავლესობას წარმოდგენა არა აქვს ბავშვის აღზრდაზე.

ყოველდღე ვკითხულობ, როგორ გამოხატავენ აღშფოთებას ადამიანები სხვების ცხოვრების გამო. აღშფოთებას იწვევს ყველაფერი, სოციალურ ქსელში ზედმეტი აქტიურობით დაწყებული, პოლიტიკური მოსაზრებებით დამთავრებული.

თქვენ ალბათ გგონიათ, რომ აი, ახლა, მეც იმავეს ვაკეთებ, ვდგავარ და ხმა-მაღლა გავყვირი, რა მაღიზიანებს, ჭკუას ვისწავლები და სხვებს მივუთითებ, რა წერონ და რა არა. სინამდვილეში კი ის მაწუხებს, რაც ჩემთვის დღესავით ნათელია – ჩვენ ერთმანეთს ვერ ვეგუებით, ჩვენ არ შეგვიძლია, სხვა ადამიანები მივიღოთ ისეთები, როგორებიც არიან, ისე, როგორც ცხოვრობენ. ვერ ვიჯერებთ, რომ განსხვავებები ნორმალურია, რომ ზოგი ნამცხვრებს აცხობს და თავად უვლის შვილებს, ზოგს კი რთული სამუშაო გრაფიკი აქვს და ძიძის დახმარება ესაჭიროება, ზოგს ბათუმში ურჩევნია დასვენება, ზოგს – ხევსურეთში, ზოგი კი სულაც კანარის კუნძულებზე ატარებს შვებულებას და ეს ნორმალურია.

არ ვიცი, მიზეზი რა არის, რა გვაიძულებს, ხელი ვკრათ ყველას, ვინც ჩვენსავით არ ფიქრობს და ჩვენგან განსხვავებული ყოფა აქვს. არასწორი აღზრდა? თვითრეალიზაციის პრობლემა? იქნებ სიყვარულის ნაკლებობა? ეს, ალბათ, რთული და გრძელვადიანი კვლევის საგანია. თუმცა ხანდახან მაინც მეფიქრება, რა ადვილი იქნებოდა ამ უმნიშვნელო განსხვავებების მიღება, ერთმანეთის თვალში ბეწვის ძებნით თავს რომ არ ვიღლიდეთ, ან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვა, ოდნავ მეტად რომ გვიყვარდეს ერთმანეთი.

გმირები და ადამიანები

„მეგობრობის დღიურები“ გახსოვთ? მე და ჩემი თაობა „მეგობრობის დღიურის“ ეპოქაში გავიზარდეთ. რა კითხვას აღარ წააწყდებოდით სერიალების და ჰოლივუდის ვარსკვლავების ფოტოებით აჭრელებულ, ფერად-ფერადი ფლომასტერებით მოხატულ ფურცლებზე. ყველაზე ხშირად სტანდარტული შეკითხვები შეგხვდებოდათ მოსწავლეებისთვის საჭირობოროტო საკითხების შესახებ. დღიურის პატრონს აუცილებლად აინტერესებდა, ვინ ვისი საუკეთესო მეგობარი იყო (პასუხს ხშირად ხანგრძლივი გაბუტვა მოსდევდა საუკეთესო მეგობრად მოხსენიების მომლოდინეთაგან), რომელი იყო საყვარელი ფილმი (აქ „ტიტანიკი“ ლიდერობდა), საყვარელი საგანი (სიმრავლით ფიზკულტურის მოყვარულთა ჯგუფი გამოირჩეოდა, მაშინაც კი, როცა არც ფიზკულტურის დარბაზი გაგვაჩნდა და არც გაკვეთილები გვითარებოდა), ვის ლექსებს ვკითხულობდით ყველაზე ხშირად (მეხუთე კლასშიც ყველას გალაკტიონი გვიყვარდა, მეშვიდედან უფრო ტერენტიზე გადავერთეთ, სკოლის დამთავრების შემდეგ კი ისევ გალაკტიონს დავუბრუნდით).

ზოგჯერ განსხვავებულ კითხვებსაც წააწყდებოდით სამომავლო გეგმების, ანტიპათიის გამომწვევი ადამიანების ან სულაც, იდეალის შესახებ. „ვინ არის თქვენი იდეალი?“ – გვეკითხებოდნენ თანაკლასელები და სრულიად გაუცნობიერებელ პასუხებს ელოდნენ, რადგან მაშინ ჩვენ წარმოდგენა არ გვქონდა, როგორი გვინდოდა, ყოფილიყო ჩვენი ცხოვრება და მეტიც, თურმე ზოგჯერ არც ის ვიცოდით, როგორები იყვნენ ის ადამიანები, ვინც ჩვენ მისაბაძად მიგვაჩნდა.

მე არასოდეს მყოლია იდეალი. უფრო სწორად რომ ვთქვა, არც არასოდეს მჭირდებოდა, მყოლოდა. არც ახლა ვეძებ იდეალურ ადამიანებს. თქვენ წარმოიდგინეთ, მაშინებს კიდევაც იმაზე ფიქრი, რომ შესაძლოა, სადღაც, ჩემგან შორს, შეიძლება, არსებობდეს ვინმე უნაკლო, რომელიც ყველასთვის მაგალითად იქცევა და ამით სხვებს შეუზღუდავს თავისუფლებას, იყვნენ ისეთი უბრალოები, როგორებიც არიან.

არადა, ჩვენ, ადამიანები, ყოველთვის ვცდილობთ, ვიპოვოთ მისაბაძი მაგალითები, ვეძებთ მათ საუკუნეების სიღრმეში, წიგნებში, ლეგენდებში, ტე-

ლეეკრანებზე და ბოლო დროს, სოციალურ ქსელებშიც. მოთხოვნები საკმაოდ მკაცრი გვაქვს – ჩვენს გმირებს შეცდომების დაშვება არ ეპატიებათ, მათი სიტყვა კანონზე მაღლა უნდა იდგეს, მაშინაც კი, როცა თანასწორობის პრინციპზე დაფუძნებული სახელმწიფოს მშენებლობაზე ვაცხადებთ პრეტენზიას. სხვანაირად არ შეგვიძლია.

ცოტა ხნის წინ ჩემმა ყოფილმა მასწავლებელმა მითხრა: „მე დემოკრატიასა და სამოქალაქო საზოგადოებაზე ველაპარაკები ჩემს მოსწავლეებს, ისინი დავით აღმაშენებელზე მელაპარაკებიან“. რა თქმა უნდა, წარსული და ისტორიული მესხიერება მნიშვნელოვანია, მაგრამ წარმოიდგინეთ, როგორ უნდა იცხოვროს ჩვეულებრივმა ახალგაზრდამ, რომელსაც იდეალად დავით აღმაშენებელი აურჩევია და სასახელო საქმედ მხოლოდ ქვეყნის ნიკოფსი-იდან დარუბანდამდე გაერთიანებას მიიჩნევს? მას ხომ, დიდი ალბათობით, არც სამეფო ტახტი ერგება და არც მრავალათასიანი არმიის შეკრება მოუწევს დაკარგული მიწების დასაბრუნებლად?

ბოგჯერ ძნელი დასადგენია, სად მთავრდება იდეალების მიზანძვის სურვილი და სად იწყება იმედგაცრუება, სად კვეთენ ერთმანეთს პატრიოტიზმი და მოქალაქეობრივი თვითშეგნება, სად ვეძებთ გმირობას და სად ვკარგავთ ადამიანობას, ანუ იმას, რაც ყველაზე ძალიან გვჭირდება.

რატომღაც ხშირად გვავიწყდება, რომ ყველას გვერგო ჩვენი წილი სამშობლო, ჩვენი საქმე, პასუხისმგებლობა, სიყვარული და პატიება, რომ ყველამ სწორედ იმ პაწაწინა მიწიდან უნდა დავიწყოთ შენება, რომელზეც ვდგავართ. უფრო სწორად, საკუთარი თავით დავიწყოთ ცვლილებები, თორემ ერთ დღეს აღმოვაჩინეთ, რომ ქვეყანას, რომელიც ასე ამაყობს თავისი გმირებით, ადამიანები აღარ ჰყავს.

რამდენიმე დღის წინ სოციალურ ქსელში საინტერესო ინფორმაციას წავაწყდი – ახალგაზრდების ჯგუფი მოუწოდებს მოქალაქეებს, წერილი დაუტოვონ პანდუსებზე შეყენებული ავტომანქანების მძღოლებს და აუხსნან პანდუსის დანიშნულება, ოღონდ წერილი არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაიწეროს უხეშად, სალანძღავი სიტყვებით. დღეს სწორედ ასეთი აქტივიზმია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, ასეთი ხალხი, ვინც არ დაიზარებს, კარდაკარივლის და შეეცდება, რამდენიმე ნაბიჯი მაინც გადაადგმევინონ წინ საზოგადოებას.

დღეს ჩვენ გვჭირდება ადამიანები, რომლებიც საქართველოს ყველაზე მიუდგომელ და მცირერიცხოვან სოფლებში წიგნებს ჩაიტანენ, რომლებიც

ქუჩაში ნაგავს არ დაყრიან, გაკვეთილებს და ლექციებს არ გააცდენენ, კედლებზე უშინაარსო წარწერებს არ ამოკაწრებენ, განსხვავებული აზრის გამო არავის შეურაცხყოფენ, ძალადობაზე უარს იტყვიან და არასოდეს იცრუებენ უმრავლესობისთვის თავის მოსაწონებლად. არც ისე რთულია, მივხვდეთ, რომ ადამიანობა გმრობაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია. ხოლო დავით აღმაშენებელი და პასუხისმგებლობით სავსე სამოქალაქო საზოგადოება ერთმანეთს ხელს არათუ უშლის, არამედ უწყობს კიდევაც.

ჩემი საყვარელი ქალაქის, ვილნიუსის ცენტრში, ერთი ულამაზესი ადგილია – უჟუბისის რესპუბლიკა, ხელოვანთა უბანი, რომელსაც საკუთარი კონსტიტუცია გააჩნია. მე თუ მკითხავთ, ყველაზე ადამიანური კონსტიტუცია არსებულთა შორის. უჟუბისის კონსტიტუციაში წერია:

- „ 4. ადამიანს აქვს უფლება, დაუშვას შეცდომა.
- 5. ადამიანს აქვს უფლება, იყოს ერთადერთი.
- 6. ადამიანს აქვს უფლება, უყვარდეს.
- ...
- 20. ადამიანს არა აქვს ძალადობის უფლება.
- ...
- 30. ადამიანს აქვს უფლება, იყოს თავისუფალი.
- 31. ადამიანი პასუხს აგებს საკუთარ თავისუფლებაზე“.

მარტივია, არა?

ოდესღაც გმირებმაც ადამიანობით დაიწყეს.

ჩვენი წილი პასუხისმგებლობა

— აქ სულ ვაშლის ხეები გვექონდა. ეზო რომ გადაგვიწვეს, უზარმაზარი ვაშლები ესხა. თვალწინ მიდგას, როგორ ეკიდა ცეცხლი ვაშლებით დახუნძლულ ტოტებს... — მიყვება ჩემი ერგნეთელი მასპინძელი, სანახევროდ აღდგენილი სახლის წინ დგას და ხელის მოძრაობით მიხსნის, როგორი ნაყოფი ჰქონდა მის ვაშლის ხეებს, რომელიც გაუნადგურეს. თმა ზღაპრის წიგნის ბებოსავით გასთეთრებია, ცუდად ესმის, მაგრამ მის მეხსიერებას დეტალები ნათლად შემოუნახავს. ოთხმოც წელსაა გადაცილებული და ახალი ცხოვრება რამდენიმე წლის წინ დაიწყო თავის ოჯახთან ერთად. მისთვის არავის უკითხავს, უნდოდა თუ არა, მზად იყო თუ არა, ჰქონდა თუ არა სულიერი ძალა ან მატერიალური შესაძლებლობა. უბრალოდ, ასე მოხდა. ზოგჯერ ადამიანები საკუთარი ბედის ბატონ-პატრონები სულაც ვერ ვართ.

ისტორიები გადამწვარ ბალებზე, ცეცხლში გახვეულ ვაშლებსა და მანდარინებზე საქართველოში აღარავის უკვირს. უფრო მეტიც, ზოგჯერ მეჩვენება, რომ სენტიმენტები დავგიბლაგვდა, იმ საზოგადოებად ვიქეცი, რომლის წევრებიც თავდაცვით ნაგებობებს დიდი მონდომებით აშენებენ, რათა კედლებს მიღმა დარჩენილებს შემთხვევით თვალი არ მოჰკრან. ალბათ ესეც თვითგადარჩენისკენ სწრაფვის ნაწილია — შეინარჩუნო ემოციური წონასწორობა და სიმშვიდე, თუნდაც სხვების გასაჭირზე თვალის დახუჭვის ფასად.

რამდენიმე დღის წინ ფეისბუქზე საინტერესო პოლემიკას შევესწარი — განიხილებოდა, უნდა დაეხმაროს თუ არა სახელმწიფო სოციალურად დაუცველებს, უმუშევრებს, დევნილებს. „რატომ ჩვენი ხელფასის ხარჯზე?“ „რატომ ჩვენი შრომის ხარჯზე?“ „ხელი გაანძრიონ და ეშველებათ!“ — ისმოდა ჩემს თაიშლაინზე. გულახდილად რომ ვთქვა, ადამიანების ერთმანეთისადმი გულგრილობა აღარ მაკვირვებს, აღარ მაკვირვებს ხმამაღალი შეძახილები: „მე თუ შევძელი, სხვებმა რატომ ვერ შეძლეს?“ ბოლო დროს განსაკუთრებით ვერიდები ასეთ პოლემიკაში ჩართვას, რადგან, როგორც ყველას, თავდაცვისა და წონასწორობის შენარჩუნების საკუთარი მექანიზმი მეც გამაჩნია, მაგრამ ზოგჯერ მაინც მიჭირს მოთმენა. თავი ვერც ამჯერად შევიკავე.

გამოდის, ქვეყანაში, სადაც უმუშევრობის მაჩვენებელი სრულ შეუსაბამო-ბაშია უმაღლესი განათლების მქონე ადამიანების რაოდენობასთან, სადაც საუკეთესო უნივერსიტეტების კურსდამთავრებულებსაც კი ხშირად უჭირთ სამსახურის პოვნა, სადაც არ არსებობს დასაქმების პოლიტიკა, სადაც თან-მიმდევრული კარიერული ზრდაც კი სირთულეს წარმოადგენს, ჩვენ ვთხოვთ ადამიანებს, რომლებიც ყოველდღე იბრძვიან გადარჩენისთვის, სახელმწი-ფოს მოხსნან ყოველგვარი პასუხისმგებლობა და თავს ისე მიხედონ, რომ ჩვენ არც კი გავიგოთ მათი არსებობის შესახებ.

გამოდის, ჩვენ მიერ გადახდილი გადასახადების სწორედ ის ნაწილი გვე-ნანება და გვაფიქრებს ყველაზე მეტად, რომელიც სოციალურად დაუცველ და დევნილ მოსახლეობას ხმარდება, თითქოს არასოდეს გავგეტანებინოს ქა-რისთვის ერთი თეთრიც კი.

გამოდის, რომ ჩვენს ქვეყანაში ყველა ისე ცხოვრობს, როგორც თავად მოისურვებს და სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი უამრავი ადამიანი, უბ-რალოდ, საკუთარი არჩევის საფუძველზე ცხოვრობს სრულიად გაუსაძლის პირობებში.

გამოდის, საკუთარი ხალხის შესახებ არაფერი ვიცით.

მე შევხვედრივარ ადამიანებს, რომლებიც უარს ამბობენ შედარებით მაღა-ლანაზღაურებად დროებით სამუშაოზე, რადგან ასეთის არსებობის შემთხვევა-ში, ისინი ავტომატურად კარგავენ სახელმწიფო დახმარებას, რომლის მოგვი-ანებით აღდგენაც საკმაოდ რთულია. თუ ვინმე მეტყვის, რომ სამსახურის და-კარგვისგან დაზღვეული არავინაა, მე ვუპასუხებ, რომ განსაკუთრებით ძნელია, როცა საზღვრისპირა სოფელში ულუკმაპუროდ რჩები, ამიტომ ადამიანების არჩევანს, ჰქონდეთ რეგულარული, მიზერული შემწეობა, ცალსახად სიზარ-მაცეს ვერ მივაწერ. მათ ეშინიათ, ეშინიათ გაურკვეველი მომავლის, ზოგიერ-თისთვის ალბათ რთულად გასაგებია და შიმშილის ეშინიათ, რომელიც მუდამ ჩასაფრებულია ზღურბლთან და მშვიდად ცხოვრების საშუალებას არ აძლევთ.

მე შევხვედრივარ ადამიანებს, რომლებსაც საერთაშორისო ან არასამ-თავრობო ორგანიზაციების მიერ ნაჩუქარი მაცივრისა და ტელევიზორის გამო სახელმწიფო დახმარება მოეხსნათ. ძნელია, ასეთ ადამიანებს უმტკიცო, რომ ყველაფერი მათზე დამოკიდებული და საკუთარი ცხოვრების ბატონ-პატრო-ნები თავად არიან.

ვყოფილვარ დევნილთა ჩასახლებებში და მინახავს, როგორ ამუშავებენ ისინი სულ რამდენიმე კვადრატულ მეტრ მიწას, როგორ უვლიან პაწაწინა

ბოსტანს და რამდენიმე ნერგს, უვლიან და ალბათ შორს დარჩენილი მშობ-
ლიური ეზოს ვაშლები და მანდარინები უდგათ თვალწინ, ცეცხლის ალში გახ-
ვეული ვაშლები და მანდარინები. წარმოუდგენელია, ამ ხალხს შრომის მნიშ-
ვნელობაზე წაუკითხო ლექცია. მათ ისედაც ყველაფერი კარგად იციან.

ცხადია, იმის თქმას არ ვცდილობ, რომ ზარმაცი ადამიანები არ არსებობენ,
თუმცა სიღარიბე რომ ყოველთვის სიზარმაცის შედეგი არაა, ამაში საკუთარი
გამოცდილებაც მარწმუნებს.

სამშობლოს არ ირჩევენ. სამშობლო ან გპატრონობს, ან შენგან ითხოვს
პატრონობას. სამშობლო მართო მიწა და სოციალურ ქსელებში გასაზიარებე-
ლი ლამაზი ხედები არაა. სამშობლო, პირველ რიგში, ის ხალხია, ვისაც ჩვენ
ხშირად ვუბზუბთ ცხვირს, ვისაც „ჩამოთრეულებს“ ვეძახით, ვისი ტრაგედია
არ გვანტერესებს, ვისი დამსკდარი ხელებიც ახლოდან არასოდეს გვინახავს,
ის ხალხია, ვისთვისაც ჩვენი შემოსავლის ნაწილის გაღება გვენანება.

არც დემოკრატიული სახელმწიფოს მოქალაქეობა ნიშნავს მხოლოდ სა-
კუთარ უფლებებზე ზრუნვას. ჩემი აზრით, ის უფრო პასუხისმგებლობის აღე-
ბას გულისხმობს, პასუხისმგებლობის აღებას მათზე, ვისი ცხოვრებაც ჩვენი
ცხოვრებისგან განსხვავდება, ვისაც ჩვენზე მძიმე ხვედრი ერგო.

ალბათ ადამიანობაც სულ ესაა.

სხვისი შვილები

მინდა, ჩემს ოცნებაზე გიამბოთ. დიდხანს ვფიქრობდი, ეს წერილი როგორ დამეწყო და გადავწყვიტე, იმ ოცნებაზე მოვყვე, რომელიც გარშემომყოფებში უფრო ხშირად იწვევს ღიმილს, ვიდრე სხვა, გაცილებით მასშტაბური ოცნებები. ხშირად მითქვამს, რომ ძალიან მინდა, ბავშვი ვიშვილო, ოღონდ მაშინ, როცა საკუთარი შვილები უკვე მეყოლება. როცა ამას ვამბობ, ჩემს მსმენელებს ჯერ უკვირთ, მერე ეცინებათ, ბოლოს სერიოზულდებიან და მეუბნებიან, რომ ასეთი გადაწყვეტილების მიღება რთულია, მით უმეტეს, ჩვენს საზოგადოებაში.

არადა, სინამდვილეში ჩვენთან ადვილი არაფერია. მგონი, უბრალოდ, ასეთები გამოვდებით – ყველაფერს ვხლართავთ და კუდს ვაბამთ, ოღონდ, როგორც წესი, საკუთარი ცხოვრება არ გვყოფნის ასარევად და სხვის ცხოვრებაშიც ვაფათურებთ ხელს. ცხადია, როცა იმ საზოგადოების წევრი ხარ, რომელიც ბავშვის შვილად აყვანას მხოლოდ გარდაუვალი აუცილებლობისა და გამოუვალი მდგომარეობის შემთხვევაში ამართლებს, მართლაც ვერ მიიღებ გადაწყვეტილებას, რომელიც ცხოვრებას შეგიცვლის.

არ ვიცი, რისი ბრალია ასეთი დამოკიდებულება – შიშის, სტერეოტიპების, კომპლექსების, ეჭვების თუ სიყვარულისა და ემპათიის ნაკლებობის. ალბათ ყველაფრის ერთად, ყველაფრის, რაზე ფიქრი და ლაპარაკიც არ გვიყვარს.

არც ისე დიდი ხნის წინ კახეთის სოფელში პატარა ბიჭმა მოიკლა თავი. აქოთქოთდა მთელი ქვეყანა, ფეხზე დადგა მედია, კამერებთან დააყენეს და ალაპარაკეს სკოლის დირექტორი, ნათესავები, მეზობლები... ბოლოს ვიღაცამ ამოთქვა – უთხრეს, რომ ნაშვილები იყო. ჩემთვის წარმოუდგენელია, როგორია ამ სიტყვების სიმძიმე სინამდვილეში, როგორი ხდება სამყარო, როცა ბავშვური კინკლაობის დროს მეგობარი გეუბნება, რომ ის ქალი, საღამოობით საბანს რომ გიკეცავდა და სიმღერით გაძინებდა, დედაშენი არაა; რომ ის კაცი, ვის მხრებზე შემომჯდარიც ღრუბლებს წვდებოდი, თურმე არ ყოფილა მამაშენი; რომ არავის, ვისაც შენს ნაწილად მიიჩნევდი, ის სისხლი არა აქვს, რო-

მელიც შენს ძარღვებში მიედინება. ალბათ ამ დროს ყველაფერს ივიწყებ, ერთად გატარებულ საუკეთესო წუთებს, ბედნიერ დღეებს და მათ სიყვარულს, ვინც გაგზარდა, ძლევს შხამიანი ფიქრი, რომ მიგატოვებს.

როცა მომხდარ ტრაგედიაზე ვფიქრობდი, როცა პატარა ბიჭზე ვფიქრობდი, ყველა ისტორია გამახსენდა, რომელიც ბავშვობაში ჩემს გარშემო უფროსებს უჩურჩულიათ. ბევრი მათგანი სწორედ „აყვანილ“ ბავშვებს ეხებოდა. ამ სიტყვას განსაკუთრებული შიშით ამბობდნენ, უფრო ჩუმად, ვიდრე სხვა სიტყვებს. ისე ამბობდნენ, რომ მე ვერ გამეგონა. არადა, ყველაფერი მესმოდა და ჩემდა უნებურად, უფრო ადრე გავიგე ბევრი ადამიანის ცხოვრების შესახებ სიმართლე, ვიდრე თავად მათ. პრობლემის სათავეც სწორედ აქ უნდა ვეძებოთ. „ნაშვილები ხარ!“ – ისმის მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნასავით, ისმის არაკეთილგანწყობილი ადამიანების პირიდან, ისმის არასასურველი ქვეტექსტებით: „შენ მიგატოვებს, დაგივიწყებს, არ შეგიყვარებს...“ ისმის ისე, როგორც არ უნდა ისმოდეს, ისმის მათგან, ვისგანაც ასეთი ამბის გაგება ყველაზე ნაკლებად სასურველია.

გზას, რომელიც ოჯახის წევრების დაძაბულ ნერვებზე, გამეფებულ დუმილსა და საიდუმლოს გამჟღავნების მოლოდინზე წლების განმავლობაში გადის, არსაით მივყავართ. არსაით მივყავართ მცდელობას, თავი ავარიდოთ გულახდილ საუბარს ერთმანეთთან და სანამ ვინმე ჩვენთვის ყველაზე ძვირფას ადამიანებს მტკივნეული ფორმით ეტყვის სიმართლეს, დავასწროთ და თავად ვთქვათ, ვთქვათ ისე, როგორც ჩვენ გვესმის, როგორც ჩვენ გვჯერა. ვუთხრათ ადამიანებს, ვისაც შვილებად მივიჩნევთ, რომ მათ ყველაზე დიდი ბედნიერება მოგვიტანეს, რომ მათი არსებობის წყალობით განცდილი სიხარული ამქვეყნად ყველა სიხარულზე დიდია. ქვეყნებში, რომელთაც ბევრი მისმართულებით სამაგალითოდ ვთვლით, უამრავმა ადამიანმა ძალიან პატარა ასაკიდანვე იცის, რომ არაბიოლოგიური მშობლები ზრდიან და ეს არავისთვისაა ტრაგედია. უფრო მეტიც, ცხოვრებას უფრო ლალს და უსიამოვნო მოლოდინისგან დაცლილს ხდის.

მაშინ, ჩურჩულით მოყოლილ ამბებს რომ ვისმენდი, მეც ხშირად დავმდგარვარ სარკესთან და საკუთარ ნაკვთებს სათითაოდ დავკვირვებოვარიმაზე ფიქრში, ვიყავი თუ არა ნამდვილად ჩემი მშობლების შვილი. ფიზიკური მსგავსება, რომელიც ჩემსა და მამაჩემს შორის არსებობს, ეჭვებს ყოველჯერზე მიქარწყლებდა. თუმცა, რაც უნდა მომხდარიყო, დღეს ნამდვილად ვერ წარმომიდგენია, ვინ უნდა ყოფილიყო ჩემთვის უფრო ძვირფასი და მნიშვნე-

ლოვანი, ვიდრე ჩემი მშობლები, ვიდრე დედაჩემი, რომელმაც ჩემ გამო შეუძლებელი შეძლო. ალბათ ვერცერთი სიმართლე გადაწონიდა სიყვარულს, რომელიც ჩვენ ერთმანეთთან გვაკავშირებს.

დედაშვილობა სასწაულია, სასწაულია, როცა მუცლით ატარებ, აჩენ, ზრდი და გიყვარს ისე, რომ მისთვის ყველაფრის დათმობა შეგიძლია. თუმცა, მე თუ მკითხავთ, კიდევ უფრო დიდი სასწაულია, საკუთარივით შეიყვარო სხვისი შვილი და თუკი ოდესმე ვინმე გაგიბედავს, გითხრას, რომ ის შენი არაა, დაიტოვო უფლება, მისი ნათქვამის თავადაც არ გჰეროდეს, რადგან პირველ რიგში „არა სისხლი, არამედ გული გვანათესავებს“.

უმრავლესობის ქვეყანა

შარშან გაზაფხულზე, ბევრის აზრით, უცნაური გადაწყვეტილება მივიღე – ხორცზე უარი ვთქვი. დიდად არასოდეს მიყვარდა. პერიოდულად მანამდეც დამინებებია თავი ხორცის ჭამისთვის – ორი-სამი თვით, ბოლოს კი გადავწყვიტე, რომ რაც უსიამოვნო შეგრძნებას გიტოვებს, ჯობია, არ თქვა. ექიმებთან კონსულტაციები გავიარე და მეგობრებს და ახლობლებს გამოვუცხადე, რომ ახალ გასტრონომიულ ეტაპზე გადავედი. სოციალურ ქსელში ხმაური არ ამიტეხავს, არც არავის ველაპარაკები უხორცოდ ცხოვრების სიკეთეებზე, რადგან კვების საკითხები ჩემთვის უაღრესად ინტიმური და ინდივიდუალურია და გარშემოძეოფთათვის დისკომფორტის შექმნას მაქსიმალურად ვერიდები. მიზეზებზე და შედეგებზე საუბარს არც ახლა ვაპირებ. საერთოდაც, პირველად ვწერ ჩემი არცთუ ისე ახალი გადაწყვეტილების შესახებ. ვწერ კონკრეტული მიზეზის გამო.

სულ რაღაც ერთი კვირის წინ საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ და პრესტიჟულ სასტუმროში მოგხვდი ტრენინგის ჩასატარებლად. კურორტი, რომელზეც გესაუბრებით, იმ ადგილებს შორისაა, სადაც, როგორც წესი, თავმომწონედ „ვჩექინდებით“, ბევრ ფოტოს ვიღებთ, მერე სოციალურ ქსელში ვტვირთავთ, მეგობრები კი კომენტარებს არ იშურებენ და გვეუბნებიან, რომ სამოთხეში ვართ და ისინიც ისურვებდნენ ჩვენს ადგილას ყოფნას.

დამღლელი სამუშაო დღის შემდეგ სასტუმროს რესტორანში შესულმა აღმოვაჩინე, რომ ყველა ძირითადი კერძი, წვნიანის ჩათვლით, ხორცით იყო მომზადებული. ხმაური არ ამიტეხავს, არც მიჩხუბია. მენეჯერთან მივედი და წყნარად ვუთხარი, რომ მენიუს შედგენისას აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ მათი ინტერესები, ვინც ხორცს არ ჭამს. პასუხმა, რომელიც მივიღე, მსოფლიო ვერა, მაგრამ მე ნამდვილად გამაოგნა: „თქვენ რომ ხორცს არ ჭამთ, ჩვენი ბრალი არ არის!“

რა თქმა უნდა, პრობლემას არ წარმოადგენს, ადამიანმა, რომელიმე სალამოს, მშვიერმა დაიძინო, ან ხილზე გადაიარო. რა თქმა უნდა, კარგად მომეხსენება, რომ საქართველოს მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილი სრულფასოვნად ვერ იკვებება და ამ ფონზე, ჩემი უკმაყოფილება, თუკი მას ერთი

კონკრეტული მომხმარებლის პრეტენზიად განვიხილავთ, სასაცილოდ ჩანს, მაგრამ ჩემი მთავარი სათქმელი სხვაა. ის არ ეხება ერთ კონკრეტულ ვახშამს, ჩემს პირად უკმაყოფილებას, ან რომელიმე სასტუმროს არადამაკმაყოფილებელ სერვისს. საქმე ჩვენს დამოკიდებულებებშია, ჩვენს მიდგომებში, ჩვენი გონების მოწყობაში.

ჩვენ ვცხოვრობთ უმრავლესობის ქვეყანაში, რომელიც გზიდან გადახვევას არ გაატიობს, რომელიც არ გაატიობს, თუ ხინკლის წვეს სოკოს სუპი გირჩევნია, რომელიც თავზე გადგას და დაგყვირის, რომ უნდა იკვებო ისე, როგორც სხვები იკვებებიან, ძალით გიდეხს თეფშზე არასასურველ კერძს, ძალით გაცხოვრებს ისე, როგორც თავად მიაჩნია სწორად. ასე ხდება მაშინაც, როცა საკუთარი გადაწყვეტილებებით არავის აწუხებ, მაშინაც, როცა უბრალოდ, შენთვის, მშვიდად ყოფნას ცდილობ და მაშინაც, როცა ძალიან გინდა, პირადი სივრცე არავინ დაგირღვიოს.

რაც საზოგადოდ მიღებულია – ყველასთვის სავალდებულოა. ასე სჯერათ ჩვენთან და ეს დაჯერებულობა გენეტიკურად გადაეცემა თაობიდან თაობას, ყოველი შემდეგი თაობა კი მას ფართოდ ავრცელებს ყველაფერზე, იქნება ეს რელიგია, პოლიტიკა, სექსუალური ორიენტაცია, წეს-ჩვეულებები და როგორც ირკვევა, კვების რაციონიც კი. ადამიანებს, რომლებიც თავს უმრავლესობას ეძახიან, რატომღაც არასოდეს ერიდებათ, მოგიბრუნდნენ და გითხრან, რომ შენი განსხვავებულობა, შენი არჩევანი, მათი ბრალი არ არის.

დიახ, ჩემი არჩევანი მარტო ჩემია და მის განაწილებას არავისთან ვაპირებ, მაგრამ მე, ჩემი არჩევანითურთ, ამ საზოგადოების ნაწილი ვარ, როგორც ბევრი, ვინც აირჩია განსხვავებული ცხოვრება, განსხვავებულად კვება, განსხვავებულად ლოცვა, განსხვავებულად სიყვარული, ვინც დინების საწინააღმდეგოდ მოკლე მანძილზე მაინც გაცურა, ვინც არჩევნებზე მივიდა და ყველა პოლიტიკური პარტია გადახაზა, და ასე შემდეგ, დაუსრულებლად.

მინდოდა, ამ წერილით შემეხსენებინა ბევრისთვის (რადგან საკუთარ თავსაც პერიოდულად ვახსენებ, რათა შეცდომებისგან დაზღვეული ვიყო), რომ კონსტიტუცია და ადამიანის უფლებათა დეკლარაცია, ისევე, როგორც მზე, ყველას თანაბრად გვწვდება (გნებავთ, მოგვეფინება). სწორედ ეს არის ჩვენი მთავარი მონაპოვარი და არა მწვადი, ან რომელიმე სხვა კერძი. მინდოდა, მეთქვა, რომ დედამიწა ბრუნვას მაშინ შეწყვეტს და დანარჩენი პლანეტებიც მაშინ შეგვაქცევენ ზურგს, როცა ყველანი ერთნაირად ვიფიქრებთ, ერთნაირად მოვიქცევით და თუნდაც, გამოვიკვებებით.

ალბათ გაინტერესებთ, როგორ დასრულდა ჩემი თავგადასავალი ზემოხსენებულ ცნობილ სასტუმროში. არც ისე კარგად, ანუ კუჭის სამდღიანი ტკივილით და საშინელი გადაღლით, რადგან კვების რაციონის ამბებს სხვა უსიამოვნო თავგადასავალიც დაემატა. თუმცა ქართული მომსახურების ამ და სხვა „სიკეთეების“ შესახებ სხვა დროს დავწერ, მთავარ თემას რომ არ მოგწყვიტოთ.

ჰოდა, ასე – მე ისევ განვაგრძობ ჩემს მიკროსამყაროში ცხოვრებას, ჩვეული რიტმით და მენიუთი, რომლის არსებობაც, როგორც უკვე აღინიშნა, არავის ბრალი არ არის.

სილამაზის რამდენიმე წესი

– სალომე, რა ლამაზი ხარ იმ ძველ ფოტოზე, გამხდარი. გახდი, რა! – მეუბნება მეგობარი.

ფოტოს ვუყურებ. ოთხი წლის წინაა გადაღებული მექსიკაში. გუანაჰუატოში, დიეგო რივერას სახლში, შუა ჰოლში ვდგავარ და შუშის ჭერს ავცქერი. ძნელია, მეგობარს შევეკამათო, ვიცი, რომ მაშინ უკეთ გამოვიყურებოდი, ვიდრე ახლა გამოვიყურები, ისიც ვიცი, რომ ცუდი განზრახვით არაფერი უთქვამს, რადგან ის ჩემი ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარია, მაგრამ მაინც ვბრაზობ. ვბრაზობ ბევრი მიზეზის გამო. ვბრაზობ ბევრი იმ ქალის ნაცვლად, ვისი ჯანმრთელობა და განწყობაც ხშირად გამხდარა საზოგადოების მხრიდან თავს მოხვეული სტანდარტების მსხვერპლი. ვბრაზობ, იმიტომ, რომ საერთოდ, ბრაზიანი ადამიანი ვარ და განსაკუთრებით, მათ მიმართ, ვინც ბოლო წლებში მომატებულ ათ კილოგრამზე დაუნდობლად მიმითითებს.

დღეს ჩვენს საზოგადოებაში სილამაზე და სიგამხდრე სინონიმებია, ორივე ერთად კი ბედნიერი და სტაბილური პირადი ცხოვრების გარანტი. როცა ქალებს სავარჯიშო დარბაზებში სიარულისკენ მოგვიწოდებენ, ჯანმრთელობაზე თითქმის არავინ ლაპარაკობს, არავინ ცდილობს, სპორტი ჩვეულებად უქციოს პატარა გოგონებს, რომლებიც სასკოლო გაკვეთილებთან ერთად, ცხოვრების გაკვეთილებსაც ითვისებენ. მხოლოდ მაშინ, როცა ისინი იზრდებიან, (პირობითად) ოცდაშვიდ წელს აბიჯებენ და აღმოაჩენენ, რომ საყვარელი კაბის ჩაცმა შეუძლებელი გამხდარა, ისინი სწავლობენ ფიტნესკლუბებისკენ და საცურაო აუზებისკენ მიმავალ გზებს, თავიდან სწავლობენ წლების წინ დავიწყებულ სირბილს, სწავლობენ ცეკვას, სწავლობენ სიცილს და იბრუნებენ სილამაზეს, რომელიც მათგან ყოველდღიურმა სამრუნავმა, დარდმა და უძილობამ წაიღო. საზოგადოება კი დაუსრულებლად უმეორებს თითოეულ მათგანს: „გახდი, გახდი, თორემ არ ეყვარები!“

ცოტა ხნის წინ ინტერნეტში გავრცელებული ერთი ვიდეო-ექსპერიმენტი ვნახე – როგორი რეაქცია აქვს ადამიანს, როცა ეუბნებიან, რომ ლამაზია.

თქვენც გირჩევთ, ნახოთ და დაიმასხოვროთ ბედნიერებისგან გაბრწყინებული, ნაპერწკლებით სავსე თვალები, ღიმილშეპარული ტუჩების კუთხეები, ნახოთ, როგორები ხდებიან ადამიანები, როცა კეთილგანწყობას და სიყვარულს აწყდებიან.

„შეგიძლია, ყველაფერი იყო!“ – ეუბნება გოგონებს სტერეოტიპების გამყარებისთვის მრავალგზის გაკრიტიკებული თოჯინა ბარბის ახალი სარეკლამო კამპანია, რომელიც პატარა გოგონებს საქმიანი ქალის, პროფესორის, ვეტერინარის და მათთვის საოცნებო სხვა როლებში გვიჩვენებს. ფაქტი, რომ ბარბის კამპანია გოგონების განათლებასა და პროფესიულ განვითარებაზე აკეთებს აქცენტს, კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ თანამედროვე მსოფლიოში უფრო მნიშვნელოვანი პრიორიტეტები არსებობს, ვიდრე სხეულის იდეალური პარამეტრებია.

სილამაზეა საკუთარ სხეულსა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა, როცა ეს ყველაფერი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია და არა იძულებითი ტანჯვა იმისთვის, რომ მეზობლების არაკორექტულ კითხვებს თავი აარიდო.

განსაკუთრებით ლამაზი ხარ, როცა საყვარელ საქმეს აკეთებ, როცა ამბობ იმას, რისიც გჯერა, როცა სხვა ადამიანების კარგად ყოფნისთვის, მათი უფლებებისთვის და სიცოცხლისთვის იბრძვი.

განსაკუთრებით ლამაზი ხარ, როცა გიყვარს.

განსაკუთრებით ლამაზი ხარ, როცა გვერდით ოჯახის წევრები და მეგობრები გყავს, რომლებსაც, მიუხედავად პატარ-პატარა პრობლემებისა, ყველაფერი რიგზე აქვთ, რომლებსაც უყვარხარ.

ისევ იმ ფოტოს რომ დავუბრუნდე, რომლითაც დავიწყე – საკუთარ თავს ვკითხე, აი, მაშინ ოთხი-ხუთი წლის წინ, თუ მეუბნებოდა უფრო მეტი ადამიანი, რომ ლამაზი ვარ? მგონი, არა. შეიძლება, წლების შემდეგ კომპლიმენტების თქმა უფრო ადვილდება, ასევე შეიძლება, რომ ყოველდღიური საზრუნავით გადაღლილებს, გვავიწყდება, ერთმანეთს ვუთხრათ, რომ ლამაზები ვართ, ლამაზები ვართ აქ და ახლა, ზედმეტი ან ნაკლები ათი კილოგრამით, მშობიარობის შედეგად შეცვლილი ფორმებით თუ მუდმივი მუშაობით ჩალურჯებული თვალებით. ჩვენ ლამაზები ვართ ყველა იმ წესის დარღვევით, რომელსაც თავს გვახვევენ, ლამაზები ვართ ყველა იმ წესის დაცვით, რომელსაც ცხოვრება გვთავაზობს.

გოგონების საკითხავი

ბოლო დროს ხშირად მეკითხებიან, ვისთვის ვწერ. ალბათ იმ წიგნის ბრალია, რომლის წერაც გასული წლის შემოდგომაზე დავასრულე და მალევე გამოიცა. ჩემს წიგნს „ქალაქი წყალზე“ ჰქვია. ის ქალებზე და გოგონებზეა, რა თქმა უნდა, ცოტა კაცებზეც და ბიჭებზეცაა, თუმცა ჩემ მიერ შექმნილი სამყარო მაინც ქალების და გოგონების სიზმრებისა და ფიქრების გარშემო ტრიალებს. რატომ? იმიტომ, რომ მეც ქალი ვარ და, როგორც ფრიდა კალო ამბობდა, სწორედ მე ვარ ის, ვისაც ამქვეყნად ყველაზე კარგად ვიცნობ.

ადრე არ მიფიქრია, ვინმე კონკრეტულისთვის მეწერა. თავიდან ჩემი თავისთვის ვწერდი, უბრალოდ, სხვანაირად არ გამოდიოდა და იმიტომ. მერე კი, როცა ჩემმა ერთ-ერთმა მეგობარმა (ბიჭმა) მითხრა, თავს ვიკავებ შენი წიგნის წაკითხვისგან, რადგან მგონია, რომ გოგონებისთვისაა დაწერილი და მე არ მომეწონებაო, ჯერ მეწყინა, შემდეგ დავფიქრდი, ბოლოს გამეცინა. რა თქმა უნდა, შეუძლია, არ წაიკითხოს. რა თქმა უნდა, უფლება აქვს, ფიქრობდეს, რომ რაც დავწერე, მისთვის არ არის.

ჩემთვის ისიც ხშირად უკითხავთ, არსებობს თუ არა „ქალური ლიტერატურა“ და „მამაკაცური ლიტერატურა“. ამ კითხვის პასუხად ბევრჯერ გადაჭრით განმიცხადებია უარი და მითქვამს, რომ ლიტერატურა ლიტერატურაა და არა აქვს მნიშვნელობა, მას ქალი ქმნის თუ მამაკაცი. ალბათ მეშინოდა, ჩემი დადებითი პასუხით კიდევ უფრო არ დამეკნინებინა და ჩრდილქვეშ არ დამეყენებინა საუკუნეების განმავლობაში ისედაც მიჩქმალული და ცხრაკლიტულებში გამოკეტილი „ქალური ლიტერატურა“, ქალების მიერ შექმნილი ტექსტები, ქალების თვალთ დანახული სამყარო.

სინამდვილეში „ქალური ლიტერატურა“ არსებობს, ვითარდება, სამზეოზე გამოდის და არაფრით ჩამოუვარდება „მამაკაცურს“, ლიტერატურა, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში არ ჰქონდა არსებობის უფლება, ლიტერატურა, რომელიც ხშირად იყო ამოფარებული კაცების გვარ-სახელებს, ლიტერატურა, რომელსაც მტვერი ედებოდა არქივებში, უჯრებში, სხვენებსა და სარდაფებში და უფრო მეტიც, ზოგჯერ გონებაშივე კვდებოდა.

ერთხელ ვთქვი საჯარო გამოსვლაში, რომ ყოველთვის მჯეროდა ელენე დარიანის არსებობის, მჯეროდა, რომ „დაიტანჯა მაჯა მარჯნის მძიმე ჯაჭვის ტარებით“ ქალის დაწერილი უნდა ყოფილიყო. ეს ჩემთვის არავის უსწავლებია, არავის უთქვამს, როგორ უნდა მივმხვდარიყავი, როგორ უნდა გამომერჩია. უბრალოდ, ასე ვიგრძენი. სიმართლე დღემდე არ ვიცი. მე ამ ამბავში ჩემი წილი, შეგრძნებითი სიმართლე მაქვს და როგორც საიდუმლოებების მოყვარულ მკითხველს, ესეც მყოფნის.

მაშინ, როცა მსოფლიოში სულ უფრო და უფრო ხმამაღლა ისმის მწერალი ქალების სახელები, ჰოლივუდის ვარსკვლავები კი მათი პოპულარიზაციის მიზნით კამპანიებს აწარმოებენ (მაგალითად, ემა უოტსონმა კლუბიც კი შექმნა ფემინისტური ლიტერატურის ფართო საზოგადოებისთვის გასაცნობად), რიტმს საქართველოც უწყობს ფეხს. ქართველი მწერალი ქალები დღეს ისეთი გაბედულები არიან, როგორც არასდროს. ისინი წერენ, გამოსცემენ წიგნებს, აღარ ეფარებიან ფსევდონიმებსა და სხვის გვარ-სახელებს, დამსახურებულად ხდებიან პრემიების ლაურეატები. მათ უკან მკითხველთა მთელი არმია დგას.

მე მიყვარს ლიტერატურა, რომელსაც დღეს, საქართველოში, ქალები ქმნიან. ჩვენი სინამდვილე, ჩვენი ოცნებები, ყველაფერი, რაც გვიყვარს, გვაწუხებს, გვენატრება – ყველაფერი აქ არის. ის, რაც აქამდე არ თქმულა, ის, რაც სირცხვილად ითვლებოდა, მაგრამ აუცილებლად უნდა გამოსულიყო სააშკარაოზე, დღეს მკითხველის ყურადღებასა და ემოციებს იმსახურებს. ის, რითაც ადრე არავინ ინტერესდებოდა, უკვე ბესტსელერია.

რა თქმა უნდა, წიგნებს არა აქვთ სქესი. სამაგიეროდ, სქესი აქვთ მათ ავტორებს, რომლებიც, პირველ რიგში, საკუთარ გამოცდილებასა და მსოფლმხედველობაზე დაყრდნობით წერენ. ფაქტმა, რომ დღეს, ქართულ ლიტერატურაში, ქალების ხმა ისმის, შეიძლება, თაობების ამროვნება და, უფრო მეტიც, მათი ბედი შეცვალოს, გოგონებს საკუთარი თავის რწმენა და სიყვარული განუმტკიცოს, ბიჭებს კი ცხოვრება, ურთიერთობები, სიყვარული სხვა კუთხიდან დაანახოს.

დიახ, „ქალური ლიტერატურა“ არსებობს, ოღონდ არსებობს არა მხოლოდ ქალებისთვის, არამედ კაცებისთვისაც. ქალები საუკუნეების განმავლობაში კითხულობდნენ მამაკაცების დაწერილ წიგნებს, შესაბამისად, უსამართლობაა, ქალების შექმნილ ტექსტებს იარლიყი მივაკრათ და მხოლოდ ქალების საკითხავად დავტოვოთ, რადგან თუკი თანასწორობისა და ბალანსის მიღ-

წევა გვინდა, ერთმანეთს უნდა ვიცნობდეთ, ისეთებს, როგორებიც სინამდვილეში ვართ, ისეთებს, როგორებიც საკუთარ და არა სხვების წიგნებში ვართ.

მაინც ვისთვის ვწერ მე?

რა თქმა უნდა, ყველასთვის, ვინც ჩემს ნაწერებამდე მივა.

რა თქმა უნდა, ადამიანებისთვის, ვისაც ლიტერატურა უყვარს.

თუმცა, ცოდვა გამხელილი სჯობს და, პირველ რიგში, ალბათ მაინც ქალებისთვის და გოგონებისთვის ვწერ, მათი უკეთესი ცხოვრებისთვის, მათი კარგად ყოფნისთვის, მათთვის ვწერ, მათთვის, ვისაც ჩემი სიტყვა უფრო სჭირდება, ვიდრე სხვებს, ვინც ჩემგან გამხნევენას ელოდება, ვისთანაც საერთო სათქმელი მაერთიანებს.

ის, რასაც მე ვწერ, ალბათ ბევრისთვის „ქალური ლიტერატურაა“.

გადავწყვიტე, მეთქვა, რომ მე მხოლოდ ვამაყობ ამით.

მოკალი ჯემალა

ეს ნინოა (წარმოიდგინეთ).

ნინო ჩემი ოჯახის ახლობელია.

მე და ნინო თითქმის ტოლები ვართ.

ნინო კარგი გოგოა, ლამაზი, კეთილი, ზომიერად ჭკვიანი. როგორც ბევრმა სხვამ, მანაც დაამთავრა უნივერსიტეტი და გათხოვდა.

ნინო სანიმუშო დიასახლისი და ორი შვილის დედაა, მესამის გაჩენის პერსპექტივით.

ერთხელ დეიდაჩემმა მითხრა: „ნახე, როგორ ალაგებს სახლს ნინო! სი-სუფთავისგან სულ პრიალებს იქაურობა! შეხედე და რამე მაინც ისწავლე!“

მე იმ დროს უკვე საკმაოდ მეწონდა ნასწავლი, ოღონდ სხვა მიმართულებით. ორიოდ მნიშვნელოვანი ჯილდოც გამაჩნდა, თუ მაინცდამაინც თავის მოწონებაზე მიდგებოდა საქმე, მაგრამ ისე გამოვიდა, რომ მაინც სხვისკენ მიმიტითეს, სხვისი გაკრიალებული სახლისკენ, სხვისი კარგი საქციელისკენ. გაღიზიანებულმა, საკუთარ თავსაც გაუხსენე „ცოდვები“ – მეც ბევრჯერ ყოფილვარ სამაგალითო სხვებისთვის, „სალომესავით ისწავლეთ“, „სალომესავით მოიქეცით“, „ნახეთ, სალომე რამდენს კითხულობს“ და ა.შ. – ხშირად ეუბნებოდნენ ჩემ გვერდით მყოფ ადამიანებს, მაგრამ საბედნიეროდ, არავის მოუწოდებია ჩემსავით ყოფნა, ჩემსავით ცხოვრება, არა იმიტომ, რომ ვერ შეძლებდნენ, არამედ იმიტომ, რომ ჩემ გარშემო ყველას ეყო გამბედაობა, საკუთარი თავისთვის არ ელაღატა. საბედნიეროდ, მეც მათ შორის ვარ.

ბოლო პერიოდში ქართული ფეისბუქი ახალმა კამპანიამ დაიპყრო: „მიბაძე ჯემალას!“ – მოგვიწოდებს გვერდი, რომელიც სხვა, ინგლისურენოვანი გვერდის: „Be like Bill“ მსგავსია და გვასწავლის, როგორ უნდა მოვიქცეთ საზოგადოებაში, მეგობრებთან, ნაცნობებთან და უცნობებთან, განსაკუთრებით კი, სოციალურ ქსელებში. როგორც ჩანს, ჯემალამ საკუთარ თავზე აიღო განსაკუთრებით აქტიური ფეისბუქელების დამუნათება და დაშოშმინება, მაგრამ არ გამოუვიდა, რადგან მოხერხებულმა მომხმარებლებმა ვითარება თავიანთ სასარგებლოდ შემოატრიალეს და თავად გახდნენ სამაგალითონი. შესაბა-

მისად, ვირტუალურ კედლებზე მომრავლდა ფრაზები: „მარიამი არ იღებს დღეში ას ფოტოს. მარიამი ჭკვიანია. მიბაძე მარიამს“, „გიორგი მეგობრებთან ერთად ყველგან არ ჩეჩინდება. გიორგი ჭკვიანია. მიბაძე გიორგის“ და ა.შ. როგორც ყოველთვის, ჩვენ ამჯერადაც მოვახერხეთ, სხვის თვალში ბეწვი დაგვენახა, საკუთარში კი დირეც ვერა და აღმოჩნდა, რომ საზოგადოებაში, სადაც ინდივიდუალიზმის დეფიციტი ზოგჯერ განსაკუთრებით მწვავედ გვახსენებს თავს, მიმბაძველობა ჯერ კიდევ არ ითვლება იმდენად ცუდ ტონად, რომ ერთმანეთს ხმამაღალი შეძახილებით არ ვუბიძგებდეთ ახალი კერპების შექმნისკენ.

თავისუფლებისთვის ბრძოლაში, ჩვენ ვივიწყებთ ერთმანეთის თავისუფლებას და მხოლოდ საკუთარი გვახსოვს, ადამიანის უფლებებზე ლაპარაკისას, ყველაფერი ჩვენი უფლებებით იწყება და ვივიწყებთ სხვებს, რომელთაც ვერავინ და ვერაფერი აუკრძალავთ, სოციალური ქსელი საკუთარი შეხედულებისამებრ გამოიყენონ და არა ისე, როგორც ჩვენ მიგვანჩნია სწორად. იგივე შეიძლება ითქვას ცხოვრებაზეც, მიუხედავად იმისა, რომ ვნება, დავმოძღვროთ სხვები და მათ ზემოდან გადმოვხედოთ, ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში არსებობს და ხშირად გვახსენებს თავს.

რამდენიმე დღის წინ, გვერდზე „Be like Bill“ საინტერესო ბარათს წავაწყდი – უმა თურმანის ფოტოს, ფილმიდან „მოკალი ბილი“, წარწერით: „ეს უმაა. მან ბილი მოკლა. მიბაძე უმას. მოკალი ბილი!“ ამ შემთხვევაში, ბილი, ისევე, როგორც ჯემალა, მისაბაძი მაგალითების, საზოგადოებისთვის მოსაწონი, იდეალურთან მიახლოებული ადამიანების კრებითი სახელია, უმა კი, შურისმაძიებელი პატარძალი ტარანტინოს ცნობილი ფილმიდან, შეგვიძლია, ჩვენ ვიყოთ, თითოეული ჩვენგანი და მივბაძოთ ერთმანეთს ერთადერთ რამეში – მიმბაძველობის დამარცხებაში. ჩვენ არ გვჭირდება ჯემალა იმისთვის, რომ ბედნიერები ვიყოთ, ერთმანეთი გვიყვარდეს, ვცხოვრობდეთ, ვაქტიურობდეთ, ვპოსტავდეთ, ვიწონებდეთ და ასე, დაუსრულებლად. ჩვენ შეგვიძლია, მოვკლათ ჯემალა ჩვენში, ჩვენს ცხოვრებაში, რაღაც თავისუფლებას მივაღწიოთ.

ჩემი სახლი ხშირადაა დაულაგებელი, სამაგიეროდ, მისი კარი ყოველთვის ღიაა სტუმრებისთვის.

მე არ მყავს ორი შვილი, მაგრამ არ ვაქტილიკებ მათ, ვისაც ჰყავს.

მე ფეისბუქზე ბევრს ვპოსტავ და საერთოდ არ მაღარდებს, ეს ვინმეს მოსწონს თუ არა.

ჩემი საყვარელი მწერალი სალმან რუშდია – როცა მის წიგნებს ვკითხულობდი, არ მიფიქრია, როგორი დამოკიდებულება აქვთ მის მიმართ ინდოეთსა და პაკისტანში.

მე არ მაქვს კარგი ხასიათი, ჩემთან ურთიერთობა მარტივი არ არის. ბევრმა ადამიანმა ამჯობინა, მის ცხოვრებაში ჩემი ადგილი არ ყოფილიყო, მაგრამ ჩემს მეგობრებს, საბედნიეროდ, მათთვის არ მოუბაძავთ.

ამიტომ მე ბედნიერი ადამიანი ვარ. ჩემი ცხოვრება ჩემმა დამოუკიდებლობამ შექმნა, ჩემი მეგობრებისა და ახლობლების დამოუკიდებლობამაც, რადგან მათ მე ამირჩიეს, მიუხედავად იმისა, თუ რას ფიქრობდნენ ჩემ შესახებ სხვები.

ნუ მომბაძავთ მე, ნუ მიბაძავთ თქვენს მეგობრებს, თუნდაც საუკეთესოებს, მეზობლებს, ნათესავებს, ოჯახის წევრებს. ნუ შეიზღუდავთ თავს იმის გამო, რომ ვიღაცას თქვენი პოსტი აღიზიანებს, თქვენი აქტიურობა ნერვებს უშლის, მუსიკა, რომელსაც უსმენთ, არ მოსწონს, თქვენი ამროვნება „ეგოიზმება“. ნუ გააკეთებთ ნურაფერს საიმისოდ, რომ ფეისბუქ იუზერთა, ან რეალურ ნაცნობთა გარკვეული წრისთვის უფრო მისაღები გახდეთ, რადგან თვითმყოფადობა ერთადერთია, რაც ადგილის დამკვიდრებაში გვეხმარება.

ნუ მიბაძავთ ჯემალას. უფრო მეტიც, მოკალით იგი.

ენა, მამული და სხვა სირთულეები

– რა კარგად იცით ქართველებმა თქვენი ისტორია! – მითხრა ერთხელ ჩემმა გერმანელმა მეგობარმა ალტაცებით – იმდენ საინტერესო ამბავს ჰყვები, ჩანს, კარგად გასწავლიდნენ.

მაშინ ჯერ კიდევ თინეიჯერი ვიყავი და ახლა რომ ვიხსენებ, ვხვდები, რომ ჩემს უცხოელ მეგობრებს ყურებს ვუჭედავდი საქართველოს დიდებულ წარსულზე ლაპარაკით. რატომ? ალბათ მეშინოდა, დიდი ქვეყნების შვილებს შორის არ დავჩაგრულიყავი, ან შეიძლება, იმიტომაც, რომ ასე გავიზარდე, ასე მასწავლეს, ასე უნდა მელაპარაკა, ასე უნდა მეთქვა, ასე უნდა მეაზროვნა, უნდა მეთქვა, რომ ჩვენ ყოველთვის მართლები ვიყავით, ყოველთვის ერთგულები და მამაცები, უბრალოდ, უმეტესწილად, არ გვიმართლებდა.

ჩემი მეგობარი, რომელიც ზემოთ ვახსენე, ის ბიჭია, რომელიც საკუთარ შვებულებას დაჰაუს ბანაკში მოხალისედ მუშაობაში ატარებს და პერიოდულად ისრაელში მიემგზავრება, იქაც მოხალისედ. ამბობს, რომ ასე დანაშაულის გამოსყიდვას ცდილობს, მისი ხალხის ისტორიული დანაშაულის და სხვანაირად ცხოვრება ვერც წარმოუდგენია. ის არ არის გამონაკლისი, მისი მეგობრების უმრავლესობასაც იგივე პრინციპები გააჩნია.

მას შემდეგ, ცოტა რომ წამოვიზარდე და საკუთარი საქციელით დაწყებული, ბევრი რამის გადაფასება მომიხდა, ჩემი თავისთვის ბევრჯერ მიკითხავს, სინამდვილეში როგორ გვასწავლიდნენ ისტორიას, როგორ იყო დაწერილი წიგნები, რომელთა დაბეპირებაც გვევალებოდა, სჯეროდათ თუ არა ჩვენს მასწავლებლებს იმ საკვირველი გამარჯვებების, რომლებზეც გვიამბობდნენ. ბევრჯერ დავფიქრებულვარ იმაზეც, რომ ვცხოვრობდით ქვეყანაში, რომელიც ჯერ კიდევ იშუშებდა ომისგან მიყენებულ ჭრილობებს, ჩვენს სახელმძღვანელოებში კი აფხაზეთისა და ოსეთის ამბების შესახებ მხოლოდ ნახევარ-ნახევარი გვერდი ეწერა, გამუქებული თარიღებითა და ომის მთავარ შემოქმედთა გვარ-სახელებით. არავითარი ანალიზი, მხოლოდ მწირი ინფორმაცია წინმსწერები მოვლენების შესახებ, სუსტად მბუუტავი ენთუზიაზმი მასწავლებლებში, ეთქვით იმაზე

მეტი, ვიდრე წიგნებიდან ვიგებდით, რამდენიმე რიცხვი და მშრალი სტატისტიკა თითოეული ჩვენგანის პირად ტრაგედიასთან დაკავშირებით.

წლები გადის, თაობა იცვლება, პრინციპი კი, არ ვიფიქროთ, არ ჩავუღრმავდეთ, კითხვები არ დავსვათ, მუდამ იგივე რჩება. ჩვენ არ გვიყვარს საკუთარ ისტორიაში ქექვა და მის შესწავლას არ ვცდილობთ. ჩვენ ისევ მართლები ვართ და დაუმარცხებლები, ჩვენი ყოველი ფიასკოცა და წაფორხილებაც მხოლოდ უბედურ შემთხვევას მიეწერება და სხვას არაფერს. ჩვენ პანთეონებში ვმარხავთ ყველას, განურჩევლად ღვაწლისა, დამსახურებისა და დანაშაულისა, მერე მათ საფლავებზე დავდივართ, ზოგი ყვავილებით, ზოგი კი ბარ-ნიჩბით, ამოსათხრელად, მაგრამ მიუხედავად ამისა, აქ, ჩვენს ქვეყანაში, მხოლოდ მიწა ტოვებს სახელმწიფოს შემადგენლობას, ერთხელ ნაპოვნი განსასვენებელი კი სამუდამოა და ცოცხლად დარჩენილების მიერ გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

ახლა, როცა უკვე ხსენებული მეგობარი პერიოდულად ისევ მეუბნება, რომ ქართველებმა ჩვენი ენა და კულტურაც შესანიშნავად ვიცით, მიჭირს, გავუმხილო, რომ სოციალურ ქსელებში ხშირად ვაწყდები ლათინური შრიფტით დაწერილ პოსტებს ენის, მამულისა და სარწმუნოების დაცვის, ქართველობის წართმევის შიშისა და დასავლეთიდან წამოსული საფრთხეების შესახებ, რომ ადამიანები, რომლებიც კითხვებს სვამენ ისტორიის შესახებ, ჩვენთან ჯერაც არ უყვართ, რომ არაფერი გადაგვიფასებია, რომ საკუთარ წარსულში ღრმად ჩახედვის სურვილი არ გვაქვს.

ის წერილებს ისევ ისრაელიდან მწერს, მწერს, როგორ შეუყვარდა ებრაელი გოგო, რომელიც არქიტექტორია და არაჩვეულებრივ სილამაზესთან ერთად, შენების განსაკუთრებული ნიჭი აქვს. მე სიცილით ვპასუხობ, რომ ის მთელი თავისი ცხოვრება მიიწევდა ამ სიყვარულისკენ, დაჰუსა და ებრაულ ორგანიზაციებში მოხალისეობით, ბევრი ფიქრითა და არცთუ შორეული წარსულის კრიტიკით. ის არ მეთანხმება და კილომეტრებს მიღმა ვხედავ, როგორ იღიმება და აქნევს თავს, როცა კლავიატურაზე აკაკუნებს და მეუბნება, რომ სიყვარული მხოლოდ სიყვარულია და ცხოვრების ისეთ სირთულეებთან, როგორიც ისტორია და პოლიტიკაა, საერთო არა აქვს.

აი, მე კი სიმბოლოების მჯერა და მგონია, რომ სინამდვილეში, სიყვარული გაცილებით ფართო და ღრმა რამაა, ვიდრე მოკვდავები წარმოვიდგენთ. მგონია ისიც, რომ ერთ დღეს მეყოფა გამბედაობა, ავდგე და ვუთხრა, რომ არ ვიცი, არაფერიც არ ვიცი, არ ვიცი საკუთარი ისტორია.

გვიად კვარაცხელია

1	დევნილობის ამბები	217
2	სტასიკით შეუმკრთალი ქვეყანა	220
3	მასწავლებლის შვილი	224
4	ჭინთვა და პრანჭიობა	227
5	სიმშვიდისაკენ და სინათლისკენ	229
6	მასწავლებელი სოფლის სკოლისა	233
7	ვის ეძღვნება ილია ჭავჭავაძე?	236
8	ძმები ერთ კლასში	239
9	It's too much, Mediko!	242
10	რატომ გვჭირდება პოლემიკა?	244
11	დასცინე და იბატონე	246
12	მეტსახელების მაგია	249
13	ჩემი პირველი მასწავლებელი	252
14	თანატოლი თანატოსი	254
15	ავვისტოს გამოცდილება	256
16	გამოსვლა ნატუჭიდან	258
17	სანამ სუნთქვა გეყოფა	260
18	გამოგდის, ხო იცი!	263

დევნილობის ამბები

ჩემი თაობის საკმაოდ დიდი ნაწილი შვიდი წლისა შეიყვანეს სკოლაში. ეს მაშინ ჩვეულებრივი ამბავი იყო: ქვეყანაში სწავლა-განათლებისთვის არავის ეცალა, სასწავლო პროცესი შეწყდა და პოლიტიკურ-კრიმინალური დაპირისპირებების გამო რამდენიმე თვე გაგვიცდა. ამას ისიც დაემატა, რომ ჩვენს ქალაქს დევნილთა დიდი ტალღა მოაწყდა. თითქმის ყველა ოჯახში დევნილი იყო. – ახალი კლასელი შემოგვემატა, – იტყოდა მასწავლებელი და უკვე ვიცოდით, რომ მერხიდან წამომდგარი გოგო თუ ბიჭი, დარცხვენილი და დაბნეული, დევნილი იყო. რალა დაგიმალოთ, მის მიმართ უპირატესობის გრძნობაც გვინდებოდა, დაახლოებით ისეთი, დედაქალაქელს რომ აქვს ჩამოსულის, ან სამსახურში ადრე გამოცხადებულ თანამშრომელს – დავვიანებულის, ან კიდევ სტაჟიან და სასულიერო პირებთან გაშინაურებულ ზოგიერთ მორწმუნეს – ეკლესიური წესრიგის უმეცარი ადამიანის მიმართ. ერთი ხანობა იმ დაუწერელი კანონის ამოქმედებაც ვცადეთ, რომელიც უფროსკლასელებისგან გადმოგვეცა და ცოტა მიმზიდველიც ჩანდა იმ დროს: ყველა ახალშემომატებული ბიჭი უნდა გაგველახა. მაგრამ უმეტესად ისე ხდებოდა, რომ გაცნობისთანავე ვუმეგობრდებოდით, ვიზიარებდით მათ გაჭირვებას და ჩხუბამდე საქმე არ მისულა. ერთი ჩემი კლასელი გოგო რვა წლის იყო, პირველი კლასის მეორე სემესტრში რომ შემოგვემატა. სიმაღლით ხომ ყველას გვჯობდა და რასაც ის ომზე, გაჭირვებაზე, შიმშილსა და სიცივეზე ჰყვებოდა, ჯერ გაგაოცებდა, შეგაძრწუნებდა და მერე შეიძლება ტირილამდე და უიმედობამდეც მიეყვანე. თვითონ, ეტყობა, ლაპარაკით კლავდა, თრგუნავდა განცდილს (მგონი ბევრ რამეს იგონებდა კიდევ), ამით თითქოს ამარცხებდა ეშმაკს, მტერს, ბოროტ სულს; მის სახელს კი არ მალავდა, ყოველ წუთას ახსენებდა: მოდი, შენი კი არ მეშინია, რასაც მინდა, იმას გიშვრები, ყველა ბრუნვაში გატრიალებ და არა მართლმე, ჩემმა ყველა კლასელმა იცის, რა საცოდავიც ხარო.



„დევნილი“, 1993.
რობერტ აბსანძის ქანდაკება

ერთხელ რაღაც აქცია გამოცხადდა: მთელ ქალაქს მაკულატურა უნდა შეეგროვებინა. ქალაქის უფროსობაც (ასე ეძახდამასწავლებელი) გვეწვია სკოლაში, – თუ გვინდა, ჩვენს შვილებს საწერი ქალაქის ჰქონდეთ, უვარგისი წიგნები და ჟურნალები ჩაგვაბარეთო. ჩემმა მეგობარმა, რომლის ოჯახიც საერთო საცხოვრებელში იყო შეხიზნული (დროებითო, მაშინ ასე უთხრეს, მაგრამ, როგორც ვიცი, დღემდე არაფერი შეცვლილა), შეწუხებულმა მითხრა, მამა-ჩემის ბიბლიოთეკა იმ სახლში დარჩა, რომელიც ომის დროს დაწვეს და რა უნდა ვქნა, წიგნები საიდან მოვიტანოო. თუ არ ვცდები, 5-5 კილო მაკულატურა გვექონდა ჩასაბარებელი. ჩემი წილი რომ ავწონე, მერე ისევ შევიპარე ბებიჩემის ბიბლიოთეკაში და გულში ჩახუტებულმა ფეხაკრეფით გამოვბიდე ი. ბ. სტალინის თხზულებათა მრავალტომეული – თითქმის ისე, წვრილად დაჭრილი შეშა რომ გამომქონდა საკუჭნაოდან. მერე ჩვენს სკოლაში ნაგროვები წიგნები, ზოგი – სქელ პარკებსა და ჩანთებში ჩაწყობილი, ზოგიც – ძუითა და მავთულით შეკრული, გაზ-53-ის ძარაზე ატვირთეს და სად წაიღეს, ვინ იცის. გაზ-53, ოღონდ სხვა ფერის, სხვა ნომრითა და უფრო ჩასუქებული მძღოლით, შემოხრიგინდა ბაბუაჩემთან, დიდ ეზოში. შაბათ-კვირას

სოფელში ვატარებდით ხოლმე. მეზობლის ბავშვებს ფეხბურთს ვეთამაშებოდით, როცა ჭიშკარი გაიღო და მძიმედ დატვირთული მანქანა შემოვიდა. უფროსები დატრიალდნენ – ავდრისგან ცელოფნებითა და შალით საგულ-დაგულოდ დაცული ავეჯი ჩამოცალეს, სხვადასხვა ოთახში გაანაწილეს და მერე ნელ-ნელა ააწყვეს ლოგინები და კარადები. ღმერთო, როგორ მიხაროდა! ხელით ვსინჯავდი და თვალს არ ვაშორებდი, როგორ ავსებდა ცარიელ კუთხეს მოხდენილი ავეჯი და ყველას რაღაცნაირად კმაყოფილი და თან სევდიანი სახე ჰქონდა. მთელი ბავშვობა და შაბათ-კვირა ამ ლოგინებისა და კარადის (სადაც წაკითხულ წიგნებს ვაწყობდი, წაუკითხავებისგან რომ განმესხვავებინა) დიდი ტრფიალი ვიყავი. დაუკითხავად ავრბოდი და ჩამოვრბოდი ზევით-ქვევით, დამქონდა რაგინდარა, ამოჩემებული ნივთები. ერთ დღესაც, სოფელში მისულს, ეს ავეჯი არ დამხვდა. გაოცებულმა და გაფითრებულმა მიზეზი რომ ვიკითხე, ბაბუაჩემმა მითხრა, ჩვენი ნათესავის იყო ეს ლოგინებიცა და კარადებიც, ამას წინათ მოვიდნენ და გალში წაიღესო. „ერთი მაინც არ დატოვეს?“ – ვფიქრობდი გაბრაზებული და ვერ წარმომედგინა ბაბუაჩემის სახლი, სადაც კრემისფერი ლოგინი და წაკითხული წიგნებით გამოტენილი კარადა არ იქნებოდა.

„იქნებ დარჩათ რამე?“ – დავდიოდი ოთახიდან ოთახში.

და ახლა მინდა გავისხენო, საერთოდ რა დარჩა ჩემი ბავშვობისგან – აფხაზეთიდან დევნილი კლასელებისგან, მეგობრებისგან, ნათესავებისგან... ბევრი რამ დარჩა და დაიღუპა – მძიმე, ტრაგიკული, თითქოს დაწყებული და შუა გზაზე შეყოვნებული, მოუგვარებელი. დევნილობაში გაზრდილი თაობა და პოლიტიკოსების თაიგული, რომელიც დროდადრო, წინასაარჩევნოდ, ცდილობს, რაც შეიძლება თბილად, ენის მოჩლექით ახსენოს „ლტოლვილი“, „დევნილი“ და „იძულებით გადაადგილებული პირი“, რომ ხმათა მნიშვნელოვანი რაოდენობა დაიბევოს. დარჩა ამ სიმწრის თათარაში ჩურჩხელასავით ამოვლებული იუმორი, უფრო სწორად, რამდენიმე მინიმალისტური ლექსი: „გათავდა და მორჩა სოხუმი და სოჩა“, „ოჩამჩირა, ოჩამჩირა, სამი ლუჩში გოროდ მირა“ და კიდევ ნატვრა, სურვილი ან უბრალოდ ინტერესი, ნახო ის, რაც შლაგბაუმს მიღმაა. საკუთარი თვალებით ნახო.

სტასიკით შეუმკრთალი ქვეყანა

როდესაც 9 აპრილი მოდის და ერთხელ კიდევ ვნახულობთ ნამდვილი პროტესტის, შეუპოვრობის, ამ შეუპოვრობის საპასუხოდ გამოფენილი ტანკებისა და ნიჩბიანი ჯარისკაცების კადრებს, ყოველთვის გურამ დოჩანაშვილის ის მოთხრობა მახსენდება – „ორნი, აქა, იქა“ – რომელიც დიდი ხნის წინ ჩემმა მეგობარმა ხათუნა დარასელიამ წამაკითხა.

ნაწარმოების ეპიგრაფიდანვე ცხადი ხდება, რომ მწერალი მხატვრულ სინამდვილეში დოკუმენტური ფონის შემოტანას აპირებს და მკითხველს წინასწარ ამზადებს ამისთვის: „ეს ამბავი შესაძლოა ზოგან გამოგონილად მოეჩვენოს ვისმე, მაგრამ არა, არაა მთლიანად გამონაგონი“.

„მთლიანად გამონაგონი“ რომ არაა, ეს უფრო შემდეგ გაირკვევა, შუაწელში, მანამდე კი უცხო, საკვირველი ფერებით აბრდვიალებულ სილამაზეში მოხვედრილ გოგონას ჰკითხავენ: „ძალიან გეტკინა?“ ის კი ხმადაბლა მიუგებს: „მე არ მოველოდი“. მერე მარიამ ღვთისმშობელთან მიიყვანენ, ყველაზე დიდ ქალბატონთან, დედათაგან უნეტარესთან, რომელიც მიიხილოებს და გულში ჩაიკრავს გოგონას, ჭრილობაზე აკოცებს, გაათბობს.

ჭრილობა. იქვე, უფრო სწორად, რამდენიმე სტრიქონით ადრე იწყება ამ ჭრილობის მიზეზი და თავგადასავალი, რომელიც შემდეგ, გურამ დოჩანაშვილისთვის დამახასიათებელი პარალელური თხრობით, ნელ-ნელა კულმინაციას აღწევს და ორი ადამიანის – გოგონასა და სტასიკის – ბედისწერაში გადაიკვეთება.

გოგონა და სტასიკი

სტასიკი – მისი დაბადება ორი პორტვეინით, მჟავე კიტრით, მოხარშული კვერცხებით, პეჩენითა და ორი ჭიქის მიჭახუნებით აღნიშნეს. რომ არ ეყოთ, პივაც მიაყოლეს და ახალშობილის მამამ და მამის მეგობელმა გადაწყვიტეს, რომ ბავშვისთვის სტასიკი დაერქმიათ. „ეს სტასიკს გაუმარჯოს, მე მაგის დედა“ – თქვა სტასიკის მამის მეგობელმა. „მეც მაგის დედა. ბევრჯერ“ – თქვა სტასიკის მამამაც.



გოგონა – არნახულ, უცხოდ ფერადო-
ვანი ყვავილების ბაღში გოგონას დეიდა
წმინდა ნინო მეგზურობს და გზადაგზა
მისთვის ნაცნობ ძვირფას პერსონაჟებს
უჩვენებს – იაკობ ცურტაველს, დავით აღ-
მაშენებელს – დიდგორის კაცს (ამ დროს
გოგონა აღტაცებით იხსენებს, როგორ
წაიყვანეს ერთხელ სკოლიდან გელათში
ექსკურსიაზე, დეიდა წმინდა ნინო კი თავა-
ზიანად უხსნის, რომ ეს ექსკურსია არ იყო:
„ექსკურსიაზე სხვაგან მიდიან. გელათი
შენი ადგილია“). ერთმანეთს მისდევს ყვა-
ვილოვანი ბუჩქები: „ცა-ფირუზ, ხმელეთ-
ბურმუხტო...“, „ჩემო კარგო ქვეყანაგ...“
„რამ შექმნა ადამიანად...“, თვალუწვდენ-
ლად უხვფოთლება სულხან-საბა და უბე-
ნაეს ხმას შერთული „რომელმან შექმნა
სამყარო, ძალითა მით ძლიერითა...“

სტასიკი – „ნაპლე-ჩოუ! ერთ-ორ!“ –
გენერლობაზე მეოცნებე ჯარისკაცი სხარ-
ტად ასრულებს პრიკაზებს, ყალიბდება.

მხოლოდ გამორჩეულები რომ შეარჩიეს,

ასის ფარგლებში, სტასიკსაც მაშინ დააწინაურებენ და მიხვდება, თუ როგორ
მონატრებია ნამდვილი საქმე, იარაღიანი. აი, საქმე კი: მშვიდობიანად დაფ-
რინდნენ უცხო მიწაზე და სარგადაყლაპული ხუთმაგი მწკრივის წინ გორო-
ზად დამდგარმა პრიკაზნიკმა იროდმა (როგორ გავს ჩვილთა გამჟღეღელი
ჰეროდეს სახელს!) მოკლე, ტევადი, ამომწურავი ბრძანება გასცა: „დადგა
ჯერი თქვენი მაღალი მხედრული ვალის ასრულებისა. თქვენს დანახვაზე
თავს მოიკატუნებენ. არ დაუჯეროთ. არ დაინდოთ არც დიდი, არც პატარა.
მშვიდობას გაუმარჯოს!“ და მის პასუხად მწკრივმა იფეთქა: „ვემ... სახ... საბ...
შირს!!!“.

შემდეგ კი – მთელი დარჩენილი მოთხრობა სტასიკისა და გოგონას, ამ ორი
სრულიად განსხვავებული ადამიანის ბედისწერაზეა: თუ როგორ ციაგებდა
აუარებელი სანთელი ვერგათენებულ 9 აპრილში, როგორ გაისმა ბრძანება

„იმოქმედეთ!“, როგორ ურტყამდნენ ქალებს ხელბარიანები, ყაზარმებში გამოკეტილები, ქალებს მოწყურებულები, როგორ შემართა წყეულმა სტასიკმა რასკოლნიკოვის ნაჯახზე არანაკლებ მჭრელი ბარი, წინ მდგარ გოგონას დაუსწორა და ყვრიმალეზდაბერილმა, კბილებში გამოსცრა: „ვოტ ტებე...“.

„ეგონა, მოსპო“ – ეს მწერლის აუცილებელი კომენტარია, რომელსაც ის სცენა მოსდევს, თუ როგორ უხმობენ გოგონას, როგორ ფაქიზად შეუდგება მხრებში ორი ცისარტყელა და მარიამ ღვთისმშობელთან მიიყვანს. იქვე ახლოს ვიდაც ხნიერი, პალტოგაცვეთილი კაცი დგას. სტასიკი აღმოჩნდება. გოგონა, რა თქმა უნდა ვერ იცნობს. გაახსენებენ, რომ მისი მკვლეელია. სტასიკი ჯიუტად უარყოფს ყველაფერს, მერე გამოტყდება, მე კი მოვკალი, მაგრამ ასეთი პატარა თუ იყო, არ მეგონა, ძალიან ცუდად ჩანდა, ამხანაგო მარიამ, იმ სიბნელეში სრულწლოვან მოქალაქეს ჰგავდაო. მაგრამ მარიამ ღვთისმშობელი მაშინვე მოუჭრის უსინდისოდ თავის მართლების გზას: „ცუდად როგორ ჩანდა, სანთელი ეკავა ხელში“.



ბოლოს ისე ხდება, რომ გოგონას მიანდობენ მკვლელის ბედს, ის კი: „გთხოვთ, აპატიოთ, დიდო მარიამ ღვთისმშობელო!... შეხედეთ, რა უბედურია...“

...მანამდე მარიამ ღვთისმშობელი მის წინაშე წარდგომილ დამნაშავე სტასიკს ჰკითხავს:

– ყურძნის მოყვანას რა შრომა უნდა თუ იცი?

– რა შრომა უნდა – მხოლოდ დაწურე და დაასხი-დალიე!

და ამას გულისშემძვრელი სიტყვები მოჰყვება, უფრო სწორად, გურამ დო-ჩანაშვილის მიერ მიგნებული განუმეორებელი სახე: „გულზე მიიღო ჯვარი სტასიკით შემოპრთალმა წმინდა ნინომ“.

ასე მგონია, 9 აპრილის ტრაგედიამ – თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საოცარმა ამბავმა – სათავე დაუდო სულისკვეთებას, რომ ქვეყნის ღირსეული ნაწილი, მიუხედავად დიდი თუ მცირე სტასიკების მუქარისა და ძალადობისა, არასდროს დაჩოქებულიყო, არავის დამონებოდა, სინდისი არ გაეყიდა და შეურაცხყოფა მეტად აღარ მოეთმინა.

...იმ დღეს ახალი ქვეყანა დაიბადა: სტასიკით შემოპრთალი საქართველო.

მასწავლებლის შვილი

ბაბუაჩემი სოფლის სკოლის დირექტორი იყო და როგორც ძველი თაობის დირექტორებს, სოფლის უფროს-უმცროსობაში სახელიც ჰქონდა და სიტყვაც ეთქმოდა. იქაურობისა ბევრი რამ იცოდა, ბავშვობიდან იქ გაზრდილიყო, შემდეგ რაიონის სხვადასხვა სასწავლებელი მოევლო და ბოლოს კი მშობლიური სოფლის სკოლის დირექტორად გაემწესებინათ.

შვილები ქალაქში დაზარდა, ქალაქის სკოლებში მისცა სწავლა-განათლება და თვითონ კი გამუდმებით სოფლისკენ მიუწევდა გული – ხან სად მასწავლებლობდა, ხან სად გაუშვებდნენ დირექტორად.

ყველა დირექტორი ხომ ჯერ მასწავლებელია, ამიტომ მამაჩემიც, პირველ ყოვლისა, ისტორიის მასწავლებლის შვილი იყო, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მამამისი მის სკოლაში არ ასწავლიდა. ეს, მე თუ მკითხავთ, ძალიანაც კარგია და ახლავე ავხსნი, რატომ არის კარგი.

მასწავლებლის შვილების მიმართ ძირითადად ერთგვაროვანი დამოკიდებულება არსებობს: განზე მდგომი, შორიდან მაცქერალი კაცისთვის ეს პრივილეგიაა, რომლითაც შეუძლებელია მოსწავლემ არ ისარგებლოს, მით უმეტეს, თუ მისი მშობელი მისსავე სკოლაში ასწავლის, ან უფრო მეტი – კლასის დამრიგებელია, ან კიდევ უფრო მეტი – სკოლის დირექტორი. გარდატეხის ასაკში მყოფი მოზარდის თვითდამკვიდრებისთვის ხშირად ხელშემწყობი ფაქტორია ისეთი დედა ან მამა, რომელსაც, სხვა მოსწავლეებისგან განსხვავებით, არა მარტო სკოლაში ხედავს, არამედ ოჯახშიც.

მაგრამ მთლად ასე იდეალურადაც არ არის საქმე. მიუხედავად იმისა, რომ პირადად შევსწრებივარ მასწავლებლის გაყოფილებული შვილების შემაწუხებელ და ხშირად აუტანელ საქციელს, მაინც მგონია, რომ მასწავლებლის შვილობა ტვირთია და მეტი არაფერი. რა თქმა უნდა, სასიამოვნოა, როცა მშობელი შენ გვერდით გევლება, მაგრამ ალბათ არსებობს სტერეოტიპები, რასაც მასწავლებლის შვილი ვერსად წაუვა.

პირველი: ყველას ჰგონია, რომ მასწავლებლის შვილი აუცილებლად ბეჯითი და ფრიადოსანი უნდა იყოს (ამით იგი ძალიან ჰგავს მღვდლის შვილსაც,

რომელიც, ხალხის აზრით, მორწმუნეობისა და ეკლესიურობის მაგალითს უნდა აძლევდეს თანატოლებს) – ეს ისეთ ჭეშმარიტებადაა მიჩნეული, რომელიც გადასინჯვას არ ექვემდებარება.

მეორე: მასწავლებლის შვილი მოწესრიგებული უნდა იყოს, არ უნდა იგვიანებდეს, არ აცდენდეს გაკვეთილებს, არ მიდიოდეს შატალოზე, უფრო მეტი ყურადღებით ეკიდებოდეს პირად ცხოვრებას, ბევრი რამისგან იკავებდეს თავს. ამავე დროს, მას არ უნდა ავიწყდებოდეს თანაკლასელის დაბადების დღე და გაკვეთილების ცხრილი.

ამ ყველაფერთან ერთად, მასწავლებლის შვილი მაინც არ ინდობა, თითქოს სხვა სოციალური კლასია, სხვაგვარ მიდგომასა და დამოკიდებულებას საჭიროებს.

და ასე შემდეგ და ასე შემდეგ...

ბესიკ ხარანაულმა ერთხელ, პირად საუბარში გაიხსენა, როგორ აბეზრებდა მასწავლებელს თავს ცელქობით. ის კიდეც პირდაპირ ხომ ვერ მიახლიდა კოლეგისა და თანამშრომლის შვილს, შე ასეთო და ისეთო. უყურა, უყურა თურმე დიდხანს გამწარებულმა და ბოლოს სიბრაზენარევი არტისტულობით უთხრა:

– გმადლობთ, ხარანაული!

სტერეოტიპები აყალიბებენ და წარმართავენ საზოგადოებრივ აზრს, ქცევისა და თამაშის წესებს. ამ წესების დარღვევა მტკივნეულია ყველასათვის და ხალხი ხშირ შემთხვევაში შეუწყნარებელი ხდება ასეთი პიროვნებებისა და მათი „თავისუფალი გამოხდომების“ მიმართ.

აღბათ ამიტომაც – ამ წესების, გაბატონებული შეხედულებების ტყვეობაში მოქცეული, მახსოვს, სულ ორჯერ ვარ ნამყოფი სოფლის სკოლაში ბაბუაჩემის დირექტორობის დროს. პირველად, აგვისტოში, როცა არდადეგები იყო და უბრალოდ წამიყვანა – დერეფნებში მატარა, ერთი ხანობა თავის კაბინეტშიც დამსვა, მერე მთელი ეზო შემოვიარეთ, შემოგარენი მოვათვალიერეთ.

მეორედ კი მაშინ, მესამე თუ მეოთხე კლასში ვიქნებოდი, უთენია რომ მივადექით სკოლას. კაციშვილი არ ჭაჭანებდა, მხოლოდ ასაკოვანი კაცები უსხდნენ მაგიდას ფიზკულტურის დარბაზში და ჭადრაკს თამაშობდნენ. ბაბუას გაელიმა. ერთი იმათგანი, თქვენ წარმოიდგინეთ, მეცნო კიდეც, სადღაც მენახა. დაბნეული და ერთთავად დაბღვერილი სახე ჰქონდა, ფიგურებს მოულოდნელად დასტაცებდა ხელს, ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვამდა და დასძახოდა გამწარებით:



გაიშის საჯარო სკოლა, 2013

– შტიკ!

– შტიკ კი არა, ქიშ, ბიჭო! – უსწორებდა მეორე. ის კი, ისევ და ისევ: შტიკ. შტიკ. შტიკ.

დაბოლოს, როცა მოწინააღმდეგის მეფე თავისი ეტლითა და ლაზიერით მიიმწყვდია, უეცრად გაეხსნა სახე და ლმობიერად წარმოთქვა:

– შტიკ ბეხერუმ!

ჰოდა მაშინ გამახსენდა ის კაცი: მე და მისი ბიჭი ფეხბურთს ვთამაშობდით ერთად, მამაც დაჰყვებოდა ვარჯიშებზე და ხუმრობდნენ, – სკოლაში ხომ თავისი შვილის მასწავლებელია, სკოლის გარეთაც არ ეშვება, კუდში დასდევსო.

ამ დროს მინდოდა იმ კაცთან მივსულიყავი და მეთხოვა, დაენებებინა შვილისთვის თავი და თამაშები ჯანდაბას, მაგრამ ყოველ ვარჯიშზე მაინც ნულარ მოვიდოდა; მეორე მხრივ, ის ქილიკა ბიჭებიც მინდოდა დამერწმუნებინა, რომ მასწავლებლის შვილობა პრივილეგია კი არა, ტვირთია. ტვირთი.

ჭინთვა და პრანჭიობა

დიდხანს ვფიქრობდი, ღირდა თუ არა ამ უხერხულ ამბავზე ხმის ამოღება, მაგრამ ზედიზედ იმდენი რამ მიეწყო ერთმანეთს, რომ გაჩუმება არ გამოდიოდა.

რას ვგულისხმობ?

რას და – ასე მგონია, ამ ბოლო დროს მეტისმეტად ხშირად გვიწევს თავზე ნაცრის წაყრა. თითქოს ის არ გვცოფნიდეს, რაც მართლა გადაგვხდა და ჩავიდინეთ, ბოლომდე უნდა დავისაჯოთ, უნდა ვიტვირთოთ ყველაფერი – მომხდარიც და გამოგონილიც, რეალურიც და თითიდან გამოწოვილიც.

თქვენც შეგიძინევიათ ალბათ: როგორც კი რაიმე უბედურება დატრიალდება, სოციალურ ქსელში მყისვე იმატებს აღშფოთების, ჭკუის დარიგებისა და დამუნათების გამომხატველი სტატუსები:

– ბავშვების მკვლეელი ქვეყანა!

– მოძალადე მღვდლების სამშობლო!

– ადგილი, სადაც წიგნებს წვავენ!

ერთი სული გვაქვს, ყელში ვწვდეთ ამ ისედაც გალეულ, პოლიტიკური ბრძოლებითა და თამაშებით გათანგულ ქვეყანას და გინებასა და დამცირებაში ამოვხადოთ ის დარჩენილი სიწმინდეც. მერე კი, მწარე-მწარე გამოსვლებით გადაღლილებმა, ფეხი დავკრათ და გადავიკარგოთ ნანატრი დასავლეთისკენ, სადაც სულის სალბუნი და ნაოცნებარი დემოკრატია გვეგულება.

ირაკლი სამსონაძის „ყურთბალიში“ ერთი საინტერესო პერსონაჟია – ანდრო, რომელმაც ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს გაასწრო დასავლეთში, ჩეხი გოგო შეირთო და იქ დაფუძნდა. ორი ქალიშვილი ჰყავს, ქართულად ვერ ლაპარაკობენ, მაგრამ იციან, რომ ქართველები არიან. ანდრო ხანდახან ჩამოდის მშობლების სანახავად და ერთ-ერთ ჩამოსვლაზე, მეგობრებთან ერთად რესტორანში მყოფი, ოფიციანტზე გაბრაზებული, მოიქოქება და მოიქოქება: „რა არის, რა უბედურებაა, ამ ქვეყანაში რით ვერ უნდა ისწავლონ ჭკუა. აეროპორტიდანვე იგრძნო, რა ქაქშიც შემოდგა ფეხი. მებახეები რას გვანან. მოდავება მოუნდომეს... დაუძრო თუ არა პასპორტი! დიხხაც, დაუძრო. ჩეხეთის მოქალაქეა, ის კი არ არის. ეგრევე მოაკეტინა. ანდა, აფთიაქები აიღე. რას ჰგავს აქაური აფთიაქები. სულაც რომ კვდებოდეს, იმ ჯიხურში წა-

მალს არ შეიძენს. ჰაერი! ნუთუ შეიძლება ამ მოწამლული ჰაერის სუნთქვა. თბილისთან შედარებით პრაღაში ათჯერ-ოცჯერ მეტი მანქანა დადის, მაგრამ ასეთი მოწამლული ჰაერი არ არის. იქ ნორმალურ ბენზინს ყიდნიან, გენაცვალე, და იმიტომ. არა. არა. დროზე გაასწრო აქაურობას. ან ქალაქი რას ჰგავს. ან ხალხი რას დაემსგავსა. საკუთარ სადარბაზოსთან დაყრილ ნაგავს მაინც რატომ არ გაიტანენ. ამას რაღა უნდა, ესეც დიდი საქმეა? იქ, პრაღაში, საპნით რეცხავენ ქუჩებს, აქ კი...”

და ბოლოს ვახო, ანდროს ბავშვობის მეგობარი, ველარ მოითმენს:

„— რას მოეთეროდლი!.. — ამბობს ვახო, — შენ მშობლების სანახავად კი არ ჩამოხვედი, იმისთვის ჩამოხვედი, რომ შენისთანებმა გისმინონ და ნწუ, ნწუ, ნწუ გიკეთონ ტუჩებით, როცა ამ ქვეყანას ლანძღავ“.

ხდება ხოლმე — გაბრაზებულ გულზე შეიძლება გულიანად შემოგელანძლოს ვინმე, მაგრამ პირადს როგორმე მოევლება, მთავარია, ის არ ვატრიოთ ტალახში, რაც პირადზე მაღლა დგას, რადგან ქვეყანა კი არ არის ბავშვების მკვლეელი, არამედ ზნეობრივად მოშლილი და კორუმპირებული სისტემა; არც მოძალადე მღვდლების სამშობლოა საქართველო მხოლოდ — წამებული მოძღვრების მოიძებნებიან ახლო წარსულში; არც მართო იმ ადგილის მკვიდრნი ვართ, სადაც წიგნებს წვავენ, და ისეც ნუ გავაზვიადებთ, თითქოს აიათოლა ჰომეინისა და იოზეფ გებელსის აჩრდილები დაგვეჩვივნენ ამ ბოლო დროს — ერთეული შემთხვევების გამო ყველაფერს ნუ დავიბრალებთ!

მთლიან სურათს ერთეულები ქმნიანო, შეიძლება შემომედავოთ. დავაზუსტებდი: ერთეულებსაც გააჩნია! წიგნის ინკვიზიტორი ვერასოდეს იქნება სამაგალითო და, ასე მგონია, ვერ უბიძგებს, თავს ვერავის მოახვევს თავის უკეთურ სურვილებს. უფრო გასაგებად რომ ვთქვა: ნაკვერჩხალს სულს ნუ შევუბერავთ გამუდმებით, თორემ ერთხელაც მართლა დაინთება ცეცხლი!

სამოგადო ჭირზე საუბარი არაფრისმომცემ „ჭინთვად და პრანჭიობად“ (როგორი მძაფრი და თან რა ზუსტია მიხეილ ჯავახიშვილი!) რომ არ იქცეს, ეს ჭირი — ცოდვები, ზოგჯერ — გაუმართლებელი შეცდომები — ჩვენს ქვეყანას არ უნდა შევაწმინდოთ. კონკრეტული დამნაშავეს დასახელებისა და გამოაშკარავების შრომა და გამბედაობა უნდა გვქონდეს. და იმ მატყუარა ბიჭსაც ნუ დავემსგავსებით, მგელი, მგელიო, რომ გაიძახოდა და როცა მართლა მოვიდა, არ დაუჯერეს.

„მგელი“ კარგა ხნის მოსულია, ოღონდ სულ სხვა მხრიდან, სულ სხვა რამეზე — თავისი მაგარი მუხლი ჩვენი თავმოყვარეობისთვის მოუბჯენია და ელოდება, როდის გავტყდებით.

დამონებული, დაბეჩავებული და გამუდმებით მონანიე ერი კი ისეთივე ამაზრზენია... უფრო სწორად, ყველაფერზე უფრო ამაზრზენი!

სიმშვიდისაკენ და სინათლისკენ

– ვისია ეს მიწა, ქართველების თუ აფხაზების? – ჰკითხეს ტაძრის ეზოში შეცვნილმა მეომრებმა მოძღვარს.


– ეს უფლის მიწაა.

კომანში მოწამებრივად დაღუპული მამა ანდრია ყურაშვილის ამ სიტყვებში არა მხოლოდ რწმენისთვის, არამედ სამშობლოსთვისაც თავდადებული ადამიანი ჩანს. მისთვის მიწა გაცილებით მეტია, ვიდრე ტერიტორია, რადგან მიწა, ტერიტორიისგან განსხვავებით, ასე იოლად არ იკარგება, მას ვერც პოლიტიკოსები გააჩუქებენ და ვერც სამხედრო ძალა მიისაკუთრებს. მიწის ხსოვნა და ამ ხსოვნის ძალა წლებით არ იზომება, არც მხოლოდ საერთაშორისო მოლაპარაკებებში მიღწეული შეთანხმებებით, – ეს იდუმალი, საუკუნეების წინ ჩათქმული და გადაწყვეტილი ამბავია.

– ნუ, ბლავასლავი, სვიატოი ატეც, – ეს კი მანამდე უთხრეს, გამარჯვებულებმა, და სანამ ტაძრის აღმდგენელს, იპოდიაკონ გიორგი ანუას გაიყვანდნენ კონდახების ცემით, მისმა ქალიშვილმა მანანამ სწორედ ეს სიტყვა – „გამარჯვებულები“ – და მათი იმწუთიერი ფსიქოლოგიური განწყობა – „გამარჯვების ეიფორიაში მყოფები“ – დაიმახსოვრა ზუსტად და მკაფიოდ.

რამდენიმე წლის წინ, როდესაც მანანა ანუას მონოლოგს ვკითხულობდი წიგნში „ნუ გეშინინ, რამეთუ მე მიძლევიეს სოფელსა“, გამიჩნდა აზრი, ჩემს მშობლიურ ქალაქში გამემართა ამ ბრწყინვალე წიგნის წარდგინება. მთელი კრებული მამა ანდრია ყურაშვილის თანამედროვეთა მოგონებებზეა აგებული, დალაგებულია მისი ოჯახის წევრების, ნათესავების, საერო და სასულიერო პირების მიერ მოყოლილი ამბები და სულმოუთქმელადაც იკითხება.

მოძღვრები დიდად არ იჩენდნენ ინტერესს ჩვენ მიერ ჩატარებული ლიტერატურული საღამოებისადმი – ერთი-ორი თუ გვესტუმრებოდა ხოლმე დროდადრო და ეს არც იყო გასაკვირი, რადგან ძნელია, უამრავი ყოფითი და სამსახურებრივი პრობლემისგან გადაღლილი კაცი წიგნით „შემოიტყუო“, ამ სრულიად არასანახაობრივი და, ცოტა არ იყოს, მოსაწყენი საგნით. შესაძ-



ლოა, ზოგჯერ მათთვის მისაღები და თემატურად საინტერესო რამეც ხდებოდა, სტუმრებიც მეტ-ნაკლებად საპატიოები და ანგარიშგასაწევები იყვნენ, მაგრამ...

– კორცხელში ავიდეთ, მეუფეს ავუტანოთ წიგნი და მოსაწვევები, – მითხრა ჩემმა მეგობარმა ჯაბა გერსამიამ და სანამ გაკვირვებული რამეს ვიტყოდი, უკვე მიტროპოლიტი გერასიმე გველაპარაკებოდა და გვპირდებოდა, მეც მოვალ და ვისაც ხმას მივაწვდენ, ყველას მოვიწვევო.

დაუჯერებელი ჩანდა და მაშინ ვიფიქრე, რამხელა ძალა აქვს მსხვერპლსა და თავდადებას, რწმენისა და სამშობლოსადმი თავგანწირვას, ზნეობრივ შეუდრეკელობასა და სულიერ სიმტკიცეს; ძალა, რომელმაც შეიძლება უბრალო ადამიანი, გნებავთ, სასულიერო პირი, თანამედროვეობისა და შთამომავლობისთვის სამაგალითო გახადოს.

როგორც მახსოვს, ცირა ყურაშვილს, პოეტს და მამა ანდრია ყურაშვილის სახელობის მკითხველთა მოძრავი კლუბის დამფუძნებელს, იმ დღეს თავისი საუკეთესო ლექსი არ წაუკითხავს. კლუბის წევრები, სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები კითხულობდნენ ფრაგმენტებს მღვდელმონაზონ ანდრიასადმი მიძღვნილი წიგნიდან, მე კი სულ ის სტრიქონები მიტრიალებდა გონებაში:

„მეტად აღარ დამიძახო რაბი
 ეს გვირაბი არ მთავრდება რაბი
 ეს სიზმარიც არ მთავრდება რაბი
 ეს ეკლებიც არ მთავრდება რაბი...“

დანიშნულ დროს უამრავი ხალხი მოვიდა, ამდენს ალბათ ვერც წარმოვიდგენდით, არტგალერეის დარბაზი გადაიჭედა, ცხელოდა და ბევრმა შემოსასვლელთან არჩია დგომა. მეუფე გერასიმეს მოსვლამდე ეპარქიის თითქმის ყველა მღვდელი დარბაზში იყო. უცებ ჯაბა ამომიდგა გვერდით: „მზად ხარ?“ – მერე თვალი მოავლო დარბაზს და მეუბნება: – „ბიჭო, წიგნის პრეზენტაციაა თუ სინოდის კრება?“ ვილაცას საგალობლები ჩაერთო და კუთხეში მიდგმული მაგნიტოფონიდან ისმოდა. მე კი, გონებაში, ისევ და ისევ:

„ჩემი სახე შვიდი მშვიდი გველით
 ჩემს სარკეში ჩახატული გროტესკით
 შვიდი გველი აძრულია რაბი
 ერთმანეთზე უფრო უბოროტესი...“ –

ნაწყვეტ-ნაწყვეტ ვმარცვლავდი სტრიქონებს და ბოლომდე არ მჯეროდა, უფრო სწორად, ადამიანური თვალთ, ურწმუნო ადამიანის გონებით ბოლომდე ვერ გამეცნობიერებინა, რომ ოცდაშვიდი წლის კაცს, ბერს, შეეძლო, თავისი მოღვაწეობითა და ტრაგიკული აღსასრულით უფრო მეტი ეჩვენებინა და ესწავლებინა ჩვენთვის, ვიდრე ერთად აღებულ ყველა „მოღვაწეს“, რომლებიც ერისკაცისა და ერის გადამრჩენლის სახელით ეცნობოდნენ ხალხს და ოთხ წელიწადში ერთხელ უყოყმანოდ ცვლიდნენ პარტიას პარტიაზე, წამდა-უწუმ უარყოფდნენ თავიანთ მრწამსსა და შეხედულებებს. ზოგიერთი იმდენად ჭკვიანი იყო, რომ არც სასულიერო პირებთან დაახლოება გასჭირვებია, მათთან გაშინაურება და წყალობათა მოხვეჭა, მაგრამ ცოტას თუ ესმოდა ქრისტეს ეკლიანი გზა მამა ანდრიასავით:

„მე მეგონა დაგიუნჯე რაბი
 მე მეგონა მტრედებად დაგიუნჯე
 მე მეგონა ჩემი იყო რაბი
 ნეკნებს შორის დარჩენილი სილურჯე...“

ამიტომაც მგონია, მგონია კი არა, მწამს, რომ სანამ მამა ანდრია ყურაშვილის მოწამებრივი სახე გვიდგას თვალწინ, „სიმშვიდისაკენ და სინათლისკენ“ მიმავალ მის ნაბიჯებს შევყურებთ, არც ძალადობის წაქეზება შეიძლება და არც სასულიერო პირების ჩამორჩენილ, ბნელ ძალად გამოცხადება – ეს არ არის გამოსავალი იმ რთული და სახიფათო მდგომარეობიდან, რომელშიც ჩვენი ქვეყანა იმყოფება ამჟამად. გამოსავალი ერთმანეთის მოსმენა და შეყვარებაა, შეცდომების საკუთარ თავში ძიება და სინანულისა და ღვთის სიყვარულის მხურვალე განცდა, დაახლოებით ასეთი:

„სულ ციცაბოს სულ ქარაფზე მდგარი
სულ მძრწოლვარე
სულ დევნილი ძაბუნი
მე არა ვარ შენი ღირსი რაბი
მეტად აღარ დამიძახო რაბუნი“.

მასწავლებელი სოფლის სკოლისა

არ მახსოვს, არ მოვსწრებივარ, ის კი არა, მგონი ჩემს დაბადებამდე გარდაიცვალა. არც მისი ფოტო მინახავს. ახლა მიკვირს, რატომ არ მოვინდომე, მაშინ, როცა ასეთი რამეები – ძველი სურათებისა და ხელნაწერების თვალიერება – მიტაცებს ხოლმე. სურვილიც არ გამჩენია, მის შესახებ იმაზე მეტი გამეგო, ვიდრე ისე, ყურმოკვრით ვიცოდი.

აღიოშა ბოხუა ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა დედაჩემს ურთის სკოლაში. ესეც მაშინ გავიგე, როცა არდადეგებზე დედულეთში ჩასულმა, საოჯახო ბიბლიოთეკის ერთბაშად გადაკითხვის შემდეგ, სხვა, ახალი, წაუკითხავი წიგნები მოვინდომე და ასეთი შინ არ ჰქონდათ. მერე ბაბუაჩემი ადგა, ხელი მომკიდა და უკანა ეზო გადავჭერით. შუკაში ბავშვები ბურთს თამაშობდნენ. ერთი პირობა ვიფიქრე, ამათში გავერევი და ბაბუაც მოისვენებს-მეთქი, მაგრამ გულმა არ გამიწია, თან შევატყვე, დიდად არ ეხალისებოდათ უცხო ტიპის შემომატება.

ტიშკარს მივადექით. დაძახილზე მოხდენილი ორსართულიანი სახლიდან ხანშიშესული ქალი და პატარა ბიჭი გამოვიდნენ. ბაბუა თბილად მიესალმა, მოიკითხა, ჩემი ამბავიც უთხრა. „ათუნია, მოთა ქუმორჭიშაფუ“, მიუგო სახეგაბადრულმა ქალმა, მეც მომესწრო შვილიშვილიო, ესეც დააყოლა, მერე თავზე ხელი გადამისვა და ეზოში შეგვიძღვა.

წიგნებით გადაძედილ თაროს რომ გავხედე, გული ჩამითბა – აი, დაახლოებით ის განცდა იყო, შუქის მოსვლისას რომ გვეუფლებოდა, როცა „დენდის“ ჩავრთავდით და მოუწყინრად შეგვეძლო მარიო და ტანკები გვეტარებინა ეკრანზე.

ოთხი წიგნი ამოვარჩიე. ორი ბაბუას მოჰქონდა, ორს მე ვფურცლავდი გზაში. მაშინ პირველად ვნახე ფაქსიმილე-ბეჭედი, რომელიც შიგადაშიგ, რამდენიმე გვერდზე იყო დასმული: „ალექსანდრე ბოხუას წიგნებიდან“, თუ არ ვცდები, ასე ეწერა. მანამდე სულ ბიბლიოთეკის ბეჭედდასმული წიგნები მახსოვდა და ახლა გამიკვირდა, გავბრაზდი კიდეც, როგორ შეეძლო ერთ უბრალო ადამიანს თავისი ბეჭედი ჰქონოდა.

ალიოშა ბოხუა რომ უბრალო კაცი არ იყო, ამას მერე მივხვდები, როცა მის ბიბლიოთეკაში სიარულს მოვუხშირებ, იქიდან წამოღებულ წიგნებს წავიკითხავ და მოგვიანებით, მისი წერილების რვეული ჩამივარდება ხელში.

ჩვენ შეღავათები გვიყვარს ხოლმე – ასაკის, სქესის, წარმომავლობის, გარემო პირობებისა და საერთოდ ბევრი რამის გამო. ამით თითქოს ვიმსუბუქებთ ცხოვრებასაც და სხვასაც ვასწავლით, თუ როგორი ღმობიერი და შემწყნარებელი უნდა იყოს ადამიანი, რომ ყველაფერი ერთი საწყაოთი არ უნდა არწყა, „მთელი რიგი ნიუანსები უნდა გაითვალისწინო“.

ეს, გამოგიტყდებით, თავის მოტყუებაა, და ამისთვის ალიოშა ბოხუას მაგალითიც კმარა. სოფლის სკოლის მასწავლებლის მდიდრულ და იმ დროისთვის (გასული საუკუნის 80-იანი წლები) უაღრესად თანამედროვე ბიბლიოთეკაზე რომ არაფერი ვთქვათ, მისი წერილები გვიდასტურებს, რატომ არ გვჭირდება შეღავათი, როცა ნამდვილ განათლებაზე და მასწავლებელზე ვსაუბრობთ.

სოფლის სკოლის მასწავლებლობა ადვილი არ არის. რა თქმა უნდა, სოფელსაც გააჩნია, მაგრამ ბოლოს, საქმე-საქმეზე რომ მიდგება, ერთ კაცს შეუძლია შეცვალოს ყველაფერი – ყველა პატივისცემით განაწყოს მისი პიროვნებისა და პროფესიის მიმართ, თაობებიც გაზარდოს და სოფელიც დააწინაუროს.

თითქოს რაღაცით ერთმანეთს გვანან სოფლის მღვდელი და სოფლის მასწავლებელი – თითოეული ოჯახის ლხინი და ჭირი, მწუხარება და სიხარული ახლობელია მათთვის, სახეზე ცნობენ დიდ-პატარას, დაბადების დღეებზეც ხშირად ხვდებიან და ქელების სუფრაზეც. სოფლის ყველა საქმეში თავიანთი წილი უდევთ.

ალიოშა ბოხუას წერილებიდან კარგად ჩანს მისი მრავალმხრივი ინტერესები: მას თანაბარი ექსპრესიით შეუძლია გამოეხმაუროს თავისი სოფლის – ურთა – სახელის გარშემო დაწყებულ დისკუსიას რეგიონულ პრესაში; დაიწუნოს კონსტანტინე გამსახურდიას ახლადდადგმული ძეგლი ფალიაშვილის ქუჩაზე და ამის შესახებ თავისი მოსაზრება ღია წერილით აცნობოს მწერლის ვაჟსაც და იმდროინდელ საზოგადოებრივ-ლიტერატურულ გამოცემებს (ხშირად აღნიშნავს, ამ ბარათებს რედაქტორები არ მიბეჭდავენ, კი ბატონო, შეიძლება მკაცრი და კატეგორიული ვიყო, მაგრამ ჩემისთანა რიგითი მკითხველის აზრიც ხომ გასათვალისწინებელიაო); მიმართავს სარგის ცაიშვილს, – მამაშენის, სოლომონის დამსახურებაა ჩვენ რომ სკოლა და განათლება გვაქვს სოფელში, შენც მეამაყები, როგორც გამორჩეული რუსთველოლოგი და

თხოვნაც მექნება: იქნებ რომელიმე ცნობილ კინორეჟისორთან ერთად შექმნა სცენარი და უხელმძღვანელო გადაღებას – დიდი ხნის წინ უნდა გვქონოდა ქართველებს ფილმი „ვეფხისტყაოსანზე“; არც „დროშის“ რედაქტორის შეწუხებას ერიდება, – თქვენს ჟურნალში წავიკითხე, რომ რაღაც პრეპარატი გამოსულა პაპიროსის წინააღმდეგ, მცირე დოზას მიიღებ, შემდეგ ნიკოტინით მოყირჭების გრძნობა გიჩნდება და თავს ანებებ მოწევასო. ოცდასამ წელზე მეტია ვცდილობ მივატოვო მოწევა, მაგრამ არაფერი გამომდის, იქნებ გვასწავლოთ, სად შეიძლება იმ პრეპარატის შეძენა, ვის უნდა მივმართოთო.

...არ მახსოვს, არ მოვსწრებივარ, არც მისი ფოტო მინახავს, არადა თითქოს ძალზე ახლობელი და მშობლიური სახეა ჩემთვის. ერთადერთი ის მახსენდება, ალიოშა ბოხუას სახლიდან გამოსულებს, ვიღაც შუახნის კაცი რომ შეგვხვდა და როცა ჩვენი ამბავი შეიტყო, გვიჩურჩულა:

– ეტყობა მაგის ცოლმა ზევით არ აგიყვანათ, მთელი სხვენი და მეორე სართული დიდ ყუთებში ჩაყრილი წიგნებით და ჟურნალებითაა სავსე... ვინაა აწი მაგის წამკითხავი!

ვის ეძღვნება ილია ჭავჭავაძე?

თუ დრო დამრჩა და ერთად წამოწყებულმა ამდენმა საქმემ არ გადამიყოლა, ერთი კარგი წიგნის შედგენას ვაპირებ. პირობითად ასე ერქმევა: მიძღვნების ლექსიკონი.

გაუგებარია? მოუქნელია? ბუნდოვანია? ორი სიტყვით ავხსნი. საერთოდ, ამ მიძღვნების დიდი ტრფიალი ვარ. ვგიჟდები, ერთი ადამიანი რომ მეორეს თავისი ხელიდან გამოსულ რასმე დიდის პატივისცემითა და გულითადობით მიაერთმევს. მე, ჩემდათავად, რიგიანი ვერ გამომდის. აი სხვების, მით უმეტეს, სახელოვანი ხალხის მიძღვნებს ისეთი სიამოვნებით ვკითხულობ და ვიმასხოვრებ, შეგშურდებათ.

მაშ, დავიწყო?

„ვუძღვნი ივ. პოლტარაცკისა და ილია წინამძღვრიშვილს“ – მხოლოდ სახელები, არავითარი ეპითეტები. ვფიქრობ, „აჩრდილის“ რანგის, სულისკვეთებისა და პათოსის პოემას რომ მოგიძღვნიან, ეპითეტებს, უფრო სწორად, უეპითეტობას არც უნდა დაუკვირდე.

„ვუძღვნი ჩემს პედაგოგებს“ – ესეც გვახსოვს, ლეგენდარული „გამზრდელის“ ტექსტის დასაწყისში, განსხვავებული შრიფტით მიწერილი სამი სიტყვა. აქ კონკრეტული სახელები არ ჩანს, მაგრამ განწყობა კი იკითხება.

იქნებ არ ღირდეს შორს წასვლა და იქვე, მეცხრამეტე საუკუნეში ვნახოთ მიძღვნაშივე გამხეილი (და არა ნაგულისხმევი) განწყობა, დამოკიდებულება. ლექსები? კი ბატონო, მაგრამ, თქვენის ნებართვით, ლექსებს ამ ერთხელ იქნებ მოვარიდოთ თავი, უფრო ეპიკური ჟანრისკენ წავიდეთ. თან ჩვენ ხომ ისეთი მიძღვნები გვანტერესებს, რომლის ადრესატზეც ტექსტში არაფერია ნათქვამი – ის არც ქებით, არც დაცინვითა და არც ირონიით ნაწარმოებში არ იხსენიება. სამაგიეროდ, სათაურის ქვემოთ, გამოსაჩენ ადგილას წაუწერია ავტორს მისი სახელი და უნდა გამოიცნო, რა ისეთი გრძნობა და ცხოვრებისეული რამ შემთხვევა აკავშირებს მასთან.

ჯერ მართო მეუღლისადმი მიძღვნილი წიგნებიდან ერთი-ორის სახელდახელო გახსენებაც გვყოფნის:

„გუძღვნი ოღლა ჭავჭავაძისას“ – ეს „განდეგელია“.

„ლიუბას – სიყვარულას – ჩემს მეუღლეს, მეგობარს, ადამიანს, დედას“ – ეს კი „თეთრი საყელო“.

ცალკეა ძვირფასი კოლეგებისადმი მიძღვნილი წიგნები:

„გოეტჰეს – რომლის „ტყის მეფე“ წაკითხვამდე ვიგზნე შვიდი წლის ბავშვმა – გოეტჰეს თვალს რომანი „გველის პერანგი“. როგორც სიყვარული“ – ეს გრიგოლ რობაქიძეა.

„შტეფან ცვაიგს – პოეტს და ადამიანს“ – ისევ გრიგოლ რობაქიძე და ემიგრაციაში გამოცემული რომანი „მეგი – ქართველი გოგონა“.

„გუძღვნი ილია ჭავჭავაძეს“ – ეს კი გრიგოლ რობაქიძის საყვარელი პოეტის, ვაჟა-ფშაველას ნაკლებად პოპულარული პოემა „ძალიკა ხიმიკაურია“.

ჩემს ბავშვობაში, ოდესღაც, როცა სულმოუთქმელად წავიკითხე ნოდარ დუმბაძის მოთხრობები და რომანები, მახსოვს, ერთმა იმდენად შინაარსით არა, მაგრამ მიძღვნიტ კი ძალიან მომხიბლა. „მზე“ – ასე ერქვა მოთხრობას, სათაურის ქვეშ კი: „გუძღვნი ჩემი მეგობრის, გულდა კალაძის ხსოვნას. მან პირველმა დამანახა ზღვაში ჩამავალი მზის ქიმზე მწვანე შუქი“. ეს რომ დავინახე, ისევე როგორც ხშირად ნოდარ დუმბაძის წიგნების კითხვისას, სიხარული და სევდა, შგება და ტკივილი ერთდროულად ჩამელვარა გულში.

ერთი რამეც მიხარია და მემამყება: ჩემი რედაქციით გამოცემული პროექტ „ჩანაწერების“ რამდენიმე წიგნს საგანგებო მიძღვნა აშშევენებს. საერთოდ ხშირია, როცა ერთი, მოკლე თუ ვრცელი ჩანაწერი კონკრეტულ პიროვნებას ეხება და ეძღვნება, მაგრამ სულ რამდენიმე წიგნია სერიაში, რომელსაც ერთი გამორჩეული ადრესატი ჰყავს: ნოდარ წულეისკირის „ოცი წელი წერაქვში“ ქალიშვილის, ირმას, ზურაბ კიკნაძის „სიტყვითა და საქმითა“ კი მეუღლის – ლამარა გვარამაძის ხსოვნას ეძღვნება.

ახლაც თვალწინ მიდგას, სტამბიდან მოსული შეფუთული ეგზემპლარები რომ გავხსენით, ლერი ალიმონაკი გარეკანს და სატიტულო გვერდსაც არ დაკვირვებია, მიძღვნას დაუწყო ძებნა. იპოვნა, კარგახანს დაჰყურებდა და თვალეზით ეფერებოდა ცარიელ გვერდზე დატანილ წარწერას: „ჩემს ვაჟს – გიორგი ალიმონაკს“. მერე გადამეხვია და მხოლოდ ეს თქვა: „წავედი ციხეზე, უნდა მივუტანო“.

...ხომ ხედავტ, რამდენმა ძვირფასმა სახელმა მოიყარა თავი! არადა, წლების წინ, ყველაფერი ერთი ახირებით დაიწყო. ილია ჭავჭავაძის სამეგრელოში მოგზაურობის წიგნზე ვმუშაობდი, მისი ყველაფერი – პოეზია, პროზა,

ბუბლიცისტიკა – რომ გადავიკითხე, უცებ ამეკვიატა ერთი შეკითხვა: „ვის ეძღვნება ილია ჭავჭავაძე?“ პათეტიკურად ჟღერდა და ნამეტან პატრიოტობაზე გაქაჩული კაცისთვის იქნებ საბაბიც ყოფილიყო, მკვახედ და ხმამაღლა რომ ეპასუხა: „ვის და – სამშობლოს!“

შეკითხვის ასე დახურდავება არ მაწყობდა, ავდექი და სათითაოდ დავიწყე ჩხრეკა, ვის მიუძღვნა ილია ჭავჭავაძემ თავისი საქვეყნოდ ცნობილი თუ შედარებით უცნობი ნაწარმოებები. ეს რომ მოვათავე, მერე უკვე აზარტმა არ დამანება, სხვებსაც მივყევი და მივდიე კვალში: მინდოდა გამომერკვია, საერთოდ ვინ ვის ეძღვნება, ვინ ვის იმეტებს და ვის რა ემეტება მიძღვნისათვის.

თავიდან ადვილი მეგონა და ადვილი არ ყოფილა...

ძმები ერთ კლასში

– თქვენ ამათ გილალატეს, პრინციპულ თამაშზე არ მოვიდნენ. მაგათ გამო წააგეთ და ღირსები არიან, სამაგალითოდ დაამუშავოთ! – ბრაზი და სიმკაცრე იფრქვეოდა ფიზკულტურის მასწავლებლის პირიდან და ჩვენ თავის აწევას ვერ ვბედავდით, რომ შემობრუნებული კლასელებისთვის შეგვეხედა.

„რა უნდა ვთქვა? ღმერთო, თავი რით უნდა ვიმართლო“ – პირი გამიშრა და ჩემს ძმას გადავხედე. რაც თავი მახსოვს, სულ ჩემ გვერდით იჯდა – პირველი კლასიდან. იმ დროიდან, როცა სკოლიდან მის გამო გამომიყვანეს – დაელოდე და ერთად იქნებით, ერთმანეთს დაეხმარებით და ცხოვრებაშიც არ გაგიჭირდებათო.

ახლა რომ ვუკვირდები, ამაზე უაზრო არგუმენტი ბევრი არც მახსენდება. ამას მერე მივხვდი, როცა გვერდიგვერდ, ერთ მერხზე მსხდომ ძმებს განსხვავებული შეხედულებები, სურვილები და ინტერესები აღმოგვაჩნდა. როცა არა მხოლოდ ჩვენ, გარშემომყოფებიც მიხვდნენ, რომ მე მშობლიურ ლიტერატურას უფრო ვეწყობოდი, ჩემს ძმას კი ამოცანების ამოხსნა ემარჯვებოდა, მე დავით აღმაშენებლის საშინაო პოლიტიკაზე მთელი გაკვეთილი შემეძლო მესაუბრა, მას კი მოხდენილი გეომეტრიული ფიგურების დახაზვა იტაცებდა. მახსოვს, ერთხელ, გეოგრაფიის გაკვეთილზე მასწავლებელმა რომ დავგიბღვირა ორივეს: „თქვენ ერთ სახლში არ ცხოვრობთ?“

მაშინ ვერ მივხვდი, რომელიმე შეგვაქო თუ ორივეს ერთად წაგვკბინა – შენ, ძაან ბეჯითი რომ ხარ და თავი მოგაქვს, გერჩივნა, ძმისთვის მიგეხედა, შვეიცარიის დედაქალაქი რომ არ იცისო. ან კიდევ: შენ, თუ არ გინდა, შენი ძმის ხუთიანების ქვემოთ შენი ორიანები და სამიანები ჩავამწკრივო ჟურნალში, რუკაზე ჰუდსონის ყურე მაინც მაჩვენეო.

სულ მშურდა ძმების, რომლებიც ერთ კლასში არ სწავლობდნენ – მათ არ უხდებოდათ ერთმანეთის შეცდომებზე ნერვიულობა, მერე, სკოლიდან სახლამდე ერთმანეთის გამო ათასი მიზეზის მოფიქრება, რომ მშობლებს არაფერი გაეგოთ.

მაგრამ იყო რაღაც, რასაც მათ ინდივიდუალობასა და დამოუკიდებლობაში არასდროს გავცვლიდი: ფეხბურთი! სანამ მე და ჩემი ძმა ერთ გუნდში ვიყავით, თითქმის არავინ მახსენდება სკოლაში, ჩვენთვის მოევსო. აქ ინტერესები ერთიანდებოდა, აქ ათასი ზღვის, მთის, მოგონილი თუ რეალური პერსონაჟის ნაცვლად, მხოლოდ ორი კარი იყო: კარი, რომელიც უნდა დაგეცვა და კარი, რომელშიც უნდა გაგეტანა!

პირველი გოლი რომ გამიტანეს, ვინატრე, ან დანა მომცა, ან ისეთი ბასრი კბილები, ეს ბადეში მოფართხალე ბურთი ნაკუწებად დაფუთო-მეთქი და გამიმართლა, ორ წუთში იმავე ბურთით უკვე ჩემმა ძმამ რომ გაიტანა გოლი მოწინააღმდეგის კარში. ცენტრის ხაზთან გაქცავებულ ბურთს მზერით ვხვრეტდი და კბილებს ვაღრჭიალებდი – „ხომ დაგანმორეს!“. იმ წუთიდან თითქოს ბურთი ჩვენს ნებაზე აცეკვდა.

– აბა, ლიხტენშტაინის დედაქალაქი კითხე, თუ ეცოდინება, – ვუთხარი ერთხელ ჩემს ძმას და მანაც გეოგრაფიის მასწავლებელს გამომცდელად გახედა. გაბრაზებული ვიყავი – აღარ მოასვენა, ყელში ამოადინა ცოდნაც და უცოდინრობაც. სჩვევია ხოლმე ზოგიერთ მასწავლებელს ბავშვის ამოჩემება, თუ სუსტ წერტილს უბოვოს, არ მოეშვება, ბოლომდე გაამიზმებს, იქამდე, სანამ ბავშვი არ გატყდება.

– და რომ არ იცოდეს? – თვალი ჩამიკრა, – არ ტეხავს?

– გეცოდება? – კკითხე გაკვირვებულმა.

– არა, უბრალოდ მეც არ მახსოვს ლიხტენშტაინის დედაქალაქი.

თითქოს მეუბნებოდა – უშენოდაც მივხედავ (მოვიგერიებ) ამ ქალს, ასეთი იაფი ილეულები არ მჭირდებაო. ამაზე უფრო მეტად გავბრაზდი: კიდე მე გამოვდივარ ცუდი ტიპი, ამის გამო რომ თავი გამოვიდე-მეთქი.

...ჩვენ გამო კი არავინ აპირებდა თავის გამოდებას. ალბათ ეგონათ, ძმები არიან, ერთმანეთს მიხედავენ, გამოესარჩლებიან, რამეს მოიგონებენო, მაგრამ არც ერთს არ აგვიწევია თავი.

წინა დღეს ბებიჩემმა ფეხი მოიტეხა, სოფელში მოგვიწია დარჩენა და მეორე დილას სკოლაში დანიშნულ თამაშებზე ვერ მივედი. ჩვენს არყოფნაში ჩვენებს ზედიზედ ორი თამაში წაუგიათ თურმე და იმათ ალბათ არა, მაგრამ ფიზკულტურის მასწავლებელს კი საქვეყნოდ გამოუხატავს თავისი გულისწყრომა. ეტყობა მხოლოდ ეს არ იკმარა, კლასშიც მოგვაკითხა და დამრიგებლისა და კლასელების თვალწინ მეხთატეხა მოაწყო.

„ოღონდ დროზე გავიდოდეს და ფეხბურთის დედაც!“ – გული მიდუღდა და ცრემლი მაწვებოდა, ის კი იოლადა დანებებას არ აპირებდა, მაგათ გამო წააგეთ და ღირსები არიან, სამაგალითოდ დაამუშავოთო. ეს ბოლო სიტყვა – „დაამუშავოთ“ – ისე მწარედ მომხვდა, გავიფიქრე, ვიღაცას რომ მართლა გაუწყრეს ღმერთი და ჩვენი საქვეყნოდ გაჯორვა მოინდომოს, ყველაფერს ფეხებზე დავიკიდებ-მეთქი. წამით წარმოვიდგინე რასაც ვიზამდი, მაგრამ მივხვდი, ძალიან სახიფათო ჩანდა, ულაპარაკო გარიცხვას უდრიდა და სი-მართლე გითხრათ, მაშინ შეპასუხების თავი არც მე მქონდა და არც ჩემს ძმას – შეცდომას ვაღიარებდით.

„ისე გაგვლახა, რომ ხელი არ გაგვინძრევია“ – მერხიდან არ ავმდგარ-ვართ გაკვეთილების ბოლომდე. ხანდახან თუ გადავხედავდით ერთმანეთს და უხალისოდ გადავშლიდით სახელმძღვანელოს და რვეულს, რაღაცები რომ ჩაგვენიშნა. „ეს დამრიგებელიც რომ ეთანხმებოდა?! იქნებ მაგასაც ეგო-ნა, ძმები არიან, პირველი კლასიდან ერთად მოდიან, ერთმანეთი იციან და რამეს მოიფიქრებენ, ერთმანეთს დაიცავენო“.

ჩვენი ერთსემესტრიანი დისკვალიფიკაცია რომ მორჩა, პირველივე თამაშ-ში უძლიერეს გუნდს შევხვდით და მძიმე ბრძოლაში 2:1-ზე გავტეხეთ. რამდე-ნიმე წლის შემდეგ კი, უკვე სხვა სკოლაში გადასულებს, ერთმა ტიპმა წამოგ-ვაძახა, თქვენ ის არა ხართ, საქვეყნოდ რომ გამოაჭენა ფიზკულტურის მას-წავლებელმაო? მგონი, რაღაც ნიძლავზე ვთამაშობდით და მათ კარგი გუნდი ჰყავდათ. წვიმდა და მაშინ ალბათ ვერავინ შენიშნა, გახეხილი ხელთათმანე-ბით როგორ მოვიწმინდე დაგუბებული ცრემლი და ჩემს ძმას გავხედე: ალეუ-ვებული ჩანდა. ცამეტი გოლი გავუტანეთ და ბოლოს, მეცამეტეზე, პენალტის დასარტყმელად აუჩქარებლად, ძუნძულით გადავჭერი მთელი სტადიონი. მოკლე გამორბენი და ძლიერი დარტყმა. სუნთქვა შემეკრა და მეგონა გული გამისკდებოდა. იმ დღის შემდეგ ფიზკულტურის მასწავლებელს რამდენჯერ-მე შევხვდი – თბილად, საქმიანად მოვიკითხეთ ერთმანეთი და რის გამო, არ მახსოვს, მაგრამ ერთხელ შემაქო კიდევ. „კარგად გიმუშავიაო“ – ასე მითხრა. თითქოს რაღაც მეცნო: „გიმუშავია“. „მუშაობა“. „დავამუშავოთ“.

ჩემი ძმა კი მეცხრე კლასიდან კოლეჯში გადავიდა. მას შემდეგ ჩვენ ერთ გუნდში არასოდეს გვითამაშია.

It's too much, Mediko!

ის დროა, მედეა ბაალიშვილზე რომ უნდა მოგიყვებო. ჰო, გეხსოვებათ ეს სახელი, ვისაც ჩემსავით მეტერმეტე კლასში (ან უფრო ადრე) ფოლკნერის-კენ გაუწია გულმა და ნაცნობებში გაიკითხა, ამ რთულად საკითხავი მწერლის ყველაზე ადვილი წიგნი რა შეიძლება იყოსო. მაშინ კი მირჩიეს, აჯობებს „სული რომ ამომდიოდა“-თი თუ დაიწყებო, მაგრამ გულზე ხელს დავიდებ და ვიტყვი, ასეთი უღმობელი და თავზარდამცემი მანამდე ხომ არაფერი წამეკითხა და მას მერეც თითო-ორიოლა გამოერევა. ადვილიო, და ერთი შეხედვით მარტივად აწყობილი (ესეც სადავოა) სიტყვების, წინადადებების ტევრში უთვალავჯერ შეგიძლია მოასწრო სიკვდილი და თუ სიკვდილი არა, აუტანელი, გულთან ახლოს გამავალი ტკივილისგან გახევება.

ეს ფოლკნერის გარდა, უთუოდ ამ რომანის მთარგმნელის – მედეა ბაალიშვილის დამსახურებაც არის, რომელსაც გარდა ერთი სწორუპოვარი უილიამისა, სხვა დიდებული უილიამებიც უთარგმნია: უილიამ შექსპირი გინდა, უილიამ ბატლერ იეიტსი თუ უილიამ ბლეიკი.

სანამ ქალბატონი მედეა ამ ყველაფერზე თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში „ცაში გამოკიდული სახლი“ მოგიყვებოდეს, მე ერთ ეპიზოდს გავიხსენებ, რომელიც ამ ათიოდე წლის წინ მომხდარა.

ინგლისური და ამერიკული ლიტერატურის მთარგმნელმა, მედეა ბაალიშვილმა გადაწყვიტა თავისი ახალგაშობილი თარგმანი – უილიამ შექსპირის „ვენერა და ადონისი“ – ძვირფას კოლეგას, პროფესორ არიანე ჭანტურიას მიართვას. თავისი სამუშაო საათების დიდ ნაწილს ბატონი არიანე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეხუთე კორპუსის ერთ პატარა ოთახში ატარებდა, ამიტომ ადვილი მოსალოდნელია შეხვედრა იქ შემდგარიყო.

სცენა რომ წარმოვიდგინოთ: მასპინძელი სათარგმნ მასალაში და ათასგვარ ლექსიკონებშია ჩაფლული, ყოველ სიტყვას ჩაჭკრიკიტებს, უამრავჯერ ამოწმებს, სანამ გამოსაქვეყნებლად გაგზავნიდეს. უცებ კარი იღება და, „ოოო, მობრძანდითო“, მოულოდნელად შემოსულ სტუმარს ხმადაბლა შეაგებებს სალამს და სკამისკენ მიუთითებს.

საჩუქარი ვის არ უხარია, უფრო სწორად, ყველას სიამოვნებს და არც ბატონი არიანე იქნებოდა გამონაკლისი, მაგრამ კოლეგის პატივისცემისა თუ



თარგმნილი თხზულებისადმი ინტერესის გამო, ეტყობა იქვე მოინდომა საჩუქრის მოხილვა და წიგნის თვალჩიერებას შეუდგა.

– ესეც შესავალი, აჰა, კი ბატონო, ოვიდიუსის ეპიგრაფი, შექსპირისეული მიძღვნა, შემდეგ ტექსტიც იწყება, სამი, ცხრა, ჩვიდმეტი, ოცდასამი, ოცდათერთმეტი, – აზარტულად მიჰყვება გვერდებს არიანე ჭანტურია, – აჰა, ფერადი ჩანართებიც, სანდრო ბოტიჩელის „ვენერა და მარსი“, შემდეგ მისივე „აფროდიტეს დაბადება“, იქვე ჯორჯონეს „მიძინარე აფროდიტე“, კორეჯიოს „ვენერა მარსთან და ამურთან“, – გამომცემელს გვერდიგვერდ მოუთავსებია რენესანსის კორიფეების მიერ დახატული ღვთაებრივი ქალის შიშველი ტორსები, – ტიციანის „ვენერა სარკით“, „ვენერა და ადონისი“, „ვენერა და გრაციები“ – ერთი, მეორე, მესამე... თურმე ჯერ სად ხარ! ჯერ წინაა ვერონემეს „ვენერა და მარსი“, რუბენსის „ვენერა და ადონისი“, ველასკესის „ვენერა სარკით“, ისევ და ისევ, დაუსრულებლად ღვთაებრივი ქალის შიშველი ტორსი, და უცებ იფეთქებს ასკეტობითა და თავშეკავებულობით ცნობილი არიანე ჭანტურია:

– It's too much, Mediko! – ნამეტანი მოგსვლიათ, ბატონო, ნამეტანო, სახეზე აწერია წყენა თუ მრისხანება თუ გაოცება თუ ეს ყველაფერი ერთად. თითქოს კოლეგას კი არ ურიგედეს რამეს, შეთამამებულ სტუდენტს ტუქსავდეს, – It's too much... – სიბრაზისგან უფრო უმძაფრდება მეგრული აქცენტი, და ახლა, ამწუთას, განსაკუთრებით ვგრძნობ, როგორ მენატრება არიანე ჭანტურია – იშვიათი ადამიანი, რომელმაც თავის დიდ ნიჭთან და ცოდნასთან ერთად, საოცარი ამბებიც წაიყოლა იმქვეყნად.

რატომ გვჭირდება პოლემიკა?

„ქვეყანას სამი რამ აკლია: ცას – კიბე, ზღვას – ხიდი და ადამიანს – სამართალი!“ – ამბობს გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხის“ პერსონაჟი. ჩვენ კი, და ეს ბოლოდროინდელმა მოვლენებმა განსაკუთრებით გამოაჩინა, განსხვავებული აზრის მოსმენის უნარი გვაკლია. მის გათვალისწინებაზე არაფერს ვამბობ: შეიძლება ისე მოხდეს, რომ დიდიან-პატარიანად ავიღესოთ იმის წინააღმდეგ, ვინც ჩვენთვის არასასურველ რამეს გვეუბნება. და ამასობაში მოწინააღმდეგის დათრგუნვისა და დამარცხების ისეთი ხერხებიც გავვიშინაურდა, როგორიც საძინებლის ჭუჭრუტანიდან თვალთვალია.

განსხვავებული აზრის მოსმენას/მოთმენას შესწავლა უნდა, პატარაობიდანვე – ანბანს რომ სწავლობ, ასოების მოხაზულობას და შეუცდომლად დაწერას, თითქმის ისე. ეს რომ მხოლოდ ოჯახში ისწავლებოდეს, ალბათ უკეთესი მდგომარეობა იქნებოდა, მაგრამ ცხადია, მართო შინაურული გარემო არ აყალიბებს ადამიანს. ჩვენ დედ-მამის შვილები კი ვართ, მაგრამ გარეთ ნანახი, შენახვედრი და დამახსოვრებული უფრო გვძერწავს და ამტანსაც გვხდის.

მახსოვს, საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში, ერთ-ერთი თავის ბოლოში, დანართის სახით VI საუკუნის ეგრისელი დიდებულების – აიეტისა და ფარტაბის სიტყვები იყო დაბეჭდილი. მეფე გუბაშის მკვლელობის შემდეგ, 555 წელს ეგრისში საგანგებო კრება მოეწყო, სადაც პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო. დიდებულთა ერთი ნაწილი, აიეტის მეთაურობით, მოითხოვდა ბიზანტიასთან კავშირის გაწყვეტას და ირანის მხარეზე გადასვლას; ფარტაბის მომხრეები ეწინააღმდეგებოდნენ ირანთან კავშირს, სამაგიეროდ ბიზანტიის იმპერატორისგან მოითხოვდნენ გუბაშის მკვლელობას სასტიკ დასჯას და ეგრისის მეფედ გუბაშის უმცროსი ძმის დამტკიცებას.

მეშვიდე კლასში ვიყავი და წაკითხულმა იმდენად მძაფრად იმოქმედა ჩემზე, რომ ერთი ხანობა ყოველკვირეული პოლიტიკური სერიის, თოქშოუების ყურებას თავი მივანებე. აგათია სქოლასტიკოსის მიერ შემონახული ეგრისის სახალხო კრების პოლემისტების შემდეგ, ეს უარგუმენტო, ადამიანების ურთიერთშეურაცხყოფაზე აგებული, ყალბი პათოსითა და ემოციებით დატვირთული ფარსი საერთოდ ამოვარდნილი ჩანდა პოლემიკის ჩარჩოდან.

ფარსი და სიძულვილით გამოკვებილი ციტატები არც მერე დაგვკლებია

და ახლა რომ ვუყურებ, რაღაც ძალიან სერიოზულად გაგვიჭირდა, ისე, რომ ცოტა ხანში სუფრაზე ამაყად მოხსენიებული წინაპრების მხოლოდ სახელები დაგვრჩება საკვებნად.

აბა, მათი ნათქვამი სიტყვისა ჩვენ არ გვეყურება და არც მათი გაკეთებული საქმეებისგან დავითოვით რამე. სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იმათ ჩვენზე დროული და შედეგიანი კრიტიკა იცოდნენ, – გაწყდეს საცა ვიწროაო, – გადაწყვეტდნენ, რაც გადასაწყვეტი იყო. ეს იმიტომ, რომ უსაბუთო და პიროვნების შეურაცხყოფელი პასკვილები ცუდ, უკეთურ საქმედ იყო მიჩნეული და საზოგადოების თანაგრძნობა არ ელირსებოდა.

„მამებისა და შვილების ბრძოლის“ სახელით შერაცხული პაექრობა 1860-70-იან წლებში ენისა და სტილის საკითხებზე მსჯელობით დაიწყო და მოგვიანებით კიდევ უფრო გამწვავდა, რადგან „შვილების“ თაობის სახელოვანმა წარმომადგენლებმა „მამების“ ყველაზე ავტორიტეტული ფიგურაც კი არ დაინდეს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ პოლემიკამ ბევრი სასიკეთო შედეგი (მათი ჩამოთვლით თავს არ შეგაწყენთ) გამოიღო და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ორივე მხარემ საბოლოოდ დაადასტურა ერთმანეთისადმი პატივისცემა.

ადამიანური პატივისცემის საუკეთესო ნიმუშია ბერი ალექსი შუმანისა და ექიმ ივანე გომართელის მიმოწერა (XX ს.-ის პირველი ათწლეული). მრწამსისა და მსოფლმხედველობის თვალსაზრისით რადიკალურად განსხვავებულ პოლუსებზე მდგომი პიროვნებები, მაშინაც კი, როცა ცდილობენ მოპაექრე მისი შეხედულების მცდარობაში დაარწმუნონ, ინარჩუნებენ საოცარ ტაქტსა და წონასწორობას.

ნიკოლო მიწიშვილის გახმაურებული „ფიქრები საქართველოზე“ (1926 წ.) გახდა მიზეზი და საბაბი არაერთი უმნიშვნელოვანესი წერილის გამოსაქვეყნებლად, სადაც ავტორები – ქართული მწერლობისა და მეცნიერების თვალსაჩინო სახელები – ქვეყნის ბედს, ისტორიულ გამოცდილებასა და ქართულ ხასიათს, წარსულის მემკვიდრეობასა და თანამედროვეობას სიღრმისეულად განსჯიდნენ.

ხშირად მიფიქრია, რომ კარგი იქნებოდა საქართველოს ისტორიისა და ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოებში უფრო უხვად შეეტანათ პოლემიკის საუკეთესო ნიმუშები, სადაც საკამათო საგნის იმდროინდელი კონტექსტიც აიხსნებოდა და კულტურული/სალიტერატურო მნიშვნელობაც.

დღეს ამის საჭიროება უკვე აშკარად იგრძნობა. დაუნდობელი პოლიტიკური ბრძოლები და განსხვავებული აზრის გამო ერთმანეთის შეურაცხყოფა დახშულ სივრცეს ქმნის. აქედან ერთადერთი გამოსავალი განათლებაა, იმ გამოცდილების შეთვისება სკოლის ასაკიდან, რომელიც ერთდროულად ორ რამეს გვასწავლის: 1) გაუზარებელი, ბოლომდე გაუთვითცნობიერებელი გადაწყვეტილების მიღებისგან თავის შეკავებას და 2) ადამიანის დანდობას და პატივისცემას.

დასცინე და იბატონე

განსაკუთრებით მიყვარს ერთი ადგილი იოანეს გამოცხადებაში: „ვიცნი საქმენი შენნი, რამეთუ არცა გრილი ხარ, არცა ტფილი. ჯერ-იყო, რადთამცა, ანუ გრილი იყავ, ანუ ტფილი. არამედ ესრეთ ნელ-ტფილი ხარ და არცა გრილი, არცა ტფილი. მეგულების აღმოგდებად შენი პირისაგან ჩემისა“.

ნელ-თბილობა ოც საუკუნეზე მეტი ხნის წინ აწუხებდა კაცობრიობას, მაგრამ მაშინ ჯერ კიდევ ის დრო იყო, როცა ღვთის მოციქულები პირდაპირ, შუამავლის გარეშე ელაპარაკებოდნენ ადამიანებს. დღეს კი, სანამ საჭირო სიტყვა ჩვენამდე მოაღწევდეს, გზაში იმდენ საზვერეს გადის, ისეთ ჩარევას განიცდის, „ვეფხისტყაოსნის“ ცნობილ ინტერპოლატორს – ნანუჩა ციციშვილს რომ არც დაესიმრებოდა.

ჩვენ სახელდებები გვიზიდავს ხოლმე – სულიერი კრიზისის ასწლეულიო, ატომური საუკუნეო, ამოუწურავი შესაძლებლობების ეპოქაო, – მაგრამ ყველაფერს ფულით ვერ იყიდი, დანარჩენისთვის ერთი ჯადოსნური რამ მოუგონია გამჭრიახ გონებას: უნდა დასცინო.

საინფორმაციო გამოშვებები თითქოს წინასწარ შეითქმებიან ხოლმე მნიშვნელოვან დღესასწაულებზე, და ისე როგორ იქნება, ერთი ცხელ-ცხელი ინტერაქტივი არ გამოაცხონ.

„რა გვარი იყო თამარ მეფე?“, „რომელ წელს გავრცელდა საქართველოში ქრისტიანობა?“, „გეორგიევსკის ტრაქტატზე ვინ მოაწერა ხელი საქართველოდან?“, „პლესანოვის გამზირს ამჟამად რა ჰქვია?“, „ვეფხისტყაოსნის ძეგლი ვინ ააგო?“ – შოუების წამყვანები, სტუდიაში შეკრებილი და ტელევიზორს მიშტერებული ხალხი თითქოს გულს ვიოხებთ იმ უვიცობითა და გულუბრყვილობით, რაც ეკრანიდან გვესმის, უკეთესი მომავლისთვის ვიმუხტებით და ხშირად საკუთარი უპერსპექტივო ყოფაც გვავიწყდება. მეტი რომ არ ვთქვა, კარგ ხასიათზე ვდგებით: დასაცინი გამოჩნდა!

ნეტა აქამდე სად იყო?! ჩვენ ხომ უნდა გვცოდნოდა, რომ ამ ქვეყნად არსებობს ძველგაზრდა თუ ახალგაზრდა, ვინც არ იცის, რომ თამარი ბაგრატიონთა დინასტიას ეკუთვნის, დიახ, დიახ, სწორედ მათ, და არა, ვთქვათ, ფარნავაზი-

ანებს – ნატოში და ევროკავშირში რომ გვინდა, აჯობებდა, მანამდე საშუალო განათლება მაინც მიგვეღო; ამაშია საქმე: მაშინ ისიც გვეცოდინებოდა, რომ ქრისტიანობის გავრცელება ქართლში თუმცა | საუკუნიდან იწყება, როცა აქ ანდრია პირველწოდებულმა და სვიმონ კანანელმა იქადაგეს, მაგრამ ქართლის გაქრისტიანება წმინდა ნინოს სახელთან არის დაკავშირებული და ეს, როგორც საქართველოს სამოციქულო ეკლესია მიიჩნევს, 326 წელს მომხდარა (აქ აუცილებლად იქნება მწუხარების, გულზე შემოყრის, ასე ჩვენ ვერ გავფრინდებით, მეტის ღირსი ვართ, და, ცხადია, დაცინვის აურაცხელი ღიმბილაკი); ჯერ სად ხარ! ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნება და ევროპაში ინტეგრაცია, რომ გაიძახი, მინიმუმ უახლესი ისტორია მაინც უნდა იცოდეს! ავადსახსენებელია თუ რაცაა, მაგ ტრაქტატს, გეორგიევსკის ციხესიმაგრეში 1783 წლის 24 ივლისს საქართველოს მხრიდან იოანე მუხრანბატონმა და გარსევან ჭავჭავაძემ მოაწერეს ხელი; დანარჩენი ისეთი მარტივია, სათქმელად არ ღირს, გენაცვალე: პლესხანოვს ახლა აღმაშენებლის გამზირი ჰქვია, ვეფხისა და მოყმის ძეგლი კი თბილისის შემოსასვლელში ელგუჯა ამაშუკელმა გამოაქანდაკა.

ეს ხომ ელემენტარულია. ეს ოჯახიდან, სკოლიდან, პატარაობიდანვე უნდა იცოდეს ადამიანმა. კიდევ კარგი, ბებიჩემი რომ ასეთი უვიცი არ ყოფილა – ჩვენს განათლებაზე იყო გადაგებული; კიდევ კარგი, ამნაირი შვილი რომ არ გვეზრდება და არც ეგეთი რძალი არ შემოადგამს ჩვენს ოჯახში ფეხს არასოდეს! ნწ, ნწ, ნწ, ნახე რა თქვა? ღმერთმა დაგვიფაროს.

მოკლედ ასეა: ვიცინით და ვართ! მთელი ქვეყნის დასანახად დავცინით და ამ „პრადვინუტობანას“ თამაშში ისე გაგვიტაცებს ჩვენი ეგო, რომ უმაღლეს იმათზე, „ჩაფილებულებზე“, ჩაფლავებულებზე, თამარისგვარისუცოდინარ და პლესხანოვისპროსპექტზეჩარჩენილ „ბრბოზე“ ბატონობის სურვილიც გაგვკრავს გულში. თითქოს რა უნდა, მით უმეტეს, თუ ფულიც გაქვს, დაცინვაც შეგიძლია და ორტევა ი გასეტის შრომებისთვისაც ჩაგიკრავს თვალი.

ამ ინტერაქტივ-ფარსების ურიცხვ შემფასებელთა შორის არაერთი რაციონალური შეგონება და აუცილებელი ცნებაც („განათლების საჭიროება“, „გემოვნების ჩამოყალიბება“, „თავისუფალი არჩევანი“) გამოერევა, მაგრამ ავადმღელვარი ნაკადი/ჩანაფიქრი – დასვინე და იბათონე – იმდენად მღვრიე და დამთრგუნველია, ყველაფერი აზრს კარგავს.

გულზე ხელს დავიდებ და ვიტყვი, უცებ, მოულოდნელად, ვინმემ რომ ქუჩაში გამაჩეროს, კამერა და მიკროფონი მომიშვიროს და მკითხოს, აბა, მით-

ხარი, „გალობანი სინანულისანი“ ვინ დაწერაო, შეიძლება ისე დავიბნე, დავით აღმაშენებლის ნაცვლად კლოდ მაკელელე ვუხსენო (მიუხედავად იმისა, რომ არც „ჩელსის“ ქომაგი ვარ და არც წინა დღეს მიყურებია მისი თამაშისთვის „იუთუბზე“). ჰოდა, ნუ დავუდგებით ჩვენს ხალხს საჯარო გამომცდელბად, ასე პირდაპირ ეთერში „ეგზამენებს“ ნუ ჩავაბარებინებთ, მით უმეტეს, დიდად არც განვითარებული ქვეყნები ბრწყინავენ ამ მხრივ – ჩვეულებრივმა ბრიტანელმა შეიძლება ვერ გითხრათ, „მაკბეტის“ ავტორი ვინაა, არც რიგითი ფრანგი მოიკლავს თავს, თუკი გუსტავ ფლობერის შედევრების სახელები არ მოაგონდა.

არ ვამბობ, გაგებით მოვეკიდოთ და რაღაცების გამოსწორებაზე არ ვიფიქროთ-მეთქი, მით უფრო განათლების სფეროში, სადაც ძალიან სერიოზული კრიზისია, მაგრამ ეს თვითგვემა და სავალდებულო ჰარაკირები რომ ვერაფერს შველის, კარგად ვხედავთ უკვე. ამიტომ ვილაცის აბუჩად აგდებაზე ფიქრს, რიცხვებისა და სახელების არაფრისმომცემ ზეპირობას, აჯობებს, ცოტათი უფრო შეგნებული მოქალაქე აღგვეზარდა საკუთარ თავში.

მეტსახელების მაგია

მეცხრე კლასში ვიყავი, როცა მოსწავლეთა კონფერენციისთვის ერთი უცნაური თემა მომადიქრდა: „ისტორიულ პირთა მეტსახელები“. დასაწერად და სალაპარაკოდაც საინტერესო ჩანდა, არც დიდი კვლევა-ძიება სჭირდებოდა და ჩვენში რომ ვთქვათ, თავმოსაწონებლადაც გამოვიყენე: ხდება ხოლმე, რაც არ უნდა ზედაპირული იყოს ტექსტი, ეფექტური სათაურიტაც კი მიიზიდავს ადამიანს.

ფარსმან ქველი, ვახტანგ გორგასალი, ბაგრატ რეგვენი, თეოდოსი უსინათლო, დავით აღმაშენებელი, გიორგი ბრწყინვალე, ავგიორგი – ჯერ მართოქართული მატინე მადღევდა ამ მხრივ უხვ მასალას, ამასთან ერთად, იმავე წყაროებში შემონახული უცხოელი დამპყრობლებიც ხომ იყვნენ: მურვან ყრუ, ბასილი ბულგართმმუსკრელი...

ჩემი ნაშრომი ძირითადად ბიოგრაფიულ ცნობარს ჰგავდა, სადაც ამა თუ იმ პირისთვის მეტსახელის დარქმევას კი განვმარტავდი, მაგრამ უფრო ფართოდ ამ თემას არ შევხებივარ. მხოლოდ ათი წლის შემდეგ, რომანზე მუშაობისას, ფოტოგრაფ კალენიკეს – მენცარ კალეს – მეტსახელზე ფიქრის დროს ვცადე რაღაცებისთვის სახელის დარქმევა: „ყველაფრის მოფიქრება შეიძლება წინასწარ – საომარი მოქმედების, საქორწინო ხელშეკრულების, ანდერძის, დაბეზლების წერილის, – ოღონდ მეტსახელისა არა. მეტსახელი ყველაზე ახლო, გაუკვალავი გზით მიდის ადამიანის ბუნებასთან და დაფარული თვისებები გამოაქვს გარეთ“.

ადრე ვერავინ წარმოიდგენდა, მაგრამ უკვე დიდი ხნის გაუქმებულია ცნობილი ანდაზა: „ბავშვი არ დაბადებულიყო და აბრამს არქმევდნენო“. მაგრამ ის იდუმალეა, რაც სქესის წინასწარ შეტყობით გაცხადდა, თითქოს მეტსახელის შერქმევის ვნებამ გადაქაჩა თავისკენ. ამიტომ, ვისაც ცოტა წარმოსახვა, გამჭრიახი გონება და იუმორი აქვს, მოსაწყენ ცხოვრებას ერთ მეტსახელს მაინც გამორჩება.

ლიტერატურის მკვლევარი და გერმანისტი გურამ ჭოხონელიძე, რომელმაც ჩვენთან გოეთეს „მგზავრის ღამეული სიმღერა“ მოამზადა გამოსაცემად,

ქართველი პოლიტიკოსების მეტსახელებს აგროვებდა. „რა იმდენი არიან, ბატონო გურამ?“ – ეჭვით ვკითხავდი ხოლმე, ის კი ამაყად გამოძედავდა, ცოტას გამებუტებოდა ჩემი უკმეხი შეკითხვით გაბრაზებული და მალევე ჩამოთვლიდა რამდენიმეს:

– პუპუბაა, ჩემო ბატონო, პადოშა, გრეჩიხა... ძველებშიც ბევრია, ყველაფერს ხომ ვერ გეტყვი!

დარწმუნებული ვარ, ვილაც აუცილებლად გამოჩნდება, ვინც ქართული ლიტერატურული პერსონაჟების მეტსახელებს უფრო მიზანმიმართულად შეკრებს და დაწვრილებით გამოიძიებს იმ ფსიქოლოგიურ იმპულსებს, რის გამოც თავად ავტორმა თუ სხვა პერსონაჟებმა გადაწყვიტეს ნაწარმოების გამირისთვის მეტსახელი შეერქმიათ.

ისე, რამდენიმეს გახსენება აქვე შეიძლება: ლამაზისეული ხომ მოგაგონდათ ილიას „კაცია ადამიანი?!“-დან? ერთი უშნოდ ჩასუქებული, ჯმუხი, ჭუჭყიანი არსება, ტანზე რომ ხამის ერთთავად ჭუჭყიანი ჩითის კაბა ეცვა და თავზე შიგადაშიგ ამოფლეთილი ჩითმერდინი წაეკრა, კნეინა დარეჯანის გამონაცვალი. ან ბრინკა – ნაშინდარში, თავისივე მამულში ჯაცოს ხიზნად და მსახურად ქცეული თეიმურაზ ხევისთავი; კაშელების ოჯახის ქვეშევრდომი ჟელებნი ოთარ ჭილაძის „გოდორიდან“, რომელსაც „არაფერი გამოეპარება, ქვის ქვეშ რა დევს, ის იცის. შეუძლია, არ მოუსმინოს და გაიგოს, არ შეხედოს და დაინახოს... ასეთი ნიჭითაა ბუნებისგან დაჯილდოებული და ამიტომაც ვერ შელევია რაუდენი, ურჩენია, მისთვის აგროვებდეს ის ცნობებს, ვიდრე მის შესახებ“.

ჩემი მხრიდან, ბოლო ხანს წაკითხული კარგი მწერლის–ბექა ქურხულის რომანის(„სამოთხიდან გაქცეულები“) პერსონაჟებს დავამატებდი: ძესნა ლალე, ძია ბარადა და ეხლა ნახე რა ვქნა თემურა. პირველმა ორმა ბალიდან წამოიყოლა მეტსახელი – ლალეს უთქვამს, „რო გავიზრდები, დედიკომ და მამიკომ დიდი ველოსიპედი „ძესნა-დვა“ უნდა მიყიდონო“ და ბავშვებმა ბევრი დასცინეს, უცხო სიტყვა „ძესნა“ მოეწონათ და კიდევ შერჩა იქიდან მოყოლებული; ძია ბარადას სახლში რუსი მოსამსახურე ჰყავდა და, როდესაც ბაღში „ბურატინოს“ უკითხავდნენ, ყარაბას-ბარაბასს რუსულ-ქართულად „ძია ბარადა“ დაარქვა; თემურ მათურელმა კი ფრონტის ხაზისკენ, ავღანეთისკენ გაჭრილმა აიკიდა ეხლა ნახე რა ვქნა თემურა.

მეტსახელების მაგიაც ესაა: კაციშვილმა არ იცის, ვის როდის უყვივლებს ენა და ვის სად წაუცდება ფეხი. ამიტომ მათ, ვინც Chivo-ზე (ესპ. ვაცი, დიქტა-

ტორ ტრუხილიოს მეტსახელი) დაწერილ ლიოსას რომანს კითხულობს ან El Chino-ს (ესპ. ინდიელისა და ევროპელის შთამომავალი, დიეგო სიმეონეს მეტსახელი) გაწვრთნილ „ატლეთიკოს“ ქომაგობს ჩემპიონთა ლიგის ფინალში, და არა მხოლოდ მათ, ყველას მოგვიწევს შეგუება იმასთან, რომ ერთხელაც ვიღაც გამოჩნდება და მსუბუქად, აუღელვებლად ისეთი მეტსახელით მოგვნიშნავს, ორ-სამ წელიწადს და ერთ თაობას კი არა, ჩვენს შთამომავლობას რომ გაწვდება.

ჩემი პირველი მასწავლებელი

მე და ჩემი ძმა ის იშვიათი ბავშვები ვიყავით, ვინც პირველ სექტემბერს – პირველი კლასის პირველ სექტემბერს – უკვე იცნობდა თავის მასწავლებელს. მერი ბულია ჩვენი კარის მეზობელი იყო და მან იმ 90-იანებში, უფრო კონკრეტულად კი 1994 წლიდან, ჩვენთვის არა მხოლოდ წერა-კითხვის სწავლება ითავა, არამედ სახლიდან სკოლამდე და სკოლიდან სახლამდე მშვიდობიანად მიყვანაც. აოხრებულ, დარბეულ ქალაქს ყოველდღიურად, დილაობით, სკოლისკენ მიმავალი მოსწავლეები აცოცხლებდნენ, რადგან მათ მშობლებს და მასწავლებლებს ჯერ კიდევ სჯეროდათ, რომ ომი, ბინძური პოლიტიკა და განუკითხაობა ცხოვრების წესად არ უნდა ქცეულიყო.

იმ დილასაც ჩვეულებრივ პირველი მე გავვარდი ჭიშკრისკენ, პურისა და ყველის მობრდილი ლუკმა სულმოუთქმელად გადავცლაპე და სანამ ჩემი ძმა კვალში ჩამიდგებოდა, უკვე ვხედავდი, როგორც ეშვებოდა ჩვენი მასწავლებელი კიბეზე. ის წინ, ჩვენ – უკან. ხმამოუღებლად მივყვებოდით. სულ მინდოდა მეკითხა (მაგრამ ვერასდროს გავუბედე), იმ სიჩუმეში, რომელსაც მხოლოდ მისი ნაბიჯების ხმა არღვევდა, რაზე ფიქრობდა, უფრო სწორად, ჩვენზე თუ ფიქრობდა. ვერ ვკითხე, მაგრამ იმას კი ვგრძნობდი და ვხედავდი, რომ ხანდახან, ტროტუარზეც და ქუჩის გადაკვეთისას, თავს შემოაბრუნებდა, გამოგვხედავდა და როცა დარწმუნდებოდა, რომ საშიში არაფერია, თავის თანამგზავრთან ერთად აგრძელებდა გზას.

თანამგზავრი ნათელა ჯინჯოლია იყო, რუსულის მასწავლებელი, ქუჩის თავში რომ გვიცდიდა და მერი ივანოვნასთან ერთად აპირებდა შემდეგი ოცი წუთი – სკოლამდე მისასვლელი გზა – პოლიტიკაზე, საჭირობოროტო საკითხებზე და სკოლაზე საუბრით გაეღია. ისინი გზადაგზა ჩერდებოდნენ, შეკამათდებოდნენ, საჭირო რეპლიკებს ცვლიდნენ ერთმანეთში. ჩვენც ვჩერდებოდით, დიდად არ გვესმოდა მათი სალაპარაკო თემის შინაარსი, მაგრამ არც გადასწრება გვინდოდა. სულერთია, კლასში მაინც ის მასწავლებელი უნდა დაგვხვედროდა ან თუ არ დაგვხვედროდა, შემოსულიყო მაინც, ვისაც გადავუსწრებდით, მხედველობის არედან დავუსხლტდებოდით. ეს დროებითი ოინები მაინცდამაინც არ გვხიბლავდა, მით უმეტეს, რომ ჩვენს ოინებზე ერთიორჯერ მწარედაც მოგვხვდა.

– ბურთი უსულო არსებაა და თავისი ნებით არ მოვა და არ გეტყვით, მორჩით თამაშს, თავი დამანებეთ, საკმარისიაო! – გვითხრა ერთხელ მერი მასწავლებელმა და რომ არ გამცინებოდა, ქვედა ტუჩის ძარღვზე ისე მწარედ ვიკბინე, პირი სისხლით გამევსო. ისე, მართალი იყო, ჩვენზე უფრო ბურთი რომ შეეცოდა – თამაშის აზარტში შესულები დღე-ღამეს ვერ ვარჩევდით და ქუჩაში შუქი თუ ბუუტავდა, ღამის საათებშიც შეგვეძლო ნამდვილი მუნდიალის მოწყობა.

მაგრამ ეს მერე, მოგვიანებით, მაშინ კი, 1994-ში, შუქი ისეთივე იშვიათი მოვლენა იყო, როგორც, ვთქვათ, „კიპიტელნიკი“ ახლა. სამაგიეროდ, უშუქოდ და უპატრონოდ დარჩენილ ქალაქში სხვა, ფეხბურთზე გაცილებით სახიფათო თამაშები იმართებოდა დღისითაც და ღამითაც.

ჯიხურს რომ გავცდით და ის-ის იყო თეატრისკენ უნდა გაგვეხვია, რომელიღაც მოსახვევიდან ხრიალის, დგანდგარის, გრუხუნის, ხავილის, ყეფის ხმა მოგვაწყდა ერთიანად. შემობრუნება ძლივს მოვასწარი და ტანკიც გამოჩნდა. შორიდანაც ჩანდა: შიგ მებღვაურის მაისურგადაცმული ტიპი იჯდა, რომელიც სწრაფად და ნერვიულად მოაგორებდა ტანკს. თავი პირდაპირ ჩვენკენ დაეღერებინა, სიჩქარეს არ უკლებდა და ადგილზე გაქვავებულები, ფეხმოკვეთილები ველოდით, როდის ამოიჭრებოდა ტროტუარზე.

მაგრამ უცებ, თითქოს საჭე გაუსხლტაო, ოდნავ მხარი ექცა და წონასწორობადაკარგული პალმას შეასკდა. პალმა ჯერ დაიზნიქა, შემდეგ წამოიშორა, ისევ დაიზნიქა და გადატყდა. ტანკისტმა ერთი გაოცებულად მიმოიხედა, შეიგინა, რამდენიმე წამით შეგვატოვა მხერა, ტანკი მოატრიალა და გაგვეცალა.

– წამოდით, რას უყურებთ?! – მერი მასწავლებლის ხმამ გამოგვარკვია. შიშნატამები, დაზაფრულები ვიდექით და ბოლომდე არ გვჯეროდა, რომ ის, რაც წუთ-ნახევარში მოხდა, ფილმი ან ფილმიდან ჩარჩენილი სიზმრის ეპიზოდი არ იყო. „წამოდით, ფეხი გამოადგით!“ – ხმამალა გვეძახდა მერი ბულია და თავისკენ გვექაჩებოდა, თითქოს ეშინოდა, რამდენიმე წამის წინ მომხდარ ამბავს არ მოვენუსხეთ და სწავლაზე კი არა, მშვიდი პალმების აყირავებაზე გვეფიქრა, იმ საცქიერებზე, რომელიც დედაენაში არ წერია, მაგრამ აი იასავით სწავლობენ ისინი, ვისაც ომი და სისხლი სწყურია.

– ახლავე წამოდით! – მკაცრი და მომთხოვნი იყო ჩვენი პირველი მასწავლებელი, რომელიც მომხდარს არ იმჩნევდა და იმ წუთას ალბათ ყველაზე მეტად ფიქრობდა ჩვენზე, დათრგუნულ და გადარჩენილ ბავშვებზე.

მეტჯერ არ გაუმეორებია. შებრუნდა და წავიდა. გაგყევით.

თანატოლი თანატოსი

დიდი და პატარა კლასელები

მამაჩემმა და მისმა მეგობარმა ამასწინათ ერთი კლასელი გაიხსენეს, მე-სამე თუ მეოთხეკლასელი ბიჭი, რომელსაც მამის თოფი გაუვარდა და მძიმედ დაჭრილი ვერ გადაარჩინეს. სევდიანი ამბავი იყო: ორმოცდაათს გადაცილებული კაცები როგორ იგონებდნენ ღრმა ბავშვობაში დაღუპულ ადამიანს, ვისაც, წესით, ბედი რომ ჰქონოდა, მათ წლოვანებამდე მაინც უნდა მოეყარა და მათსავით ცოლ-შვილიც შეიძლებოდა ჰყოლოდა. ბევრი აღმართი უნდა დაეძლია და ბევრ თავდაღმართზე დაშვებულიყო, ის კი პირველივე ხიფათს ზედ შეადნა სანთელივით. ისეთმა ხიფათმა მოძებნა, უფრო დიდი ასაკის ხალხს რომ აეკიდება ხოლმე. ცოდვილების საძებრად გამოსული გზაბნეულ ბაღლს წააწყდა და გაიყოლა.

უნახავი შვილთაშვილი

მინდოდა ბაბუაჩემს ჩემი შვილი ენახა – თავისი პირველი შვილთაშვილი, რომლის დაბადებასაც მოესწრო, მაგრამ ვერ შევძელი მისთვის ეს სიხარული პირადად გამეცნო, ნიკო სოფელში წამეყვანა. რამდენიმე თვით დავიგვიანე. მძიმე განცდაა, როცა შენთვის ძალიან ძვირფასი ადამიანები ვერასდროს შეხვდებიან ერთმანეთს.

საფლავში მიმაქვს...

რომ ამბობენ, რაც გაქვს, წუთისოფელში დახარჯე, იმევეყნად რას წაიღებო, არაა მთლად მართალი. მჯერა და ვერავინ გადამარწმუნებს, რომ არიანე ჭანტურია მთელი თავისი ნიჭი, უნიკალური მესხიერება და გამოცდილება საფლავში წაიღო, იმიტომ კი არა, რომ აქ ღირსეული მემკვიდრე არ დარჩა. არა! სულ რომ ბეჯითი სტუდენტების არმია ჰყოლოდა, ვერ წარმომიდგენია მისი შეცვლა, მისი გამეორება ვინმეს შეძლებოდა. განუმეორებელიო, რომ იტყვიან, კი გაცვდა ეს სიტყვა, მაგრამ არიანე ჭანტურიასთვის ზედმიწევნით მისადაგებული იყო.

ფოტო ფოიში

ნაცნობისგან გამიგია: ავარიში დაიღუპა უნიჭიერესი და ძალიან წესიერი ბიჭი – მასწავლებლებსაც რომ უყვართ, ბეჭით კლასელებსაც და ისეთებსაც, მაინცდამაინც სწავლისთვის რომ არ იდებენ თავს. ყველას დასწყდა გული და ამ მწუხარების გამოსახატად მოსწავლეებმა გადაწყვიტეს სკოლის შესასვლელში დაღუპულის ფოტო გამოეკრათ.

მათ გადასარწმუნებლად დირექტორის ვერც ერთმა არგუმენტმა ვერ გატრა. ცხელ კვალზე ტრაგედიას შეუძლია იოლად დაჯახოს საღი ამრი და რაციონალური მსჯელობა. მოსწავლეები (განსაკუთრებით გარდაცვლილის კლასელები) აგრესიულად მოითხოვდნენ ფოტოს გამოქვეყნებას.

კონფლიქტი ქართულის მასწავლებლის ერთმა ჯადოსნურმა ფრაზამ განმუხტა, რომელიც მან ამბოხებულ მოსწავლეებს უთხრა, – ვიცი, ბრამბოთ, სურათის ჩამოკიდების უფლებას რომ არ გაძლევენ, მაგრამ მერწმუნეთ, დრო რომ გავა, იმ ფოტოს ჩამოხსნა მოგვიწევს და გული მაშინ უფრო მეტად დაგვწყდებაო.

ერთ ასაკში

ის კია ბებერი, ძველი და შებერტყილი, მაგრამ ჩემთან რომ მოვა, მიწა ჩემი ასაკის იყოს, და ისეთი მიმზიდველი, როგორც ნინო კირთაძეა, სიკვდილის როლს რომ თამაშობს „მეტეოიდოტში“ (ნანა ჯორჯაძის ფილმი).

ჩემი ასაკის ხალხთან არასდროს მიჭირდა საერთო ენის გამონახვა, და თუ ძალიან მოვინდომებ, იქნებ ჩემი ასაკის სიკვდილთანაც ერთი-ორი სიტყვის გაცვლა შევძლო. საინტერესოა, მას რა ეხსომება ან მე რით გავაკვირვებ; იდუმალ რაღაცებზე ვკითხავ, თუ აქეთ ჩამეძიება, ამხელა კაცმა მანქანის ტარება რატომ არ იცის; ეჭვი მაქვს, ბოლომდე ვერც ის ამიხსნის, რატომ ჩავაბარე იურიდიულ ფაკულტეტზე, ფილოლოგიურზე რატომ არ ჩავაბარე, მე თვითონაც კარგად ვიცი; იმასაც გავახსენებ, იქამდე რომ ბევრჯერ შევხვედრივართ და ერთი განსაკუთრებით მახსოვს – ენარეულმა და ხელ-ფეხმოწყვეტილმა ოპერაციის წინ ჩემს ძმას რომ ვუჩურჩულე, – თუ ასეთი დავბრუნდი, ევთანაზია გამიჩალიჩე-მეთქი; და ბოლოს იქნებ სექსითაც დავკავდე მე და ჩემიტოლა სიკვდილი, როგორც დათო (მერაბ ნინიძე) შვრება იმავე „მეტეოიდოტში“...

ავვისტოს გამოცდილება

ჩემს თაობას არ განუცდია ერმიტაჟის სიდიადე და სრულყოფილება, არც კრემლის სანახებში, საქორწილო მოგზაურობის ამსახველი ფოტოს გადასაღებად შეყვანებულა, მით უფრო, ბაიკალის ტბის ულამაზესი ხედებისთვის შორეულ ციმბირში წასასვლელადაც არ გამოუდია თავი – სამაგიეროდ, ჩემს თაობას რუსული წარმოების ტანკები და ბომბდამშენები ახსოვს.

მარტივი კონტრასტია? იქნებ გამოუცდელი, საქმეში ჩაუხედავი ბიჭის გულმოსულ ლაპარაკს უფრო ჰგავს? არადა, ჩვენ რომ სწორედ ეს გამოცდილება გვაღაპარაკებს? გამოცდილება და არაფერი გამოცდილების გარდა. სიძულვილი ჩვენ არ გამოგვდის, ორსაუკუნოვან ტრაგიკულ მეხსიერებაში ქექვით თავს არ ვიწუხებთ და ახლა ბოლო ათ ან ოც წელზე მაინც არ მოვიოხოთ გული?

მოიოხე და იყავი. იყვირე და ილაპარაკე. საზღვრები გადმოიწევა. მსხვერპლი გაიზრდება – საჩვენებლად ჩვენს ერთი-ორ ბიჭსაც დააკლავენ საზღვარზე. სასულიერო პირების უმრავლესობა ტრადიციულად პირში წყალს ჩაიგუბებს და დუმის ერთი-ორ დეპუტატსაც შინაურულად დაუხვდება. ჩვენ ისევ ვერაფერს შევცვლით – ჩვენს გონებაში, დამოკიდებულებაში დამპყრობლის მიმართ, თორემ გარეთ რომ დიდი ხანია ვერაფერს ვცვლით, ეგ ძალიან კარგად მოგვეხსენება.

განა ვინმეს ჯიბრში ვუდგავართ? არაა ეგ ჯიბრში დგომა და უსიყვარულობა ჩვენი საქმე, სიბრაზე დიდხანს არ მიგვცემა. მშვიდობა გვირჩევნია და ყველამ კარგად იცის, რომ ამისთვის თვითლიკვიდაციაზეც შეგვიძლია წასვლა. ჯანდაბას ჩვენი თავი!

ბუგდიდში რომ ტანკები შემოვიდნენ ცხრა წლის წინ, ავვისტოში, და თითქმის დაცლილი ქალაქის მარკეტში 5 ლარიანი ბარათი რომ 8 ლარად მომყიდა ერთმა ქალმა, აი, ეგ ქალი მესიზმრება ჟამიდან ჟამზე. უკვე იმდენჯერ, რომ მიჭირს გარკვევა, ნამდვილად მოხდა თუ უბრალოდ, თვითგვემისთვის გამოვიგონე. ის ჩვეულებრივი მაქციაა და შეუძლია ჩემი შეძრწუნებისგან, შიშისგან და უიმედო მოლოდინისგან სათავისო გროშები გამოადნოს. გადატვირთული

ხაზები და უპასუხო ზარები – რეზერვისტად გაწვეულ ჩემს ძმასთან მოხვედრის უშედეგო მცდელობა – იმ დღეების სამუდამო ნევროზად ჩამელექა და რუსეთის გახსენებაზე უმალ ეს ამბავი გამოტყვრება საიდანაღაც, ვიდრე დოსტოევსკისა და ვინც გინდა რუსი კლასიკოსის შთაგონებული სახე.

ჰოდა, ის დღეებია, ხან მეგობრებთან ვარ, ხანაც მართო დაგხვდითაღობ ქალაქში. უცებ ზურაბ ცხონდია მახსენდება და მასთან გავრბივარ.

– არა, შვილო, სად უნდა წავსულიყავი? – კართან მხვდება ბატონი ზურაბი, ხელით მანიშნებს, ცხელა და აივანზე გავიდეთო, – ეს რა ქნეს, ბიჭო? – დიდხანს მიყურებს, განცვიფრებულიცაა, აღშფოთებულიც, გულნატკენიც და იმედგაცრუებულიც. მერე ერთბაშად აფეთქდება:

– კრავაპიცი! ეს რა ქნეს, ბიჭო?! არადა, ღამეები მაქვს დათენებული რუს ფილოსოფოსებზე, – ხელს მაღლა შემართავს, – ბერდიაევ, შესტოვ, სალავიოვ, როზანოვ, ტრუბეცკოი! წყალში ჩამიყარეს ყველაფერი!

ქალაქი, რომელსაც უმოკლეს დროში საკუთარ სხეულზე გამოეცადა ყველა უბედურება – სახელმწიფო გადატრიალება, ომი აფხაზეთში, მხედრობი, დაუნდობელი ბრძოლა პოლიტიკური ძალაუფლებისთვის და უკიდურესი გაჭირვება – აგვისტოს იმ დღეებში დაბნეული და წელში გაწყვეტილი იყო.

და ჩვენ ყველაზე უკეთ ალბათ მაშინ მივხვდით, რომ რუსეთის ერთმორწმუნეობაზე, ცივილიზებულიობასა და მშვიდობისმოყვარეობაზე ენის მოჩლექით ლაპარაკი სირცხვილია, როცა ის ერთი, ერთსახიანი რუსეთის იმპერია ციდან ბომბებს გვიშენს და ქალაქებში ტანკები შემოჰყავს, და დღემდე მხოლოდ ის უნდა, პირველ ჯერზევე, მატლივით გაგვსრისოს და მთელ მსოფლიოს დაანახოს ჩვენი გასაცოდავებულ სახე.

ჯერჯერობით ასეა და მგონი დიდად არც არაფერი შეცვლილა მას შემდეგ. ერთი კია: ორი რუსეთის მითი ნელ-ნელა წარსულში რჩება – ზოგჯერ კი გაიფაფხურებენ მაჯლაჯუნები, პოლიტიკურ თამაშებს და კრემლის მუსიკოსებს ჩამოატარებენ, მაგრამ მთავარი კოზირი მაინც არის ამ ამბავში საჩვენოდ:

გამოცდილება – ჩემს და მით უმეტეს, ჩემს შემდგომ თაობას არ განუცდია ერმიტაჟის სიდიადე და სრულყოფილება, არც კრასნაია პლოშადზე, საქორწინო მოგზაურობის ამსახველი ფოტოს გადასაღებად შეყვანებულა, მით უფრო, ბაიკალის ტბის ულამაზესი ხედებისთვის შორეულ ციმბირში წასასვლელადაც არ გამოუდია თავი – სამაგიეროდ, რუსული წარმოების ტანკები და ბომბდამშენები კარგად ახსოვს.

გამოსვლა ნატოშიდან

რაც დრო გადის, წინააღმდეგობების ფასად, მაგრამ მაინც მიზანმიმართულად და სრული შეგნებით გამოვდივართ რუსული კომფორტის ზონიდან. ეს ბოლო დღეებმა მკაფიოდ დაადასტურა: ჩვენი არჩევანი ევროპაა.

რას ნიშნავს კომფორტის ზონა, ნატოში, რომელშიც გეორგიევსკის ტრაქტატის შემდეგ გამოგვკეტა „ერთმორწმუნე უფროსმა ძმამ?“

– იმპერიის სამხრეთ პროვინციას, სადაც მართლმადიდებელი ხალხი სახლობს, კულტურის პატივისცემელი, თვალტანადი, პურადი, ამყოლი ბალმასკარადებსა და სახიობაში;

– გამორჩეული მხარის წოდებას, რომელიც ულამაზეს ქალებს და უებრო მეომრებს უზრდის დიად სამშობლოს, პოლიტიკოსებს, სამხედროებს, მწერლებს (გენერლის ჩინებიც რომ დაეწევათ გზაში ცარ-ბელადისთვის გამორჩენილი განსაკუთრებული სიმამაცისთვის), პეტერბურლსა და მოსკოვში ფრიად დაფასებულ პატივსაცემ გვამთ.

– უკონკურენტო ბაზარს, რომელსაც რუსი და მისი მონათესავე ხალხების მილიონიანი ტალღა აწყდება და უანგარიშოდ გააქვს ციტრუსი, ღვინო, ყურძენი, ჩაი...

– ბუნებისგან ჭარბად მომადლებული სიკეთით ზამთარ-ზაფხულ სასურველ სამოთხეს ჩრდილოეთის ყინვისგან დამზრალი ტურისტებისთვის, სადაც მათ – სხვებისგან განსხვავებით – მშობლიურ ენაზეც დაელაპარაკებიან და უცხოდ თავს არ აგრძნობინებენ. უფრო სწორად, არც იმ ტურისტთა დიდ ნაწილს ჰგონია დღემდე, რომ უცხო მხარეში მიდის, არამედ იმ განცდითაა, როგორც რო ზაფხულის ჟამს სოფლად ანუ აგარაკად მიმავალი კაცი და მისი ჯალაბი.

1991 წლის დამოუკიდებლობის გამოცხადებამ დაბზარა ეს ნატოში და თავისუფლების შუქზე გამოგვახედა. ჟანგბადი სუფთაა და კამკამა, მაგრამ საუკუნეობით გამთბარ ნატოში სუსხივით ჩამოდის, გაკანკალებს. სანამ შიშველტიტველი და დამწეული გარეთ გამოსულხარ, ხვდები, რომ ის მზრუნველი ხელი უკვე აღარ დაგიყვავებს, და ზრუნვას რომ ელოდები, შეიძლება ალიყუ-

რიც გატამოს და წიხლიც ჩაგაზილოს. რაც და ვინც უკითხავად, განუსჯელად მოდიოდა შენკენ, ახლა მეცადინეობით უნდა მოიპოვო და არც საყვედურები აგცდება, არც კრიზისები, არც ომები. თავის მართლებაც მოგიწევს და დატუქსვის ღირსეულად ატანა, რომ თბილ ნატუტში არხეინად გდება აღარ გინდოდა.

ბრძოლა, შრომა და მარცხთან გამკლავება გიწევს ყოველ ნაბიჯზე, რომ რაღაც გამოგივიდეს, უცოდინრობას დააღწიო თავი და სხვების თანაგრძნობაც მოიპოვო. „უფროსი ძმა“ მუქარა და ბომბდამშენები რომ მოსწყინდება, გზადაგზა იმ თაფლაკვერს დაგანახებს, წამოგახსენებს ნატუტის სითბოს, სიმყუდროვეს, განურჩევლობას. თანხმდები და არც თანხმდები. არც გინდა და გენატრება კიდეც. ერთხელ, ამ ერთხელ, იქნებ სული მოითქვა, მაგრამ ნატუტში წამიერად თავშეფარება ძვირად გიჯდება, მერე ისევ წლები გინდა, კამკამა ჟანგბადს რომ შეეთვისო, გაუშინაურდე. ბევრი წელი, ბევრი დანაკარგი – არ გიღირს, გენანება. ეს იმიტომ, რომ ბრძოლის და შრომის ფასი ისწავლე, შენით გაკეთებულის, მიღწეულის ყადრი, როგორც იმ ზღაპარშია, ბოლო ცდაზე, თავის ნაშრომ-ნადაგს რომ მიიტანს ბიჭი შინ, მამა კი, წინანდელეებით, იმასაც ბუხარში შეუძახებს, იქ კი წამოიჭრება ბიჭი და წინანდელელებით გულგრილად კი არ მიაჩერდება ცეცხლში აბრიალებულ, სხვისგან ნათხოვარ ფულს, არა, ეს საკუთარია, მისი, ნაკვერჩხლებს მიეტანება და სათითაოდ გამოკრეფს.

ასე სათითაოდ, ცეცხლის ალიდან, არაფრიდან, მდინარის ფსკერიდან, მიწის წიაღიდან თუ კლდის მიუდგომელი სიმაღლეებიდან უნდა გამოიკრიფოს ჩვენი ძალა, უნარი, ნიჭი და ნებისყოფა, მარცხი სიხარულად გარდაისახოს და ტკივილი საკუთარი თავის რწმენად, რომ ვერავინ გაბედოს, ისევ მიგვახედოს ნატუტისკენ.

P.S. „ჩემი ანდერძის დასასრული: ...ჩვენო შვილებო, დაივიწყეთ ეგ რუსული ისე მკვიდრად, რომ ერთი სიტყვაც არ გაგახსენდეთ“ (მიხეილ ჯავახიშვილი, „უბის წიგნაკებიდან“ 1931-1933 წლების ჩანაწერი).

სანამ სუნთქვა გეყოფა

სპრინტერობა არაა ძნელი, ძნელია სტაიერი იყო, – მითხრა ჩემმა მეგობარმა ტუსკიამ, როცა გამთანგველი დღის ბოლოს ლუდის დასალევად შევიყარეთ ერთ პრესტიჟულ ბარ-რესტორანში.

– მგონი ორივე ძნელია.

– არა, შენ ვერ გამიგე, – ცივ კათხას ორივე ხელი შემოხვია და კონდიციონერისგან წამოსული ჰაერის ტალღისკენ გასწია თავი, – სპრინტერობა აფეთქებასავითაა, უფრო ადამიანურია, ცოტა რომანტიკულიც 26-28 წლის ასაკში დაღუპული პოეტებივით, ტრაგიკული სიკვდილი რომ წაეშველებათ პოპულარობაში. აბა, თუ ბიჭი ხარ, ათი, ოცი, ოცდაათი წელი გაუძელი წლებს, ბიძგებს, კონკურენციას, კონკურენტებს, მათი ვნებები მოილიე, თან ისე, შენც არ ჩამოხვიდე სცენიდან, მოქმედი იყო, აქტუალური...

– ალბათ ცოტა კონფორმისტიც უნდა იყო, – გამეღიმა, რაღაცები და ვილაცები გამახსენდა.

– ბებია მაგათისამ! მარკესმა რომ იცხოვრა ოთხმოცდაშვიდი წელი და ბოლო ორმოცი-ორმოცდახუთი სკოლის დირექტორივით დადიოდა კონტინენტიდან კონტინენტზე და ყველაზე არალიტერატურულ ადგილებშიც თავისი არაკატაკა შეიტანა, ამის საპირწონეზე გინდა შენ რამე დააყენო?

– რა იყო, თვითონაც აღიარებდა, ფიდელ კასტროს ძმაკაცი რომ იყო.

– უნდოდა და იყო, ძმაო, რამე პრობლემა? და სად ნახე აქ კონფორმიზმი?

– არა, კონფორმიზმი არა...

– ჯიგარი იყო, მიმწოლი ჯიგარი, შენი პოზიციის არ უნდა შეგეშინდეს, მერა რა, რომ ვილაცებს არ მოსწონთ, რასაც აკეთებ, უნდა გათავისუფლდე ამ ვილაცებისგან, თორემ მერე მაგათზე მოგიწევს აწყობა, მაგათ ხასიათებზე, ცვალებად გემოვნებაზე, დახარისხებულ მეგობრებზე, გამოცვლილ პოლიტიკოსებზე და პოლიტიკურ სიმპათიებზე.

– კონკურენტები კი ჰყავდა ოხრად!

– არა, ზოგი მართლა ნიჭიერი და დღესაც მაგარი როა, ისეთი, მაგრამ ზოგიც იმ დღის ბუზი, თავი კიტრად რომ მოჰქონდათ და ამათი გაძლება არ გინდა?

– ვისი მაინც? საქმეს დაკონკრეტება უყვარს.

– რაღა ვისი, გრემ გრინები, ნორმან მეილერები, აირის მერდოკები, ფრან-სუამ საგანისნაირი ვუნდერკინდები, ვილიამშარ ნაიპოლები, სოლჟენიცინი სხვათა შორის – ახლა კი გაუვიდა უკვე ყავლი, ჰალდორ ლაქსნესები, რი-ჩარდ ბახები და პატრიკ ზიუსკინდები.

– და ამათთან გასაძლები რა სჭირდა?

– ეგენი თავის დროზე ყველანი ანგარიშგასაწევი ტიპები იყვნენ, თავისი ფანობით და ამბიციებით. ახლა ვილაც იტყვის, ყველა მწერალს თავისი ადგილი აქვს და სხვა ვერ ჩაეზიარებაო, მაგრამ ნამეტანი სენსიტიური და რეალობას აცდენილი იქნება ეს ნათქვამი. ლიტერატურა, ისევე როგორც კინო და ფეხბურთი, მარტოკაცის გონებაში იბადება, მაგრამ კულისების ტორებში, ჩურჩულში, ძიძგილაობასა და და ტრიბუნების ტაშისცემის ქვეშ აიყრის ტანს. ერთი მეორის გარეშე არ გამოდის, აღიარება – ზის იმ ვერი იმფორთენთ. კომპლექსებისგან გათავისუფლებს და ახალ კომპლექსებს და მტრებს გძენს.

– მაშინ შენი თეორიით პირლო მართალი გამოდის, მესიზე და რონალდუ-ზე რომ ამბობს, სულ მაგათ შორის იქნება ჭიდაობა ოქროს ბურთზე, რადგან 10-15 წელი სტაბილურად შეინარჩუნეს ფორმა და სემონიდან სემონამდე უმატებდნენო.

– ეგრეა. რამდენი ედინ ჯეკო, უესლი სნაიდერი, უეინ რუნი, დიდიე დროგბა, ფერნანდო ტორესი, ფრანკ რიბერი, დიეგო ფორლანი და თუ გინდა პირლო იქაჩებოდა ოქროს ბურთზე, მაგრამ მარტო ტალანტი და მუშაკობა არ კმარა მაგ ამბისთვის. აი, როგორ გითხრა, სუნთქვა უნდა გეყოს, შენზე წინ, შენზე უკან და შენ გვერდით მორბენალ ტიპებში ანგარიშგასაწევად რომ დარჩე. ყველაფერი ერთად გჭირდება: გამძლეობა, ოსტატობა, ნიჭი, პირობები, სხვისი პატივისცემა, შენი თავის პატივისცემა, ღირსეული კონკურენცია, ზოგჯერ სკანდალებიც, ზოგჯერ, შენ წარმოიდგინე, მარცხიც, ამრზე რომ მოხვიდე და ტკბობაში არ გადავარდე; კონკურენტის ან კოლეგის აღიარებაც და მისგანაც იმავეს მოლოდინი, რადგან შენი თავის გჯერა და იცი, რომ ამას იმსახურებ. ტორებზე და კულისების დუდილზე წელანაც გითხარი, ცუდი არაფერია იმაში, ქალი და კაცი შენზე ლოგინშიც თუ ილაპარაკებენ.

– მოკლედ, წინა რიგებში ყოფნა, როგორც მერილ სტრიპია ოსკარის და-ჯილდოებაზე.

– ჰოდა, ეგ მერილ სტრიპი არც ინგლისის დედოფალია და არც მონაკოს პრინცესა, სამეფო ტიტულით ან მემკვიდრეობით რომ შეუნახონ ეგ ადგილი,

ამხელა ჰოლივუდის სპრინტში ჩაბმული ქალია და მაგ გზაზე კიდევ ათასი ჰილარი სუონკი, რიზ უიზერსპუნი, ვაიოლა დევისი და რენე ზელვეგერი შეგხვდება, შენ კიდევ, იყო დრო, კეტრინ ჰეპბერნს ეტოლებოდი და ეს ამდენი წლები და მანძილი რომ გადმოსერე, რიგითი არა ხარ, სულ სხვა ტიპი ხარ, ძმაო!

მერე მე და ტუსკიამ ის ქართველი ხელოვანები და სპორტსმენებიც გავიხსენეთ, ვისაც, მარკესივით, მესი-რონალდუსავით და მერილ სტრიპივით – თუმცა, ცხადია უფრო მცირე გეოგრაფიულ არეალში – ეყო სუნთქვა, ათეული წლების განმავლობაში აქტუალურიც ყოფილიყო და ანგარიშგასაწევიც. ვიღაცებზე შევთანხმდით, ვიღაცებზე – ვერა. სანამ ჩვენ გავამხელდეთ, იქნებ თქვენ დაგვეხმაროთ, შემოგვაშველოთ სიტყვა. მაღლობელი დაგრჩებით.

გამოგდის, ხო იცი!

რაც დრო გადის, სულ უფრო ხშირად გვესმის ამ ქვეყნიდან წასული ადამიანების შესახებ: „აღიარებას ვერ მოესწრო“, „დაფასება არ ეღირსაო“. ეს სიტყვები უკვე ისეთი ბუნებრივი გახდა, რომ საგაზეთო ნეკროლოგი, თოქშოუ და ფეისბუკ სტატუსები ამის გარეშე ვერ წარმოგვიდგენია. დანამდვილებით არ ვიცი, ამას რა იწვევს – ცხოვრების დაჩქარებული რიტმი, სადაც ერთმანეთისთვის დრო არ გვრჩება თუ მიცვალებულებისადმი ჩვენი განსაკუთრებული დამოკიდებულება, მაგრამ ერთი რამ ცხადია: დღითიდღე იზრდება დაუფასებელი ადამიანების რიცხვი.

მაინც რას გულისხმობს ეს დაფასება? რა ისეთი მიუღწეველი რამ მწვერვალია, დიდ-პატარა რომ ვაწყდებით გაუთავებლად და წარუმატებლად, არაფერს ვიშურებთ – გულს, სულს, ხელ-ფეხს, ნერვებს, არც სხვებს ვზოგავთ და საკუთარი თავიც გადადებული გვაქვს, რომ ერთხელაც, როცა იქნება, ვეწიოთ როგორმე.

რას არ ვხარჯავთ ამისთვის – მატერიალურ სიკეთეს, ძალისხმევას, ჯანმრთელობას, ნებისყოფას, მაგრამ საკმარისია ეს, დაფასებული რომ გერქვას? თუ შენც იმავე ადამიანების რიცხვში იქნები, ვისზეც ახლობლები, მეგობრები თუ სულაც უცნობი ხალხი დანაწევრებით იტყვის, აღიარებას ვერ მოესწრო, დაუფასებელი წავიდაო.

ბოლოს და ბოლოს, იქნებ გვითხრას ვინმემ, რა ღირს დაფასება?

ბობ დილანი თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში „ქრონიკები“ ერთ ამბავს იხსენებს. მაშინ, გასული საუკუნის 50-იან წლებში, მშობლიურ ქალაქ დულუთში უკრავდა თურმე. ვეტერანების ერთი მემორიალური შენობა ყოფილა, სადაც ყველა დიდი შოუ ეწყობოდა – ფერმერების შოუები, ჰოკეის თამაშები, საცირკო სანახაობები, კრივი, ქანთრისა და ვესტერნული დღესასწაულები. წელიწადში ერთხელ თუ ორჯერ კი საქვეყნოდ ცნობილ გორჯას ჯორჯს მთელი თავისი პერფორმერების დასი ჩამოჰყავდა ქალაქში: გოლიათი, გამპირი, საჰაერო გიმნასტი, ძვლების მმტვრეველი, კუდიანი, ჯუჯა მოჭიდავეები და კიდევ ვინ იცის ვინ აღარ.

ეს გორჯას ჯორჯი დღეს არავის გვეცნობა, თორემ მაშინ ეტყობა ძალზე დაფასებული ვინმე უნდა ყოფილიყო. „მე სახელდახელოდ აწყობილ სცენაზე

ვუკრავდი, – გვიყვება ბობ დილანი, – შენობის ფოიეში, ჩემ ირგვლივ ხალხი საქმიანად მიდი-მოდოდა, მაგრამ მე დიდად ყურადღებას არავინ მაქცევდა“.

ამ დროს, მოულოდნელად, კარი ხმაურით გაიღება და დარბაზში თვით გორჯას ჯორჯი შემოიჭრება გრიგალივით. კულისებიდან კი არ შემოსულა, პირდაპირ ფოიეში აღმოჩნდა, თურმე საოცრად შთამბეჭდავი სანახაობა იყო – ორმოც კაცს უდრიდა მთელი თავისი არაჩვეულებრივი სიდიადითა და სიცოცხლისუნარიანობით. მსახურებით, ქალებით გარშემორტყმულს საუცხოო, ბეწვით გაწყობილი მოსასხამი ეცვა და მისი გრძელი, ქერა კულულები თავისუფლად ეყარა მოსასხამზე.

ყველა მას შესცქერის, ხალხის თვალი და ყური მისკენაა მიპყრობილი. და უეცრად, გორჯას ჯორჯი სცენას რომ მიუახლოვდება, მუსიკის ხმაზე მოიხედავს. „ფეხი არ შეუწელებია, – იხსენებს ბობ დილანი, – წამით შემომხედა, თვალები კონტრაბანდული ვისკისგან უბრწყინავდა. თვალი ჩამიკრა და ისე მომესმა, თითქოს თქვა: „გამოგდის, ხო იცი“.

„გამოგდის, ხო იცი!“ – რამდენი რამ ჩანს ამ სიტყვებიდან: ძლიერი და დაფასებული ადამიანის ფსიქოლოგიური პორტრეტი, მისი დამოკიდებულება სხვის – ნიჭიერი, უნარიანი, მაგრამ ჯერ დაუფასებელი ხელოვანის მიმართ; ზოგადად გარემოც ხომ კარგად ჩანს – თუ როგორ შეიძლება შეცვალოს ყველაფერი ერთმა ადამიანურმა, თანაგრძნობით სავსე ფრაზამ.

„გამოგდის, ხო იცი!“ – ეს ზებუნებრივი სიტყვები წარმოსათქმელად თითქოს ადვილია, მაგრამ თუკი გულწრფელობა არ ჩაატანე, თევზის ძვალივით შეიძლება გაგეჩხიროს ყელში. დაგახრჩოს და გაგანადგუროს, ისევე როგორც სიყალბემდე მისული ხოტბა-დიდება აცამტვერებს ნამდვილ ნიჭს, ნიჭიერ ადამიანებს.

დაუფასებლობის, უღიარებლობის მიზეზიც, შურის გარდა, სწორედ ეს მგონია – თავის დროზე წარმოთქმული არაფრისმომცემი სადღეგრძელოები, კრიტიკის მიუღებლობა და თვითთრონიის ნაკლებობა. ტაში და ოვაციები, რომელსაც ხშირად არაფერი აქვს საერთო ადამიანის მხარდაჭერასა და წახალისებასთან.

„გამოგდის, ხო იცი!“ – დარწმუნებული ვარ, ბევრ ჩვენს მეგობარს, კოლეგას, თანამოქალაქეს სჭირდება დღეს ეს სიტყვები, გულწრფელი და შთამაგონებელი, ზომიერების განცდით თქმული. ისეთი – იუმორსაც რომ იტევს, ყურადღებას და თანაგრძნობასაც. ამიტომ, იქნებ არ დავიზაროთ და სადაც მოვხვდებით, როცა მოგვიხერხდება, სხვა თუ არაფერი, გასამხნეველად ეს მაინც ვუთხრათ ერთმანეთს:

„გამოგდის, ხო იცი!“

ალექსანდრე ლორთქიფანიძე

1	ნორმალური მოსწავლეები, ნორმალური მასწავლებლები და ჰოგვორტსი	267
2	ბავშვები ეზოში აღარ ჩადიან	270
3	„არისტოტელე ხომ იცი?!“	274
4	როგორ მოვატყუოთ მასწავლებლები (მცირე ინსტრუქცია დამწყები აგრესორებისთვის)	277
5	სიკეთის წილი საწერი	281
6	პროფესია: სტერეოტიპი	285
7	„წარატმებას“ გისურვებთ!	288
8	შვლის ნუკრებისთვის ადგილი აქ არ არის	291
9	ქორწილამდე მოგიჩვენებ	294
10	ვინ გინდა გამოხვიდე?	297
11	აუცილებლად წასაკითხი წიგნების შესახებ	301

ნორმალური მოსწავლეები, ნორმალური მასწავლებლები და ჰოგვორტსი

„ვინ წარმოიდგენდა, რომ ბატონ და ქალბატონ დერსლებს, პრივიტ დრა-იგის ოთხ ნომერში რომ ცხოვრობენ, ოდესმე უცნაური, თანაც იდუმალებით მოცული ამბავი გადახედბოდათ თავს. ისინი ხომ ყოველგვარ სასწაულს სისულელედ მიიჩნევდნენ და სულ იმით ამაყოფდნენ, ჩვენ სავსებით ნორმალური ადამიანები ვართო“.

ჩვენი მამები ხშირად იხსენებენ, როგორ არ იშოვებოდა მათ დროს „ბით-ლზის“, „ლედ ზეპელინის“, „პინკ ფლოიდის“ მუსიკის ჩანაწერები, როგორ უსმენდნენ მალულად და წვალებით მოპოვებულ ბაბინებზე როკ-ენ-როლს და როგორ გადადიოდა ეს ბაბინები ხელიდან ხელში. სხვა დრო იყო მაშინო, – იტყვიან ხოლმე, – თქვენ რა გიჭირთ, ყველაფერი მზამზარეული გაქვთ ინტერნეტის წყალობითო... გაივლის, ალბათ, წლები და მეც მოვუყვები შვილებს, როგორ გადაიწერა პირჯვარი გამვლელმა ქალმა, როცა 14-15 წლის ბავშვები ალექსანდრეს ბაღში ჯადოსნური ჯოხებით და „ჰარი პოტერის“ ტომებით „შე-იარაღებულები“ დაგვინახა. იმასაც მოვუყვები, რომ ამ უწყინარ ჯადოქრულ საგას ლამის იგივე ბედი ეწია, რაც „ლედ ზეპელინის“ ბაბინებს. თუმცა დიდი ვნებათა ღელვის შემდეგ ყველაფერი დალაგდა და ახლა ისეთი ადამიანებისგანაც კი გამიგონია „ჰარი პოტერის“ ქება, ვინც ადრე მასში ბნელი ძალების ხოტბას და სატანისტურ გეგმასაც კი ჭვრეტდა. ჩვენ კი, პატარა პოტერომანები, მაინც ვყიდულობდით წიგნებს და ხშირად მასწავლებლებისგან მალულად ვკითხულობდით. ზოგს მშობლები უკრძალავდნენ, ზოგს, პირიქით – მშობლები ურჩევდნენ. ვისაც ამ მხრივ ბედმა გაგვიღიმა, ბავშვობიდანვე ჩავერთეთ ფილოსოფიური ქვისა თუ საიდუმლო ოთახის ძიებაში...

შეამჩნევდით, რომ ამ წერილის დასაწყისი ჰარი პოტერის თავგადასავლის პირველი წიგნის პირველი აბზაციდანაა ალებული. ტავტოლოგიისთვის ბო-დიშს გიხდით, მაგრამ ეს ნამდვილად პირველი შეხვედრა იყო ნამდვილ სკო-ლასთან. შეიძლება ითქვას, პირველი სიყვარულიც კი. ვიცოდით, რომ ჩვენ, უბრალო და ამსამყაროსეული სკოლის მოსწავლეები, დიდი-დიდი, ბიოლო-

გები, გეოგრაფები, ფილოლოგები ან მათემატიკოსები გამოვსულიყავით, მაგრამ ყველაფერში მაინც ჯადოსნობას ვხედავდით. სკოლას ფერი მიეცა, ჩვენ – სტიმული. ამიტომ მინდა, ბლოგის დარჩენილი ნაწილი სწორედ ამ თემას მივუძღვნა: სკოლას, როგორც ასეთს. ბავშვების პირველ შთაბეჭდილებებს, მოლოდინებს, ყოველდღიურობასა და გამოწვევებს.

რატომ არის, რომ ზოგიერთ მოსწავლეს უხარია სკოლაში წასვლა, ზოგიერთს კი სძაგს? ვითომ ყველაფერი სიბეჯითე-სიზარმაცით განისაზღვრება? ვინ იცის... მე კი მგონია, რომ სკოლა ჯადოსნური ადგილია, სადაც უცნაური შელოცვებისა თუ ელექსირების წყალობით იბადება მეგობრობა, საუკეთესო მოგონებები და ხშირად – პირველი სიყვარულიც.

მომდევნო წლებშიც შემიმჩნევია კაფეებში, ნაცნობ-მეგობრების სახლებში, კლუბებსა თუ სხვა დაწესებულებებში – პირველი შთაბეჭდილება ყოველთვის ყველაზე ძლიერია. თუ პირველი მისვლისას იქაურობა არ მომწონებია, განწყობა მეტწილად არც მერე შემცვლია.

მაინც როგორი შთაბეჭდილებები აქვთ პირველკლასელებს სწავლის პირველ დღეს?

ყველაფერი, ალბათ, გაცილებით ადრე იწყება – მაშინ, როცა მშობლები მათ სასკოლოდ ამზადებენ, უყვებიან, რომ დგება დრო, როცა ყველა ბავშვი მიდის სკოლაში, იქ ბევრი მისი თანატოლი იქნება და მეგობრებს შეიძენს, ახალ-ახალ რაღაც-რუღაცებს ისწავლის და უკვე დიდი გოგო (ბიჭი) იქნება. ეს სამყაროც უთვალავ ფერს იძენს ბავშვის წარმოსახვაში და ვინ იცის, ვის ახსოვს, რა სახეს იღებს საბოლოოდ... მაგრამ ყველაფერი პირველსავე დღეს იცვლება – ზარის მჭახე ხმა ბავშვს რეალობასთან აბრუნებს და ახლა ის უკვე იმას ცდილობს, სკოლის რეალურ ფერებს საკუთარი ისე შეუხამოს, რომ წარმოსახვითი სამყარო სულ მთლად არ დაენგრეს.

რა თქმა უნდა, ყველა სკოლისკენ მიმავალი ტრანსპორტი ვერ იქნება „ჰოგვორტს ექსპრესი“ და არც ნაგებით გასეირნება მოუწევთ ბავშვებს მთავარ ჭიშკარში შესასვლელად; კლასებში მათ გამანაწილებელი ქუდი კი არა, სკოლის მენეჯმენტი ანაწილებს, ხოლო შიდა კიბეები სრულიად უძრავია, თუ, რა თქმა უნდა, დაუდევრობით არ მოირყა. მოკლედ, სკოლა ხშირად რადიკალურად განსხვავდება იმისგან, რაზეც შეიძლებოდა ბავშვს ეოცნება. მაგრამ ჯადოსნობა ხომ ყველაფერშია, მით უფრო – ბავშვის თვალთ დანახულ სამყაროში. იქნებ ეს მასწავლებლებზეცაა დამოკიდებული? იქნებ ერთი შეხედვით სრულიად არამაგიურად ჩაცმული პედაგოგები პატარების თვალში

იოლად იქცევინ მინერვა მაკგონაგელეზად? რა არის ამისთვის საჭირო – ჯადოსნური ქუდი თუ სწავლის პროცესის ერთ დიდ ზეიმად ქცევა?

მხოლოდ ერთი რამის თქმა შემიძლია დაბეჯითებით: ბავშვებს ყველაზე ნაკლებად სურთ, „ნორმალური“ ადამიანები იყვნენ; ისინი ზებუნებრივ ძალასა თუ ჯადოქრობის ნიჭზე ოცნებობენ და ვინაიდან არსებული სინამდვილის პირობითობა ამის საშუალებას არ იძლევა, ერთადერთი გამოსავალი, ალბათ, ნორმალური მოვლენებისა და პროცესების არანორმალურ ფერებად შეღებვაა. ასეთ დროს შესაძლოა ყავისფერი დაფა მფრინავ ხალიჩად იქცეს, ცარცი – ჯადოსნურ ჯოხად, რვეული – მაგიურ დღიურად... და ვინ იცის, რა საოცარ და დაუვიწყარ თავგადასავალს დაემსგავსოს სწავლა მათთვის, ვინც ცხოვრებისეული სასწაულების გზაზე პირველ ნაბიჯებს დგამს.

ბავშვები ეზოში აღარ ჩადიან

კომპიუტერი რომ საშინელებაა, ამაზე, რა თქმა უნდა, აღარავინ დავობს. ის იწვევს გაუცხოებას, ავიწყებს რეალურ ურთიერთობებს, ამორებს ბუნებას, ხელს უწყობს სიზარმაცეს, უძილობას, წარმოშობს უსწავლელობის, გაუნათლებლობის, ცუდი ქცევის საფრთხეს, იწვევს აგრესიის მოზღვავენას, გაღიზიანებას, ემოციური ფონის გამწვავებას და, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ხშირად ძალიან ცუდად მოქმედებს ჯანმრთელობაზეც, რაც თავის ტკივილებითა თუ მხედველობის გაფუჭებით გამოიხატება. ჰო, ასეთია კომპიუტერი, 21-ე საუკუნის ყველაზე დიდი კერპი და ნამდვილი მსოფლიო იმპერატორი. ჩვენ, ჰომო კომპიუტერუსები, ბოლომდე ვემონებით და თავყვანს ვცემთ დიად სამებას: კომპიუტერს, ინტერნეტს და ახლა უკვე მათ პირმშოს – ფეისბუქს. უდავოა, ჩვენ მეორედ მოსვლის ეპოქის შვილები ვართ და რაც უფრო სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ტექნიკური პროგრესი, მით უფრო ახლოვდება აპოკალიფსიც. დედამიწამ რა ხანია დაკარგა მართვის სადავეები და ახლა ყველაფერს დიდი ობობა მართავს, რომლის World Wide Web ან უბრალოდ WWW უკვე მთელ მსოფლიოს ფარავს და თითოეულ ჩვენგანს ბუზივით ითრევს შიგნით. ჰო, ასეა, კომპიუტერი ნამდვილად საშინელებაა...

ბევრს ვფიქრობ, როგორ შეიძლება ამ პრობლემის აღმოფხვრა, როგორ დავამარცხოთ ჩვენ, ადამიანებმა, ეს მონსტრი, რომელიც გვართმევს ჩვენს საუკეთესო თვისებებს: ერთმანეთის სიყვარულს, ბუნებისადმი ლტოლვას, განათლებისა და ცოდნის მიღების დაუოკებელ სურვილს და ა.შ. არადა, ნამდვილად დასანანია რომ კაცობრიობა ამ ყუთის კაპრიზებზე კარგავს დროს, ნაცვლად იმისა, რომ უკეთეს მომავალზე იფიქროს. გამოფხიზლდით, ხალხო, ჩვენ ხომ ასეთი კარგები ვართ სინამდვილეში, ჩვენ ხომ ისიც კარგად გვესმის, რომ ყველაფერი კომპიუტერით არ დაწყებულია. თავს ვერ დავდებ, რომ ეს მართლაც ორგანიზებული შეთქმულებაა კაცობრიობის წინააღმდეგ, მაგრამ ხომ ფაქტია, რომ სამყარო ნაბიჯ-ნაბიჯ მიექანება უფსკრულისკენ, რომ ტექნიკური პროგრესის შედეგად ჩვენ სულ უფრო გვაშორებენ რეალურ იდე-

აღებს, რომლებსაც ყოველთვის ესწრაფოდა ადამიანი. თვალი გავახილოთ, ამისთვის ისტორიის გახსენებაც კმარა. აი, მაგალითად, სულ სხვა იყო შუა საუკუნეები, მაშინ არც ამდენი ომი იყო მსოფლიოში და არც ამდენი კატაკლიზმა. ქრისტიანული და მუსულმანური სამყაროებიც კი ტკბილად ცხოვრობდნენ. თუნდაც მაშინდელი მედიცინა რად ღირდა! ახლა, ტექნოლოგიური ბუმის პირობებში, ხალხს უაზროდ ჭყეპენ წამლებით, მაშინ კი – გაიხსენეთ, ოდნავ მოგვიანებით, როგორ გაუსწორდა ევროპა შავ ჭირს! აღგავა პირისაგან მიწისა! და ურთიერთობები? სულ სხვა იყო... ადამიანებს სამი, ოთხი, ხშირად მთელი ხუთი მეგობარიც კი ჰყავდათ ისეთი, რომლებსაც ყოველდღე ესაუბრებოდნენ, ახლანდელი ფეისბუქივით კი არ იყო ყველაფერი... თუმცა ეს – მაშინ, ახლა კი ჩვენ, ბუნებით კეთილშობილ ადამიანებს, ეს საშინელი გამოგონება, ეს ეშმაკის ყუთი გვრყვნის და გვანადგურებს. ვის ახსოვს, რომელ ეპოქაში ყოფილა გარყვნილებისადმი ამხელა მიდრეკილება?! ახლა ყოველ ფილმში სექსუალური სცენები, მაშინ კი, იმ ძველ დროში, ნამდვილი უმანკოების ხანა იდგა, თუნდაც რომის იმპერია ავიღოთ, ან საფრანგეთის ძლიერი სამეფო – ერთ მეძავსაც ვერ ნახავდით ქუჩაში. ფაქტია, ეს ყველაფერი ახალმა საუკუნემ მოიტანა. ჩვენ, კეთილშობილი ბუნების ადამიანებს, ამაში ბრაალი არ მიგვიძღვის, მაგრამ მაქსიმალურად ცდილობენ, თავს მოგვახვიონ კომპიუტერიზაცია და ტვინები გამოგვიღაყონ, რამეთუ ასეთი ძვირფასია ჩვენი ტვინები, გამოტენილი ცოდნითა და შემეცნების სურვილით. ასე ძვირფასია იყო ჩვენი ტვინები ყოველთვის. აკი, თითის განძრევაც არ დასჭირდა ილია ჭავჭავაძეს, რომ წერა-კითხვა და, საზოგადოდ, განათლების სიყვარული ესწავლებინა ერისთვის – ერმა პირველივე დაძახებაზე აიტაცა შემეცნების იდეა და კეთილად დაადგა ამ გზას, ვიდრე თითიდან გამოწოვილმა დასავლურმა ფასეულობებმა არ დაგვაბრმავა და არ მოგვითანა დასავლური სიბნელე. აბა, სხვა რა შეიძლება ეწოდოს სიტუაციას, როცა საკუთარი ახლობლის მეგობლის მონაცოლი ვერ დაგვიჯერებია, რომელმაც თავისი თვალით ნახა გარკვეული ფაქტი და მის გადამოწმებას ფეისბუქსა და საინფორმაციო საიტებზე ვცდილობთ, რომლებზეც, ვინ იცის, რა ჯურის ხალხი აქვეყნებს სტატიებს. და ენის პრობლემა?! განა ეს ნათელი არ არის?! ჩვენ, ერი, რომელმაც დღემდე ასე შეურყვნელად მოიტანა ქართული ენა; ერი, რომელმაც, არაერთი დამპყრობლის მიუხედავად, არ დაუშვა ენაში არაბული, მონღოლური, თურქული, სპარსული, რუსული სიტყვების ბარბარიზმებად ქცევა; ერი, რომლის ენაზე არც სპარსულს მოუხდენია გავლენა და არც რუსულად მეტყველება ჩაუთვლია ოდესმე თვითწარ-



Alexandre Che Lordkipanidze
გამარჯობა.

თუ შეიძლება, ამ სტატუსის კომენტარებში დაწერეთ: თქვენი აზრით, რა მოიტანა უდიდესი 21-ე საუკუნე და ტექნოლოგიურმა პროგრესმა? რა მოიტანა, რა მოჰქვს, ამ რას მოიტანს?

8 hours ago · Edited · [Tbilisi](#)

Like Comment Share

Bart Niccolo, Nina Matcharashvili and 2 others like this.

Anana Fok urtiertobebis gacieba, indifferentuloba, robotizmi
8 hours ago · Unlike · [4](#)

Natela Zweistein Janelidze უკარგობა, სწოვ და გარემოს დამბრუნება
8 hours ago · Unlike · [2](#)

Ana Samsonia genmodifirebuli sakvebi
8 hours ago · Unlike · [2](#)

Giorgi Iashvili Bavshvibi ezoshi ar chadian
8 hours ago · Unlike · [14](#)

Giorgi Kekenadze - 19 mutual friends
პირდაპირი კომუნიკაციის ნაკლებობა
8 hours ago · Unlike · [3](#)

Gigi Chikhladze თბილისი ადრია ღრთილთობა :დ
8 hours ago · Like · [3](#)

Katie Bakhtadze თუ წარმოების რიგობითაცაა ამ ტემპით ვაგრძელებთ
უზრუნველყოფას მოიტანს
8 hours ago · Unlike · [2](#)

Goga Antidze კონსერვაციული ვადიკეცა (3D)
8 hours ago · Like · [2](#)

Ana Samsonia 20.19.18...ebis monatreba
8 hours ago · Like

Alexandre Che Lordkipanidze Goga Antidze კი თანა შემოიტანა, მარა უფრო
საფრთხილო და ელასტიკური მერა მაგ თანაზე
8 hours ago · Like · [1](#)

Natela Zweistein Janelidze სხვადასხვა კულტურებისა და ენების გაერთიანება
8 hours ago · Unlike · [2](#)

Gvantsa Tushishvili რას მოიტანს და ღრთილთობები სულ გაიკეთება და
უფრო მეტად გახდება ხალხი მოყვარული ტექნოლოგიის
8 hours ago · Like

Natela Zweistein Janelidze ნეოფუნიზმი
8 hours ago · Unlike · [2](#)

Tamuna Qvilitaia პირდაპირი კომუნიკაციის ნაკლებობა, უზრუნველყოფა, ამ
იტყვი პირდაპირი და რიგობით მომსახურებით.
7 hours ago · Like · [2](#)

Tonika Makhvashvili <https://www.facebook.com/photo.php?fbid=591843574226079&setm=120750181334423.23666.11485583192485881&type=1&theater> მომსახურება სპეციალური მომსახურების არ უნდათ მიწვევს თვითონ
ცხოვრებით.

This is our football...
by: Ultras World
7 hours ago · Like · [Remove Preview](#)

Nina Ivi Ivanishvili ჯალის იდეალი უკლებლად 45 კოლორიაში და 180 სმ
სიმაღლის რომ ღმრთი იყოს 90/60/90-ზე პარამეტრებით.
7 hours ago · Like

Ani Chikhladze სტატუსი არის ნაწერი მაგ თანაზე ბევრი
7 hours ago · Like

Nina Ivi Ivanishvili ზოდა ევროპულ დიდი პრობლემა, აღსანიშნავი "Made in China"-ია... ზე, ჩემთვის)))
7 hours ago · Like

Lela Tsiskarishvili მიზნ... ბევრი რაბის მიზნ და ისტორია, რაც უფრო მეტი
ინფორმაციით მეტი მიზნის შეგრძნება.
6 hours ago · Like · [2](#)

Archil Tatarashvili ყველა მოვლენას აქვს თავისი დავისიონისტური ფიქსიონი.
კლასიკური (+) კლასიკური სტრუქტურა (+) ინტერნეტი და
ტექნოლოგიები (+) პირდაპირი კომუნიკაციები (+) ის 3-7-60 ფილმები ...
განსაკუთრებით გარდასახვის ადგილი.
6 hours ago · Like

Gigi Migirauli Realuri urtiertobebi daakina
6 hours ago · Like

თორნი ზეიგო 5 mutual friends
mentaluri gaunaboba... nerastetia... da er-erTi mnishnelowad uaryofTi
chembis... asimilacia- erTa agreva... globali interesebi gadziereba eromlis
shesustebis xarje.
6 hours ago · Like

Anana Fok ukacavad klonireba suragacias ra uaryofTi aqva batono archil?
6 hours ago · Like

Tamuna Meskhi სწორედ იდეალური კარგი და ადამიანი მწილი, ნახევარი
წელი რა გამოცდილების ცხოვრების ჩვეულებრივი ადამიანი (დამბრუნება, მიზანი
წივდება, ტელი ყრადე ვაგრძელებს, დამბრუნების იდეა რაზე დახედვს
შეველი და იმდენი მიზნობრივობა, რომ მაღალ ვაჭრობებს "წივდება"
ცხოვრების დამბრუნება
5 hours ago · Like

მოსაჩენ მიზეზად; აი, საკუთარ ენაზე შეყვარებული სწორედ ეს ერი ახლა რას სჩადის?! – გაისმის ინგლისური სიტყვების რახარხები: ისთებლიშმენთი, ივენთი, ლაიქი, ფართი... განა ეს ტექნოლოგიური პროგრესისა და გლობალიზაციის ნაყოფი არ არის?! განა ეს არ არის 21-ე საუკუნის ლოგიკური შედეგი?! განა ადრე ასე იყო?! ახლა ხომ ყველაფერი გაცილებით უარესადაა, ამის დაუნახავობა ხომ წარმოუდგენელია, არა?

და მაინც...

სულ ერთი წამით დავუშვათ, რომ კომპიუტერი უბრალო ხელსაწყოა, აი, როგორც თოხი ან საგარცხელი, ოღონდ ამ ხელსაწყოებზე უფრო მეტი, ბევრად უფრო მეტი შესაძლებლობებით. დავუშვათ, რომ კომპიუტერი სულაც არ არის მიზეზი ჩვენი გაბოროტების, გაუცხოების, გაზარმაცების. დავუშვათ, რომ პრობლემა ჩვენშია. მაშინ? არა, მესმის, ეს წარმოუდგენელია, მაგრამ მაინც... ვცადოთ და დავფიქრდეთ, იქნებ სწორედ ჩვენ ვართ დამნაშავე და მხოლოდ იმიტომ არ აღვიბეჭდეთ დანაშაულის ამსახველ არც ერთ ფოტოზე, რომ თავად ვართ ამ ყველაფრის ფოტოგრაფი? თუმცა არა... სისულელეა.... ასე ხომ გამოვა, რომ ჩვენშია სიზარმაცე,

გაუცხოებისკენ სწრაფვაც, კომფორტის ხაზით ბუნებაზე უარის თქმის სურვილიც; ასე გამოვა, რომ თავად ვიკიდებთ ფეხებზე მეგობრებს, როცა ერთად ვართ და მაინც ფეხსბუქს ვსტუმრობთ, რომ ჩვენ ვართ ის აპოკალიფსური მხეცი, რომელსაც ადამიანებს შორის რეალური ურთიერთობის დანგრევა სურს. გამოვა, რომ სინამდვილეში ყველაფერი ბევრად უკეთაა, ბევრად, ბევრად უკეთ, ვიდრე ადრე იყო, გარდასულ საუკუნეებში, უბრალოდ, გვირჩევნია, პრობლემა სხვაგან ვეძებოთ, სხვებს დავაბრალოთ, მტრებს, გაურკვეველი შეთქმულების ავტორებს, მასონებს, უცხოპლანეტელებს თუნდაც, ან – კომპიუტერს, და არავითარ შემთხვევაში არ დავუშვათ, რომ პრობლემა ჩვენშია, რადგან ჩვენ ისეთი კარგები ვართ, ვერანაირად ვერ ვიქნებით იმ უბედურებათა სათავე, რაც მოაქვს 21-ე საუკუნეს... და მოაქვს კი 21-ე საუკუნეს უბედურება? ან ცოტა სხვანაირად ვიკითხოთ: მოიტანს კი 21-ე საუკუნე უბედურებას, თუ საკუთარ თავში აღმოვაჩენთ პრობლემათა სათავეს და გავაქრობთ მას? თუ მივხვდებით, რომ კომპიუტერიც ჯადოსნური ყუთია, რომელსაც სწორი შელოცვები უნდა ჩასძახო, რომ კეთილად გემსახუროს, ან შენივე შინაგანი ბრაზის შემნახველ პანდორას ყუთად აქციო. ჰო, მგონი, ასე გამოვა... ამიტომ ეს არ დავუშვათ, არ უნდა დავუშვათ, ჯობია, ისევ ისე იყოს ყველაფერი, როცა კომპიუტერი საშინელებაა და ამაზე ყველა ვთანხმდებით.

ბოლოს ცოტა გავხალისდეთ. რამდენიმე დღის წინ საკუთარ ფეისბუქზე მარტივი/რთული კითხვა დავსვი. კითხვას მრავალი საინტერესო პასუხი მოჰყვა, რამდენიმე მათგანს ვეთანხმები, რამდენიმეს – არა, რამდენიმეზე კი ზემოთ უკვე ვისაუბრე. შესაბამისად, ისლა დამრჩენია, უცვლელი სახით შემოგთავაზოთ ჩემი სტატუსისქვეშეთი, თქვენ კი, თუ მიგაჩნიათ, რომ ამ ბლოგის სახით დიდაქტიკური პათოსით განმსჭვალული სისულელე წაიკითხეთ, ჩემი თხოვნაა, კომპიუტერს დააბრალოთ ეს ყველაფერი, – აბა, მე რა შუაში ვარ?

„არისტოტელე ხომ იცი?!“

ყველაფერი სერგო ბოლოტინისგან იწყება.

ბავშვობაში მიღებული შთაბეჭდილებები რომ ყველაზე ძლიერია და უდიდეს გავლენას ახდენს პიროვნების ფორმირებაზე, ეს ჩემამდეც არაერთხელ უთქვამთ გამოცდილ ფსიქოლოგებს, მაგრამ ამბავი, რომელიც მინდა მოგიყვებო, არცერთ ფსიქოლოგიის სახელმძღვანელოსა თუ ნაშრომში არ განხილულა. ეს ჩემი ბავშვობის ყველაზე უცნაური მოგონებაა.

თბილისის ერთ-ერთ გარეუბანში გავიზარდე, კერძოდ, ე. წ. კონიაკის დასახლებაზე. დღემდე არ ვიცი, რატომ ვამბობდით ასე, „დასახლებაზე“ და არა „დასახლებაში“, მაგრამ ეს მეათეხარისხოვანია, მთავარი კი ისაა, რომ მაინცდამაინც ამ მიყრუებულ უბანში, ჩემს პატარა ხრუჩშოვკას სერგო ბოლოტინის კიდევ უფრო პატარა ბინა ეკედლისმეზობლებოდა. ზუსტად არ მახსოვს, სერგო რამდენი წლით იყო ჩემზე დიდი, ალბათ დაახლოებით სამოცი, და რადგან ვერცერთ ბაბუას ვერ მოვუსწარი, სერგო ჩემი პირველი და საუკეთესო ბაბუა-მეგობარი გახდა. მთელი ამ ამბის პეწი რომ შეიგრძნოთ, მოკლედ უნდა აღგიწეროთ სერგოს ერთოთახიანი ბინა: პატარა ჭოლი ტყის საბჭოთა ესთეტიკით შესრულებული ნახატით კედელზე, ასევე პატარა სამზარეულო და ერთი ოთახი, რომლის კედლებზეც, სამწუხაროდ, არ მახსოვს და ვერც მხსოვდება, რა იყო გაკრული, ან რა ნახატები ეკიდა, რადგან იქ არაფერი იყო წიგნების გარდა. ჰო, ირგვლივ წიგნების თაროები და უამრავი წიგნი, ყოველ შემთხვევაში, მე ასეთად დამამახსოვრდა სერგოს ბიბლიოთეკა. ეს ყველაფერი განსაკუთრებულ ჯადოსნურობას იძენდა იმ პერიოდისთვის, როცა სახლში არათუ კომპიუტერი და ტელევიზორი, რადიოც კი არ გვქონდა და მთელი ეს ბიბლიოსამყარო ჩემთვის ჯადოსნური ტერაბიტია იყო, რომელშიც ათასნაირი პერსონაჟი და ისტორიული პიროვნება ცხოვრობდა.

ახლა, როცა უკვე ძალიან მოკლედ აღგიწერეთ ბიბლიოფილი მოხუცისა და პატარა ბავშვის მეგობრობის მიზეზები, მთავარ ამბავზე გადავალ. მე პირველ-მეორე კლასში ვიყავი, გაკვეთილების მომზადების შემდეგ ხშირად

ვსტუმრობდი ხოლმე სერგოს, ისიც მშვიდად და დაუღალავად მათვალიერებინებდა სხვადასხვა უცნაურ წიგნებს, ისეთებს, რომელთა მსგავსიც კი არ მინახა მანამდე, ნახატებიანებს და ფერადებს. წიგნებს კოსმოსზე, დინოზავრებზე, შუა საუკუნეების რაინდებზე. ყველაზე მეტად ის მიყვარდა, რომ თანატოლივით მეტყეოდა, არასდროს მიჩლექდა ენას და ძალიან შორს იყო დიდაქტიკისგან. „არისტოტელე ხომ იცი?!“ – მკითხა ერთხელ, ექვსი წლის ბავშვს. რა თქმა უნდა, არ ვიცოდი. „უი, არ იცი, тогда иди ко мне“. არისტოტელეს აფორიზმების კოსმოსისხელა წიგნი ახლაც მახსოვს. იჯდა სერგო და მიკითხავდა არისტოტელეს, მე კი ერთი აფორიზმი დამამახსოვრდა: „Познание начинается с удивления“ (შემეცნება გაოცებით იწყება). სერგოც მუდმივად ახერხებდა ჩემს გაოცებას, დაინტერესებას და შემდეგ შემეცნებისადმი უსაზღვრო ლტოლვის გამოწვევას. მე ჩემი არისტოტელე მყავდა მისი სახით, ის კი, ალბათ, ასევე გრძნობდა, რამდენად მნიშვნელოვანი იყო ალექსანდრესთვის. ძირითადად, სერგო არ სტუმრობდა ჩემს ბინას, ყოველთვის მე მივდიოდი მასთან, თუმცა იყო უფრო რთული დღეებიც, როცა ამ ერთი შეხედვით გოროზ, უტყვ და გულჩათხრობილ ადამიანს ერთი ჭიქა ადუღებული წყალი შემოჰქონდა ხოლმე ჩემთან, რომ ჩაი დამეღია. ვიჯექით, ვსვამდი ჩაის და ვსაუბრობდით ხელოვნებაზე.

ერთხელ, სერგომ მითხრა, რომ სიბრძნე, შემეცნება და ცოდნაც ერთგვარი სასმელია, რომელიც კარგად უნდა დააგემოვნო და ისე შესვა. „აი წარმოიდგინე, საშკა, წყალი, რომელიც მუდმივად იცვლის გემოს და სულ უფრო და უფრო გემრიელი ხდება. ერთი ყლუბის მერე – ორი გინდება, ორის მერე – სამი, и так далее. შენ ჭურჭელი ხარ, მარა ეს ისეთი წყალია – არასოდეს გაგბერავს, თუ სწორად მიღება იცი. თუ სწორად ვერ მიიღებ, გაიბერები, გაიბერები და ისე გასკდები, как воздушный розовый пырырь“. მაშინ ბუსტად ვიცოდი, სერგოს უამრავჯერ ჰქონდა წყალი დანალევი და ყველაზე უკეთ იცოდა გემრიელი წყლის გემო.

მე გვიანლა მივხვდი, რატომ დაიწყო სერგომ კოსმოსითა და დინოზავრებით და რატომ მივედით არისტოტელემდე. თქვენ შეიძლება იფიქროთ, რომ 7-8 წლის ბავშვისთვის არისტოტელეს აფორიზმების წაკითხვა წყლის ნაცვალა, მაგრამ გარწმუნებთ სერგოს ბიბლიობინაში ნაზიარებმა სიბრძნემ მთელ ჩემს აზროვნებაზე მოახდინა გავლენა. ჩვენ დავიწყეთ გაოცებით და მივედით შემეცნებამდე. სერგო ბოლოტინი ხშირად მეკითხებოდა აზრს და ჩემს ბავშვურ ტიტინს ისე ისმენდა, თითქოს ჩემი პირით აკადემიკოსი საუბრობდა. ისმენდა,

ხან იზიარებდა, ხან არ, ხან მედავებოდა მთელი გამალებით და ისეთი შემთხვევებიც კი იყო, როცა ცხარე კამათის შემდეგ – მეთანხმებოდა. ასეთ დროს თავი არისტოტელე თუ არა, როგორც მინიმუმ სერგო ბოლოტინის დონის მოაზროვნე მეგონა. მთავარი კი ალბათ ისაა, რომ სერგომ ჩემი გაოცება შესძლო, თან ეს ისე მოახერხა, რომ ეჭვიც კი არ გამიჩინა, ამას წინასწარი გათვლებით აკეთებდა, თუ ისე, ბუნებრივად. მას შემდეგ წიგნების გარეშე ჩემი ცხოვრება წარმოუდგენლად მიმაჩნია, ყოველი ახალი წიგნის გადაშლისას კი ისეთ შეგრძნება მაქვს, თითქოს მთაში დამქანცველი, რთული ლაშქრობის შემდეგ მთის ანკარა წყაროს მივაღწეი.

ის ღამეც მახსოვს. სერგოს მეუღლე, ვენერა, აფორიაქებული აკაკუნებდა ჩვენს კარზე. მე გამეღვიძა და საშინლად ავნერვიულდი. რამდენიმე წამის შემდეგ დედა სერგოს ბინაში გაიქცა, ვერ ვხვდებოდი, რა ხდებოდა. ვენერა მოთქვამდა, არც თუ ისე მალე სასწრაფოც მოვიდა. დედა აქოშინებული შემობრუნდა სახლში, ჩემი გაკვირვებული და დაძაბული მზერის დანახვისთანავე მიხვდა, არ უნდა მოვეტყუებინე და პირდაპირ მითხრა, სერგო ბაბუა გარდაიცვალაო. მერე წყლისგან დაცლილი ჭიქა სამზარეულოს ნიჟარაში ჩადგა და თვითონ ვენერა ბოლოტინას დასამშვიდებლად გაბრუნდა, თან გამაფრთხილა, სერგოს ნაპირალი ჭიქაა და არ გამოიყენო.

მე, რა თქმა უნდა, დედაჩემის გასვლისთანავე ონკანი მოვუშვი, ჭიქა ავაგსე და უკვე ორი წამის შემდეგ დაუფიქრებლად დავეწაფე ჩემი არისტოტელეს ნაპირალ ჭიქაში დაგროვილ უგემრიელეს წყალს.

როგორ მოვატყუოთ მასწავლებლები

მცირე ინსტრუქცია
დამწყები აპრესორებისთვის

ბავშვებო, მთავარია, ეს წერილი ისე შეინახოთ, რომ ვერც ერთმა მასწავლებელმა ვერ იპოვოს, განსაკუთრებით კი ფიზკულტურისამ. ეგ ისეთი მასწავლებელია, შეიძლება გეგონოთ, რომ მასთან ყველაფრის თქმა შეიძლება, მაგრამ არ დაიჯეროთ – სამასწავლებლოში რომ შევლენ, ყველა ერთია. ჰოდა, ამ პატარა შეთქმულების მონაწილეები თუ გხდებით, პირობა მომეცით, რომ თქვენი ვერც ერთი მასწავლებელი ვერ გაიგებს ამ წერილის ამბავს, კარგი? სიტყვა სიტყვაა. მაშ, დავიწყოთ.

პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი: გახსოვდეთ, რომ მასწავლებლები ყოველთვის ცდილობენ გაიგონ, რაზე ფიქრობთ თქვენ, მაგრამ ეს თითქმის არასოდეს გამოსდით, მიუხედავად იმისა, რომ ერთ დროს ისინიც თქვენსავით ბავშვები იყვნენ. როგორც ჩანს, წლების მატებასთან ერთად ჩვენ, უფროსებს, გვავიწყდება, როგორები ვიყავით პატარაობისას და რამხელა ძალისხმევაც არ უნდა მოვახმაროთ ამის გახსენებას, საბოლოოდ წარმოსახვით ვიღებთ მხოლოდ ბავშვობის სიმულაციას, რომელიც ხშირად რეალობისგან ძალიან შორს დგას. ამიტომ გაითვალისწინეთ: როცა მასწავლებელი გეუბნებათ, რომ კარგად იცის, რა გაქვთ ჩაფიქრებული, რადგან თვითონაც ბავშვი იყო და თვითონაც ხშირად ცელქობდა, ის თვალთმაქცობს. არაფერიც არ იცის. ამით მხოლოდ თქვენს დამორჩილებას ცდილობს. ასეთ დროს შეგიძლიათ, მორჩილად დაუქნიოთ თავი და უწყინარი გამომეტყველება მიიღოთ.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ, რაც უნდა გაითვალისწინოთ, თქვენი ასაკისადმი მასწავლებლის დამოკიდებულებაა. როგორც წესი, დიდები სწორად ვერ ვაფასებთ, რა ასაკში რამდენი იცის ბავშვმა და ხშირად გვისხლტება ხელიდან ის მთავარი მომენტი, როცა ბავშვის ფიქრები ბავშვურობის ჩარჩოებს სცდება. ამიტომ ჩვენ, უფროსებს, მეექვსეკლასელი, ანუ 11-12 წლის ბავშვი მეტისმეტად პატარა გვგონია და ვერ წარმოგვიდგენია, სინამდვილეში რა ხდება მის გონებაში. ეს ფაქტორი შეიძლება თქვენს სასიკეთოდ გამოიყენოთ. მასწავლებელს აზრადაც არ მოუვა, რომ მისმა საბავშვო სარაფანმა,

რომელიც, რბილად რომ ვთქვათ, ღანდავს, შესაძლოა სექსუალური ემოცია აღვიძრათ. მისთვის თქვენ პატარა არსებები ხართ, რომლებმაც სიტყვა „სექსუალურის“ მნიშვნელობაც კი არ იციან. არადა თქვენ ხომ იცით, როგორ ტყუვდებიან, როცა ასე ფიქრობენ. ამიტომ ითამაშეთ უწყინარი და ფიქრშიც კი უმანკო ბავშვები, ვიდრე თქვენს რეალურ ზრახვებში მასწავლებლებიც კი არ დაეჭვდებიან. თუ ბედმა გაგიღიმათ და რომელიმე საგანში ახალგაზრდა, ლამაზი, თანაც მეტ-ნაკლებად გამომწვევად ჩაცმის მოყვარული მასწავლებელი შეგხვდათ – ბინგო! ეს ნამდვილად ღვთის საჩუქარია. ამ შემთხვევაში შეგიძლიათ აამოქმედოთ ოინების მთელი არმადა, დაწყებული ფეხსაცმლის ლანჩაზე სარკის დამაგრებით და დამთავრებული დაფასთან კალმის ან ცარცის ხშირი დავარდნით, როცა, ისლა დაგრჩენიათ, – კარპე დიემ! – იხელთოთ წამი. მასწავლებელი ბევრ რამეს იეჭვებს – იმასაც, რომ ცელქობთ, იმასაც, რომ სანაძლეო წააგეთ, იმასაც, რომ თანაკლასელებს ეთამაშებით, მაგრამ არამც და არამც იმას, რომ უბრალოდ მისი კაბის ქვეშ გუსურთ შეხედვა. მოკლედ, ჩემზე უკეთ მოგესხენებათ ამ კატეგორიის ოინების ანი და ბანი.

ახლა მომდევნო ეტაპზე გადავიდეთ. თქვენ, რა თქმა უნდა, არ გინდათ, რომ თანაკლასელებთან თქვენი პირადი ურთიერთობა მასწავლებლის გასარჩევი გახდეს და, საზოგადოდ, ის საქმის კურსში იყოს, ვინ გიყვართ, ვის ეჩხუბებით ან ვისთან გინდათ მეგობრობა. ჰოდა, მოიქცით ისე, რომ ვერაფერი გაიგოს ამის შესახებ. თუ კონფლიქტური სიტუაციაა და ეს მასწავლებელმა შეამჩნია, ადექით, ძალდაუტანებლად მოიხადეთ ბოდიში და დაჰპირდით, რომ მეტს აღარ იზამთ. დამატებით შეგიძლიათ მეტოქეს ხელი ჩამოართვათ და ჩახუტოთ კიდევ. ეს მასწავლებელს გულს მოუღებობს და ყურადღებას სხვა რამეზე გადაატანინებს, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, მეტოქე თანაკლასელს ჩახუტებისას ყურში ჩასჩურჩულოთ ადგილი, სადაც, გაკვეთილების დამთავრების შემდეგ, მასთან პირადად გარკვევით ურთიერთობას. თუმცა არის ისეთი შემთხვევებიც, როცა მასწავლებელი სწორედ მაშინ შემოგისწრებთ, როცა თანაკლასელს მთელი ძალით არტყმევინებთ თავს მერხზე. აქ უკვე აღარ გაჭრის თავის მართლება, რომ უბრალოდ ხუმრობდით, რომ ასე თამაშობთ და ა. შ. აქ უფრო სერიოზული არგუმენტებია საჭირო და სწორედ ასეთ დროს გამოგადგებათ თქვენი ასაკი და უცოდველობა. შეჩერდით, მოთმინებით მოისმინეთ მასწავლებლის საყვედური, გაუძელით თუნდაც ყურის აწევას და დირექტორის კაბინეტში წაყვანასაც კი. მთავარია, შემდეგ ორიოდ სიტყვის უფლება მოითხოვოთ და მთელი „გულწრფელობით“ აღიაროთ, რომ თვი-

თონაც არ იცოდით, რას აკეთებდით, რომ მიხვდით თქვენი საქციელის მთელ საშინელებას და რომ პატიებას სთხოვთ ყველას, რადგან სწორედ ისე მოიქცით, როგორ გარემოშიც იზრდებით, როგორ ქცევასაც ხედავთ უფროსების მხრიდან. დამიჯერეთ, ეს თქვენ მჭიდროდ მოგარგებთ მსხვერპლის ნილას და მასწავლებლებისა და დირექტორების თვალში წამში იქცევით მოძალადიდან გმირად. გმირად, რომელსაც, უფროსებისგან განსხვავებით, დანაშაულის აღიარება შეუძლია. ასე თავსაც დაიძვრენთ გართულებებისგან და, რაც მთავარია, მომავალშიც შეგეძლებათ, მერხი რომელიმე თანაკლასელის თავის სარტყმელ ინსტრუმენტად გამოიყენოთ.

ჰო, რაკი აგრესიას შევხებით – მერწმუნეთ, მასწავლებლები ვერც კი წარმოიდგენენ, სადამდე შეიძლება მივიდეს თქვენი აგრესია. მათთვის თქვენ მაინც პატარა უწყინარი არსებები ხართ, ფაქტობრივად, ანგელოზები, რომლებიც კი ცელქობენ, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ ასეთია მათი ბუნება. ჰგონიათ, როცა გაიბრდებით, თქვენს აზროვნებაში ყველაფერი შეიცვლება. მათ ავიწყდებათ, რომ თქვენ სწორედ ახლა, ამ ასაკში ცხოვრობთ, ახლა მომხდარი მოვლენები ახდენს გავლენას თქვენს ფსიქიკასა და აზროვნებაზე და სწორედ ახლა ყალიბდება თქვენში აგრესორი ან მსხვერპლი, ამიტომ თუ მასწავლებელი ვერ ხედავს, რას აკეთებთ, თამამად შეგიძლიათ იყოთ მოურიდებელი, რადგან, განურჩევლად შედეგისა, ის არც კი დაუშვებს, რომ თანაკლასელის ღრმა ჭრილობის შემოქმედი თქვენ და თქვენი ბასრი დანა ხართ და არა უბედური შემთხვევა, რომელმაც მსხვერპლის წაქცევა და დაშავება გამოიწვია.

თქვენ გაქვთ კიდევ ერთი უპირატესობა, რომელიც თანამედროვე სამყაროს მუდმივი და სწრაფი ტექნოლოგიური პროგრესით გამოიხატება – თქვენ გაქვთ მობილური ტელეფონები, აიპოდები, ტაბლეტები... შეგიძლიათ, ეს ყველაფერი თქვენს სასიკეთოდ გამოიყენოთ ისე, რომ მასწავლებელი ვერაფერს მიხვდეს. მაგალითად, შპარგალკებად. თქვენთვის არ არის აუცილებელი, ისხდეთ ჭკვიანი თანაკლასელის მახლობლად, რათა მისგან გადაიწეროთ – შეგიძლიათ, ეს სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი ტექნოლოგიების დახმარებით გააკეთოთ, რაც, ალბათ, ასევე ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ.

სხვათა შორის, ბოლო ხანს ბევრი თქვენი თანატოლი მობილურ ტელეფონს სხვა მიზნითაც იყენებს. მაგალითად, სულ ცოტა ხნის წინ შევიტყვე, როგორ სცემეს და მისთვის სასირცხვილო საქციელი ჩაადენინეს ბავშვს თანატოლებმა და როგორ გადაიღეს ეს პროცესი მობილური ტელეფონით. მართლაც

საოცარი მიგნებაა! ეს ვიდეო ხომ საუკეთესო იარაღია, რომ მასზე აღბეჭდილი მსხვერპლი თქვენს მარიონეტად აქციოთ. ამას ორმაგი პლუსი აქვს: ერთი ის, რომ მასწავლებელი ასეთი ხარისხის ბოროტებას ვერც კი წარმოიდგენს – თქვენ ხომ მისთვის 11-12 წლის უმანკო არსება ხართ, ასე არ არის? შეიძლება, თანაკლასელს დატერობანას თამაშისას ხელი ჰკრათ ან ფეხი დაუდოთ, ან სულაც გაკვეთილზე წიგნი ჩაართყათ, მაგრამ არაფერი ამაზე მეტი; მეორე პლუსი კი ტექნოლოგიებია – მასწავლებელი ვერასოდეს მიხვდება, რატომ იბრალებს თქვენი თანაკლასელი თქვენ მიერ ჩადენილ დანაშაულს. ვერასოდეს მიხვდება, რადგან არ ეცოდინება თქვენს მობილურში არსებული ჯადოსნური ვიდეოს შესახებ.

ჰო, როგორც ხედავთ, ჩემო ძვირფასო პატარა აგრესორებო, მასწავლებლების მოტყუების უამრავი ხერხი არსებობს და თქვენი მთავარი კოზირი ყველგან მათი თქვენდამი დამოკიდებულებაა, მათი თქვენდამი სიყვარული და თანაგრძნობა. გამოიყენეთ ეს, ითვალთმაქცეთ, შეიფერეთ ნილაბი, რომელსაც თავად უფროსები გაწებებენ, როცა მიაჩნიათ, რომ ჯერ კიდევ პატარები ხართ, რომ ჯერ კიდევ არ იცით, რა არის ომი, სექსი, აგრესია და ტკივილი. არადა თქვენ ხომ ყოველდღიურად თქვენს საკუთარ ომებს აჩალებთ. ჰოდა, რა საჭიროა ამ ომებში ზედმეტი პერსონაჟი მასწავლებლის სახით? ამიტომ ნურც ამ წერილის შესახებ ეტყვი, კარგად დამალეთ ის და გპირდებით, როცა რამე ახალს გავიგებ მასწავლებლების მოსატყუებელი ხერხების შესახებ, აუცილებლად შეგატყობინებ!

სიკეთის წილი საწერი

ერთხელ ასეთი ამბავი შემემთხვა: მესტიაში ავეხეტე ლიტერატურულ ექსპრესთან ერთად, იქ მივიპოეთ-მოვიღეცხვე და, ჩემდა სასიხარულოდ, კარგი ქართველი პოეტი, ტარიელ ხარხელაური გავიცანი, ჰოდა, პატარა საუბარიც გაიმართა ჩვენ ორს შორის. მკითხა, ძირითადად რაზე წერო, მეც ვუპასუხე, უფრო კი შევითხინე პასუხი, რამეთუ ყოველთვის მიჭირს ასეთ კითხვაზე აზრიანი პასუხის გაცემა. მოკლედ, ვუთხარი, სოციალურ თემებზე, თანამედროვეობაზე, თაობის სატკივარზე, ხანდახან – სიყვარულზეც, აქა-იქ, ათასში ერთხელ, უფრო ხშირად მაინც ღრმა მეღანქოლით გაჟღენთილ ეგზისტენციალურ საკითხებზე-მეთქი და ასეთები ვთქვი კიდევ, ოკრობოკროდ. კარგიაო ეგო, მითხრა, მაგრამ ხანდახან სიკეთეზეც ვწეროთო. მარტივი ნათქვამია... რთულად შესასრულებელი, მაგრამ მაინც შეგეცდები, ამ ბლოგში სიტყვა შევუსრულო ძია ტარიელს და იმ სიკეთეზე მოვყვე, 2009-ში რომ შემემთხვა, დღემდე მახსოვს და არც არასოდეს დამავიწყდება.

სადღაც მარტვილთან ახლოს, სოფელ გაჭედილთან ვართ გაჭედილები, გზაჯვარედინზე ვდგავართ. მე და ზუკა. ასე ორმაგდება შანსი იმისა, რომ რომელიმე მიმავალი მანქანა ჩვენს ცერა თითს დაინახავს და წაგვიყვანს. მზე მონღოლურ შანთზე მეტად გვიწვავს ზურგს, ფეხებთან კი 30-30 კილოგრამი ბარგით დატვირთული ზურგჩანთები გვიწყვია. სიარულს აზრი არ აქვს, ასეთია შუა ზაფხულში ჰიჩჰაიკერებისთვის მეგრული რულეტკა. რამდენიმე მძლოლი ბედაც არ გვიყურებს, ვილაცამ შეიგინა, ვილაცამ – „უსაქმურებიო“, ვილაცამ შეანელა და მერე ისევ აუჩქარა, ალბათ, შიშით, რამე შარს არ გადაყროდა. გვარიანი ლოდინის შემდეგ ერთ-ერთი მანქანა ჩერდება. მოსალაპარაკებლად ზუკა მიდის. „ჩასხედით“ – პირდაპირ გვეუბნება მამაკაცი, რომელსაც, როგორც შემდეგ შევიტყობთ, გენო ჰქვია, გვარად კი ბეჭვიაია.

რა გვინდოდა, რას დავხეტილობდით და რას ვეძებდით, ცალკე მოსაყოლი თემაა. უბრალოდ, შევთანხმდეთ, რომ ჩვენი ამოცანა საკმაოდ რთული იყო – უნდა მოგვესწრო და რაც შეიძლება მცირე ხანში დაგვეთვალიერებინა

რამდენიმე ადგილობრივი ღირსშესანიშნაობა, რომელთა შემოვლასაც, ეთნოჰიზიკინგის გამოცდილებიდან გამომდინარე, ალბათ, 2-3 დღე მაინც დასჭირდებოდა, ჩვენ კი გვეჩქარებოდა, გვეჩქარებოდა და ყოველი წამი უფრო და უფრო მიუწვდომელს ხდიდა ამოცანას. ახლა კი გენოს დავუბრუნდეთ, რომელიც მას მერე არ მინახავს და არც კი ვიცი, ახლა რას საქმიანობს, როგორაა. მაშინ მოსამართლე იყო, ვგონებ, სოფელ დიდ ჭყონში ჰქონდა სახლი და ძალიან საყვარელი ოჯახი, თუმცა ძირითადად ქალაქში იქმოდა საღვაწს. მაშინაც შინ ბრუნდებოდა, ორი ჩანთააკიდებული გზააბნეული მგზავრით რომ დაიძძიმა საფიქრალი. ჩვენც მოურიდებლად გავანდეთ ჩვენი მიზანი და დაველოდეთ გენოს პასუხს – უარეს შემთხვევაში, დიდ ჭყონამდე მიგვიყვანდა და მერე სხვა ტრანსპორტის ძებნა მოგვიწევდა, საუკეთესო შემთხვევაში კი ჯერ მარტვილში გავივლიდით და იქაურ ეკლესია-მონასტრებსაც ვინახულებდით. ბევრი რომ არ გავაგრძელო, გენო მარტვილისკენ დაიძრა. მოვლენათა ამის შემდგომ განვითარებას კი აწმყო დროში უნდა მოვყვე:

გენო არა მხოლოდ ჩვენს გადაადგილებაზე ზრუნავს, არამედ ექსკურსიამძღოლის მოვალეობასაც კისრულობს და მარტვილის ცნობილი მონასტრის შესახებ გვიყვება. ვათვალიერებთ და ვეუბნებით, რომ ძალიან გვეჩქარება და ახლა დავტოვებთ, დიდ მადლობასაც ვუხდით, გენო კი მანქანის კარს აღებს და შეუვალი გამოხედვით გვიყურებს. ჩვენც, ერთი მხრივ, უარს ვერ ვეუბნებით, მეორე მხრივ კი რა უარი, ეს ხომ ჩვენი შანსია, შესაბამისად, მანქანაში ვსხდებით. გენო მარტვილის სხვა ეკლესიებსაც გვათვალიერებინებს. ეს უკვე ჯეკპოტია ჩვენი მთავარი ამოცანისთვის, ბინგო. თუმცა ეს კიდეც არაფერია იმასთან შედარებით, რაც მოგველის: გენო გვეუბნება, რომ ახლა დაღლილები ვართ და სავახშმოდ მასთან უნდა წავიდეთ, სოფელში. ჩვენ ვუხსნით, რომ ამდენი დრო არ გვაქვს, შეგვიძლია, ეს დღე ორცხობილებზე გადავატაროთ და გვირჩევნია, გზა გავაგრძელოთ. გეზი საით გვაქვს? სალხინოსკენ, დადიანების რეზიდენციისკენ. გენო გვითანხმდება, რომ დიდ ჭყონამდე მიგვიყვანს. ეს გარიგება ძალიან გვაძლევს ხელს. მივდივართ. გარკვეული ხნის შემდეგ გენო მანქანას აჩერებს, გაგიკვირდებათ და დადიანების რეზიდენციასთან ვართ, სალხინოში. უკვე გვეუხერხულება ამდენი პატივისცემა, მაგრამ რა გაეწყობა, რეზიდენციას ერთად ვათვალიერებთ, თან ჩვენი დიდი უპირატესობა ადგილობრივი ექსკურსიამძღოლია, ადამიანი, რომელიც, ვინ იცის, სასამართლო პროცესებზე რა შიშის ზარს სცემს იქაურობას. სალხინოდან უკვე უსასრულო მადლობებით ვემშვიდობებით გენოს, მაგრამ საქმეში

ისევ შეუვალი გამოხედვა ერთვება. რამდენიმეწუთიანი თავპატიჟის შემდეგ მანქანა დიდი ჭყონისკენ მიემართება. მერე რაც გველის, ზუსტად არ ვიცი, ეგ როგორ ხდება ხოლმე საქართველოში, მაგრამ რომ ხდება, ფაქტია: გენოს სახლში ვართ, სტუმრები, ღვთისანი, სუფრა იშლება, საოცარი სუფრა იშლება, ისეთი, იმ შვიდდღიანი ლტოლვისა და ბოდიასისას თვალთა რომ არ გვინახავს, ცოტა ხანში მორიდებას გვერდზე ვდებთ და მადიანად შევექცევით მეგრულ ხატაპურს, ელარჯს, სახელდახელოდ გამზადებულ ზაფხულის სალათას და სხვა გემრიელობებს. ახლა კი, მუცელამოყორილებს, თამამად შეგვიძლია, ჩვენს გზაზე შეხვედრილ ყველაზე კეთილ კაცს მადლობა გადავუხადოთ და დიდი ჭყონი დავტოვოთ, თუმცაღა ვიცით, რომ გაჭირდება ეს ამბავი, რამეთუ ერთ-ორ საათში ღამის წყვილი დაისადგურებს, ხოლო „ღამე ბნელია და საცხე ურჩხულებით“, ჩვენი მომდევნო დანიშნულების პუნქტი წახსურა, საოცარი ადგილი საოცარი სახელწოდებით. დანიშნულებათა სიაში „წახსურა“ გვეწერა, ადგილობრივები „წახსურუს“ ეძახდნენ, რუკებზე მოხსენიებულია როგორც „წახსური“, თუმცა დიდჭყონელებისთვის „წახსუროს“ ვერსიაც არ იყო უცხო. მოკლედ, ეს ტკბილხმოვანი ადგილი თავისი ეკლესიითა და ჩანჩქერთაა გამორჩეული, რომლამდე მიღწევაც არცთუ ადვილია, მე და ჩემმა მგემ.

მხოლოდ ანტიკური ვილისი აღწევს იქამდის, ანდა დასავლური ცივილიზაციის ღვთიური ნობათი, რეინჯ-როვერად წოდებული. მოკლედ, პირდაპირ ვიტყვი სათქმელს – გენო თავის მოძღვარს ურეკავს სალხინოში, მოძღვარი, არ ვიცი, ვის ურეკავს, მაგრამ სულ რაღაც ერთ საათში ისევ დადიანების რეზიდენციასთან ვართ, სადაც სპეციალური მანქანა გველოდება, როგორც შემდეგ ვიგებთ, სწორედ ის, რომლითაც საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი სარგებლობს ხოლმე იქ სტუმრობისას. ცოტა შემცბარი ვარ და მანქანაში დაძაბული ვზივარ, მაგრამ დაძაბულობას სამეგრელოს საოცარი ლანდშაფტი მიქრობს. ვათვალიერებთ ეკლესიას, ჩანჩქერს, მიდამოს და უკან მართლაც დაღამებულზე ვბრუნდებით. არც კი მინდა ვიფიქრო, რა შეგვემთხვეოდა ორ დამთხვეულს, იქ რომ მართლები ავსუღიყავით, შუალამისას, მთის წვერზე, უკაცურობაში. მოკლედ, დიდ ჭყონში გაშლილი სუფრის შემდეგ გაშლილი ლოგინი გვხვდება, მეფური ღამეა, სამეგრელოში განსაკუთრებით ღამაზია ღამის ცა, ან შეიძლება მე მეჩვენება ასე, მთელი ბავშვობის ზაფხულები აბაშური ღამის ცის ყურებაში რომ მაქვს გატარებული, იმიტომ. დილით ადრე ვიღვიძებთ, ახლა კი მართლა უნდა დავემშვიდობოთ გენოს. თუმცა ამას მხო-

ლოდ მას შემდეგ ვახერხებთ, რაც გენო კიდევ ერთ სიურპრიზს გვიმზადებს და ჯიხაშკარში მიგყავართ ძველი ციხის სანახავად.

ეს ჩვენი გეგმის შემდეგი პუნქტია, რომლის მონახულებასაც, უკეთეს შემთხვევაში, სამი დღის შემდეგ ვაპირებდით. ჯიხაშკართან ჩვენი გზები იყოფა. გენო გვემშვიდობება და ბედნიერ მოგზაურობას გვისურვებს, მე და ზუკა კი ფეხით მივუყვებით გზას და კარგა ხანს ვერაფერს ვამბობთ. არ ვიცი, ამ დროს რაზე ფიქრობდა ჩემი თანამგზავრი, მაგრამ მე სიკეთეზე ვფიქრობდი. უანგარო სიკეთეზე. უბრალო, ადამიანურ სიკეთეზე, რომელიც ასე მეჩხერადლა გვხვდება დღესდღეობით და რომელსაც, მაინც, აი, ამოდენა გაოგნების ძალა აქვს.

ორიოდე დღის შემდეგ მე და ზუკამ ერთგვარი შეჯიბრება მოვიგეთ, ამოცანა ბოლომდე შევასრულეთ და ყველა დანიშნულების პუნქტი გეგმაზე ადრე მოვიარეთ, თუმცა გენო რომ არა, შესაძლოა, ახლაც წახიხურუს რომელიმე ფერდობზე ეხრაკუნა ჩვენს ძვლებს – ვინ იცის, ბუნებაა და გუნება.

ახლა შემიძლია, ცოტა ხანს მაინც მშვიდად ვიყო, სიკეთეზე დავწერე, ხანდახან მაინც რომ უნდა ვწეროთ, იმაზე, რამეთუ მოყვრისთვის პირში ზრახვის კვალდაკვალ მაგალითების შეხსენებაც არ უნდა დაგვავიწყდეს, ჩვენ გარშემო ხომ ბევრი პოტენციური გენო ბეჭვია ცხოვრობს, მაგრამ მათგან მხოლოდ ყველაზე მამაცები ახერხებენ ბოლომდე გენოობას, ასეა ეს.

პროფესია: სტერეოტიპი

რამდენიმე დღის წინ ქართულ ინტერნეტსივრცეში ერთი უწყინარი და საყვარელი ვიდეოჩანაწერი გავრცელდა, რომელშიც ასახულია, თუ როგორ უკრავს ეროვნული ბიბლიოთეკის დაცვის თანამშრომელი როიალზე. უცნაური არაა, რომ ამ ფაქტმა ყველა მნახველში გარკვეული სენტიმენტი გამოიწვია, ვიდეოჩანაწერს აზიარებდნენ გახარებული ადამიანები და თან საქებარ სიტყვებს არ იშურებდნენ დაცვის თანამშრომელი ბიჭის მიმართ. რაღა დაგიმალოთ და მეც სასიამოვნო ღიმილი მომგვარა ამ ქმედებამ, თუმცა ჩემმა ღიმილმა ხასიათი მაშინ შეიცვალა, როცა მაგანის კომენტარი წავიკითხე: „დაცვა ეძახე და...“, შემდეგ ასეთი ტიპის საკმაოდ ბევრი კომენტარი მომხვდა თვალში და გავბრაზდი. ეს წერილიც ჩემი გაბრაზების გამოძახილია, ოღონდ, თუ ახლა დაცვის თანამშრომლების დისკრიმინაციის საწინააღმდეგო ტექსტის წასაკითხად შეემზადეთ, იმედები უნდა გაგიცრუოთ. მე, ჩემი აზრით, უფრო ღრმა, მწვავე და მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ მინდა დავწერო, კერძოდ კი, პროფესიული სტერეოტიპების შესახებ, ადამიანებზე, რომლებიც საკუთარი პროფესიების მიქცელები ხდებიან საზოგადოების თვალში, რადგან აღნიშნული საზოგადოებისთვის უფრო მარტივია პროფესიები ნიღბებად დაყოს და შემდეგ ყველა ამა თუ იმ პროფესიის ადამიანი, შესაბამისად, ამა თუ იმ ნიღბით გამოარჩიოს. ამ ნიღბების ჩამოთვლა, ალბათ, შორს წავგიყვანს, მაგრამ მოდი, რამდენიმე მათგანი მაინც გავიხსენოთ. დავიწყოთ „დაცვის ბიჭით“:

ეს „დაცვის ბიჭი“. იგი სოფლიდან ჩამოვიდა და არც მთლად სახარბიელო განათლება აქვს მიღებული, ამიტომ დაცვაში დაიწყო მუშაობა, სავარაუდოდ ნათესავის, ახლობლის, ან მეგობრის დახმარებით. ცოტა უკმეხია, ცივი, უყვარს მისი დასაცავი დაწესებულების თანამშრომელ გოგონებთან არშიყი. „დაცვის ბიჭის“ პირადი ოთახი, თუ ასეთი არსებობს, ჩახუთული ჰაერით, უწესრიგობით და სიმჭიდროვით გამოირჩევა. „დაცვის ბიჭს“ შეგიძლიათ გაუბრაზდეთ, მაგრამ მაინც ვერაფერს გააგებინებთ, მას მხოლოდ დაცვის უფროსის სიტყვისა ესმის, რას ვიზამთ, ასეა „დაცვის ბიჭის“ ტვინი მოწყობილი.

ეს პოეტია. აცვია პალტო, მანტო, პლაში, მლაში, როგორც გენებოთ, ისე დაარქვით. ახურავს უცნაური ქუდი, სავარაუდოდ, ბერეტი. უკეთია კაშნე, ან

კუბოკრული შარფი, ხშირად, ზაფხულშიც კი. ბევრს ეწევა, ხშირადაა შემთვრალ-სენტიმენტალურ განწყობაზე. ეს ისეთი განწყობაა, პოეტი რომ ქუჩაში დაბარბაცებს ჩვეულებრივი ბოჭივით, მაგრამ რადგან ეს ყველაფერი სენტიმენტალურობის საფარველში ეხვევა, ამიტომ ბოჭი ბოჭია და პოეტი – პოეტი. ქურთუკის შიდა ჯიბეში უდევს პატარა ბლოკნოტი და კალამი, რათა მუზა არ გაექცეს. ქალს ყოველთვის ხელზე ეამბოროება, უყვარს არაორდინალური და გადაკრული საუბარი, არ ჰყავს მანქანა (პოეტი რომ მანქანას ატარებდეს, ჰაჰ), დადის საზოგადოებრივი ტრანსპორტით, მაგრამ უფრო ხშირად ფეხით და კიდევ უფრო ხშირად – რუსთაველის გამზირზე. რა ჯობს პოეტთან ერთად ერთ სუფრაზე მოხვედრას, იფ-იფ.

ეს ბანკის თანამშრომელია. აცვია სოლიდურად, აკადემიურად. მისი ჩაცმის ყოველდღიური მრავალფეროვნება, სამწუხაროდ, მხოლოდ ტანისამოსის ფერზეა დამოკიდებული. ამიტომ მას ბევრი ჰაღსტუხი აქვს, რომ ყოველდღე სხვადასხვანაირად გამოიყურებოდეს. ბანკის თანამშრომელს კარგი ანაზღაურება აქვს, რა თქმა უნდა, ის ხომ ბანკში მუშაობს. ძირითადად, ატარებს სათვალეს, ოდნავ შემელოტებულია, ხშირ შემთხვევაში ხელით დააქვს ქეისი ან საქალაღდე. ბანკის თანამშრომელი ყოველთვის მოწესრიგებულია, გაპარსული და გამოძინებული. პარასკევი საღამოს გართობა? ეს უსაქმურებისთვისაა. ბანკის თანამშრომელი ოჯახთან ერთად ვახშმობს, დილით კითხულობს „Financial“-ს და ყოველდღე, ერთსა და იმავე კაფეტერიაში დადის ლანჩზე. ბანკის თანამშრომელი მხატვრულ ლიტერატურას არ კითხულობს. მას ისედაც უამრავი ტექსტის კითხვა უწევს. მან იცის უამრავი უცნაური სიტყვა, რომელიც ზოგადად მხოლოდ ბანკის თანამშრომლებმა იციან. თუ დაინახეთ, რომ ბანკის თანამშრომელი ცეკვავს – სასწრაფოდ გამოუძახეთ სასწრაფოს.

ეს არასამთავრობო ორგანიზაციის თანამშრომელი, ან აქტივისტია, ანუ ჩვენებურად – ენჯეოშნიკი. ის არაფერს აკეთებს, თუმცა ბანკის თანამშრომელივით სოლიდურად აცვია. ის არ მუშაობს ბანკში, მაგრამ ბანკის თანამშრომელივით კარგი ანაზღაურება აქვს. ეს იმიტომ, რომ უცხოურ გრანტებს იღებს და ჭამს. რაღაც პერიოდულობით მონაწილეობას იღებს, ე. წ. თიმბილდინგში, რომელიც, ძირითადად, ლოპოტას, ყვარლის, ან რომელიმე სხვა ტბაზე ეწყობა. ასეთ დროს ენჯეოშნიკები დაირაზმებიან და ორი-სამი დღით ერთად მიდიან დასასვენებლად. ამას ეწოდება თიმბილდინგი, ანუ გუნდის შეკვრა. ერთ გუნდად შეკრული ენჯეოშნიკები ბრუნდებიან საკუთარ ორგანიზაციაში და ისევ განაგრძობენ არაფრის კეთებას. გარდა ამისა, ენჯეოშნიკმა იცის ბევრი საერთაშორისო ორგანიზაციის საკონტაქტო ინფორმაცია და სალაპარაკო ენა. მას დიდი ოსტატობით შეუძლია განიხილოს საზოგადოების ჩამორჩენილობის საკითხი და შემდეგ შეიმუშაოს პროექტი, რომლის მიზანიც იქნება საზოგადოების

ჩამორჩენილობის საკითხის შესახებ ღია დისკუსიებისა თუ უცხოელ პარტნიორებთან შეხვედრების მოწყობა, რის შედეგადაც შეიქმნება შესაბამისი ჯგუფი, რომელიც საზოგადოების ჩამორჩენილობის საკითხთან დაკავშირებით შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას. ჰო, რაც მთავარია, ზემოთ აღნიშნული ჯგუფი თიბილდინგისთვის გაემგზავრება ზემოთ აღნიშნული ტბებიდან ერთ-ერთზე.

ეს საპატრულო პოლიციის თანამშრომელია, ან უბრალოდ, პოლიციელი. მას თითქმის სულ პოლიციელის ფორმა აცვია. როცა პოლიციელს პოლიციელის ფორმა არ აცვია, ის პოლიციელი არაა, მაგრამ მას ასეთ დროსაც ჰყავს პოლიციელი მეგობრები, რომლებსაც პოლიციელის ფორმა აცვიათ. პოლიციელი არის მოჩვენებითად თავაზიანი და შინაგანად უხეში. პრობლემურ საკითხზე მასთან დავას აზრი არ აქვს, მაინც თავისებურად წყვეტს. პოლიციელი მხოლოდ იმაზე ფიქრობს, რომ საავტომობილო მოძრაობის წესები არ დაირღვეს და ქუჩაში ხულიგნებმა რამე არ გააფუჭონ. პოლიციელს ნაკლები დრო რჩება მაღალ მატერიებზე საფიქრალად, ამიტომ სენტიმენტებით ვაჭრობა მასთან არ ჭრის. ადრე იყვნენ პოლიციელები, რომლებიც გამართულად ვერ მეტყველებდნენ, რადგან წიგნები არ ჰქონდათ წაკითხული. ახლანდელი პოლიციელები გამართულად მეტყველებენ, თუმცა წიგნები მაინც არ აქვთ წაკითხული. უბრალოდ, იქ, აკადემიაში მათ ასე მეტყველებასაც ასწავლიან. პოლიციელს არ აქვს სუსტი ნერვები, ანდა როგორ შეიძლება სუსტი ნერვები ჰქონდეს ადამიანს, რომელსაც თითქმის სულ პოლიციელის ფორმა აცვია.

ეს საშუალო სტატისტიკური მოქალაქეა. მას ჰგონია, რომ „დაცვის ბიჭს“ არც მთლად სახარბიელო განათლება აქვს მიღებული. პოეტს ჯიბეში პატარა ბლოკნოტი და კალამი უდევს, ბანკის თანამშრომელი არასდროს ცეკვავს, ენჯელოშნიკი არაფერს აკეთებს, პოლიციელს სენტიმენტები არ აწუხებს და ა. შ. ამ მოქალაქეს უყვარს ადამიანებისთვის ნიღბების მიკერება მისი პროფესიის მიხედვით, რადგან ასე უფრო მარტივია იმსჯელო მათზე. მარტივია თქვა, რომ ერთი შავია, მეორე თეთრი, მესამე კი მუქი ნარინჯისფერი, და ეს ყველაფერი განსაზღვროს არა მათი შინაგანი სამყაროს გაცნობის ან მათზე დაკვირვების შემდეგ, ან მათთან ურთიერთობის გაანალიზების შემდეგ, არამედ უბრალოდ, მათი პროფესიის გაგებისთანავე. განა ასე უფრო მარტივი არაა? „ომი მშვიდობაა, თავისუფლება მონობაა“, ბანკის თანამშრომელი რობოტია და ა. შ.

არადა, ახლა ვზივარ და ვიხსენებ, ჰოდა, გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, დაცვის ბიჭთაგან ყველაზე უკეთ ვისაც ვიცნობ – მუსიკოსია, თან ძალიან მაგარი. ჩემი კიდეც ერთი მეგობარია, რომელიც ენჯელოშნიკია, ერთ-ერთი საუკეთესო პოეტია საქართველოში, კიდეც სხვა მეგობარია, რომელიც ბანკში მუშაობს – კინორეჟისორია, ტარკოვსკი უყვარს. ჩემი ნაცნობი პოლიციელი კი სულ რამდენიმე დღის წინ მოკლეს, მაშინ, როცა ფორმა ეცვა. ის პოეტი იყო.

„წარატმებას“ გისურვებთ!

ერთი ეგეთი დღე იყო, თეატრალური უნივერსიტეტის მეორე კორპუსში ვისხედით, მე სადიპლომო კინოსცენარს ვაშანშალებდი და ვცდილობდი, ჩემი პედაგოგისთვის, – ძალიან მაგარი მწერალი რომაა და კოტე ჯანდიერი რომ ჰქვია, აი, იმისთვის, – ჩემი პერსონაჟი რაც შეიძლება დამაჯერებლად აღმეწერა. ჰოდა, სხვა ავლადიდებასთან ერთად ერთი ისიცა ვთქვი, ეს ჩემი პროტაგონის-ტი დიდად წარმატებული ქალია-მეთქი. აქედან იწყება ამ ბლოგის ამბავიც და ჩემი და წარმატების ურთიერთობაც. კოტემ გამაჩერა და მომთხოვა ამეხსნა, რას ნიშნავს წარმატება. მეც დავიწყე და გავიჭედე... უფრო კი იმაზე ჩავიხლართე, რა რიგ განსხვავებული ცნებაა „წარმატება“ თითოეული ადამიანისთვის და ბოლოს იმ დასკვნამდე მივედი, რომ ეს ჩვენი წარმატება საერთოდ არ არსებობს. აფერუმო, ამ დასკვნაზე კოტემ და მერე გულწრფელად გამიზიარა, მაგ სიტყვაზე მეტად არაფერი მეზიზღებაო. ჰოდა, აი, ახლა ამ წარმატებაზე, მისდამი მონურ დამოკიდებულებასა თუ ზიზღზე მინდა გელაპარაკოთ.

ჩვენ ისეთ სამყაროში ვცხოვრობთ, სადაც ბავშვებს აღუს თქმისთანავე აჩვენენ, რომ გარშემო კონკურენციაა, მათ უნდა იბრძოლონ და წარმატებას მიაღწიონ. მოსწავლეებთან ჩემი ურთიერთობისას მიღებული გამოცდილებაც იმავეს ადასტურებს, დიდი თუ პატარა ერთხმად გაიძახის, ჩვენი მიზანი წარმატებაა, თუმცა ვიცით, რომ გარშემო კონკურენციაა და უკეთესები უნდა ვიყოთო, მოკლედ, ბაზარმა დაგვარეგულიროსო. ბავშვები ასე იზრდებიან, წარმატებისთვის მებრძოლებად, წარმატების გამო ბევრი სხვა რამის დამთმობებად, წარმატების იდეალის მაღიარებლებად... მაგრამ რა არის წარმატება, ალბათ, ვერც ერთი მათგანი ზუსტად ვერ გეტყვით. ზოგისთვის ესაა ბევრი ფული, ზოგისთვის – წინსვლა პროფესიაში, ზოგისთვის – საყვარელი გოგოსგან შესაბამისი პასუხის მიღება, ზოგისთვის – ჯანმრთელობა... ყველა თავისებურად უყურებს ამ საკითხს და ამაში არაფერია სამწუხარო და სავალალო, საქმე უფრო სხვა რამაა, ის სხვა რამ, საკუთარ თავს საზოგადოებას რომ უწოდებს და გამუდმებით სურს, სიტუაცია აკონტროლოს. აი, ეს კეთილისმყოფელი საზოგადოება ადამიანებს

წარმატებულებად და წარუმატებლად აჯგუფებს და შესაბამისადაც ექცევა. სატელევიზიო თოქშოუები თუ საინფორმაციო გადაცემები გამუდმებით გვიხატავენ წარმატებული ადამიანის ხატს და მერე ისევ იმ ადამიანებს იწვევენ, ვინც ამ ხატის პირობებს აკმაყოფილებს. მაგალითად, წარმატებულია ადამიანი, თუ მას საზოგადოება კარგად იცნობს და სახეზეც ცნობს, მაგრამ რატომღაც იმავე მანდატით ვერ სარგებლობს სხვა ადამიანი, რომელიც სავსებით ბედნიერია, თუნდაც ჩრდილში ყოფნით. ადამიანი, რომელსაც სტაბილური, სასიამოვნო სამსახური და მტკიცე ოჯახი აქვს, სულაც არაა კარგი ყალიბი წარმატებული ადამიანის ნიშნის ჩამოსასხმელად, იმ ადამიანისგან განსხვავებით, რომელსაც არეულ-აწეწილი ცხოვრება ვერ დაულაგებია და ხან რა სკანდალში ეხვევა და ხან რა მარაზში ემართება... გვინდა თუ არა, ბავშვებიც ეჩვევიან ამ ხატს და ცდილობენ, რაც შეიძლება წარმატებულები იყვნენ, ხშირად კი წარმატებისკენ ამ გაუაზრებელ სწრაფვას საკუთარ ბედნიერებასაც სწირავენ. უარს ამბობენ პირად ურთიერთობებზე, ჰობიზე, რეალურ, შინაგან მისწრაფებებზე, საკუთარი თავისა თუ საკუთარი სამყაროს ძიებაზე და ამის ნაცვლად დღესა და ღამეს ასწორებენ, ოღონდაც ერთი ნაბიჯით წინ წაიწიონ წარმატების გზაზე, რომელიც მკაცრად შემოსაზღვრული კალაპოტით გამოირჩევა.

კიდევ ერთი ინსტიტუცია, რომელიც ბავშვის წარმატებისკენ სწრაფვას განაპირობებს, რა თქმა უნდა, ოჯახია, მშობლები. ისინი ხშირად დაბადებამდეც კი საზღვრავენ შვილის მომავალს და მერე გამალებით შტამპავენ ბავშვს, უვიწროებენ თვალსაწიერს და აფიქრებენ მხოლოდ ერთ კონკრეტულ მიმართულებაზე, რომელსაც, მათი წარმოდგენით, ბავშვი წარმატებისკენ მიჰყავს. ასე ჩნდებიან ჩვენ გარშემო 8-9 წლის პატარები, რომლებსაც უკვე გადაწყვეტილი აქვთ ბიზნესის ადმინისტრირება, არქიტექტორობა, პიარმენეჯერობა და ა.შ. სინამდვილეში ეს მათი მშობლების ოცნებებია, რომლებმაც, პირდაპირ თუ ირიბად, ჩააწვეთეს შვილებს, რომ თუ კეთილდღეობა სურთ, იმ ბიძიებივით და დეიდებივით კარგი მანქანები, გემრიელი საჭმელი და ბევრი საინტერესო გასართობი, მაშინ მაღალანაზღაურებად პროფესიებს უნდა დაეუფლონ, რათა იმუშაონ ბანკებში, ოფისებში, კანტორებში.

ხშირად გამიგონია ჩემი ოჯახის ახლობლებისა თუ შორეულ-უშორო ნათესავების ბაგეთაგან დედაჩემის მიმართ გამოთქმული გულისტკივილი: „ეჰ, მაინც მსახიობობა მოინდომა, არა?“, „არადა, რა კარგი დიპლომატი გახდებოდა“, „ბიზნესი ესწავლა აზირ“, „ბანკებში ისეთი ხელფასები აქვთ, წასულიყო მაგ მხარეს“ – და ა.შ. საბოლოოდ დიდი ბრძოლის გადატანა გვიხდება მეც და იმ

ბავშვებსაც, ვინც სასწოროს ერთ პინაზე წარმატების მშობლებისეულ მოდელს დებს, მეორეზე კი საკუთარ ოცნებას და ვისი ოცნებებით დატვირთული პინაც მკვეთრად ექვემდებარება გრავიტაციას. ეს ბრძოლა მრავალმხრივია და ხშირად მარცხით სრულდება. ასე შემომეცალნენ ბავშვობის მეგობრები, რომლებთან ერთადაც ვოცნებობდი ხელოვნებაზე. ზოგი იურისტი გახდა, ზოგი – ბანკირი... არ მინდა იფიქროთ, თითქოს რომელიმე პროფესიას ვაკნინებდე; არა, რა თქმა უნდა. ჩემ გარშემო ისეთი ადამიანებიც არიან, რომლებსაც თხემით ტერფამდე უყვართ საკუთარი პროფესია, რიცხვებზე შეყვარებული ფინანსისტები, რომლებიც დიდ სიამოვნებას იღებენ გამოთვლებისგან, სასამართლო დავებზე გულის ბაგაბუგით მიმავალი იურისტები, რომლებსაც იმ დარბაზში ჯდომაც კი ერთ რამედ უღირთ და ა.შ. მაგრამ დამეთანხმეთ, რომ ასეთი არცთუ ბევრია. პროფესიას უმეტესად რაღაც საერთო დინების მიხედვით, რაღაც გაუგებარი კარნახით ირჩევენ ხოლმე. ეს უცნაური ხმაა, რომელიც თითქოს კონკრეტულად არავის ეკუთვნის, მაგრამ მაინც გაისმის ჩვენ შორის, გუგუნებს, ნიავს დაჰყვება, მოვარდება მოულოდნელად, როცა ფიზიკოსობაზე ოცნებობ და ყურში ჩაგწივის: „სილარიებში გინდა მოკვდე?! ბანკში წადი, ბაანკშიი! ბანკი კარგია! ფუული, ბეიევი ფული!“ და ბევრი ფიზიკოსი მიდის ბანკში. იქ კი მათი უმაღლესი მიღწევა უმეტესად უფროსი საკრედიტო ოფიცრის ჩინია. ეს ხომ ლოგიკურია – მათ არ უყვართ ბანკი, ისინი ცდილობენ, იყონ წარმატებულები იქ, სადაც ყოფნა არ უყვართ, ეს კი გადაუჭრელი ნონსენსია.

და მაინც, რა არის წარმატება? ალბათ, საკუთარი თავით კმაყოფილება, ან საკუთარი სურვილების რეალიზების შესაძლებლობის ქონა, ან სიმშვიდის მოპოვება, ან ყოველდღიურობით ბედნიერება, ან საინტერესო ცხოვრება, ან... ან... ან... ცუდი სიტყვები არ არსებობს, არსებობს მხოლოდ სიტყვები, რომლებიც ადამიანმა არასწორად მოირგო, უკუღმა ჩაიკვა და ახლა ელვას ველარ პოულობს, რომ შეიკრას.. ალბათ, არც ეს სიტყვა იქნება მავნე, თუ მას სწორ სარჩულს დავუდებთ და, რაც მთავარია, ჩვენს ზომას მოვირგებთ და არა მშობლებისას. მშობლებისა, საზოგადოებისა, ტელემოკარნახებისა და სხვათა და სხვათა შესაძლოა კიდევ მოგვერგოს, მაგრამ ნახმარი იქნება, გაცვეთილი, ქიმშიენდაში გატარებული და ტანისამოსით მოვატრეებს აგრერიგად რომ უყვართ ეს სიტყვა, ისეთი – ახალივით! ანდა ჩინური პატენტებივით ნამდვილს ემსგავსება, მაგრამ ლანჩაზე თუ კარგად დააკვირდებით, „წარმატების“ ნაცვლად სიტყვა „წარატმება“ ეწერება, ჰოდა, თქვენც წარატმდებით და წარატმდებით მასთან ერთად... და თუ ესაა თქვენი ნამდვილი, გულითადი სურვილი, რაღა დამრჩენია, წარატმებას გისურვებთ ამ საქმეში!

შვლის ნუკრებისთვის ადგილი აქ არ არის

- ე, ფიუ, ჩემი ძმა, მოიწი აქეთ..
- რა ხდება?
- აქ კაი ბიჭებს ცოტა ფული გვჭირდება და დაგვეხმარე რა..
- აა.. არ მაქვს ფული..
- ხურდაც არ გაქვს ბრატ?
- არაა..
- აბა, ახტი!
- რა?
- ახტი, ახტი ერთი, თუ ხმა არ გაისმა – გაიარე შენ გზაზე, თუ აჩხარუნდი – დაგენძრა.

ეს იყო ადრე. არც ახლა აკლებენ, ხანდახან, მაგრამ ეგრე ხშირად აღარ. ეს რო იყო, დრო გავიდა მაგის მერე. მაგის მერე შუმახერი სრიალისას დაიმტვრა და ბრედ პიტი და ანჯელინა ჯოლი დაშორდნენ. ლესტერი საერთოდც პრემიერლიგის ჩემპიონი გახდა, ტრამპი კიდე – აშშ-ს პრეზიდენტი. ბაუმგარდტნერი ძაან მაღლიდან გადმოხტა, რობერტ პატინსონისგან კაი მსახიობი დადგა (აუ ამაზე ატყდება ახლა..) და ასტანას ნურსულთანი დაერქვა. მოკლედ, ბევრმა წყალმა ჩაიარა, ეგეთი მეთოდები მოძველდა, ცოტა, გოიმობადაც იქცა, ემაგ კაიბიჭების წრეებშიც კი, სხვა მულამები გაჩნდა, იუთუბის დიქტატი დაიწყო და ბავშვებმა Twenty One Pilots-ის მოსმენა დაიწყეს (ეს ფაქტი, აბა, მე რა ვიცოდი და შესაბამისად, ვმადლობ ჩემს უმცროს მეგობრებს, რომლებიც თურმე ხშირად უსმენენ ამ მაგათ თაობაში პოპულარულ დუოს, ანდა ორკაცას). ჰოდა, ახლა სხვა „პონტი“ „გაიჩითა“, როგორც რომ თავანკარა ქართულით ვიტყოდეთ, „პალაჟენია“ შეიცვალა და მეც, თქვენმა ასისტენტ-საპეციალისტმა („მონა-მორჩილის“ თანამედროვე ვერსიად იტყვიან) გადავწყვიტე ჩაგვრის, წნეხისა თუ ბუღინგის იმ მეთოდებზე გესაუბროთ, რომელიც თანამედროვე სკოლებში ბუდობს, ძველი ქუჩური მენტალიტეტისგან მიზან-მიზებებით განსხვავდება და შინაარსით კი ტყუპისცალობს.

ახლა მიდებ-მოდების გარეშე. სკოლების უმეტესობაში სოციალურ ნი-
ადაგზე ბუღინგის მწვავე პრობლემა დგას. უკეთ ჩაცმული ბავშვები შედა-
რებით ნაკლებ ბრენდულად შემოსილებს ჩაგრავენ, ბოლო აიფონიანები
– შედარებით ძველ მობილურიანებს, კაიმანქანიანმშობლიანები – უმანქა-
ნომშობლიანებს და ა.შ. ეს გავიგე და პირადადაც შევესწარი. მამამ შვილი
სკოლაში ჰამერის ლიმუზინით მიიყვანა. არა, განა რა, მიიყვანა და მიიყვანა,
მაგრამ ჩამოსვა თუ არა, იქვე დააყოლა, მიდი ახლა, შენს კლასელებს დაუძა-
ხე და ნახონ, რა მანქანით ხარ მოსული, იცოდნენ, ვინა ხარო. აეგრე უთხრა.
ჩემი თვალით რომ არ მენახა, რაღაცა მახინდრობა მონაგონი მეგონებოდა,
მარა არა. ეგრეა.

საერთოდ, ბუღინგი ათასნაირი ფორმით გამოიხატება და ათასნაირი მი-
ზან-მიზნით არსებობს. ამ საკითხებზე პროფესიონალთა თუ უბრალო გულ-
შემატკივართა მიერ არაერთხელ დაწერილა ჩვენს ვებ-გვერდზეც, მრავალი
სტატია, კვლევა თუ ბლოგპოსტი მიძღვნია ბუღინგის პრობლემას, თუმცა
პრობლემა პრობლემად რჩება და როგორც ჩანს, უფრო მეტადაც ღვივდება
აქამდე ნაკლებად პოპულარული მიმართულებებით, რომელთაგან ერთ-ერ-
თი უმძიმესი სწორედ სოციალური ბუღინგია. თუ ადრე ქუჩური მენტალიტეტი
იყო ძირითადი დამნაშავე ბავშვებში ბუღინგის, ახლა ზოგ-ზოგ ადგილებში
ღარიბი ბავშვები გამხდარან დასაცინი. აი, აქ კი, მომკალით და მგონია, რომ
პირდაპირ მშობლის დანაშაული იკვეთება. სად იბადება მაღალი კლასის მი-
საბადი კულტი? საიდან ჩნდება ლტოლვა კლასობრივი დაყოფის მიმართ 21-ე
საუკუნის განვითარებად და ღარიბ ქვეყანაში? ეს, შესაძლოა, ცალკე კვლევის
საგანი იყოს, მაგრამ ის ფაქტი, რომ ამ კერპს ბევრი თაყვანისმცემელი გა-
მოუჩნდა ბავშვებში, მეტად სამწუხაროა. სამწუხაროა, რადგან ხელოვნურა-
დაა ჩანერგილი, ეს ნასწავლია და არა ინსტინქტური. თუ შიმშილი აიძულებს
ადამიანს დანაშაული ჩაიდინოს, თუ სიღარიბე, საფრთხე, სტრესი და სხვა
გამლიზიანებლები უარყოფითად მოქმედებენ მის საქციელზე, სოციალურ და
კლასობრივ დიფერენციაციას გამლიზიანებელი ფაქტორი ნაკლებად გააჩნია
და მთლიანად ელიტურ მიუკარებლობაზე, სოლიდარულობის დეფიციტზე და
სიძულვილზეა დაფუძნებული. მაგრამ ბავშვები? როგორ იქცევიან მათი მზი-
არული ბატონები ბუზთა ბატონებად? ვინ მონაწილეობს ამ შეთქმულებაში
საზოგადოების წინააღმდეგ?

ჰო, მართლა, ამ მდგომარეობას, მეტი ფულის ქონის გამო, ნაკლებფუ-
ლიანის ჩაგვრის მოთხოვნილებას, კიდევ სხვა რაღაცებიც უწყობს ხელს:

მშობლებისა თუ სხვა გარშემომყოფთა მიერ ბავშვებისთვის არასწორი პრიორიტეტების ჩამოყალიბება, წარმატების ტოტემი, მაღალსართულიანი შენობის ბოლო სართულის ოფისში მჯდომი კასტიუმიანი „ლიდერის“ ხატი, სოლიდარობის ნაცვლად ბუნებრივ პირობითობად კონკურენციის მიღება, გამარჯვების იდეალიზაცია და დამარცხებულის გარიყვა. ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რისგანაც დღევანდელი მსოფლიო შედგება, რაც სამყაროს ერთ დიდ არენად აქცევს და რაშიც ერთად იხარშება დიდიც და პატარაც, ქალიც და კაციც. ჰოდა, ბავშვი რა, ისიც ამ რეალობით იკვებება და თავისებურად თამაშობს „სახლობანას“ ანდა „ცხოვრებობანას“. სწორედ ამიტომ, ეს იმაზე დიდი პრობლემაა, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს, ეს პრობლემა ხუთკუნტულასავით ყოველდღიურად იზრდება და ჩვენს ავთენტურ ჯუნგლებში ახალ-ახალ მგლის ლეკვებს აჩენს, ლეკვებს, რომელთა ტყეშიც შვლის ნუკრებისთვის ადგილი არ არის.

ქორწილამდე მოგირჩება

სამი წლის ვიყავი, პირველად რომ გოგო შემიყვარდა („ჰაჰა, შეუყვარდა, მაგარი კაცი“, „შეგიყვარდა კი არა, აიჩემე რაღაცა, შვილო“, „ბიძიკო, სამი წლისამ რა იცოდი, რა იყო სიყვარული“, „გოგო შეუყვარდა, იდახის, სამი წლისამო, ტოჟე მნე მაჩო“ და ა.შ. – რეპლიკები დარბაზიდან). ჰო, აი ასე, ჩემი მეზობლის ნათესავი. ესტუმრა ერთ დღეს ჩემს მეზობელს, მე გავიცანი და შემიყვარდა. იმის მერე კიდევ ერთი-ორჯერ ვნახე და ეგ იყო. პრინციპში, სადღაც შვიდი-რვა წლის ასაკშიც ვნახე, მაგრამ ეგ არ ითვლება, მაგ დროს უკვე აღარ მიყვარდა.

- რა განცდა იყო? როგორ გაიხსენებდით? – ჟურნალისტი ჩემკენ მოჩოჩდა.
- ოო, ბავშვური გატაცება, ცხადია, აკვიატება, თორემ მაგ ასაკში რა ვიცოდი, რა იყო სიყვარული. – ვპასუხობ.

სინამდვილეში კი, ძალიანაც ვიცოდი. ვიცოდი კი არა და უნდა გენახეთ, გული მიჩქარდებოდა, ვნერვიულობდი, ფანჯარას ვიყავი აკრული რომ დამენახა, როდის ჩავიდოდა ებოში, ერთი სიტყვით, კაი რაინდული რომანების მოტრფიალე ჭაბუკსა ვგავდი, ოღონდ 3 წლისა. თუმცა ეს ტექსტი სულაც არაა სიყვარულზე, არც ახირება-აკვიატებებზე და არც ჩემს მეზობლებზე. სინამდვილეში, სულ სხვა მხარეს უბერავს ქარი.

დარწმუნებული ვარ, ხშირად გქონიათ შემთხვევა, როცა ან თავად გიქონიათ ასე, ან შესწრებიხართ, სხვა როგორ აკეთებს ამას. რაზე ვამბობ და, აი, ბავშვს რომ ეუბნებიან, „კაი, შენ ასაკში ეგ არაფერი“, „გაიზრდები – მიხვდები“, „ქორწილამდე მოგირჩება“ და ა.შ. ან სულაც არაფერს ეუბნებიან და მის სატკივარსა თუ განცდას იგნორით, ან სიცილით ხვდებიან. „ჰაჰაა, შეყვარებულია ესა“, „ჰაჰაა, მენატრებაო, მენატრებაო“... არ აქვს მნიშვნელობა, ბავშვი სამი წლისაა, თუ ათის, უფროსებისთვის ძალიან ხშირად მისი განცდები, მისი თავგადასავალი და საფიქრალი მხოლოდ ბავშვური ამბავია, ეს ხომ არაა

ისეთივე მნიშვნელოვანი, როგორც სკოლის დამთავრება? არც ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც აბიტურიენტების თავისტკივილი, ცხადია, არც ისეთი, როგორც უნივერსიტეტის გამოცდები, „ნამდვილი სიყვარული“, დაოჯახება, სამსახური, კარიერა, ვალები, დიდების პრობლემები, მეგობრებთან უთანხმოება, ოჯახის რჩენაზე ფიქრი, შვილები, შვილიშვილები და ა. შ. ყველა ასაკს თავისი პრობლემები აქვს, მაგრამ ეს დიდი, ნამდვილი პრობლემებია ნებისმიერ ეტაპზე, აი, ბავშვისა კი, უფრო სწორად, ბავშვი რაზეც თავად ამახვილებს ყურადღებას – ასაკობრივია, გაუვლის. თუ ბავშვი შეყვარებულია – იგონებს რაღაცას, რა იცის, რა არის სიყვარული; თუ ბავშვი ნერვიულობს, რომ მისი სათამაშო დაიმსხვრა – ეგ არაფერი, მალე დაავიწყდება; თუ ბავშვი განიცდის, რომ კლასელს ეჩხუბა – ბავშვები არიან, მორიგდებიან, კაცო და ასე დაუსრულებლად. დიდებს ყოველთვის ყველაზე სერიოზულად საკუთარი პრობლემები მიაჩნიათ, არადა...

არადა, სიმართლე ისაა, რომ ემოციებს ასაკი არ აქვთ. თქვენ კარიერულ კრიზისს განიცდით, ბავშვი – თოჯინას რომ ფეხი მოტყდა, მაგრამ ეს განცდები არაა ფარდობითი და არც თანაზომადი, უბრალოდ ეს განცდები განცდებია, ორივე შემთხვევაში, შესაძლოა, მძაფრი და ემოციური. ბავშვთა სამყაროში არსებული განცდები ამავე სამყაროს შკალას ერგება, ამ შკალას თქვენ, დიდები, ხშირად ივიწყებთ, არადა თქვენც ბავშვები იყავით ერთ დროს და იგივე ეტაპებს გადიოდით. სიმართლე ისაა, რომ ბავშვებს არასოდეს უნდა წავუყრუოთ მათ პრობლემებზე, არასოდეს უნდა ჩავთვალოთ, რომ თუ ჩვენთვის, დიდებისთვის, თოჯინის ფეხის მოტეხვა აბსოლუტურად არასანერვიულო სისულელეა, ბავშვისთვისაც ასე უნდა იყოს და თუ ასე არაა, უბრალოდ ორიოდე სიტყვას ვეტყვით იმაზე, რომ ის პატარაა, გაიზრდება და დაავიწყდება და ა. შ. ისე არ გამიგოთ, ნუგეშს უგულებელვყოფდე. არა, ცხადია. ნუგეში ბევრნაირად შეიძლება, მაგრამ თანაგანცდის გარეშე ნუგეში არ არსებობს. თანაგანცდა კი თავად ბავშვმა უნდა იგრძნოს პირველ რიგში, უნდა დაინახოს, რომ ის და მისი ამბები არაა მეორეხარისხოვანი, მისი ემოციები არაა ნაკლებად მნიშვნელოვანი, ვიდრე დიდებისა, მისი სიხარულები თუ ტკივილები, სიყვარული თუ წყენა არაა უკუგდებული და იგნორირებული, არამედ თანაგანცდილია, გაზიარებულია, მას მეგობრები ჰყავს გვერდში უფროსების სახით და როგორც უფროსები საკუთარი თანატოლების, მეგობრებისა თუ ახლობლების სატკივარს ისმენენ და იზიარებენ, ისევე იზიარებენ ბავშვისას, თანასწორად და გულწრფელად.

აი, მე რომ შეყვარებული ვიყავი სამი წლის ასაკში, ის სიყვარული რომ ახლანდელს შევადარო – აბსოლუტურად არაადეკვატური იქნება, მაგრამ იმ ასაკში ისეთივე სიმძაფრით განვიცდიდი ყველაფერს, როგორც ახლა შეიძლება განვიცდიდე. თქვენც, თქვენც ასე იყავით. ბავშვების განცდები ასაკის შესაბამისად იმავე სიდიდისაა, რამხელაც ჩვენი განცდებია ახლა. ამიტომ, მოდით შევთანხმდეთ ერთ მარტივ საკითხზე, რა ასაკისაც არ უნდა იყოს ბავშვი, მას თავისი სამყარო აქვს, მძაფრი, წარმოუდგენელი ტკივილებითა და მძაფრი წარმოუდგენელი სიხარულებით, თავისი პირობითობა აქვს, რომელშიც მისი პატარა და ერთი შეხედვით „წვრილმანი“ ემოციები უფროსებისთვის დამახასიათებელი უდიდესი, დამანგრეველი ემოციების ტოლფასია. შევთანხმდეთ და „ქორწილამდე მოგირჩება“-თი ბავშვის მარტივად მოშორების ნაცვლად, შევეცადოთ შესაბამის მომენტებში მის გვერდით ვიყოთ, მის მეგობრად ვიქცეთ და მოვუსმინოთ, მოვუსმინოთ რაც შეიძლება გულწრფელად და ყურადღებით, მოვუსმინოთ და გავიზიაროთ მისი მდგომარეობა, ვუჩიროთ რამე, თუკი შეგვიძლია, ან უბრალოდ სიჩუმე შევინარჩუნოთ. ჩვენც ხომ სწორედ ასე გვინდა, რომ გვისმენდნენ, იზიარებდნენ, გვირჩევდნენ, ან ხანდახან დუმილით გვიტყერდნენ მხარს?

ვინ გინდა გამოხვიდე?

ადრე, ერთი ტექსტი დავწერე, აი ესა: პროფესია: სტერეოტიპი . ამ ტექსტში პროფესიულ სტერეოტიპებზე ვსაუბრობდი, ანუ იმაზე, თუ საზოგადოების თვალში როგორი იარაღიყები ეკერება ამა თუ იმ ადამიანს, მხოლოდ და მხოლოდ მათი პროფესიებიდან გამომდინარე, რომ თითქოსდა წარმოუდგენელია პოლიციელი პოეტი იყოს, ანდა ბანკის მოხელე – კინორეჟისორი... მაშინ მინდოდა საზოგადოების თვალში ადამიანებისთვის პროფესიული ნიშნები მომეხსნა და ისინი ისევ ადამიანებად მეჩვენებინა სტერეოტიპებს აყოლილთათვის... თუმცა ახლა რატომ გავიხსენე ეს ამბავი, ამ ტექსტშიც პროფესიებზე უნდა ვისაუბრო, მაგრამ სრულიად სხვა კონტექსტში. კონტექსტში, რომელიც, გარკვეულწილად, შესაძლოა დესტრუქციული იყოს, ანდა რთულად გასააზრებელი, რადგან ყოველდღიურ წესრიგში საყოველთაოდ შეთანხმებული სიცოცხლის სისტემისთვის ეს ერთგვარი „ბარგია“, პროგრამული ხარვეზია და შესაძლოა „ლურჯი სიკვდილი“ გამოიწვიოს. მოკლედ,

აი, თქვენ, წარმომიდგენია, სავარაუდოდ ბავშვობიდან, ბაღის ასაკიდანაც კი გეკითხებოდნენ უფროსები, მშობლები თუ მეზობლები, მასწავლებლები და სხვებიც, „ვინ გინდა გამოხვიდე?“, „რა პროფესიას ირჩევ?“, „რა გინდა, რომ აკეთო ცხოვრებაში?“, შემდეგ თქვენ ბევრს ფიქრობდით, ანდა არც ფიქრობდით და რაც იმხანად ყველაზე საინტერესოდ მიგაჩნდათ, იქ წარმოიდგენდით თავს, იწყებდით ოცნებას ასტრონავტობაზე ან ჰოლივუდის წითელ ხალიჩაზე, პოლიციელობაზე, ან მხატვრის პალიტრასთან ამოთხუპვნაზე და ა. შ. ლირიკულად რომ გადავუხვიოთ, მაგალითად, როცა მესამე კლასში ვიყავი, ჩვენც დავგისვა მასწავლებელმა ანალოგიური შეკითხვა, მთელ კლასს, ჰოდა 4 თუ 5 პასუხი „ქურდი“ იყო, ყველაზე გულმისავალი და მომხიბლველი „პროფესია“ ბნელი 90-იანების ბავშვებისთვის. თუმცა დავბრუნდეთ ჩვენს დროში, იმედია, ეს მხოლოდ მძიმედ გასახსენებელი წარსულია, ჩვენი დროის ბავშვები კი ირჩევენ იყვნენ რეჟისორები, ბანკირები, ბიზნესმენები, იურისტები, ფიზიკოსები და ა. შ. შემდეგ ისინი იწყებენ ამ პროფესიის სივრცეში აზროვნე-

ბას, შესაბამისი უნარების განვითარებას, უფრო მეტად შემზადებას მომავალი ცხოვრებისთვის. კი, ისეთებიც არიან მრავლად, სკოლის დამთავრებისას რომ არ აქვთ გადაწყვეტილი, სად უნდათ, ჩააბარონ, კიდევ, ისეთებიც, სხვისი კარნახით რომ ჩააბარებენ სადმე, გაუაზრებლად მოეწყობიან რომელიმე სამსახურში და იმუშავენ ასე, შაბათ-კვირის მოლოდინში. ანდა, აი, ბიჭი წამოდგა ახლა და მეუბნება: „მე მიყვარს ჩემი პროფესია, სულაც არ ველოდები შაბათ-კვირას და პირიქით, ყოველდღიური სამუშაოთი ვიღებ სიამოვნებას“. კი, გენაცვალე, მადლობა, დაბრძანდით. აი, გოგონაც, ამბობს: „მე ჩემი პროფესიით ვმუშაობ, ბედნიერი ვარ და კმაყოფილი, ვვითარდები ყოველდღიურად და მივიწევ წარმატებისკენ“. მადლობა, გოგონა, თქვენც გმადლობთ, წარმატებებს გისურვებთ! მოკლედ, ბევრნაირი მოსწავლეა, სტუდენტია, ზრდასრული ადამიანია, ზოგი ისეთ პროფესიას ირჩევს, ზოგი ასეთს, ზოგი მუშაობს პროფესიით, ზოგი – არა, ზოგი მოელის, რომ დადგება დღე, როცა იმუშავენ და ა. შ. მაგრამ...

რატომ ვირჩევთ პროფესიებს? საერთოდ რატომ? ეს კულინარია, ის – მწერალი, აგერ იქ რომ დგას – ბუღალტერია, კი, კარგი ბუღალტერია, მის გვერდით ეკონომისტი წრიალებს. და მერე, ერთ დღეს ეკონომისტს ინტერვიუს ართმევენ, ეკონომისტი სიტყვებად იღვრება, მეორე დღით კი იღვიძებს და ფიქრობს, ვახ, რა კარგია ამ კამერებთან ტრიალი, რა იქნება ერთ ფილმში გადამიღონ. ურეკავს მეგობარ რეჟისორს. „ბიჭო, ჰა, რამე მათამაშე, ბუჩქი ვიქნები, ჰა, ჰა, ჰა“. თან თავის თავთან კონფლიქტი აქვს, „რა ფილმი ბიჭო, ეკონომისტი კაცი ხარ“. ეს ციხეები, ეს ალაყაფეები, ეს მარწუხები. „უი, თქვენ ხომ ფიზიკოსი ხართ? ეკონომისტების ფორუმზე როგორ აღმოჩნდით? კარგით ახლა, რას ჰქვია მაკროეკონომიკა გაინტერესებთ, ყველამ ჩვენ ჩვენ საქმეს მივხედოთ გენაცვალე, მაკროეკონომიკა თქვენ ის ხომ არ გგონიათ, კაცო“. არადა, ფიზიკოსმა ერთ დღეს გადაწყვიტა, გადაეკითხა უამრავი წიგნი მაკროეკონომიკაზე, მოეწონა, მოიხიბლა, არა, განა ფიზიკა აღარ აინტერესებს, მაგრამ აი, ახლა, ეს ორი თვე უნდა, რომ აქეთ გადმოხტეს, აქ იტრიალოს, ეს აკეთოს, როგორ? მერე როგორღა დაბრუნდება ფიზიკაში? სამსახური? რა ქნას...

თანამედროვე სამყაროს სხვა ტემპი და შესაძლებლობების მენიუ აქვს. დღეს სულ უფრო მეტად პოპულარულია თავისუფალი პროფესიონალის ამბლუა, ე.წ. „ფრილანსერი“ საკუთარი დამოუკიდებლობით ტკბება, „არც არავის ემონება, არც ბატონობს არავის“, „ფრია“ და დაფრინავს სადაც უნდა,

როგორც უნდა. თუმცა ისიც თავისი პროფესიის მონაა, შესაძლოა არა კონკრეტული ორგანიზაციისა თუ კომპანიის (თუმცა მათიც, დაქირავების დროის განმავლობაში), არამედ პროფესიის. ის პროგრამისტია, ან სცენარისტია, ან მარკეტოლოგია. პროექტებს თავად ირჩევს და სამუშაო ადგილსა თუ დროსაც, აგრეთვე, მაგრამ იმას ხომ ვერ გაეცევა, რომ პროგრამისტია, ან სცენარისტია, ან მარკეტოლოგია? ღმერთო! განგებაჲ! დიდო აფეთქებაჲ! ჩვენ ხომ თავისუფალი ადამიანები უნდა ვყოფილიყავით, ჩვენი სამყარო ხომ დიდია, უდიდესია, უსასრულოა, სადაა ჩვენი უსაზღვრო ცნობისმოყვარეობა, სადაა ჩვენი ინტერესი ყველაზე თავბრუდამხვევი სიცოცხლის მიმართ? აი, ჩემს ბავშვობაში, ეგეთი სტერეოტიპული აზრი ისმოდა ხოლმე, „უფ, ამერიკელები, ეგენი არიან ერთი მიმართულებით განათლებულები, მართო თავისი პროფესია და იმის იქით არაფერი, სამაგიეროდ, პროფესიაში მაგრები არიან“. ეგ რომ ეგრე არაა, არ უნდა კამათი და არც მაგის დრო გვაქვს ახლა, მაგრამ შენ რამდენად მიჰყვები საკუთარ ინტერესებს და არა პროფესიულ განაწესს? შენ, ნინო, მარიამ, ალექსი, რამინ! (იარონ, იარონ, იარონ, ამინ!) პროფესია შენ აირჩიე? თუ მიეცი მას შანსი თავად აერჩიე? და რამდენჯერ მიეცი ეს შანსი? არ მოგწყინდა საკუთარ პროფესიასთან ეს მონოგამიური ურთიერთობა? ვინ დაგიწესა, ვინ დაგიკანონა, რომ თუ ეკონომისტი ხარ – ეკონომისტი უნდა იყო მთელი ცხოვრება? აა, იმიტომ, რომ დრო ისედაც ცოტაა და ჯობია, ერთ პროფესიაში განვითარდე და გამოცდილება მიიღო? რა თქმა უნდა, შენ ხომ სრულ დროს პროფესიაში განვითარებას უთმობ და დრო აღარ დაგრჩება სხვა რამისთვის, მიუხედავად იმისა, დაგაინტერესებს თუ არა ეს „სხვა რამ“.

„სანდრო, რა გინდა, ვერ გავიგეთ?!“

თანამედროვე სამყარო სულ უფრო და უფრო მეტ წესს თესავს. რაც უფრო განვითარებულია ცივილიზაცია და რაც უფრო დიდია მისი თვალსაწიერი, მით უფრო მეტია მისი მოწესრიგების საჭიროებაც, ამიტომ კაცობრიობა ცდილობს თავიდან აირიდოს გაუთვალისწინებელი შემთხვევები, გზიდან გადახვევები, ამოვარდნები ყოველდღიურობიდან, არითმიები. კაცობრიობას ურჩევნია ადამიანებს ჰქონდეთ თავისი პროფესიული იდენტობა, ეს პროფესიებს უფრო მეტად სჭირდება ასე, ვიდრე ადამიანებს. ადამიანებს სინამდვილეში ცნობისმოყვარეობის თავისუფლება სჭირდებათ, სამყაროს შემეცნების ინტერესი, ახლის აღმოჩენის და შესწავლის წადილი, საკუთარი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე – თვალსაწიერის კიდევ უფრო გაფართოება და შეძლებისდაგვარად შეგრძნება იმისა, თუ სად იწყება და სად მთავრდება სამყარო. თქვენ

გვეტყვიან თქვენი პროფესიები ერთ პატარა ჰაუპტვახტში, და თუ ბავშვობაში ხატავდით – ახლა ამის დრო აღარაა, და თუ ბავშვობაში ვარსკვლავებიან ცას უყურებდით – აი, ასტრონომი ხართ და თქვენ საყვარელ საქმეს აკეთებთ, მაგრამ თან რომ ხატავდით ამ ცას – ახლა ამის დრო უკვე აღარაა, და თუ ბავშვობაში ვარსკვლავებიან ცას უყურებდით და ხატავდით, ახლა კი ასტრონომი ხართ და პერიოდულად ხატავთ კიდეც, აი, თქვენ საყვარელი პროფესიაც გაქვთ და ჰობიც, მაგრამ იქნებ და თქვენი ჰობი, თქვენი გაუცნობიერებელი მინიშნებაა იმაზე, ვინც სინამდვილეში გინდოდათ გამოსულიყავით? ახლა, როცა უკვე დიდი ხართ და უკვე ვიღაც გამოხვედით, აღარ დაგისვამთ თქვენი თავისთვის შეკითხვა – ვინ მინდა გამოვიდე? წინ ხომ კიდეც ხანგრძლივი ცხოვრებაა, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ხომ ასე ვთვლით, ჰოდა, იქნებ შეგვიძლია, საერთოდ არ ვიფიქროთ პროფესიებზე, არ დავლუქოთ ეს სკივრი, არ დავხუროთ ეს „საქმე“, და იქნებ შესაძლებელია ყოველ დღე ახალი რამ აღმოვაჩინოთ, აი, მაგალითად, ჰიტლერის ფავორიტ კინორეჟისორ ლენი რიფენშტალივით (ისტორიის საინტერესო ეპიზოდების კითხვა მიყვარს და ეს ფაქტიც შემთხვევით აღმოვაჩინე), რომელმაც ნაცისტური გერმანიის დამარცხების შემდეგ თავი ანება მონუმენტური პოლიტიკური ფილმების კეთებას და რომელიც წყალქვეშა სამყაროს იღებდა მთელი დარჩენილი ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში. „ჰმ, რა შუაშია, სანდრო, ლენი, იცი კარგად მისი ბიოგრაფია, ასე რომ მსჯელობ?“. პრინციპში, აბა, მე რა ვიცი, ისტორიკოსი კი არ ვარ.

აუცილებლად წასაკითხი წიგნების შესახებ

ერთ საიდუმლოს გაგიმხელთ. არ არსებობს წიგნი, რომელიც აუცილებლად უნდა გვქონდეს წაკითხული. არც ისეთი 100 წიგნი არსებობს, რომელიც სიკვდილამდე უნდა წავიკითხოთ. მეტსაც გეტყვით, 50 რჩეული წიგნი მოზარდებისთვის საერთოდ აბსურდია. შესაბამისად, აუცილებლობის სიები, შედგენილნი ჯილდოების, თუ გაყიდვების რაოდენობის, თუ კრიტიკოსთა შეფასების, თუ სხვადასხვა მიზეზებით, მხოლოდ მარკეტინგული სატყუარაა და მეტი არაფერი. თუ თქვენ 15 წლის ხართ და ჯერაც არ წავიკითხავთ „ტომ სოიერის თავგადასავალი“ (აქ ტვენომანები აღშფოთებით შესძახებენ: „ნწ.. ნწ.. უპიცო!“), სანაცვლოდ კი უკვე მოასწარით წაგეკითხათ ჯონ გრინის ყველა რომანი („ფუფ, მდარე ლიტერატურა“), თქვენ არაფერი დაგიშავებიათ, მეტიც, თქვენ გაგიმართლათ, რადგან ძალით არავინ წაგაკითხათ ესა თუ ის სავალდებულო ლიტერატურული ქმნილება. გაგიმართლათ, რომ არავინ დაგემუქრათ, თუ „მოზი დიკის“ 10 გვერდს არ წავიკითხავ, ფეხბურთის სათამაშოდ არ გაგიშვებო. მოკლედ, თქვენ თავისუფალი არჩევნის უფლება გქონიათ, რას ირჩევთ – ეს თქვენი გადასაწყვეტია, თუმცა შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ძალიან გაგიმართლათ.

ხანდახან მეკითხებიან, რომელია ის აუცილებელი ლიტერატურა, რაც ამა და ამ ასაკში უნდა ჰქონდეს ბავშვს წაკითხულიო... ანდა, მოზარდსო... დიდსო, ჩემხელა ადამიანსო... გულწრფელად გიპასუხობთ? ხანდახან ვურჩევ ხოლმე: „იცით, 12 წლის ბავშვი უკვე გარდამავალ პერიოდშია... რამე ისეთი შესთავაზეთ, არც ძალიან ბავშვური, არც ძალიან დიდური, აი, მაგალითად, „ნარნიას ქრონიკები“, ან თუ კლასიკიდან ავიღებთ, ჯეიმზ ფენიმორ კუპერის რომანები თუნდაც... „რამდენის? 8-ის? რა გითხრათ, ალბათ ლინდგრენი საუკეთესო ვარიანტია... მილნი, დალი, სენდაკი და სხვა მსგავსი ავტორებიც მისწრებაა“... „ოო, ჰარი პოტერი უნიკალურია, კი, ყველა ასაკში შეიძლება... ჰო, თქვენთვისაც, მერე რა... არა, არ ვხუმრობ, მართლა, ლამარა ბებია, თქვენთვისაც“... და ა. შ. ჰო, ასე ვეუბნები ხოლმე, ვანაწილებ კარგი ექიმის რეცეპტებს, ბოლოს

ლამისაა, ამბებიც გამოვიკითხო ხოლმე: „როგორაა თქვენი ბავშვი? წაიკითხა ნარნია? აბა? ახლა დიდი გოგოა უკვე“...

არადა, მე ხომ ვთაღლითობ. თვითონ არასოდეს წამიკითხავს ონორე დე ბალზაკი, ანდა გუსტავ ფლობერი... ჰო, აი, ის „მადამ ბოვარიც“ არ წამიკითხავს და მეტსაც გეტყვით, მგონი ჩემი საცოლე, სადღაც გულის სიღრმეში, დღემდე ვერ მიტანს იმის გამო, რომ უილიამ ფოლკნერის შემოქმედებას არც ისე სრულყოფილად ვიცნობ და მხოლოდ ერთი რომანი მაქვს წაკითხული. თუმცა, სულ რომ არ წაგიხდეთ ჩემს ნაკითხობაზე შთაბეჭდილება, აქვე დავაყოლებ, რომ მთლად სტალინზე ლეგენდაში როგორცაა, იმდენი არა, მაგრამ საკმაოდ ბევრი წიგნი მაქვს წაკითხული ჩემი ჯერჯერობით ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე, რაიმე ნორმები თუ არსებობს, ალბათ, იმ ნორმებზე ბევრად მეტი... და მთელი ამ გამოცდილების ფონზე, მხოლოდ ერთ დასკვნამდე მივედი: არ არსებობს წიგნი, რომელიც უნდა გვეჩინდეს წაკითხული. არ არსებობს წიგნი, რომლის წაკითხვითაც ვინმეზე მაღლა დავდგებით ან ვინმე დადგება ჩვენზე მაღლა. მკითხველობა ბუნებრივი მდგომარეობაა, ზედმეტი ძალდატანების გარეშე, ისევეა, როგორც გურმანობა, სპორტული ფანატობა, მელომანობა და ა. შ. წარმოიდგინეთ, კარგ გურმანს ვინმემ რომ დააძალოს, ადექი და ეს მწვადი ბოლომდე შეჭამეო... ანდა, დაემუქროს, 2 შამფურს თუ არ გამოცლი, ებოში არ ჩაგიშვებო... ჰო, წიგნიც ასეა, მხოლოდ მაშინ შეგერგება, როცა შენი ნებით ირჩევ, რა წაიკითხო და შენი ნებითვე საზღვრავ – დღეში რამდენი. ხანდახან 2 თვეც კი გადის ისე, რომ ახალ წიგნს ვერ ვეკარები, არ ვარ განწყობაზე, არ „მშია“. ასეთ დროს ჩემ მწერალ მეგობრებსაც კი ვიმტერებ ხოლმე, რომლებიც წასაკითხად თავის ახალ ნაწერს მიგზავნიან, მე კი ვეუბნები, რომ ახლა ვერ, სხვა დროს წავიკითხავ. მერე გაივლის ეს უძრაობის პერიოდი და ერთბაშად ისე „მომშივდება“ ხოლმე, მივაძლები და შეიძლება რამდენიმე თვის განმავლობაში ყოველდღე, დღეში 1 წიგნსაც ვნთქავდე. ეს ჩემი მადაა ასეთი. ყველას თავისი მადა აქვს. ზოგს შემწვარი უყვარს, ზოგს მოხარშული, ზოგს მჟავე და ზოგს მწარე. სიმართლე გითხრათ, ერთი ხანობა კლასიკური ლიტერატურა ჩემთვის გამომხმარ, უგემურ პურთან და გაყინულ ცხიმმოდანთან შესქელებულ წვნიანთან ასოცირდებოდა. ფანტასტიკა კი ნაკვერჩხალზე აგიზგიბებულ ცვრიან მწვადთან, ზედ მოსხმული მაშარაბითურთ. დრო ცვალებადია. ბოლო დროს კლასიკური რომანების კითხვა მომენატრა, თქვენ წარმოიდგინეთ ბალზაკიც კი გადმოვიღე თაროდან. სისუფთავის მოყვარული დედაჩემი რომ არა, ახლა მაგ წიგნს იმსისქე მტვერი ედე-

ბოდა, ერთი შეხედვით ჩათვლიდით ორტომეულიაო. თუმცა, ძალიან რომ არ ავცდე თემას, ბავშვებს დავუბრუნდები.

მოკლედ, კიდევ ერთ საიდუმლოს გაგიმხელთ, ერთი კარგი გადაცემა მიმყავს, „წიგნების თარო“ და ძალიან ბევრ, საინტერესო, კარგ მოზარდთან მიწევს შეხვედრა, გაცნობა, დამეგობრება. სულ ვცდილობ, რაც შეიძლება მეტი მივიღო მათგან, ისინი ხომ ასეთი სავსეები არიან ახლა, სავსეები ემოციებით, სურვილებით, ოცნებებით, იმედებით. მეც 10-11 წელს მოვიკლებ ხოლმე ერთი ხელის მოსმით და ვსაუბრობთ ათას რამეზე. ჰოდა, სანამ გადაცემა ეთერში გავიდოდა, ასობით ასეთ ბავშვს გავესაუბრეთ მე და ტორესა მოსი, გადაცემის კიდევ ერთი სცენარისტი. გვინდოდა, გაგვეგო, რა უყვართ, რას კითხულობენ. ფაქტობრივად, პატარა კვლევა გამოგვივიდა, შესაბამისი სეგმენტით და თემატიკით. ჰოდა, კარგ და სასიხარულო დასკვნებთან ერთად, რამდენიმე არასახარბიელო ამრიც გამოვითანეთ ამ პროცესიდან. ხშირად ხდება ისე, რომ ბავშვებს ერთი რამის წაკითხვა უნდათ, მშობლები და უფროსები კი სხვას ავალევენ. ბავშვებს სხვა რამ მოსწონთ, უფროსები კი ჩასჩინებენ ქიხია ეგო. ყველა უფროსს არ ეხება, ცხადია, თუმცა ისეთი შემთხვევებიც იყო 15 წლის ბავშვები გვეუბნებოდნენ, თანამედროვე ლიტერატურა, ზოგადად ფანტასტიკა და ფენტეზი, მით უფრო ჰარი პოტერი და მასეთი მდარე ხარისხის წიგნები არ გვიყვარს ჩვენ, ჩვენ უფრო ჰაგიოგრაფია და კლასიკაო.. საყვარელ ნაწარმოებებად „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ (შესანიშნავი ჰაგიოგრაფიული ძეგლია. ავტ. შენ.), ანდა ილია ჭავჭავაძის პოეზიაც (ძალზედ აქტუალური და ყოველთვის მწვავე. ისევ ავტ. შენ.) დაასახელეს, ამის თქმისას თან თვალს ვებკამერიდან მარჯვნივ აპარებდნენ, იქ, სადაც სავარაუდოდ მასწავლებელი ან რომელიმე უფროსი იდგა და კმაყოფილი უყურებდა 15 წლის სიცოცხლით სავსე ბავშვებს, რომელთა საყვარელ პერსონაჟადაც არა ჰერმიონ გრეინჯერი ან სირიუს ბლექი, არამედ გაბრიელ დაფანჩული (ფრიად დამსახურებული პიროვნება. ავტ. შენ.) ემეტება, ჰოდა ასეთ დროს, სტანისლავსკისა არ იყოს, არ მჯერა, მეგობრებო. მომიტევეთ და არ მჯერა. უფრო ნამდვილია ამ ასაკში ბავშვებს ქვიდიჩის თამაში და მეგობრებისთვის წრფელი სიყვარულით დახმარების სურვილი ჰქონდეთ, ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლის სურვილი ჰქონდეთ ჯადოსნური ჯოხებითა და ათასნაირი სასწაულებით, ვიდრე უდაბნოში ლტოლვა და მერჩულის ენით საუბარი. მაგანმა შეურაცხყოფაში რომ არ ჩამომართვას, კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ ჩემთვის ერთ-ერთი საყვარელი ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებია და ამ

შემთხვევაში მაგალითის როლს ატარებს და არა კრიტიკის ობიექტისას, მაგრამ ღრმად მწამს იმისი, რომ ბავშვებს, 5 წლისანი იქნებიან ისინი თუ 15-ის, კარგ მკითხველებად, წიგნების გურმანებად ყველაზე უკეთ თავისუფალი არჩევის უფლება ჩამოაყალიბებს. მდგომარეობა, როცა წიგნებთან დაძალება და დიდაქტიკა კი არ ასოცირდება, არამედ სიამოვნება, თავისუფლება, კითხვისგან მიღებული შეუდარებელი სიხარული. ამ სიხარულის მიღება ჯონ გრინისგანაც შეიძლება, ბალზაკისგანაც, მერჩულისგანაც და როულინგისგანაც (ამ უკანასკნელისგან განსაკუთრებით. პოტერომანი ავტ. შენ.), მაგრამ ყველას თავისი დრო აქვს და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ვერავინ განსაზღვრავს, ვისთვის როდის ვისი დრო დგება. ვერავინ იტყვის, პატარაობაში ლინდგრენის დროა, შემდეგ კლასიკის დრო დგება, შემდეგ ამისი და ამისიო, რადგან ნებისმიერი მათგანის დრო მაშინ დგება, როცა გვსიამოვნებს მისი კითხვა, როცა ჩვენი ცხოვრებისეული განწყობა და მოთხოვნილებები ყველაზე მეტად უხდებიან ამა თუ იმ წიგნს. ჰო, ისიც შეიძლება 15 წლისას „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ უყვარდეს, დიახ, თავისუფლად შეიძლება, ოღონდ ძალდაუტანებლად, თავისი ნებით, თუ ასე მიიღებს, თუ იმ მომენტში ეს სჭირდება თავისივე სურვილებიდან გამომდინარე და არა მასწავლებლის, მშობლისა თუ რომელიმე ავტორიტეტული უფროსის ჩიჩინით.

ბარემ, კიდევ ერთ საიდუმლოს გაგიმხელთ. ყველა წიგნი წასაკითხია და ამავე დროს, არც ერთი – აუცილებლად. ნუ იკითხავთ – რა უნდა წაიკითხოთ ამა და ამ ასაკში. უბრალოდ იკითხეთ ის, რაც გსურთ. წიგნი თავისუფლებაა, კითხვა კი – ბედნიერება.

ირმა ტაველიძე

1	სასკოლო ზეიმების სევდა	307
2	ახსნა	309
3	შეცდომების მდინარე	312
4	ემოციებს აყოლილი უმეცრები	314
5	სხვების ბავშვობა	316
6	სკოლის აჩრდილი	319
7	ვის აწითლებენ გოგოები?	322
8	ორი მუზეუმი – შიშთან ბრძოლის გაკვეთილები	324
9	ბავშვები მთვარის შუქზე	327
10	სქესის საკითხი	329
11	ემილ ჩორანის ცხრილი	332
12	ამტანობის შესამოწმებელი ტესტები	334
13	ჩინური გაკვეთილი	337
14	მიცკევიჩი და წიგნები ცეცხლში	340
15	უსახელოთა სახელმძღვანელო	343
16	„ბავშვების საათი“: მორალური და ამორალური	346
17	გლორიას გულისკენ	348

სასკოლო ზეიმების სევდა

მწამს, რომ წაკითხული წიგნები მკითხველებს ცვლიან. შესაძლოა, ამ რწმენის საფუძველი არც ისე მყარი იყოს. არაფერს ვამტკიცებ. უბრალოდ, მწამს.

ამ რწმენით ვცხოვრობ, ვწერ, ვკითხულობ და წიგნებს ვურჩევ მათ, ვისი ბედ-ილბაღიც მაღელვებს. ვისი ბედ-ილბაღიც გაღელვებს, იმას ბევრი წიგნი უნდა წააკითხო – ასწავლო, როგორ უნდა ამოათრიოს საკუთარი თავი, თმაში ხელჩაღლებულმა, ყოველდღიურობის დაგუბებული, სუნდაკრული წყლებიდან.

რაკი ერთმა შეძლო, ჩვენც შევძლებთ.

სწორედ ასე წავაკითხე ჩემს მეგობარს თანამედროვეთაგან ალბათ ყველაზე დიდი ამერიკელი მწერლის, ფილიპ როთის „პორტნოის სინდრომი“ – წიგნი, რომლის წაკითხვასაც ყველა მასწავლებელს ვურჩევდი. ძველი მეგობრები ვართ და ალბათ სხვაც ბევრი მოვახვიე თავზე: შეხედულებები, მოსაზრებები, ვარაუდები, შიში, გემოვნება. ქართულის მასწავლებელია და სულ რაღაცას ეძებს.

ამიტომაც გამიკვირდა და გულიც მეტკინა, როცა ერთ დღეს ასეთი სასკოლო ზეიმის მოწყობა მოინდომა: მოსწავლეებს თანამედროვე ქართველი პოეტების ლექსები ზეპირად უნდა ესწავლათ და ავტორებთან შეხვედრისას ეთქვათ. პოეტები მოსწავლეებს მოუსმენდნენ და მერე თვითონაც იტყვოდნენ რამეს, სკოლის წლებს გაიხსენებდნენ, შეკითხვებსაც უპასუხებდნენ.

ფილიპ როთის „პორტნოის სინდრომი“ სულ ახალი წაკითხული ჰქონდა. აღარ ჩამოვთვლი იმ წიგნებს, რომლებიც მანამდე წაიკითხა.

რა მოხდა? ის, რომ მასწავლებლის ცნობიერებაში სასკოლო ზეიმის იდეა იმ სახით გაცოცხლდა, რა სახეც ათწლეულების წინ ჰქონდა საბჭოთა იდეოლოგიის შუქით განათებულ სამასწავლებლო ოთახებში. სხვა შესაძლებლობა იმთავითვე გამოირიცხა. თითქოს ზეიმი ისაა, როცა ვიღაც საგანგებოდ ამ დღისთვის ნასწავლ ლექსს ამბობს – სხაპასხუპით, წაბორძიკების გარეშე. საგრძნობლად ღელავს და ამის გამო სტრიქონებს მარცვლები აკლდება, მაგრამ ზეიმის ორგანიზატორები და მსმენელები დიდსულოვნად მიუტევებენ. სუნთქვაშეკრული, წამოწითლებული მოსწავლისთვის ეს მორიგი ვალდებულებაა, უკვე ვალდებულებები კი მოუთმენლად ელოდებიან ღონისძიების დასრულებას.

ბევრჯერ ვყოფილვარ ასეთი ზეიმის მონაწილე.

მოწვეული სტუმრები გრძელი და მოსაწყენი გამოსვლებით, მუდმივი შიში (ბოლოსწინა სტროფის დასაწყისი არ დამავიწყდეს), უცნაური გამომეტყ-

ველება მასწავლებლების სახეებზე (სტუმრებს ისიც კი ნაზად უღიმის, ვინც არასდროს იღიმება), საერთო დაძაბულობის განცდა და წარუმატებლობის მოლოდინი (მაინც დამავიწყდება, მაინც დამავიწყდება). დასკვნა: საზეიმო არც არაფერია, ზეიმის მიზეზი საერთოდ არ არსებობს. სკოლას თავისი მომაბეზრებელი ვალდებულებები აქვს. ეს არის და ეს.

ძველი ფოტოების თვალიერებისას სასკოლო ღონისძიებებზე გადაღებულ ფოტოებს ერთს დავხედავ და გვერდზე სწრაფად გადავდებ ხოლმე.

ერთადერთი დრამატული სანახაობა, რომელიც ღიმილით მახსენდება, უდროოდ დაღუპული ქართველი პოეტების პატივსაცემად იყო მოწყობილი. „მე გაბრდებოდით, რომ დავბრუნდები, რომ თქვენი თმები დამაბრუნებენ“. ნახევრად ჩაბნელებული სცენის სიღრმეში ვიდექით და ხელში დაფნის რტოები გვეჭირა. სცენის მარცხენა კუთხესთან ფიალაში ცეცხლი ენთო – წარმოსახვითი პოეტის წარმოსახვით საფლავზე. „სალოცავად ქართველობა მეყოფა, საფიცავად შენი თაფლის თვალი“. რიგრიგობით მივდიოდით საფლავთან, ლექსს ვამბობდით და მერე დაფნის რტოს ფიალის გვერდით ვდებდით. „დაუკარით! ჯერ ხომ სისხლი გვიდგას ძარღვში, ჯერ ხომ საროს ფოთლები არ გასცვნიან“. პირველად სიცილი მაშინ აგვიტყდა, რეპეტიციებზე მოსმენილი „გაფრინდი, შავო მერცხალო“-ს ნაცვლად ჩაბნელებულ დარბაზში „ჩიტი-გვრიტი მოფრინავდა“ რომ გაისმა (უფროსკლასელი, ვისაც საღამოს მუსიკალურად გაფორმება დაავალეს, სუსტი აღმოჩნდა ორნითოლოგიაში). მერე კი ერთმა მოსწავლემ, ალბათ მღელვარებისგან, ხმელი დაფნის რტო ფიალას ზემოდან დაადო. მეორემ იფიქრა, ალბათ უდროოდ დაღუპულ პოეტებს პატივი ასე უნდა მივაგოთო და თვითონაც იგივე გაიმეორა. დაფნის რტოები ატკაცუნდა და მთელი დარბაზი კვამლში გაეხვა.

სწორედ ეს სცენა გამახსენდა, მიქელანჯელო ანტონიონის „Zabriskie Point“ პირველად რომ ვნახე.

ზოგადად, ზეიმი კი კარგი რამაა, მაგრამ თუ სასკოლო ზეიმის კონცეფცია ისევე ვერ გასცდება დეკლამაციას, როგორც ათწლეულების წინ, თუ მოსწავლეები მხოლოდ პატარა დეკლამატორები იქნებიან და არავინ იბრუნებს მათ საზეიმო განწყობაზე, ნამდვილ სიხარულსა და კმაყოფილებაზე, მაშინ არც არაფერი შეიცვლება სკოლებში. ყველაზე კარგი მასწავლებლებიც კი უნებურად ისევ გაიმეორებენ ძველ შეცდომებს – ისევ შეაშინებენ მოსწავლეებს, დათრგუნავენ, წარმოსახვას შეუზღუდავენ, წიგნების კითხვისა და ცვლილებების სურვილს გაუქრობენ.

თანამედროვე ქართველ პოეტებთან შეხვედრა არ გამართულა. მეგობარი კიდე ერთხელ მენდო. ჩემი წარმოდგენით, წიგნების გადაშლა და ლექსების წაკითხვა საკმარისი იქნებოდა. მხოლოდ და მხოლოდ სიამოვნებისთვის. სიხარულისთვის.

ავტობუსში ავედით. ჯიბიდან ოთხად გაკეცილი ფურცელი ამოიღო და მარ-
ვენა. ცოტა დრო გვექონდა – მესამე გაჩერებაზე უნდა ჩამოვსულიყავით. არც
სავსე ავტობუსი იყო შესაფერისი ლექსებზე სასაუბროდ.

ქართულის მასწავლებელმა 11-12 წლის მოსწავლეებს ლექსის დაწერა
სთხოვა. საშინაო დავალება: დაწერეთ ლექსი.

როგორ იწერება ლექსი? უკვე ჩვენს გაჩერებაზე ვიდექით, მე კი პასუხი არ
მქონდა და საძაგელ სიტყვებს ამოვეფარე: „მერე აგისხნი“.

რა თქმა უნდა, მისი ლექსი ლექსი არ იყო. პირველი მცდელობა თითქმის
ყოველთვის განწირულია. მეორეც. მესამეც. ვის შეუძლია, მარტივად აუხსნას
12 წლის გოგოს, რა არის პოეზია? ვუთხარი, რომ რაც დაწერა, ნახევარგვერ-
დიანი ფილოსოფიური ნაშრომი იყო. ვიცოდი, რომ სიტყვა „ფილოსოფიური“
გაახარებდა და მუშაობის გაგრძელების სურვილს გაუჩენდა. სულერთია, რა
მიმართულებით. სიტყვა „ფილოსოფია“ სულ ახალი ნასწავლი ჰქონდა და
საუბრისას თუ წერისას მისი გამოყენება მოსწონდა.

სახლში ავუხსენი, რომ მის ნაწერს პოეზიასთან საერთო არაფერი ჰქონ-
და. საინტერესო მსჯელობა იყო იმის თაობაზე, რომ წიგნების კითხვის გარეშე
სიცოცხლე არ ღირს. ჰო, ასეა. მიხარია, თუ ასე ფიქრობს. ალბათ ქართულის
მასწავლებელსაც გაუხარდება. მაგრამ ამას პოეზიასთან საერთო მართლა
არაფერი აქვს.

არ იფიქრო რითმებზე. გარითმული სიტყვები ლექსად ვერ იქცევა.

არც გაურითმავი სიტყვები იქცევა ლექსად, თუ არ იცი, როგორ დააღაგო.
როგორ უნდა დააღაგო? აბა, რა გითხრა.

ხელები ჩამოვუშვით და ერთმანეთს ვუყურებდით, ერთნაირად დაბნე-
ულები. უცებ თავში გამიელვა, იქნებ ის ლექსები წავაკითხო, რომლებიც ძა-
ლიან მომწონს-მეთქი. თანამედროვე ქართველი პოეტების ლექსები. ზვიად
რატიანი და ლელა სამნიაშვილი. სხვები. არა, გამოვიდოდა, რომ მათნაირად
უნდა ეწერა, მათთვის უნდა მიებაძა. ასე გაიგებდა.

სხვა დროს მივცემ ამ წიგნებს. როცა სხვა დავალება ექნება.

10 წლის ვიყავი, როცა ქართულის მასწავლებელმა ისეთი ანდაზების ჩაწერა გვთხოვა, რომლებსაც ყოველდღიურ მეტყველებაში ნაკლებად იყენებენ. ძვირფასი ქვების მოსაძებნად და მოსაგროვებლად გამოგვიშვა. რაც კი ჩემს ოჯახში მოვისმინე, იმდენად გაცვეთილი, ხშირად გაგონილი აღმოჩნდა, რომ მათი ჩაწერა არ მოვინდომე. მერე დედაჩემმა „დონ კიხოტის“ მეორე ნაწილი გადმოიღო თაროდან და მითხრა, ამ წიგნში უამრავი ანდაზაა, ნაცნობიც და უცნობიც, უბრალოდ, ნებისმიერ გვერდზე გადაშალე და კითხვა დაიწყეო.

წიგნი გადავშალე და კითხვა დავიწყე.

12 წლისას მეც მჯეროდა, რომ წიგნების კითხვის გარეშე სიცოცხლე არ ღირს. ეს ახლაც მჯერა.

მაგრამ მერე წინდაუხედავად მოვიქციე და ლექსი დავწერე. აკროსტიქი. სტრიქონების პირველი ასოებით იმ ბიჭის სახელი გამოდიოდა, რომელიც მიყვარდა. ახალი ნასწავლი მქონდა სიტყვა „აკროსტიქი“ და პირველი ასოები წითელი კალმით მოვხაზე, დანარჩენები – შავით. როგორც ჩანს, მეშინოდა, ყველაზე მნიშვნელოვანი შეუმჩნეველი არ დარჩენილიყო. მერე რა, რომ არ ვაპირებდი, ეს ლექსი ვინმესთვის მეჩვენებინა.

ფურცელი ოთხად გაკვეცე და ჯიბეში ჩავიდე.

ჩემს ოჯახში თვლიდნენ, რომ თუ 12 წლისა შეყვარებული იყავი, ეს ტრაგედია იყო. ეს ნიშნავდა ნაადრევ გათხოვებას, არასრულ საშუალო განათლებას, უმაღლესი განათლების მიღების შეუძლებლობას, ბავშვების გაჩენას სრულწლოვანების მიღწევამდე, უარის თქმას ყველაფერზე, რაც კი საინტერესო და სასიხარულოა ცხოვრებაში... როცა ლექსი იპოვეს და ყველაზე საშინელი ეჭვი საბოლოოდ დაუდასტურდათ – დიახ, შეყვარებული ვიყავი! – ყველა ღონეს მიმართეს, რომ ლექსები აღარასდროს დამეწერა.

ცხადია, მეც მაშინებს იმის წარმოდგენა, რომ შესაძლოა ბავშვებს განვითარების შესაძლებლობა წაართვეს და მათი ცხოვრება სულ სხვა მიმართულებით წარიმართოს – უარი უთხრან ყველაფერზე, რაც კი საინტერესო და სასიხარულოა ცხოვრებაში. ოღონდ, რა თქმა უნდა, ლექსების წერა ასეთ მომავალს არ აახლოებს.

ჰო, ახლა სასაცილოდ ჩანს უფროსების ის ძველი აზირება.

დავუბრუნდეთ პოეზიას. არ ვუხსნი, რა არის აკროსტიქი – თვითონაც მიაგნებს. არ ვუხსნი, როგორ იწერება ლექსი. ვახსენებ ზაფხულის საღამოს, გზას, რომელზეც ვსეირნობთ ხოლმე; მეზობლის თეთრ ძაღლს, რომლისაც გვეში-

ნია; ქვებს, რომლებსაც სეირნობისას ფეხს ვაბიჯებთ; ელექტროსადენებსა და ბოძებს, რომლებზეც ისინია დამაგრებული; ქარს, ამ ელექტროსადენებს რომ არხევს; კაცებსა და ქალებს, შინ რომ ბრუნდებიან მთელი დღის გარჯის მერე და გვესალმებიან; სატვირთო მანქანის ხმას, რომელიც თანდათან იზრდება და მერე სულ უფრო სუსტდება; ხვლიკს, რომელიც ისეთი პატარაა, რომ ალბათ სულ ცოტა ხნის წინ მოევლინა სამყაროს...

ვამბობ, რომ გზაზე სიარულია პოეზია.

მეორე ლექსს წერს. გზაზე. სწორედ ამ გზაზე. მაინც მითითება გამომივიდა: აი, ამაზე უნდა წერო. აი, ასე უნდა წერო. უკმაყოფილო ვარ საკუთარი თავით. არა, გზაზე სიარული არ არის პოეზია.

ქართულის მასწავლებელს შესრულებული დავალება მოსწონს. არ ვიცი, რა ჩაიფიქრა, როცა მოსწავლეებს ლექსის დაწერა სთხოვა. მთავარია, რომ 11-12 წლის გოგო-ბიჭებს სრული თავისუფლება მისცა და არ უცდია, საკუთარი შეხედულებები, გემოვნება, შეფასებითი სისტემა მოეხვია თავზე.

უხარია ქართულში მიღებული ქულა. მე კი ვეუბნები, რომ არ უნდა ეშინოდეს არც ლექსების, არც სიყვარულის – იმის, რის ახსნაც შეუძლებლად გვეჩვენება.

შეცდომების მდინარე

ერთხელ წიგნის თარგმნისას ისეთი შეცდომა დავუშვი, რომელიც თავზარ-დამცემი სიციხადით მიუთითებდა არა მხოლოდ მთარგმნელის უმეცრებაზე, არამედ ამ საქმიანობისთვის მისი ჩამოშორების აუცილებლობაზეც. რა თქმა უნდა, ვიცოდი, რომ მიწას ურმით არ ხნავენ, მაგრამ, რატომღაც, სწორედ ასე დავწერე და შეუსაბამობა არც წინადადების გამართვისას მომხვედრია თვალში. ფრანგული სიტყვის ქართული შესატყვისის ძებნისას წარმოსახვაში გაჩენილ სურათ-ხატს ენაზე მომდგარი სიტყვა გადაეფარა და ძიების გაგრძელებაზე ხელი ამაღებინა. მიწას ურმებით ხნავდნენ-მეთქი. თავის მართლებას არ მოვეყვები, რომ ყოველდღიურ მეტყველებაში „ურემსა“ და „გუთანს“ აღარ ვხმარობთ, რომ ისინი ჩვენი ყოფის განუყოფელ ნაწილს აღარ წარმოადგენენ... არ უნდა დამევიწყებოდა. მართალია, ერთიც და მეორეც მხოლოდ ილუსტრირებულ წიგნებსა და ისტორიულ ფილმებში მინახავს, მაგრამ ყოველთვის ვიცოდი, რით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან.

ასეთი შეცდომების დაშვებისას გამოგნებელი სწორედ ისაა, რომ წამიერად ბრმავდები და ყველაზე იოლად გასარჩევ ობიექტებსაც კი ვეღარ ხედავ. გრძნობის ორგანოები, გონება, ენა – თითქოს პირი შეკრესო, რაღაც სასტიკ თამაშში გითრევენ.

ყოველდღიურ საუბრებში მექანიკური შეცდომის სახელით ვიხსენიებთ იმას, რის მაგალითიც ზემოთ მოვიყვანე. ეს არაფერს ცვლის. რა სახელიც უნდა დავარქვათ, შეცდომა შეცდომაა. მექანიკურად მოუვიდაო, პოლიტიკოსებზე ამბობენ ხოლმე – ძირითადად, ორაზროვნად.

არსებობს უხეში, ყოველმხრივ გაუმართლებელი, სრულიად უპატიებელი შეცდომებიც – წიგნებშიც და ცხოვრებაშიც.

ალბათ არაფერია ადამიანისთვის იმაზე ბუნებრივი, რომ ცდებოდეს. ეს მისი უფლებაცაა, ბედისწერაც, უბრალო ყოველდღიურობაც. თანამედროვეთაგან ყველაზე დიდი ამერიკელი მწერლის, ფილიპ როთის რომანში „ამერიკული პასტორალი“ კკითხულობთ: „ვცდებით და ამით ვხვდებით, რომ ცოცხლები ვართ“. ვცდებით, მაშასადამე, ვარსებობთ.

მაშ, რატომღაა თავზარდამცემი თითოეული შეცდომის გაცნობიერება? იმიტომ ხომ არა, რომ არავინ გვასწავლა, რა ფასი აქვს თითოეულ მცდარ ნაბიჯს, მცდარ პასუხს, არასწორად არჩეულ მიმართულებას, ზოგადად, ადა-

მიანის არსებობისთვის? არავინ გვითხრა: გიყვარდეთ თქვენი შეცდომები, რადგან ისინი თქვენი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილია. არავინ გაგვაფრთხილა: თქვენ უმთავრესად წყლისგან და შეცდომებისგან შედგებით, სხვადასხვა შემთხვევაში – სხვადასხვა პროცენტული მაჩვენებლით.

წამიკითხავს სტატიები, რომელთა ავტორებიც – ქართველი თუ უცხოელი მკვლევრები, განათლების სფეროს ექსპერტები – ამ თემას უტრიალებენ, აფასებენ საგანმანათლებლო პროცესის დროს შეცდომების დაშვების ალბათობასა თუ მათგან მიღებულ სარგებელს. ბოლო ათწლეულებში დამოკიდებულება შეიცვალა და მოსწავლეს აღარ აქვს – დიდი ალბათობით, აღარ უნდა ჰქონდეს – ისეთი განცდა, რომ მცდარი პასუხისთვის ან უნებლიე უზუსტობისთვის ეშაფოტი ელის.

მე ეს განცდა მქონდა. რაც მართალია, მართალია.

ალბათ ამიტომაც ვიგრძენი სრული სასოწარკვეთა სკოლის დამთავრებიდან მრავალი წლის შემდეგ, როცა გავაცნობიერე, რამდენად საბედისწერო შეცდომა დავუშვი. ასეთი მთარგმნელისთვის ყველა სასჯელი მცირეა – მხოლოდ მიწას თუ ახვნივინებ ურმით. ფრანგული სიტყვის ქართული შესატყვისი – „გუთან“ უცებ, გაუფრთხილებლად, აღსასრულის მაუწყებლად მომადგა ენაზე. წიგნის თარგმანი გამომცემლობაში უკვე გაგზავნილი მქონდა, გამოსაცემად ამზადებდნენ. შეცდომის გამოსწორება – სიტყვების შეცვლა მოვასწარი, რაც ნიშნავს, რომ ამ ამბავს კეთილი დასასრული აქვს, მაგრამ სინამდვილეში არც არაფერი დასრულებულა.

ვის შეუძლია თქვას, შეცდომების მდინარიდან მშრალი გამოვედით?

სკოლა – ისეთი, როგორიც მახსოვს – აღრმავებდა და აღრმავებდა სწავლის დაწყებისთანავე გაჩენილ დანაშაულის განცდას. ყველაზე დიდი დანაშაული იყო, რომ ის იყავი, ვინც იყავი და ამდენად, აუცილებლად ჩაიდენდი რაღაც ცუდს, რომელიღაც წესს დაარღვევდი, შენი რომელიღაც ქმედება სრულიად მიუღებელი აღმოჩნდებოდა, რომელიღაც საქციელი – ყოველმხრივ დასაგმობი. არავინ ამბობდა, რომ ასეც უნდა მომხდარიყო; რომ მართალია, პატარა, მაგრამ მაინც ადამიანი იყავი და უამრავი მექანიკური, უხეში, ძნელად საპატიებელი, სასაცილო თუ სატირალი შეცდომის დაშვების უფლება გქონდა.

საკუთარი თუ სხვისი შეცდომების მიმართ ასეთი დამოკიდებულება სულაც არ გულისხმობს მათ გააზრებასა და შეფასებაზე უარის თქმას. ეს, უბრალოდ, იმ მოცემულობის მიღება და გათავისებაა, რომ ამგვარია ჩვენი ბუნება – წყალზე სიარული არ შეგვიძლია, არც შეცდომების გარეშე არსებობა, არც ყოველთვის სწორი გადაწყვეტილებების მიღება, სწორი სიტყვების პოვნა.

არ დამვიწყებია, რომ ამ ტექსტს მასწავლებლების ინტერნეტ-ჟურნალისთვის ვწერ.

და ვის უჭირს ყველაზე მეტად საკუთარი შეცდომების აღიარება?

და ვინ იცის, რომ ყველაფერი იცის?

ემოციებს აყოლილი უმეცრები

ვიცოდი, რომ ადრე თუ გვიან ეს წუთები დადგებოდა – დავწერდი მასზე, ვინც სწორ დროს გამოჩნდა ჩემს ცხოვრებაში და მასწავლა, რომ ყველაფერი უმეცრების ალიარებით იწყება. სულ ყველაფერი. ცხოვრების ყველა გზა. იმხანად თავი ყოვლისმცოდნე მეგონა და ამ რწმენას წყალს ვერაფერი შეუყენებდა – ვერც ყველაზე უხეში შეცდომები, ვერც პასუხგაუცემელი კითხვები, ვერც ძნელად ასახსნელი ყოველდღიურობა. ცხადია, მე და ჩემმა კლასელებმა არ ვიცოდით, რომ არ ვიცოდით.

გამბედაობის მაგალითი მოგვცა: პირველივე დღეებიდან უკიდურესად გულწრფელი იყო. ამბობდა, დარწმუნებული არა ვარ, რომ მართლაც ასეა, შეიძლება სხვა სიმართლეც არსებობდესო; ვერაფრის მტკიცებას ვერ მოვყვები, ვიფიქრებ და ჩემს მოსაზრებას შემდეგ გაკვეთილზე გაგიზიარებთო; შეიძლება ვცდები, მაგრამ ეს ინტერპრეტაცია უფრო ანგარიშგასაწევი მგონიაო... გასული საუკუნის 80-იან წლებში ასეთი ფრაზები იშვიათად ისმოდა სასწავლო დაწესებულებებში, სადაც თავდაუზოგავად ცდილობდნენ დავერწმუნებინეთ, რომ არსებობდა ყველასთვის მისაღები ერთადერთი ჭეშმარიტება, ერთადერთი შესაძლო პასუხი.

სხვა მხრივაც განსხვავდებოდა დანარჩენებისგან. თუ აღმოაჩენდა, რომ რაღაც საკითხის შესახებ მოსწავლემ მასზე მეტი იცოდა, თვალეები უბრწყინდებოდა. გულისყურით გვისმენდა და ცნობისმოყვარეობას ვერ მალავდა. მეტის შეტყობა უნდოდა – შეეძლო ყველასგან რაღაც ესწავლა. ბევრს კითხულობდა. ახლად გამოსული წიგნებიდან არაფერი გამოორჩებოდა ხოლმე. იქნებ ამიტომაც იყო, რომ სკოლის კედლებში მოქცეული სამყაროს ამოტრიალება დიდ ცოდვად არ მიაჩნდა: ბოლო მერხს მიუჯდებოდა და ყველაზე მონდომებულ მოსწავლეებს გაკვეთილის ჩატარების უფლებას გვაძლევდა.

მიყვარდა მისი საგანი, რომელსაც ახლა არ დავასახელებ. არც გამოორჩეულად საყვარელი მასწავლებლის სახელს და გვარს დავწერ.

როცა მის ადგილას ვიდექი და გაკვეთილს ვხსნიდი, სულ მცირე დაძაბულობასაც კი არ ვგრძნობდი. არც სხვები გრძნობდნენ. შეცდომებისთვის, არასწორი ინტერპრეტაციებისთვის, არასაკმარისი მომზადებისთვის, ჩახლართული წინადადებებისთვის, უადგილოდ ნახმარი ტერმინებისთვის, აშკარა სისულელე-

ებისთვისაც კი სასჯელს არ ველოდით. ერთმანეთს ვუსმენდით და დროდადრო საუბარს ვაწყვეტინებდით, ზოგჯერ უხეშადაც. ზოგჯერ რაღაცის უაზროდ მტკიცებასაც მოვყვებოდით ხოლმე. მშვიდად გვიგდებდა ყურს და ბოლოს შეკითხვებს გვისვამდა. მოვალეობის გამო – არა. ეჭვიც არ გვეპარებოდა, რომ პასუხების პოვნა მართლა უნდოდა, ჩვენი მოსაზრებები კი ძალიან აინტერესებდა.

მეგობარი იყო. არაერთხელ გამოცდილი და საიმედო.

„ჩვენ ემოციებს აყვლილი უმეცრები ვართ, – ამბობს დიდი შვედი რეჟისორი ინგმარ ბერგმანი, – და არა მხოლოდ მე და შენ – ფაქტობრივად, ყველა. ეს კი ძალიან დამთრგუნველია. ჩვენ ყველაფერი გვასწავლეს ადამიანის სხეულის, მადაგასკარის სოფლის მეურნეობის, პი-სა თუ რაღაც ოხრობის ფესვის შესახებ, მაგრამ ერთი სიტყვაც არ უთქვამთ სულზე. კატასტროფულად უმეცრები ვართ – არც საკუთარ თავს ვიცნობთ და არც სხვებს. დღეს გაუთავებლად ლაქლაქებენ, ბავშვები ისე უნდა აღიზარდონ, რომ კარგად იცოდნენ, რა არის მეგობრობა, ურთიერთგაგება, თანაარსებობა, თანასწორობა და სხვა ყველაფერიო. მოდურია ასეთი საუბრები. აზრად კი არავის მოსდის, რომ ჯერ ცოტა რამ მაინც უნდა ვისწავლოთ საკუთარი თავისა და საკუთარი გრძნობების შესახებ; ჩვენივე შიშის, სიმართლისა და გულში ჩაბუდებული რისხვის შესახებ. ასე მიგვატოვეს – სრულიად გამოუვალ მდგომარეობაში, უმეცარნი და სინანულით გატანჯულნი ჩვენივე ამბიციების ნანგრევებში... როგორ უნდა გაუგო სხვებს, თუ არაფერი იცი საკუთარ თავზე?“

ბერგმანის ეს სიტყვებიც სწორ დროს გამოჩნდა ჩემს ცხოვრებაში. სწორედ მათ გამახსენეს ის, ვინც მუდმივად ცდილობდა, მეტი შეგვეტყო საკუთარ თავზე, ერთმანეთზე, ერთმანეთის სუსტ და ძლიერ მხარეებზე, თუნდაც ყველაზე სტანდარტულ სივრცეში სამყაროს ამობრუნების შესაძლებლობაზე. ამისთვის იყენებდა თავის საგანს, სახელმძღვანელოს თემებს, გაკვეთილზე გაჩენილ კითხვებს, ნებისმიერი საკითხის ირგვლივ გამართულ კამათს, პირად საუბრებს. მიუხედავად ამისა, როგორც უნდა დავძაბო გონება, ვერ გავიხსენებ ვერც ერთ ბრძნულ ფრაზას, შეგონებას, საბოლოოდ ჩამოყალიბებულ ჭეშმარიტებას, რომელიც მისი პირიდან გავიგონე იმ შორეულ 80-იან წლებში. როგორც ჩანს, თავს არიდებდა ისეთი სიტყვებით საუბარს, რომელთა სიკაშკაშეც დავგაბრმავებდა, ხარბად წავეტანებოდით და განუსჯელად მივისაკუთრებდით.

მის სახელს და გვარს იმიტომ არ ვამხელ, რომ რაც დავწერე, ერთი გამორჩეული მასწავლებლისთვის ხოტბის შესასხმელად არ დამიწერია. თუმცა, შესაძლოა, მაინც ის გამომივიდა, რასაც თავს ვარიდებდი. მეტს ვერაფერს ვიტყვი. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ არ ვიცი და მისი მადლიერი ვარ, ვინც საკუთარ სისუსტეებზე დაფიქრების, საკუთარი უმეცრების გაცნობიერების აუცილებლობა დამანახა და მაგალითიც მომცა.

სხვების ბავშვობა

სკოლაში სწავლისას ვერ ვხვდებოდი, რატომ იყო აუცილებელი მწერლების ბიოგრაფიების ცოდნა, რატომ არ შეიძლებოდა ძნელად დასამახსოვრებელი თარიღების დასწავლისა და მნიშვნელობას მოკლებული ფაქტების დამახსოვრების გარეშე წაგვეკითხა ტექსტი. მეჩვენებოდა, რომ ეს ბიოგრაფიები, მეტწილად, ერთმანეთს ჰგავდა. ყოველთვის იყო ვიღაც, ვინც მომავალ მწერალს ადრეულ ასაკშივე უვითარებდა წარმოსახვას, უყვებოდა ზღაპრებს, მითებს, თქმულებებს, აყვარებდა ლიტერატურას. იყო საბედისწერო შემთხვევები და ტრაგიკული მოვლენებიც. თითქმის გარდაუვალი გამხდარიყო მშობლის (ერთ-ერთის ან ორივეს) ნაადრევად გარდაცვალება, საყვარელი დის ან ძმის ადრეულ ასაკშივე დაღუპვა, ოჯახის გაღატაკება, მშობლიური სახლის (სოფლის, ქალაქის, ქვეყნის) იძულებით მიტოვება, ფიზიკური ტრავმები, გულ-გატეხილობა, სასოწარკვეთა, დაუფასებლობა თანამედროვეთა მხრიდან.

ამ ამბების ნამდვილობაში ეჭვი მეპარებოდა. ყველა ეს ბიოგრაფია ერთი კაცის დაწერილს ჰგავდა – იმის, ვინც უმნიშვნელოს შემჩნევასა და მნიშვნელოვნის შეუმჩნევლობაში გაწაფულიყო. სვანტე სვანტესონივით ვფიქრობდი: რატომაა, რომ ის, რის ცოდნაც აუცილებელია, ჩემთვის სრულიად უინტერესოა და ის, რის ცოდნაც ადამიანისთვის უსარგებლოა, ყოველთვის ძალიან საინტერესოა-მეთქი?

მაეჭვებდა იმ საზოგადო მოღვაწეთა ბიოგრაფიებიც, სადაც ეწერა, ბავშვობაშივე სრულყოფილად შეისწავლეს ინგლისური, გერმანული და ფრანგული ენებიო. გასული საუკუნის 80-იან წლებში სკოლა არ იყო ის ადგილი, სადაც თუნდაც ერთი უცხო ენის სრულყოფილად შესწავლა შეიძლებოდა. ჩემს სკოლაში ყოველ წელს იცვლებოდნენ ინგლისურის მასწავლებლები, ვსწავლობდით სიტყვებს, წესებს, სახელმძღვანელოს ტექსტებს, ვასრულებდით სავალდებულო სავარჯიშოებს, ვწერდით საკონტროლოებს, მაგრამ მაინც არაფერი ვიცოდით. ამის გამო იყო, დარწმუნებული რომ ვიყავი, სამ უცხო ენას ვერც ერთი ბავშვი ვერ ისწავლის-მეთქი.

ბიოგრაფიები მწერლებსა თუ რაიმე ნიშნით გამორჩეულ სხვა ადამიანებს სახეს უკარგავდნენ, ერთმანეთსა და მითიურ არსებებს ამსგავსებდნენ, ბუნდოვანების მიმზიდველ საბურველში გახვეულებს მიუწვდომლად წარმოსახავდნენ. სახელმძღვანელოების ავტორებისთვის არ იყო მნიშვნელოვანი, რას განიცდიდა მცირეწლოვანი მკითხველი. მოსწავლის განცდები არც ერთ დროში დიდად არავის ადარდებს.

მე კი ბიოგრაფიული თუ ავტობიოგრაფიული წიგნების კითხვას თანდათან მივეჩვიე. იმასაც მიხვდი, რომ მწერალი ყველაზე უკეთ ჰყვება თავის ამბავს: როგორც უნდა ეცადოს, საკუთარ თავს ვერსად გაექცევა. ნებისმიერ ნაშრომში ირეკლება – დაბრეცილი, სახეცვლილი, განგებ დამახინჯებული მისი სილუეტი მაინც იოლად ამოსაცნობია ხოლმე. მოთხრობებში, რომანებში. თუ ტოლსტოისა და ნაბოკოვის მსგავსად თავის ამბავს თვითონვე მოგვითხრობს (და თუ ასეთივე მოთხრობელია), მაშინ ამ ჩანაწერების კითხვას არაფერი სჯობს. ვერ წარმომიდგენია მოზარდი, რომელსაც ვერ ააღელვებდა ზემოთ ნახსენები მწერლების ავტობიოგრაფიული წიგნების ცალკეული ნაწყვეტები; რომლის წარმოსახვაც ვერ იპოვიდა სათავისოს მათი კითხვისას. ახლაც კი გულისცემას მიჩქარებს იმის წარმოდგენა, როგორ კაწრავდნენ დანის წვერით ფიგურებს კარაქიან პურზე, რომელიც ცნობილი მწერლისთვის – იმხანად სულ პატარა ბიჭუნასთვის უნდა გაეწოდებინათ. ჩანაწერების კითხვას ვწყვეტ და ამ ფიგურების წარმოდგენას ვიწყებ: სახლი, ნაძვები, ვარსკვლავები, იქნებ სასაცილოდ ხელფეხგაფარჩხული გოგოც... მეჩვენება, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანია – პურის ნაჭერზე კარაქის გადასმისა და სამყაროს მარტივზე მარტივი სურათის შექმნის ამბავი.

ერთი თანამედროვე ფრანგი მწერალი წერს, მწერლები ბავშვობაზე ამდენს იმიტომ ლაპარაკობენ, რომ მხოლოდ ბავშვობისას ცხოვრობენო. დანარჩენი ცხოვრება საწერ მაგიდასთან გატარებული საათები, ფიქრი და შრომა – არც არაფრისთვის სცალიათ და დიდად არც აღელვებთ ისეთი რამეები, რაც სხვა შემთხვევაში უდავოდ ააღელვებდათო. ცხადია, აქ ყველა მწერალი არ იგულისხმება და ისიც ცხადია, რომ ვიღაც-ვიღაცებს არც თუ შეფარვით დასცინიან. მიუხედავად ამისა, ბავშვის განცდების სიმძაფრეს, პირველი შთაბეჭდილებების ძალას არავინ უარყოფს. ამ დროს ჯერ კიდევ იმ სამყაროს ნაწილი ხარ, რომელიც მოგწონს; ყოველი დღე რაღაც სასიხარულოს მოლოდინით თენდება; იმ რწმენით დადიხარ, რომ სულ მალე ენით აღუწერელი სასწაულის მომსწრე უნდა გახდე; ბედნიერების განცდა უხილავი საჭაერო

ბუშტივით ლივლივებს ჰაერში – ხელის გაწვდენაზე, შენია; დიდი დანაკარგების დრო ძალიან შორსაა, სიკვდილი არ არსებობს.

მაინც, რა გვსიამოვნებს ავტობიოგრაფიული ჩანაწერების კითხვისას? ყველაზე მეტად ალბათ ის, რომ სხვისი ამბები ჩვენსას გვახსენებს – დიდი ხნის წინ დავიწყებულ, სამუდამო გაქრობისთვის განწირულ, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო წვრილმანებს (დედაჩემსაც უყვარდა კარაქიან პურზე სახლების, ხეების, ძაღლების, მანქანების, გოგოებისა და ბიჭების დანის წვერით ამოკაწვრა). სხვისი ამბების კითხვისას ჩვენს ამბავსაც ვკითხულობთ, ვიხსენებთ, თავიდან ვიგონებთ და უცნაურად სასიამოვნო განცდა გვეუფლება: უჩვეულო სიახლოვეს ვგრძნობთ მწერალთან, მის გვერდით ვდგავართ, მისი გულისცემა გვესმის.

სკოლის აჩრდილი

ღამდება. მშობლიური სახლის აივანზე შავი კალამი და სუფთა ფურცლები გამოვითანე – არც ისე დიდი ხნის წინ დავიწყებული მონსტრის გახსენებას ვცდილობ. მონსტრი მემალება. ალბათ წყვდიადის ჩამოწოლას ელოდება.

სკოლა ჩემი სახლიდან ხუთი წუთის სავალზეა. სამსართულიანი შენობა ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი ინტერიერით. ცხრის ნახევარზე ვიღვიძებ, ან ცხრას რომ ოცი წუთი აკლია, და ყოველთვის მაგვიანდება. ხან თმადუვარცხნელი მივდივარ, ხან – ნახევრად ჩაცმული, ხან – საერთოდ მძინარე. დერეფნებში მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების პორტრეტებია. ბრძნული გამონათქვამები. დასურათებული ანბანი. აი თოხი. აი თხა. თხამ ვენახი შეჭამა.

არ ვიცი, რა არის დღეს იმ ადგილას, სადაც ადრე პიონერთა ოთახი იყო, ყველა სავალდებულო ნივთითა და ნიშნით. ალბათ ერთ დღეს გაქრა წითელი დროშები, დაფდაფები და ვეება საყვირი, რამდენიმეგვერდიანი ბროშურები და სქელ-სქელი ტომები, ყელსახვევები, ნაპერწკლიდან ალის ანთების მოლოდინი, პიონერხელმძღვანელის სკამი და მაგიდა, ოთხფურცლიანი გაზეთი პიონერხელმძღვანელის ხელში, იდაყვში მოხრილი ხელი, გვერდზე ოდნავ გადაწეული თავი...

ეს დიდი ხნის წინ უნდა მომხდარიყო. სკოლა 1990 წელს დავამთავრე და ბოლო ზარზე მხოლოდ გადაღლას ვგრძნობდი – სიცარიელეს, არაფერს, მთელი თავისი სრულყოფილებით. მოწვეული ფოტოგრაფი სურათებს გვიღებდა, პირველკლასელების მერხებთან ვისხედით და კლასის დამრიგებელს ვუსმენდით. ვუსმენდით მასწავლებლებს, რომლებისაც ხან გვესმოდა, ხან არა; რომლებიც ხან გვიყვარდა, ხან არა. ვგრძნობდით, რომ ისევ არასწორ ადგილას მოვხვდით – ფეხებს ვერ ვშლიდით, მოხრილები ვისხედით, ისევ მორჩილად სმენა გვევალებოდა და სხვა არაფერი. ვიღაც-ვიღაცებს გული უჩუყდებოდათ – ცრემლებსაც ვხედავდი. მე მხოლოდ გადაღლას ვგრძნობდი.

სკოლის დამლაგებლებთან – თინასა და ტერეზასთან სურათები გადავი-

ღეთ. არ უნდოდათ, მაგრამ წინააღმდეგობის გაწევა არ სჩვეოდათ. უსიტყვოდ დაგვიდგნენ გვერდით.

მომდევნო წლებში ხშირად მესიმბრებოდა, რომ ისევ მოსწავლე ვიყავი. სიმბრის დრო იდგა – ავის მომასწავებელი ბინდბუნდი. სკოლის ეზოში ბავშვებს ველაპარაკებოდი, ვიცინოდი. ცალი თვალით ვიღაცას ვუყურებდი – მისი სახის გამომეტყველება, მოულოდნელად, მეტად მნიშვნელოვანი გამხდარიყო. სხვა აღარაფერი მაინტერესებდა. ერთი სიტყვაც აღარ მესმოდა. მერე ქვემოთ ვიხედებოდი და ვხედავდი, რომ ფეხშიშველი ვიდექი გადამხმარ ბალახზე, ან დიდი ხნის წინ დაპატარავებული ტანსაცმელი მეცვა, ან ძველი, უშნოდ დალაქავებული პლედი მქონდა შემოხვეული.

სკოლის კიბე. სამი სართულის კიბეები. ვიწრო საფეხურები და გარდაუვალი შეჯახებები, მოსალოდნელი შედეგებით. ავრბივარ. ჩამოვრბივარ. გრძელი კაბის ბოლოს ვაფრიალებ. ისევ ფეხშიშველი ვდგავარ. ისევ ავის მომასწავებელი ბინდბუნდია.

აი თხა. აი თასი.

გამო, შეითამაშე, არვინ ეტყვის მამაშენს!

უზარმაზარი საკონფერენციო დარბაზი, სადაც მოხსენებას ვკითხულობ სრულიად უცნობ თემაზე, უცებ იქცევა საკლასო ოთახად. დაფასთან ვდგავარ და შეკითხვებს ვპასუხობ. შეკითხვები არ მთავრდება. დაღლილი ვიღვიძებ.

ისინი, ვისთანაც ამაზე მისაუბრია, აღიარებენ, რომ მსგავსი სიმბრები არაერთხელ უნახავთ. გამოუცდიათ სამარცხვინო სიშიშველე, უსასრულო სიცილის შიში, უცაბედი მარცხის სიმწარე. სკოლაში სწავლის წლები მართლაც დაუვიწყარია. სკოლის აჩრდილი სიკვდილის წუთამდე თან გვდევს.

კარგის გახსენებას შეიძლება, არა? მე მყავდა მასწავლებელი, რომელსაც მშვიდად შეეძლო ეთქვა: „არ ვიცი“ და თანამოსაუბრესთან ერთად დაეწყო ფიქრი, გამოსავლის ძებნა; სხვა მასწავლებელი, რომელმაც რუსული ლიტერატურის კითხვა დამაწყებინა და ტურგენევის რომანები სასკოლო ასაკში წამაკითხა; კიდევ ერთი მასწავლებელი, რომელიც მარწმუნებდა, რომ მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნებისგან განსხვავებით, ისტორიისა და ლიტერატურას მუდმივად ემუქრებოდა თავდაყირა ამობრუნების საფრთხე – ნებისმიერ წუთს შეეძლოთ ელაღაბათ, საკუთარი თავი რაღაც სხვად გაესაღებინათ და შრომაში გატარებული წლები წყალში ჩაეყარათ.

ღალატი და თვალთმაქცობა აჩრდილებმაც იციან. მონსტრი ხანდახან ისეთ უწყინარ სახეს იღებს, რომ ველარც კი ვცნობ. თითქოს არასდროს და-

უშავებია რამე, არც შევუშინებია და არც შუახნის ცხოვრებამობებრებული, შემზარავი მაკიაჟით მოსიარულე, ბავშვების დასჯით უზომოდ ნასიამოვნები, უმიზეზოდ აკივლებული ქალის სახით გამომცხადებია.

მე მას ვიცნობდი. სკოლის დერეფანში მისი გამოჩენა ყოველთვის თავბარს მცემდა.

გარდაცვლილზე მეტს აღარაფერს ვიტყვი.

დაღამდა. ყველა მწერი აივნის ნათურას შემოხვევია. ვცდილობ, უსიამოვნო მოგონებები კუთხეში მივიმწყვდიო და გულისმომკვლელ სიტყვებად ქცევის საშუალება არ მივცე. ხვალ, დღის შუქზე, ყველაფერი სხვანაირად გამოჩნდება.

ჩემი სახლიდან სკოლამდე ისევ ხუთი წუთის გზაა.

ვის აწითლებენ გოგოები?

პატარა ოთახში ათიოდე მსმენელი ვიყავით. საბავშვო წიგნები, ალბომები, ხელნაკეთი თოჯინები, არაერთი მოულოდნელი ფერთაშეხამება, არათანაბარი სიმაღლის კედლებში მოქცეული სივრცე. ის, რაც, ყავისა და დარიჩინის სუნთან ერთად, შვედეთია. ჩემთვის – ამ ქვეყნით და მისი თავისებურებებით საშუალოდ მოხიბლულისთვის. Unga Klara-ს – 2010 წლიდან სტოკჰოლმის დამოუკიდებელი თეატრის ორი რეჟისორი მოზარდებისთვის განკუთვნილ ექსპერიმენტულ წარმოდგენებზე საუბრობდა. მათი რწმენით, თეატრში მოსული ნებისმიერი ასაკის მაყურებელი სიმართლეს იმსახურებდა – პირველ რიგში, სიმართლეს საკუთარი თავის შესახებ. ვუყურებდით ეკრანზე ამ ექსპერიმენტული წარმოდგენების ჩანაწერების ფრაგმენტებს და მომდევნო დღეს ერთი ასეთის ნახვას ვაპირებდით.

რა არის სიმართლე 13-14 წლის მოზარდებისთვის, რომლებიც მოუშვადებლები არიან ახალი სხეულებისთვის, ახალი წესებით ცხოვრებისთვის, დიდების გაუგებრად ორგანიზებულ, დამორგუნველ სამყაროში გზის გაგრძელებისთვის? რეჟისორებს მიაჩნდათ, რომ სიმართლე სიჩუმის მიღმა უნდა ეძებო – ეს ისაა, რაზეც იშვიათად საუბრობენ ან საერთოდ გაუბრალებს საუბარს. სიჩუმეს დამანგრეველი ძალა აქვს. გაჩუმდები და განადგურდები. უნდა თქვა. უნდა გამოხატო. ყველას უნდა დაანახო, რომ არსებობ და შენს არსებობას მნიშვნელობა აქვს ამ სამყაროში.

GIRLS WILL MAKE YOU BLUSH! – ასე ერქვა წარმოდგენას, რომელიც საფესტივალო პროგრამის ნაწილი იყო და რომლისთვისაც ფესტივალის სტუმრები ერთგვარად შეგვამზადეს. ველოდებოდით. თავისუფალ ექსპერიმენტებზე, ენების გამუდმებულ არევაზე, სხეულის ენაზე, ქორეოგრაფიის მნიშვნელოვნებაზე ორსაათიანმა საუბარმა თავისი ქნა. ვიცოდით, როგორ იმუშავებს მსახიობებმა, რისკენ ისწრაფოდნენ, რა გამოხმაურება მოჰყვა წარმოდგენებს, როგორ მიიღეს მოზარდებმა, მასწავლებლებმა, მშობლებმა, კრიტიკოსებმა. გოგოების ამბები იყო. მენსტრუაცია. სისხლით დასვრილი საფენები – ხელიდან ხელში. მასტურბაციის იმიტაცია. სხვაც – ასეთივე სითამამით.

ინგლისური სახელწოდებაც გამომწვევად მოჩანდა. ეს მხოლოდ ჩვენი ამბავი არ არის, ყველა ქვეყანაში ყველა გოგოს ამბავიაო, – ამას ამბობდნენ.

კიდევ იმას ამბობდნენ, რომ არ უნდა გრცხვენოდეს ფიზიკური სახეც-

ლილების – თავზარდამცემი სიახლის შენს ცხოვრებაში. სხეული, ასეთი უცხო და სხვანაირი – შენ ხარ. ნუ გეშინია, ერთ დღეს აუცილებლად გახდება სასურველი ეს სხეული და მის მშვენიერებასა და გამორჩეულობას, სხვებთან ერთად, თვითონაც შენიშნავ. არ უნდა გრცხვენოდეს ლტოლვის, რომელსაც საპირისპირო ან სულაც შენივე სქესის თანატოლების მიმართ გრძნობ. იყვირე, ყირაზე გადადი, შეიცანი შენი სხეული, იმოძრავე, გამოხატე გრძნობები, შიში, ტკივილი, შეიყვარე, ილაპარაკე სიყვარულზე, იცეკვე, ისევ იყვირე მთელი ძალით, და ასე შემდეგ.

წარმოდგენის დამთავრების მერე რაიმეს თქმის სურვილი არ გამჩენია. არც იმ გოგონებს გავუწითლებივარ, სცენაზე თავს რომ არ ზოგავდნენ. თანავუგრძნობდი. მინდოდა, რომ ყველაფერი კარგად გამოსვლოდათ – მათთვის ეს მეტისმეტად მნიშვნელოვანი იყო. რეჟისორებს და ალბათ მაყურებლების ნაწილსაც მიაჩნდათ, რომ ეს ყველასთვის მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო.

დარბაზიდან გასვლისას უზარმაზარი პოსტერები დაგვირიგეს, ღია მწვანე ფონზე ალისფერი წარწერებითა და სახალისო ნახატებით. ბიჭებიც გახსენებოდათ – ერთ-ორ ადგილას რაღაც ისეთი მიეხატათ, რაც უდავოდ მათი საკუთრება უნდა ყოფილიყო.

რა მოხდებოდა, ეს ექსპერიმენტული წარმოდგენა 13-14 წლისას რომ მენახა? მახსოვს, როგორი მტკივნეული იყო ყველაფერი, რაც ჩემი სხეულის თუნდაც უმნიშვნელო ცვლილებას უკავშირდებოდა. მხოლოდ ის მინდოდა, რომ არაფერი ეკითხათ, საერთოდ ვერ შეემჩნიათ, რომ ვიზრდებოდი და ვიცვლებოდი. შესაძლო პასუხების სისწორეში დარწმუნებული არ ვიყავი – მეჩვენებოდა, რომ „კი“, „არა“ და ყველა სხვა სიტყვაც ერთნაირად ამაზრუნად გაისმებოდა. სასოწარკვეთამდე მიყვავდი იმ შეკითხვების გააზრებას, რომლებსაც აუცილებლად დამისვამდნენ – მესმოდა, სხვებს როგორ უსვამდნენ კლასში და როგორ იწყებდნენ ფიზიკურ ტრანსფორმაციაში შემჩნეულები თავის მართლებას. ალბათ არ მომეწონებოდა „მტკივნეულ თემებზე“ სცენიდან საუბარი – ჩემი „საიდუმლოებების“ გამხელა, თითოეული წვრილმანის სახალხოვდ განხილვა. ალბათ, ამ წარმოდგენის ნახვას არც ე. წ. თერაპიული ეფექტი ექნებოდა, რაც არის კიდევ მსგავსი სოციალურ-თეატრალური ექსპერიმენტების ამოცანა. შიშისგან გათავისუფლება. სიჩუმის – ყველაზე დიდი და საშოში მტრის დამარცხება.

ჩემი მოსწავლეობის მერე დიდი დრო გავიდა, მაგრამ დღესაც არის კითხვები, რომლებიც მაშინებს და რომლებსაც მუდმივად თავს ვარიდებ. გაწითლებითაც სულ იოლად ვწითლდები ხოლმე. შემოქმედებითი სიტამამისა და თეატრალური ექსპერიმენტების საწინააღმდეგო არც არაფერი მაქვს, მაგრამ დარწმუნებული არ ვარ, რომ იდუმალების საბურველით მოცული რომელიმე ძველი კითხვა უფრო მომხიბვლელად არ გამოიყურება.

ძველი და ახალი კითხვები.

ორი მუზეუმი – შიშთან ბრძოლის გაკვეთილები

დღემდე მეშინია მუზეუმების. დარწმუნებული არ ვარ, რომ რომელიმე ბნელ კუთხეში შემზარავ ექსპონატს არ გადავაწყდები – ვთქვათ, შავ ხავერდზე დასვენებულ მკვდრის ნილაბს. მეშინია ნახევრად ჩაბნელებული ოთახების, უცნობი ნივთებითა და უცნობი ადამიანებით. ჩემს წარმოდგენაში მუზეუმი ისეთი ადგილია, სადაც კაცობრიობის ბნელი წარსული საიმედოს ვერაფერს გეუბნება, სრულყოფილება თავზარდამცემი სიცხადით წარმოაჩენს სამყაროს დანარჩენი ნაწილის არასრულყოფილებას, პირველი სართულის მაღაზია კი დაუნდობლად გიქრობს ყველა ილუზიას – როგორც ყოველთვის, ახლაც სამარცხვინო ასლებს დასჯერდი.

ცხადია, ვაზვიადებ. მიზეზებს ვეძებ სიმბდალის გასამართლებლად.

პირველი მუზეუმი, სადაც ძალიან პატარა – მეორეკლასელი თუ მესამეკლასელი წამიყვანეს, შუა გორში აღმართული სტალინის სახლ-მუზეუმი იყო. წელიწადი არ გავიდოდა, კლასის დამრიგებელსა თუ სხვა მასწავლებლებს არ გამოეცხადებინათ, შაბათს სტალინის სახლ-მუზეუმში მივდივართო – ახლოს იყო და დიდი დროც არ მიჭონდა თვალშეჩვეული ნივთების კიდეც ერთხელ დათვალიერებას. სტუმრები ჩამოვიდოდნენ სხვა საბჭოთა რესპუბლიკებიდან და რა უნდა გეჩვენებინა? ისევ სტალინის მუზეუმი. დაბაფრული დავდიოდი დარბაზიდან დარბაზში, დერეფნიდან – დერეფანში – შურგიდან დიდი ბელადის თვალი მიყურებდა, მწვავდა და მანადგურებდა. მაშინაც კი, როცა ბევრი არაფერი ვიცოდი მის პოლიტიკურ საქმიანობაზე და ზეადამიანური ძალის, დაუმარცხებელი ზღაპრის გმირი მეგონა, გული კარგს არ მიგრძნობდა – მთელი ეს არალეგალურად ნაბეჭდი გაზეთები და პროკლამაციები, კრემლიდან წამოღებული ნივთები, ბიუსტები, პორტრეტები, ძვირფასი საჩუქრები და სხვა დანარჩენი თითქოს ერთადერთი მიზნით გამოეფინათ – მეორეკლასელ თუ მესამეკლასელ გოგოებს გული რომ გახეთქოდათ. სუფთა წერაში ორიანი მიიღე, არა? რუსულის გაკვეთილი ისევ გააცდინე? ოქტომბრელის სამკერდე ნიშანი სახლში როგორ დაგჩა? და მათემატიკის საკონტროლოში რა მიიღე?

რატომ დაგაქვს წვერმოტეხილი ფანქრები სკოლაში? ხომ გაგაფრთხილეს, რომ თმა ბაფთით უნდა შეგეკრა?..

წლები გავიდა, შიში კი არ გამქრალა.

გაკვეთილი 1: წარსულის აჩრდილები არ ქრებიან. ამ აჩრდილებთან ბრძოლისას, უმეტესწილად, ვერაფერს ვსწავლობთ. ნაბიჯის აწყობა – აი, რა იქნებოდა სწორი, მეტისმეტად რთული, თითქმის შეუძლებელი რომ არ იყოს. მათთან ერთად ცხოვრება – ბუნებრივად, ძალდაუტანებლად.

2013 წლის მაისში სტოკჰოლმში ვასა-მუზეუმი ვნახე. ჩემმა მასპინძელმა – 70 წელს გადაცილებულმა, სკანდინავიური თქმულებების გრძნეული და გულთამხილავი გმირების მსგავსმა, თეთრთმიანმა სტინამ მითხრა: თუ რაღაც ისეთს ეძებ, რაც არასოდეს დაგავიწყდება, მაშინ იურგორდენზე, ვასა-მუზეუმში წადიო. ფეხს ვითრევდი – გზას ვერ გავიგნებ-მეთქი. თავისი ხელით დამიხატა პატარა რუკა ბლოკნოტის ბოლო გვერდზე, მეტროს სადგურების სახელებიც ჩამომიწერა და სხვა საჭირო ინფორმაციაც. უარი ვეღარ ვუთხარი – საბჭოთა ბავშვობის სიმძიმესა და ბელადის ვაგონის ინტერიერზე ხმა არ ამომიღია. მაცდუნებელი ის იყო, რომ გემი უნდა მენახა – მე-17 საუკუნეში აგებული ერთადერთი საბრძოლო ხომალდი, რომელიც პირვანდელი სახითაა შემორჩენილი.

მთელი ცხოვრება გემებსა და ოკეანეებზე ოცნებებში გავატარე – ჯობეფ კონრადიდან ჰერმან მელვილამდე; რომ აღარაფერი ვთქვა ბავშვობაზე – ჟიულ ვერნის, მაინ რიდის, რაფაელ საბატინის წიგნებში დაღამებულ დღეებსა და გათენებულ ღამეებზე.

პირველივე მოგზაურობისას ჩაძირული ხომალდი, მე-17 საუკუნის შვედეთის ხელუხლებელი ნაწილი, ზღვის ფსკერიდან ამოყვანილი მიმზიდველი ურჩხული – ეს უნდა მენახა!

დავდიოდი სართულიდან სართულზე, სხვადასხვა მხრიდან ვუყურებდი ამ გამაოგნებელ, თითქმის ცოცხალ არსებას, ვუსმენდი სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე გიდებს, აღტაცებულ დამთვალიერებლებს, დროდადრო მთავარ საექსპოზიციო სივრცეს ვტოვებდი და პატარა ოთახებში შევდიოდი სხვა ექსპონატების სანახავად, ვაკვირდებოდი წვრილმანებს, რომლებიც წარმოსახვას მიფორიაქებდნენ, მერე ისევ ვბრუნდებოდი გემთან, წარმოვიდგენდი სცენებს, რომლებიც აქ უნდა გამართულიყო, მეზღვაურების შეძახილებს, უღალწვერა კაპიტნის ბრძანებებს, ტალღების ხმას... რაღაც არასწორად გათვალეს – ბრძოლის ჟინით სავსე მეფეს იმედი გაუცრუეს. დასალუბად განწი-

რული გემი ცალ მხარეს გადახრილიყო, ტრიუმი წყლით ივსებოდა, ცოტაც და ზარ-ზეიმით აფრებაშლილი ეს უცნაური ბედის ხომალდი ფსკერზე გაწვებოდა, მე კი მშვიდზე მშვიდი ვიყავი – ბოლოს და ბოლოს, იმ ადგილას მოვხვდი, სადაც აღარაფრის მეშინოდა.

მე სტინას იმედი გავუმართლე. იურგორდენსა და ვასა-მუზეუმს იოლად მოვაგენი. ჩაბნელებული ოთახების სულაც არ შემშინებია, არც – სუსტად განათებული გასასვლელების. როგორც ჩანს, იმაზე მეტი შემიძლია, ვიდრე წარმომიდგენია. ეს გემი ჩემს წარმოსახვაში სამუდამოდ დარჩება. აქ მოსახვედრად ბევრი არაფერი დამჭირდება – მხოლოდ თვალების დახუჭვა, ან ესეც არა...

გაკვეთილი 2: ყველაზე მშიშარა ადამიანსაც კი შეუძლია საბრძოლო ხომალდის გროტანძის წვერზე მოექცეს. მთავარია, სწორი საყრდენი წერტილი იპოვო საკუთარ წარსულში.

ბავშვები მთვარის შუქზე

ერთ ზაფხულს – შორეულ 80-იან წლებში – საბჭოთა საქართველოში აღიარებული და დაფასებული უნგრელი მწერლის, ანდრას ბერკეშის ვეებერთელა რომანი „ნიმფიანი ბეჭედი“ წავიკითხე. წიგნში მეორე მსოფლიო ომის დროს რამდენიმე წამყვანი ქვეყნის დაზვერვის სამსახურების მუშაობა იყო აღწერილი, უბრალო უნგრელების დანგრეულ ცხოვრებასთან ერთად. წაკითხულმა შთაბეჭდილება უდავოდ მოახდინა. მისი წყალობით, 13 წლისამ პირველად გავიაზრე, რომ შესაძლოა არსებობდეს რაღაც, რის გამოც თავის გაწირვა სწორი და ბოლომდე გამართლებული იქნებოდა.

გავწირავდი თუ არა თავს საყვარელი ადამიანის გამო? ოჯახის წევრის გამო? გავუძლებდი თუ არა ხანგრძლივ წამებას? მაინც რამდენ ხანს გავუძლებდი? რა ღირებულება აქვს სიყვარულს, რომელზეც პირველი წინააღმდეგობის წაწყდომისთანავე უარს ამბობ? – ასეთი კითხვები მიტრიალებდა თავში და გამბედაობა არ მყოფნიდა პასუხების ხმამაღლა სათქმელად.

სწორედ ამ წიგნში გადავაწყდი სიტყვა „ჰომოსექსუალს“, რომლის მნიშვნელობის გარკვევაც რამდენიმე წლის შემდეგლა შევძელი. რა აღარ წარმოვიდგინე, რა აღარ დავაბრალე იმ საბრალო მესამეხარისხოვან თუ მეოთხეხარისხოვან გმირს, რომელზეც მწერალი ამბობდა – ჰომოსექსუალი იყო და ნაცისტმა ჩინოსანმაც იმიტომ განიცადა მისი სიკვდილი, რომ ამ საქმისთვის სჭირდებოდაო. თავს დავდე, ეს სიტყვები ეწერა: „ამ საქმისთვის სჭირდებოდა“. რა მარტივი იქნებოდა, უფროსებისთვის მეკითხა და მათაც ისე ბუნებრივად აეხსნათ უცხო სიტყვა და მისი არც ისე ღრმა აზრი, თითქოს „მელიორაციის“ ან „აერონავიგაციის“ მნიშვნელობას მიხსნიდნენ (ახლახან მითხრა დედაჩემმა, რომ ჰომოსექსუალური პრაქტიკის შესახებ მხოლოდ ოცდათხუთმეტი წლისას შეუტყვია ერთ სასამართლო პროცესზე, სადაც არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი მკვლელობის საქმეს განიხილავდნენ. თანაკლასელების შელაპარაკება ტრაგიკულად დასრულებულა. ერთს მეორისთვის ისეთი სიტყვებით მიუმართავს, რომელთა არსში სიღრმისეულად გარკვევამაც დედაჩემი ფრიად განაცვიფრა – კარგა ხანს ვერ ვიჯერებდი, რომ ერთი სქესის ადამიანებს შორის ასეთი რამ მართლა შეიძლება მომხდარიყო).

13 წლისას მეგონა, რომ თუ ძალიან ბევრს ვიფიქრებდი სექსსა და სექსუალობაზე, ყველა კითხვას პასუხს გავცემდი, ყველა საიდუმლოს ბოლომდე

ამოვხსნიდი. სხვების დაუხმარებლად. მხოლოდ და მხოლოდ ინტუიციისა და ანალიზის უნარის წყალობით. უნგრული რომანიდან გამოყოლილი ახალი სიტყვა და აუხსნელი ეპიზოდი კი ერთ-ერთი იყო იმ მთავარ საკითხებს შორის, რომლებსაც გონებით დროდადრო ვუბრუნდებოდი – მინდოდა, უფრო ღრმად გამეაზრებინა, უფრო ახლოს მივსულიყავი არსთან, რომლის მოხელეობასაც ვერა და ვერ ვახერხებდი.

ეს ძველი ამბავი ცოტა ხნის წინ ნანახმა „მთვარის შუქმა“ გამახსენა – ფილმმა, რომელიც ამერიკის კინოაკადემიამ წლის საუკეთესო ფილმად დაასახელა. პატარა შავკანიანი ბიჭი, რომლისთვისაც სამყაროს ყველა კარი დაკეტილია (ერთის გარდა – მასზე ნარკომოვაჭრე და მისი შეყვარებული ზრუნავენ, როგორც შეუძლიათ), მაყურებლის თვალწინ იბრდება და იქცევა იმად, ვინც ვერც ერთ შემთხვევაში ვერ იქნებოდა, გულის ხმისთვის რომ მოესმინა. დედა, მასწავლებლები, კლასელები, ნაცნობები – უყურებენ და სხვა ადამიანს ხედავენ, უყურებენ და თითქოს გამოხედვითაც კი აიძულებენ, სხვა ადამიანი გახდეს.

მეტს აღარაფერს ვიტყვი – თავად გაადევნეთ თვალი ქაირენის ცხოვრების გზას.

გულის ხმას ხშირად ფარავს სხვა ხმები – ყოვლისმცოდნე აღმზრდელების, ცნობისმოყვარე მეგობლებისა და ნაცნობ-მეგობრების, განსხვავებულისადმი მტრულად განწყობილი საზოგადოების. მეორე მხრივ, რა უნდა უპასუხო მობარდს, როცა რაღაც ისეთის ახსნას გთხოვს, რამაც წარმოდგენა არ გაქვს და, შესაბამისად, შიშის თვალთი უყურებ?

დასამალი არ არის, რომ საბჭოთა ეპოქიდან გამოყოლილი დამოკიდებულებები ისევ დიდწილად განსაზღვრავს იმ ქვეყნის წიაღში დაბადებულთა წარმოდგენებს: არცოდნა დიდი დანაშაულია, სტერეოტიპული პასუხები – დანაშაულის შენიღბვის ყველაზე ნაცადი გზა. ამის თვალსაჩინო ნიმუშად ჰომოსექსუალებისადმი დამოკიდებულებაც გამოდგება. იმის ნაცვლად, რომ ცნებებში გაერკვეს და იოლად ხელმისაწვდომ ინფორმაციას გაეცნოს (ორისადმი მოკლე სტატიის წაკითხვაც საკმარისი იქნებოდა), ხშირად მშობელი თუ მასწავლებელი დაშინების, დაცინვის, შეურაცხყოფის, იძულებითი გამოსწორების გაკვალულ გზას ირჩევს და სრული გაუცხოებისკენ უბიძგებს მას, ვისაც ისედაც ეჩვენება, რომ ირგვლივ ყრუ კედლებია და სხვა არაფერი.

– მე პედერასტი ვარ? – ეკითხება „მთვარის შუქის“ პატარა ბიჭი თავის მფარველსა და უფროს მეგობარს, სწორედ იმ ნარკომოვაჭრეს, რომელიც შესაშური ტაქტით პასუხობს ამ შეკითხვას.

წარმოვიდგინე, ეს სცენა რომ სადღაც სხვაგან გათამაშებულიყო – ჩვენთან უფრო ახლოს. წარმოვიდგინე ყველა შესაძლო პასუხი.

ქაირენს აშკარად გაუმართლა. ხშირად ის ერთი კარიც დახურულია ხოლმე.

სქესის საკითხი

პირველი წიგნი, რომელიც მეორეკლასელმა სასკოლო ბიბლიოთეკიდან გამოვიტანე, არკადი და ბორის სტრუგაცკების „მეწამული ღრუბლების ქვეყანა“ იყო. მახსოვს, სიტყვა „მეწამულის“ მნიშვნელობა არ ვიცოდი და შინ მისვლისთანავე ვიკითხე. როგორც ჩანს, წიგნის არჩევისას ჩემი ყურადღება დარჩენილმა ორმა სიტყვამ მიიპყრო – ვინ იცის, რა წარმოვიდგინე მის გაღაშლამდე, რა მოლოდინით დავიწყე კითხვა, რამდენიმე გვერდს კი ვერაფრით გავცდი. არ გამოდგა ის საკითხავი, რომელსაც თუნდაც ყველაზე მონდომებული მეორეკლასელი რამეს გაუგებდა.

წაუკითხავად დარჩენილი ეს წიგნი ურსულა ლე გუინის „წყვდიადის მარცხენა ხელმა“ გამახსენა. „ფანტასტიკური ბიბლიოთეკის“ სერიით გამოცემულ წიგნებს ერთი კარგი გოგოსთვის ვყიდულობ ხოლმე და, სიმათლემ რომ ვთქვა, ძირითადად იმიტომ ვკითხულობ, მასთან სასაუბრო კიდეც ერთი თემა რომ მქონდეს. ურსულა ლე გუინის რომანი სწორედ იმის შესახებაა, რაც ყველაზე მეტად აინტერესებთ ბავშვობასა და დიდობას შორის მოქცეულ, ყოველდღიური ამოცანების სირთულით შეწუხებულ, სამყაროს მთავარი გამოცანის წინაშე აღმოჩენილ გოგოებს. როგორც ვიცი, ბიჭებსაც.

სქესი. ერთიც და მეორეც. საკუთარ სხეულზე დაკვირვება. საკუთარი სხეულის შესწავლის მცდელობები. სად იწყება და სად მთავრდება. რა იწყება და რა მთავრდება. ის, რითაც მეორე ადამიანისგან განსხვავდები. ის, რითაც სხვებს ჰგავხარ და სხვების ნაკვალევს მიჰყვები – დიდ ნაფეხურებში პატარა ფეხებს ადგამ, დაკვირვებით, დაძაბული გამომეტყველებით.

სქესის საკითხი მტანჯველი საკითხია. ამიტომაც არის ურსულა ლე გუინის წიგნის მთავარი გმირის გვარი „აი“ – ტკივილის გამომხატველი წამოძახილი. ის ერთადერთი დედამიწელია, რომელსაც წიგნის გვერდებზე ვხვდებით – შორეულ პლანეტაზე მეტად მნიშვნელოვანი მისიით წარგზავნილი, ამ პლანეტის მკვიდრთა აზრით, მუდმივად აღგზნებული, სქესობრივი კავშირისთვის მზადყოფი, ანუ გარყვნილი. „ვიღაცამ უცხოპლანეტელზე“ ჩამოაგდო

სიტყვა და როცა სახელი ვიკითხე, ადამიანის ყელიდან ამოჭრილი ტკივილის გამოხატველი შეძახილი გავიგე. ახლა სძინავს. მკლავები უცახცახებს – კუნთების დაღლის ბრალია. ჩვენ გარშემო მთელი სამყარო – ყინული და ქვა, ფერფლი და თოვლი, ცეცხლი და წყვდიადი – თრთის, იგრიხება და ბუტბუტებს. წუთის წინ გარეთ გავიხედე. წყვდიადის თავზე დამხობილ ღრუბლებში ვულკანი მკრთალი წითელი ყვავილივით ელვარებდა, – წერს დღიურში ესტრავენი, წიგნის ყველაზე მომხიბვლელი გმირი, ამ ყინულის, ფერფლისა და წყვდიადის შვილი.

მეშვიდე თავში, რომელსაც „სქესობრივი საკითხი“ ეწოდება, შთამბეჭდავად არის მოთხრობილი შორეული პლანეტის მკვიდრთა ფიზიოლოგიურ თავისებურებებზეც და ამ თავისებურებებით განსაზღვრულ სოციალურ კავშირებზეც. მთავარი განმასხვავებელი ნიშანი მათსა და დედამიწელებს შორის ისაა, რომ იქაურები ანდროგინული არსებები არიან, სქესობრივი ციკლის უმეტეს ნაწილს სომერის ფაზაში ატარებენ – სქესობრივად არააქტიურები. კემერის, ანუ ურთიერთლტოლვის ფაზა რამდენიმე დღე გრძელდება. სწორედ ამ დროს ხდება სქესის განსაზღვრა – კემერში მყოფი, პარტნიორის გავლენით, ან ქალად იქცევა, ან კაცად. ამ ფაზის დასრულების შემდეგ კი ის ისევ სრულყოფილ ანდროგინად გვევლინება. „მათი საზოგადოებრივი წყობილება, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა და ვაჭრობა, მათი დასახლებების სიდიდე, მათი თქმულებებისა და ამბების შინაარსი – ყველაფერი სომერ-კემერის ციკლს არის მორგებული. თვეში ერთხელ ყველა ისვენებს; კემერში მყოფს, ვინც უნდა იყოს იგი, არავინ აიძულებს და ავალდებულებს რამის კეთებას [...] ვნებების ყოველთვიურ ტანჯვასა თუ ზეიმს ყველა გზას უთმობს“.

რადგანაც პლანეტა გეტენზე ნებისმიერი არსება შეიძლება ქალი და დედა გახდეს, იქ არ არსებობს ის განსხვავება, რაც სხვა პლანეტებზე ქალებისა და კაცების ყოველდღიურ რუტინასა თუ სოციალურ როლებს შორისაა. უფლება-მოვალეობებს თანაბრად ინაწილებენ, თანასწორობის იდეალიც მეტ-ნაკლებად მიღწეულია. რაც უფრო წარმოუდგენელ სივრცეებს სწვდება მწერლის წარმოსახვა, მით უფრო საგრძნობი ხდება მისი ირონია. წიგნიც, აღწერილი დრამატული მოვლენების მიუხედავად, სულ უფრო სახალისო საკითხავად იქცევა.

მოზარდობის ხანაში, როცა მეტისმეტად ბევრს ფიქრობ სქესთან დაკავშირებულ ყველა წვრილმანზე, მუდმივად რაღაცის ამოხსნასა თუ განსაზღვრას ცდილობ, ურსულა ლე გუინის „წყვდიადის მარცხენა ხელი“ მართლაც საჩუ-

ქარია – გამოწვდილ ხელში ჩადებული ფილოსოფიური სათამაშო. ავტორი სააზროვნო ამოცანებს გთავაზობს და იქვე გახსენებს, როგორი დამღუპველი შეიძლება იყოს ზედმეტი სერიოზულობა: „გაითვალისწინეთ: შვილს მამასთან ან დედასთან ფსიქოსექსუალური კავშირი არ აქვს. ზამთარზე ოიდიპოსის მითი არ არსებობს“.

ცხოვრება ოიდიპოსის მითის გარეშე. ცხოვრება მტანჯველი სექსუალობისა და მუდმივი ურთიერთლტოლვის გარეშე. შეიძლება ითქვას, რომ შორეულ პლანეტაზე თითქმის სამოთხეა – წყვდიადში გაწოლილი ღრუბლების ქვეყანა.

ზამთარი პლანეტა გეთენის მეორე სახელია.

ემილ ჩორანის ცხრილი

აღმოვაჩინე, რომ რაც უფრო ხშირად ვკითხულობ ემილ ჩორანს – რუმინელ მწერალსა და ფილოსოფოსს (სხვა ჯერ ფილოსოფოსს დაწერდა და მერე – მწერალს, მაგრამ ჩემთვის ისეა, როგორც დავწერე) – მით უფრო კარგად ვგრძნობ თავს: მეჩვენება, რომ სწორ გზაზე ვდგავარ, რომ ჩემი ფიქრები მართლმად პოულობენ სწორ მიმართულებას, რომ თავის დასამშვიდებლად, უსიამოვნო მოულოდნელობების გასაძლევად, ყოველდღიური ყოფის ასატანად სხვა აღარაფერი მჭირდება. ისე გამოდის, რომ ეს უკიდურესად პესიმიستيკაცი ცხოვრების ხალისსაც კი მაძლევს.

ივლის-აგვისტოს გაუსაძლის სიცხეში ყოველდღე ვუბრუნდებოდი, საანეს-თეზიო საშუალების მცირე ულუფებივით ვიღებდი მის მოკლე-მოკლე გამონათქვამებს და თან ვფიქრობდი, ოცდამეერთე საუკუნეში უნდა ეცხოვრა, ფეისბუკის ხანას უნდა მოსწრებოდა-მეთქი. მართალია, უზომო ნიჭილივით გაჯერებულ მის ჩანაწერებს მკითხველ-გამზიარებელი ბევრი არ ეყოლებოდა, მაგრამ თავის მიზანს მაინც მიაღწევდა: ზოგ-ზოგიერთების გონებაში გზას გაიკვლევდა და იქ სამუდამოდ დაიბუდებდა, მზაკვრული საქმის უჩუმრად გასაგრძელებლად, ტკბილად ჩაძინებულის თანდათან გამოსაფხიზლებლად, გაურკვევლობის ნეტარებაში მყოფისთვის თვალის ასახელად.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ჩორანის ბოლომდე ნდობა არ შეიძლება. ისეთი მოაზროვნეა, სერიოზულობასა და არასერიოზულობას შორის გადებული ვიწრო ხიდზე სწრაფად სირბილი რომ უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს. წამს აქეთაა, წამს – იქით. თვითონ არაფრით დამეთანხმებოდა, გაჩენის დღეს კიდევ ერთხელ დაიწყებდა და ყოველგვარ სიამოვნებას არარსებობის მომხიბვლელ პერსპექტივას დაუკავშირებდა. აი, საიდან ამოიზარდა მიშელ უელბეკის სამწერლო სტილი-მეთქი, ამასაც ვფიქრობდი. მეტად თავისებური იუმორი. შავ ფონზე გაბნეული ბაფრანისფერი წვრილი ყვავილები.

„ნეტავ იმ ბავშვებმა, რომლების ამქვეყნად მოვლინებაც არ ვისურვე, თუ იციან, რა დიდ ბედნიერებას უნდა მიმადლოდნენ“, – ეს ემილ ჩორანის ერთ-ერთი ყველაზე ხშირად მოხმობილი გამონათქვამია. სხვაგან წერს, მომავლის ჩემულის ხედვა ისეთი ზუსტია, შვილები რომ მყავდეს, თვალის დახამხამებაში

დავახრჩობდიო. უელბეკიც წერს ბავშვების სიძულვილზე ერთ რომანში, მაგრამ სწორედ ამ რომანის დასასრულს მისი მთავარი გმირი – სასტიკ სამყაროში სიყვარულის შესაძლებლობის აღმოჩენი და უკვე საბოლოოდ დარწმუნებული საკუთარი გადაწყვეტილების სისწორეში – აზიის შორეულ ნაწილში დასახლებაზე, საყვარელ ქალზე დაქორწინებასა და შვილებზე იწყებს ფიქრს. სხვა საკითხია, რომ მწერალი ამის საშუალებას არ აძლევს – ცხადია, მისი ამოცანა მთავარი გმირის გაბედნიერება სულაც არაა.

ისევ ჩორანს დავუბრუნდეთ. ამჯერად ბოლომდე ვიზიარებ მის მოსაზრებას (შვილების დახრჩობაზე... გეთანხმებით, ზედმეტი მოუვიდა): „შვილები, რომლებიც არ წითლდებიან მშობლების უბადრუკობაზე, ბოლომდე განწირულები არიან ასეთივე უბადრუკობისთვის. ისე არაფერი ანადგურებს შემოქმედებით უნარს, როგორც იმ ადამიანებით აღფრთოვანება, რომლებმაც ამქვეყნად მოგვაგვლინეს“. ის, რაც „შემოქმედებითი უნარის განადგურებად“ ვთარგმნე, ფრანგულად (ჩორანი რუმინულადაც წერდა და ფრანგულადაც) იმ სიტყვით გადმოიცემა, რომელიც, პირველ რიგში, სტერილიზაციას აღნიშნავს. და რამდენ მშობელს მოუხერხებია შვილების სრული „სტერილიზაცია“ – ერთგვარი გაუვნებელყოფა საზოგადოებაში მშვიდი და უშფოთველი ცხოვრების გასაგრძელებლად?!

და ცხრილი. ცხრილი, რომელიც სათაურშია ნახსენები. ყველაზე საგულისხმო აღბათ ესაა იმ ყველაფრიდან, რასაც ჩვენი მწერალი და ფილოსოფოსი ბავშვებზე ამბობს: „ერთადერთი რამ, რაც ყმაწვილებს უნდა ვასწავლოთ, არის ის, რომ არაფერს, თითქმის არაფერს უნდა ელოდონ ცხოვრებაში. წარმოვიდგინოთ „იმედგაცრუებების ცხრილი“, რომელშიც ყველა ის გულგატეხილობა იქნება აღნიშნული, თითოეულს რომ ელოდება. ცხრილი, რომელსაც სკოლებში გამოვაკრავთ“. უბრალოდ, წარმოვიდგინოთ – ჩორანი მეტს არაფერს გვთხოვს. ცხოვრების ბნელ მხარეზე ყურადღების გამახვილება არც მშობლებს უყვართ და არც მასწავლებლებს. არადა, ტკივილი, იმედგაცრუება, დანაკარგის განცდა, ხელმოცარულობა, მოულოდნელი ღალატი, დაუძლეველი შიში, სრული სასოწარკვეთა – მოკლედ, რა აღარ გვემუქრება, რას აღარ მოუცლია ჩვენთვის. ცხოვრების ამა თუ იმ ეტაპზე თითოეულისთვის თვალის გასწორება მოგვიწევს, იმის მიუხედავად, რა მითებითა და ზღაპრებით გვზრდიდნენ, როგორ ბედნიერ, უბრუნველ ცხოვრებას გვპირდებოდნენ, თუ ბრდილობიანად მოვიქცეოდით, კარგად ვისწავლიდით, წიგნების კითხვას შევიყვარებდით და დედას და მამას გულს გავუხარებდით.

სჯობია, თავიდანვე იცოდნენ. სჯობია, ბავშვებს არ დავუმალოთ, რომ ბევრჯერ გაუტყდებათ გული, ბევრ სიძნელეს გადააწყდებიან გზაზე – მეტისმეტად რთულ გზაზე. მერე შეგვიძლია კედელზე გაკრულ წარმოსახვით ცხრილს გავხედოთ და ხელის სწრაფი მოძრაობით ჩამოვხსნათ კიდეც.

ამტანობის შესამოწმებელი ტესტები

„ცხოვრება ამტანობის შესამოწმებელი ტესტების რიგია. ჩააბარეთ პირ-ველი ტესტები, ჩაიჭერთ დანარჩენებში. გაიფუტეთ ცხოვრება, მაგრამ ბოლომდე არა. და იტანჯეთ, ყოველთვის იტანჯეთ. ყველა უჯრედით ტკივილის შეგრძნება უნდა ისწავლოთ. სამყაროს თითოეული ნამსხვრევი პიროვნულ ტრილობად აქციეთ. მიუხედავად ამისა, სიცოცხლე გააგრძელეთ – გარკვეული დროის განმავლობაში მაინც“, – წერს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე ანგარიშგასაწევი თანამედროვე მწერალი მიშელ უელბეკი გასული საუკუნის ბოლო ათწლეულში გამოქვეყნებულ ესეში „სიცოცხლის გაგრძელება. სახელმძღვანელო“. უკიდურესი გულწრფელობითა და მეტად თავისებური იუმორით დაწერილი ეს „სახელმძღვანელო“, პირველ რიგში, იმ ახალგაზრდებისთვისაა განსაზღვრული, რომლებსაც მწერლობის საბედისწერო გზაზე შედგომა გადაუწყვეტიათ. ზოგადად კი, ყველა მკითხველისთვის საგულისხმო და დამაფიქრებელი უნდა იყოს ის მოსაზრებები, რასაც ამ პატარა ტექსტში ამოიკითხავს.

„სიცოცხლის გაგრძელება“, სიტყვასიტყვით „ცოცხლად დარჩენა“ (Rester vivant: méthode – ეს ესეს ფრანგული სათაურია), დიდი ხნის წინ რუსულ ლიტერატურულ ჟურნალში წავიკითხე და ორიოდ წელში ვთარგმნე კიდეც. ფრანგი მეგობარი, რომელსაც წიგნის გამოგზავნა ვთხოვე, ვერაფრით ხვდებოდა, რად ავიხირე ამ უხიაგი, უხალისო, სიცოცხლემოძულებული კაცის წიგნების კითხვა თუ თარგმნა. არც კი მიცდია, ამეხსნა, როგორ მამხნევებდა და სასიცოცხლო ძალას მაძლევდა მიშელ უელბეკი, როგორ მახალისებდა მისი მოულოდნელი ხუმრობა, როგორ მეხმარებოდა გადაწყვეტილებების მიღებისას ის, რასაც მის წიგნებში ვკითხულობდი. სამყარო ორ ნაწილად გაიყო: ერთ მხარეს იყვნენ ფრანგი მწერლით მოხიბლული მკითხველები, ვისაც მისი წიგნები რაღაც ახალს ეუბნებოდა საკუთარ თავზეც და თანამედროვე მსოფლიოს მამოძრავებელ მექანიზმზეც, მეორე მხარეს კი – ისინი, ვისთვისაც ეს მხოლოდ და მხოლოდ დამთრგუნველი, გულისგამაწვრილებელი საკითხავი იყო.

„ჭრილობების მიყენებისას ცხოვრება ერთმანეთს უნაცვლებს ვერაგულ და პირდაპირ, უხეშ დარტყმებს. ეს ორი რამ უნდა განვასხვაოთ. ივარჯიშეთ. სრულყოფილი ცოდნა შეიძინეთ. გაარკვიეთ, რა ყოფს მათ და რა აერთიანებს. ასე ბევრი წინააღმდეგობა გადაიჭრება. ეს თქვენს სიტყვას მეტ ძალასა და წონას შესძენს“, – ესეში მრავლადაა ამგვარი რჩევა-დარიგებები, ბოლომდე გასა-ზიარებელიც და მხოლოდ მკითხველის სახეზე ღიმილის გასაჩენად ნათქვამიც. და რადგან ჩვენ წინ „სახელმძღვანელო“, ყურადღებით უნდა დავაკვირდე თითოეულ შეგონებას და კარგად გავიაზროთ – მაინც საით გვიბიძგებს ავტორი? რა მიმართულებით სვლას გვთავაზობს? აქვე უნდა დავამატოთ, რომ მომაკვდინებელი სერიოზულობა საბოლოოდ აგვაცდენდა გზას – ზოგიერთი მოსაზრების მიზანი მხოლოდ ისაა, რომ გავიღიმოთ, შვება ვიგრძნოთ, გულს შემოყრილ დარდს მშვიდად შევხედოთ.

მწერლის მთავარი მოწოდება კი ასეთია: უნდა ვიცოცხოლოთ! როგორ შეუძლებელ ამოცანადაც უნდა გვესახებოდეს, სიცოცხლეც უნდა გავაგრძელოთ და წერაც, აზროვნებაც. მკვდარი მწერალი ველარაფერს დაწერს! – გვახსენებს მიშელ უელბეკი და ალბათ ღიმილის დასამალად პირზე ხელსაც იფარებს.

სწორედ ასეთი დამამახსოვრდა – პირზე ხელაფარებული. 25 ივნისს რუსთაველის თეატრში მის გამოჩენას მკითხველებით საცეს დარბაზი გამაყრუებელი ტაშით შეხვდა. რამ უნდა გაიძულოს, ასე ხმამაღლა გამოხატო გრძნობები? ცხადია, მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულმა. საქართველოში მართლაც ბევრმა შეიყვარა მიშელ უელბეკი და მისი წიგნები, რაც, სიმართლე უნდა ვთქვა, ყოველთვის მიკვირდა და მიხაროდა კიდეც. გულწრფელი იყო ის სიხარულიც, მათ რომ ვამჩნევდი, ვინც იმ დღეებში ფრანგი მწერლის გარშემო ტრიალებდნენ და ამ გულჩათხრობილი კაცის მცირე ხნით გაბედნიერება, მისთვის სამყაროს ნათელი მხარის ჩვენება უნდოდათ.

მე კი მწერლებზე მეტად ყოველთვის წიგნები მაინტერესებდა. დიდი მოლოდინით მხოლოდ მათ შევცქეროდი. წიგნების კითხვა, წაკითხულზე ფიქრი, მწერლის თავში გაჩენილი აზრების საკუთარი არსების ნაწილად ქცევა ბევრად უფრო დიდ სიახლოვედ მესახებოდა. რას შეიძლება ელოდე თუნდაც ყველაზე საყვარელ მწერალთან შეხვედრისგან? რას იტყვის ისეთს, რაც უფრო დალაგებულად, უფრო მშვენიერი ფორმით წიგნებში არ უთქვამს? დიდი-დიდი, მისი რომელიმე მოულოდნელი ჟესტი დაგამახსოვრდეს...

„არ უნდა იბრძოლოთ. მოკრივეები იბრძვიან, პოეტები – არა“. რამდენჯერ გამხსენებია მიშელ უელბეკის ეს სიტყვები და მათი ხმამაღლა თქმა ბოლო

წუთს გადამიფიქრებია. „სახელმძღვანელოში“, საერთო განწყობის გათვალისწინებით, ისინი სიმძიმეს მოკლებული და მარტივად მისაღებია, ჩემი პირით გამეორებულს კი შესაძლოა საწინააღმდეგო შედეგი გამოეღო და საბრძოლოდ შემართული პოეტები თუ სხვები კიდევ უფრო წაექეზებინა.

სხვა შეგონებებიც მახსოვს. სხვადასხვა დროს გამითვალისწინებია კიდევ. უნდა გააგრძელო! პასუხისმგებლობა ბოლომდე უნდა აიღო!

ჩინური გაკვეთილი

– ველოსიპედით სეირნობისას მოსახვევში არ შეუხვით, – უთხრა დედამ შვიდი წლის გოგონას.

– რატომ? – გაუკვირდა იმას.

– იმიტომ, რომ ვეღარ დაგინახავ. დაეცემი და აღვრივდები, მე კი ვერაფერსაც ვერ გავიგონებ.

– საიდან მოიტანე, რომ დავეცემი? – ჩაიფრუტუნა გოგონამ.

– ასე წერია „ბოროტების ოცდაექვს კარიბჭეში“. იქ ისეთ ცუდ რამეებზე წერია, რაც ბავშვებს მაშინ ემართებათ, როცა სახლისგან შორს იმყოფებიან და სახლი ვეღარ იცავს მათ.

– არ მჯერა შენი. აბა, მაჩვენე ეს წიგნი.

– ჩინურად არის დაწერილი. ვერაფერს ვერ გაიგებ. ამიტომ მე უნდა მომისმინო და დამიჯერო.

– და რა არის ეს ცუდი რამეები? მომიყევი, რა არის ეს ოცდაექვსი ცუდი რამე? – მოითხოვა გოგონამ.

დედა კი იჯდა და მშვიდად ქსოვდა.

– რა არის ის ოცდაექვსი რაღაც? – დაიყვირა გოგონამ.

დედას პასუხი არ გაუცია.

– არ ამბობ, იმიტომ რომ არ იცი! არაფერიც არ იცი!

გოგონა ეზოში გამოვარდა, ველოსიპედს მოახტა და გააქროლა. ერთი სული ჰქონდა, დედის თვალს მიფარებოდა. ამ სიჩქარეში მანამდე დაეცა, სანამ მოსახვევამდე მიაღწევდა.

ეს პატარა ტექსტი თანამედროვე ამერიკელი მწერლის, ემი ტანისაა. 1989 წელს გამოსული „ილბლისა და სიხარულის კლუბი“ (The Joy Luck Club) მეტად გახმაურებული წიგნია. ავტორს – ჩინელი ემიგრანტების ამერიკაში დაბადებულ ქალიშვილს სახელიც მოუტანა, აღიარებაც და დიდი სიხარულიც. 1993 წელს უეინ ვანმა – ორი წლით ადრე, სანამ პოლ ოსტერთან ერთად „ბოლს“ გადაიღებდა – მისი მიხედვით ფილმი გადაიღო.

ემი ტანის სახელს პოლ ოსტერისა და ჯონ მაქსველ კუტბეის მიმოწერის თარგმნის დროსაც გადავაწყდი – ისეთი განცდა მქონდა, თითქოს ძველი ნაცნობი მოულოდნელ ადგილას დავინახე. დიახ, აქ ყველაზე ნაკლებად ველოდი ჩინური წარმოშობის ამ შესანიშნავი მწერლის გამოჩენას. პოლ ოსტერი მეგობრად მოიხსენიებს და ერთ საგულისხმო ამბავსაც ჰყვება, თუმცა ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს...

ემი ტანი ამერიკაში გამოცემულ ერთ ანთოლოგიაში აღმოვაჩინე ძალიან დიდი ხნის წინ. მასში ზემოთ ნახსენები „ილბლისა და სიხარულის კლუბის“ ერთ-ერთი მოთხრობა იყო შესული – ჩემი აზრით, საუკეთესო მოთხრობა „თამაშის წესები“, რომელშიც დედისა და მცირეწლოვანი ქალიშვილის ნაცნობი თემა სულ სხვა შუქშია წარმოჩენილი. შეიძლება ითქვას, რომ თექვსმეტივე მოთხრობა, რომლებსაც ეს წიგნი აერთიანებს, სწორედ ასეთია – მრავალჯერ განცდილს კიდევ ერთხელ ისე განგაცდევინებს, რომ საბოლოოდ გოცების უნარს კარგავ. აღარ გიკვირს, უცხო, უცნობი ადამიანი რომ ჰყვება შენს ამბავს, შენი ცხოვრების ისეთ წვრილმანებს, წესით, არავის რომ უნდა სცოდნოდა.

ერთმანეთთან ხილული თუ უხილავი ძაფებით დაკავშირებული თექვსმეტივე მოთხრობა დედებსა და ქალიშვილებზეა, დიდ ქალებსა და პატარა გოგოებზე, ცხოვრებისეული სირთულეებით შეშინებულ უფროსებსა და პასუხების ძებნაში თავგზაარეულ უმცროსებზე, ამერიკაში გადასახლებულ ჩინელებსა და ჩინური წარმოშობის ამერიკელებზე.

საერთო თემით გაერთიანებულ ყოველ ოთხ მოთხრობას წინ ისეთი ერთგვერდიანი ჩანაწერი უძღვის, რომლითაც ეს წერილი დავიწყე. ოდესღაც „თამაშის წესების“ თარგმნაც ვცადე – ნახევრამდე ვთარგმნე კიდევ... მშობლებისთვის სავალდებულო საკითხავის სია რომ შემედგინა, ამ მოთხრობას აუცილებლად შევიტანდი, რადგან ალბათ ბევრს გასჩენია სურვილი, მისი შვილი სხვებზე ცოტათი მეტი ყოფილიყო, გამორჩეული ნიჭი ჰქონოდა, დასაწყისშივე გაემართლებინა დედისა თუ მამის მოლოდინი. შვიდი წლის უევერლი, რომელსაც შინაურები მეიმეის ეძახიან, გასაოცარი სისწრაფით სწავლობს ჭადრაკის თამაშს და პარტიას პარტიაზე იგებს. შვილის წარმატებით ფრთაშესხმული დედა კი შეცდომას შეცდომაზე უშვებს – წრეგადასული ტრაბახი ერთია და გოგონას რჩევებსაც კი აძლევს, მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენაც არა აქვს ჭადრაკის თამაშის წესებზე.

უევერლის აღარაფერი დარჩენია სახლიდან გაქცევის გარდა...

დედა გეუბნება, რომ შავი უჯრები თეთრია და თეთრი უჯრები – შავი. დედა ლაზიერია, რომელსაც ყველა მიმართულებით მოძრაობა თავისუფლად შეუძლია და სადაც უნდა წახვიდე, ყველგან მოგწვდება. შენ ჯერჯერობით პაიკი ხარ – ყველაზე სუსტი, ყველაზე დაუცველი, მაგრამ თუ გზას ჯიუტად გააგრძელებ, იქნებ საწადელს მიაღწიო კიდეც. ოღონდ მანამდე ბევრჯერ წაიქცევი, ბევრჯერ გაიგონებ: „აი, ხომ გეუბნებოდი...“

ემი ტანის „ილბლისა და სიხარულის კლუბი“ ისეთი წიგნია, აუცილებლად რომ უნდა წაიკითხო, თუ წარსულთან მიბრუნებისა და იქიდან გამოხმობილი აჩრდილების არ გეშინია. მაშინაც უნდა წაიკითხო, თუ აწმყოში რაღაცის შეცვლა გინდა; თუ ხვდები, რომ რაღაცის გამოსწორება ჯერ კიდევ შეუძლებელია.

მიცკევიჩი და წიგნები ცეცხლში

წიგნებს მივადექი – ოთახის ერთ კუთხეში აღმართულ სვეტებს, რომლებსაც წელიწადში რამდენჯერმე ვშლი და თავიდან ვაწყობ ხოლმე. ყოველთვის მაფორიაქებს იმაზე ფიქრი, ზემოთ რომლები მოექცევა, რა კომბინაცია დახვდება უცხო თვალს და რა დასკვნის გამოტანის საშუალებას მისცემს. თაროები არ მაქვს. წიგნების სვეტები იატაკზე გადებული ძელიდან იწყება და ალბათ იმაზე მეტყველებს, რომ მათ პატრონს მწერლების ამოჩემა სჩვევია.

შარშან ერთი ფრანგი ჟურნალისტი გავიცანი, რომელმაც გულახდილად თქვა: წლებია, მხოლოდ ოთხ მწერალს ვკითხულობ: ტოლსტოის, დოსტოევსკის, პრუსტსა და სელინსო. რამდენჯერაც ეს სიტყვები გამახსენდება, იმდენჯერ გცდილობ, ამოჩემა მწერლების რიცხვი ოთხამდე დავიყვანო – თუნდაც რამდენიმე წამით დავიჯერო, რომ ასე ცხოვრება შესაძლებელია: ჩაი და პრუსტის ერთი გვერდი.

და დანარჩენი მწერლები სად არიან? რა მიზეზით შეყარა მათი წიგნები წარმოსახვის მოგიზიბე ცეცხლში?

დავფიქრდი: რომელ წიგნებს გავიმეტებდი ამწამსვე? ფურცელი ავიღე და გვარები და სათაურები ჩამოვწერე. ჯონათან ფრენზენის „შესწორებები“ – მესამედ რომ აღარ წავიკითხო და კითხვისას რამდენჯერმე არ მოვკვდე; ემილი დიკინსონის ლექსები – ერთი ზამთარი მაინც გავიდეს მათ გარეშე; ჰენრი ჯეიმსის დიდი წიგნი, სადაც მისი საუკეთესო ნაწარმოებებია – ადრე თუ გვიან ამ ტომის თავიდან წაკითხვის ცდუნებაც გამიჩნდება; როლან ბარტის „სასიყვარულო დისკურსის ფრაგმენტები“ – იმიტომ რომ ის ვარ, ვინც ვარ და ეს წიგნი სწორედ ამას მიმტკიცებს; ჯულიან ბარნსის *Levels of Life* (*Quand tout est d'en arriver*, როცა ყველაფერი უკვე მოხდა – სათაური ფრანგულად ასე უთარგმნიათ) – ძალიან მძიმეა, აუტანლად მძიმე; და ეს პატარა წიგნიც, რომელსაც ახლა ვფურცლავ – ადამ მიცკევიჩის „სვითეზელი ქალწული“, სადაც თედო ბექიშვილის ნათარგმნი ლექსები, ბალადები და სატრფიალო სონეტებია.

გამოცემის წელი: 1982. გამომცემლობა „მერანი“.

1982 წლის ზაფხულში რვა წლის ვიყავი, ადამ მიცკევიჩის „სვიტეზელი ქალ-წული“ კი პირველი წიგნი იყო, რომლის ამაყ მესაკუთრედაც ვიქეცი. დედაჩემი რაღაცას ყიდულობდა მაღაზიაში და ხურდის ნაცვლად ეს თხელი, იისფერ-ყდიანი კრებული მისცეს. იმანაც მაშინვე მე შემომხედა – გინდა, გაჩუქო?

მაღევე თითქმის ყველა ლექსი, ბალადა, სატრფიალო სონეტი ზეპირად ვიცოდი. ვკითხულობდი და ვკითხულობდი, ღამით კი სიზმარში ხვდავდი სვიტეზის ტბას, მდინარე ნემანს, ულამაზეს ტყეებს, ულამაზეს მარილას...

„იქროლეს ქარებმა. ცა ჩამოიბინდა.

წვიმა სდის ცრემლებად ღრუბლებს ჩამოწოლილს.

იქ, სადაც მშვენიობდა ბიბინა მინდვრები,

ძნელია, დაღანდო მომწვანო ფოთოლიც“.

„სალომეა ბეკის ალბომში“

არა, რვა წლის ბავშვის საკითხავი არ იყო. მაშინვე უნდა წაერთმიათ უფროსებს და დაეწვათ.

„მღელვარე ზღვაში მოქანავე ვით ორი ნავი,

ჩვენ ისე შევხვდით, დავუკარიტ ერთმანეთს თავი“.

„ალბომში კ. რ.-ს“

რა თქმა უნდა, წინააღმდეგობას გავუწევდი, წიგნის დაბრუნებას მოვინდომებდი, ხვეწნა-მუდარით გავაბეზრებდი, ვიშიმშილებდი...

„ალესილ ქვებზე ზვირთი მიმათრევს,

პირიც ამევსო შლამით.

აქ ველარ აღწევს ქვეყნის სინათლე –

ვარ მკვიდრი ბნელი ღამის“.

„თევზი“

წიგნთან მართო არ უნდა დავეტოვებინე. მეტი ყურადღება უნდა გამოეჩინათ, მეტი წინდახედულება.

„ალაგ ხრამი, ალაგ წყალი,

ცის შეკრულა ტერი.

ტყე ბნელი და გაუვალი
შიშის ხმაზე მღერის“.

„მროშანი“

ახლა რომ დავწვა, ვითომ რამე გამოსწორდება? საკუთარ თავს მშობლად
რომ ვექცე და ოთხი მწერლის კეთილგონივრულად არჩევაში დავეხმარო...

„ვით ელვა, რაღაც შუქი იალებს,
მიწას უჩნდება ბზარი,
საფლავებიდან ორომტრიალით
დგება აჩრდილთა ჯარი.
ხან გზად მობობლავს გვამი უთავო,
ხან თავი მოიხანს ბნელში,
თმააბურდული და უსუფთაო
მნახველს ჭკუაზე შეშლის.
ხან ბნელში მოიხანს ფრთები ურჩხულის,
კვალში მისდევენ სხვები.
მთელ ღამეს ისმის კვნესა-ჩურჩულის
გულშემზარავი ხმები“.

„მიყვარხარ“

კიდევ რამდენი სტრიქონის ამოწერა შეიძლებოდა... მახსოვს, ამ წიგნში
ყველაზე მეტად ბალადა „სვიტეზელი ქალწული“ მომწონდა – რვა წლისას
უკვე წარმოადგენა მქონდა იმაზე, როგორ თავბარდამცემად იცვლებოდა სი-
ნამდვილე ადამიანის თვალწინ, როგორ ცვლიდა მის მხერგს, აზრებს, წარმო-
სათქმელად გამზადებულ სიტყვებს. ადამ მიცკევიჩის ამ წიგნს მერეც ბევრჯერ
დავუბრუნდი – მოზარდობის წლებში, ზრდასრულობის წლებში – და ყოველ-
თვის ერთი და იგივე მეორდებოდა: იმ პირველი აღტაცებითა და განცვიფრე-
ბით ვკითხულობდი, ვიწყებდი და ვამთავრებდი.

და მაინც დავწვავდი. ჯერ ამას დავწვავდი და მერე – დანარჩენებს.

უსახელოთა სახელმძღვანელო

მეოთხე თუ მეხუთე კლასში ვიქნებოდი, მამაჩემმა უჩვეულოდ გრძელი ყუთი რომ შემოიტანა ჩემს საძინებელში და მითხრა: აქ ისეთი რამე დევს, ყველაზე ცუდ დროს, ყველაზე ბნელ დღეებში რომ გამოიყენებ და გადარჩები; როგორ დიდ გასაჭირშიც უნდა ჩავარდე, ამის იმედი გქონდეს – შეჭველად დაგეხმარებაო. გაოგნებული შევყურებდი. ვერ ვხვდებოდი, ან გულს რატომ მიხეთქავდა უფორმო, ბუნდოვანი საფრთხეების ხსენებით, ან ამ გრძელ მუყაოს ყუთში ისეთი რა უნდა ყოფილიყო, განსაცდელში ჩავარდნილის გადარჩენა რომ შესძლებოდა.

საქსოვი მანქანა აღმოჩნდა.

თავიდან თითქმის დავიწყებულ თოჯინებს კაშნეები და მოსასხამები მოვუქსოვე, მერე ჩემთვის მიწოდდა უსახელო სვითერის მოქსოვა, მაგრამ არაფერი – საშინელი არაფერი – გამომივიდა, ბოლოს კი დიდ სათამაშოდ აღქმული ამ მანქანის არსებობაც დამავიწყდა. როცა მართლა დადგა ბნელი დრო და პურის ფული მთელი ოჯახის საფიქრებელი გახდა, ის ვერც ვერაფერში დაგვეხმარა – უკვე დაუანგებულ-გაუბედურებული ეგდო სარდაფის კუთხეში.

სამაგიეროდ, წიგნს მივაგენი – შვეიცარიას თავშეფარებული უნგრელი მწერლის, აგოტა კრისტოფის „საერთო რვეულს“, რომელმაც მაფიქრებინა: როგორი ცუდი დროც უნდა დამიდგეს, როგორი განსაცდელისთვისაც უნდა მომიწიოს თვალის გასწორება, ეს პაწაწინა წიგნი ჩემს გადარჩენას შეძლებს-მეთქი. წინა საუკუნის ბოლო იყო და მუხლებზე რუსული თარგმანი მედო. მერე ფრანგულადაც წავიკითხე და ქართულადაც. ფრანგული კულტურის ცენტრიდან ტრილოგიის მეორე და მესამე წიგნებიც წამოვიღე. არ გაამართლა, ისევე, როგორც ამ მწერლის სხვა რომანებმა.

„საერთო რვეული“ კი ბრწყინვალეა, როგორც სახელმძღვანელო მათთვის, ვისაც რაღაცის სწავლა და იმ შემზარავი ჩიხიდან გამოღწევა უნდა, რომელში ჩარჩენილებიც ყოველდღე შავ მზეს უყურებენ.

1986 წელს გამოსულ ამ წიგნში ომი მხოლოდ და მხოლოდ ის ფარდაა, რომელმაც მთავარი და მეორეხარისხოვანი გმირების სილუეტები უფრო მკაფიოდ უნდა გამოკვეთოს. ორ ძმას – ტყუპებს – დედა ომის თანმდევ საფრთხეებს გამოარიდებს და სოფელში ჩამოიყვანს ბებიასთან, ვისაც ნაცნობი და უცნობი „კუდიანს“ უძახის – ქმრის მკვლელობას აბრალებენ და მის ხელში ჩავარდნილი ბავშვებიც გულწრფელად ეცოდებათ. „ძაღლის ლეკვები“, „ძაღლის დაყრილები“, „ტურტლიანი ლეკვები“, „ემშაკის ნაშიერები“ – ესეც ბებუის სააღერსო სიტყვები (ქართული თარგმანიდან ამოწერილი).

ბავშვები კი როგორღაც ხვდებიან, როგორ უნდა გადარჩნენ ამ უსაშინლეს სამყაროში, სადაც მსხვერპლად ყოფნა ერთადერთ შესაძლებლობად მოჩანს. სხვას არჩევანი არც ექნებოდა, მათ კი – აქვთ: სწავლა, შრომა, მუდმივი ვარჯიში შიმშილთან, ტანჯვასთან, ტკივილთან, უსიყვარულობასთან შესაგუებლად... ერთი მტრის ენას რომ ისწავლიან, განმათავისუფლებლად მოვლენილი მეორე მტრის ენის სწავლას იწყებენ. „საერთო რვეული“ კი მათი ერთგვარი დღიურია, სადაც რიგრიგობით აღწერენ თავს გადამხდარ ამბებს და ცდილობენ, ობიექტურობის იმგვარ ხარისხს მიაღწიონ, როგორითაც საკუთარ ცხოვრებას იშვიათად თუ უყურებს და აფასებს ვინმე.

„– ამის მერე ქათმის ან გოჭის დაკვლა როცა მოგინდეს, გვითხარი, ჩვენ დაგიკლავთ ხოლმე.

– რაო, ეს საქმე მოგწონთ თუ რა?

– არა, ბები, სწორედ იმიტომ, რომ არ მოგწონს, გვინდა, ამას შევეჩვიოთ.

– გასაგებია. ახალი ვარჯიშია. რას იხამ, ამჯერად მართლები ხართ. მოკვლაც უნდა შეგეძლოთ, თუკი საჭირო იქნება.

ჩვენ თევზებიდან ვიწყებთ. თევზს კუდით ვიჭერთ და თავით ქვას ვურტყამთ. მერე ვეჩვევით საჭმელად განკუთვნილი ფრინველებისა და ცხოველების – ქათმების, იხების, კურდღლების ხოცვას, მერე კი ისეთი რამეების ხოცვას, რომელთა დახოცვასაც აზრი არა აქვს. ვიჭერთ ბაყაყებს, ვაჭედებთ ფიცრის ნატეხზე და ვუფატრავთ მუცელს, ვიჭერთ პებლებს და ქინძისთავით მუყაოზე ვაბნევთ. სულ მალე პებლების მშვენიერი კოლეცია გამოგვდის“.

ბიჭების სახელები არ ვიცით. ხანდახან თვალზე ხელაფარებულები დაგყვებით სოფლის ბილიკებზე და რის დანახვაც გვინდა, მხოლოდ იმას ვხედავთ: როგორ ეხმარებიან მეზობელს, როგორ მიაქვთ საბანი და საკვები ტყეში ნაპოვნი დემერტირისთვის („არ გვინდა, კეთილები ვიყოთ. ეს ყველაფერი იმიტომ მოგიტანეთ, რომ თქვენთვის სრულიად აუცილებელია. ეგ არს და ეგ“)... ეს

პირველი წაკითხვაა, პირველი მიახლოება იმგვარ ობიექტურობასთან, რომლითაც არასდროს შეგვიხედავს საკუთარი ცხოვრებისთვის, არც ჩვენი სიტყვები, გადაწყვეტილებები, ქმედებები შეგვიფასებია.

საბოლოოდ ვხვდებით, რომ ყური ყველაზე ძნელად მოსასმენს უნდა შეეჩვიოს, თვალი კი – ყველაზე ძნელად დასანახს. ომი, ომის საფრთხეები არასდროს მთავრდება და თუ გადარჩენა გვინდა საშინელ, სასტიკ სამყაროში, სწავლა და შრომა, ალბათ, ერთადერთ გამოსავლად უნდა მივიჩნიოთ.

სწავლა. შრომა. სხეულის საწრთობი ვარჯიშები. გრძნობების საწრთობი ვარჯიშები.

„ბავშვების საათი“: მორალური და ამორალური

უილიამ უაილერის ამ ფილმს – 1961 წელს გადაღებულ „ბავშვების საათს“ – ჯონ მაქსველ კუტბე ალტაცებით იხსენებს რეჟისორის სხვა ნამუშევრებით მოხიბლული მეგობრისთვის, პოლ ოსტერისთვის მიწერილ ერთ წერილში: „დავასკვნენ, რომ გამბედაობით გამორჩეული ფილმია. უფრო ზუსტად, დავასკვნენ, რომ უაილერი იყო გამბედავი, რადგან ასეთი ფილმით წარსდგა ჰოლივუდელი „გუშაგების“ წინაშე (ჩემი ვარაუდით, ამის გაკეთებას 50-იან წლებში უფრო დიდი გამბედაობა დასჭირდებოდა)“. მთავარი როლის შემსრულებელი შირლი მაკლეინი კი საპირისპიროს ამტკიცებს ათწლეულების შემდეგ, როცა უკვე კინოკლასიკად ქცეული ფილმის გადაღებას იხსენებს: „უილიმ ყველა ის სცენა ამოჭრა, რომლებიც ჩვენს სიყვარულზე მიანიშნებდა. მაგალითად, ის, სადაც ოდრის თმას გვარცხნი. ერთმანეთს ფიზიკურად არც კი ვეხებოდით. ჩემი აზრით, უბრალოდ შეეშინდა“.

„ბავშვების საათი“ ორ ახალგაზრდა მასწავლებელზე გვიყვება – ძველ მეგობრებზე, რომლებმაც ენთუზიზმით წამოიწყეს საპასუხისმგებლო საქმე: სკოლა გახსნეს, სადაც მხოლოდ გოგონები სწავლობენ. სკოლა პატარაა, მასწავლებლები კი თავად აკეთებენ ყველაფერს – დაუზარებლად – საკლასო ოთახშიც და სამზარეულოშიც. საქებარი ამბავია, მაგრამ კუტბეს ალტაცებას ვერ გავიზიარებდი და ამ ფილმს ნახევრამდეც ვერ ვუყურებდი, რომ არა მართა დობის (შირლი მაკლეინი) სახე და განცდის, ტკივილის კვალი ამ სახეზე, რომელმაც პირველივე წუთებში მომნუსხა. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ მას უფრო მეტი სადარდებელი აქვს, ვიდრე ყველა სხვა გმირს – ერთად. და საკითხავი ის არის, საბოლოოდ ჩავიხედავთ მის გულში თუ ვერა?

ერთ დღეს მასწავლებლების ცხოვრებაში ყველაფერი იცვლება. ცილისწამების მსხვერპლად ქცეულნი, უსწრაფესად კარგავენ: მოსწავლეებს, მშობლებისა და საზოგადოების კეთილგანწყობას, საყვარელ საქმეს, რომელსაც დიდი დრო და ენერგია შესწირეს, აწმყოს, მომავალს... ენით აუწერელი საშინელება მათი ყოფა, როცა ვერავის ვერაფერს უმტკიცებენ. ერთი მოსწავლის დიდ ტყუილზე აგებული ბრალდება თანაბრად დამაჯერებელი აღმოჩნდება სასამართლოსთვის, ჟურნალ-გაზეთებისთვის, მთელი ქალაქისთვის. ქალებს

„არაბუნებრივი სექსუალური კავშირის“ გამო ჰკიცხავენ და დასცინიან. მათთვის ქუჩაში გასეირნებაც კი უკვე განსაცდელად იქცევა.

ერთადერთი, ვინც შერისხულ მასწავლებლებს გვერდით დაუდგება, კარენ რაითის (ოდრი ჰეპბერნი) საქმროა. სოფლად გადაგზარდეთ სამივე და იქ ახალი ცხოვრება დავიწყოთო, – ასეთი ამრიც კი გაუჩნდება. თავიდანვე გამაღიზიანებელია მისი სწორხაზოვანი დამოკიდებულება იმ ყველაფრის მიმართ, რაც ფილმში ხდება. ერთხანს ქალების სიმართლის სჯერა, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ეს არაფერს ცვლის – ისიც იმ საზოგადოების წევრია, რომელშიც გაიზარდა და რომელმაც ასწავლა, რომ სასწრაფოდ უნდა გააკეთოს არჩევანი თეთრსა და შავს შორის.

„არაბუნებრივი“ – ეს სიტყვა იმდენად ხშირად ისმის, რომ მეტისმეტად შემაწუხებელიც კი ხდება. ცხადია, სხვა ეპოქაა, სხვა წარმოდგენა მორალურსა და ამორალურზე. თავად მასწავლებლებიც კი ძალიან სამარცხვინოდ მიიჩნევენ, რომ სწორედ ასეთი რამ დააბრალებს – შემზარავი, თავზარდამცემი, წარმოუდგენელი. „ექვსი თითი და ორი თავი მაქვს. მახინჯი ვარ!“ – ეს მართას წამოძახილია. ვიღაც აბეზარის თავიდან მოშორებას ცდილობს ამ ფრაზით, მაგრამ ალბათ თვითონ უფრო მკაფიოდ ხედავს ამ ექვსთითიან და ორთავიან არსებას.

„სიყვარულმა შეიძლება სულაც არ მიგვიყვანოს იქ, სადაც გვეგონა, რომ მიგვიყვანდა. ან იმედი გვექნდა, რომ მიგვიყვანდა. მეორე მხრივ, რა შედეგიც უნდა მივიღოთ, ამ სიყვარულმა სერიოზულობისა და ჭეშმარიტების გზაზე უნდა დაგვყენოს. თუ ასე არ არის – თუ მის შედეგს მორალთან საერთო არაფერი აქვს – მაშინ ეს სიყვარული მხოლოდ სიამოვნების ერთ-ერთი – გაზვიადებული – ფორმა ყოფილა და მეტი არაფერი“, – ეს უკვე ჯულიან ბარნსია, რომელიც იქვე ამბობს: გლოვა კი, თავისი არსით, მორალს მიღმაა – თავს გვახვევს მოკუნტული ადამიანის თავდაცვით პოზას და გვაიძულებს, უფრო ეგოისტები გავხდეთო.

ამ ფილმში გლოვაცაა და გზის უცაბედად დანახვის სიხარულიც, ყველა გაგონილ ფრაზაში დაეჭვებაც და ჭეშმარიტების თვალისმომჭრელი შუქის შიშიც.

ყველაზე ამაღელვებელი კი დასასრულია, რომლის შესახებაც აქ ბევრს არაფერს ვიტყვი. დრამატული სიტუაცია უფრო და უფრო მძიმდება, მიუხედავად იმისა, რომ მანიპულატორ მოსწავლეს უპატიებელ ტყუილში ამხელენ და მასწავლებლებს ბოდიშს უხდიან, სხვადასხვაგვარ სიკეთესაც ჰპირდებიან. სწორედ მაშინ, როცა ყველაფრის მეტ-ნაკლებად გამოსწორების, ახალი წესრიგის შესაძლებლობა ჩნდება, მართა დობი მოულოდნელ გადაწყვეტილებას იღებს – ჩემი წარმოდგენით, გაუმართლებელ გადაწყვეტილებას. მორალი იქ არის, სადაც სიყვარულია და ის მზერაა, რომელსაც ის ემოში მიმავალ საყვარელ ადამიანს აყოლებს.

გლორიას გულისკენ

ის დრო იყო, როცა ჟურნალ-გაზეთებს ვიწერდით და მეგობრებს რამდენიმეგვერდიან ხელნაწერ წერილებს ვუგზავნიდით. სხვანაირად ვერც წარმოგვედგინა. კინო მიყვარდა და მოუთმენლად ველოდი იმ ქართულ თუ რუსულ ჟურნალებს, რომლებშიც კინოზე დაწერილის წაკითხვა, მსახიობების ფოტოების ნახვა, რაღაც ახლის მიგნება შეიძლებოდა. საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო ათწლეულის მეტ-ნაკლებად იდეოლოგიზებული გამოცემები კი იყო, მაგრამ სხვაგან სად ვნახავდი, თეთრბაფთიანი, სკოლის ფორმიანი მოსწავლე ჯესიკა ლენგისა თუ შირლი მაკლეინის ფოტოებს? ან როგორ შევითვალისწინებდი, რომ ინგმარ ბერგმანმა ბავშვებისა და ბავშვობის შესახებ გასაოგნებელი ფილმი – „ფანი და ალექსანდერი“ გადაიღო?

ერთი ვრცელი სტატიის სათაური დღემდე თვალწინ მიდგას: „ეკრანებზე „გლორიას“ გამოსვლის გამო“. რა თქმა უნდა, სიტყვაც არ მახსოვს ჯონ კასავეტის ფილმის იმ შორეული მიმოხილვიდან, მაგრამ არასდროს დამავიწყდება, როგორ მომინდა „გლორიას“ ნახვა და რა სასოწარკვეთით გავაცნობიერე მძაფრი სურვილის ასრულების შეუძლებლობა. ვხვდებოდი, რომ ჩემთვის – კითხვებისა და პასუხების თავბრუდამხვევ სიმრავლეში ჩაკარგული მოზარდისთვის ახალი კარი იღებოდა, ახალი სინამდვილისკენ მიმავალი გზა იწყებოდა. აქამდე ამ ფილმის მსგავსიც არაფერი უნდა მქონოდა ნანახი.

„გლორიას“ ყოველი ნახვისას მახსენდება მაშინდელი უმწეობა, სასოწარკვეთა, ბედთან შეგუების მწარე განცდა. ყოველ ჯერზე გამარჯვების სიხარულსაც ვგრძნობ – ახლა ხელს ველარაფერი შემთხვევის, შემთხვევა კადრი გავაჩერო და დიდხანს, თვალმოუშორებლად ვუყურო ჯენა როულენდს, მისი სახის, მზერის, ღიმილის წაკითხვა ვცადო.

ჯენა როულენდსი მთავარი გმირის, გლორია სვენსონის როლს ასრულებს – 40 წელს გადაცილებული, დამნაშავეთა სამყაროსთან დაახლოებული ქალისას, რომელსაც ბავშვები არ უყვარს და რომელიც თავისდა უნებურად იქცევა ექვსი წლის ობოლი ბიჭის მფარველ ანგელოზად. მეგობრობა და სიყ-

ვარული სწორედ იქ იწყება, სადაც, ერთი შეხედვით, ლოგიკური წინაპირობები არ არსებობს მათ გასაჩენად. ბიჭს პუერტორიკოელი მშობლები ჰყავდა, რომლებიც სრულიად განსხვავდებოდნენ გლორია სვენსონისგან – როგორც გარეგნული იერით, ისე ცხოვრების წესით. და მაინც, ამ პატარა გმირის უფრო გვესმის: გარემოებები აიძულებს, მეტისმეტად ადრე ჩაანაცვლოს დედა სხვა ქალით – პირველივე კაბის ბოლოს მაგრად ჩაეჭიდოს.

დაუვიწყარია მათი დიალოგები.

– გიყვარვარ?

– არა. თითქმის არც კი გიცნობ.

– მართლა?

– და რა გინდა?

– არ ვიცი. როცა იმრდები, უფრო გამბედავი ხდები და შეიძლება აღარც კი გეშინოდეს. ისე, როცა რაღაც ხმაური გესმის, გეშინია, აბა რა.

– მე არაფრის მეშინია.

– არც კომმარების?

– არა, არაფრის.

– სიმშრებს არ ხედავ?

– არა.

– ეს როგორ? უბრალოდ, თვალებს ხუჭავ და ყველაფერი შავდება?

– მოიცა! შენ რა, გინდა, რომ ამის გამო შემრცხვებს?

– არა, ვცდილობ, რაღაც გითხრა. ვცდილობ...

– რა-ა?

– ვინმე გყვარებია?

– დავივიწყე. შენზე სამოცი ფუნტით მეტი ვარ... მომასვენე ერთი...

ახლა ხომ ნათელია, რა ფილმია ჯონ კასავეტისის „გლორია“, რომელიც 1980 წელს გამოსულა და მაყურებლების გულებადმდე გზის გაკვალვაც მოუხერხებია. აბა, როგორ უნდა მეცხოვრა მისი ნახვის გარეშე?

მთავარი გმირის მოტივაციის გამოცნობა კი მართლაც ძალიან რთულია – რა აიძულებს ამ ქალს საკუთარი ცხოვრების ამოტრიალებას, მაფიოზურ კლანთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაბმას, უცნობი პატარა ბიჭის გამო თავის გაწირვას? ამას ვერასდროს შევიტყობთ. ვიღაც „დედობრივ ინსტინქტს“ ახსენებდა და მტკიცებას მოჰყვებოდა, რომ ქალს ბავშვები მაშინაც

კი უყვარს, როცა ხმამაღლა ამბობს, რომ არ უყვარს. მაგრამ ეს სარწმუნოდ არ მეჩვენება. უფრო დამეგობრების, შეყვარებისა და საკუთარი ანარეკლის სხვაში დანახვის ამბავი მგონია. ბოლომდე სასოწარკვეთილ გლორია სვენსონს ცხოვრება წარმოუდგენელ საჩუქარს უმზადებს – ამიერიდან მის არსებობას აზრმოკლებული ველარაფრით დაერქმევა. მზად იყო ამისთვის? ალბათ, არა, მაგრამ ალღომ უკარნახა, რომ არაფრის ფასად არ უნდა დაეთმო მისკენ ხელგამოწვდილი ბიჭის მომნუსხველი მზერა.

შესაძლებელია სრულფასოვანი, გულწრფელი, ამა თუ იმ ეპოქისათვის მისაღები წარმოდგენებით დაუმძიმებელი ურთიერთობა უფროსებსა და ბავშვებს შორის? ეს ის კითხვაა, რომელიც კასავეტისს უნდა გასჩენოდა – არა იმიტომ, რომ ერთმნიშვნელოვანი პასუხი გაეცა და აღმოჩენის სიხარული მაყურებლისთვის თავს მოეხვია. აქ უფრო დიდი სიხარულია – გადამდები, წინასწარ ნაგრძნობი. თითქოს ყოველთვის ვიცოდით, რომ გლორიას გული ღია იყო, მისკენ მიმავალი გზა კი მხოლოდ ერთი შეხედვით ჩანდა უსაშველოდ გრძელი, დაუძლეველი.

ლევან ლორთქიფანიძე

1	განათლების სისტემის ოქროს რგოლი	353
2	რა არის ავტონომია?	356
3	მასწავლებელი ქალები დამფუძნებელ კრებაში	358
4	მასწავლებელი სამოქალაქო პოზიციით	362
5	მასწავლებლობიდან მსოფლიოს ლიდერობამდე	365
6	მარიამ დემურია და მისი „ავჯალის აუდიტორია“	369
7	გმირი მასწავლებლები – ისიდორე რამიშვილი	372
8	მოვლენა, რომელიც სახელმძღვანელოებში ვერ მოხვდა	375
9	საბჭოთა ადამიანი ცოცხალია	378
10	სიტყვის თავისუფლების დილემა	281
11	პარასკევი მომავლისათვის	384
12	შინაური მღვდლის ამბები	386

განათლების სისტემის ოქროს რგოლი

სხვადასხვა კონტინენტზე მცხოვრები ათასობით ახალგაზრდა ცოდნის ასამაღლებლად ევროპაში დამკვიდრებას ცდილობს. მეცნიერთა მნიშვნელოვან ნაწილსაც მიაჩნია, რომ ევროპული ტიპის განათლების სისტემა ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური და შედეგიანია.

რა განაპირობებს მის პროდუქტიულობას?

გონივრულად ორგანიზებული საბავშვო ბალები, რამდენიმე საფეხურზე გაშლილი მრავალფეროვანი სასკოლო სტრუქტურები, თვითრეალიზებაზე ორიენტირებული უმაღლესი სასწავლებლები (კოლეჯები), კვლევისა და სწავლების ერთიანობის პრინციპზე დაფუძნებული უნივერსიტეტები უდავოდ ქმნიან ხელსაყრელ გარემოს ხარისხიანი განათლების მომგებიანად გავრცელებისთვის, თუმცა არის კიდევ ერთი, ოქროს რგოლი, რომელიც ამ სისტემების მუშაობაში შეუცვლელ ფუნქციას ასრულებს.

მრავალ ევროპულ ქალაქში ან მათ ახლოს ნახავთ პატარა სასწავლო ცენტრებს, დამოუკიდებელ საგანმანათლებლო სახლებსა თუ საკვირაო სკოლებს. უამრავ მოსწავლეს, აბიტურიენტს, სტუდენტსა და ახალგაზრდა მკვლევარს აქვს ამ დაწესებულებებში თავისუფლად გართობის, ცოდნის მიღების, სხვადასხვა შინაარსის ღონისძიებათა დაგეგმვის, ადგილობრივი რესურსებით სარგებლობის შესაძლებლობა.

ერთ-ერთი უძველესი ასეთი ცენტრი გერმანიაში, პატარა დასახლება ვერფტფულში მდებარეობს და კურტი ლიოვენშტაინის სახელს ატარებს.

ვინ იყო კურტი ლიოვენშტაინი? იგი რიგითი გერმანელი პაციფისტი გახლდათ, რომელსაც თეოლოგია-ფილოსოფიის ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული და განსაკუთრებით პედაგოგიკის საკითხები აინტერესებდა. ამასთან, ახალგაზრდობიდანვე აქტიურად იყო ჩართული პოლიტიკურ ცხოვრებაში, მონაწილეობდა ომისა და კაიზერის მმართველობის საწინააღმდეგო მოძრაობებში. გახლდათ ვაიმარის რესპუბლიკის ყველა მოწვევის რაიხსტაგის წევრიც. თუმცა გერმანელმა პარლამენტარმა ისტორიაში ადგილი სხვა საქ-



მიანობით – პედაგოგიური მოღვაწეობით დაიმკვიდრა. 1920 წელს მან ბერლინში თანამოაზრეებთან ერთად დააარსა ცენტრი, სადაც ხელმოკლე ახალგაზრდებს, ფაქტობრივად, უფასოდ შეეძლოთ უმაღლესი განათლებისთვის მოსამზადებელ მაღალკვალიფიციურ კურსებზე სწავლა. აქვე დამატებითი ცოდნის მიღების საუკეთესო შანსი ეძლეოდათ ინდუსტრიის სფეროში დასაქმებულ ადამიანებს. ეს ცენტრი მრავალი მოსწავლისა და სტუდენტისთვისაც იქცა ახალი უნარების შეძენის არაფორმალურ წყაროდ. ლიოვენშტაინი და მისი თანამოაზრეები მსმენელებს დაუღალავად ამარაგებდნენ ბიბლიოთეკის წიგნებით და დაწესებულების სტუმართა ცხელი სადილით გასამასპინძლებლად აუცილებელ სახსრებს ეძებდნენ.

მეოცე საუკუნის გამორჩეულმა მოღვაწემ თავისი საქმიანობით მოახერხა შეექმნა საგანმანათლებლო კერა, რომელმაც პირველ მსოფლიო ომში დამარცხებული ხალხის ყველაზე ღარიბ ფენას უბიძგა თვითრეალიზებისა და სამოქალაქო კულტურის განვითარებისკენ, გაუღვივა მას იმედის ნაპერწკალი. თუმცა ნაცისტურმა რეჟიმმა კურთ ლიოვენშტაინიც და მისი ცენტრიც უმოწყალოდ გაანადგურა. საბედნიეროდ, იდეა გადარჩა...

ჩვენს ქვეყანაში ასობით მდიდარი და შეძლებული მეცენატია. ხანდახან ისინი თავიანთი მშობლიური მხარეების დახმარებასაც ახერხებენ, აშენებენ ეკლესიებს, აგებენ გზებს, გაჰყავთ ბუნებრივი აირის მიწები. ეს შესანიშნავია, მაგრამ თითქმის არავის მოსდის აზრად, დააფუძნოს თუნდაც ძალიან პატარა

საგანმანათლებლო ან სამოქალაქო აქტივობის ცენტრი, ხელი შეუწყოს საკ-
ვირაო სკოლების მუშაობას და ამ კეთილი საქმით ახალი პერსპექტივა შეუქმ-
ნას ნიჭიერ მოსწავლეებსა და ახალგაზრდებს. იმავდროულად, სახელმწიფო
სხვა, უფრო მნიშვნელოვანი ბარიერების პირისპირ დგას და ამ საქმისთვის
ჯერ არ სცალია. აქედან გამომდინარე, დიდი სიამოვნებით ვიქნებოდი იმ
ჯგუფის რიგითი მოხალისე, რომელიც საქართველოს რომელიმე რეგიონში,
ევროპული გამოცდილების შესაბამისად, ყველასათვის ხელმისაწვდომ, კარ-
გად აღჭურვილ პატარა საგანმანათლებლო ცენტრს დააფუძნებდა.


რა არის ავტონომია?

მეათე კლასში ვიყავი, როდესაც პირველად მომიხდა ჩემი სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომაში მონაწილეობა. მას შემდეგ კიდევ წელიწად-ნახევარი ვცდილობდი ამგვარ თავყრილობებზე მოსწავლეთა პოზიციების გამოხატვას. ჩემი მუდმივი ბუზღუნით, უკმაყოფილებითა და თითოეულ მნიშვნელოვან საკითხზე მეტი ყურადღების გამახვილების მოთხოვნით სასწავლებლის მესვეურებს ვალიზიანებდი კიდევ. ერთ-ერთ ასეთ გაფართოებულ შეხვედრაზე საგანმანათლებლო რესურსცენტრის ნაკლებად ლოგიკურ დირექტივას განიხილავდნენ, რომელსაც, ტრადიციულად, მონდომებით დავუპირისპირდი. ზემდგომ მოხელეებთან ურთიერთობის გაფუჭების რისკით შეშფოთებულმა სკოლის დირექტორმა გაბრაზებით მკითხა: „აღამიანო! ბოლოს და ბოლოს გაგვაგებინე, რა გინდა? რა დაგიშავეთ?“ ცხადია, გამეღიმა და ვუპასუხე, რომ სკოლის ავტონომიას ვუჭერდი მხარს. მაშინ ეს ცნება კარგად არ მესმოდა, ვერც დღეს დავიკვებინი მისი თითოეული ნიუანსის ცოდნით, მაგრამ მაინც მინდა აგიხსნათ, რას ვგულისხმობ, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულების (სკოლის ან უნივერსიტეტის) ავტონომიურობას ვახსენებ.

სასწავლებლის ავტონომიის განმსაზღვრელი მთავარი ფაქტორი **აკადემიური თავისუფლება** გახლავთ. ეს ფუნდამენტური პრინციპი უზრუნველყოფს იდეების, შეხედულებების, ცოდნის თავისუფალ გავრცელებასა და გადაადგილებას დაწესებულების სააზროვნო სივრცეში. მაშასადამე, პედაგოგები და სტუდენტები (მოსწავლეები) თავიანთი ზოგადი, პროფესიული მრწამსის მიხედვით იმოქმედებენ. მათ გადაწყვეტილებებზე გავლენას ვერ მოახდენს ვერც ერთი პოლიტიკური, რელიგიური ან სოციალური სტრუქტურა, მატერიალური მდგომარეობა და სხვადასხვა ჯგუფისადმი მიკუთვნებულობა – ყველაზე მნიშვნელოვან, პირველხარისხიან ფასეულობად პროფესიონალიზმი ყალიბდება. ამის კვალობაზე, სასწავლებლის ავტონომია შეგვიძლია **აკადემიურ ხარისხზე** დაფუძნებულ მოცემულობადაც განვიხილოთ. თუ დაწესებულება დისფუნქციურია ანუ ვერ ასრულებს ნაკისრ მოვალეობებს, ვერ ახერხებს ცოდნის შე-

უფერხებლად გადაცემას, მისი დამოუკიდებლობის შინაარსი კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.

საგანმანათლებლო დაწესებულებათა სუვერენულობაზე საუბრისას არ შეიძლება არ განვიხილოთ მათი **ფინანსური დამოუკიდებლობის** ასპექტიც. თუ სასკოლო ან საუნივერსიტეტო საზოგადოება არ ფლობს გარკვეულ ქონებას და არ აქვს კუთვნილი მატერიალური რესურსების თავისუფლად, სხვათა ჩაურევლად გადანაწილების შესაძლებლობა, მაშინ ის ვერ უზრუნველყოფს სასურველი მიმართულების აკადემიური საქმიანობის წარმართვას. კიდევ ერთი და ალბათ ყველაზე მრავალმხრივი კომპონენტი სასწავლებელთა **ადმინისტრაციული მოწყობის** საკითხია. უმნიშვნელოვანესია პასუხი კითხვებზე: ვინ მართავს? ვინ ირჩევს მმართველებს? ავტონომიის იდეალურ ვარიანტთან ყველაზე მიახლოებულია მმართველობის ის წესი, როდესაც საგანმანათლებლო პოლიტიკის ძირითად პრინციპებს პროფესორ-მასწავლებელთა საერთო კრება განსაზღვრავს და თავადვე ირჩევს სასწავლებლის აღმასრულებლებსა თუ უმაღლესი თანამდებობის პირებს (დირექტორებს/რექტორებს).



ეს ოთხი კრიტერიუმი ალბათ მხოლოდ ელემენტარული მინიმუმია. საგანმანათლებლო დაწესებულების ავტონომიის თემა გაცილებით ფართო და კომპლექსური ხასიათისა გახლავთ, ის უამრავ კომპონენტსა და დეტალს გულისხმობს. პირობის სირთულე განაპირობებს სურვილს, პოლიტიკოსებმაც, აკადემიური და სასკოლო წრეების წარმომადგენლებმაც, რექტორებმაც და დირექტორებმაც, სტუდენტებმაც და მოსწავლეებმაც მეტი სიფრთხილით გამოიყენონ ეს ცნება.

მასწავლებელი ქალები დამფუძნებელ კრებაში

ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში განსაკუთრებულ ადგილს სამართლიანად იკავებს საქართველოს პირველი რესპუბლიკის ხანმოკლე ეპოქა. დღემდე სრულყოფილად არ შეგვიფასებია ის პოლიტიკური მემკვიდრეობა, რომელიც რუსეთის იმპერიისგან დროებით თავდახსნილი სახელმწიფოსგან გვხვდა წილად. მრავალი შეცდომის მიუხედავად, მაშინდელმა ლიდერებმა მოახერხეს პროგრესული კონსტიტუციის შემუშავება, დემოკრატიული სტანდარტებისა თუ სოციალური სამართლიანობის პირველადი პრინციპების დამკვიდრება და საყოველთაო თანასწორობის არჩევნების ჩატარება, თუმცა „მენ-შევიკური“ მმართველობის უმთავრეს მიღწევად მაინც ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ღია მხარდაჭერას მივიჩნევ. მსურს შეგახსენოთ კარგად დავიწყებული ადამიანები და მოგიყვებოთ მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ქალი პარლამენტარების შესახებ, რომელთა შორის რამდენიმე მასწავლებელიც იყო.

1919 წელს არჩეულ საქართველოს დამფუძნებელ კრებაში ხუთი ქალი დეპუტატი მოხვდა. ერთ-ერთ მათგანს, **ქრისტინე (ჩიტო) შარაშიძეს**, საკანონმდებლო ორგანოს პრეზიდიუმის წევრობის პასუხისმგებლობაც კი დაეკისრა.

პატარა გურული გოგონა პოლიტიკურ ასპარეზზე პირველად 1904 წელს გამოჩნდა. ქუთაისის წმ. ნინოს სახელობის გიმნაზიაში სწავლის დროს იგი არალეგალური სასწავლო ჯგუფის, წრის ორგანიზატორი გახლდათ. ამ წრის წევრებმა რამდენჯერმე გამართეს ქუთაისელ მოსწავლეთა ფართომასშტაბიანი დემონსტრაცია, რომელიც მეფის აბსოლუტური ძალაუფლების წინააღმდეგ იყო მიმართული. შარაშიძე მონაწილეობდა აკრძალული ლიტერატურისა და ხელნაწერი გაზეთების გავრცელებაში, რაც საბოლოოდ სკოლიდან გარიცხვის ფასად დაუჯდა.

მშფოთვარე პირველი რევოლუციის (1905-1907) მიმდინარეობისას მომავალი კანონმდებელი თბილისის ნაომარ ქუჩებში მედდად მსახურობდა. გადასახლებას გადარჩენილმა ქალმა ათიანი წლების მიწურულს პედაგოგიურ

საქმიანობას მიჰყო ხელი და პროფესიონალ მასწავლებლად ჩამოყალიბდა. დიდხანს იგი სხვადასხვა კერძო სკოლის რეპეტიტორი გახლდათ, მუშაობდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობასა და თსუ-ს დამფუძნებელ კომიტეტში; პარლამენტის წევრობისას აქცენტს უმთავრესად სახალხო ჯანმრთელობის კანონმდებლობასა და განათლების ხელმისაწვდომობის პრობლემებზე სვამდა.

მის ყველაზე მამაც ნაბიჯად 1922 წელს ოკუპაციის გაპროტესტებას მიიჩნევენ. 25 თებერვლის საყოველთაო ზეიმის ფონზე, მისი თაოსნობითა და მისივე მოსწავლეების მონაწილეობით, თბილისის მეათე პედაგოგიური ტექნიკუმი პროტესტის ნიშნად გაიფიცა.

პოლიტიკური აქტიურობა, პატრიოტული და სოციალური მოთხოვნებით გამოსვლა ჩიტოს მეტეხის ციხედ და 1964 წლამდე მილიციის მუდმივ ზედამხედველობად დაუჯდა. შარაშიძის პოლიტიკური დამოკიდებულებები პატერნალიზმთან შეზავებულ მემარცხენეობად ან ოჯახურ ღირებულებებზე ორიენტირებულ სოციალ-დემოკრატიად შეიძლება შეფასდეს.

პარლამენტარ ქალებს შორის კიდევ ერთი მასწავლებელი იყო. კოლეგისგან განსხვავებით, **ელეონორა ტერპერსაგოვა** აშკარა რადიკალი და პლენარული იდეების უერთგულესი მხარ-





დამტყერი გახლდათ, ამიტომ მან გაცილებით მშფოთვარე და მძიმე გზა განვლო.

1905 წლის რევოლუცია ისტორიკოსების მიერ პოლიტიკური გადატრიალების უშედეგო, წარუმატებელ მცდელობადაა შეფასებული. ორწლიანი ბრძოლის განმავლობაში ვერც ერთმა აჯანყებულმა რეგიონმა ვერ მოახერხა ხანგრძლივად სრული ავტონომიის მოპოვება და ეფექტური დაუმორჩილებლობის გამოცხადება, თუმცა საქართველოში ორი გამონაკლისი შემთხვევა გამოიყოფა – გურიასა და სოხუმში.

აფხაზეთის დედაქალაქში პირველი ანტიცარისტული ნაბიჯი ერთ-ერთმა ადგილობრივმა კერძო სკოლამ გადადგა. ბულვარში მიტინგის ჩასატარებლად მოსწავლეებს მეწამული დროშითა და ყვავილებით ხელში მათი პედაგოგი გაუძღვა. ეს ის მასწავლებელი იყო, რომელიც მათ წლების განმავლობაში კლასიკურ დისციპლინებთან ერთად „მარსელიეზს“ სიმღერასაც ასწავლიდა. ბუნებრივია, სასწავლებლის შეგირდები მასობრივ მანიფესტაციებზე საფრანგეთის მერმინდელ ჰიმნსაც აგუგუნებდნენ. სოხუმის მთავარი მეამბოხე პედაგოგი ლოლა ტერ-პერსაგოვა გახლდათ. მის მიერ აგორებულმა საპროტესტო მოძრაობამ შედეგი გამოიღო. რამდენიმე თვით ზღვისპირა ქალაქმა სრული თვითმმართველობა მოიპოვა. დამოუკიდებელ მუნიციპალიტეტს სათავეში მომავალი კანონმდებელი და მისი ექიმი მეუღლე, ვლადიმერ მახვი-

ლაძე ჩაუდგნენ. სიმამაცეზე სამეფო ხელისუფლების რეაქცია უმკაცრესი აღმოჩნდა – 1905-1917 წლებში ტერ-პერსაგოვა სამჯერ დააპატიმრეს და სამხრეთ კავკასიის მიღმა გადაასახლეს.

1919 წლის კენჭისყრაზე ლოლა სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიაში მოწინავე ქალი იყო. პარლამენტარად არჩეული, არასრული ორი წლის განმავლობაში სოციალური უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის აუცილებელ კანონმდებლობასა და შრომის უფლებების საკითხებზე მუშაობდა. იდეალისტ პოლიტიკოსს არც „ბოლშევიკური“ ტერორის ხანაში დაუხევია უკან. 1924 წლის აჯანყების წარუმატებლობის გამო პარალიზებული საქართველოს ანტისაბჭოთა მოძრაობა კიდევ ერთხელ გამოაცოცხლა არალეგალურად აღდგენილმა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ. მორიგ გადასახლებამდე ამ ორგანიზაციის თავმჯდომარედ ტერ-პერსაგოვა აირჩიეს. ალბათ, იგი ერთ-ერთი პირველი ქალი იყო მსოფლიოში, რომელიც პარტიის ოფიციალური მეთაური გახდა. მეორე მასწავლებელი დეპუტატი 30-იან წლებში გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა.

თანამედროვე საქართველოში ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის ხარისხის მაჩვენებელი კატასტროფულად დაბალია, მაგრამ წინ გვაქვს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები და ვფიქრობ, აუცილებელია, ჩვენმა პედაგოგებმა იგრძნონ სათანადო პასუხისმგებლობა არა მხოლოდ საზოგადოების ან საკუთარი თემის, არამედ ლეგენდარული წინამორბედების წინაშეც.

მასწავლებელი სამოქალაქო პოზიციით

თბილისის ცენტრში ერთი ძალიან გადატვირთული ქუჩაა. პარლამენტის ყოფილ შენობასა და მოსწავლეთა სასახლეს შორის ამავალ ციცაბო აღმართზე უამრავი მნიშვნელოვანი დაწესებულებაა განლაგებული. მთაწმინდის ამ პატარა უბანში დაუდვიათ ბინა საგარეო საქმეთა სამინისტროს, „საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს“ (GFSIS), იტალიის რესპუბლიკის საელჩოსა და ძალიან პრესტიჟულ, ერთ-ერთ უძველეს 47-ე საჯარო სკოლას. ქუჩა ცნობილი ქართველი მასწავლებლის შიო ჩიტაძის სახელს ატარებს.

მეოცე საუკუნის დასაწყისის გავლენიანი სამოქალაქო აქტივისტი ხშირად აღმოჩნდება ხოლმე ფეხით მოსიარულეთა ყურადღების მიღმა. გამოცდილი პედაგოგის შესახებ საზოგადოების მნიშვნელოვანმა ნაწილმა ბევრი არაფერი იცის. ღირსეული მოღვაწის მივიწყებას, ალბათ, მეცნიერებაში მყარად ფეხმოკიდებული სტერეოტიპები განაპირობებს. ჩვენთან, ბოლშევიკური რევოლუციის მსგავსად, სრულიად უსამართლოდ არის დემონიზებული 1905-1907 წლების სოციალურ მოძრაობათა ისტორიაც, რომლის აქტიური მონაწილე გახლდათ შიო ჩიტაძე. მოდი, კიდევ ერთხელ ვცადოთ დოკუმატური წარმოდგენების გარდაქმნა და ვისაუბროთ მასწავლებელზე, რომელიც არასდროს ერიდებოდა თავისი საზოგადოებრივი პოზიციის საჯაროდ გამოხატვას.

შიო ჩიტაძე 1873 წელს გორში დაიბადა. მომავალმა პედაგოგმა პირველადი განათლება გორის სახელგანთქმულ სემინარიაში მიიღო, მერე კი თბილისის კლასიკური გიმნაზიის გავლით იმპერიის ცენტრში აღმოჩნდა. საუკუნის ბოლო ათწლეულში ჩიტაძე მოსკოვის უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი გახდა. საბოლოოდ მან სწავლა კიევის უნივერსიტეტის ფილოლოგიისა და ისტორიის ფაკულტეტზე დაასრულა. ბუნებრივია, ნიჭიერმა კურსდამთავრებულმა უსწრაფესად დაიმკვიდრა ადგილი ახალბედა მასწავლებლებს შორის და უკრაინის დედაქალაქშივე მიჰყო ხელი პედაგოგიურ საქმიანობას. შრომატევადი სამუშაოს მიუხედავად, საქართველოსგან



შორს მცხოვრებ ახალგაზრდას თავის ქვეყანასა და თანამემამულეებთან კავშირი არ გაუწყვეტია. წლების განმავლობაში იგი სათავეში ედგა უკრაინის ქართულ სათვისტომოს და საკუთარ შესაძლებლობებს კავკასიაში გაძლიერებული ეროვნული თუ სოციალური მოძრაობის მხარდასაჭერად იყენებდა. შიო მალევე თბილისში იხმეს. რა გახდა მისი სამშობლოში დაბრუნების მიზეზი? 1979 წელს „ლარიზ მოწაფეთა შემწე საზოგადოებამ“ საქართველოს დედაქალაქში პირველი დაწყებითი სკოლა დააარსა. სასწავლებლის დაფუძნება რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკის გაძლიერებასა და უკიდურეს გამკაცრებას დაემთხვა. რუსი ზედამხედველები ყოველმხრივ ავიწროებდნენ და ზღუდავდნენ ქართულენოვან საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ამიტომ დაწყებითი სკოლა ძალიან დიდხანს ნახევრად არაღებულ საქმიანობას ეწეოდა. მიუხედავად დაბრკოლებებისა, 1900 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა მაინც მოახერხა ერთადერთი ქართული სასწავლო კერის რეაკლასიან გიმნაზიად გარდაქმნა, თუმცა რამდენიმე სემესტრის შემდეგ ის მასწავლებელთა დეფიციტის პრობლემას შეეჯახა. ცხადია, თაყაიშვილის წინადადება თბილისის გიმნაზიაში მუშაობის შესახებ შიო ჩიტაძემ უპასუხოდ ვერ დატოვა და საქართველოში დაბრუნდა.

1905 წელს შიო ჩიტაძე სკოლის ინსპექტორი (გამგე) გახდა. ამ პერიოდს უკავშირდება მისი მოღვაწეობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდი. გიმნაზიის ხელმძღვანელმა საზოგადოებას „სკოლის რეორგანიზაციის პროექტი“ წარუდგინა, რომელიც დღესაც კი ძალზე თანამედროვე დებულებებს აერთიანებს. ჩიტაძის გეგმის მიხედვით, მთელ იმპერიაში აპრობირებული ძალადობრივი სწავლების მეთოდი ფსიქოლოგიური მიდგომით უნდა შეცვლილიყო. მოსწავლეებთან ურთიერთობისას მასწავლებლებს ინდივიდუალური, მოზარდთა ასაკისა და მისწრაფებების შესატყვისი პედაგოგიური ტექნიკები უნდა გამოეყენებინათ. რევოლუციური გახლდათ ინსპექტორის დამოკიდებულება მასწავლებლის მართვის საკითხებისადმი. ჩიტაძე მხარს უჭერდა დემოკრატიულად არჩეული პედსაბჭოსა და მოსწავლეთა საკრებულოსთვის სასკოლო ძალაუფლების უდიდესი ნაწილის გადაცემას. შეუვალი იყო ცნობილი მასწავლებლის დამოკიდებულება ხელმოკლე ოჯახებიდან გამოსული ბავშვებისთვის უფასო განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ. რეფორმის პროექტი ქართულმა ორგანიზაციებმა მოიწონეს და ჩიტაძეც მონდომებით შეუდგა საქმიანობას.

პარალელურად კიევის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტურ პარტიაში ჩაირიცხა და დაიწყო მემარცხენე-პატრიოტული ღირებულებებისთვის ბრძოლა. ჩიტაძე ეწინააღმდეგებოდა მეფის თვითმპყრობელობის პოლიტიკას, ემხრობოდა დამფუძნებელი კრების მოწვევას, ქვეყნის დამოუკიდებლობის იდეასა და სახელმწიფოში სოციალური სამართლიანობის მექანიზმების დანერგვას. სკოლის ინსპექტორი გასული საუკუნის დასაწყისში თბილისში ჩატარებული საპროტესტო დემონსტრაციებისა და გაფიცვების მონაწილეც გახლდათ. ალბათ, თავადაც მიხვდებით, რომ მეფის „ოხრანკა“ გავლენიან მასწავლებელს მიზანში ამოიღებდა. ქალაქის პოლიციამ სამართალდამცველთა მეთაურ მარტინოვზე განხორციელებული თავდასხმა საბაბად გამოიყენა. 1906 წელს ჯარისკაცები გიმნაზიაში შეიჭრნენ და 33 წლის ჩიტაძე მოკლეს. უდიდესი დანაშაულია, რომ ჩვენ იშვიათად ვსაუბრობთ უმნიშვნელოვანეს ისტორიულ მოღვაწეებსა თუ მოვლენებზე. ქართულ საზოგადოებას ავიწყდება, რომ ქვეყანაში ევროპული ღირებულებების დამკვიდრების პირველი მცდელობა გავლენიანი პედაგოგების მიერ შემუშავებულ რეფორმებს უკავშირდება. შიო ჩიტაძის ცხოვრების ამ მოკლე აღწერით მინდოდა შემეხსენებინა, რომ ყოველ ეპოქაში დემოკრატიის განვითარების მთავარ ბერკეტებს გამბედავი მასწავლებლები ფლობენ.

მასწავლებლობიდან მსოფლიოს ლიდერობამდე

ჩვენთვის ძნელი დასაჯერებელია, რომ მსოფლიოში ცნობილმა გენიოსებმა და სხვა გავლენიანმა ადამიანებმა თავიანთ წარმატებას საფუძველი მასწავლებლობით ჩაუყარეს. „ფარდობითობის თეორიის“ აღმოჩენამდე ალბერტ აინშტაინი რიგითი პედაგოგი გახლდათ, ვოლფგანგ ამადეუს მოცარტიც ხშირად ამეცადინებდა მუსიკაში რეალური სასწავლებლის მოწაფეებს. ნობელიანტმა სელმა ლაგერლიოფმა მოღვაწეობა ვეტერნის გაყინული ტბის მახლობლად გაშენებულ ფიცრულ სკოლაში დაიწყო. თავის დროზე სასულიერო სემინარიის ლექტორი იყო დედა ტერეზა... ალბათ არც ის უნდა გაგიკვირდეთ, რომ მოსწავლეთა აღზრდის საპატიო პროფესიას არაერთი პოლიტიკური ლიდერისთვის გაუკაფავს გზა. მასწავლებლობას მომავალი მმართველები ბევრჯერ გადაურჩენია შიმშილით სიკვდილისა თუ ნაკლებად შემოქმედებითი, თავდაუღწეველი სამუშაო რუტინისაგან.

მსოფლიოს ლიდერობამდე დაწინაურებული პედაგოგის საინტერესო მაგალითია შეერთებული შტატების 36-ე პრეზიდენტი ლინდონ ჯონსონი.

ლინდონ ჯონსონი ტეხასელი ფერმერების ოჯახში დაიბადა. ბავშვობა და ცხოვრების უდიდესი ნაწილი მან სამხრეთის ამ ცხელ შტატში გაატარა. მომა-





ვალი ლიდერი სამოქალაქო აქტივიზმში ადრეული ასაკიდანვე ჩაერთო. სკოლაშიც კი იგი კლასის პრეზიდენტი იყო. ზოგადი განათლების მიღების შემდეგ ნიჭიერ მოსწავლეს უმაღლესი სასწავლებლის არჩევაზე ბევრი არ უფიქრია, 1926 წელს ტეხასის პედაგოგიურ კოლეჯში ჩააბარა. საინტერესო და თავგადასავლებით აღსავსე იყო მისი სტუდენტობის წლებიც. დემოკრატი სტუდენტი კოლეჯის პერიოდულ გამოცემას, გაზეთ „The College Star“-ს რედაქტორობდა და აქტიურად მონაწილეობდა სხვადასხვა პოლიტიკურ კამპანიაში. კოლეჯში სწავლის პარალელურად მან პედაგოგიური მოღვაწეობაც დაიწყო. 1928 წელს ჯონსონმა ლექციები დროებით მიატოვა და პატარა ქალაქ კოტულაში გაემგზავრა, სადაც სეგრეგირებულ მექსიკელ ბავშვებს ინგლისურსა და სხვა ძირითად დისციპლინებს ასწავლიდა. პედაგოგის დიპლომის მოპოვების შემდეგ მან ჰიუსტონის უმაღლეს სკოლაში მასწავლებლის მრავალწლიანი, წარმატებული კარიერის აწყობაც მოახერხა.

სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობამ სახელმწიფოს მომავალ მეთაურს მთელი სიმძაფრით დაანახვა ქვეყანაში არსებული უმძიმესი სოციალური მდგომარეობა და მოქალაქეთა სხვადასხვა ნიშნით შევიწროების ტენდენცია. სტუდენტური გაზეთის ყოფილმა რედაქტორმა სასკოლო პოლიტიკიდან დიდ ბრძოლაში გადაინაცვლა. ლინდონ ჯონსონი დემოკრატიული პარტიის აქტიური წევრი გახდა და 1937 წელიდან ექვსჯერ მოიპოვა წარმომადგენლობითი პალატის წევრის მანდატი. მაღალი პოლიტიკური სტატუსის მიუხედავად, კონგრესმენს არც მეორე მსოფლიო ომისთვის აურიდებია თავი. ჯონ კენედისთან ერთად, აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტად არჩევამდე, ჯონსონი სენატში მოღვაწეობდა და დემოკრატთა ფრაქციას ედგა სათავეში,

1963 წელს კი თავად ჩაიბარა მსოფლიოს ლიდერის პორტფელი და სახელმწიფოს მეთაურის პოსტი.

მასწავლებლის პრეზიდენტობის ხანა მეოცე საუკუნის ისტორიის ურთულეს პერიოდს დაემთხვა. ყოფილ სენატორს წილად ხვდა გაურკვეველი მიზეზებით მოკლული კენედის მემკვიდრეობა. მასვე მოუწია 1945 წლის შემდეგ დაბადებულთა (Baby boom) ჰიპერაქტიურ თაობასთან, პანკებთან, „ახალ მემარცხენეებსა“ და სხვა რადიკალურ ჯგუფებთან ურთიერთობა. ტეხასელ პოლიტიკოსს დაეკისრა კარგად გაჩაღებული „ცივი ომის“ სირთულეების გადალახვის პასუხისმგებლობაც. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, მან არაერთი შეცდომა დაუშვა და საგარეო პოლიტიკაში ბევრი უსარგებლო ნაბიჯიც გადადგა. მიუხედავად ყველაფრისა, სამხრეთელ დემოკრატს მაინც წარმატებულ ლიდერად განიხილავენ. რატომ?

60-იან წლებამდე ამერიკული საზოგადოების უდიდესი ნაწილისთვის თავისუფლება მხოლოდ და მხოლოდ ფინანსური ოპერაციების უსაფრთხო განხორციელებას ნიშნავდა. მოსახლეობის უმრავლესობა სიმდიდრის იოლად მოპოვების ილუზიით გახლდათ შეპყრობილი. ისინი არ ფიქრობდნენ დაჩაგრულ და ბედის ანაბარა მიტოვებულ ხელმოცარულებსა თუ ლატაკებზე. სახელმწიფო აუცილებელ ბოროტებად და ინდივიდის შევიწროებისთვის შექმნილ დემონიზებულ სტრუქტურად განიხილებოდა.



ლინდონ ჯონსონმა ამგვარ ვითარებას „დიადი საზოგადოების“ იდეა დაუპირისპირა, რომელიც სოციალური სამართლიანობისა და კეთილდღეობის დამკვიდრებას ისახავდა მიზნად. 36-ე პრეზიდენტის პროგრამა მომგებიანად განხორციელდა. პედაგოგის მმართველობის დროს აშშ-ში შეიქმნა უფასო სამედიცინო დახმარების პროგრამა მცირეშემოსავლიანი ოჯახებისთვის, აფროამერიკელთა და სხვა მოქალაქეთა სეგრეგაციის წინააღმდეგ მიღებულ იქნა ისტორიული „სამოქალაქო უფლებათა აქტი“, საფუძველი ჩაეყარა მეცნიერების განვითარების ეროვნულ ფონდს. რაც მთავარია, ჯონსონის ინიციატივით ამოქმედებულმა სტრატეგიამ ჩამოაყალიბა სათემო კოლეჯების ქსელი და გაზარდა უნივერსიტეტთა სახელმწიფო დაფინანსება.

ჯონსონი ყოველთვის ამბობდა, რომ მის პოლიტიკურ საქმიანობას სათავე დაუდო დისკრიმინირებულ მექსიკელ მოსწავლეებთან ურთიერთობამ და პატარა დასახლებაში განცდილმა უსამართლობის გრძნობამ.

ამერიკას ერთი მასწავლებელი პრეზიდენტი დღესაც არ აწყენდა. თქვენ კი, თუ პერიფერიის რომელიმე სკოლაში მუშაობთ და ღარიბ ბავშვებს ასწავლით, თუ უკმაყოფილო ხართ სასწავლო გარემოთი და პირადი შემოსავლით, თუ არ გაქვთ არსებული პოლიტიკური ელიტისა და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების იმედი, იცოდეთ, რომ რაღაცით ლინდონ ჯონსონს ჰგავხართ. პოლიტიკის უკეთესობისკენ შეცვლას თქვენი მეტი მოქმედება სჭირდება.

მარიამ დემურია და მისი „ავჭალის აუდიტორია“

საბჭოთა რეჟიმის პირობებში მეცნიერების უამრავი დარგი ძლიერი წნეხის ქვეშ აღმოჩნდა. ისტორიისა და სოციალურ ურთიერთობათა შემსწავლელნი უამრავ წინააღმდეგობას წააწყდნენ. მათ თავისუფალი კვლევის შესაძლებლობა შეეზღუდათ და იძულებულნი გახდნენ დამორჩილებოდნენ ბოლშევიკთა მიერ შემუშავებულ დღის წესრიგს. ამის კვალობაზე, მეცხრამეტე საუკუნის ისტორიიდან მრავალი მნიშვნელოვანი პიროვნების, მოღვაწის სახელი შეგნებულად ამოიშალა. ჩვენი ყურადღების მიღმა აღმოჩნდა დემოკრატიული ღირებულებებისთვის გაჩაღებული ბრძოლის ათეულობით აქტიური მონაწილე. მაგალითად, საქართველოს სკოლებში დღემდე ცოტამ თუ იცის, ვინ იყო მარიამ დემურია და რას აკეთებდნენ ის და მისი მეგობრები.

მოგხსენებათ, მეცხრამეტე საუკუნის უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით გაძლიერდა რუსეთის იმპერიის ზეწოლა ეროვნულ უმცირესობებსა და სახელმწიფოს განაპირა რეგიონებზე. ცენტრალური ხელისუფლების ცენზურასა და უმკაცრეს კონტროლს, ცხადია, ვერც საქართველო გადაურჩა. ჩვენს ქვეყანაში ორი პარალელური საზოგადოებრივი მოძრაობის უკიდურესმა გაძლიერებამ კი ჩრდილოური რეპრესიები გააასკეცა – იმხანად საქართველოში უკვე მყარი პოზიციები ეკავათ ეროვნულ-კულტურული ავტონომიის მომხრეებსაც და მათ მოწინააღმდეგე სოციალისტებსაც. თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში ავიწროებდნენ ქართულ ენაზე წარმოებულ ნებისმიერ საქმიანობას, არბევდნენ მუშათა და ღარიბთა თავყრილობებს, ეწინააღმდეგებოდნენ წერა-კითხვის მასობრივი გავრცელების ყოველგვარ მცდელობას, იზღუდებოდა სახალხო კულტურული ღონისძიებების ჩატარება და ა.შ. მაშასადამე, ადგილობრივ სლავურ ბიუროკრატიასთან დაახლოებულ თავად-აზნაურთა და ვაჭართა უმცირეს ჯგუფს ჰქონდა ყოველგვარი შესაძლებლობა, გასცნობოდა მსოფლიო ლიტერატურას, მოეწყო საჯარო პოლიტიკური თუ კულტურული ღონისძიებები, ეკითხა გადაუკეთებელი საგამეთო პუბლიკაციები და შეეძინა თბილისის ოპერის ძვირადღირებული ბილეთები, ქალაქის გარეუბნებში მცხოვრები ხელმოკლე მოსახლეობა კი, რომელიც დღეში 12-14



საათს მუშაობდა, მოკლებული გახლდათ ყველა ამ ლეგალურ სიკეთეს.

მონარქიის მოწინააღმდეგე ინტელექტუალთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა დისკრიმინაციული, უთანასწორო რეჟიმის გარდაქმნის საუკეთესო გზად ქართულენოვანი საგანმანათლებლო და კულტურული მოძრაობის წამოწყება მიიჩნია. ერთ-ერთ უმთავრეს მიზნად მათ თავიანთი საქმიანობის საყოველთაო გავრცელება დაისახეს. მაშასადამე, მოხალისეთა ჯგუფის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში მონაწილეობა სასურველი და ხელმისაწვდომი უნდა ყოფილიყო ნებისმიერი მოქალაქისთვის. ინოვაციური იდეების, ორგანიზებისა და ლიდერობის შესანიშნავი ნიჭის წყალობით ამ მოძრაობის სათავეში აღმოჩნდა მასწავლებელი მარიამ დემურია.

რა გააკეთა ფედერალისტებთან დაახლოებულმა აქტივისტმა ქალმა?

თბილისის განაპირას, ჩერქეზიშვილის ქუჩაზე, უმცირესი შემოწირულობებითა და ილია წინამძღვრიშვილის მხარდაჭერით მარიამ დემურიამ ყველაზე ხელმოკლე ადამიანებისთვის დააარსა „ავჭალის აუდიტორია“. მოკრძალებული ორსართულიანი შენობა გადაკეთდა დარბაზად, სადაც კლასიკური თუ თანამედროვე ლიტერატურის მიხედვით იდგმებოდა წარმოდგენები ქართულ ენაზე და იმართებოდა სხვადასხვა წიგნის, სტატიის, დოკუმენტის საჯარო კითხვა. სახალხო სცენაზე გამოცდილ მსახიობებთან ერთად გამოდიოდნენ არაპროფესიონალებიც, რომელთაც, ნიჭის სიმცირის მიუხედავად, ჰქონდათ საკუთარი შესაძლებლობების გამოცდის სურვილი. მაგალითად, შეკრებოები მუდამ ოვაციებით ამხნევებდნენ სცენა-

ზე დაშვებული შეცდომების გამო დამწუხრებულ მკვლევარ თედო სახოკიასა და პუბლიცისტ გიორგი ლასხიშვილს. ცხადია, თითოეული ამ ღონისძიების მიზანი დემოკრატიულ ღირებულებათა პოპულარიზება გახლდათ.

ფაქტობრივად, ავტალაში მდგარი ეს პატარა ქვიტკირის სახლი იქცა ქართული ენის დაცვის, თეატრის განვითარების, არაფორმალური განათლებისა და პოლიტიკური სოციალიზაციის რევოლუციურ კერად, რომლის საქმიანობაში მონაწილეობის საშუალება ყველას თანასწორად ჰქონდა. ბუნებრივია, აუდიტორია უამრავ სირთულეს წააწყდა – მეფის „ოხრანკასთან“ დაახლოებული პირები ხშირად არბევდნენ სცენასა და პარტერს, ხელს უშლიდნენ მარიამ დემურიას საქმიანობას და ათასგვარი სანქციით ცდილობდნენ ამ გამბედავი ქალისთვის მუშაობაში ხელის შეშლას. მიუხედავად ამისა, „ავტალის აუდიტორია“ რამდენიმე წელი ფუნქციონირებდა. შედეგად ქალაქის გარეუბნებში ჩამოყალიბდა განათლებული, სოლიდარობის განსაკუთრებული გრძნობის მქონე და ავტორიტარიზმის წინააღმდეგ ბრძოლისთვის მუდამ მზად მყოფი სოციალური ჯგუფები, რომლებმაც მოახერხეს, მეოცე საუკუნის დასაწყისის ყველა ანტიცარისტულ გამოსვლას გასძღოლოდნენ.

მარიამ დემურიას მის მიერ დაარსებული კერის განადგურების შემდეგაც არ შეუწყვეტია საზოგადოებრივი მოღვაწეობა. წლების განმავლობაში მისი სახლი არაერთხელ ქცეულა რევოლუციონერთა თავშესაფრად თუ თავშეყრის ადგილად. 1904 წელს მან დააარსა საგანმანათლებლო ჟურნალი „ნაკადული“, რომელიც ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებს აშუქებდა. რაც მთავარია, გამოცემა მალევე გამრავალფეროვნდა სპეციალური ჩანართით, რომელსაც „პედაგოგის ფურცელი“ ეწოდებოდა (გფიქრობთ, სამართლიანი იქნება, თუ mastsavlebeli.ge-ს სწორედ ამ გაზეთის ღირსეულ სამართალმემკვიდრედ განვიხილავთ).

ხშირად მიფიქრია განათლების თანამედროვე სისტემის შესახებ. სკოლისა და უნივერსიტეტის ფუნქცია მხოლოდ ცოდნის გადაცემა არ უნდა იყოს. საგანმანათლებლო დაწესებულებები საზოგადოებაში, თემში ჰუმანიზმისა და კულტურის გავრცელებასაც უნდა ემსახურობდნენ. წარმომიდგენია კიდეც საქართველოს სხვადასხვა რეგიონის სკოლებში დაარსებული „ავტალის აუდიტორია“. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ცოტა ხნის წინ მარტვილის ერთ-ერთ სკოლაში დადგმული „ოლივერ ტვისტის“ შესახებ შევითქვე. იმედია, დადგება ისეთი დროც, როცა საქართველოში აღარ დარჩება სკოლა, სადაც მუდმივი საჯარო განხილვები და თეატრალური დადგმები არ გაიმართება.

გმირი მასწავლებლები – ისიდორე რამიშვილი

რამდენიმე დღის წინ ტელევიზიით ერთ-ერთ ყველაზე მაღალრეიტინგულ გადაცემას შევავლე თვალი. გადაცემაში გურულებზე საუბრობდნენ. ცხადია, შოუს სტუმრებმა ვერ მოასწრეს ერთი საუკუნის წინ მოღვაწე გენი-ალური ადამიანების შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მოწოდება. სამწუხაროდ, ჩვენს სახელმძღვანელოებსა და უახლესი ისტორიის თანამედროვე კვლევებშიც ძალიან ცოტა ადგილი ეთმობათ საქართველოს დემოკრატიული მოძრაობისა და სამოქალაქო საზოგადოების უძველეს ლიდერებს, რომელთა უმრავლესობის მშობლიური მხარე სწორედ გურია გახლდათ. ისინი მეტ ყურადღებასა და პატივისცემას იმსახურებენ. სულ მცირე, ჩვენს მოსწავლეებს მაინც უნდა ჰქონდეთ გაგებული მათი გვარები. ერთ-ერთ ასეთ დავიწყებულ მოღვაწედ ისიდორე რამიშვილი შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომელიც, ყველა სხვა სიკეთესთან ერთად, ძირითადი პროფესიით მასწავლებელი იყო და ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა.

ისიდორე რამიშვილი 1859 წელს გურიაში, სურების ხეობაში დაიბადა. გურიის მთების ამ შორეულ ხეობაში მოხვედრა დღესაც კი განსაკუთრებულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ყველა მისი თანამედროვის მსგავსად ისიდორემაც განათლება სასულიერო სასწავლებელსა და თბილისის სემინარიაში მიიღო. სემინარიაში სწავლის დროს იწყება რამიშვილის გმირული თავგადასავლებიც.

სემინარიელი ჯერ 25 წლისაც არ იყო, როდესაც თბილისში თვითგანათლების ერთ-ერთი პირველი კერა დააარსა. ქალაქის ბაზარში მდებარე ერთ-ერთი დუქნის უკანა ოთახში ისიდორე რამიშვილი და გოლა ჩიტაძე ყველა ხელმოკლე ადამიანს ეპატიუებოდნენ. მუშები და სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო სასწავლებლებიდან გამოგდებული მოსწავლეები უფროსკურსელებთან წერა-კითხვის, არითმეტიკისა და ისტორიის შესასწავლად იკრიბებოდნენ. ბუნებრივია, წრის წევრებს უწევდათ საუბარი პირდაპირი არჩევნების, დამფუძნებელი კრების მოწვევის, სიტყვის თავისუფლების, ქარ-

თული ენის მნიშვნელობის, უფასო საყოველთაო განათლებისა და გაჭირვებული მოქალაქეების სახელმწიფოს მხრიდან დახმარების აუცილებლობაზეც. „ქარგალთა კავშირის“ წევრები ისიდორესა და გოლას ხელშეწყობით თბილისის ყველაზე აქტიურ და მებრძოლ ძალად ჩამოყალიბდნენ. კავშირის წევრების მთავარი სამიზნე სემინარიის რუსიფიკატორი მმართველი, სასტიკი მეთოდების გამოყენების გამო ბევრ არალეგალურ გაზეთში დესპოტად მოხსენიებული რექტორი ჩუდეცკი და მისი პოლიტიკა გახლდათ.

არაფორმალური განათლების სფეროდან გურუღმა მალე სასკოლო სისტემაში გადაინაცვლა. რევოლუციური მოღვაწეობის მიუხედავად, სემინარიელი მაინც ახერხებდა სკოლების დაარსების პროცესში მონაწილეობის მიღებას. პირველი სასწავლებელი, რომელსაც სხვებთან ერთად რამიშვილმაც ჩაუყარა საფუძველი, წინამძღვრიანთკარის სკოლა გახლდათ. ერთი წლის განმავლობაში მასწავლებლობით ნაშოვნი ფულით პედაგოგი ხელს უმართავდა „ქარგალთა კავშირის“ წევრებს და მაინც ახერხებდა მის მიერვე თბილისში დაარსებული თვითგანათლების წრის მატერიალურ მხარდაჭერას.

1887 წელს რამიშვილი მშობლიურ მხარეში დაბრუნდა. ბუნებრივია, მიერუბულ ხეობაში ორკლასიანი სასწავლებელიც არ არსებობდა და არც არავინ აპირებდა მის გახსნას. ისიდორე იყო ადამიანი, რომელმაც მთელი სოფელი დარაზმა სკოლის ასაშენებლად. მომავალი რევოლუციონერის მეთაურობითა და სოფლის ყველა მოსახლის მონაწილეობით აშენდა ხეობის პირველი სკოლა. დილაობით ხის დიდ სახლში წინამძღვრიანთკარში მიღებული მეთოდებით მიმდინარეობდა ბავშვების სწავლება, საღამოობით კი უკვე „ქარგალთა კავშირის“ გურული ანალოგი იწყებდა მუშაობას. მაშასადამე, სოფლის სკოლა ყველა თაობის წარმომადგენელთა განათლების საერთო სივრცედ ჩამოყალიბდა.

გგონიათ, რომ რამიშვილი მხოლოდ ორი სკოლის დაარსებით შემოიფარგლა? იმდენი მოახერხა, რომ ანტირუსული პოლიტიკის გამო გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ახალი სკოლის დამაარსებელი გახდა ბათუმში. სწორედ, ეს სკოლა იყო მთავარი შეკრების ადგილი, საიდანაც როტმილდის ცნობილ ქარხანაში გაუსაძლისი პირობების გამო პირველი ფართომასშტაბიანი გაფიცვა დაიწყო. ადამიანის უფლებებისათვის წარმოებული ამ ბრძოლის მეთაურიც ჩვენთვის ნაცნობი მასწავლებელი იყო. გასაკვირია, მაგრამ სკოლაში და გაფიცვაში მონაწილეობის გარდა, ისიდორემ ისიც მოახერხა, რომ ბათუმის ბაზრის ცენტრ-

ში პირველი სახალხო ბიბლიოთეკა გაეხსნა. ხის ჯიხურში მოწყობილი ბიბლიოთეკით სარგებლობის უფლება ღარიბი ფენის ყველა წარმომადგენელს ჰქონდა.

1906 წელს ისიდორე რამიშვილი რუსეთის იმპერიის დუმაში აირჩიეს. ის აღმოჩნდა პირველი ქართველი დეპუტატი, რომელიც სათათბიროს ტრიბუნაზე ავიდა. აღნიშნული გამოსვლა განსაკუთრებული სიმამაცისა და გამბედაობის მაგალითად შეგვიძლია მივიჩნიოთ. უსასტიკეს და ძლევამოსილ პოლიციის მინისტრ სტოლიპინს მან პირში მიახალა ყველაფერი, დაადანაშაულა საქართველოში მიმდინარე დარბევებში და მისი პასუხისმგებლობის საკითხი დააყენა. ბუნებრივია, ეს გაბედული გამოსვლა ისიდორე რამიშვილს მოგვიანებით ასტრახანსა და სამარაში გადასახლებად დაუჯდა.

დუმის დეპუტატი დამოუკიდებელი საქართველოს პარლამენტის წევრადაც აირჩიეს. გენერალი მაზნიაშვილი თავის მოგონებებში გამორჩეული გულისწყრომით საუბრობს ყველა ქართველ სოციალისტზე. მხოლოდ ისიდორე იმსახურებს მისგან შესანიშნავ დახასიათებას. ჩვენი ნაცნობი მასწავლებელი იყო ერთადერთი ლიდერი, რომელიც მაზნიაშვილს რაზმების შეგროვებაში ეხმარებოდა. მათი მიზანი გურიიდან და აჭარიდან თურქული ჯარების განდევნა გახლდათ. საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში ეს წყვილი აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის გასავრცელებლადც წარმატებით იბრძოდა.

ისიდორეს ცხოვრებაში ყველაზე გმირული ამბავი 1922 წელს მოხდა. ნაძალადევის კლუბში შეკრებილი ადგილობრივების წინაშე პირველმა სწორედ ისიდორემ გაბედა სცენაზე მდგომი ძლევამოსილი ლიდერის, სტალინის გაკრიტიკება და მისი ქვეყნის ლალატში დადანაშაულება. ბოლშევიკმა დიქტატორმა მასწავლებელს თავხედობა არ დაუვიწყა. ისიდორე მომავალი 15 წლის განმავლობაში შვიდგზის გადაასახლეს საბჭოთა იმპერიის მიყრუებულ რეგიონებში. არადა, მას ნამდვილად შეეძლო გადასახლების წლების პარიზში, ემიგრაციაში გატარება. სტალინმა ეს ტანჯვაც არ აკმარა გაუტეხელ, საკუთარი პრინციპების ერთგულ პედაგოგს და 1937 წელს 78 წლის ასაკში დახვრიტა.

ბევრი ქვეყანა სანთლით ეძებს ამგვარ ისტორიულ მაგალითებს, ჩვენ კი გახსენებაც გვიჭირს. ალბათ დამეთანხმებით, რომ სტალინისა და სტოლიპინის წინააღმდეგ მეზრძოლი, ოთხი სასწავლებლის დამფუძნებელი, დემოკრატიული ღირებულებების საყოველთაოდ გავრცელებაზე მზრუნველი, გმირი მასწავლებლის მოღვაწეობის დავიწყება კარგი და კეთილი საქმე არ უნდა იყოს.

მოვლენა, რომელიც სახელმძღვანელოებში ვერ მოხვდა

ჩემი მასწავლებლები ყოველთვის მირჩევდნენ სხვადასხვა ეპოქაში მცხოვრები მოღვაწეების მემუარების კითხვას. მუდამ მიმითითებდნენ, რომ უშუალო მონაწილეთა მიერ მოვლენათა განსხვავებული შეფასებების ცოდნა აუცილებლად დამეხმარებოდა საკუთარი კომპეტენტური დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში. კეთილი ადამიანების წინადადება ჩემთვის უალრესად სასარგებლო გამოდგა და არაერთი მნიშვნელოვანი ახალგაზრდა მაძიებლისათვის ფასეული აღმოჩენის გაკეთებაში დამეხმარა.

დარწმუნებული ვარ, რომ ვერც ისტორიის და ვერც სამოქალაქო განათლების ვერც ერთ სახელმძღვანელოში ვერ აღმოაჩინებ ცნობას გასული საუკუნის დასაწყისში თბილისში განვითარებული ერთ-ერთი უსერიოზულესი კონფლიქტის შესახებ. შესაძლოა, დარგის სპეციალისტების გარდა არც არავინ იცის, რომ 1905 წელს ჩვენს დედაქალაქში სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის უმძიმესი შეტაკება მოხდა. მხარეების მორიგება განსაკუთრებული ჩარევის შედეგად მოხერხდა. არადა, აღნიშნული მოვლენა საკუთარ მემუარებში დაწვრილებით აქვთ აღწერილი საქართველოს განათლების პირველ მინისტრ გიორგი ლასხიშვილსაც და იმპერიული დუმის ერთ-ერთ ლიდერ ქართველ დეპუტატ ისიდორე რამიშვილსაც.

რა მოხდა 1905 წელს თბილისში?

პირველი რევოლუციის ტალღამ პერიფერიულ რეგიონებამდეც მიაღწია. სამხრეთ კავკასია თვითმპყრობელობის მოწინააღმდეგეთა ერთ-ერთი უმთავრესი ფორპოსტი გახლდათ. სოლიდარულად მოქმედი კავკასიელი ერების დასაპირისპირებლად და წინააღმდეგობის მოძრაობიდან მათი გამოთიშვის მიზნით, რუსებმა პროვოკაციების გზა აირჩიეს. თავდაპირველად სომეხთა და აზერბაიჯანელთა სისხლისღვრის წახალისება ორივე ეროვნების ადამიანებით მჭიდროდ დასახლებულ ქალაქში, ბაქოში, ყოფით ნიადაგზე მოხდა და შემდგომ განსაკუთრებული მასშტაბები შეიძინა. ხელსაყრელი გარემოებით ისარგებლეს თბილისში მოქმედი რელიგიურ-პოლიტიკური ორ-

განიზაციის „ტემშარიტ რუსთა კავშირის“ წევრებმა. ორივე ეროვნების ტრადიციულ ტანსაცმელში გამოწყობილი „შავრაზმელები“ თბილისის ქუჩებში თავს ესხმოდნენ სომხებსაც და აზერბაიჯანელებსაც. შედეგად, ქმნიდნენ ილუზიას იმისა, რომ ბაქოს მოვლენებმა საქართველოშიც გადმოინაცვლეს. მათ მონდომებას უკვალოდ არ ჩაუვლია. თბილისში სომხებმა და აზერბაიჯანელებმა ერთმანეთის ხოცვა მხოლოდ და მხოლოდ ეთნიკური ნიშნის საფუძველზე დაიწყეს. როგორც ისიღორე რამიშვილი გადმოგვცემს, პოლიცია და ჟანდარმერია ცეცხლზე ნავთს ასხამდა და ღამ-ღამობით ორივე ეროვნების წარმომადგენელთა სახლებზე სპეციალურ ნიშნებს ამაგრებდა, რათა დაპირისპირებულიებს ფარული თავდასხმებისას ადვილად ამოეცნოთ „მტერი“. საბოლოოდ კონფლიქტმა რუსებისთვისაც კი წარმოუდგენელ მასშტაბს მიაღწია. ბოტანიკურ ბაღთან და სიონის მიმდებარე ტერიტორიაზე სომხური შეიარაღებული რაზმები, თათრის მოედანზე კი ხიშტიანი თოფებით აღჭურვილი აზერბაიჯანელები ჩამწყვიტდნენ. ფაქტობრივად ორ ჯგუფს შორის სრულმასშტაბიანი სამხედრო დაპირისპირება გაჩაღდა მაშინდელი თბილისის საქმიან უბანში, სალდათის ბაზრობისა და აბანოების უბანში.

ცხადია, ამ კონფლიქტს გაკოტრებული და ნდობის არმქონე ცარიტული ხელისუფლება ვერ მოაგვარებდა. მხარეების მორიგება ქართული საზოგადოების ყველაზე გავლენიანმა ძალამ, მემარცხენე მოძრაობამ იკისრა. მემარცხენეთა მანიფესტაცია ნაძალადევში დაიწყო. ისინი მსვლელობით კონფლიქტის შუაგულისკენ გაემშრნენ. ალექსანდრეს ბაღთან, ვორონცოვის ხიდზე, თვითმმართველობის მოედანზე და სხვა საკვანძო ადგილებიდან მსვლელობას ათასობით ადამიანი შეუერთდა. საბოლოოდ, ძირითადად ქართველებით დაკომპლექტებული მომიტინგეები სომეხ-აზერბაიჯანელთა ბრძოლის ველის ცენტრში დაბანაკდნენ. თითქმის ერთი კვირა მშვიდობის მოთხოვნით იყვნენ დაბანაკებულნი რეგიონის ყველაზე ცხელ წერტილში. მალე მათ შეიარაღებაც იშოვეს, რათა მომრიგებელ ბანაკზე თავდასხმის შესაძლებლობა შეემცირებინათ. თუმცა ქართულმა ბანაკმა მიზანს ვერ მიაღწია. უნებლიე გასროლამ კონფლიქტის შუაგულში ორმხრივი ცეცხლის გაჩაღება გამოიწვია. შედეგად, „წითელი ჯვრის“ აქტივისტი რაჟდენ სტურუა დაიღუპა. მაშასადამე, სომეხ-აზერბაიჯანელთა ერთკვირიან საბრძოლო მოქმედებებში ფაქტობრივად ერთადერთი მსხვერპლი ქართველი აღმოჩნდა. თბილისში მცხოვრები ერების მორიგება სწორედ რაჟდენ სტურუას სამოქალაქო დაკრძალვაზე მოხდა. თუ გიორგი ლასხიშვილს ვენდობით, თბილისშივე დასრულებულმა კონფლიქტ-

მა დედაქალაქს ბორჩალოს მამრიდან მომავალი აზერბაიჯანული რაზმების თავდასხმა აარიდა თავიდან.

რა შეგვიძლია ვთქვათ განხილული მოვლენის საფუძველზე?

უპირველეს ყოვლისა, ხაზი უნდა გავუსვათ საქართველოს მოსახლეობის განსაკუთრებულ როლს, რომელსაც ჩვენი საზოგადოება წარსულში კავკასიურ ეთნოსთა მორიგების საქმეში ასრულებდა. სომეხ-აზერბაიჯანელთა კონფლიქტი უშუალოდ არ ემუქრებოდა ქალაქის დანარჩენ მცხოვრებლებს. თუმცა მიუხედავად ამისა, ათასობით მოქალაქე სიცოცხლის რისკის ფასად დაპირისპირებულ მხარეთა შორის ჩადგა. აქვე უნდა ითქვას მოწინააღმდეგეთა დაზავების შედეგად დემოკრატიული მოთხოვნებით ბრძოლის გაგრძელების შესახებ. თბილისი კიდევ ორი წლის განმავლობაში იყო კავკასიური ერების სოლიდარული, ანტიცარიტული მოქმედებების მთავარი კერა.

დღეს, ამ საზოგადოების წარმომადგენლები ვეღარ ვახერხებთ ერთა შორის თანხმობის პროცესებში მთავარი ფუნქციის შესრულებას. მეტიც, ამ ეტაპზე ჩვენი მოქმედებების მთავარი იარაღი ღორის სისხლი და ამავე პირუტყვის თავი გახლავთ. იქნებ ამგვარი მორალური კრიზისის ერთ-ერთი უმცირესი წინაპირობა ისიც არის, რომ ასეთი ისტორიები თანამედროვე სახელმძღვანელოებში საკუთარ ადგილს ვერ პოულობენ.

საბჭოთა ადამიანი ცოცხალია

სამოქალაქო საზოგადოებასთან ურთიერთობა, საზოგადოებრივ სივრცეში განსაზღვრული მიზნებისთვის ბრძოლა ადამიანს დამატებით გამოცდილებას სძენს. სოციალურ ჯგუფებთან მუდმივი კავშირი მნიშვნელოვან დაკვირვებათა წარმოების ხელსაყრელი წინაპირობაა. ბუნებრივია, სამოქალაქო აქტივიზმის დროს არასოდეს ვუშვებ ხელიდან მოქალაქეთა კოლექტიური ქცევის მთავარი მახასიათებლების აღმოჩენის შანსს. სამწუხაროდ, ჩემი დასკვნები ხშირად არასახარბიელოა.

დღითი დღე ვრწმუნდები, რომ საბჭოთა ადამიანი, Homo soveticus-ი, ოცდამეერთე საუკუნეშიც ცოცხალია და საზოგადოებაში კიდევ უფრო მყარად დამკვიდრებისთვის იკრებს ძალებს. ალბათ, მრავალი თქვენგანი მეტყვის, რომ საბჭოთა მენტალიტეტი გასაკვირი არ უნდა იყოს იმპერიის ზეობის ეპოქაში აღზრდილ მოქალაქეთა შორის. ბევრი იმაზეც გაამახვილებს ყურადღებას, რომ სამოცდაათწლიანი მემკვიდრეობის ხელის ერთი მოსმით განადგურება შეუძლებელია. ცხადია, ამ საკითხებზე დავას არ ვაპირებ. ჩემს აღშფოთებას და გაკვირვებას სულ სხვა გარემოება იწვევს. ჩემი ფიქრისა და დარდის საგანი ის არის, რომ საბჭოთა ადამიანებს თანატოლებს შორისაც აღმოვაჩენ ხოლმე.

რა ახასიათებს Homo soveticus-ს თანამედროვე ეპოქაში?

1. ოცდამეერთე საუკუნის საბჭოთა ადამიანებს არ სჯერათ სიკეთის. მათ ვერ წარმოუდგენიათ, როგორ შეიძლება გაემგზავროს რიგითი სტუდენტი ყოველგვარი მატერიალური მოტივის გარეშე რომელიმე ინდუსტრიულ ქალაქში ან მიყრუებულ რეგიონში, რათა ადგილობრივი მოსახლეობის ბრძოლას დაუჭიროს მხარი.
2. თანამედროვე Homo soveticus-ები ეჭვიანი ადამიანები არიან და დედამიწის ზურგზე არავის ენდობიან. საკუთარი თავის ნდობაც კი არ გააჩნიათ. ისინი ყველაფერში შეთქმულებას ეძებენ. ამგავრად მოაზროვნე ადამი-

- ანებისთვის გარდასულ საუკუნეებში შექმნილი ყველა კონსპირაციული თეორია დღესაც ცოცხალი და აქტუალურია.
3. დღემდე სსრკ-ის მოქალაქეებად დარჩენილთათვის არსებულისგან განსხვავებული სამყარო წარმოდგენილია. მათთვის უზენაესი ღირებულება მოქმედი ინსტიტუციური წესრიგის პატივისცემა და შენარჩუნებაა. შესაბამისად, ისინი არ ლაპარაკობენ ცვლილებებზე, რეფორმებზე, არასოდეს ითხოვენ გარდაქმნებს. მათთვის კანონი ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი ჭეშმარიტებაა, რომლის გადასხვაფერება დაუშვებელია. რეტროგრადები ნებისმიერ შემთხვევაში ცდილობენ ქვეშევრდომებად ყოფნას და იერარქიის სათავიდან მიღებული ბრძანებების უსიტყვოდ შესრულებას. ყველა რეფორმისტი და რევოლუციონერი მათ თვალში ერეტიკოსი და მტერია.
 4. ნებისმიერ ნორმალურ სახელმწიფოს ორი განზომილება აქვს: ის ხალხისა და ხელისუფლების ერთიანობას წარმოადგენს. საბჭოთა ადამიანებისთვის კი სახელმწიფო მხოლოდ სახელისუფლებო და ბიუროკრატიული აპარატია. საბჭოთა ადამიანები თავს სახელმწიფოს ნაწილად არ განიხილავენ. შესაბამისად, ოფიციალური დაწესებულებებიდან მოპარულ ფულს, დაუსაბუთებლად მიღებულ პრემიას თუ დამალულ გადასახადს ცალკე მდგომი სისტემისთვის წართმეულ რესურსად აღიქვამენ და არა საკუთარი თავისთვის, საკუთარი საზოგადოებისთვის მიყენებულ ზიანად.
 5. მეცხრამეტე საუკუნის გერმანელ მწერალს ვილჰელმ ჰაუფს აქვს ერთი შესანიშნავი პატარა მოთხრობა – „Der junge Engländer“ („ახალგაზრდა ინგლისელი“). გერმანელი მოგზაური ინგლისიდან სამშობლოში მაიმუნს ჩამოიყვანს, ფრაკს ჩააცმევს, ყელსახვევს გაუკეთებს და საზოგადოებას ბრიტანელ ჯენტლმენად წარუდგენს. პროვინციულ ქალაქში მცხოვრები ადამიანები ახალგაზრდა ინგლისელს აღფრთოვანებით შეჰყურებენ, წვეულებათა ყველაზე სასურველ სტუმრად მიიჩნევენ და ცდილობენ, ნებისმიერი საკითხის შესახებ მოისმინონ მისი „კომპეტენტური“ აზრი. თანამედროვე Homo soveticus-ებს ბევრი რამ აქვთ საერთო ჰაუფის პერსონაჟებთან. პროფესიონალებს, მშრომელებს, ღირსეულ ადამიანებს, რომლებიც გარს ახვევიათ, არ აფასებენ, მათ საქმიანობას არაფრად აგდებენ, შურთ მათი. ადგილობრივ გენიოსს მათ უცხო სივრციდან მოყვანილი მაიმუნიც კი ურჩევნიათ.
 6. საბჭოთა მოქალაქეებს არ შეუძლიათ შუალედური, კონსენსუალური, დაბალანსებული გადაწყვეტილებების მიღება, ამგვარი იდეების მხარდაჭე-

რა. ისინი ან თვითგვემით არიან დაკავებულნი, ან საკუთარი ცხოვრების წესის ფეტიშიზაციით ცდილობენ ფონს გასვლას.

7. ჭორი, ცილისწამება, გაუგონრისა და წარმოუდგენლის სხვისთვის დაბრალება, ეგოიზმი, სხვებისადმი უპატივცემულობა, ადამიანის დაუფიქრებლად შეურაცხყოფა ახალი დროის ბოლშევიკების სატიტულო მახასიათებლებია.

რეგრესული ძალები ყველგან არიან. მათთან კონფლიქტის გარეშე განვითარება შეუძლებელია. რეტროგრადების არსებობა გადაულახავ საფრთხეს ნამდვილად არ წარმოადგენს. მთავარია, მათი პრინციპები უმრავლესობამ არ გაიზიაროს. მთავარია, კეთილი მიზნებისთვის მათივე მეთოდებითა და საშუალებებით არ დავიწყოთ ბრძოლა.

სიტყვის თავისუფლების დილემა

სიტყვის თავისუფლებასა და რელიგიური გრძნობების პატივისცემას შორის საზღვრის გავლება მთელ მსოფლიოში უჭირთ ხოლმე. გამონაკლისი არც საქართველოა. ამ საკითხზე ადგილობრივი მაგალითების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შესაძლოა, კალამი გაგვეცეს და ჟურნალ „მასწავლებლის“ მაღალ სტანდარტებს ერთგვარი საფრთხე შევუქმნათ. აქედან გამომდინარე, ალბათ, აჯობებს, ისევ ევროპას მივაშუროთ და ჩვენი საუკუნის ათიან წლებში მომხდარი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამბავი გავისხენოთ.

რამდენიმე წლის წინ საყოველთაოდ ცნობილმა ფრანგულმა სატირულმა ჟურნალმა „შარლი ებდომ“ წინასწარმეტყველ მუჰამედის კარიკატურების გამოაქვეყნა. კარიკატურების გამოქვეყნებას წინ დიდი პოპულისტური კამპანია უძღოდა. ტირაჟის გაზრდისა და სკანდალების საფუძველზე აქტუალობის შენარჩუნების მიზნით „შარლი ებდომს“ ავტორები არ ერიდებოდნენ ისლამის თემაზე საკმაოდ ვულგარული შინაარსის მასალების გამოქვეყნებას. კამპანია შემადრწუნებლად დასრულდა: ფუნდამენტალისტური ისლამის წარმომადგენლები, ტერორისტები, რედაქციას თავს დაესხნენ. ექსტრემისტებმა ათზე მეტი ადამიანი იმსხვერპლეს. ჟურნალის თანამშრომლებთან ერთად სიცოცხლეს ორი პოლიციელიც გამოესაღმა. მილიარდობით ადამიანმა საკუთარი თვალით ნახა ტერორისტული აქტის ამსახველი კადრები. მთელი სამყარო შეძრა განწირული ადამიანების ყვირილის ხმამ.

ტერორისტული აქტების დასრულებისთანავე ყველა შეთანხმდა, რომ ტერორიზმი და ძალადობა დაუშვებელი და გაუმართლებელია. არავის აქვს უფლება, გამოთქმული მოსაზრების გამო სხვა გაანადგუროს. ტერორისტების ნებისმიერ შემთხვევაში უმკაცრესად უნდა დაისაჯონ. საზოგადოებისგან მათი იზოლირება და ძალადობრივი ქმედებების ორგანიზატორთა ქსელის გაცამტვერება სამართალდამცავი ორგანოების უმთავრესი ამოცანა უნდა იყოს. ტერორიზმის მიზეზი შეიძლება ახსნა, მაგრამ მისი ლეგიტიმაცია შეუძლებელი და ამორალურია.

თუმცა ტერორისტულმა შეტევამ, საზოგადოების კონსოლიდაციასთან ერთად, საკმაოდ მძიმე დისკუსიებსაც დაუდო სათავე. კერძოდ, მოქალაქეთა და საჯარო ინტელექტუალთა მნიშვნელოვანი ნაწილი არ დაეთანხმა საფრანგეთის მაშინდელი პრეზიდენტის ფრანსუა ოლანდის განცხადებას იმის შესახებ, რომ „შარლი ებდოს“ ჟურნალისტები სიტყვის თავისუფლებას შეწირული გმირები არიან.

რა არგუმენტებით გამოდიოდნენ პრეზიდენტის მოსაზრების მოწინააღმდეგეები?

უპირველეს ყოვლისა, „მთავარი დინების“ ოპოზიციაში მყოფმა ადამიანებმა აღნიშნეს, რომ სატირა მნიშვნელობას კარგავს, თუ ის სუსტების დაჩაგვრას ემსახურება. ტრადიციული ისლამის მიმდევარი პირები, რომლებსაც არავითარი კავშირი არ აქვთ ფუნდამენტალიზმთან, ისედაც უმძიმეს მდგომარეობაში ცხოვრობენ და საფრანგეთის უღარიბესი, უსამართლოდ სტიგმატიზებული მოსახლეობის უმრავლესობას წარმოადგენენ. ამასთანავე, მათი ყოფა, მათი ოჯახების ისტორია დამძიმებულია საფრანგეთის კოლონიური და იმპერიალისტური წარსულის ტრაგიკული შეცდომებით. შეუძლებელია, მუშამედის კარიკატურები მხოლოდ ექსტრემისტების საქმიანობის გასაპროტესტებლად იქმნებოდეს – მათ პირდაპირი გავლენა აქვთ ყველა მუსლიმზე, მათ შორის – პატიოსან მოქალაქეებზეც. იაფფასიანი სატირა მათ არაფორმალურ დისკრიმინაციასა და შევიწროებას, ასევე რადიკალიზაციას უწყობს ხელს.

დისკუსიის მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს მედიის ორმაგ სტანდარტებზეც. ევროპული საზოგადოება და პრესა ხშირად ძალიან მკაცრად აკრიტიკებს ირანულ გაზეთებს, რომლებიც ანტისემიტური კომპოზიციების შექმნისა და გავრცელების მთავარ ბასტიონს წარმოადგენენ. ამ გამოცემებს სამართლიანად ადანაშაულებენ რასიზმში. საფრანგეთის პრეზიდენტის ოპოზიციონერებს უჩნდებათ კითხვა: რატომ არ ვრცელდება აღმოსავლური პრესის კრიტიკის სტანდარტები დასავლურ პრესაზე? აქვე ევროპელმა ინტელექტუალებმა „შარლი ებდოს“ ისტორიიდან ერთი მოვლენაც გაიხსენეს. 2008 წელს რედაქციიდან გაათავისუფლეს კარიკატურისტი, რის მიზეზადაც ნიკოლა სარკოზის შვილის გამოსახულებით შექმნილი ნაშრომის „ანტისემიტისტური“ შინაარსი დასახელდა. ყველა ვთანხმდებით, რომ ებრაელთა რასობრივი ნიშნით ჩაგვრა უბედურებაა. ანალოგიურად უნდა შევთანხმდეთ იმაზეც, რომ მუსლიმთა რელიგიური ნიშნით დამცირებაც არაჰუმანური და ანტიდემოკრატიული ქმედებაა.

რა მოითხოვს მუჭამედის კარიკატურების გამოქვეყნებით აღშფოთებულიმა პირებმა?

მათ ცენზურის დაწესება და გემოვნების სტანდარტების განმსაზღვრელი სამინისტროების ან ინსტიტუტების შექმნა არ მოუწადინებიათ. არც ძალადობისა და შევიწროების მომხრეებად ქცეულან. ოპოზიციონერებმა მხოლოდ იმაზე მიანიშნეს, რომ მეტი თვითკრიტიკაა საჭირო; რომ ტირაჟის გაზრდისთვის ნებისმიერი ნაბიჯის გადადგმა სოციალურად არასასურველი და არაპრესტიჟული უნდა გახდეს. მოაზროვნეებმა საზოგადოებას მოუწოდეს, რომ სიტყვის თავისუფლებისა და სხვათა პატივისცემის ღირებულებებს შორის იერარქია მოეშალათ და ისინი თანასწორ პრიორიტეტებად მიეჩნიათ.

ყველაფერს კანონი ვერ დაარეგულირებს, ბევრ საკითხზე დამოკიდებულებას შინაგანი კულტურა განაპირობებს. მასწავლებლებმა უნდა იბრძოლონ იმისთვის, რომ მოსწავლეებს არასდროს მოუწოდეთ სიტყვის თავისუფლების პრივილეგიის სხვათა დასამცირებლად გამოყენება.

პარასკევი მომავლისათვის

გასული წლის აგვისტოს მიწურულს, შევედეთში ერთმა თექვსმეტი წლის მოსწავლემ გადაწყვიტა, რომ პარასკეობით სკოლა უნდა გაეცდინა ხოლმე. ყოველი სამუშაო კვირის დასასრულს გოგონა სკოლის ნაცვლად სტოკჰოლმის ცენტრში მიდის და რაიხსტაგის წინ კუთვნილ ადგილს იკავებს. გარეუბნელს ყოველთვის თან დააქვს თავისი სიმაღლისთვის (1.53 მ) შეუფერებლად დიდი ტრანსპარანტი, რომელსაც მთავრული ასოებით აწერია: „სასკოლო გაფიცვა კლიმატისათვის!“. თვეების განმავლობაში გრეტა თუნბერგი მარტო აპროტესტებდა მსოფლიოს პოლიტიკურ ლიდერთა ქმედებებს. მოსწავლეს მიაჩნია, რომ ძალაუფლების მქონე პირები არაფერს აკეთებენ კლიმატის ცვლილების შესაჩერებლად და დედამიწის, ბუნების, ბიომრავალფეროვნების გადასარჩენად, მავნე ნივთიერებების ჰაერში, წყალსა და ნიადაგში გავრცელების შესაფერხებლად. ახალგაზრდას თავისი წამოწყების გამო ხშირად დასცინოდნენ და აკრიტიკებდნენ. სკოლის ადმინისტრაცია მას გაკვეთილების გაცდენის გამო კიცხავდა. განათლების მესვეურები ამტკიცებდნენ, რომ გრეტა კეთილშობილური ეკოლოგიური იდეებით ცდილობდა ყოველ პარასკევს „შატალოზე“ წასვლის აუცილებლობის დასაბუთებას. ყველაზე სულმოკლე ადამიანები მის დიაგნოზზეც ალაპარაკდნენ და ერთი შეხედვით უცნაური ქცევა გოგონას განსაცდელის სიმპტომად მიიჩნიეს. თუნბერგმა თავად განაცხადა, რომ მას ასპერგერის სინდრომი აქვს. ზოგიერთი მეცნიერი ასპერგერის სინდრომს აუტისტური სპექტრის დარღვევებს მიაკუთვნებს. მოზარდის მოწინააღმდეგეები გაჰყვირიან, რომ ასპერგერის სინდრომის ერთ-ერთი ნიშანი ბიპოლარული ამოკნება, მხოლოდ ორ უკიდურესობას შორის არსებული არჩევანის აღქმა (შვედი ამტკიცებს, რომ ან ახლავე დავიწყებთ დედამიწის გადარჩენას, ან გლობალური დათბობა მალე მოგვიღებს ბოლოს). იაფფასიანი გამოცემები კი დარწმუნებულნი არიან, რომ მოზარდი მშობლების კომერციული მიზნების აღმსრულებელია.

რატომ ჰყავს გაცდენებით გამორჩეულ მოსწავლეს ამდენი მტერი?

ერთი ბავშვის მიერ დაწყებული პროტესტი თითქმის ნახევარწლიანი ყოველდღიური და შეუპოვარი საქმიანობის შედეგად მთელი პლანეტისთვის ცნობილი გახდა. როგორც აღმოჩნდა, განვითარებულ ქვეყნებში მოსწავლეთა ეკოლოგიური ცნობიერება საშუალოზე მაღალია. დღეს, გრეტას მსგავსად, დედამიწის ყველა კუთხეში ათასობით მოსწავლე აცდენს პარასკევის გაკვეთილებს. ისინი თავიანთი ქალაქების ქუჩებში გამოდიან და გარემოსდაცვით ღონისძიებებს სკანდირებენ. 12-დან 17 წლამდე ბავშვები მუყაოს დაშლილ ყუთებზე ფერადი საღებავებით აწერენ – „დინოზავრებსაც ეგონათ, რომ ბევრი დრო ჰქონდათ, მაგრამ ...“; „დრო მიდის, თქვენ თვლემთ“; „გაფიცვა სკოლაში, გაფიცვა ფაბრიკაში, ეს არის ჩვენი პასუხი თქვენს პოლიტიკაზე!“ და ა.შ. ახალგაზრდები გაჩერებას არ აპირებენ. მათ სურთ, რომ პოლიტიკურმა ლიდერებმა კლიმატის ცვლილებისა და გლობალური დათბობის შესაჩერებლად კონკრეტული გადაწყვეტილებები მიიღონ და შესაბამისი სამოქმედო გეგმაც დასახონ.

მოკლედ, ერთი ადამიანის პროტესტი მრავალათასიან, გლობალურ, ახალგაზრდულ გარემოსდაცვით მოძრაობად გარდაიქმნა, რომელსაც „პარასკევი მომავლისათვის“ ეწოდა. გრეტა თუნბერგი ნობელის პრემიაზე კი არის წარდგენილი. ცოტა ხნის წინ მოძრაობის პიონერი დავოსის მსოფლიოს ეკონომიკურ სამიტზეც მიიწვიეს. მასპინძლები შვედ გოგონას მომავლის იმედისა და იდეალიზმის, ახალგაზრდული რადიკალიზმის შესანიშნავ სიმბოლოდ აცხადებდნენ და გარემოსდამცველთა წინადადებების ნაწილის ლეგიტიმურობაზე მიაწვდნენ. მორიგი შოუს სანახავად თავმოყრილ საზოგადოებას სტოკჰოლმის მკვიდრმა ცივი წყალი გადაასხა: „თქვენ გსურთ, რომ დღეს ახალგაზრდებში, ჩვენ საქმეში იმედი დაინახოთ... მე არ მინდა, რომ თქვენ იმედი მოგცეთ. პირიქით, მსურს, რომ დაპანიკდეთ... თქვენ ისე უნდა იქცოდეთ, როგორც ადამიანი, რომლის სახლსაც ცეცხლი უკიდია. დედამიწა საფრთხეშია!“

იმედია, ქართველი მოსწავლეები პარასკეობით გაკვეთილების გაცდენის სტრატეგიას არ მიემხრობიან და მხოლოდ ფიქრით, მსჯელობით შეეცდებიან გრეტა თუნბერგის მიერ დაწყებული და მოულოდნელად აზვირთებული მოძრაობის საიდუმლოს ამოხსნას.

შინაური მღვდლის ამბები

უძველესი ქართული ანდაზა ამბობს: „შინაურ მღვდელს შენდობა არ აქვს“. ანდაზის საფუძვლები ბიბლიიდან მოდის. ახალ აღთქმაში არის ერთი საინტერესო ეპიზოდი, რომელიც იესო ქრისტესა და ნაზარეველების ურთიერთობას უკავშირდება. იესო მთელს პალესტინაში ქადაგებს, მის მიერ აღსრულებულ სასწაულებს თაყვანს სცემენ აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის ყველა მხარეში, თითქმის ყველგან უპირობოდ აღიარებენ მაცხოვრის ძლევამოსილებას. ერთადერთი დასახლება, სადაც დიდი მკურნალის შესაძლებლობებში ეჭვი ეპარებათ მისი მშობლიური ქალაქი ნაზარეთია. ნაზარეველებს უბრალო ხუროს ოჯახში დაბადებული კაცის ამაღლების არ სწამთ. ისინი ფიქრობენ, რომ მათ გვერდით გაზრდილი ადამიანი მათზე უკეთესი ვერავითარ შემთხვევაში ვერ გახდებოდა. თანამოქალაქეებზე დაკვირვება ნაზარეველს უპირობო, ათასწლეულების განმავლობაში ურყევად მოქმედი ტექმარიტების მკაფიოდ წარმოჩენის წინაპირობას უქმნის: „წინასწარმეტყველი არსად არ არის უპატიოდ, გარდა თავისი მამულისა და საკუთარი სახლისა“.

საქართველოს უახლეს ისტორიას უდიდესი ადამიანების დაუფასებლობის, დამცირებისა და გარიყვის არაერთი მაგალითი ახსოვს.

1928 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა დაარსებიდან ათი წლის იუბილე აღნიშნა. პირველმა ქართულმა უმაღლესმა სასწავლებელმა არაერთ საზეიმო ღონისძიებას უმასპინძლა. სხდომებს, ლექციებს, შეხვედრებს ასობით ადამიანი დაესწრო. უნივერსიტეტის ბაღსა და მთავარ შენობაში ყველა სოციალური ფენის, პროფესიისა და გამოცდილების ადამიანს შეხვედბოდი. მხოლოდ ერთი პროფესორი არ ჩანდა. იგი „მხოხავ ემპირისტად“ და „ფაქტების ფალსიფიკატორად“ გამოაცხადეს. მას ლენინისა და სტალინის სამეცნიერო მრწამსის ოპოზიციონერობას აბრალებდნენ. პარტიული სკოლის ახალგაზრდა კურსდამთავრებულები მიზნად ისახავდნენ ღვაწლმოსილი პროფესორისა და მისი მიმდევრების „ცხელი შანთით ამოწვას“ უნივერსიტე-

ტის წიაღიდან. გარიყული მეცნიერის დევნა ათი წლის განმავლობაში გრძელდებოდა. მას რამდენჯერმე ჩამოართვეს აკადემიური თანამდებობა. 1930-იან წლებში კომკავშირულმა რაზმებმა უნივერსიტეტის მთავარი შესასვლელის კარიც კი გადაუღობეს ცნობილ ისტორიკოსს და მას შენობაში შესვლის შესაძლებლობაც არ მისცეს.

დევნილი მოღვაწე ივანე ჯავახიშვილი გახლდათ. ჯავახიშვილმა საუკუნის დასაწყისში რუსული და ევროპული კარიერის მშენებლობის პერსპექტივა არაფრად ჩააგდო, სასათბურე პირობებზე უარი თქვა და ომის ქარცეცხლში გახვეულ სამშობლოს დაუბრუნდა, რათა ყველასგან დავიწყებულ მხარეში ქართულენოვანი უმაღლესი სასწავლებლისთვის ჩაეყარა საფუძველი. ისტორიკოსს დასცინოდნენ, მის განზრახვას აბსურდად მიიჩნევდნენ, არ სჯეროდათ, რომ ქართული უნივერსიტეტი ოდესმე დღის სინათლეს იხილავდა. მიუხედავად უდიდესი წინააღმდეგობისა, ჯავახიშვილმა შიშველი ხელებით მაინც მოახერხა სწავლებისა და კვლევის ქართული კერის ამუშავება. წლების შემდეგ კი საკუთარი სახლის ყველაზე მიყრუებულ კუთხულში ჩამოჯდომის უფლებაც კი ჩამოართვეს.

ქართულ ფეხბურთს ბევრი გამორჩეული მოასპარევე ჰყოლია. მათ შორის საუკეთესოს გამორჩევა ურთულეს ამოცანას წარმოადგენს. თუმცა, თავად ყოყმანის გარეშე შემოიძლია მოწინავე სპორტსმენის დასახელება. ჩემი რწმენით, ქართულ ფეხბურთს მიხეილ მესხზე უკეთესი მოთამაშე არასდროს ღირსებია. მთელს მსოფლიოში აღფრთოვანებით ეგებებოდნენ მინდორზე ქართველი გარემარბის გამოჩენას. მისი გოლები, კომბინაციები, სტილი და ტაქტიკა სამწვრთნელო სახელმძღვანელოებში მაგალითებად არის წარმოჩენილი. თავისი კარიერის განმავლობაში მიხეილ მესხმა ყველა ის ტიტული დაიმსახურა, რის მოპოვებაც საბჭოთა ფეხბურთელს შეეძლო. 1960 წელს ევროპის ჩემპიონატის ოქროს მედალი მოიგო, 1964 წელს კი საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტასს დაეუფლა.

ჩემი თაობის წარმომადგენლებმა ბევრი არაფერი ვიცით მიხეილ მესხისთვის შექმნილი წინააღმდეგობების შესახებ. სოციალიზმის ნიღბის ქვეშ დამალულ რუს შოვინისტებს არ სურდათ, რომ მსოფლიოს სიმბოლურ ნაკრებებში პატარა რესპუბლიკის წარმომადგენელს გამოეჩინა თავი. ეროვნული კუთვნილების გამო მესხს ხშირად არ იძახებდნენ სანაკრებო შეხვედრებში მონაწილეობის მისაღებად. ნომენკლატურის წევრები ცდილობდნენ, რომ ფორვარდს მალე დაემთავრებინა კარიერა. ხელს უშლიდნენ საერთო ბაზაზე

ვარჯიში. თავდამსხმელს ხშირად დიღმის ტყეებსა და მთებზე ინდივიდუალურად უწევდა მომზადება. შესანიშნავ ფორმაში მყოფი მიხეილ მესხი 1970 წელს „დინამოდან“ „ლოკომოტივში“ ჩამოალაბორანტეს, შემდეგ კი აიძულეს, რომ ნაადრევად ჩამოეკიდა ბუცები ლურსმანზე.

მიხეილ მესხის წვალება აქტიური ფეხბურთიდან წასვლასთან ერთად არ დასრულებულა. მესხის ოჯახის წევრები დიდი ფეხბურთელის საჯაროდ ცხარე ცრემლით ტირილის ერთადერთ ფაქტს იხსენებენ. საბჭოთა სამართალდამცველებმა საშვის არქონის გამო (სახლში დარჩა) საყოველთაოდ ცნობილი და ყველასთვის საყვარელი სპორტსმენი სტადიონზეც კი არ შეუშვეს. ალაყაფის კარს მიღმა დატოვებულ მესხს არც არავინ გამოეცომაგა. სტადიონზე, სადაც გულშემატკივრები ორ-ორ ბილეთს ყიდულობდნენ, რათა ორივე ტაიმის მიმდინარეობისას მესხთან ყველაზე ახლოს მდებარე ტრიბუნაზე მოკალათებულ იყვნენ, ცოცხალ ლეგენდას შესვლის უფლება არ მისცეს.

რატომ არ ვინდობთ „შინაურ მღვდლებს?“ უპირველეს ყოვლისა, ალბათ, იმიტომ, რომ სიახლოვისა და ადვილად ხელმისაწვდომობის გამო, მათი არაჩვეულებრიობის აღქმა გვიჭირს. ვერ ვიჯერებთ, რომ ჩვენ გვერდით ჩვენსავით მშრომელი ადამიანი ჩვენზე უკეთესი და გამორჩეულია. მეორე მიზეზი კი, სავარაუდოდ, შურისძიებას უკავშირდება. როდესაც თავად არ შეგიძლია ცაში აფრენა, მაშინ სხვა უნდა დაანარცხო მიწაზე, შენ გვერდით.

გურამ მეგრელიშვილი

1	მასწავლებელი როგორც მსხვერპლი	391
2	უკანა მერხის ბავშვები	394
3	სხვისი შრომა, ანუ ირიბად მასწავლებლებზე	398
4	როცა კლასში დაუმორჩილებელი მოსწავლე ზის	402
5	ვკითხულობთ მხოლოდ მასწავლებლები	406
6	$ax^2 + bx + c = 0$ გადაუხადე სხვას	411
7	ვის ელაპარაკებიან ჩვენი შვილები?	415
8	საახალწლო საკითხავი მასწავლებლებისთვის	419
9	უმამოდ გაზრდილი გოგონების ამბავი	422
10	სად არიან ის ძლიერი გოგონები ჩვენი ბავშვებიდან?	426
11	ჩემი სკოლა შენსას სჯობს, არა, ჩემი სჯობს შენსას	429
12	10 წიგნი, რომელიც მასწავლებელმა არ უნდა წაიკითხოთ, არც ამ ზაფხულს	433
13	მასწავლებლის ცხოვრება და შეცდომები	438

მასწავლებელი, როგორც მსხვერპლი

ბავშვები რომ ყველაზე მოწვევადები არიან, საკამათოც არ არის. თანამედროვე ტექნოლოგიებმა გააადვილა მათზე ძალადობის გამოაშკარავება და, ალბათ, რეაგირებაც. მოზარდების ერთმანეთზე ძალადობის ამბავიც უამრავია. ბულინგი ის უკუურნებელი სენია, რომელიც ყველაზე განვითარებულ ქვეყნებსაც კი სტკივით და აწუხებთ.



90-იანებში პრესტიჟული სკოლის მოსწავლე ვიყავი, ახალგაზსნილი ფასიანი სექტორის. ასეთ სკოლებში, ხომ იცით, როგორცაა – მასწავლებელმა ცალკე ხარისხი უნდა შეინარჩუნოს, ცალკე მშობელს უგოროს კოჭი, რადგან მშობელი „დამკვეთია“.

ფიზიკის ახალი მასწავლებელი წლის დასაწყისში მოვიდა სკოლაში. ახალგაზრდა კაცი იყო, ჩვენზე, ალბათ, ათი-თორმეტი წლით უფროსი. რაღაცნაირი ჩაკეტილი. ახლა ალბათ მის სახესაც ვერ გავიხსენებ. წვერი რომ არა, იქნებ სქესიც ვერ გამეხსენებინა.

უცნაური წესი ჰქონდა: ფიზიკის კაბინეტში იკეტებოდა და ზარის დარეკვამდე ერთი წუთით ადრე აღებდა კარს. ჩვენ გაბრაზებულები ვყურყუტებდით დერეფანში და ვილანძლებოდით.

აღარ მახსოვს, პირველად ვინ გაუბედა, ან იმან როგორ მოუთმინა, მაგრამ მალე სკოლაში ხმა გავარდა, რომ ფიზიკის მასწავლებელი შესვენებიდან შესვენებამდე ჩუკენობდა. ცხადია, გამორჩენენ გოგონები, რომლებმაც „საკუთარი თვალით დაინახეს“, ბიჭები, რომლებმაც ამის გამო „აგინეს“, მასწავლებლები, ამრეზით ყურება რომ დაუწყეს... ბოლოს ისე გავთავხედდით, ნიშნებსაც აღარ დაგიდევდით, აქაოდა, „ამ ავადმყოფის“ დაწერილ ან მაღალ, ან დაბალ ნიშანს რა აზრი აქვსო.

მასწავლებლების ამოჩემება, დაცინვა, წყობილებიდან გამოყვანა, თანამედროვე და პოპულარული ენით – ბულინგი, დიდი პრობლემაა სკოლებში. პედაგოგები თუ ძალადობენ მოსწავლეებზე, არც მოსწავლეები აკლებენ და

საკმარისია, მასწავლებელი ერთხელ აიგდონ, რომ ვითარება შეუქცევადი ხდება.

რამდენი ასეთი „დაგვიბუღინებია“... ქიმიის მასწავლებელს, ვისი დაწერილი წიგნითაც ქიმიას ვსწავლობდით, ხმამაღლა ვუთხარი, გადაწერილი გექნებათ – თქვენ ხომ ქიმიისა იმდენივე გაგეგებათ, რამდენიც მე – კვანტური ფიზიკისა-მეთქი. ფიზკულტურის მასწავლებელს პერმანენტულად სცემდნენ ხოლმე უფროსკლასელები, თუ ის რამე „მედმეტს“ იტყოდა. ქართულის ასაკოვან მასწავლებლებს დაფაზე კუბოს ვუხატავდით, ახალგაზრდებს – მზეს. გეოგრაფიისას ერთხმად ვაგინებდით (ხმაზე რომ არ ეცნო მაგინებელი), რუსულისას კი სომხურ ენაზე უხამსობებს ვეუბნებოდით.

სხვადასხვა სკოლის ამბებია, ცხადია, მაგრამ ნამდვილი.

მეც ვმუშაობდი სკოლაში და მინახავს, როგორ უტირიათ მასწავლებლებს სამასწავლებლოში. ამ ცრემლებს ისინი არც მოსწავლეებს და არც კოლეგებს არ აჩვენებენ ხოლმე, მაგრამ რაკი ადამიანები არიან, ტირიან. გული სტკივთ და ტირიან.

ზოგი ბავშვების ჩაგვრით „იცავს თავს“, ზოგი ამას ვერ ახერხებს და „მეგობრული“ უჭირავს, ბევრი კი მაინც იჩაგრება. ეს ბევრი ვილაცის დედა, ცოლი, მამა, ძმია. შინ ალბათ არ ჰყვებიან სკოლის ამბებს. იქნებ რცხვენიათ კიდევ.

ბავშვები დაუნდობლებიც არიან, რადგან მათი მორალური ფილტრი არაცნობიერ აგრესიას ვერ ფილტრავს.

მასწავლებლებისადმი აგრესია მეტწილად ოჯახში, მშობლების მიმართ არსებული სუბლიმირებული შიშის ან პროტესტის გამოხატულებაა. სკოლა და საგანმანათლებლო დაწესებულებები, ცხადია, ოჯახებში დამალულ ნაღმებს ვერ გაანეიტრალებენ. ვერც მშობლებს აღზრდიან, რომლებსაც სკოლასთან თანამშრომლობაზე მეტად დაპირისპირება უყვართ. მასწავლებელი კი ხშირად სრულიად დაუცველია: ერთი მხრივ, მასზე ბავშვები ძალადობენ, მეორე მხრივ – კოლექტივი, რომელიც პედაგოგს სისუსტედ უთვლის ბავშვის „ვერდამორჩილებას“. კანონი კი იმდენად ბუნდოვანია, რომ მოსწავლის ხელაღებით გაგდებას კრძალავს და ისედაც, რომელ მასწავლებელს მოუბრუნდება ხელი, თუნდაც ყველაზე უზრდელო ბავშვი „გადასაგდებად“ გაიმეტოს?

ყველანი ბავშვობიდან მოვდივართ. შესაძლოა, დღეს ყველაზე კანონმორჩილი მოქალაქეებიც კი ოდესღაც ცელქი, დაუმორჩილებელი მოსწავლეები იყვნენ. უფროსებისთვის თვალის ახვევას ბავშვები ადვილად ახერხებენ, განსაკუთრებით – როდესაც საქმე შვილსა და მასწავლებელს შორის არჩევანს

ეხება. მაგრამ ბავშვი ყოველთვის არ არის ჩაგრული და, რა მძიმედაც უნდა ჟღერდეს, ხშირად სწორედ მასწავლებელს სჭირდება მისგან დაცვა (ამაზე ძალიან საინტერესო ფილმი – „ნადირობა“ – გადაიღო ტომას ვინტერბერგმა).

ერთ-ერთი ასეთი „დამბულინგებელი“ ვწერ და დამეჯერება.

...ჩემი ფიზიკის მასწავლებელი იმ სკოლიდან გადავიდა. რაღაცნაირად უხმოდ, უპრეტენზიოდ წავიდა. კლასის ჩაკეტვის მიზეზი კი ბანალური ყოფილა: როგორც გაირკვა, შესვენებიდან შესვენებამდე ლოცვანს კითხულობდა.

უკანა მერხის ბავშვები

პირველი გაკვეთილი რომ ჩავატარე, კლასში 21 მოსწავლე იყო. მახსოვს, მაშინ ვიფიქრე, რომ 45 წუთი გაკვეთილისთვის ძალიან ცოტაა, რადგან თითო მოსწავლეს დაახლოებით 2 წუთი თუ ერგება ყურადღებისთვის, ყურადღება კი მთავარი ამბავია განათლებაში და აი, რატომ:

ჩემი, როგორც პრაქტიკოსი მასწავლებლის მიდგომა საკუთარ რემინისცენციებს ემყარება – ვიხსენებ ხოლმე საკუთარ შეგრძნებებს სკოლის პერიოდიდან და ვცდილობ, რაც მომწონდა, მოსწავლეებთან ის მიმართულება გავუმჯობესო, რაც მთრგუნავდა მე ან კლასელებს, ბავშვებთანაც შევამცირო. ერთი ასეთი მომენტი გადამეტებული ყურადღება ან უყურადღებობაა.

თუ დაკვირვებისხარტ და ალბათ დაკვირვებისხარტ, მასწავლებლებმა ვიცით ხოლმე ბავშვების უნებური ამოჩემება, ვიღაც ძალიან ნიჭიერია და ვიღაცას თითქოს უფრო უჭირს საკუთარი თავის გამოხატვა, გამოკითხვის პროცესშიც ვცდილობთ, ვიღაც მეტად დავტვირთოთ, ვიღაც ნაკლებად. ამ მეტნაკლებობაში კი არიან ხოლმე ბავშვები, ვინც რაღაც პირადი პრობლემის გამო, იქნებ იმიტომ, რომ სახლში მამა ან დედა მთრგუნავს, იქნებ იმიტომ, რომ საკუთარი თავის არ სჯერა, იქნებ კი იმიტომ, რომ ენა ებმის და სრულიად დაუმსახურებლად სხვა ბავშვები დასცინიან და მისთვის გაკვეთილზე ჯდომა დიდი ტრაგედიაა, უხმოდ სხედან და სულ უფრო ცოტას და ცოტას სწავლობენ.

მე მყავდა კლასელი, რომელიც თითქმის არასოდეს ლაპარაკობდა, მუდამ უკანა მერხთან იჯდა და თუ მასწავლებელი დაფასთან გამოიძახებდა, თავს დახრიდა და კითხვებზე პასუხს არ სცემდა. ამის გამო, ჩვენი შეფასების სისტემის მიხედვით, ცხადია ორიანს უწერდნენ. სხვა ბავშვები ვიცინოდით ხოლმე ამ მომენტზე, როცა მასწავლებელი ირონიულად ჰკითხავდა გოგოს: გამოხვალ თუ ისევ 2? „ისევ 2, მასწ!“ – წამოვიყვირებდით. „გამოვა და მთელ წელს ჩაგაბარებთ!“ – ასეთებსაც, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ამ სიცილის, ამ დაცინვის მიუხედავად, თანავუგრძნობდით, მე ნამდვილად თანავუგრძნობდი, რადგან ბევრჯერ დავმჯდარვარ მის გვერდით და დედაჩემის გამომცხვარი ნამცხვარი მერხის ქვეშიდან მიმიწოდებია.

როდესაც მასწავლებელი გავხდი, პირველი სწორედ ეს გამახსენდა – ბავშვები, რომლებსაც გამოხატვის საშუალება არ აქვთ, რადგან, ჯერ ერთი მასწავლებლები უფრო მეტს ვლაპარაკობთ, ვიდრე ბავშვები, მეორეც – აქტიური მოსწავლეები ყოველთვის ცდილობენ იყვნენ დომინანტურები, ამაში ცუდი არაფერია, მაგრამ როდესაც ეს ხდება სხვისი დროის ხარჯზე (მე მიყვარდა ასე, ბიოლოგია ჩემი საყვარელი საგანი იყო და სხვები რომ „გადა-მერჩინა“ ავიწევი ხელს და მთელი გაკვეთილი ვყვებოდი იმ და მომდევნო საკითხებსაც), დრო კი სულ რაღაც 45 წუთია, ჩაკეტილი ბავშვები ვერ ასწრებენ გახსნას.

იმიტომ, რომ ნაკლები პრაქტიკა მქონდა, ან იმიტომ, რომ მიყვარს თანასწორობა და ვცდილობდი, ჩემი დრო და რესურსი ყველასთვის სამყოფი ყოფილიყო, იქნებ იმიტომაც, რომ ყველაზე მთავარს მივხვდი, რაც სწავლისას საჭიროა – ბავშვის სრულყოფილ ჩართულობას გაკვეთილზე, ჩემი მეთოდი (ჩემს რომ ვამბობ, არ ვგულისხმობ, რომ არავის გამოუყენებია აქამდე) შევიმუშავე. ეს მეთოდი ძალიან ქმედითი და მუშაა და 45 წუთიანი გაკვეთილის რაციონალურად დაგეგმვაში ძალიან მეხმარება.

თუ ავიღებთ ნიმუშად 20 მოსწავლიან კლასს, სადაც, ვთქვათ, 7 მოსწავლე მაინც არის ისეთი, ვინც საგნის მიმართ ინტერესს გამოხატავს და ვეცდებით, 45 წუთში ჩავატიოთ გამოკითხვაც და ახსნაც, როლური თამაშები ასე გადანაწილდებოდა:

პირველი 3-5 წუთი მისაღმებას და განწყობას სჭირდება, შემდეგ გადავდივართ პირდაპირ გამოსაკითხ მასალაზე. გამოკითხვა კი ამგვარად მიმდინარეობს: დაფასთან მსურველს ვიძახებთ, დანარჩენებს კი ხელის აწევით აქვთ საშუალება, მასალიდან (მიმდინარე ან წინა) დასვან ერთი შეკითხვა. თითო შეკითხვა (ნებისმიერი სირთულისა და შინაარსის შეკითხვის, აქ მთავარი აქტიურობა და ჩართულობაა) ერთ ქულად ფასდება, თითო პასუხიც ერთ ქულად. ქულებს დაფაზე მეორე მოსწავლე წერს (სასურველია ის, ვისაც ლაპარაკი ერიდება, ცუდად სწავლობს ან ჯგუფთან გაუცხოვებულია. ამას სიხარულით აკეთებენ ხოლმე).

სანამ ქულებს ჩამოწერდეს, მოსწავლე კლასის ყველა მოსწავლის სახელს წერს დაფაზე, ესეც მნიშვნელოვანია, რადგან ბავშვებს, იციან გაკვეთილი თუ არა, განცდა აქვთ, რომ პროცესში მონაწილეობენ.

შეკითხვების (ქულების) ჯამური რაოდენობა შეფასების კონკრეტულ ქულას უდრის. მაგალითად 10 კითხვა=10 ქულა=შეფასების ნიშანს 10, 6=6 და ასე შემდეგ.

დაფასთან გამოსულს აქვს მეტი შანსი სწრაფად დააგროვოს 10 ქულა, ამიტომ დაფასთან გამოსვლა მათთვის მოტივაციაა. მოტივაცია არის სახელების დამწერისთვისაც, ვისაც მომდევნო მოსვლაზე +2 ქულა უკვე უწერია „დახმარებისთვის“.

როგორც წესი, დროის სიმცირის გამო (თუ 20- ვე ბავშვი მომზადებულია) 70-80%-ზე მეტი სასურველ 10 ქულას ვერ აგროვებს, ამიტომ მათ აქვთ შანსი, თავად გადაწყვიტონ. თანხმდებიან, ვთქვათ 7, 8 ან თუნდაც 9 ქულას თუ ურჩევენიათ, მომდევნო გაკვეთილზე სცადონ. როგორც წესი, იმ ბავშვებსაც კი, ვისაც სხვა დროს შეფასება 7 დამაკმაყოფილებელი ჰგონიათ, აღარ აკმაყოფილებთ 8, 9, 10 ქულის მიღება და უფრო მაღალ სტანდარტზე ასვლას ცდილობენ. მასწავლებლის როლი სწორედ აქაა, რომ აძლევს შანსს ეს სასურველი „10-იანი“ ხშირად მიიღოს.

დაფასთან გამოსული პირველივე ბავშვი, ვინც 10 ქულას დააგროვებს, ჯდება მასწავლებლის გვერდით და მას ევალუება აწეული ხელებიდან რიგითობა განსაზღვროს. ბავშვებისთვის ეს სასიამოვნო და სახალისო პროცესია. მეორე, ვინც 10 ქულამდე ადის, თავად წყვეტს, ვინ იქნება დაფაზე ქულების დამწერი და ასე შემდეგ.

გაკვეთილის პროცესის ამგვარად წარმართვა, საშუალებას იძლევა მწირი 45 წუთი გამოკითხვაში მაქსიმალურად რაციონალურად გამოვიყენოთ. პედაგოგი ამ დროს მხოლოდ მოდერატორია, მისი ფუნქცია ზედმეტად აუჯიტირებული მოსწავლეების დამშვიდება და შეუსაბამო კითხვების გაცხრილვაა. ასეთ თამაშ-გამოკითხვაში, კლასის 80 % მუდმივად ჩართულია, დინამიკა, მცირე ხმაური, სიცილი, ცოდნის დემონსტრირება ყველაზე მორცხვ მოსწავლეებსაც კი აიძულებს „ჯგუფს“ შეუერთდეს. ასეთ დროს მე მათ ამის საშუალებას დაფასთან გამოსვლით და სახელების ჩამოწერით ვაძლევ.

გაკვეთილის მსგავსად დაგეგმვამ 20-ვე ბავშვის გამოკითხვის საშუალება მომცა. ბავშვებმა იციან, რომ ყველა ჩართულია გამოკითხვაში, რომ მათ აქვთ შანსი საკუთარი ცოდნის დემონსტრირება მოახდინონ, მასწავლებელი კი არ ლაპარაკობს მეტს, არამედ ბავშვები და ეს ყოველ (მეორე) გაკვეთილზე ასეა.

ამ სისტემის მთავარი ხიბლი, ერთი მხრივ, იმაშია, რომ მთელი კლასი ჩართულია გამოკითხვაში. მეორე ისაა, რომ ყველა გამოკითხვა ერთგვარი შეჯიბრია. მესამე და აუცილებელი კი ის, რომ ბავშვი თავად ირჩევს, რა ნიშანი უნდა 6,7,8,9,10 თუ 3?

მე, როგორც მასწავლებელი დაბალ ნიშანს არცოდნისთვის არასოდეს ვწერ და ველოდები იმ მომენტს, როცა ჯგუფის დიდი ნაწილი ზეგავლენას

მოახდენს იმ მცირეზე, ვისაც სწავლა რაღაც ობიექტური მიზეზების გამო ეზარება, არ გამოსდის, არ შეუძლია და ასე შემდეგ.

რაკი დრო ცოტაა, 45 წუთია და თანაც ჩვენი განათლების სისტემა არაა 7 ვარსკვლავიანი, როცა 3 ბავშვს შეიძლება ერთი პედაგოგი ჰყავდეს, მსგავსი მეთოდოლოგია ამართლებს. ერთი მხრივ, ჯგუფი უფრო მეტად იკვრება, მეორე მხრივ, პედაგოგი მართავს ბავშვების მოტივაციას, მესამე, მუშაობს ყველაზე სუსტ რგოლზე, რომელიც, როგორც წესი, ყველაზე აქტიურ მოსწავლეებად გარდაიქმნებიან ხოლმე.

ჩემს კლასში უკანა მერხი არ არსებობს და ეს დროის სწორად განაწილებაში ძალიან მესმარება.

გამოკითხვას თუ 30 წუთს დავუთმობთ და ბავშვებმა იციან, რომ ამ დროში თუ მოასწრებენ 10 ქულას, თუ არადა შემდეგ გაკვეთილს უნდა დაელოდონ. ესეც მოტივაციაა, მობილიზებაა, კითხვებს სწრაფად სვამენ, პასუხებიც სწრაფია. დრო ცოტაა და ეს ბავშვებმაც იციან.

დარჩენილი 10-12 წუთი გაკვეთილის ახსნას ვანდომებ ხოლმე და როგორც წესი, ვერ ვასწრებ და დასვენების ხარჯზე ვახერხებ ამას, თუმცა არასოდეს, არასოდეს გაუპროტესტებიათ ჩემს მოსწავლეებს, რადგან ეს დრო, ეს 45 წუთი მათთვისაც ძალიან ცოტაა.

გთავაზობთ შეფასების ჩემუელ სისტემას, რაც შესაძლოა, დახვეწის შემთხვევაში, გამოგადგეთ კიდევ:

დასწრება 1 ქულა (ამ შემთხვევაში, ცხადია, ისედაც ესწრებიან ბავშვები, ეს მათი ვალდებულებაა, მაგრამ მოტივაციაა, რომ სასურველ 10-ანამდე დარჩენილია 9 და არა 10 ქულა)

საწერი 2 ქულა (ყველა გაკვეთილზე რაღაც დასაწერს აუცილებლად ვაძლევ, ამ შემთხვევაში, ხარისხი ცალკე ფასდება, მაგრამ დაწერა უკვე ქულაა და ესეც გათვლილია სწორედ იმ „მორცხვზე“, ვისი ჩართულობაც კლასისთვის მნიშვნელოვანია)

დანარჩენი ქულები დასმული შეკითხვების მიხედვით (მთავარია, არასოდეს დაგენანოთ 10-ანები, მაშინაც კი, თუ ბავშვი ამის მოპოვებას რაღაც ხრიკებით ცდილობს. ხშირად, მაღალი შეფასების მიღება სასწავლო წლის მომდევნო პროცესს სრულიად ცვლის და ბავშვი მოტივირებულია).

მე არასოდეს ვწერ ნიშანს, ბავშვი თავად ირჩევს, აკმაყოფილებს მიღებული ქულები თუ არა. როგორც წესი, ბავშვი არასოდეს ირჩევს დაბალ ნიშანს და ესეც დამატებითი მოტივაციაა მისთვის.

სხვისი შრომა, ანუ ირიბად მასწავლებლებზეც

ამასწინათ, ასე 20 წლის წინათ, მამაჩემმა მითხრა, მოდი სადარბაზო და-ვალაგოთ, სირცხვილია ამ ნაგავში ცხოვრება და სიარულიო. ჩვენ მაშინ მე-თექვსმეტე სართულზე ვცხოვრობდით და იდეა არ მეხალისა. ან რატომ უნდა დამელაგებინა საერთო სარგებლობის კიბე, როცა ჩვენამდე ამოსასვლელად კიბის უჯრედს კიდევ 90 ოჯახი იყენებდა.

ასეც ვკითხე.

ერთხელ რომ დასუფთავდება და ნახავენ, რა კარგია სუფთა, მერე ნაკლებად დაყრიან, ცდად ღირსო, მამაჩემმა.

არგუმენტი დამაჯერებლად არ მომეჩვენა და უარი ვთქვი, არა-მეთქი.

დაძალება მამაჩემის სტილი არაა. ადგა და მარტომ, ღიღინით დაიწყო ძირს დაყრილი ნაგვის პარკებში ჩაყრა და ქვევით ჩაზიდვა. მე ნამუსმა შემაწუხა და შორიახლოს ვტრიალებდი, მაინტერესებდა, როდის მობეზრდებოდა ეს ამბავი. მეზობლები აივლიდნენ-ჩაივლიდნენ. რამდენიმემ შეაქო, ვილაცა მიესალმა და ჩაუარა, იყვნენ ისეთებიც, ვინც ამ ამბავში რაღაც ფარული ინტერესები დაინახეს (თავმჯდომარეობა ხომ არ გადაგიწყვეტია? კაი იქნებოდა, მე მხარს დაგიჭერ!). სადღაც მეცხრე სართულამდე მარტომ ალაგა. მე სიბრაზისგან მუშტებს ვიკბენდი, ვერ ვხვდებოდი, რატომ უნდა დაულაგო სადარბაზო „სხვას“, როცა რამდენიმე საათში ისევ დაანაგვიანებენ.

ორ-სამჯერ ავუარე, ჩავუარე. ზერელედ ვუთხარი, მაინც ჩავდივარ, გავაყოლებ 1-2 პარკს-მეთქი. არ შემწინააღმდეგებია, მძიმე არ აწიო, წელს გატკენს, რა გვეჩქარება, ნელა ჩავიტანთო, მითხრა და პირთამდე სავსე პარკიდან ნაგავი ამოყარა, რომ მძიმე არ მეორია ფეხით.

მამაჩემს იმდენი წელია ვიცნობ, რამდენიც მესხიერება მაქვს. არასოდეს მინახავს უფრო ოპტიმისტი და მხიარული ადამიანი, როცა ბრაზობს, მაშინაც მხიარულია და რამე სასაცილოს იტყვის ხოლმე ისე, რომ ვისაც უბრაზდება, იცინის. ამ მხიარული ბუნების უკან კი დიდი სიჯიუტე დგას. თავისნათქვამაა, რომ თქვას, კლდეა მოსანგრევით, მარტო მიადგება და შუა გზაში არ მიატო-

ვებს, შეიძლება მიაფუჩიეროს, მაგრამ არ მიატოვებს. ეს ვიცოდი და ვხვდებოდი, რომ დარჩენილ სართულებსაც მართო დახვეტდა – ჩემს პროტესტს აზრი არ ჰქონდა და ხელები დავიკაპიწე.



მოსწავლეებთან რამდენიმეწლიანმა ურთიერთობამ მასწავლა, რომ ადამიანი მხოლოდ მაშინ სწავლობს რაღაცას, როცა ცოცხალ მაგალითს ხედავს. წესად მაქვს, რომ გაკვეთილზე არასოდეს ვაგვიანებ და ტელეფონი გამორთული მაქვს. რაგინდ სასწრაფო ზარი იყოს, პრინციპულად არ ვპასუხობ, რადგან ჩემს მოსწავლეებს ვეუბნები – სანამ თქვენთან ვარ, მხოლოდ თქვენთან ვარ და იქნებ მომბაძოთ!

მასწავლებლის, როგორც ქცევითი მოდელის სანიმუშობის აუცილებლობა განათლების სისტემის მთავარი კომპონენტია. ერთხელ, კახი კავსაძემ თქვა, აი, ქუჩაში რომ მიდიხარ, შენი ქცევა, შენი ქცევა აღარაა მხოლოდ, შენ, იმ წუთას ვილაცისთვის საყვარელი და იქნებ სანიმუშოც, კახი კავსაძე, ხარ და უმსგავსოდ რომ მოიქცე, იქნებ როგორ ატკინო გული სხვასო.

ერთი შეხედვით, ქცევის ეს მოდელები ხელოვნური და ყალბია, მეორე მხრივ კი შესაძლოა, ასეთი მიდგომით ადამიანი გაამხნევო. გაამხნევო, რომ მის მოწესრიგებულობას და სამოქალაქო პასუხისმგებლობას აზრი აქვს. აბა, წარმოიდგინეთ, შვილს სერიოზული, სევდანარევი იდუმალგაბრაზებანარევი ბრძნული სახით უხსნი სიგარეტის მავნებლობაზე და სახეში აბოლებ, რატომ უნდა დაგიჯეროს, თუ ადამიანს ზოგადად არაპირდაპირი საფრთხის ცნობიერი შიში ისედაც არ აქვს.

მასწავლებლის ჰეროიზაციის მომხრე არ ვარ, მაგრამ თუ ის ავტორიტეტი არ იქნება საგანმანათლებლო სივრცეში, მოსწავლის ქცევის მოდელის ჩამოყალიბებას როგორ მოახერხებს? მასწავლებლის ავტორიტეტის შელახვას კი, გარკვეულწილად თავად საგანმანათლებლო სისტემის იმგვარად მოწყობა უწყობს ხელს, სადაც პიროვნებას, ინდივიდს, პედაგოგს დამოუკიდებლად მოქმედების არეალი შეზღუდული აქვს.

ცხადია, ჩარჩო საჭიროა. საერთო პირობებზე შეთანხმება აუცილებელი, მაგრამ თუ ექსპერიმენტებისა და ინდივიდუალური მიდგომებისთვის არც დრო და არც ადგილი არ დარჩა, როგორ მოახერხოს პედაგოგმა შედეგის დადება?

რეპეტიტორობის ინსტიტუციას ბევრი აკრიტიკებს. ამბობენ, კარგი საგანმანათლებლო სისტემის არსებობის შემთხვევაში, მოსწავლეს დამატებით მომზა-

დება არ დასჭირდებაო. ამის მიზეზი, ერთი მხრივ, მოსწავლეთა რაოდენობაა, მეორე მხრივ კი მასწავლებლების ხელფეხშეკრულობა. აბა, მაშინ როგორ ახერხებს კერძოდ, ზედმეტ კონტროლსა და ბიუროკრატიას აცდენილი პედაგოგი იყოს 10-ჯერ, ხშირად 100-ჯერაც უფრო ეფექტიანი, ვიდრე სკოლის კედლებში, სადაც მისი, როგორც ინდივიდის ხმა ადმინისტრაციულ ლაბირინთებში ჩაკარგულია?

როგორ გაზრდის სამსახურის დაკარგვის შიშით საჯარო გამოსვლისას ერთის, პირად ლაპარაკებში კი მეორის მთქმელი პედაგოგი არაკონფორმისტ მოქალაქეს?

როგორ შეძლებს გახდეს მოსწავლისთვის ავტორიტეტული მასწავლებელი, ვისაც დღენიადაგ, ბევრნაირი ფორმით რეპუტაციას უღახავენ?

მასწავლებლების კრიტიკა ყოველდღიურობის ნაწილია. ადამიანებს, ვისაც დაბალ ანაზღაურებაზე ურთულებს და საოცრად დიდი პასუხისმგებლობის აღება უწევთ საკუთარ თავზე, მშობლები ხშირად დაუმსახურებლად ასწორებენ მიწასთან.

მშობლების ნაწილი თვლის, რომ მისი შვილის უსაფრთხოებასა და განათლებაზე მხოლოდ სკოლა და მხოლოდ პედაგოგია პასუხისმგებელი და მასწავლებელსაც, ხშირად ისლა დარჩენია, „სკოლის კედლებს იქითკისერიმცგიტეხია“ პოზიცია დაიჭიროს, რადგან ისევ და ისევ, პედაგოგის რეპუტაცია შეღახულია.

რამდენჯერმე დავესწარი ჩემი უფროსი შვილის გაკვეთილს. 45 წუთი საკმარისი იყო იმისთვის, რომ 30 ბავშვთან, როგორც იაკობისა ღმერთთან მებრძოლი ახალგაზრდა და ძალიან კვალიფიციური მასწავლებლის შრომა დამეფასებინა. რა ფანტასტიკური უნარების მქონე უნდა იყოს მასწავლებელი, 30 პირველკლასელს რთულად თუ ვინმე გაუმკლავდება.

არადა უხდებათ. უჭირთ, მაგრამ უხდებათ. და როდესაც უხდებათ, მერე მოტივაციაც აღარაა ისეთი, როგორიც უნდა იყოს.

და ასეთ პედაგოგებს რომელიმე პრეტენზიული მშობელი მაინც ხშირად გააკრიტიკებს. ევალება და მაშ, როგორ, იტყვის. შვილს დილით დაუტოვებს, იმას კი არ იკითხავს, იქნებ მშობლის ჩართვაც საჭირო იყოს საქმეში? იქნებ მასწავლებელთან ერთად მუშაობამ შედეგი გააორმაგოს, იქნებ მასწავლებლის ავტორიტეტს „შეხიდება“ სჭირდება?



ამასწინათ, ასე 4 წლის წინათ, მაშინ 3 წლის შვილთან ერთად ნათლობაში ვიყავი. როგორც ბავშვების უმეტესობამ, მათემაც დაუდევარი ჭამა იცოდა.

ძირს ყრიდა ყველს, პომიდორს, სალათს და შენიშვნები კი გაუგებარი იყო მისთვის. მახსოვს, რომ მკაცრად ველაპარაკე და გაბუტულები წამოვედით სახლში.

მანამდეც ბევრჯერ მითქვამს, რომ როდესაც ჩვენ ვანაგვიანებთ, ვილაცას ყოველთვის უწევს ამის აღაგება, შეიძლება ამაში ხელფასს იღებდეს, მაგრამ მაინც – ეს სრულიად დაუფასებელი და მოსაწყენი შრომაა.

თუ ეს მისი სამსახურია, რატომაც არ უნდა ააღაგოსო, უკითხავს შვილს ასეთ დროს. ამაზე მეც მიფიქრია, მანამ სანამ ვაშინგტონის ერთ-ერთ მოსაგდეულში, ავტობუსის მოლოდინში ასეთ ამბავს არ გადავეყარე – აფროამერიკელმა დამლაგებელმა კაცმა ყურსასმენები გამოიძრო და სკამზე ჩამომჯდარ კაცს ძირს დაყრილ ნაგავზე უთხრა, გამოხვეტას ვაპირებ და შენი დაყრილი ნაგავი აკრიფეო. ის, ვისაც შენიშვნა მისცეს, უხმოდ წამოდგა და ძირს დაგდებული Coca-ს ქილა, შოკოლადის ნაფცქვენები და მიწის თხილი ფრთხილად წამოკრიფა, ურნაში ჩაყარა და გარეთ გავიდა.

პასუხი, რომელიც ჩემს შვილს გავეცი მაშინ, მოფიქრებული არ მქონია, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, ეფექტური გამოდგა.

ამასწინათ, ახლა ნამდვილად ამასწინათ, შვილი, რომელიც ახლა 7 წლისაა, მეგობრის რესტორანში წავიყვანე. ამჯერად, კონკრეტული მიზნით – დარბაზი უნდა დაგველაგებინა. როდესაც მეგობარს ვთხოვე, დარბაზს დაგილაგებთ-მეთქი, გაუკვირდა. იფიქრა ვხუმრობდი, მაგრამ დაჟინებით ვთხოვე და დამთანხმდა. მე და ჩემმა შვილმა ბანკეტის მერე დანაგვიანებული დარბაზის დალაგება დავიწყეთ.

ანაზღაურება იმდენივე მივეცი ბავშვს, რამდენსაც დამლაგებლები იღებენ. მძიმე სამუშაო ყოფილაო, მითხრა.

ნამდვილად მძიმეა-მეთქი, ვუპასუხე.

მამაჩემისგან განსხვავებით, ჩემი შეგონების მცდელობა უფრო ხისტი და პირდაპირი აღმოჩნდა, მაგრამ გაამართლა. ალბათ გაამართლა, რადგან ახლა ჩემმა შვილმა იცის, რომ მის დაგდებულ ნაგავს ვილაც ყოველთვის აღაგებს და ეს მძიმე და დაუფასებელი შრომაა.

როცა კლასში დაუმორჩილებელი მოსწავლე ზის

„ათი წელია, ერთსა და იმავე სახეებს ვხედავ. ყოველდღე. ოცდაათი წელია, მასწავლებელი ვარ. თქვენს მშობლებსაც ვასწავლიდი... მაგალითად, მამაშენს (სახელი). და რა შეიცვალა მას შემდეგ? შეიცვალა რამე? ვერაფერი გავუგე თქვენს თაობას. ჩემი გამოცდილების კაცი, წესით, უნდა იცნობდეს, მაგრამ თქვენთან არაფერი გამომდის. თქვენი სკოლაში ყოფნა ფულისა და დროის ფუჭი კარგვაა. ახლა მეც სულ ტყუილად ვკარგავ ძვირფას დროს. საერთოდ არ მისმენთ, არა? არ მისმენთ. არ გაინტერესებთ და რას მომისმენთ? თქვენ არასოდეს მისმენთ. ნეტავი საკუთარი სახეები დაგანახათ. თქვენი თაობა არასოდეს არავის უსმენს. რატომ მოვუსმინოთ, ფიქრობთ, არა? თქვენ ისეთი რთული და გაუგებარი ხართ, ამ რაღაც ახლებური უგემოვნო მუსიკითა და ტექნოლოგიებით, სინამდვილეში კი სიცარიელით. მინდა იცოდეთ, რომ შინაგანად არაფერი ხართ, საერთოდ არაფერი. ეს ყველაფერი, ეს... ზედაპირულია. სიცარიელე. საიდან ვიცი (სახელი)? საიდან ვიცი, რომ თქვენთვის უცხოა ისეთი ტერმინები, როგორებიცაა ზრდილობა, მანერები, მორალი? საიდან ვიცი? იქიდან, რომ ამ წკებლის გამოყენება ისევ მიწევს. ორმოცი წლის წინ ამის გაგება კიდევ შეუძლებოდა, მაგრამ მაშინ ხალხიც სხვანაირი იყო. უკეთესი. თქვენზე ბევრად უკეთესი. ძველ მოსწავლეს რომ ვხვდებოდი ქუჩაში, ერთად ვიცინოდით იმაზე, თუ როგორ ვსჯიდი მათ. თქვენგან კი რას ვიღებ? ბინძური, მუწუკიანი და საზიზღარი მოსწავლეებისგან, რომლებსაც არაფერი სჭირდებათ ცხოვრებაში? არ ვიცი, არაფერი ვიცი, უბრალოდ არაფერი ვიცი...

ასე რომ, სანამ უკეთეს გამოსავალს არ მივაგნებთ, მომიწევს თქვენი ცემა!“

ბრიტანელი რეჟისორის კენ ლოუჩის 1969 წლის ფილმ „კესიდან“ აღებული ეს ციტატა, თუ მოსწავლეთა სახელებს ბაჩოთი, საბათი, ლუკათი, ვატოთი შევცვლით, საქართველოს რომელიმე სკოლის საკლასო ოთახში ან დირექტორის კაბინეტში გამართული ცალმხრივი მასლაათის ნიმუშადაც გამოგვადგება.

ამ კონგენიალურ ფილმში უამრავი პლასტია, ერთმანეთზე უფრო ღრმა შრეები და პრობლემები, რაც მეშახტეების ქალაქში განვითარებულ ამბავს დინამიკურსა და საინტერესოს ხდის. არც კი ვიცი, რამდენჯერ მინახავს, რამდენაირი თვალთ შემიხედავს, მაგრამ იმ კუთხით, როგორითაც ახლა მინდა გავშალო, მასზე არასოდეს მიფიქრია.

კენ ლოუჩის ფილმის ფაბულა ასეთია: ჩრდილოეთ ინგლისის ქალაქში, დაახლოებით ისეთივე მურიანში, როგორიც ჩვენი ჭიათურაა, მაგრამ ნაკლებად ლამაზში, პატარა ბიჭი, კასპერი ცხოვრობს. ამ ქალაქში დაბადებულმა ადამიანმა ცნობიერების ჩამოყალიბების წუთიდანვე იცის, რომ ან უნდა გაექცეს ერთფეროვან რეალობას, ან იმუშაოს მაღაროში, სადაც სისხამ დილით, ნახევრად მძინარე წალასლასდები და საიდანაც გვიან ღამით, ცხოვრებაზე გაბრაზებული მოლასლასდები. იმუშაოს, სანამ ყველაფერთან შეგუებულს ერთადერთ სიამოვნებად უქმეებზე ლუდის ბარში ჯდომა და ჭორაობა არ ექცევა.

კასპერი უცნაური ბიჭია. როგორც ყველა მაგარი რეჟისორი, კენ ლოუჩიც სრულყოფილად გვაცნობს ამ პროტაგონისტს – ის არც რძის მოპარვას ერიდება, არც გაკვეთილებზე ძილს და არც მეკარეობისას ძელზე ცოცვას.

უყურადღებოდ და უსიყვარულოდ გაზრდილი ბავშვისთვის ერთადერთი შვება მოშინაურებული კირკიტას წვრთნა და მასთან თამაშია. ამ უცნაური სიყვარულის წყალობით კასპერი ბიბლიოთეკიდან აწაპნილი წიგნის კითხვასაც კი დაიწყებს.

სიუჟეტი ისე ვითარდება, რომ ყველაზე გულგრილ ადამიანსაც კი ვერ დატოვებს გულგრილს, ცოტა გულჩვილებს კი სადღაც ბოლოსკენ იქნებ ცრემლიც მოადგეთ.

როგორც ზემოთ ვთქვი, კენ ლოუჩის ეს გენიალური ფილმი მრავალმრიანია. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შრე კი საგანმანათლებლო სისტემის დრომოჭმულობაა. ვისაც „პინკ ფლოიდი“ ჰყვარებია, „კესის“ ნახვის შემდეგ უთუოდ გაახსენდება ამ ბრიტანული ჯგუფის ფილმი „The Wall“ და მასწავლებლის ცნობილი სცენა, სადაც სახლში დაჩაგრული, მაგრამ სკოლაში დიდგული მასწავლებელი მოსწავლეს ლექსს თავზე გადაახევს. „ლექსი დაწერე? გესმით, ბავშვებო? კლასში პოეტი (ინტონაცია ისეთია, უფრო „გიჟპოეტა“ იგულისხმება) გვყოლია!“ კლასი იცინის.

კენ ლოუჩის ფილმშიც თითქოს განსაკუთრებით ცუდი არაფერი ხდება. კი, აქ არის ფეხბურთზე უზომოდ შეყვარებული, ვერრეალიზებული სპორტის

მასწავლებელიც, რომელიც ბოლმას მოსწავლეებზე ანთხევს და ბავშვების სულამდე მიღწევის მოწადინე სამოქალაქო განათლების მასწავლებელიც, რომელიც, როგორც ყველა ამ ფილმში, არცთუ იდეალურია. მაგრამ ეს გმირები ისეთივე ნამდვილები არიან, როგორებიც არიან მასწავლებლები თუნდაც აქ, 21-ე საუკუნის 10-იანი წლების თბილისში, სადაც ამ წერილს ვწერ.

აქამდე, რამდენჯერაც ეს ფილმი მინახავს, მაღაროელობის არმოსურნე პატარა კასპერის თავგადასავალი მეგონა მთავარი სიუჟეტური ხაზი, მაგრამ მივხვდი, რომ ამ ამბის მთავარი სათქმელი ის გაუცხოებაა, რომელიც საზოგადოების ყველაზე ახლობელ წევრებს – მშობელსა და შვილს, ძმებს, მეგობრებს, მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის სუფევს. ამ ფილმში ერთმანეთისა მხოლოდ შევარდენს და მის მომთვინიერებელ ბიჭს ესმით, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ბუნებისა და ჯიშისა არიან. ამ ბაბილონის გოდოლივით არეულ საზოგადოებაში მხოლოდ ეს ორი არსება ახერხებს გულწრფელ თანაცხოვრებას.

წერილის დასაწყისში მოყვანილ სიტყვებს დირექტორი ამბობს. ფილმში ის თითქოს ერთი უშუალო და გაბოროტებული კაცია, ბავშვები რომ ეზიზღება, მაგრამ კარგად რომ დააკვირდები, სულ სხვანაირი აღმოჩნდება. არ ვიცი, მერამდენე ნახვისას მივხვდი, როგორ იტანჯება ეს კაცი, როგორ ცდილობს, სკოლაში ყველაფერი იდეალურად ჰქონდეს. როგორ იტანჯება, როდესაც ხმამაღლა კითხულობს სახარებას, ბავშვებს კი ეძინებათ ან ეცინებათ. მისი გულწრფელი აღსარება-მონოლოგიც იმას მოწმობს, რომ არ გამოდის, უბრალოდ არ იცის, როგორ ელაპარაკოს ახალ თაობას, რომელიც სრულიად გაუცხოებულია.

თანაკლასელებისგან დამცირებული კასპერი ახალგაზრდა მასწავლებელს, კითხვაზე, რატომ გჩაგრავენო, პასუხობს:

„- არ ვიცი, სერ. თითქოს არც სხვაზე უკეთესი ვარ და არც უარესი. მანამდე ბანდაში ვიყავი და გამოვედი. პოლიცია კი, თუ რამე დაიკარგა, პირველი მაინც მე მომადგება ხოლმე.

– რაღაც მიზეზი ხომ უნდა იყოს?

– მაგალითად, დღესაც უსამართლოდ დამსაჯეს, სერ. გაკვეთილზე დავჯექი და ჩამეძინა. დილით ექვსზე ვდგები, სერ, რომ გაზეთები დავარიგო, მერე სახლში გავრბივარ, რომ ვნახო, ჩიტი როგორაა. ვიღლები. თქვენც ხომ დაიღლებოდით, სერ?

– ნამდვილად. მერე?

– მასწავლებლებს კიდევ საერთოდ არ ვაინტერესებთ. სამიანებს რომ ვიღებთ, იდიოტები ვგონივართ, თან სულ საათზე იყურებიან, რომ დროზე მოგვიშორონ თავიდან და სახლში გაიქცნენ.

– რა სამსახური გინდა გქონდეს, კასპერ?

– სულერთია, სერ, რაშიც ფულს გადამიხდიან“.

სინამდვილეში კასპერისთვის ფული მესამეხარისხოვანია, რადგან ჯერაც ბავშვია. ისეთივე ბავშვი, როგორიც თბილისის ქუჩებშიც შეიძლება შეგვხვდეს და ცხვირი ავუბზუოთ, რადგან მაწანწალაა, დაუბანელი და ცუდი მანერების პატრონი. ასეთი მოსწავლე რამდენი გვყოლია. რამდენი გვყავს. მოსწავლე, რომელსაც ვერ ვთოკავთ. ისე ვერ ვმართავთ, როგორც გვინდა. არ გვიჯერებს, ერთს ვეუბნებით და მეორეს აკეთებს. სხვა ბავშვებს ეჩხუბება. გაკვეთილებზე სძინავს, დავალებას არასოდეს ასრულებს და სხვა.

მოკლედ, ერთი ჩვეულებრივი ჰაკლბერი ფინია.

სწორედ ასეთ ჰაკლბერებს, ტომ სოიერების გვერდით რომ ცხოვრობენ და სწავლობენ კიდევ, შეიძლება ისეთი საოცარი, შევარდენივით თავისუფალი სული ჰქონდეთ, როგორიც კასპერს აქვს.

ყველა მასწავლებელს ვთხოვდი, ეფიქრა ამაზე.

იქამდე მაინც, სანამ ასეთი ბავშვების სწორად აღზრდისთვის რამე უკეთესს არ მოვიფიქრებთ.

ვკითხულობთ მხოლოდ მასწავლებლები

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ეს წერილი რომელიმე სისტემის უპირატესობის დასამტკიცებლად არ იწერება, მეტიც – ქვემოთ მოყვანილი მაგალითები ვინმესთვის შესაძლოა, რიგი სისტემების წარუმატებლობაზეც მეტყველებდეს, მაგრამ მთავარი დისკუსიაა, დისკუსია მასწავლებლებს შორის, რომელიც არცთუ ისე ხშირად იმართება ხოლმე. ნებისმიერ საგანმანათლებლო სისტემას კი ცალკეული მცირე ჯგუფები კი არა, სფეროში ჩახედული პროფესიონალები ემნიან, ცხადია, თუ ჰკითხავენ და თუ თავად მათ აზრის გამოთქმის არ შეეშინდებათ ან არ მოერიდებთ.

მაშ ასე, მსურს, შვედური სკოლის რამდენიმე უცნაური პრინციპი გაგაცნოთ, რომლებიც სრულიად მიუღებელია, მაგალითად, ამერიკის, ბრიტანეთის და, ჩვენ ჩვენი ვთქვათ, საქართველოს საგანმანათლებლო სისტემებისთვის.

მოგილური ძელეფონები

წარმოიდგინეთ, რომ ქართულ სკოლაში, გაგანია ფიზიკის გაკვეთილზე, მეშვიდეკლასელმა კაკო იორდანაშვილმა სმს-ები აგზავნოს პარალელურკლასელთან ან მეათეკლასელმა კენტუკელმა ჯონ ბლეიზერმა ყურსასმენები გაირჭოს და Ariana Grande-ს უსმინოს, ან ლივერპულელი მუშის სტივენ პეკის უმცროსმა ქალიშვილმა სარამ Facebook-ზე ან Instagram-ზე სელფი დადოს გაკვეთილის მიმდინარეობისას. საუკეთესო შემთხვევაში, მათ ძალიან მკაცრ შენიშვნას მისცემენ, უარესში კი დირექტორის გარეშე ეს ამბავი ვერ ჩაივლის.

შვედურ საგანმანათლებლო სისტემას კი სულ არ აწუხებს სასწავლო პროცესის დროს მოსწავლე ტეტრისის ითამაშებს თუ აინშტაინის დღიურებს წაიკითხავს, მასწავლებელი ბავშვს მოსმენას არასოდეს აიძულებს. თუ არ გაინტერესებს, ნუ მომისმენ, ნურც ხელს შეგვიშლი, მაგრამ იყავი ჩვენთან – ეს შვედური სკოლის უმთავრესი პრინციპია. თუ მასწავლებელი ბავშვის დაინტერესებას ვერ ახერხებს, ეს მასწავლებლის პრობლემად ითვლება და არა მოს-

წავლის, რადგან შვედური განათლება ნებაყოფლობითი სწავლის პრინციპზე დგას, რაც, შესაძლოა, სხვა ეთნოკულტურებში არ ამართლებდეს, მაგრამ ლოგიკური ახსნა ამ მეთოდს აქვს – თანამედროვე ფსიქოლოგები ხშირად ამბობენ, რომ ადამიანის არაცნობიერი მაშინაც კი იმას სწავლებს მიღებულ ინფორმაციას, როდესაც სძინავს. ამ თეორიას ისეთი მომხრეებიც კი გამოუჩნდა, ვინც ეს მეთოდოლოგია რელიგიურ ჭრილში გადაიტანა და ამტკიცებს, ქრისტიანულ მაგიდაზე დაწოლა ახლობლის თანდასწრების გარეშე არ შეიძლება, რადგან ნარკოზში მყოფს რას ჩაგძახებენ, კაცმა არ იცისო (საიანტოლოგიების ცნობილი თემისი).

თუმცა, უნდა ითქვას, რომ ბოლო წლების კვლევები მობილურის გამოსხივებასა და გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მატებას შორის კავშირზე შვედ მშობლებს მაინც აშინებთ, ამიტომ ზოგიერთ სკოლაში – და ეს საერთო რაოდენობის 16%-ია – ბავშვებს საკლასო ოთახში ტელეფონის შეტანა უკვე ეკრძალებათ.

დაგვიანება

შვედეთში, ზემოხსენებული სისტემებისგან განსხვავებით, სასკოლო ზარის ცნება არ არსებობს, რადგან არ არის განსაზღვრული გაკვეთილის დაწყებისა და დასრულების ზუსტი დრო. რა უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს, სასწავლო გაკვეთილების ხანგრძლივობა შეთანხმებაზე დამოკიდებულია. ეს ერთგვარი „ღირსების საქმეა“ – თქვა, რომ მიხვალ საერთო შეკრებაზე 12:25 წუთზე და გაჩერდები იქ 35 წუთი, ან 10, ან 1 საათი, გააჩნია, რამდენის გუნებაზე ხარ და რამდენი გინდა წამოიღო სკოლიდან.

ცხადია, ამ შეთანხმებას ყველა ყოველთვის არ იცავს, მაგრამ დაგვიანებული მოსწავლის კლასში შემოსვლისას მასწავლებელი არც „თავსა დამართ სცემს“ და არც „ასტამს უხეთქნის“ ვინმეს – ილიმება და გამარჯობას ეუბნება შემოსწრებულს.

მასწავლებელი ავადია

ქართველი მასწავლებელი ავად არასოდეს ხდება. არ შეიძლება გახდეს. არც ნაბახუსევზე უნდა იყოს შვილის ქორწილის მეორე დღეს. ბავშვი არ უნდა გააჩინოს ხშირად და დასასვენებლად (სეზონზე) წასვლა არ უნდა აუტყდეს

„უდროო დროს“. და, საზოგადოდ, ქართველი მასწავლებელი ბანაობასა და ჭამაზეც არ უნდა კარგავდეს დროს. ამერიკასა და ბრიტანეთში მთლად ასე არ არის, მაგრამ თუ ამერიკელი პედაგოგი ავსტრალიაში ორკვირიან მოგზაურობას გადაწყვეტს, მას შემცვლელს იმავე წუთას მოუძებნიან. აი, შვედეთში კი სხვანაირადაა – თუ შვედი მასწავლებელი ავადმყოფობს, ან ბედნიერებას მისცემია, ან კაეშანი მოსაძალებია და განსაქარვებლად „წყლისა პირს“ წასულა, მაგრამ ეს წყალი არა მის ქალაქში, არამედ შორს, თუნდაც სანკტ-პეტერბურგშია, კლასი ისვენებს, პირდაპირი გაგებით ისვენებს. ყველა მოსწავლე ელოდება მასწავლებელს, რადგან შვედური სისტემა პიროვნულ ურთიერთობებზე აგებული სისტემაა. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, ეს დაახლოებით რეპეტიტორის ინსტიტუტია.

„აბა, ერთი შეგაპოწმო“

შვედურ სკოლაში ტესტები და გამოცდები არის, მაგრამ წარუმატებლად ჩაბარების გამო ფსიქოლოგის დაქირავება, კარდიოთერაპიის კურსი (მშობლებისა და ბებია-ბაბუისთვის), აღსარების ჩაბარება და ტკივილგამაყუჩებლის მიღება საჭირო არ გახლავთ. გამოცდებისა და ტესტების ერთადერთი ფუნქციაც და მიზანიც მიმდინარე ცოდნის შემოწმებაა, რათა მშობელმა გაიგოს, ზარმაცობს თუ არა მისი შვილი და რაში სჭირდება მიხმარება. საგამოცდო სისტემის ამგვარი გაუბრალოების მთავარი მიზანი, როგორც ჩანს, სტრესული გარემოს შემცირებაა, ამიტომ, ბავშვებისთვის სკოლა შიშსა და უბედურებასთან კი არა, სიხარულსა და გართობასთან ასოცირდება, მეტიც – თუ სახლში Medal of Honor-ის ბოლო ვერსიის ჩართვის უფლება არ გაქვს, შეგიძლია სკოლაში წააცუნცულდე და მაგრად მოილხინო, ამის გამო არავინ, არავინ, არავინ დაგსჯის.

საშინაო დავალება

საშინაო რა? Home What? სახლში ზიხარ და ტვინს იჭყლეთ? „ვიკინგების“ ბოლო სეზონის ყურების მაგივრად ისტორიის წლებს იზუთხავ? რა სისულელეა, შვედეთში ეს ამბავი წარმოუდგენელია. სახლში მაქსიმუმ რაიმე პროექტის მომზადებას თუ დაგავალბენ, ისიც იმისთვის, რომ კლასის წინაშე თავი გამოიჩინო, აი, რა შემოქმედებითი ტიპი ვარო. მაგალითად, დაწერო ესე

ფილმზე „პიანისტი“, ან ილაპარაკო რასიზმზე კინოში, ან მიწასთან გაასწორო დოსტოევსკი, რომელიც საშინლად მოგწონს ან უბრალოდ დაწერო შენი სიყვარულის ამბავი, – რა იცი, იქნებ მწერალი გამოხვიდე?

გრძელი გაკვეთილები და ცოტა საგანი

ამერიკული, ბრიტანული და ქართული საგანმანათლებლო სისტემებისგან განსხვავებით, შვედური კლასის მოდელი სხვანაირია. გაკვეთილი, საშუალოდ, საათი ან საათ-ნახევარი გრძელდება; შეგიძლია გახვიდე, მოხვიდე, მიირთვა, წაუძინო კიდეც (ამ მეთოდს მივმართავდი ხოლმე რეპეტიტორთან და მაგრად მშველოდა). შვედური განათლების სისტემის მთავარი მიზანი სიღრმისეული ცოდნის შეძენა და დროის მაქსიმალურად რაციონალურად გამოყენებაა, რაც, შეიძლება ითქვას, შედეგიანია, რადგან ბოლო ათეული წლებია, სკანდინავიური მოდელი უპირობო ლიდერია ამ მიმართულებით.

„ჩემი შვილი დოხტური უნდა გახდეს!“

ბავშვებმა, როგორც წესი, მცირე ასაკიდანვე იციან, რა პროფესიები ხიბლავთ და რომელ საგნებს უნდა მიეძალონ, ამიტომ, პოლიციელობის მსურველი ერიკი მეტად ისწავლის ფსიქოლოგიას, სპორტს, ისტორიას, კანონებს, ვიდრე გრეტა, რომელსაც დიზაინერობა აქვს გადაწყვეტილი. მათემატიკის გაკვეთილზე ჯდომასაც თვითონვე გადაწყვეტენ და სკოლის სპექტაკლში მონაწილეობასაც. საყვარელ საგნებში ინტენსიური მომზადების ხიბლი ისაა, რომ უნივერსიტეტში სწავლისას ერთი საფეხურით წინ არიან სხვა საგანმანათლებლო სისტემაგამოვლივლ ბავშვებთან და მათი მარგი ქმედების კოეფიციენტი გაცილებით მაღალია. ისინი დროს არ ხარჯავენ „ყოვლისმცოდნეობაზე“.

კლასი, მემობრების შიკრება

ყველაზე მეტად მე ეს ნაწილი მომწონს, რადგან თავადაც ამ მეთოდს ვიყენებ ბავშვებთან და ძალიან ამართლებს. ქართული საკლასო ოთახი დაახლოებით ასეთია – დროის 80% მასწავლებელი ლაპარაკობს და სხვები უსმენენ ან იწერენ, დანარჩენი 20% კი ბავშვები ლაპარაკობენ და მასწავლებელი

უსწორებს. მე ეს სისტემა ამოვატრიალე და პირიქით ვმუშაობ. შვედეთშიც ასე ყოფილა.

საკლასო ოთახში შეკრება გამოკითხვა კი არა, დისკუსია და საკუთარი ცოდნის დემონსტრირებაა. როდესაც მე ვიცი საკუთარი (ჰიმ, მაღალი) აზრი „მუშაობის წამებაზე“, უკვე ვიცი და მაინტერესებს სხვისი თვალთ დანახული ტექსტი. წარმოიდგინეთ, რა საინტერესოა, როგორ ხედავს ამ ნაწარმოებს პატარა მოცარტი, ან პატარა გოგენი, ან პატარა ილია ჭავჭავაძე, ან პატარა ამბროსი ხელაია, ან პატარა ცელეი და მაიმუნი, მოუსვენარი და ონავარი თვალებიციმცინა აინშტაინი!

ასეა თუ ისე, ვერავინ დამაჯერებს, რომ ვაჟა ფშაველას სკოლის მასწავლებელმა იცოდა, ვინ იჯდა მის წინ და განტვირთა, როგორ შეატრიალებდა ერის ცნობიერების ნაწილს პატარა ბრაზიანი მოჩხუბარი ბიჭის ნაფიქრი მთაში ხეტილისას.

არც ჩვენ ვიცით, მასწავლებლებმა, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ.

შვედური სკოლის სისტემა ალბათ იდეალური არ არის, ის ალბათ სხვა განვითარებულ ან განუვითარებელ ქვეყანაში ნაკლებად იმუშავებდა. იქნებ მაგრადაც ემუშავა, არ ვიცი. ერთი რამ, რაც დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რაც დანამდვილებით ძალიან მომწონს, მიდგომაა – ყველა ბავშვი ინდივიდია, ყველა ბავშვზე ვარაუდობს სკოლა, რომ ის გენიოსია, ყველა ბავშვი დაბადებულია სიკეთისთვის.

შვედური ლიტერატურაც ხომ მთლიანად ამ მეთოდოლოგიას ემყარება!

$ax^2 + bx + c =$ გადაუხადე სხვას

თუ ვინმესი გულწრფელად მშურს, ეს პროფესიონალი მუსიკოსები და მასწავლებლები არიან. მიუხედავად იმისა, რომ წლებია, თავადაც ვასწავლი, მიმაჩნია, რომ ნამდვილი პედაგოგი მაინც ვერ გავხდი და ყველაფერი, რასაც ახლა ვაკეთებ, მხოლოდ მადლიერების გამოხატვის მცდელობაა იმ რამდენიმე მასწავლებლის მიმართ, რომლებმაც – იქნებ დაუფიქრებლად, მაგრამ მაინც – პიროვნებად ჩემს ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი შეიტანეს.

მე ნამდვილი 90-იანელი ვარ. აი, იმ თაობისა, გაკვეთილებზე შეშა და ნავთი თავად რომ მიჰქონდა, საერთო მოხმარების სახელმძღვანელოები ჰქონდა და დენის მოსვლისას შუა გაკვეთილზე ყოჩინას დასცემდა ხოლმე. ომებს აღარც ვახსენებ. ომები ლამის ყველა იმ თაობამ გამოვიარეთ და ვნახეთ, ვინც ჯერაც ცოცხლები ვართ.

და იმ პერიოდში, იმ რთულ და ავადსახსენებელ პერიოდში, მე მყავდა მასწავლებლები, რომლებიც, ახლანდელი გადმოსახედიდან, გმირები იყვნენ, მაშინ კი უბრალოდ უცნაურ ადამიანებად მეჩვენებოდნენ.

ერთი ასეთი კაცი ზაურ გოგრიჭიანი იყო. მოსწავლეები მოფერებით ჯუდოს ეძახდნენ. არ ვიცი, რას ნიშნავდა ეს მეტსახელი, მაგრამ მახსოვს, რომ სწყინდა და ამიტომ მხოლოდ ზურგს უკან ვეძახდით ასე: ჯუდო!

სანამ მთავარ ამბავს მოვყვები, ის უნდა გავიხსენო, რომ სადღაც მეოთხე კლასში ექიმობა ავიკვიატე. ცხადია, ეს მაშინდელი საერთო ფონის ამბავი იყო: ოჯახში „დოხტორი“ თუ არ გყავდა, არ ივარგებდა. ოჯახის ნათესავ-მეგობრებიც ხომ მხარზე ხელის მოთათუნებით წაახალისებენ ხოლმე ასეთ „არჩევანს“ – აბა რა, შვილო, კარგი პროფესიაა, შემოსავლიანიც და პრესტიჟულიცო. მთელი ბავშვობა, ბარე მეათე კლასამდე, ვამტკიცებდი: ექიმი უნდა გამოვიდე, ბიოლოგიის და ქიმიის გარდა არაფერი მჭირდება, რეცეპტს როგორმე გამოვწერ, ამიტომ სხვა საგნებზე დროის ხარჯვა ფუჭი ამბავი მგონია-მეთქი. არ ვიცი, ეს თავდაცვის მექანიზმი იყო იმის გამო, კვადრატულ განტოლებას რომ ვერ ვხსნიდი მეათე კლასამდე და ქართულში 3-იანზე მაღალი ნიშანი არასოდეს მქონია თუ

რა, მაგრამ რაღაცნაირად ასე კი აეწყო – ქიმია და ბიოლოგია მართლა განსაკუთრებულად მიყვარდა. არასოდეს მეზარებოდა ამ ორი საგნის სწავლა, მეტიც – არც დამატებითი ლიტერატურის მოძიება და ქექვა. დაავადებათა სიმპტომატიკის შესახებ არსებული ყველა წიგნი, რომელზეც კი იმ დროისთვის ხელი მიმიწვდებოდა, დაკონსპექტებული მქონდა და როგორც მომავალი „პროფესიონალი“, განსაკუთრებული კარიერისთვის ვემზადებოდი, მანამდე, სანამ ჭიანჭყლავის ოპერაცია არ დამჭირდა, ექიმმა მამაჩემს არ უთხრა, სანამ ნარკოზის ფულს არ მოიტანო, ვერ გავკვეთო და ისიც შუალამისას კისრისტეხით არ გავარდა 50 დოლარის სასესხებლად. მაშინ მივხვდი, რომ ეს ჩემი საქმე არ იყო. ასე არასოდეს არაფერზე ამცრუებია გული. პალატაში წოლისას სრული ფრუსტრაციის განცდა მქონდა. იმ ღვთისმსახურებით ვიყავი, უცებ ღმერთის არსებობაში ეჭვი რომ შეეპარება და იმედგაცრუებულს იმის დაშვებისაც კი მეშინოდა, რომ 17 წლის ასაკში, სამედიცინო უნივერსიტეტისთვის „მომზადებულს“, უარი უნდა მეთქვა პროფესიაზე, რომელზეც მთელი ბავშვობა ვოცნებობდი.

მშობლები თავისუფლად მზრდიდნენ. ჩემს ახალ აკვიატებას, რომ სამედიცინოზე აღარ ჩავაბარებდი, მშვიდად შეხვდნენ და გადაწყდა, მომდევნო წლისთვის მათემატიკაში მოვემზადებინეთ, საგამოცდო საგნებს იმ წელს რომ დაემატა. როგორც ხდებოდა და ახლაც ხდება, გაიკითხ-გამოიკითხეს და ფასისა და ხარისხის შეფარდებით ბაურ გოგრიჭიანი აირჩიეს. მკაცრი და უცნაური კაციო, მახსოვს, გვითხრა მისმა რეკომენდატორმა. უცნაურობა კი იმით გამოიხატებოდა, რომ ყველას არ ამზადებდა. წინასწარ გაესაუბრებოდა ბავშვს და გადაწყვეტდა, აიყვანდა თუ არა.

ჯუდოს ამბავი მეც გავიკითხ-გამოვიკითხე და დავასკენი, რომ მართლა უცნაური კაცი იყო. ამდენი ლეგენდა მასწავლებელზე არასოდეს მსმენია.

„ერთხელ თურმე მოსწავლე მეცხრე სართულიდან ფეხებით გადაკიდა, თუ არ ისწავლი, გადაგადებო!“ – ცოტა შეშინებული კილოთი მითხრა ჩემმა მეგობარმა გიორგი ხარაიძემ, ვისთან ერთადაც ვიჯექი და კარებს ვუყურებდი, საიდანაც ჩვენს შესამოწმებლად ბაურ გოგრიჭიანი უნდა შემოსულიყო.

ბაური მაღალი, მხნე აღნაგობის კაცი იყო, წარმოშობით ზემო რაჭიდან, სოფელ ღებიდან. ღებელზე ის ვიცი ჩემი ჯუდოსგან, რომ ამ მაღალმთიან სოფელში, სადაც უმკაცრესი კლიმატია, 17 აკადემიკოსი დაიბადა და, საზოგადოდ, ყველა იქაურს განსაკუთრებული ნიჭი აქვს ჰავის თავისებურების გამო. ყველაზე უცოდინარი მე ვარო, დაამატებდა ბაური და ამოიოხრებდა ხოლმე, და ეს ამოოხვრა, დანამდვილებით ვიცი, სოფლის მონატრება იყო.

დღევანდელ დღესავით მახსოვს: სამნი ვიყავით ჩემს ბინაში, მეთექვსმეტე სართულზე. ლიფტი არ მუშაობდა და მასწავლებელმა, რომელიც, როგორც მერე აღმოჩნდა, არასოდეს იგვიანებდა, ზუსტად სამი წუთი დაგვიანა. დინჯად შემოვიდა ოთახში და სამივეს დაგვაკვირდა.

მე, გიორგი და იოსები ვისხედით და შევყურებდით ლეგენდარულ კაცს, რომელმაც ერთ ჩემს უბნელ ბიჭს ისე შეაყვარა მათემატიკა, ეს უკანასკნელი სამი წელი უმაღლესი ქულებით აბარებდა სხვადასხვა უნივერსიტეტში (გამოცდის პროცესი მომწონსო), ისე რომ, საქართველოში იმ დროს არსებული ყველა მთავარი სასწავლებლის სტუდენტი ერთხელ მაინც გახდა.

ჰოდა, ვისხედით და შევყურებდით ამ კაცს, რომელსაც სათვალის მიღმა ცისფერი, ბრიალა თვალები და ძალიან, ძალიან მანერული მეტყველება და მიხრა-მოხრა ჰქონდა. იოსებმა, ასევე ჩემმა კლასელმა, მითხრა, მე კი ამიყვანს, შენ რა გეშველება, კვადრატულ განტოლებასაც ვერ ხსნიო. ჩემთვის სულერთია, არც მათემატიკა მაინტერესებს და არც უმაღლესში ჩაბარება, ჯარში მივდივარ-მეთქი, ვუპასუხე.

ჯუღომ შეგვამოწმა, იოსებს უარი უთხრა მომზადებაზე, მე და გიორგი აგვიყვანა და დავიწყეთ.

პირველი სამი გაკვეთილი „მოსარჯულებელი“ ბრძოლა იყო. ცხადია, ფანჯარას სათოფეზე არ ვეკარებოდი – მეთექვსმეტე სართული იყო მაინც. მეოთხე გაკვეთილზე კალამი მაგიდას დაჰკრა და ჯერ ცხარედ, მერე კი ძალიან დინჯად მითხრა სიტყვები, რომლებიც არასოდეს დამავიწყდება: „გურამ, შენ ხარ ძალიან მაგარი მათემატიკოსი. იმდენად მაგარი, რომ შეგიძლია, ფერმას დიდი თეორემაც კი ამოხსნა. მეტიც: ამ ცხრა თვეში, რაც გამოცდებამდე დავგრჩა, არათუ ჩააბარო, არამედ შეუსწორო კიდეც პროფესორს, რომელიც განტოლების ამოხსნის არასწორ, რთულ გზას შემოგთავაზებს. ნუ იბრძვი, ირწმუნე საკუთარი თავის და გამოიმყევი“.

აი, ეს მითხრა ტიპმა, რომელიც აბიტურიენტებში ჯონ ლენონზე პოპულარული იყო. წლების შემდეგ, სრულიად შემთხვევით, სტივ ლარსონის წიგნის „გოგონა დრაკონის ტატუთი“ კითხვისას გავიგე, რომ ფერმას დიდი თეორემა თურმე ორი წლით ადრე ამოუხსნია ენდრიუ უაილზს, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ზაურის სიტყვებმა ისე გამამხნევა, უმაღლეს მათემატიკაში გამოცდა უმაღლესი ქულით ჩავაბარე.

მარტივად დავწერე, აი, ცურვა რომ იცი და კი არ ფიქრობ, როგორ იცურო, უბრალოდ მიცურავ, ისე დავწერე.

აღმოჩნდა, რომ აქამდე უინტერესო საგანი ყველაზე მეტად შემეყვარდა. ორი რამის გამო შემეყვარდა: პირველი – გავიგე, დავინახე, შევიგრძენი, მოვისმინე მათემატიკა და მეორე – მასწავლებლის შრომას ვაფასებდი, მთელი ცხრა თვე რაღაც გროშებისთვის ჩემს სახლამდე – კილომეტრს, მერე კი მთელ 16 სართულს ფეხით რომ ამოივლიდა და 6, 7, ხანდახან 10 საათიც კი მათემატიკაზე მელაპარაკებოდა. მრცხვენოდა, ასეთი მცირე თანხის საფასურად ამდენს რომ შრომობდა ჩემთვის. მისი სიმკაცრეც ურბანული ლეგენდა აღმოჩნდა – თუ ვჩხუბობდით, ვჩხუბობდით ზუსტად ისე, „შერეკილებში“ ერთ-თაობი და ქრისტეფორე მგალობლიშვილი რომ ჩხუბობენ.

„მე თვითონ მოვალ თქვენთან, პატივცემულო (გულში კი ვამატებდი: „ჯუღო“), ამხელა გზაზე ფეხით რომ არ იაროთ!“

აქამდე მოსასვლელად ოცდასამი წუთი მჭირდება. შენ ახალგაზრდა ხარ, ჩვიდმეტ-თვრამეტ წუთში მოხვალ, მაგრამ გზაში ვინმე შეგხვდება, იქ ბირჟაზე შეგაყოვნებენ, აქ გოგოს გააყოლებ თვალს, სადღაც წაიზანტებ და ნახევარ საათს დაკარგავ, ამ დროში კი ნორმალური ადამიანი ერთ-ორ კაი საინტერესო განტოლებას ამოხსნისო, მპასუხობდა.

მუსიკა, რელიგია, ლიტერატურა, ასტრონომია, გეოგრაფია, კულინარია თუ ნადირობა – რაზე არ გვილაპარაკია ჩვენ სამს: მე, გიორგის და ზაურის მასწავლებელს. არც მახსენდება ჩემი ცხოვრების უფრო საინტერესო მონაკვეთი, ვიდრე ეს ცხრა თვე იყო, როცა ათსაათიანი მეცადინეობის შუალედებში ფიზიკის ამოცანებით „ვისვენებდით“.

სწორედ ზაურ გოგრიტიანის, ამ იშვიათი პედაგოგის გამო ვცადე მასწავლებლობა. ვფიქრობ, მისთვის მადლობის გადახდას აზრი არ აქვს, ვერც მოვახერხებ. თუ ერთი ჩემსავით მადლიერი მოსწავლე მაინც ვიპოვე, მიზანი ალბათ მიღწეული იქნება და ეს გზა, ეს ტრადიცია, ეს უხილავი კავშირი პედაგოგსა და მოსწავლეს შორის არ გაწყდება.

მე სხვას გადავუხდი მადლობას!

ვის ელაპარაკებიან ჩვენი შვილები?

ჩემი შვილი, მათე, 9 წლისაა. ბუნებით არაა კონფლიქტური, მაგრამ უყვარს წუწუნი და ნებისმიერ პრობლემას, რაც ცხოვრებაში ხვდება, მძაფრად განიცდის, განიხილავს და მშობლებსაც გვიყვება. და მაინც, მოხდა ისე, რომ მე მისი ცხოვრების ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა მოულოდნელად გამომეპარა.

ამბავი კი ასეთია:

ჩემს შვილს, მუსიკალური სკოლის სოლფეჯიოს მასწავლებელი მთელი სემესტრი აბუღინებდა.

როგორც მშობელმა რაღაც დაზეპირებული ინსტრუქციასავით ვიცი, რომ ბავშვებთან საუბრისთვის დღის განმავლობაში დრო აუცილებლად უნდა გამონახო. რაც უფრო ემატება ასაკი შვილს, ის ნაკლებს გიყვება. ამიტომ პერიოდი, როცა თვითონ დგამს ნაბიჯს და უნდა ყველანაირი შთაბეჭდილება გაგიზიაროს, არ უნდა გავუშვათ ხელიდან. თითქოს ყოველთვის ვუსმენ ხოლმე შვილებსაც და მოსწავლეებსაც, მაგრამ ისე მოხდა, რომ ეს ამბავი გამომეპარა – უყურადღებოდ მოვუსმინე, იქნებ დრო ვერ გამოვძებნე, Deadline მეონდა ახლოს რომელიმე სამსახურის საქმეზე, უხასიათოდ ვიყავი, რომელიმე პოლიტიკოსის სკანდალური გამოსვლა უფრო მემნიშვნელოვნებოდა ან უბრალოდ დამეზარა, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება – შვილის ამბავი გამომრჩა.

არადა, როგორც მოგვიანებით გავიგე, ძალიან განიცდიდა ამ საკითხს და განიცდიდა იმდენად, რომ მუსიკალურ სკოლაში სიარული საშინლად შესძულდა.

„აზროვნების აკადემიის“ საკვირაო სკოლაში, სადაც ლიტერატურას ვასწავლი, ბავშვებთან კომუნიკაცია ჩემივე პიროვნულ ზრდაში ძალიან მეხმარება. ცხადია, „ცდისა და შეცდომის“ მეთოდის ხარჯზე არ ვცდილობ მოსწავლეებთან კომუნიკაციას, მაგრამ მაინც ხდება ხოლმე ისე, რომ რაღაც მნიშვნელოვანს ძალიან გვიან ვხვდები და მენანება დრო, რომელიც განვლილ ჯგუფებთან ურთიერთობისას გამომეპარა. ასე მოხდა შარშანაც, როცა შესვენებისას მოსწავლეებს ვკითხე, ვის უყვებიან საკუთარ პრობლემებზე ან საიდუმლოებზე, რომელიც მათთვის მნიშვნელოვანი და საწუხარია. აღმოჩნდა, რომ ბავშვების დიდ

ნაწილს ასეთი ადამიანები ოჯახის გარეთ, ან საერთოდ არ ჰყავთ. ისინი, საკუთარ გასაჭირსა და პრობლემებს, კარგ შემთხვევაში, თანატოლებს უზიარებენ, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, მათზე არაკომპეტენტური არიან.

რამდენადაც ჩემი ცოდნა და ცხოვრებისეული გამოცდილებაც მეუბნება, მოზარდები საკომუნიკაციო არხს შემდეგნაირად ალაგებენ (რომელი სტილიც, როგორც მიეხვედრება, ცხოვრების ბოლომდე გაგვცემა ხოლმე). პირველი და მთავარი ხაზი ბავშვსა და გარესამყაროს შორის გაჩენილი გაურკვევლობის გადასალახავად მშობელი, ან მშობლები არიან, რომლებსაც, უარეს შემთხვევაში, მასწავლებელი ან მოძღვარი (გააჩნია სუბკულტურას) ანაცვლებს. სწორედ ამ შუალედურ რგოლს აქვს მთავარი და იქნებ, გადამწყვეტი მნიშვნელობაც, როგორ ისწავლის პრობლემებთან გამკლავებას მოზარდი.

როდესაც პირველი მაშველი რგოლი, მოდი ასე დავარქვათ, ფრონტის ხაზის მეკავშირე – მშობელი დროულად არ აღმოჩნდება გვერდით, მოზარდი იწყებს პრობლემასთან მართო გამკლავებას ან ეძებს მეორე, ნაკლებად უსაფრთხო რგოლის მოძიებას.

როდის არიან თავს ბავშვი ამ პირველ რგოლს? როდესაც მშობელს არ სცალია, შვილის საქციელს მუდმივად ამტყუნებს, აგდებით ეპყრობა მის პრობლემას (რომელიც შესაძლოა ჩვენთვის სასაცილო, ბავშვისთვის კი ქვეყნის დაქცევასავით მტკივნეული აღმოჩნდეს). ან სულაც უსმენს უგულისყუროდ და არაკომფორტულად აგრძნობინებს თავს.

მეორე რგოლი ყოველთვის მარტივად და ბუნებრივად არ გამოჩნდება ხოლმე. როდესაც მშობლებისგან ფრუსტრაციის გრძნობა გაჰყვება მოზარდს, ის ახალ მეკავშირეს, გრძნობების გამზიარებელს და მომსმენს ეძებს სიფრთხილით, ეჭვით ან უარესი – გაშმაგებით, მინდობით (რითიც ასევე სარგებლობენ ხოლმე მავნე ადამიანები), რა დროსაც მისი იმედგაცრუებების სერია გრძელდება. სხვა შემთხვევაში და კარგ შემთხვევაში, ეს მეორე რგოლი სამეგობრო წრე აღმოჩნდება ხოლმე, სადაც, არცთუ ისე იშვიათად, ერთნაირი განწყობის ბავშვები იყრიან თავს და რჩევებს უზიარებენ ერთმანეთს და ეს რჩევები ძალიან შორსაა ლოგიკურობისგან.

ემოციური თვითგამორკვევის დროს, მოზარდები აუცილებლად საჭიროებენ ამ მაშველ რგოლებს და ამიტომ, ხშირად და უკვე ჩვენს რეალობაში, მესამე მაშველ რგოლად ინტერნეტსივრცე შემოდის, სადაც ინფორმაციის კონტროლი უკვე სრულიად წარმოუდგენელია.

უკონტროლოდ გამზიარებული ცრუ ინფორმაცია, ვარაუდები, ვერსიები და

„დამაჯერებელი ტყუილები“ მოზარდის ემოციურ მდგომარეობას საბოლოოდ ანგრევს და ამიტომ ისინი იწყებენ მზა მოდელების ძიებას, ვისაც მიბაძვენ და დაემსგავსებიან – ბავშვები ხდებიან უპიროვნებო ბრბოს ნაწილი, სადაც კონკრეტული ფიგურის ქცევა და ცხოვრების წესი, ყოველ შემთხვევაში, მისი გარეგნული მხარე მოწესრიგებული და თვალისმომჭრელია, მაშასადამე, კარგია და კომფორტული.

ბავშვებისთვის ამ პირველადი ფსიქოლოგიური სტრესის თავიდან ასარიდებლად (და ვინმე თუ მკითხავს, რა საჭიროა თავის არიდება, განა ცხოვრება ბრძოლა არააო, ვუპასუხებდი, მაშინ დავტოვოთ ახალშობილები სამშობიაროში და ტაქსით მოვიდნენ სახლში) აუცილებელია, მშობელმა მოიფიქროს შვილის გახსნის მეთოდი, როდესაც ბავშვი ყველაფერს, კარგსაც და ცუდსაც მშობელს მოუყვება, მისგან მიიღებს რჩევასაც და დარიგებასაც, როგორც სანდო ადამიანისგან და არა ვიღაც მესამე პირისგან, რომელსაც, უკეთეს შემთხვევაში, თავად აქვს პრობლემები და უარეს შემთხვევაში, ძალიან არასანდო „კეთილი ბიძა“.

ბავშვების გასახსნელად კი ალბათ კლასიკური და მიღებული მეთოდი, დამეგობრებაა საჭირო, როცა შვილმა იცის, რომ მისი „ცუდი“ საქციელი აუცილებლად კი არ დაისჯება და გაიკიცხება, არამედ ყველაფერს ექნება განხილვისა და პრობლემის ერთად დაძლევის ფორმა. თუ თქვენი შვილი ვინმემ დაჩაგრა და თქვენ კი ამის გამო ისევ მას უყვირით, ეს როგორ გაგიბედესო, ცხადია, რომ ბავშვი მეორედ აღარასოდეს გეტყვით მსგავს ამბავს, რომელიც შეიძლება დაუსრულებლად დაგროვდეს.

ამბების მოსაყოლად, მახსოვს, ჩემს ოჯახში საერთო სადილი და ვახშამი გვქონდა, როცა ცხონებული პაპაჩემი ყველას გამოგვკითხავდა, რა მოხდა იმ დღეს საინტერესო ჩვენს ცხოვრებაში. ახლა ეს მეთოდი აღარ გამოდის – ცხოვრების არეული რიტმის გამო, მე და ჩემი ოჯახის წევრები ძალიან იშვიათად ვსადილობთ ერთად. ამიტომ, ასეთ დროდ კვირაში ერთი საღამო ავარჩიე, როცა ჩემი შვილი, მათე იმ კვირის ამბებს მიყვება ხოლმე.

როგორც ჩანს, სწორედ ერთ ასეთ დღეს, ჩავთვალე, რომ „არაფერი დაშავდებოდა“ თუ ჩავაგდედი, ვერ მომიყვა მასწავლებელზე და მერე, როგორც ხდება, პრობლემა გადამალა ან „დაივიწყა“.

პრობლემა კი ასეთი იყო, ალბათ საკუთარი გასაჭირის მქონე პედაგოგმა ჩემი შვილი, რომელიც საკმაოდ ბევრს ლაპარაკობს ხოლმე, რაღაცის გამო ამოიჩემა. ამოჩემებული ბავშვებიც გვინახავს, მაგრამ ამ შემთხვევაში, მათეს-

თან მიმართებაში ამოჩემა იყო არაკორექტული, რადგან მწლის ბავშვს პედაგოგმა უთხრა, რომ უნიჭო იყო და მასზე დახარჯულ რესურსს სახელმწიფო შესაბამისად ვერ უნაზღაურებდა.

როგორც ჩანს, ამ დიალოგმა ბავშვზე ძალიან იმოქმედა, მისი მოსწრება ფორტეპიანოს ნაწილშიც დაბლა დაეცა და ზოგადად, ხელოვნების ამ დარგის მიმართ გახდა ძალიან გულგრილი.

მე, როგორც გარკვეული სტერეოტიპების გავლენის ქვეშ მყოფმა ადამიანმა, ჩავთვალე, რომ მუსიკაზე გულაცრუება „ლოგიკური“ ამბავი იყო და შვილის წუწუნს, რომ სკოლას თავი უნდა დაანებოს, ცოტა გულგრილადაც კი შევხედე.

ამბავი კი თავისით და მარტივად გამჟღავნდა. ერთხელაც, ძალიან კარგ ხასიათზე მყოფი შვილი, როდესაც მუსიკალურ სკოლის კარებთან მივიყვანე, ხელი ჩამოვართვი დამშვიდობების ნიშნად და შევამჩნიე, რომ ხელი მსუბუქად უკანკალებდა. მივხვდი, რომ რაღაც არ იყო ისე, როგორც უნდა ყოფილიყო და ამბის გამორკვევა ფრთხილად და მოზომილად დავიწყე.

როგორც თივა ვერ მაღავს ცეცხლს, ასე ვერ დამალა თავი ამ ამბავმაც – კლასიდან გადაყვანილ ჩემს შვილს, პედაგოგი დერეფანში დახვდა და საქმის ხმამაღლა გარჩევა დაუწყო, რასაც უკვე სხვა უფროსებიც შეესწრნენ და შემდეგ, როგორც ხდება ხოლმე, მშობლების ყურამდეც მოვიდა ყველაფერი.

საბედნიეროდ, დირექციის რეაგირება დროული და სწორი იყო, მაგრამ მე რამდენიმე თვე დამჭირდა იმისთვის, რომ მათეს მუსიკისკენ ისევ გული მიბრუნებოდა.

ეს ამბავი ძალიან კარგი მაგალითი აღმოჩნდა ჩემთვის, რომ ამის შემდეგ, შვილის პირველ მაშველ რგოლობაზე, პირველ გამზიარებლობაზე დრო ნებისმიერ შემთხვევაში გამომენახა.

ვფიქრობ, რომ მოსმენა, მხარდაჭერისთვის მზაობა, ცრუ განგაშზე ზომიერი და ადეკვატური რეაგირება და პრობლემის ვერმოგვარების შემთხვევაში თქმა, რომ რაღაც შენც არ შეგიძლია, მნიშვნელოვანია.

ბავშვს სუპერმენი მამა და დედა კი არა, ადამიანი სჭირდება გვერდით და ფიქრი, რომ „ხვალ მოვუსმენ“ შვილს ალბათ იმას ჰგავს, მაშველი რგოლის მომლოდინე ზღვაში გადავარდნილ ადამიანს გასძახო, ნარდს გავაგორებ და მერე მოგხედავო.

საახალწლო საკითხავი მასწავლებლებისთვის

ყოველთვის ვცდილობ, მოსწავლეებში შემოქმედებითი აზროვნება მეტად გავავლივო. ოტია იოსელიანს უყვარდა თქმა: ბალბაკმა 20 ტომი სისულელე დაწერა და მერე გახდა გენიოსიო.

„ცდისა და შეცდომის“ ეს კლასიკური მაგალითი საოცრად ცხადი და საგულისხმოა, თუ როგორ შეიძლება თავდაუზოგავმა შრომამ შედეგი მოიტანოს, თუნდაც ამ შრომას, ერთი შეხედვით, არანაირი გრძელვადიანი მიზანი არ ჰქონდეს.

მოსწავლეებს, მოახლოებული დღესასწაულების კვალდაკვალ ვთხოვ ხოლმე, მოიფიქრონ და დეტალურად აღწერონ რამე ისეთი, რაც მანამდე არავის გამოუგონია – იქნება ეს სახლში ჩაშენებული ნარჩენების გადამამუშავებელი მინი რობოტი, რომელიც კომპოსტს სადღაც საერთო სივრცეში აგზავნის და ამას მერე ბალ-ბოსტნების გასანოყიერებლად ვიყენებთ, თუ ახალი დღესასწაული, რომელიც შესაძლოა, კარგი ტრადიციის დასაწყისი აღმოჩნდეს.

ეს გასართობი, ძალიან კარგი საშუალებაა, ერთი მხრივ, ახალი ინფორმაციის მისაწოდებლად, მეორე მხრივ კი, წერიტი უნარების განვითარებისთვის (განსაკუთრებით, ვითარებაში, როცა კლავიატურის ეპოქის ბავშვებს სულ უფრო უჭირთ კალმით წერა).

საახალწლო დავალება კი ამგვარი მოვიფიქრე: ჯერ მოვუყევი რამდენიმე უძველეს ტრადიციაზე, რომელიც ახალი წლის დადგომასთან იყო კავშირში, შემდეგ, ვთხოვე, საკუთარი, ალტერნატიული ახალი წლის აღნიშვნის ვერსია გამოევანათ, ისეთი, როგორიც აქამდე ისტორიკოსებმა არ იცოდნენ, მაგრამ შეიძლება დამაჯერებელი ყოფილიყო.

ზრდასრულებისგან განსხვავებით, ბავშვები მსგავს დავალებას უფრო მეტი ხალისით ასრულებენ, მათი ფანტაზია უსაზღვროა. შედეგები ისეთი სახალისო, ზოგჯერ ღრმა, ხანდახან თითქმის გენიალური და ყოველთვის საინტერესოა. ვფიქრობ, ეს მეთოდი ბევრ პედაგოგს შეიძლება გამოადგეს.

2019 წლის მიწურულს, ახალი წლის უძველესი ტრადიციების შესახებ ინფორმაცია ერთად მოვაგროვეთ.

გაირკვა, რომ ძველ ბაბილონში ახალი წელი მარტის ბოლოს, ახალმთვარეობასთან ერთად დგებოდა. სამყაროს აღორძინებისა და ბუნების გაღვიძების მრავალდღიან დღესასწაულს, ბაბილონელები აკითხს ეძახდნენ და ეს საერთო სახალხო დღესასწაული იყო, რომლის დროსაც აკითხს ქანდაკებები ქუჩებში გამოჰქონდათ და მსხვერპლს სწირავდნენ. ხალხი თვლიდა, რომ ამ დროს, კოსმიური ქაოსისგან განწმენდა ხდებოდა და ის წელი ბევრად უფრო საინტერესო და იმედიანი იქნებოდა ყველასთვის.

ძველი რომაელები ახალ წელს თითქმის იმავე დღეს აღნიშნავდნენ, როგორც ამას ჩვენ ვაკეთებთ – პირველ იანვარს. ორსახოვანი იანუსის პატივსაცემად მოფიქრებული განახლების ეს დღესასწაული „ცვლილებებისა და ახალი წამოწყებების“ ღმერთისთვის პატივის მიგება იყო. ამ დროს, მემობლები და ნათესავები ერთმანეთთან ლეღვით, თაფლითა და საჩუქრებით მიდიოდნენ.

ძველეგვიპტური კულტურა კი, ნილოსთან მჭიდრო კავშირის გამო, ახალ წელს, როგორც უმეტესობა დღესასწაულებისა, წყალუხვობას უკავშირებდა. რომაელი ისტორიკოსის, ცენზორინუსის ცნობით, ძველეგვიპტელებმა ახალი წლის აღნიშვნა ვარსკვლავ სირიუსის 70 წლიანი „გაქრობისა“ და გამოჩენის შემდეგ დაიწყეს. ეს ამბავი კი ივლისის დაემთხვა, როცა დიდხინიანი გვალვების შემდეგ, ნილოსი ისევ ადიდდა, მოსავალი კვლავ უხვად მოვიდა და მოსახლეობამ შიმშილით სიკვდილს თავი დააღწია (სავარაუდოდ, ეს კონტინენტის 150 წლიან გვალვას ემთხვევა). ამ დღესასწაულს ეგვიპტელები Wepet Renpet-ს უწოდებენ და დღემდე აღნიშნავენ, როგორც მაღლიერების გამომხატველ ამბავს.

„ახალი წლის“ დადგომას ძველეგვიპტელები მუტის ტაძრის რიტუალს ამთხვევდნენ, როდესაც ყველა, ქალიცა და კაციც, უნდა დამთვრალიყო და ეხეიმა. ალბათ, Octoberfest, რომელიც ყოველწლიურად ტარდება გერმანიაში, სათავეს სწორედ აქედან იღებს, რადგან არსად, დედამიწის ზურგზე არ ისმებოდა იმდენი ლუდი, რამდენიც ახალ წელს ეგვიპტეში.

როგორც წესი, ახალი წლის აღნიშვნის ტრადიციები უამრავია მსოფლიოში. აცტეკების, ძველირანელების, ჩინელების, იაპონელების, უძველესი გერმანული ტომებისა თუ დრუიდების. საკითხავ და მოსაყოლ მასალას რა გამოლევს დედამიწაზე, მოსწავლის თვალსაწიერი ფართოვდება, მულტი-

კულტურული სიახლოვის განცდა ჩნდება. ყველა ქვეყნის ტრადიციაში აღმოვაჩენთ ხოლმე ჩვენთვის მსგავსს და ახლობელს, რაც აქრობს განცდას, რომ ეგვიპტელი პრინციპულად სხვა ადამიანია და არა ჩვენნაირი, მართალია, განსხვავებული კულტურის, მაგრამ მაინც ჩვენნაირი, იგივე შიშებითა და სიხარულით, რაც გვაქვს, მსგავსი ცრურწმენებითა და იმედებით, მასაც უყვარს, მასაც სტკივა და მასაც უხარია და რომ შეიძლება, დედამიწის რომელიმე სხვა კუთხეში, ჩვენსავით კითხულობდნენ სკოლის მოსწავლეები კალანდაზე და იმავეს ფიქრობდნენ, რასაც ახლა ჩვენ.

სიამოვნებით გაგიზიარებდით ბავშვების შექმნილ ახალ ტრადიციებსაც, მაგრამ შევუთანხმდი, რომ არ გავასაჯაროებ მათი ნებართვის გარეშე, მე კი მოსწავლეებთან შეთანხმებას ყოველთვის ვიცავ.

უშამოდ გაზრდილი გოგოების ამბავი

ადამიანის ცხოვრება კონკრეტული ეპიზოდებისგან შედგება. რამდენი წელიც უნდა იცოცხოლო, ცხადად მხოლოდ ის გახსოვს, რამაც გაგზარდა, რამაც შენს ცნობიერებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა.

ეს ეპიზოდები, როგორც წესი, უსიამოვნო ამბებს უკავშირდება და მერე ან ეგუები მათ, ან ცდილობ, რაღაც შეცვალო. ხან გამოგდის, ხან – არა.

ჩემს 14 წლის თანაკლასელზე ჭორი სკოლაში გაზის სუნივით სწრაფად გავრცელდა. ერთ დღესაც, პირველი გაკვეთილის დამთავრების მაუწყებელი ბარი რომ დაირეკა, გოგოებმა ანუნას ზურგი შეაქციეს, მასწავლებელმა, ცოტა არ იყოს, აგდებულად და უხეშად მიმართა, ბიჭებმა კი საპირფარეოში სიცილით მითხრეს, ანუნა ცალფეხამ გააფუტაო (ცალფეხას ჩვენზე ერთი წლით უფროს ბიჭს ვეძახდით, რადგან „კაი ტიპობის“ დასტურად ბიძამისის ჯოხით დადიოდა დროდადრო).

„გაფუტებას“ ორი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენთვის: ვინმე „ბურაში“ წაგებული შოკოლადებს რომ არ მოიტანდა და რომელიმე გოგოს ინტიმური თავგადასავალი რომ გასაჯაროვდებოდა.

ანუნა ჩვენს კლასში ყველაზე მხიარული იყო. ოდნავ გულუბრყვილო, ოდნავ ცეტი, ზომიერად ხმამაღალი და ასატანად კეკლუცი, მაგრამ ანუნა იყო ბავშვი, უშამოდ გაზრდილი ბავშვი, რომელსაც გამორჩეულად კარგად ეცვა.

მახსოვს, იმ ავადსახსენებელ წლებში კარგად ჩაცმა რა მსუყე საბაბი იყო ადამიანის დისკრიმინაციისთვის. ბიჭები ახალ ბოტასებს განზრახ იძველებდნენ, ახალ ქურთუკებს გლეჯდნენ, გაუცვეთელი „პაპკით“ სკოლაში მისვლა კი დიდ სირცხვილად ითვლებოდა. სასწავლო წლის პირველსავე დღეს სკოლის „ბრიზიან“ კედლებზე გავუსვამდით ხოლმე ახალთახალ დერმატინს და მერე მთელი წელი კუთხეებდაგლეჯილი ჩანთებით ვისხედით გაყინულ ოთახებში.

ანუნას ამბავი კვირის მთავარ თემად იქცა. მეორე დღეს გოგო სკოლაში აღარ მოვიდა. მთელი კლასი, იქნებ მთელი სკოლაც ველოდით მის გამოჩენას და, აი, მომდევნო სამშაბათს გამოჩნდა. დედასთან ერთად.

ბიჭები სკოლის ეზოში ვიდექით. ცალფეხაც ჩვენთან ერთად იდგა. რაღაც-ნაირად ამაყად დახარა თავი, როცა გვერდით ჩაგვიარეს და ანუნას დედამ გამოგვხედა. ქალი და ბავშვი სკოლაში შევიდნენ და დედა გაკვეთილების ბოლომდე ელოდა გოგოს, რომელიც საკლასო ოთახში, წინა მერხზე, (მოგვეჩვენა, რომ) გაფითრებული, მისთვის უჩვეულოდ წყნარად იჯდა.

მოგვიანებით საპირფარეშოში ვმსჯელობდით, რატომ იყო გაფითრებული ანუნა. პარალელურკლასელები ამტკიცებდნენ, ორსულად იქნებაო, ჩემი კლასელები – რამეს „აიკიდებდაო“. ბოლოს იქვე მდგომმა უფროსკლასელმა ჩაიგინა, ღლაპები ხარო, არ იცით, პირველ ჯერზე სისხლს რომ კარგავს ქალი – ამიტომაცაა გაფითრებულიო.

მერე გავიგე, რომ ცალფეხა მომხდარს დეტალებში ჰყვებოდა. ანუნას ბინის ტელეფონის ნომერიც მან გაავრცელა და ვისაც არ ეზარებოდა, გოგოსთან რეკავდა „დასაკერად“.

მაღევე მიგვაგვიწყდა ეს ამბავი, მაგრამ ანუნას მიმართ დამოკიდებულება შეგვეცვალა. ბიჭები ვიყავით ოდნავ აგდებულები, მასთან არასოდეს ვერიდებოდით ბილწსიტყვაობას, გოგოების ნაწილმა ცხვირი აუბზუა, სხვაკლასელები კი დერეფანში უხამს სიტყვებს მიაძახებდნენ ხოლმე. თუმცა მანამდე იყო ყოვლად სამარცხვინო კლასის სასამართლო. ბავშვებმა საჯაროდ განვიხილეთ, მოგვეთხოვა თუ არა მისი სხვა კლასში გადაყვანა. ანუნა ამ განხილვას არ დასწრებია. მაშინ – არ ვიცი, იმიტომ, რომ გამორჩეულობა მინდოდა, არ ვიცი, იმიტომ, რომ მართლა ასე ვფიქრობდი – ვთქვი, რომ არ მჯეროდა, რასაც აბრალებდნენ. ორიოდ თანაკლასელმაც ამიბა მხარი. მაგრამ არავის მოგვსვლია აზრად, გვეთქვა, რომ ეს ჩვენი საქმე არ იყო. ჩვენ, საბჭოთა პერიოდში დაბადებულმა ბავშვებმა, ასე ვიცოდით, ასე გვესმოდა, ასე გვასწავლეს: ან უნდა გაკიცხო, ან მიუტევო. ის კი ყველას დაგვაგვიწყდა, რომ სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფაც ისეთივე დანაშაულია, როგორიც დაძრახვა ან „პატიება“.

გაფითრებული პირველ მერხზე რომ დაჯდა, იმ დღეს თუ არ ჩავთვლით, ანუნა დიდად არ შეცვლილა: ისევ იყო მსუბუქად ცეტი და ასატანად კეკლუცი, ისვამდა პომადას და ზედმეტად ბევრ ფერუმარილს, დადიოდა მოკლე, მოკლე კაბით და მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით და ყოველთვის ესხა მძაფრი სუნამო – როგორც თვითონ ამბობდა, დედის.

მახსოვს, სადღაც დეკემბრის შუაში, გაყინულ დერეფანში, სპორტდარბაზის მხარეს, სადაც მასწავლებლები იშვიათად გამოივლიდნენ ხოლმე, ვიდექით მე და ჩემი კლასელი. კლასში შესვლას ვაგვიანებდით და ფილმებზე

ვლასპარაკობდით. უცბად კლასელმა გაცხარებული მოყოლა შეწყვიტა და გაშეშდა, ძალით რომ დაინახავს კატას და შეშდება, ისე; აიჯაგრა და მეუბნება: „ახლაც არ გჯერა, ბიჭო? აგე, შეხედე“.

სპორტდარბაზის მხარეს, ეზოში, ცალფეხამ და ანუნამ ჩამოიარეს. ბიჭს უხერხულად გადაეხვია ხელი. ანუნა უფრო თამამი იყო. არც არაფერი. ჩაიარეს და სკოლის შესასვლელისკენ წავიდნენ, მეტი აღარაფერი დაგვინახავს. ან რა იყო დასანახი? რა უნდა მეთქვა, ვიდრე ტუჩებმოპრუწული, ცოტა იმედგაცრუებულიც. მენანებოდა ეს კოხტა გოგო ამ ბიჭის გვერდით, მაგრამ ხმა-მაღლაც ვერაფერს ვამბობდი.

მხარზე ხელი რომ დამადეს, ავუკარი. ამ ჩემმა კლასელმა იცოდა ხოლმე – გადაგხვევდა და დაგეკიდებოდა ზედ. დამრიგებელი კი შეგვჩნა. ცოტა მახსოვს ასეთი კეთილშობილი და გონიერი მასწავლებელი. იყო გამორჩეულად მიმტევებელი და მოსიყვარულე. იმდენად კარგი პიროვნება, რომ მისი ხათრით ვსწავლობდით სხვა საგნებსაც.

ჩემი კლასელი ბიჭი გაიქცა, მაგვიანდებოდა. მე შემოვჩნდი და ნახევრად ბნელ დერეფანს ერთად გავუყევით საკლასო ოთახისკენ.

მაშინ მითხრა მასწავლებელმა ძალიან საგულისხმო რამ. მითხრა ბავშვს და მითხრა გასაგებად: „ერთი რამე იცოდე, გურამ: ამ ქვეყანაში ქალებს მეტად უჭირთ ცხოვრება და ნუ დაემსგავსები სხვებს, ეცადე, ჩვეულებრივი ადამიანი იყო“.

მერე მე სკოლა შევიცვალე. ახალ კლასში მეგობრები თითქმის არ მყოლია. მომდევნო კლასებშიც იყვნენ ანუნები და ვიყავით ჩვენც. არაფერი შეცვლილა. ერთი ეგ იყო – ვისწავლე, რომ სხვის ცხოვრებაზე და საკუთარ ცხოვრებაზეც საჯაროდ არ უნდა მელაპარაკა. იმდენჯერ მიფიქრია მასწავლებლის ნათქვამზე, რომ მეგონა, მჯეროდა კიდევ, რაზეც ვფიქრობდი.

მერე, დამამთავრებელ კლასში, უბნის ბირჟაზე მდგომს, შორიდან ვილაცამ ხელი დამიქნია. ვერ ვიცანი, მაგრამ ახლოს მისული მივხვდი – ანუნა იყო. გამოველაპარაკეთ ერთმანეთს, მე – ცოტა აგდებით, უხეში კომპლიმენტებით, ის – კვლავ ცეტურად და კისკისით.

ამერიკაში მივდივარ საცხოვრებლად. მაშინ ამერიკა ისეთი უცხო და მიუწვდომელი იყო, სიცილი დავაყარე. მართლა მივდივარო. იმ კლასელების ნახვა მინდოდა, ვინც მაშინ ის ამბავი არ დაიჯერეთო. ვინც კლასიდან ჩემს გარიცხვას ხმა არ მიეცითო. თავი მოვისუღელე, ვითომ ვერ მივხვდი, რას მეუბნებოდა. ცოტა ხანს ვილაპარაკეთ და წავიდა. არ ვიცი, სად წავიდა. იქნებ მართლა გადასახლდა ოკეანის მიღმა. ხშირად ხომ სწორედ საზოგადოებას, ოჯახს ან საკუთარ თავს გავურბივართ და არა სიღუბნით.

რომ წავიდა, უბნის ბიჭებმა მკითხეს, ვინ იყო. ისე მკითხეს, ფორმალ-
ბისთვის. აი, ყველა რომ ხვდება, რა დგას კითხვის უკან. ერთია, რა, ძველი
ნაცნობი-მეთქი, მეც ორამროვნად ვუპასუხე. სწორედ ამ ორამროვნებაში
ჩანს ხოლმე, შეძლებს თუ არა ადამიანი, საზოგადოებრივ ამრს დაუპირის-
პირდეს. მე ვერ შევძელი და ეს მომენტი, ეს ორამროვანი პასუხის მომენტი,
— პასუხისა, რომ მე არ ვიყავი პასუხისმგებელი „ამნაირ“ გოგომე, — ჩემთვისვე
ლაკმუსის ქაღალდი აღმოჩნდა. რა გასაკვირია, დამრიგებლის სიტყვები აქაც
რომ გამხსენებოდა? ვალიარებ, ძალიან შემრცხვა ჩემი საცქიელის და გადავწ-
ყვიტე, ყველაფერი გამეკეთებინა, რომ ჩემს შვილებს მსგავს საზოგადოებაში
არ ეცხოვრათ.

შინ მისულმა, ვიფიქრე, მომეძებნა ანუნა და მეთქვა, რომ კლასის სასამარ-
თლოზე კი დავიცავი, მაგრამ ჩემივე სიტყვების არ მჯეროდა, რომ მეც სხვები-
ვით მიჯორავია მასზე, როცა საპირფარეშოში მასაც ახსენებდნენ სხვა კლა-
სის ბიჭები, რომ არაფრით განვსხვავდებოდი დანარჩენებისგან, რადგან განა
ცალკეულები ვიყავით ცუდები ან კარგები — ასეთ საზოგადოებაში გავიზარ-
დეთ, ასე იყო მიღებული და ამ გაკვეთილზე, ცხოვრებამ სახეზე რომ აგვაფა-
რა, უფროსებს ჩვენთან არასოდეს უსაუბრიათ. მასწავლებლებმა უბრალოდ
გაჩუმება არჩიეს, თითქოს პრობლემა ასე უფრო დამალავდა თავს და ჩვენც
ყველაფერს ბავშვობაში ნატკენი მუხლისთავებივით დავივიწყებდით.

მე პატარა ქალიშვილი მყავს. როცა კოლო უკბენს და ხელზე ვკოცნი, სჯე-
რა, რომ მამის ნაკოცნი უშველის. როცა წაიქცევა, პირველად ჩემს სახელს ამ-
ბობს. რაც დრო გადის, უფრო და უფრო ხშირად მახსენდება დამრიგებლის
სიტყვები, რომ ქალებს მეტად უჭირთ ამ ქვეყანაში. თითქოს თავს პირობა მი-
ვეცი, რომ შვილს სხვანაირ ქვეყანას დავახვედრებდი, მაგრამ არ გამოდის ეს
საქმე, ვერ გამოდის და მრცხვენია. მრცხვენია, რადგან სულ მგონია: ანუნას
რომ მამა ჰყოლოდა, ამდენს ვერ გაუბედავდნენ, ამდენს ვერ გაუბედავდით,
ასე არ გადავუვლიდით ჩვენი გაკილვით თუ ჩვენი სიბრაღულობით.

ხომ შეიძლება, ერთხელაც ჩემს ქალიშვილსაც აღარ ჰყავდეს მამა გვერ-
დით; ვინ იზრუნებს მასზე, ვინ დაიცავს ქალებს ამ ქვეყანაში, სადაც მათ უფრო
მეტად უჭირთ, ბევრად უფრო მეტად?

აღბათ, ძალიან ძლიერი გოგოები უნდა გავზარდოთ მამებმა.

**P.S. წერილში სახელები შეცვლილია, იმედი მაქვს, პერსონაჟები საკუთარ თა-
გებს თვითონ მოძებნით.**

სად არიან ის ძლიერი გოგონები ჩვენი ბავშვობიდან?

მეორე კლასში რომ ვიყავი, სკოლიდან სახლისკენ მიმავალს სამი შედარებით უფროსკლასელი ბოშა ბავშვი დამხვდა და „მასტიკის“ სქელ პარკში გახვეული საშლელელების წართმევა დამიპირა. ახლანდელი მოზარდი ალბათ ვერც წარმოიდგენს, რატომ უნდა გადააკრა საშლელს მასტიკის პარკი ან ვინ რატომ უნდა სცადოს მისი წართმევა, მაგრამ მცირედად რომ გასაგები იყოს ეს ამბავი, ასეც შეიძლება აიხსნას: წარმოიდგინეთ, რომ მეორეკლასელი ბავშვი ხართ და „ბეიბლეიდი“ (ერთგვარი სათამაშო) უნდა წაგართვან უფროსკლასელებმა.

ჩემდა ბედად, გვერდით კლასელი გოგო მყავდა. სანამ მე ერთ-ერთ ბოშას ვეჯაჯგურებოდი, დანარჩენი ორი გემრიელად მიბეგვა და გამომძახა, მოხმარება გინდა, მოვიდეო?

ალბათ ყველა კლასში არიან გოგონები, ფეხბურთსაც რომ ბიჭებზე კარგად თამაშობენ, ხელის გადაწევაშიც ბადალი არ ჰყავთ, სირბილშიც ჯაბნიან ბიჭებს და ჩხუბიც უკეთ გამოსდით. არც შიში იციან და სწავლითაც ბევრად უკეთესად სწავლობენ. მე ასეთი უამრავი მოსწავლე მყოლია და ახლაც მყავს.

ჩემი კლასელი გოგო დირექტორის შვილი კი იყო, მაგრამ ეს დამხვედურებმა არ იცოდნენ, სხვა სკოლიდან იყვნენ და გულწრფელად უნდა ითქვას, მოერიო.

სკოლებში და შემდგომ უმაღლეს სასწავლებლებში, აკადემიურ მოსწრებას თუ გადავხედავთ, სტატისტიკა, ანუ ცარიელი, მშრალი ციფრებიც კი ნამდვილად გოგონების მხარეს იქნება. გაცილებით მეტს და გაცილებით მეტხანს, სწორედ ისინი მეცადინეობენ. არიან თამამები, გაბედულები, ცოტათი თავხედებიც კი, მაგრამ არიან, ჩანან და მათი ხმა მუდმივად ისმის და ისინი მუდმივად ჩანან.

გადის წლები და ისე აღმოჩნდება ხოლმე, რომ ეს გაბედული, ჭკვიანი და მამაცი გოგონები სადღაც იკარგებიან, სადღაც უჩინარდებიან და ქრებიან, როგორც ჩრდილები ჩაბნელებულ გზაზე. მათ ადგილას კი „დამსახურებულად“ კა-

ცები აღმოჩნდებიან ხოლმე. ძნელი დასაჯერებელია, რომ ადამიანი, მხოლოდ იმიტომ რომ ქალია, უცბად კარგავს ანალიტიკურ უნარს, პიროვნულ თვისებებს, ცოდნას, შემართებას, უნარებს და მესამეხარისხოვან სამსახურს (თუ ასეთი გამოჩნდა) თანხმდება. იცვლება მათი ტანსაცმელიც, ფერად თმისსამაგრებს და ფერად მძივებს კი თხელი ძეწკვი და თმის შავი ან ყავისფერი სარჭი ცვლის.

ბევრჯერ მიფიქრია, რომ ჩვენი საზოგადოების განვითარება ანომალიური იქნება მანამ, სანამ პიროვნული უნარ-ჩვევები გენდერულ ჩარჩოებში მოექცევა. მსმენია, როგორ იმართლებენ ხოლმე ქალები თავს, შვილები და ოჯახი გვბოჭავს და განვითარებაში გვიშლის ხელსო. მგონია, რომ ეს თვითდაპროგრამება სწორედ როლური თამაშობების შედეგია და აუცილებელია, ამ როლურ თამაშობებს თავი რამენაირად დავაღწიოთ.

რანაირად შეიძლება გავცდეთ სადღეგრძელოებს, ლექსებს ქალებზე, გაუცნობიერებლად წამოსროლილ „ლეკვი ლომისა სწორიებს“ და „დედა“ ფუძიანი სიტყვების გაუთავებელ ჩამოთვლებს ისე, რომ არა მხოლოდ ბიტებმა, გოგობმაც დაიჯერონ, თანამედროვე ცივილურ საზოგადოებაში პიროვნული უნარ-ჩვევები მხოლოდ გენდერულად კი არა, აბსოლუტურად სხვა „ბარომეტრით“ იზომება?!

მგონია, რომ ამისათვის სკოლებმა ყოველკვირეული სემინარები ახალ მოდულად უნდა დანერგონ. სწორედ სკოლიდან უნდა ისწავლონ ბავშვებმა, რომ ქსოვა გენდერთან კი არაა კავშირში, ინტერესის სფეროა და მეტიც, მე-17 საუკუნემდე სწორედ რომ კაცის საქმედ მიიჩნეოდა ევროპაში და საქართველოშიც; ბავშვებს უნდა ასწავლონ, რომ საერთო სუფრის მერე ჭურჭლის გარეცხვა ქალის ვალდებულება არაა და რომ „ოჯახის თავი“, ანუ მენეჯერი კაცი კი არა, ის არის, ვისაც ამის ენერგია და უნარი მეტად აქვს განვითარებული.

უმეტესი თვისება ჩვევითი მოცემულობაა. თანდაყოლილად თითქმის არავინაა მორცხვი, გაუბედავი, თავხედი, დამთმობი ან მამაცი. ყოველი თვისება გარკვეული გარემოებისა და პიროვნული თვისებების ჰარმონიული შერწყმის შედეგად ყალიბდება. მართალია, ბავშვს მცირე ასაკიდან ემჩნევა ხოლმე ხასიათის შტრიხები, მაგრამ მაინც, ნებისმიერი თვისება სწავლადაა. ამას ემატება და ამძაფრებს საზოგადოებაში გამეფებული სტერეოტიპული აზროვნება, „რა შეიძლება ქალისთვის“ და „რა არ შეიძლება კაცისთვის“.

როლური თამაშების მსგავსი გადანაწილება ადამიანის განვითარების გარკვეულ ეტაპზე სრულ დისონანსში მოდის მასში კოდირებულ და შემდგომ აღზრდის შედეგად მიღებულ ცოდნასა და თვისებებთან. მაგალითად, თუ

პროფესიონალი მოჭიდავე (თუნდაც საოპერო მომღერლისგან განსხვავებით) თვლის, რომ მისი ქალიშვილიც შეიძლება გახდეს ძალისმიერი სპორტის წარმომადგენელი, მაგალითად, ბერძნულ-რომაული სტილში, იგივე კაცი (თითქმის) ვერასდროს შეეგუება აზრს, რომ მისმა ვაჟმა შეიძლება ბალერონობა, ან ტანსაცმლის დიზაინერობა მოინდომოს.

რაშია პრობლემა? იქნებ შვილების მომავლის განსაზღვრაში მთავარი წინააღობა ჩვენ, მშობლები ვართ და არა თავად ისინი, როდესაც გვინდა ხოლმე მათ ან გარემოებებს დავაბრალოთ ის, რომ ჩვენი შვილები, განსაკუთრებით კი გოგონები, უკვალოდ იკარგებიან?!

ბოლო წლების განმავლობაში რამდენიმე კლასელი და კურსელი გოგო და ბიჭი შემხვდა. ისინი ზრდასრული ქალები და კაცები არიან, ჰყავთ ოჯახები, მუშაობენ და ცხოვრობენ ისე, როგორც ვცხოვრობთ ყველა. როდესაც ვეკითხები, რას საქმიანობენ, სად არიან, ვხვდები, რომ გოგონები, ვინც ყველაზე კარგად სწავლობდნენ, ყველაზე შრომისმოყვარეები იყვნენ, ყველაზე გამბედავები იყვნენ, მხოლოდ დაქვემდებარებულ, დაქირავებულ პოზიციებზე მუშაობენ, ბიჭები კი, ვინც ჩემნაირად ზარმაცობდნენ, დაბალი შეფასება ჰქონდათ, ცხოვრებისა და განვითარების ინტერესიც ნაკლებად ემჩნეოდათ, გაცილებით ხშირად ხვდებიან ხოლმე მმართველ რგოლში. მიფიქრია, რადგან ცხოვრება მუდმივი დინამიკაა, იქნებ კაცებმა მეტად მოინდომეს, მეტად გაბედეს და ამიტომ?! მაგრამ პასუხი სხვაა, – საქართველოში, ისევე როგორც მისგან ათიათასობით კილომეტრის დაშორებით მდებარე ჰონდურასსა და კოლუმბიაში, ქალი მაინც თაროზე შემოსადები ნივთია, ნივთი კი ვერ გიკარნახებს წესებს, ვერ იქნება შენი უფროსი, ვერ იქნება დამოუკიდებელი, რადგან ფაიფურის ან თიხის თოჯინაა, ან სულაც ვუდუსი, რომელსაც ნემსებს იმდენი ხანი ურჭობ სხეულის ყველა წერტილში, სანამ არ მოგებზრდება და ცეცხლში არ შეაგდებ დასაწვავად.

და მართლაც, სად არიან ეს ჭკვიანი, მამაცი, ძლიერი ქალები, თავის დროზე თმას ფერადი სარტყებით რომ იმაგრებდნენ?! ვინ უშლის მათ დაიმკვიდრონ კუთვნილი ადგილი ცხოვრებაში – საკუთარი გაუბედაობა ხომ არა პატრიარქალური საზოგადოების წინაშე?! ან იქნებ ის საზოგადოება, რომელიც თიხის და ფაიფურის თოჯინებს მხოლოდ საკოლექციოდ აგროვებს, გაბზარულს კი ნაგავში ისვრის?!

ნეტავ სად არის ახლა ის, ჩემი კლასელი გოგონა, ნუთუ მასმეც ძალადობს ქმარი?

ჩემი სკოლა შენსას სჯობს, არა, ჩემი სჯობს შენსას

1829 წელს მდინარე ტემზაზე 2 ბაიდარი დაიძრა. ერთი მუქი ლურჯი, მეორე კი ცისფერი იყო. პირველში ოქსფორდის, მეორეში კი კემბრიჯის სტუდენტები ისხდნენ. მას შემდეგ, ამ ორ, მსოფლიო დონის, სასწავლებელს შორის ყოველწლიურად იმართება შეჯიბრი გრძელი ბაიდარის ჯგუფურად მართვაში.

ამ სპორტულ შეჯიბრს, რომელსაც კემბრიჯის სტუდენტმა ჩარლზ მერი-ვალმა ჩაუყარა საფუძველი, სხვა მნიშვნელოვანი დატვირთვაც აქვს – ორი უმსხვილესი საგანმანათლებლო დაწესებულება პირველობისთვის იბრძვის, რათა მომდევნო წლისთვის, სტუდენტებს გამარჯვების სურვილი კიდევ უფრო მეტად გაუღვივოს და თან, მსოფლიოს აჩვენოს, რომ ის და სწორედ ისაა N1 უნივერსიტეტი... იმ წელს მაინც.

სპორტული აქტივობა, როგორც განათლების შემადგენელი ნაწილი, მსოფლიოს ცივილური ნაწილისთვის უცხო არ არის. ამერიკის შეერთებულ შტატებში, სკოლებში 60-ზე მეტი სახეობის სპორტულ აქტივობაში ჩართვაა შესაძლებელი. აშშ-ს განათლების სისტემა აუცილებელ საგნადაც კი ითხოვს სპორტულ აქტივობას, არჩევანი კი ნებისმიერი ახალგაზრდისთვის ფართოა – ჭიდაობიდან დაწყებული პეინტბოლით დამთავრებული. საერთო მოსწრება და ნიშნებიც სწორედ ამ სპორტულ ღონისძიებებში ჩართვის მიხედვით ითვლება.

არცთუ ისე იშვიათად, საგანმანათლებლო დაწესებულებების (High School, Collage) სპორტული კლუბები უმაღლეს დივიზიონში თამაშობენ და ამ ტრადიციას თავისი, გამორჩეული დატვირთვაც აქვს.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის დაკვირვებით, სკოლის ყველა საფეხურზე სპორტულ აქტივობებში ჩართულობა აკადემიურ მოსწრებაზე კარგად აისახება, რაც ჩვენი საგანმანათლებლო სისტემისთვის ურიგო არ უნდა იყოს, მაგრამ სკოლებში არსებული სპორტული კლუბების დიდი ნაწილი ფასიანია, ან მხოლოდ კერძო და საკმაოდ ძვირიანი სკოლების მოსწავლეებისთვისაა ხელმისაწვდომი მაშინ, როდესაც სპორტის (და არა საბჭოთა გადმონაშთის – ფიზკულტურის) მასწავლებლების უმეტესობა პროფესიონალი სპორტსმენი

არ არის, რაც ბავშვების მომზადებასა და მოტივაციაზე შესაბამისად აისახება. არადა, სწორედ რომ ვეტერანი სპორტსმენების ჩართვა სასკოლო პროგრამაში, ცხოვრების ჯანსაღი წესის ყველაზე კარგი პროპაგანდაა, ერთი მხრივ და მეორე მხრივ კი დაავადებების პრევენციის წინაპირობაა (ცნობილია, რომ მკურნალობა სამჯერ ძვირი ჯდება, ვიდრე მისი პრევენცია), რაც თავისდაუნებურად მოახერხებდა მოზარდებში მწველთა რიცხვის კლებას.

მოვიძიე რა მსოფლიოს წამყვანი სკოლების გამოცდილება, გთავაზობთ რამდენიმე ხერხს, რასაც წარმატებული სასწავლო დაწესებულებების დირექტორები და მასწავლებლები დანარჩენ მსოფლიოს უზიარებენ:

1: დასწრება

დანიელი პედაგოგები გვიჩვენებენ, ყველა საბავშვო შეჯიბრს დავესწროთ მასწავლებლები (სხვა დისციპლინისაც), რათა დავანახოთ მოსწავლეებს, რომ მათი წარმატება სკოლისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენი დასწრების პარალელურად, ალბათ კარგი იქნება, მოსწავლეებიც აუცილებლად მივიყვანოთ სპორტულ ღონისძიებებზე (თუნდაც დამსწრედ), ამით, სულ მცირე, გულშემატკივრობისა და სხვისი წარმატების გაზიარების უნარებსაც გაითავისებენ, რაც სპორტულ მოედნებზე ასე აკლია საქართველოს.

2: ღირსეული სპორტი

იაპონელი სკოლის დირექტორები გვიჩვენებენ გამარჯვებისა და დამარცხების კულტურა ერთნაირად გავითავისოთ. მათი დაკვირვებით, გაბრაზებულ მშობლებს გაბრაზებული შვილები, აგრესიულ მწვრთნელებს კი აგრესიული სპორტსმენები ჰყავთ. იაპონური საგანმანათლებლო სისტემა კი სიმშვიდესა და პოზიტიურ ენერგეტიკაზეა აგებული. შეჯიბრს არ უნდა ჰქონდეს სხვისი დამცირების სახე, რამაც ჩვენი ხასიათიდან გამომდინარე, შეიძლება კონფლიქტის ესკალაციაც კი გამოიწვიოს.

3: იყავით პოზიტიური

ამერიკული სკოლა გვიჩვენებს სასკოლო შეჯიბრებებს მხოლოდ დადებითი მხრიდან შევხედოთ. გამარჯვებულები წავახალისოთ, მოვუწყოთ განსაკუთრებული დახვედრა, აღვნიშნოთ მათი წარმატება და როდესაც სპორტულ თავყრილობებზე ვიქნებით, თანაგუნდელების კრიტიკასთან ერთად, აუცილებლად აღვნიშნოთ მინიმუმ სამი დადებითი რამ, რასაც თანაგუნდელებში

ვამჩნევთ. მიმაჩნია, რომ ეს რჩევაც ჩვენი რეალობისთვის ძალიან კარგია, რადგან პატარა ერებში განსაკუთრებით ხშირია თანამემამულეების მძაფრი კრიტიკა და არა მათ წარმატებაზე ორიენტაცია და შექება-წახალისება.

4: ყველას მიეცით შანსი

ეს უკვე გერმანული მოდელია. ყველა გუნდში აუცილებლად უნდა იყოს მთავარი და მისი შემცვლელი 1 ან 2 მოთამაშე მაინც. ერთია, როგორ გამოვლიდის ბავშვს თამაში და მეორეა, როგორ სურს მას ითამაშოს. სწორედ ამ შანსის მიცემა აღზრდის ნაწილში ძალიან მნიშვნელოვანია. იმიტომ, რომ ვიღაც თუ ცუდად დარბის, სპორტული მოედნიდან არ უნდა გავაძევოთ. დაე, მასაც ჰქონდეს შანსი, მეტად სცადოს და თავად მიხვდეს, არის მოწოდებით ფეხბურთელი, თუ არა.

5: კომუნიკაცია მასწავლებლებსა და მშობლებს შორის

ნიდერლანდების დირექტორების ეს რჩევა ალბათ ყველაზე რთულად მიღწევადია ქართულ რეალობაში, მაგრამ პირობა ძალიან საინტერესო და საჭიროა. მშობლის, როგორც გულშემატკივრისა და მენტორის ჩართულობა მიკროკუთხედების უკეთესად შეკვრას უწყობს ხელს. ამისათვის, ჰოლანდიელებმა მიაგნეს საინტერესო მეთოდოლოგიას, როდესაც სპორტული კლუბის წარმატებისთვის მშობლები საკუთარ კონტრიბუციას გაიღებენ ხოლმე. დამატებითი ვარჯიში, გასვლა ქალაქგარეთ, ან სხვა – ყველაფერ ამას მშობელთა საბჭო აგვარებს, რომელიც სპორტული კლუბების წევრების მშობლებისგან შედგება.

6: ნუ შეზღუდავთ ლიდერებს

ბრიტანული მეთოდი სწორედ ამას გვასწავლის. რატომ უნდა იყოს გუნდში მხოლოდ ერთი ლიდერი, თუ ბუნებრივად ორია? მასწავლებელი არ უნდა ჩაერიოს სიტუაციის ბუნებრივ განვითარებაში და მეტიც, გუნდის კაპიტნად სწორედ ის ადამიანი უნდა დანიშნოს, ვისაც მეტი პატივისცემა აქვს და არა ის, ვინც უკეთესად არტყამს პენალტს.

7: შეეჯიბრეთ მუდმივად

შეჯიბრება განვითარების საუკეთესო საშუალებაა. განვითარებისა და საკუთარ თავზე გამარჯვების და არა შურის. ამაში პედაგოგს მთავარი როლი

აქვს. წელს დავმარცხდი? გაისად გავიმარჯვებთ! – ეს პრინციპი იმედს, თავ-
დაჯერებასა და ხალისს მატებს მოსწავლეებს. „მსაჯმა დაგვჩაგრა“, „მასონებ-
მა ჩააწყვეს“, „გამგებელმა დარეკა“ და სხვა ტიპის გამართლებები სპორტის-
თვის დემოტივაციაა. ვასწავლოთ ბავშვებს, რომ თუ ორი თავით მაღლა დად-
გებიან, მათი შრომა დაფასდება და ველარავინ „დაჩაგრავს“, ეს კი შედეგზე
პასუხისმგებლობის აღებას ნიშნავს და ზრდასრულობის გზისკენ გადადგმუ-
ლი ნაბიჯია.

შეჯიბრებები მეზობელი სკოლების მოსწრებაზეც დადებითად აისახება. ეს
შინაგანი და სრული მობილიზება ძალიან კარგი სტიმული იქნება. აბა, წარ-
მოიდგინეთ, გოგოლესუბნისა და ჩოხატაურის N1 სკოლა რომ მაგიდის ტენის-
ში შეეჯიბრებიან ერთმანეთს, რა სანახაობა იქნება.

მაგრამ ამისთვის, ჯერ სწორედ სპორტის ასეთი კულტურაა დასანერგი,
აგერ ოქსფორდსა და კემბრიჯში ლამის 2 საუკუნის ისტორიას რომ ითვლის
და მეორე მსოფლიო ომის დროსაც არ შეწყვეტილა.

ათი წიგნი, რომლებიც მასწავლებელმა არ უნდა წაიკითხოს, არც ამ ზაფხულს

ბესიკ ხარანაულის შესახებ პირველად 1997 წელს გავიგე, როდესაც ქართულის მასწავლებელს ბუკინისტებთან ნაყიდი „ხეიბარი თოჯინა“ მოუტანა ჩემმა კლასელმა და ჰკითხა, ღირდა ამ წიგნის წაკითხვა თუ არა.

პედაგოგმა დახედა ავტორს და რატომღაც მთელი კლასის გასაგონად თქვა ფრაზა, რომელიც მთელი ცხოვრება დამამახსოვრდა: „ვაჟა-ფშაველას მხრიდან რომ ხარ წარმოშობით, დიდი სირცხვილი და უნამუსობაა ისე წერო, როგორც ეგ კაცი წერს, სჯობს, ღუმელის მოსანთებად გამოვიყენოთ ეგ წიგნი, ყველასთვის დიდი შეღავათი იქნებაო“.

ცხადია, პირველი რაც იმ დღეს გავაკეთე, კლასელს ახალნაყიდი წიგნი ვეთხოვე და სახლში, გვიან ღამემდე ვკითხულობდი ჩემთვის მანამდე სრულიად უცნობი ვერლიბრით დაწერილ პოემას და ალბათ ისეთივე სახე მქონდა, როგორც ჩუკოტკელ ბავშვს, პირველად რომ სინჯავს მანდარინს.

არც კი ვიცი, რამ გააბრაზა ასე ჩემი ქართულის მასწავლებელი, მაგრამ რამდენიმე წლის მერე, როცა ჩემი დაწერილი წიგნიც მიუტანეს, თქვენმა ყოფილმა მოსწავლემ გამოსცაო, პასუხი დაახლოებით იგივე იყო, მაგრამ ამჯერად, ღუმელი აღარ იდგა კლასში, რომ შეეკეთებინათ.

პრობლემა, როდესაც მასწავლებლების რაღაც ნაწილს (ალბათ მცირეს) არ უყვარს თანამედროვე ლიტერატურა და არ აღიარებს მას, კლინიკურია, რადგან ეს ძალიან მაგონებს ამბავს, როდესაც მკურნალი ექიმი უარს ამბობს მედიცინის თანამედროვე პრეპარატების გამოყენებაზე, საბაბით, რომ ძველი უკეთესია, რადგან გამოცდილია და სიახლეების „არ სჯერა“.

არადა, თანამედროვე მხატვრული ტექსტების კითხვა ისეთივე აუცილებელია მასწავლებლისთვის, როგორც მეცნიერისთვის უახლოესი გამოგონებებისთვის თვალის დევნება, მშენებლისთვის კი ახალი ტექნოლოგიების ცოდნა.

და მაინც, ზოგიერთი მასწავლებელი უფრო მეტად უფროთხის თანამედროვე ავტორების გადაფურცვლას, ვიდრე ამაზონში აალებულ ტყეში მცხოვრებ რომელიმე ძუძუმწოვარს.

სწორედ მათთვის, რამდენიმე წიგნი შევარჩიე, რომლის წაკითხვა არაფრის დიდებით არ შეიძლება, განსაკუთრებით ზაფხულში და თან ამ სანუკვარი დასვენების პერიოდში.

მაშ ასე:

პოლ ოსტერი

მისნის ღამე

მართალია, პოლ ოსტერი ალბათ ყველაზე უცნაური და ღრმა ამერიკელი მწერალია, ვისაც ნიუ-იორკში უცხოვრია, სწორედ ამ ქალაქზე, როგორც თანამედროვე ბაბილონზე, წერს ძირითადად.

ოსტერის საუკეთესო (ჩემი აზრით) წიგნი „მისნის ღამეა“, სწორედ მის არ წაკითხვას გირჩევდით მკაცრი რეკომენდაციით, რადგან აბა, ვის რაში აინტერესებს მძიმე სენით დაავადებული სიღნი ორლოვსკის კათარზისი, როდესაც ის საკუთარი თავის განკურნებას ბლოკნოტის ყიდვითა და ჩანაწერების გაკეთებით იწყებს, არც ისაა საინტერესო, როგორ ახერხებს ავტორი მკითხველის შეყვანას პროტაგონისტთან ერთად მეორე მსოფლიო ომის დროს აშენებულ ბუნკერში და როგორ უმოწყალოდ ტოვებს პერსონაჟსაც და მკითხველსაც დაკეტილი კარის მიღმა. ეს ლიტერატურული სადიზმი, როდესაც ვერაფრისდიდებით იგებ, რა დაემართა კაცს, ვისაც ბიძაშვილზე უკეთ იცნობდი და დააღწია თუ არა თავი ლაბირინთს, რომელსაც გამოსავალი არ აქვს.

ჯონ მაქსველ კუტბეე

სირცხვილი

სამხრეთ-აფრიკული წარმოშობის ავსტრალიელი მწერალი ჯონ მაქსველ კუტბეე ერთ-ერთი ყველაზე ინტელექტუალური ავტორია, რომელიც ისეთ თემებზე წერს, რომელზე ხმამაღლა ლაპარაკიც, ხშირ შემთხვევაში, არაპოლიტიკორექტულია.

მწერლის ტექსტი „სირცხვილი“ სწორედ ისეთი რომანია, რომელიც მასწავლებელმა არაფრის დიდებით არ უნდა წაკითხოს, რადგან ტექსტი სწორედ მასწავლებლის დევიდ ლურიეს ამბით იწყება, მასწავლებლის, ვინც საკუთარ სტუდენტთან არაშესაბამის ურთიერთობაშია შემჩნეული. გარყვნილი კაცი სამსახურსაც ტოვებს და მშობლიურ ქალაქ კეიპტაუნსაც და შვილთან გადადის საცხოვრებლად ღრმა აფრიკაში, სადაც უპატრონო ძაღლების თავშესაფრის მმართველ მის ქალიშვილს საოცარი (ის სიტყვა არაა) და შემაძრწუნებელი თავგადასავალი გადახდება თავს.

კუთბეის ეს ტექსტი, თავისი ფანტასტიკურად კარგი თარგმანითა და ულამაზესი ენით, ზუსტად ის წიგნია, რომლის გამო შვებულების გაცდენა არ ღირს.

ვიქტორ პელევინი

GENERATION P

პელევინი საკუთარი ქალაქის მეტროსთან იდგა ხოლმე დახლზე გაშლილ გამოცემებს შორის და გადაკეცილ A4 ზომის ფურცელზე ამოებჯდილი ტექსტი ეჭირა: „მე ვიქტორ პელევინი ვარ, მწერალი და ეს ჩემი გაუყიდავი წიგნებია!“

დღეს პელევინი ყველაზე პოპულარული რუსი ავტორია, ვინც კლასიკური რუსული ლიტერატურა მთლიანად შეცვალა. პელევინი წერს ისე და ისეთ ამბებზე, როგორც მანამდე არავის დაუწერია. პელევინს შეუძლია დაწეროს კოსმოსურ თავგადასავალზე და აღმოჩნდეს, რომ ეს ყველაფერი სკოლის დერეფანში აირწინაღით მხოხავი დასჯილი მოსწავლის წარმოსახვის შედეგია.

Generation P პეპსის თაობის შესახებ დაწერილი წიგნია, რაც, კლასიკურ გოგოლზე აღზრდილმა, ნამდვილმა პედაგოგმა არაფრის დიდებით არ უნდა წაიკითხოს.

მიშელ უელბეკი

პლატფორმა

პატიოსანი პედაგოგი ალბათ მიშელ უელბეკის სახელის გაგონებაზე უნდა შეიშმუშნოს, რაც შეეხება წიგნს „პლატფორმა“, რომელიც სავსეა სექსუალური სცენებითა და ტერმინებით, არწასაკითხი წიგნების ათეულის სათავეშიც თავისუფლად დაიდებდა ბინას.

ისლამოფობი მიშელ რენო მამის სიკვდილის მერე ტაილანდში მიემგზავრება, რათა მუქთად დატოვებული მემკვიდრეობა მეძავეებში გაანიაგოს, სადაც ის საყვარელ ადამიანთან ვალერიისთან და მის უფროსთან და საყვარელთან ჟან ივთან ერთად სამუდამოდ ცხოვრებას გადაწყვეტს, სანამ ისლამისტი ტერორისტები კაფეში, სადაც სამეული ვახშმობს, ტერაქტს არ მოაწყობენ.

აღვირაბსნილი და ნატურალისტური სექსუალური სცენების მიღმა უკიდურესად მორალისტი უელბეკი იმალება, რომლის წაკითხვაც მასწავლებლისთვის არც წელს და არც გაისად არ შეიძლება.

იენ მაკიუენი ცემენტის ბაღი

იენ მაკიუენს ბავშვები სძულს, სხვანაირად როგორ მოიფიქრებდა სი-უჟეტს, სადაც 4 მოზარდი უკიდურესად საშინელ ადამიანებად არიან გამოყვანილები. 6, 13, 15 და 17 წლის და-ძმას მშობლები დაეხოცებათ, სავალდებულო გაშვილებისგან თავის ასარიდებლად კი ისინი ძალიან უცნაურ მეთოდს მოიფიქრებენ. როდესაც ავტორი ამ, მართალია, ძალიან კარგად დაწერილ, მაგრამ არასათანადო წიგნს წერდა, წარმოდგენაც არ ჰქონდა, რომ ერთ დღესაც, მის არწაკითხვას მე ვურჩევდი ძვირფას პედაგოგებს.

ელის უოკერი იისფერი

მართალია, ავტორმა აფრო-ამერიკულ თემზე დაწერა წიგნი, მაგრამ მთარგმნელმა ის ზემოიძერული კილოთი თარგმნა. ტექსტი სრულად ფემინისტურია და ამან არ მოგატყუოთ, არ შეგიტყუოთ და არ წაგაკითხოთ ქალების უმთავრეს და მნიშვნელოვან პრობლემებზე დაწერილი წიგნი, რომელიც იმედს იძლევა, რომ ბრძოლას და განათლებას ყოველთვის მოაქვს შედეგი. არწაკითხვის უმთავრესი მიზეზი კი ისაა, რომ ტექსტი საკვება ძალადობით, იძულებული აბორტებით, ინცესტითა და ათასგვარი ადამიანური უბედურებით, რაც აფრო-ამერიკულ თემში ხდება, ჩვენსას კი ძალიან ჰგავს რატომღაც. წიგნი გამოცემულია სერიით „აკრძალული წიგნების თარო“ და ვფიქრობ, ეს დასახელება საკმარისია იმისთვის, რომ უარი ვთქვათ მასში ფულის გადაყრაზე.

ლიოსა ცუდი გოგოს ოინები

კარგი გოგოები და ბიჭები ცუდი გოგოს ოინებით რატომ უნდა დავინტერესდეთ, მით უმეტეს, რომ წიგნი ისეთ ცალმხრივ სიყვარულზეა, კითხვის პროცესში რომ ნერვებს გიშლის და განერვიულებს. პერუელი ავტორი ხომ ისედაც შემჩნეულია მაღალმხატვრულობაში, მაგრამ ამ ტექსტში ლიოსამ თავს აჯობა და მეოცე საუკუნის ისტორია ლამის მთლიანად მოგვიყვა ქალი კვაჭი კვაჭანტირაძისა და მასზე უგონოდ შეყვარებული კაცის თავგადასავლით.

„ცუდი გოგოს ოინები“ ისეთი დინამიკური წიგნია, რომ შეტყუება იცის და თავს ადვილად არ დაგანებებინებს, ამიტომ მისი ხელში ალებაც კი დიდად სა-

რისკო საქმე მგონია და გირჩევდით, თუ სადმე დალანდეთ, თვალი მოარი-
დოთ.

ბორის აკუნინი

მწერალი და თვითმკვლელობა

აკუნინი, იგივე ბორის ჩხარტიშვილი ზესტაფონში დაბადებული, მაგრამ
მაინც რუსი მწერალია. მასზე ამბობენ, უკეთესი ენით ჩეხოვის შემდეგ რუ-
სულად არავის დაუწერიაო და მაინც, კონკრეტულად ეს ტექსტი სახიფათოა,
რადგან აღმოსავლური კულტურით გატაცებულ მწერალს თვითმკვლელობა
როგორც უკიდურესად ნეგატიური აქტი კი არა, როგორც გმირობა და ახალ
სამყაროში გასვლის საინტერესო გზა წარმოუდგენია. ამისათვის, ის ძალიან
ვერაგულ ხერხს მიმართავს და მსოფლიოს ყველა თვითმკვლეელი ავტორის
შესახებ გვიყვება ამბებს.

მილან კუნდერა

ყოფის აუტანელი სიმსუბუქე

ჩეხი კუნდერა ამ წიგნში წერს: „სიყვარული ქალთან წოლის სურვილში
კი არ ვლინდება (ეს სურვილი უთვალავი ქალის მიმართ ჩნდება), არამედ
მასთან ერთად ძილის სურვილში (ეს მხოლოდ ერთ ქალს უკავშირდება).
რატომ ხდება, რომ ქალს უყვარს კაცი და კაცს უყვარს ქალი, მათ კი ერთად
ცხოვრება მაინც არ გამოსდით? ამაზე პასუხი არც კუნდერას აქვს, წიგნზე
მოცდენაც ამიტომ არ ღირს, მაგრამ წერაზე რომ არ მოვცდე, რაკი ტირაჟი
ბევრჯერ და კაი ხნის წინ ამოიწურა, ვიცი, ვერ იშოვით და აღარ გავაგრ-
ძელებ.

ბესიკ ხარანაული

დიდი სმა

ხარანაული კი არის მეტაფორების დიდოსტატი, თან რაც ასაკი მოემატა,
სწორად დაწურული ღვინოსავით, გემოც გაუმრავალფეროვნდა და გაუს-
რულყოფილდა, მისი ტექსტები კი იკითხება სტრიქონებს შორისაც, კი წერს
ისე, თითქოს ადამიანად გადაცმული ანგელოზია, მაგრამ მახსოვს, რომ მისი
წინაპრები მალაროსკარიდან (ფშავი) გადასახლდნენ თიანეთში, ვაჟას მხა-
რეში დაბადებულმა კაცმა კი კალამი რომ შუაზე უნდა გადატეხოს, წერილის
დასაწყისში მოგახსენეთ.

მასწავლებლის ცხოვრება და შეცდომები

პრაქტიკოსი მასწავლებლებისთვის პიროვნული ზრდა მნიშვნელოვანი რამაა. ყოველი გაკვეთილის ჩატარება ნიშნავს, ასწავლო და ისწავლო, გაუზიარო და გაიზიარო და მაინც, მასწავლებლის ცხოვრება „ცდისა და შეცდომის“ ერთი დაუსრულებელი ამბავია.

ჩემს მოსწავლეებს ხშირად ვეკითხები, რა სწყინთ პედაგოგებისგან, რა უხარიათ, რა ახსოვთ და როგორი მასწავლებლები იქნებოდნენ თვითონ, ეს პროფესია რომ აერჩიათ. პასუხები გონივრული და დამაფიქრებელია. როგორც ჩანს, მასწავლებლებისა და მოსწავლეების ურთიერთობა საერთო ადამიანური სიკეთეცაა და შეცდომებიც, რომლებიც ნაგვაზაოს მათემატიკის მასწავლებელმაც და ლუცერნის ქიმიის პედაგოგმაც ერთნაირად შეიძლება დაუშვან.

გთავაზობთ ერთგვარ ვარიაციას რიჩარდ ფელდერის „მასწავლებლის 10 ცნობილი შეცდომის შესახებ“.

1. **„დავიწყეთ ბოდიშით!“** – მოსწავლეები ვერ იტანენ დაუმსახურებელ შენიშვნას. ეს ადამიანურია, მაგრამ განსაკუთრებით აწუხებთ შემთხვევები, როდესაც პედაგოგი საკუთარ შეცდომას არ აღიარებს. მოსწავლემ მითხრა, რომ არ ავიწყდებოდა ისტორიის მასწავლებლის შეცდომა, როდესაც მეორე მსოფლიო ომის დასაწყისის თარიღად მასწავლებელმა 1942 წელი დაასახელა. შევუსწორე და 1939 წელი ვუთხარი, არ დამიჯერაო. მასალაც მივუტანე და ყვირილი დამიწყო, როგორ ბედავ შესწორებას, როგორც გასწავლი, ისე ისწავლეო. არადა, რა მარტივია აღიარო, რომ შეგეშალა და პატიება ითხოვო?
2. **მასწავლებლის ხელწერა** – მახსოვს, უნივერსიტეტში რომ ჩავაბარე, ლექციიდან გამოსულს უფროსკურსელი ნაცნობი შემხვდა. იქეთური, აქეთური და მკითხა, მოგწონს სწავლაო? ვუპასუხე, რომ მომწონდა. თამილა თუ გასწავლისო? დავეთანხმე და უცებ, ლექტორის ხმით დაიწყო პირველი

ლექციის იმიტირება. ზუსტად ერთი-ერთში, იგივე „ხუმრობა“, ემოცია და სიტყვები. 15 წელია ამ საგანს კითხულობს და ამოოხვრაც კი დაზეპირებული აქვსო, იცინოდა.

3. **განვითარება** – მასწავლებლების ნაწილს გვავიწყდება, რომ ცხოვრების დინებასთან ერთად თითქოს სტატიკური და უცვლელი ამბები იცვლება. ფერმას თეორია შეიძლება ვინმეს ამოხსნილი ჰქონდეს, როცა შენ ამოუხსნელი გეგონა, მხატვრული ლიტერატურის ათასჯერ გააზრებული ტექსტი შენშივე შეიცვალა, შენი მსოფლმხედველობა გადახალისებას საჭიროებს. ეს დინამიკასაც ჰმატებს გაკვეთილს და პროცესიც საინტერესო ხდება. აბა, როგორი მშვენიერი სავარჯიშოა, ხან ვარსკენის მხარეს იდგე და ხანაც მისი უტეხი ცოლის?
4. **არასწორი ინფორმაცია** – ხშირად, ნებით თუ უნებურად, პედაგოგი უშვებს შეცდომას. არასწორად ისწავლა, დაავიწყდა, ცუდი ინტერპრეტაცია მოახდინა საკითხის ან არ იცის სიღრმისეულად რამეც ლაპარაკობს. ასეთი „ცოდნის“ მიცემას სჯობს პასუხისგან თავი შევიკავოთ. მქონდა შემთხვევა, როდესაც ძალიან ცნობილ მხატვრულ ტექსტზე მითხრა სტუდენტმა, თქვენი ამრი გვითხარითო. ჩემი გამოუცდელობით და იმიტ, რომ წაუკითხაობის შემრცხვა, ისეთი ფაქტობრივი არეულობები დაგაბრეხვე, გვარიანად შევრცხვი. მოგვიანებით გადავიკითხე ეს ტექსტი და მოვუბოდიშე.
5. **საკუთარ თავზე ზედმეტის აღება** – ადამიანური რესურსი ამოწურვადია. მასწავლებლები ყველაზე დაუნდობლად ვექცევით საკუთარ ჯანმრთელობას. ცხადია, ეს ყველაზე არ ითქმის, მაგრამ ცნობილი გამოთქმა Workaholic თუ ვინმეს მიესადაგება ხოლმე, ეს რეპეტიტორებია. ემოციური და შრომითი გადაღლა კი შედეგზეც აისახება. სწავლა უპირველესად ბედნიერების პროცესია, გადაღლილი ადამიანი კი ბედნიერებას ხშირად შორდება. მასწავლებელმა აუცილებლად უნდა დაისვენოს.
6. **პირდაპირი პასუხები ყველა შეკითხვაზე** – ბავშვებს მოსწონთ, როდესაც სააზროვნო სივრცეს ვუტოვებთ. მასწავლებელმა აუცილებლად უნდა მიიყვანოს მოსწავლე/სტუდენტი გზის გასაყართან, მაგრამ საბოლოო პასუხების გადაჭრით და უპირობოდ მიწოდება სხვისი პიროვნების დათრგუნვას იწვევს. წარმოიდგინეთ ბავშვი, რომელიც მინდობილია პედაგოგს, ეს უკანასკნელი კი თავს ახვევს ღირებულებებს (ზოგჯერ გაუგებარსაც კი). დათრგუნვილი და უპიროვნებო ნასწავლი ბავშვის აღზრდა დიდი ბედენა საქმე არ მგონია.

7. **გაუთავებელი ლაპარაკი საკუთარ თავზე** – ცოტა რამ თუ აღიზიანებთ მოსწავლეებს ისე, როგორც თქვენი რძლის მულის ისტორიების მოსმენა. მოსწავლეები დიდად არც საკუთარ წარსულზე ამბების მოყოლით ტკბებიან. გაკვეთილიდან „გადახვევა“ და ცოცხალი დიალოგი სწავლის აუცილებელი კომპონენტია, მაგრამ ამას თუ პერმანენტული ხასიათი აქვს, თქვენი მოსწავლეები ძალიან დაითრგუნებიან.
8. **განსხვავებული ამრი** – რაც ძალიან აწუხებთ მოზარდებს, საკუთარი, თუნდაც სრულიად დაუსაბუთებელი ამრების გამოთქმის პრობლემაა. როგორც გავარკვიე, ბევრ პედაგოგს უბრალოდ არ შეუძლია განსხვავებული ამრის მოსმენა და ამის გამო ნიშანსაც აკლებს მოსწავლეს. ბავშვები კი დასკვნებამდე სწორედ ასეთი სწორი/არასწორი მსჯელობებით მიდიან. ცხოვრების გზა ხომ მრავალფეროვანია. განსხვავებული და მიუღებელი ამრის მოსმენა კი დემოკრატიული და განვითარებული საზოგადოების ნიშან-თვისებაა.
9. **გამიჯნეთ ცოდნა ქცევისგან** – რთული ბავშვები ნიჭიერებიც არიან ხოლმე. ბევრ მათგანს აწუხებს, რომ მასწავლებელი მათი ცოდნის შეფასებისას „ხმაურობდი და ნიშანს დაგაკლებ“ მეთოდოლოგიას იყენებს. ეს, ქცევის კორექციისკენ კი არა სწავლის მოტივაციის დაქვეითებისკენ მიმართული ნაბიჯია.
10. **ილაპარაკეთ გასაგებად** – მოსაწყენი გაკვეთილების დიდი ნაწილი პედაგოგის დანაშაულია. მასხოვს, ქიმიას სახელმძღვანელოს ავტორი მასწავლიდა. კლასის უმეტესობა მის ახსნილს ვერ იგებდა. ერთხელ, პირდაპირ ვთხოვე პედაგოგს, უფრო გასაგები და ცხადი მაგალითები მოეშველიებინა და კლასიდან გამავდო. ბოლოს ისე მოხდა, გაგდებულები დარჩენილებზე მეტნი აღმოვჩნდი და მასწავლებელიც შეგვიცვალეს.
11. **მოუწესრიგებელი მასწავლებელი** – მოსწავლეები დიდ ყურადღებას აქცევენ მასწავლებლის ქცევას. რამდენად ხშირად აგვიანებს, იყენებს თუ არა ტელეფონს კლასში ყოფნისას. ხომ არ ჭამს მშესუმშირას ან გოგრის მარცვლებს მოსმენისას, ხომ არ იქექება ცხვირში და მეტიც, ხომ არ აგდებს სიგარეტის ნამწვს (ცხადია, სკოლის გარეთ) ძირს. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ ბავშვები ყველაფერ ამას „ლუპით“ აკვირდებოდნენ.
12. **ირიბი შეურაცხყოფა** – მექონდა შემთხვევა, როდესაც მოსწავლემ ასეთი ამბავი მოგვიყვა კლასს – ემოციურ ნიადაგზე გოგონამ საჯაროდ იტირა. ამბავი განხილვის საგანი გახდა და პედაგოგმა შენიშვნა მიიღო, მაგრამ

წყენა ვერ დაივიწყა. როდესაც სხვა მოსწავლეს დაფასთან იძახებდა, და-
ამატებდა ხოლმე, ოღონდ ბლავილი არ ატეხო, შენი ჭირიმე, ხომ იცი ამის
გამო სკოლიდან გამაგდებენო. ამ გადაკრული, „ნართაული“ ნათქვამის
სამიზნე ოდესღაც ატირებული გოგონა იყო. ბავშვი სტრესის ქვეშ აგრძე-
ლებდა სწავლას. თითქოს პირდაპირ მას შეურაცხყოფას არავინ აყენებდა,
მაგრამ, როცა კლასი იცინოდა, ყველამ იცოდა, ვის გულისხმობდა პედა-
გოგი.

13. **მოსწავლის სახელი და გვარი** – „შენ, წითელკაბიანო“, „გამოახედე ერთი
ეგ, შენ გვერდით რომ ზის, ბოლოს წინა მერხზე, მარჯვნივ!“. რაც ძალიან
მაგრად მიჭირს სახელების დამახსოვრებაა, მაგრამ მასწავლებელმა მაინც
აუცილებლად უნდა იცოდეს ყველა მოსწავლის სახელი და გვარი. ამის-
თვის საუკეთესო მეთოდი ბავშვებთან პირადად და დიდხანს საუბარია.
ასეთი კონტაქტისა და გახსნილობის შემდეგ, სახელები უფრო ადვილად
გვახსოვრდება.
14. **მუქარა** – მოსწავლესა და მასწავლებელს შორის ყველა გაუგებრობა უნდა
გადაიჭრას, თუნდაც ამას რამდენიმე გაკვეთილის ჩაშლაც დასჭირდეს. პე-
დაგოგებს ხშირად ადამიანური სისუსტე და ემოციურობა წაგვძლევს ხოლ-
მე და ბავშვს, მოსწავლეს ირიბად ვემუქრებით „გნახავთ წლის ბოლოს“,
„ნიშანზე ჩემთან მოხვალ“ და სხვა. უნდა გვახსოვდეს, რომ ასეთი სტრესი
მოსწავლისთვის ძალიან დამთრგუნველია. არასოდეს დაემუქროთ მათ,
ვისაც ასწავლით.
15. **მოსთხოვეთ მოსწავლეს ოდნავ მეტი, ვიდრე შეუძლია** – გურამ დოჩანაშ-
ვილის რომანში „სამოსელი პირველი“ არის გენიალური და ერთი შეხედ-
ვით, გაუგებარი ადგილი, როდესაც მენდეს მასიელი როხასს, ვისაც ტყვიაც
მოხვდა, ცხენმაც გადმოაგდო და მზემაც დააჭირა, რთული დავალების შე-
სასრულებლად უშვებს. ადამიანმა უნდა ირწმუნოს, რომ მეტი შეუძლია. ეს
„მეტი“ აუცილებელი წინაპირობაა განვითარებისთვის, რომელშიც, აუცი-
ლებლად ჩვენ, მასწავლებლები უნდა დავეხმაროთ ბავშვებს.
16. **განუმარტეთ ბავშვებს ცუდი ნიშანი** – ყველა ადამიანს ჰგონია, რომ მისი
შრომა ისე არ ფასდება, როგორც იმსახურებს. მოსწავლეებს განსაკუთრე-
ბით ედარდებათ ხოლმე დაბალი ნიშანი. არ დაიბაროთ და დეტალურად
განუმარტეთ ბავშვებს, რატომ უწერთ დაბალ ქულას.
17. **იდარდეთ ბავშვების ნაცვლადაც** – ხშირად მსმენია, რომ მასწავლებელი
იტყვის, „არ მაინტერესებს, როგორ გააკეთებ ამას, გააკეთებ!“ ბავშვისთვის

გაუგებარია თანაგანცდის ასეთი უუნარობა ადამიანისგან, ვისაც ის ამრს ეკითხება. ხშირად ჰკითხეთ მოსწავლეებს, რამე პრობლემა ხომ არ აქვთ. შეიძლება ასეთ დროს თქვენ სიცოცხლე გადაარჩინოთ.

18. **გაკვეთილზე მოუმზადებელი მისვლა** – თითქოს რაღა მომზადება სჭირდება მასწავლებელს, ვინც ტარაკნის თვალის აგებულებაზე უნდა ელაპარაკოს მოსწავლეს და ეს ამბავი კი 1000-ჯერ მაინც მოუყვლია, მაგრამ ასე არაა. გაკვეთილზე შესვლა განწყობით იწყება. სწორი განწყობა კი გადამდებია და მოტივაციას აათმავებს.
19. **ხისტი წესრიგი** – „დანელია, როდესაც მე ვლაპარაკობ, მაგ რვეულში კუბიკები კი არ უნდა ხატო, თავი უნდა ასწიო და თვალეში მიყურო, რომ მაგ უტვინო თავში რაღაც შევიდეს. მე მეორედ აღარ ავხსნი!“ ამ გადამეტებულად გამძაფრებულ მაგალითში 3 სიმართლე და 2 ტყუილია. ტყუილი გვარი და თვალეში ყურებაა და ეს ისტორიაც მოსწავლემ მოჰყვა. ყველა ჩვენგანს მოსმენისა და ფიქრის, დადლილობის გამოხატულებისა და თავის გართობის ჩვენული ხერხი გვაქვს. ხისტად მოწესრიგებული გარემო ასევე სტრესია ბავშვისთვის და შინაგანი რესურსის სწრაფ განლევის იწვევს. მასწავლებლის მთავარი დანიშნულება კი ბავშვის გადატვირთვა არაა. მახსოვს, ჩემი საყვარელი მათემატიკის მასწავლებელი მეუბნებოდა ხოლმე – ცოდნის მიღება იმ პრეპარატივითაა, ზომიერად რომ კურნავს და უზომოდ წამლავსო.
20. **დისტანციის დარღვევა მოსწავლესთან** – „ჯიგარი მასწავლებელი“ ზედმეტად გაშინაურებული მასწავლებელი არაა. რაც უნდა იყოს, მოსწავლესა და პედაგოგს შორის აუცილებელია ფარული დისტანცია. ამ ზღვრის დაღგენა შინაგან სენსორებზეა დამოკიდებული. თუ ზედმეტად შორია ეს დისტანცია, გაუცხოებას იწვევს, ზედმეტი სიახლოვე კი – გაუბრალოებას!



მასწავლებელთა
კრუფსიული
განვითარების
ეროვნული
ცენტრი